

საავტორო სამართალი

ქართული სასამართლო პრაქტიკა

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი
2005

უკ (UDC) 347 78
ს 121

შედეგები — სანდრო ჯორბენაძე

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2005

© სანდრო ჯორბენაძე, 2005

ISBN 99928-32-11-8

ინტელექტუალური საკუთრება აწესრიგებს საავტორო სამართლისა და სამრეწველო საკუთრების სფეროში პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

ტერმინი „ინტელექტუალური საკუთრება“ ქართულ სამართალში პირველად 1997 წლიდან დამკვიდრდა სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებასთან ერთად.

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს წარმოადგენენ: საავტორო სამართლის დაცვის სფეროში – ლიტერატურული, მხატვრული და სამეცნიერო ნაწარმოებები, საშემსრულებლო მოღვაწეობა, კომპიუტერული პროგრამები, ინტელექტუალური მიკროსტრუქტურების ტოპოლოგია, მონაცემთა ბაზები, ფონოგრამები, ვიდეოგრამები, რადიო და ტელეგადაცემები. სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში – გამოგონებები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიშნები, სასაქონლო ნიშნები, მომსახურების ნიშნები, ნოუ-ჰაუ. აგეთვე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა და სელექციური მიღწევები.

ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგს ეკონომიკურ ფასეულობას ანიჭებს მისი განსახიერება მატერიალურ (ფიზიკურ) ობიექტებში.

სამართლებრივი დაცვის არარსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი პირი ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე შეძლებდა სხვისი შემოქმედებითი ქმნილების მითვისებას და მისგან ეკონომიკური მოგების მიღებას, რითაც ზიანს მიაყენებდა ამ ქმნილების მფლობელს. ამის თავიდან ასაცილებლად შემოღებულია განსაკუთრებული უფლების ინსტიტუტი, რომლის თანახმადაც, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის მფლობელს (მესაკუთრეს) ენიჭება განსაკუთრებული უფლება შესაბამისი ობიექტის გამოყენებაზე განსაზღვრული დროითა და განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

განსაკუთრებული უფლების მფლობელი არის ის პირი, ვისი შემოქმედებითი შრომის შედეგადაც შეიქმნა ინტელექტუალური საკუთრების ესა თუ ის ობიექტი.

ყოფილ საბჭოთა კავშირში, ისევე, როგორც სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებული უფლების მფლობელი იყო სახელმწიფო. ნაწარმოების, გამოგონების ავტორს კი ეძლეოდა ფიქსირებული გასამრჯელო. ამ უსამართლობის გამოსწორება, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პირველმა, საქართველომ მოახერხა სამოქალაქო კოდექსისა და სამრეწველო საკუთრების მარეგულირებელი აქტების მიღებით, რითაც შესაძლებელი გახდა მსოფლიოში აღიარებული სამართლებრივი დაცვის ნორმებზე გადასვლა.

სწორედ ამ აქტების მიღების შემდეგ დაიწყო ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებათა დაცვის მზარდი პრეცედენტების წარმოშობა საქართველოში. ამას

ხელი შეუწყო იმანაც, რომ ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლების უზრუნველყოფა განამტკიცა 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციამ.

კრებულში შეტანილია თითქმის ყველა დავა, რომლებიც ქართულმა სასამართლოებმა განიხილეს, მათ შორის დავები, რომლებიც მორიგებით დამთავრდა, ყადაღა დაედო და ა.შ. მართალია, მორიგების შემთხვევაში სასამართლო ამტკიცებს ამ მორიგებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არსებითად არ განიხილავს დავას, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩავთვალე ამ პრეცედენტების კრებულში შეტანა.

სასამართლო დავები ძირითადად 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან პერიოდს მოიცავს 2004 წლამდე, ამიტომ ბოლოში დართულია სამოქალაქო კოდექსის, საეცტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის (1999წ.), სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე სპეციალური კანონების ის ნორმები (ამონარიდები), რომლითაც იხელმძღვანელებს სასამართლოებმა, რაც სურვილის შემთხვევაში მკითხველს დაეხმარება ინტელექტუალური საკუთრების უფრო სიღრმისეულად გაგებაში და სასამართლო გადაწყვეტილებების შეფასებაში.

პირველ წიგნში შესულია სასამართლო დავები საეცტორო სამართლის სფეროში. მეორე წიგნში – დავები დაკავშირებული სასაქონლო ნიშნებთან, არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან და საფირმო სახელწოდებასთან. მესამეში – საპატენტო დავები.

კრებულის შედგენაში გაწეული დახმარებისათვის გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს, პროფესორ ლადო ჭანტურიას, ამავე სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატ ვალერი ხრუსტალს.

მადლობას ვუხდით თბილისის საოლქო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს ქალბატონ მაია მწარიაშვილს, ამავე სასამართლოს მოსამართლეებს ქალბატონ მაღი ჩანტლაძესა და ქალბატონ ლალი არჩვაძეს.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს მამუკა მამალაძეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და თბილისის საოლქო სასამართლოს თანამშრომლებს ქალბატონ ემა ჩიბიროვასა და ბატონ გოგიტა ჭელიძეს.

იმედი მაქვს, რომ კრებული მცირედით მაინც დაეხმარება არა მარტო იურისტებს და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, არამედ ინტელექტუალური საკუთრებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს, სამართლის ამ სფეროში ცოდნის აძლვებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლაში.

სანდრო ჯორბენაძე

საავტორო უფლების აღიარება სიმღერაზე
„ყვავილების ქვეყანა“



გ ა დ ა ვ ყ ვ ე მ ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

30 მაისი, 1986წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონის სახალხო სასამართლომ
შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: თათულაძე,

სახალხო მსაჯულები: ტორონჯაძე და ლეშენკო

მურადოვას მდივნობით

ადვოკატ ლულუნაძის მონაწილეობით

განიხილა ღია სამსჯავრო სხდომაზე ირინე ჩირინაშვილის, მოპასუხებთან საავტორო უფლებების რესპუბლიკურ სააგენტოსთან, მუსიკალური ანსამბლების რესპუბლიკურ გართიანებასთან და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან; მესამე პირები – აკაკი გიორგის ძე ვასაძე და მაგდა სიმონის ასული ბერიძე, დარღვეული საავტორო უფლებების აღდგენისა და საავტორო გასამრჯელოს ანაზღაურების შესახებ.

საქმის მასალებით და სამსჯავრო გამოკვლევით სასამართლომ დადგინდა სცნო შემდეგი:

მოქ. ირინა ჩირინაშვილმა აღძრა სარჩელი სასამართლოში და განმარტავს, რომ მისი მეუღლე კომპოზიტორი მიხეილ ალექსანდრეს ძე ჩირინაშვილი გარდაიცვალა 1981 წლის 26 თებერვალს. სხვა ნაწარმოებთა შორის მას ეკუთვნის პოპულარული სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“, ან მეორე სახელწოდებით „ყვავილების მეუფე“, რომელიც სრულდებოდა საესტრადო ორკესტრებისა და მომღერალთა მიერ 1945-1946 წლებიდან. მეუღლის გარდაცვალების

შემდეგ მისთვის გახდა ცნობილი, რომ მოპასუხე საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტოს მიერ ზემოაღნიშნული სიმღერის ავტორად არასწორად არის მიჩნეული გარდაცვლილი გიორგი აკაკის ძე ვასაძე და აწარმოებს საავტორო გასამრჯელოს გაცემას მის მემკვიდრეებზე, მესამე პირებზე – აკაკი გიორგის ძე ვასაძეზე და მგადა სიმონის ასულ ბერიძეზე, რის გამოც ითხოვს დარღვეული საავტორო უფლების აღდგენას – სიმღერის „ყვავილების ქვეყანა“-ს ავტორად აწ გარდაცვლილი კომპოზიტორის მიხეილ ალექსანდრეს ძე ჩირინაშვილის აღიარებას, აღნიშნულ სიმღერაზე განსვენებული გიორგი აკაკის ძე ვასაძის საავტორო უფლების გაუქმებას და ხსენებულ სიმღერაზე საავტორო გასამრჯელოს ანაზღაურებას.

მოპასუხე საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტოს წარმომადგენელმა ლ.ვ.სულთანიშვილმა სარჩელი არ სცნო და განმარტა, რომ სააგენტოში არსებული განსვენებული გიორგი ვასაძის პირადი საქმის მიხედვით სიმღერის „ყვავილების ქვეყანა“ ავტორად მიჩნეულია გა.ვასაძე და საავტორო გასამრჯელოც მის მემკვიდრეებზეა გაცემული. მანვე განმარტა, რომ გა.ვასაძის პირად საქმეს არა აქვს დართული ექსპერტის დასკვნა, რაც წარმოადგენს საფუძველს მხატვრული ნაწარმოების ავტორობის დასადგენად და ამდენად, მათთვის ცნობილი არ არის რის საფუძველზეა მიჩნეული ზემოაღნიშნული სიმღერის ავტორად განსვენებული გა.ვასაძე.

მოპასუხე მუსიკალური ანსამბლების რესპუბლიკური გაერთიანების წარმომადგენელმა აკაპანაძემ სარჩელით მხარი დაუჭირა და განმარტა, რომ რესპუბლიკის ყველა მუსიკალური ანსამბლის მიერ სიმღერის „ყვავილების ქვეყანას“ შესრულების დროს მის ავტორად ცხადდებოდა და ამჟამადაც ცხადდება განსვენებული კომპოზიტორი მიხეილ ჩირინაშვილი.

მესამე პირები – აგ.ვასაძე და მ.ბერიძე სარჩელს მხარს არ უჭერენ, რადგან მათი განმარტებით სიმღერის „ყვავილების ქვეყანა“-ს ავტორია განსვენებული გიორგი აკაკის ძე ვასაძე და არა მიხეილ ჩირინაშვილი.

სასამართლო თელის, რომ სარჩელი საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებათა გამო:

ექსპერტების დასკვნით, რომლის ავტორები არიან ცნობილი ქართველი კომპოზიტორები: საქართველოს სსრ სახალხო არტისტები გ.ცაბაძე, მ.კვერნაძე, ს.ძირიანაშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ.გულაშვილი, გ.ციციშვილი და ლ.კასრაძე, დადგენილია, რომ სიმღერის „ყვავილების ქვეყანა“-ს მუსიკის ავტორი არის კომპოზიტორი მიხეილ ჩირინაშვილი და ამიტომ ყველა შემთხვევაში აღნიშნული სიმღერის მუსიკის ავტორად იგი უნდა იყოს მითითებული.

ზემოაღნიშნული კომპოზიტორებთან ერთად ცნობილი კომპოზიტორები, რესპუბლიკის სახალხო არტისტები მერი დავითაშვილი და გრიგოლ კოკელაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ოთარ გორდელი და შოთა ჯოჯუა, კულტურის მინისტრის სახელზე შედგენილ წერილში და საავტორო უფლებებ-

ბის რესპუბლიკური სააგენტოს სხდომის ოქმში ერთხმად ადასტურებენ, რომ სიმღერის „ყვავილების ქვეყანა“-ს მუსიკის ავტორი არის კომპოზიტორი მიხეილ ჩირინაშვილი.

სიმღერის „ყვავილების ქვეყანა“-ს მუსიკის ავტორი, რომ არის კომპოზიტორი მიხეილ ჩირინაშვილი, ეს ფაქტი დასტურდება საქმეზე თანდართული აღნიშნული სიმღერის კლავირით, გრამფირფიტით, ნოტებით, ტიტრებით და ქვემოჩამოთვლილი ხელოვნების ცნობილ მოღვაწეთა სათანადოდ დამოწმებული ახსნა-განმარტებებითაც. კერძოდ, მეღვლეკეთა ანსამბლის ხელმძღვანელის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის გ.ქსოვრელის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ნ.გუნიას, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ე.კაცობაშვილის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის თხელაშვილის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ჯ.მუჯირის, ეარჯევანიძისა და პ.ტატიშვილის ახსნა-განმარტებებით.

დადგენილია ის გარემოებაც, რომ ზემოაღნიშნული სიმღერის საავტორო გასამრჯელო, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, მოპასუხე საავტორო უფლებათა რესპუბლიკური სააგენტოს მიერ ვ.ვასაძის მემკვიდრეებზე გაცემულია 200 მანეთი და 37 კაპიკი, რაც უნდა გადახდეს აღნიშნული სააგენტოს მოსარჩელის სასარგებლოდ, რადგან მათი ბრალით არის უსწოროდ გაცემული აღნიშნული თანხა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 512-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

სარჩელი დაკმაყოფილდეს. სიმღერის „ყვავილების ქვეყანა“-ს მუსიკის ავტორად აღიარებული იქნეს განსვენებული კომპოზიტორი მიხეილ ალექსანდრეს ძე ჩირინაშვილი და ამიერიდან აღნიშნულ სიმღერის მუსიკის ავტორად გამოცხადდეს კომპოზიტორი მიხეილ ჩირინაშვილი.

გაუქმდეს განსვენებული გიორგი აკაკის ძე ვასაძის საავტორო უფლება სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“-ზე.

მოპასუხე, საავტორო უფლებების რესპუბლიკურ სააგენტოს გადახდეს ორასი მანეთი და 37 კაპიკი საექსპლოატაციო თანხებიდან მოსარჩელე ირინა ჩირინაშვილის სასარგებლოდ. მასვე გადახდეს სახბაჟი ოთხი მანეთი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

დაევალოს საავტორო უფლებების რესპუბლიკურ სააგენტოს სიმღერის „ყვავილების ქვეყანა“-ს საავტორო გასამრჯელო შემდგომში გასცეს განსვენებული კომპოზიტორის მიხეილ ჩირინაშვილის მეუღლეზე – ირინა ჩირინაშვილზე.

გადაწყვეტილება კასაციურია 14 დღეში, შეიძლება გასაჩივრება თბილისის საქალაქო სასამართლოში.



გ ა ნ რ ი ბ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№02ა/11

16 თებერვალი, 2000წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ შეძღვევი შემაღვენლობით:

მ.ჯიყაშვილი (თავმჯდომარე),

მ.ლიბრაძე,

ლ.ბარდაველიძე

განიხილა მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მაგდა ბერიძის წარმომადგენლის ალექსი გაბუნიას კერძო საჩივარი თბილისის სა-ოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 17 აგვისტოს განჩინებაზე სამოქალაქო საქმეზე იჩირინაშვილის სარ-ჩელისა გამო საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს მიმართ, მესამე პირი მბერიძე და მესამე პირის სარჩელისა გამო იჩირინაშვილის მიმართ, მესამე პირები საქართველოს სახელმწიფო ფილარ-მონია და საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტო, საავტორო უფლებათა აღდგენის, დაცვის და საავტორო გასამრჯე-ლოს შესახებ და

გ ა მ ო ა რ კ ე ი ა

2000 წლის 17 აგვისტოს საქმის განხილვის მოსამზადებელ სხდომაზე სასამართლო კოლეგიამ განიხილა რა მოსარჩელის წარმომადგენლის შუა-მდგომლობა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დააკმაყოფილა იგი მესამე პირის ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოლ-ექსის 280-ე მუხლის „ე“ პუნქტის გათვალისწინებით სასამართლო კოლეგიამ შეაჩერა საქმის წარმოება და მიღებული განჩინება საქმის მასალებთან ერთად გაუგზავნა საქმის საექსპერტო დაწესებულებას გამოკვლევის ჩასატარებლად.

2000 წლის 29 ოქტომბერს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის

მქონე მესამე პირის წარმომადგენელმა კერძო საჩივრით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიას, რომლითაც ითხოვა საქმის საექსპერტო დაწესებულებიდან გამოთხოვა, საჩივრის განხილვამდე ექსპერტიზის ჩატარების შეჩერება კოლეგიის 2000 წლის 17 აგვისტოს განჩინების გაუქმება და ახალი მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა და განმარტა, რომ სხდომაზე 2000 წლის 17 აგვისტოს შუამდგომლობის წარდგენის შესაძლებლობა პირველი მიეცა მოსარჩელეს, მას კი შუამდგომლობები ჰქონდა და სასამართლო კოლეგიამ არ მოუსმინა, რითაც უხეშად დაარღვია სამოქალაქო საპროცესო ნორმები. ამავე დროს, საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სასამართლო კოლეგიისათვის ცნობილი იყო იმის შესახებ, რომ საქართველოს საეკტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელი პირები შვებულებაში იმყოფებოდნენ და მისი წარმომადგენლის გარეშე იქნა განჩინება გამოტანილი, ამასთან ერთად მესამე პირის წარმომადგენელი საჩივარში აღნიშნავს, რომ 2000 წლის 21 აგვისტოს კოლეგიამ საქმე ექსპერტიზას გადაუგზავნა, რითაც მოუსპო მას შესაძლებლობა გაცნობოდა სასამართლო სხდომის ოქმს, რომელიც უნდა გაფორმებულიყო 17 აგვისტოდან 21 აგვისტომდე, ხოლო სამი დღის განმავლობაში მისი გაფორმებიდან უნდა მისცემოდა მისი გაცნობის შესაძლებლობა.

საჩივრის ავტორმა ასევე განმარტა, რომ სასამართლო კოლეგიამ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 282-ე მუხლის მოთხოვნა გადაგზავნა რა საექსპერტო დაწესებულებაში საქმე გასაჩივრების ვადის ამოწურვამდე.

მესამე პირის წარმომადგენელმა საჩივარში ასევე აღნიშნა, რომ მას სურდა გაეკეთებინა განცხადება სსკ-ის 275-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რომლის დაკმაყოფილებისას გამოირიცხებოდა რაიმე ექსპერტიზის დანიშვნა, მისი დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კი იშუამდგომლებდა ექსპერტიზის დანიშვნის სადავო ნაწარმოების სხვაგვარი გამოკვლევის მიზნით.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის მეორე პუნქტი განსაზღვრავს იმ თანმიმდევრობას, რომლითაც უნდა იქნეს მოსმენილი მხარეთა ახსნა-განმარტებები, იმის გამო, რომ სასამართლო კოლეგია ატარებდა არა მთავარ, არამედ მოსამზადებელ სხდომას. მოსმენილი იქნა მხარეთა მხოლოდ შუამდგომლობები, რომლებიც საქმის არსებითი განხილვისათვის სათანადოდ მომზადებას ემსახურება, რა დროსაც დატყული იქნა სხდომის მიმდინარეობის ისეთივე თანმიმდევრობა, როგორსაც მთავარი სხდომის ნორმები აწესებენ. სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ მას არ დაურღვევია სამო-

ქალაქო საპროცესო ნორმები, როდესაც ჯერ მოსარჩელის შუამდგომლობა მოისმინა. კოლეგიას არ დაურღვევია ასევე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის უფლებები მოსარჩელის შუამდგომლობის განხილვისას და მოისმინა მისი მოსარჩებებიც დაყენებულ შუამდგომლობაზე, რომელსაც იგი დაეთანხმა მისი პირობების დამატებით, რაც სასამართლო კოლეგიამ გაითვალისწინა.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ არ უნდა იქნეს გაზიარებული საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ განჩინება არ უნდა მიღებულიყო მოპასუხის დასწრების გარეშე, რადგან მისთვის ცნობილი იყო მოპასუხის შევბუღებაში ყოფნა.

2000 წლის 15 აგვისტოს სასამართლო კოლეგიამ ვერ ჩაატარა ადგილზე დათვალიერება საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების სახელმწიფო სააგენტოს საბუღალტრო დოკუმენტებისა და ავტორთა პირადი ბარათების გამოკვლევის მიზნით იმ მუშაკის შევბუღებაში ყოფნის გამო, რომელსაც ეს დოკუმენტები აქვს ჩაბარებული და ამავე დღეს 2000 წლის 17 აგვისტოს დანიშნული მოსამზადებელი სხდომის შესახებ ეცნობა საავტორო სააგენტოს დირექტორს და გადაეცა უწყება, რაზეც ჩამოერთვა ხელწერილი, რომელიც დაერთო საქმეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის თანახმად ექსპერტიზა შეიძლება დაინიშნოს როგორც სასამართლოს ინიციატივით, ისე მხარეთა თხოვნით, ამდენად, სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ მის მიერ არ ყოფილა დარღვეული საპროცესო ნორმები, როცა დანიშნა ექსპერტიზა მხარის მონაწილეობის გერეშე ჩატარებულ სხდომაზე.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ ასევე არ უნდა იქნეს გაზიარებული საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მას არ მიეცა 2000 წლის 17 აგვისტოს სხდომის ოქმის გაცნობის შესაძლებლობა. მას არ მოუმართავს სასამართლოსათვის განცხადებით ოქმის გაცნობის მოთხოვნით, თუმცა სხდომის ოქმი ხელმოწერილი იყო იმავე დღეს მისი მცირე მოცულობის გამო.

სასამართლო კოლეგიამ განჩინების გამოცხადებისას განუმარტა მხარეებს, რომ განჩინებაზე შეიძლებოდა კერძო საჩივრის შეტანა მხოლოდ მისი შეჩერების ნაწილში.

სასამართლო კოლეგიას უსაფუძვლოდ მიაჩნია საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მას არ მიეცა განცხადებებისა და შუამდგომლობების წამოყენების შესაძლებლობა. სასამართლო კოლეგიამ ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხების სპეციფიკიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩათვალა ესარგებლა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლის „ე“ პუნქტით განსაზღვრული უფლებით და შეაჩერა საქმის წარმოება, რათა საქმის მასალები მიეწოდებინა საექსპერტო დაწესებულებებისათვის და არ

შეეფერხებინა საექსპერტო გამოკვლევა, ხოლო შეჩერების შემდეგ სასამართლოს უფლება აღარ ჰქონდა შეესრულებინა რაიმე საპროცესო მოქმედება.

სასამართლო კოლეგიამ ამავე დროს გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 418-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც „კერძო საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას, რომელიც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით იყო გათვალისწინებული და ასევე ის გარემოება, რომ კერძო საჩივარი დასაშვები იყო მხოლოდ შეჩერების ნაწილში და არა ექსპერტიზის დანიშვნაზე და განჩინება საქმესთან ერთად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმათა სრული დაცვით დროულად გადაეგზავნა საექსპერტო დაწესებულებაში.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. არ იქნეს დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის მბერიძის წარმომადგენლის ა.გაბუნიას კერძო საჩივარი დაუსაბუთებლობის გამო.
2. კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გაიგზავნოს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.



გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№2ა-70

18 თებერვალი, 2000წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი შემაღვენლობით:

- გ.გულეღანი (თავმჯდომარე),
- ქ.დუგლაძე,
- დ.თოდრაძე

ნ.გველეხიანის მღივნობით

მოსარჩელე იჩირინაშვილის, მისი წარმომადგენლების ზ.კორძაძის, ნ.წოწორიას; მესამე პირი მბერიძე და მისი წარმომადგენლების – გ.ვასაძის, ა.გაბუნაის მონაწილეობით, განიხილა რა იჩირინაშვილის სარჩელი საავტორო და მომიჯნავე უფლებების სახელმწიფო სააგენტოსთან, მესამე პირი მბერიძე, დარღვეული საავტორო უფლებების აღდგენის შესახებ, მესამე პირის სარჩელი დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნით საავტორო უფლების აღდგენაზე.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სიძლერა „ყვავილების ქვეყანას“ მუსიკის ავტორი 1951 წლიდან ექსპერტიზის საფუძველზე საავტორო უფლებათა დაცვის სააგენტოში ოფიციალურად გიორგი აკაკის ძე ვასაძე იყო რეგისტრირებული. გიორგი აკაკის ძე ვასაძე გარდაიცვალა 1969 წელს. მისი გარდაცვალების შემდეგ საავტორო ჰონორარს იღებდნენ მისი მემკვიდრეები. მოსარჩელე იჩირინაშვილის მეუღლეს – კომპოზიტორ მიხეილ ჩირინაშვილს, არც გ.ვასაძის სიცოცხლეში და არც მისი გარდაცვალების შემდეგ, აღნიშნული სიძლერის მუსიკის ავტორობაზე პრეტენზია არ გამოუთქვამს, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, გ.ვასაძე და მჩირინაშვილი ერთმანეთთან მეგობრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. კომპოზიტორი მჩირინაშვილი გარდაიცვალა 1981 წელს.

მიხეილ ჩირინაშვილის გარდაცვალების შემდეგ 1983 წლის 7 თებერვალს, მისმა მეუღლემ იჩინა ჩირინაშვილმა ქობილისის ყოფილი ორჯონიკიძის რაიონის სასამართლოში აღძრა სარჩელი და თავდაპირველად მოითხოვა ნაწარმოებზე საავტორო ჰონორარის განსაზღვრა და გადახდევინება. მოპასუხეებად დაასახელა მუსიკალური ანსამბლების რესპუბლიკური გაერთიანება და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია, მესამე პირად საქმეში ჩაბმული იქნა საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტო. სასამართლომ საქმეში მესამე პირებად ჩართო გარდაცვლილი გიორგი აკაკის ძე ვასაძის შვილი აკაკი ვასაძე და მისი მეუღლე მბერიძე. ამასთან, მოსარჩელემ შეცვალა სასარჩელო მოთხოვნა და ამჯერად საკითხი დააყენა დარღვეული საავტორო უფლებების აღდგენისა და საავტორო გასამრჯელოს ანაზღაურების შესახებ.

სარჩელის აღძვრიდან სამი წლის შემდეგ 1986წ. 30 მაისს, სასამართლომ (მოსამართლე გ.ათაულაძე) გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. სიძლერის „ყვავილების ქვეყანა“-ს მუსიკის ავტორად აღიარებული იქნა განსვენებული კომპოზიტორი მჩირინაშვილი; სიძლერა „ყვავილების ქვეყანა“-ზე გაუქმა განსვენებული გ.ვასაძის საავტორო უფლება. მოპასუხე, საავტორო უფლებების რესპუბლიკურ სააგენტოს დააკისრა 200 მანეთი და

27 კაპიტი საექსპლოატაციო თანხებიდან მოსარჩელე ირინა ჩირინაშვილის სასარგებლოდ, სააგენტოს გადახდა სახელმწიფო ბაუი ოთხი მანეთი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სააგენტო უფლებების რესპუბლიკურ სააგენტოს დაეკალა სიმღერის „ყვავილების ქვეყანა“-ს სააგენტო გასამრჯელოს გადაცემა მოსარჩელე ირინა ჩირინაშვილისათვის. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება 1986წ. 24 ივნისის განჩინებით უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ (მოსამართლე ლ.ძანცაქანოვა). გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ სისრულეში იქნა მოყვანილი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზედამხედველობით შეტანილი პროტესტის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმმა 1998წ. 20 აგვისტოს დადგენილებით გააუქმა სასამართლო ორგანოების ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებები და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა იმავე რაიონის სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

უზენაესი სასამართლოს პროტესტში და პრეზიდენტის დადგენილებაში ზემოთ აღნიშნული სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებათა გაუქმების საფუძველად მითითებულია შემდეგი გარემოებები: სიმღერა „ყვავილების ქვეყანას“ ავტორი რომ გ.ვასაძე იყო ამის შესახებ ცნობილი იყო აწ გარდაცვლილი მჩირინაშვილისათვის და ასევე მოსარჩელე ირინა ჩირინაშვილისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა კომპოზიტორ მჩირინაშვილის საქვეყნოდ ცნობილი ფაქტი თავის სიცოცხლეში სადავოდ არ გაუხდია. დავა დაიწყო მხოლოდ მისმა მეუღლემ მჩირინაშვილის გარდაცვალების შემდეგ 1997წ. 25 ნოემბრამდე მოქმედი საქართველოს სსკ-ს 505-ე მუხლის თანახმად. ავტორის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეები იცავენ მხოლოდ ნაწარმოებთა ხელშეუხებლობას, აღნიშნული უფლება არსებითად განსხვავდება ნაწარმოებებზე ავტორობის უფლებისაგან, რაც გათვალისწინებულია ამავე კოდექსის 493-ე და 503-ე მუხლებით, ამასთან დაკავშირებით ახალმა სამოქალაქო კოდექსმა უფრო ნათლად მიუთითა, რომ „ავტორობის უფლება, სახელის უფლება და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება მემკვიდრეობით არ გადადის, მემკვიდრეებს უფლება აქვთ განახორციელონ მხოლოდ აღნიშნული უფლების დაცვა. მათი ეს უფლებამოსილება კი ვადით არ იზღუდება (1066-ე მუხ. მე-3 პუნქტი, იგივე ნორმა კანონში საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ მუხ.35, პუნქტი მესამე).

მოცემულ ნორმებიდან გამომდინარე, მხოლოდ ნაწარმოების ავტორის გ.ვასაძის მემკვიდრეებს შეეძლოთ დაეცვათ 1951 წლიდან სიმღერა „ყვავილების ქვეყნის“ ავტორად აღიარებული გ.ვასაძის საავტორო უფლება, ხოლო აწ გარდაცვლილ მჩირინაშვილს, მხოლოდ მას, თავის სიცოცხლეში და არა მის მეუღლეს – შეეძლო ედავა გ.ვასაძის აღნიშნული ნაწარმოების ავტორობის უფლებაზე, რაც მან როგორც ჩანს არ ჩათვალა საჭიროდ, რის გამოც ორჯონიკიძის რაიონის

სასამართლოს არსებითად არც უნდა განეხილა წარდგენილი სარჩელი.

სასამართლომ, აღნიშნულია შემდეგ, უზენაესი სასამართლოს პროტესტსა და პრეზიდუმის დადგენილებაში, არ მიაქცია ყურადღება „რეროს“ შესრულებით ყნუ მუნჯთა საზოგადოების მიერ გამოცემული და 1963 წლით დათარიღებული ფირფიტის კანონიერებას. სიმღერის შემსრულებლის დეკლარაციის განმარტებით ეს სიმღერა „რეროს“ მიერ ესტრადაზე ცხადდებოდა გ.ვასაძის სახელით. სასამართლოს არ გაურკვევია მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი კლავირის ნამღვილობა. თუ მას სასამართლო ჯანო ბაგრატიონის ანსამბლისათვის შესრულებულად მიიჩნევდა, იგი უნდა აღმოჩენილიყო ცენტრალური სახელმწიფო არქივის საცავში ან სახელმწიფო ფილარმონიის ბიბლიოთეკაში. იმ შემთხვევაშიც კი თუ კი სასამართლო ჩათვლითა, რომ იგი ჯანო ბაგრატიონის დროინდელი კლავირია, აღნიშნული მაინც ვერ გამოდგა ავტორობის დამადასტურებელ მტკიცებულებად, ვინაიდან 1951 წლიდან გ.ვასაძეს ამ სიმღერაზე მიღებული ჰქონდა საავტორო უფლება. სასამართლომ უგულებელყო აგრეთვე ის გარემოება, რომ „ვია-75“-ის მიერ შესრულებული „ყვავილების ქვეყანას“ ტელევიზიაში გადაცემისას ტიტრებზე დაფიქსირებულია გ.ვასაძის გვარი და სახელი. სასამართლო პირობითად დაეყრდნო ექსპერტიზის დასკვნას, რადგან როგორც დასტურდება ექსპერტს არავითარი გამოკვლევა არ ჩაუტარებია და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიიჩნია სიმღერა „ყვავილების ქვეყანას“ ავტორად მ.ჩირინაშვილი.

ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ საქმე განსჯადობით გადმოუგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს.

მოსარჩელე გაეცნო რა 1986 წლის გადაწყვეტილებათა გაუქმების მოტივებს და დარწმუნდა რა მათივე სარჩელის უსაფუძვლობაში თბილისის საოლქო სასამართლოში საქმის გაჭიანურებასა და კოლეგიის შეცდომაში შეყვანის მიზნით ყურადღება გადაიტანა საქმისათვის არაარსებითი საკითხების დადგენასა და გამოკვლევაზე. მოსარჩელემ კოლეგიის წინაშე პირველ რიგში იშუამდგომლა გამოეთხოვა ის წერილობითი მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლოს უკვე გამოთხოვილი ჰქონდა 1983-86 წლებში, რაზედაც კოლეგიის განჩინებით ეთქვა უარი. შემდეგ მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ მოითხოვა საავტორო უფლებების დაცვის სააგენტოდან და თეატრის, მუსიკისა და კინოს მუზეუმიდან სხვადასხვა ცნობებისა და გ.ვასაძის სიმღერის სანოტო ფურცლების გამოთხოვა, რაც კოლეგიის მიერ დაკმაყოფილებული იქნა, მაგრამ მუზეუმმა სანოტო ფურცლების სიძველისა და მათი უსაფრთხოების გამო სასამართლოს გამოუგზავნა მხოლოდ გ.ვასაძის ნაწარმოების სანოტო ფურცლების ასლები. ამის შემდეგ, მოსარჩელის შუამდგომლობითვე ადგილზე იქნა დათვალაიერებული გ.ვასაძის ხელით შეს-

რულებული სანოტო ფურცლები, რაზედაც შედგა დათვალეირების ოქმი.

მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილება აღსრულებულია და ახალი საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს აღსრულების შებრუნებას, მოითხოვა კოლეგიას ეხელმძღვანელა 1964წ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 445-ე, 447-ე მუხლებით და საქმე წარმოებით შეეწყვიტა, რასაც მხარი არ დაუჭირა მოპასუხე – საავტორო უფლებათა სააგენტომ და მესამე პირმა მ.ბერიძემ. კოლეგიამ ამ შუამდგომლობაზე მოსარჩელეს უარი უთხრა უსაფუძვლოების გამო.

1999წ. 21 დეკემბრის მთავარ სხდომაზე ფილარმონიის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო მოსარჩელემ საქმის გადადება მოითხოვა, ხოლო გადადების შემდეგ კი ფილარმონიის მიმართ სასარჩელო მოთხოვნაზე საერთოდ უარი განაცხადა.

ი.ჩირინაშვილის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს შუამდგომლობა, სადაც აღნიშნეს, რომ საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს 1999წ. 22 ივნისის კანონის 62-ე მუხლის შესაბამისად საავტორო საჯარო სამართლის იურიდიული პირია და იგი საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სააგენტოში ატარებს სახელმწიფო პოლიტიკას, რომ აქედან გამომდინარე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომ ზემოთ აღნიშნული დავის განხილვა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა განხორციელდეს. ამ მოტივით მოითხოვეს საქმის ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიისათვის განსახილველად გადაცემა. კოლეგიის 2000წ. 10 თებერვლის განჩინებით მოსარჩელის აღნიშნულ შუამდგომლობაზე ეთქვა უარი უსაფუძვლოების გამო.

მესამე პირმა ი.ბერიძემ დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნით მოსამზადებელ ეტაპზე აღძრა სარჩელი საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სააგენტოს და ჩირინაშვილის მიმართ და მოითხოვა ი.ჩირინაშვილის სარჩელზე უარის თქმა, გ.ვასაძის საავტორო უფლებების აღდგენა და სახელმწიფო სააგენტოში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

თავის შესაგებელში მოსარჩელემ 1964წ. სამოქალაქო კოდექსის 512-ე, 505-ე და 503-ე მუხლებზე დაყრდნობით გაუგებრობად მიიჩნია გ.ვასაძის მემკვიდრეებს, რომ აქვთ სიმღერა „ყვავილების ქვეყანაზე“ საავტორო უფლებების დაცვის შესაძლებლობა და ჩირინაშვილის მემკვიდრეებს არა. როგორც ამ მსჯელობიდან ჩანს მოსარჩელე არ ითვალისწინებს, რომ სკ-ს 509-ე მუხლით მემკვიდრეობით არ გადადის ავტორის უფლება სახელზე, რომ იმავე

კოდექსის 505-ე მუხლის შესაბამისად ავტორის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეები იცავენ მხოლოდ ნაწარმოებათა ხელშეკრულებას. სიმღერა „ყვავილების ქვეყნის“ მუსიკის ავტორის უფლებების დაცვა ამ ნაწარმოების ხელშეუხებლობაზე შეუძლიათ მხოლოდ ამ სიმღერის ავტორის მემკვიდრეებს და არა სხვა პირებს, რაც შეეხება ავტორის გარდაცვალების შემდეგ სხვის ნაწარმოებზე ავტორობის უფლების აღიარებას, რასაც მჩირინაშვილი მოითხოვს, ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებათა დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის (რომლის წევრიც საქართველოა) 6^ბ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველო სხვა ქვეყნებთან ერთად ის სახელმწიფოა, რომლის ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ავტორის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეების მიერ ნაწარმოებზე ავტორობის უფლების აღიარებას. იჩირინაშვილის წარმომადგენლებმა მთავარ სხდომაზე აღძრეს შუამდგომლობა და ამჯერად მოითხოვეს მუზეუმში არსებული გ.ვასაძის ხელით შესრულებული სანოტო ფურცელზე ხელწერისა და ამ სანოტო ფურცლებიდან ყოფილი ქთბილისის ორჯონიკიძის რაიონის სასამართლოს მოთხოვნით მუზეუმის თანამშრომელი ქალის – ვგობეჯიშვილი-სვანიძის მიერ გადაწერილ ასლზე ხელწერის იგივეობის დადგენის მიზნით გრაფიკული ექსპერტიზის ჩატარება, რაზედაც მოსარჩელეს ეთქვა უარი უსაფუძვლობის გამო. ამის შემდეგ მოსარჩელემ იმ მოტივით, რომ მოპასუხე საავტორო და მომიჯნავე უფლებების სააგენტოს წარმომადგენელის მინდობილობა ვადაგასული აღმოჩნდა. აღძრა შუამდგომლობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანით სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

კოლეგიამ გაითვალისწინა რა ზემოთ აღნიშნული გარემოებები, იხელმძღვანელა რა ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებათა დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის მე-6^ბ მუხლის მე-2 პუნქტით, სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 პუნქტით, 1964წ. სამოქალაქო კოდექსის 493-ე, 503-ე, 505-ე, 509-ე, 512-ე მუხლებით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 პუნქტით 234-ე, 235-ე, 236-ე და 237-ე მუხლებით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. მოსარჩელე იჩირინაშვილის სარჩელს საავტორო და მომიჯნავე უფლებების სახელმწიფო სააგენტოსთან, მესამე პირი მბერიძე, დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნით, სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“-ს ავტორობაზე მჩირინაშვილის უფლების აღიარების შესახებ, ეთქვას უარი უსაფუძვლობის გამო.

2. დაკმაყოფილდეს დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის მბერიძის სარჩელი გ.ვასაძის დარღვეული საავტორო უფლების აღდ-

გენის შესახებ. სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“-ს მუსიკაზე მ.ჩირინაშვილის ავტორობის უფლება ბათილად იქნეს ცნობილი და აღდგენილი იქნეს ამ ნაწარმოებზე გიორგი აკაკის ძე ვასაძის სახელზე ავტორობის უფლება.

3. დაევალოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების სახელმწიფო სააგენტოს შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს სარეგისტრაციო ბარათებში.

4. გადაწყვეტილებაზე შეიძლება შეტანილ იქნეს საჩივარი 10 დღის ვადაში.



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№02ა/70

14 მარტი, 2000წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი შემედგენლობით:

- გ.გულუდანი (თამჯდომარე),
- ქ.დუგლაძე,
- დ.თოდრაძე

ნ.გველესიანის მდივნობით

განიხილა რა ირინა ჩირინაშვილის სარჩელი საავტორო და მომიჯნავე უფლებების სახელმწიფო სააგენტოსთან, მესამე პირი მ.ბერიძე, დარღვეული საავტორო უფლებების აღდგენის შესახებ, მესამე პირის სარჩელი დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნით, სიმღერა „ყვავილების ქვეყანაზე“ ავტორობის უფლების აღდგენის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

სიმღერა „ყვავილების ქვეყანას“ მუსიკის ავტორი 1951 წლიდან საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სახელმწიფო სააგენტოში ოფიციალურად გ.ვასაძე იყო რეგისტრირებული. გ.ვასაძე გარდაიცვალა 1969

წელს. მისი გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული სიმღერის ჰონორარს იღებდნენ მისი მემკვიდრეები. მოსარჩელის მეუღლეს კომპოზიტორ მიხეილ ჩირინაშვილს, არც სიმღერის ავტორის გ.ვასაძის სიცოცხლეში და არც მისი გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული სიმღერის მუსიკის ავტორობაზე პრეტენზია არ გამოუთქვამს. როგორც საქმის მასალებით დასტურდება, მჩირინაშვილი და გ.ვასაძე მეგობრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. კომპოზიტორი მჩირინაშვილი გარდაიცვალა 1981 წელს. მიხეილ ჩირინაშვილის გარდაცვალების შემდეგ 1993წ. 7 თებერვალს მისმა მეუღლემ ირინა ჩირინაშვილმა ქობილისის ყოფილი ორჯონიკიძის რაიონის სასამართლოში აღძრა სარჩელი სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“-ს ავტორობაზე გ.ვასაძის უფლების გაუქმების და ამ სიმღერაზე მჩირინაშვილის ავტორობის აღიარების შესახებ, რაც 1986წ. 30 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება სისრულეში იქნა მოყვანილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პროტესტის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმმა 1998წ. 20 აგვისტოს დადგენილებით გააუქმა სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებები ამ საქმეზე და საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა სასამართლოში.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის მიერ 2000წ. 18 თებერვალს გამოტანილი იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება ი.ჩირინაშვილის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და მესამე პირის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

ი.ჩირინაშვილის წარმომადგენლების საჩივარი 2000წ. 18 თებერვლის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე ლოგიკურად წინააღმდეგობრივი და დაუსაბუთებელია. საჩივარი ვერ უთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველზე. საჩივარი არ შეესაბამება სსკ-ს 238-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების საჩივრის შინაარსსაც, რის გამოც იგი იმთავითვე გამორიცხავს საჩივრის მიღების შესაძლებლობას.

მოსარჩელემ, იმის გამო, რომ მოპასუხის წარმომადგენელს რწმუნებულობის ვადა გასული აღმოაჩნდა და ამიტომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მოითხოვა, მიაჩნია, რომ სსკ-ს 230-ე მუხლის შესაბამისად სარჩელში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად ითვლება და სიმღერა „ყვავილების ქვეყანას“ მუსიკის ავტორად გ.ვასაძის მაგივრად ი.ჩირინაშვილი უნდა იქნეს აღიარებული. მოსარჩელე სსკ-ს 230-ე მუხლს ასახელებს რა პუნქტებზე მითითების გარეშე, არ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ამავე მუხლის მეორე პუნქტით თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

საჩივარში მითითებულია, რომ 1986 წელს სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე სიმღერის მუსიკის ავტორად მჩირინაშვილი იყო რეგისტრირებული, ეს მაშინ, როცა 1986წ. სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებები საქართველოს უზენაესი სასამართლოს პროტესტის საფუძველზე გაუქმებულია. ე.ი. ამით სიმღერის ავტორად მჩირინაშვილის რეგისტრაციას საფუძველი გამოეცალა.

იმის გამო, რომ მოსარჩელემ ვერ მიუთითა სამართლის ნორმა (ასეთი ნორმის არ არსებობის გამო), სადაც გათვალისწინებული იქნება სხვის ნაწარმოებზე ავტორობის უფლების გაუქმება და მემკვიდრეთა სარჩელით გარდაცვლილი პირის ავტორობის აღიარება, ამ საკითხზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე გარდაცვლილ მჩირინაშვილს, რომელსაც თავის სიცოცხლეში სადავო სიმღერაზე გ.ვასაძის ავტორობა სადავოდ არ გაუხდია, მოსარჩელე 1964წ. სკ-ს 512-ე და 505-ე მუხლების მოშველიებით სადავო სიმღერის ავტორად ასახელებს და აქედან გამომდინარე განმარტავს მისი მემკვიდრეების უფლებას მოითხოვონ დარღვეული უფლებების აღდგენა. საჩივარში, შემდეგ მითითებულია აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგო, კერძოდ, თითქოს „მოსარჩელე არ დავობს და არც შეიძლება დაეობდეს ავტორობის უფლების, სახელის უფლების ან ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების მემკვიდრეზე გადაცემაზე“, რომ „მისი ინტერესი მხოლოდ სიმღერაზე „ყვავილების ქვეყანა“ მჩირინაშვილის საავტორო უფლებების დაცვაა. გაუგებარია თუ სადავო ნაწარმოების ავტორობის უფლებაზე არ დავობს მოსარჩელე, მაშინ ყოფილი ორჯონიკიძის რაიონის სასამართლომ ვისი მოთხოვნით გააუქმა სიმღერა „ყვავილების ქვეყანაზე“ გ.ვასაძის ავტორობის უფლება და აღიარა მჩირინაშვილის უფლება ან მოსარჩელეს მხრიდან რომელი საავტორო უფლების დაცვაზეა საუბარი, როცა სიმღერა „ყვავილების ქვეყანას“ ავტორად 1951 წლიდან გ.ვასაძეა ოფიციალურად აღიარებული და ამაზე რაიმე პრეტენზია თავის სიცოცხლეში მჩირინაშვილს არ გამოუთქვამს. გარდა ამისა, თუ კი იმთავითვე მოსარჩელე ნაწარმოების ავტორად მჩირინაშვილს მიიჩნევს, მაშინ რატომ შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე სიმღერაზე მუსიკის ავტორად აღადგინონ მჩირინაშვილი. მითითებული გარემოებები ნათლად მეტყველებენ საჩივრის ლოგიკურ წინააღმდეგობასა და დაუსაბუთებლობაზე.

სააპელაციო სამართლის ნორმათა შინაარსში გაურკვეველობას ადასტურებს მოსარჩელის მითითება იმის შესახებ, რომ „სასამართლო რატომღაც მხოლოდ მჩირინაშვილის მემკვიდრეებს ართმევს ამ უფლებას და ავიწყდება ის ფაქტი, რომ მოწინააღმდეგე მხარეც ასევე გარდაცვლილი გ.ვასაძის საავტორო უფლებებს იცავს“. ამ შემთხვევაში მოსარჩელე არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ გ.ვასაძის მემკვიდრეებს უფლება აქვთ დაიცვან სადავო ნაწარმოებზე გ.ვასაძის ავტორობის უფლება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ

1951 წლიდან გვასაძევა ნაწარმოების ავტორი, ხოლო მ.ჩირინაშვილის შემკვიდრებებს კი არ აქვთ ასეთი უფლება იმიტომ, რომ მ.ჩირინაშვილი ამ ნაწარმოების ავტორი არასოდეს არ ყოფილა და მის სიცოცხლეში პრეტენზიაც კი არ გამოუთქვამს.

საჩივარი გადაწყვეტილების გაუქმების მოტივად ასახელებს იმ გარემოებასაც, რომ თითქოს ნაწარმოების ავტორობის აღიარებაზე დავა ექვემდებარებოდეს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის განსჯადობას, ეს მაშინ, როცა ნაწარმოებზე ავტორობის უფლების აღიარებასთან დაკავშირებული დავა არსებითად ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა და მისი განხილვა სსკ-ს მე-14 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად ექვემდებარება თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიას.

მოსარჩელე ვერ გაერკვა იმაში, რომ საქართველოს კანონმდებლობა სხვა სახელმწიფოების მსგავსად არ ითვალისწინებს ავტორის გარდაცვალების შემდეგ შემკვიდრების მიერ ნაწარმოებზე ავტორობის უფლების აღიარების შესაძლებლობას, რომ ავტორობის უფლება, როგორც პირადი არაქონებრივი უფლება, მემკვიდრეობით არ გადადის, რომ ავტორის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეები იცავენ მხოლოდ ნაწარმოების ხელშეუხებლობას. სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“-ს მუსიკის ავტორის უფლებების დაცვა ამ ნაწარმოების ხელშეუხებლობაზე შეუძლია მხოლოდ ამ სიმღერის ავტორის მემკვიდრეებს მბერიძეს და შვილიშვილს გ.ბერიძეს, აგრეთვე საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სახელმწიფო სააგენტოს (სკ-ს 505-ე, 503-ე, 512-ე მუხ). აღნიშნული მუხლებიდან გამომდინარე მ.ჩირინაშვილის მოთხოვნა მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. მათ არა აქვთ უფლება იდავონ გარდაცვლილი მ.ჩირინაშვილის ავტორობის აღიარების შესახებ იმ ნაწარმოებებზე, რომლის ავტორიც 1951 წლიდან გვასაძევ იყო.

გაუგებარია საჩივრის მოსაზრება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის ანალოგიით გამოყენების შესახებ.

საჩივარში მითითებულია, რომ თითქოს გაურკვეველი იყოს თუ რომელი მუხლებით იხელმძღვანელა სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას, ეს მაშინ, როცა გადაწყვეტილებაში გარკვევითაა მითითებული ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებათა დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის მე-6^ბ მუხლის მე-2 პუნქტი, სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 1964წ. სამოქალაქო კოდექსის 493-ე, 503-ე, 505-ე, 509-ე, 512-ე მუხლები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 234-ე, 235-ე, 236-ე და 237-ე მუხლები.

მოსარჩელე უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ კოლეგიამ გაიზიარა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პროტესტი ქ.თბილისის

საავტორო უფლებების აღდგენის შესახებ, მესამე პირის სარჩელი დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნით, სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“-ზე ავტორობის უფლების აღდგენის შესახებ,

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ 2000 წლის 14 მარტის განჩინებით იჩირინაშვილის საჩივარი კოლეგიის 2000 წლის 18 თებერვლის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე არ იქნა მიღებული. მოსარჩელემ კერძო საჩივრით მოითხოვა 2000 წლის 18 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების და 14 მარტის განჩინების გაუქმება.

მოსარჩელე კერძო საჩივარში მიუთითებს, რომ მოპასუხე – საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტო, მესამე პირის სარჩელზე, სასამართლოში არ იყო გამოძახებული სსკ-ს 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ეს მაშინ, როცა საავტორო და მომიჯნავე უფლებების სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელი, სააგენტოს უფროსი იურისკონსულტი ობართაია, როგორც მოპასუხე სსკ-ს 70-78-ე მუხლების შესაბამისად მოწვეული იყო სასამართლოს მიერ სხდომაზე რვა დღით ადრე. გარდა ამისა, მესამე პირის სასამართლოში გამოძახების პროცედურასთან დაკავშირებით თვითონ მესამე პირს – მ. ბერიძეს რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამს არც ზეპირად და არც წერილობით. ასეთ პირობებში კი გაუგებარია, თუ რის საფუძველზე ითხოვს მოსარჩელე მოწინააღმდეგე მხარის (მესამე პირი) უფლებების გამოყენებით გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმებას. საავტორო და მომიჯნავე უფლებების სახელმწიფო სააგენტოს გამოძახებას მესამე პირთან მიმართებაში, მოსარჩელე უკავშირებს მოთხოვნას იმის შესახებ, რომ თითქოს სასამართლოს არ ჰქონდა უფლება გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ეს მაშინ, როცა ჯერ ერთი – დაუსწრებელი გადაწყვეტილება კოლეგიამ თვითონ მოსარჩელის დაჟინებული მოთხოვნით გამოიტანა და მეორე, სსკ-ს 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მესამე პირისა (დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნით) და თავდაპირველი მოსარჩელის სარჩელის გადაწყვეტა ხდება ერთდროულად და არა ცალ-ცალკე.

იჩირინაშვილის საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე არ იქნა მიღებული 239-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტების შესაბამისად. ამასთან, განჩინებაში, იმის გამო, რომ თვითონ საჩივრის მოცულობაა დიდი (კომპიუტერზე ნაბეჭდი შვიდი გვერდი) მოყვანილია სარჩელის უსაფუძვლობის დეტალური დახასიათება. კერძოდ, განჩინებაში მითითებულია იმის შესახებ, რომ მოსარჩელემ ვერ მიუთითა სამართლის ნორმა (ასეთი ნორმის არარსებობის გამო), სადაც გათვალისწინებული იქნება სხვის ნაწარმოებზე

ავტორობის გაუქმების უფლება და შემკვიდრეთა სარჩელით გარდაცვლილი პირის ავტორობის აღიარება.

მოსარჩელე კერძო საჩივარში ეხება მესამე პირის სარჩელში დასახელებულ სახელმწიფო ფილარმონიის სხდომაზე გამოძახებას. ეს მაშინ, როცა ჯერ ერთი – სახელმწიფო ფილარმონია „მოპასუხებიდან“ გამოირიცხა მოსარჩელის შუამდგომლობით და მეორეც – ფილარმონიის სასამართლოზე გამოძახებასთან დაკავშირებით, არც ფილარმონიასა და არც მესამე პირს რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამთ. ასეთ პირობებში კი გაურკვეველია სამართლის რომელი ნორმის საფუძველზეა აღჭურვილი მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მესამე პირის იმ უფლებების დასაცავად, რომელიც დარღვეულად არავის არ მიუჩნევია.

კერძო საჩივრის მე-4 პუნქტში მოსარჩელე დასაბუთების გარეშე საჭიროდ მიიჩნევს სსკ-ს 412-ე მუხლის გამოყენებას ანალოგიით „რომელიც, აღნიშნული საჩივარში, გამოირიცხაეს საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანას“. ამ მუხლის გამოყენება მოსარჩელის შუამდგომლობით გამოტანილ დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში საჩივარში არაა სარწმუნოდ დასაბუთებული.

კერძო საჩივრის მე-5 პუნქტში მოსარჩელეს დაუსაბუთებლად მიაჩნია კოლეგიის 2000 წლის 14 მარტის განჩინება „იმ ნაწილში, რაც შეეხება კანონმდებლობის ანალიზს, საავტორო უფლებებზე დავასთან დაკავშირებით“, მაგრამ თუ რატომაა განჩინება უკანონო, საჩივარი ამის შესახებ კონკრეტულად კანონზე ვერ უთითებს და კმაყოფილდება ზოგადი და მიუღებელი მსჯელობებით.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე კოლეგიამ იხელმძღვანელა რა სს კოდექსის 417-ე მუხლით

დ ა ა დ გ ი ნ ა

მოსარჩელე ი.ჩირინაშვილის წარმომადგენლის კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას.



ბ ა ნ ჩ ი ნ მ ბ ა

საქართველოს სახელით

№3კ-243

18 მაისი, 2000 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ მ. ცისკაძის თავმჯდომარეობით მოსამართლეების: თ. კობახიძის და თ.ჩიქოვანის შემადგენლობით

ნ. მანჯაეიძის მღივნობით

განიხილა ირინა ჩირინაშვილის კერძო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 14 მარტის განჩინებაზე – საქმეზე – ირინა ჩირინაშვილის სარჩელის გამო საავტორო და მომიჯნავე უფლებების სახელმწიფო სააგენტოსთან, მესამე პირთან მაგდა ბერიძესთან, დარღვეული საავტორო უფლებების აღდგენის შესახებ, მესამე პირის მაგდა ბერიძეს სარჩელი სიმღერა „ყვავილების ქვეყანაზე“ ავტორობის უფლების აღდგენის შესახებ.

პალატამ მოისმინა რა თ. ჩიქოვანის მოხსენება,

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

ირინა ჩირინაშვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში და ითხოვა მისი აწ გარდაცვლილი მეუღლის კომპოზიტორ მიხეილ ჩირინაშვილის საავტორო უფლებების აღდგენა და საავტორო გასამრჯელოს ანაზღაურება სიმღერა „ყვავილების ქვეყანაზე“.

მესამე პირმა მაგდა ბერიძემ ითხოვა სიმღერა „ყვავილების ქვეყანას“ ავტორად გიორგი ვასაძის აღდგენა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ 2000 წლის 18 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა ირინა ჩირინაშვილის სარჩელი. დააკმაყოფილა მესამე პირის მაგდა ბერიძის სარჩელი. კერძოდ, სიმღერა „ყვავილების ქვეყანაზე“

მ.ჩირინაშვილის ავტორობის უფლება ბათილად იქნა ცნობილი და აღდგენილი იქნა ამ ნაწარმოებზე გიორგი ვასაძის სახელზე ავტორობის უფლება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ 2000 წლის 14 მარტის განჩინებით არ მიიღო წარმობაში ირინა ჩირინაშვილის წარმომადგენლის საჩივარი.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 18 თებერვლის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე.

ირინა ჩირინაშვილი კერძო საჩივრით ითხოვს კოლეგიის განჩინების გაუქმებას.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ 2000 წლის 31 მარტის განჩინებით არ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი და საქმე განსახილველად გადმოუგზავნა უზენაეს სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს პალატა გაეცნო კერძო საჩივარს, საქმის მასალებს, მოუსმინა გამოცხადებულ პირებს და თვლის, რომ ამ საქმეზე უნდა გაუქმდეს კოლეგიის განჩინებები და საქმე განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე კოლეგიას.

კოლეგიამ არ ჩათვალა დასაშვებად ირინა ჩირინაშვილის წარმომადგენლის საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მაშინ, როდესაც სათანადოდ არ იმსჯელა, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 238-ე მუხლით გათვალისწინებულ საჩივრის დაშვების საფუძვლებს, რის გამოც უნდა გაუქმდეს განჩინებები და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე კოლეგიას.

იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 412-ე, 265-ე მუხლებით და 264-ე მუხლის მესამე ნაწილით, პალატამ

და ა დ გ ი ნ ა

გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 14 და 31 მარტის განჩინებები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე კოლეგიას.

განჩინება კანონიერ ძალაში შევიდა მისი გამოცხადებისთანავე და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

17 აგვისტო, 2000წ. ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით:

მ.ჯიყაშვილი (თამაჯდომარე),
თ.ლალიაშვილი,
ლ.ბარდაველიძე

ი.მარიანაშვილის მდივნობით

განიხილა მოსარჩელის ი.ჩირინაშვილის წარმომადგენლის ზ.კორძაძის შუამდგომლობა ექსპერტიზის შესახებ სამოქალაქო საქმეზე ი.ჩირინაშვილის სარჩელისა გამო საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სააგენტოს მიმართ, მესამე პირი მაგდა ბერიძე და მესამე პირის სარჩელისა გამო ი.ჩირინაშვილის მიმართ, მესამე პირი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია და საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სააგენტო უფლებათა აღდგენის, დაცვის და საავტორო გასამრჯელოს შესახებ და გამოარკვია:

ი.ჩირინაშვილის წარმომადგენელი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე დანიშნული იქნეს ექსპერტიზა გიორგი ვასაძის კლავირის „შენ ზომ ვარდი იყავის“ გამოკვლევის მიზნით და ექსპერტს დაესვას შემდეგი კითხვები:

1. არის თუ არა ერთი და იგივე ხელით შესრულებული სიმღერები „შენ ზომ ვარდი იყავი“, „ჩემო თბილისო“, „ჭრიჭინ-ჭრიჭინ“ გიორგი ვასაძის სახელზე მუზეუმში არსებული სხვა სიმღერების კლავირები?

2. არის თუ არა ერთი და იგივე ხელით შესრულებული სიმღერაზე „შენ ზომ ვარდი იყავი“ ტექსტური ჩანაწერი და მუზეუმში დაცული ვასაძის ხელნაწერები?

3. არის თუ არა ერთი და იგივე ხელით შესრულებული სიმღერა „შენ ზომ ვარდი იყავის“ კლავირის ტექსტური ნაწერის დედანი და სასამართლო-

ში წარმოდგენილი ხელნაწერის ასლი, რომელიც დევს საქმის პირველი ტომის 157-ე ფურცელზე?

4. არის თუ არა გიორგი ვასაძის კლავირი „შენ ხომ ვარდი იყავი“ ტრანსპორტირებადი დოკუმენტი?

შუამდგომლობას მხარს უჭერს მესამე პირის მბერიძის წარმომადგენელი ა.გაბუნია და განმარტავს, რომ თანახმაა ექსპერტიზა ჩატარდეს არა საექსპერტო დაწესებულებაში, არამედ საქართველოს კოლტურის სამინისტროს თეატრის, კინოსა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმის შენობაში, სადაც ინახება გამოსაკვლევი მასალები.

მხარეებს ექსპერტად დასანიშნი კონკრეტული კანდიდატურა სასამართლოსათვის არ შემოუთავაზებიათ.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და დაინიშნოს ექსპერტიზა გიორგი ვასაძის კლავირის „შენ ხომ ვარდი იყავის“ გამოსაკვლევადა.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე, 163-ე, 165-ე, 167-ე, 280-ე, 281-ე, 282-ე, 414-416-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. დაკმაყოფილდეს მოსარჩელის ი.ჩირინაშვილის წარმომადგენლის შუამდგომლობა.

2. დაინიშნოს კალიგრაფიული ექსპერტიზა გიორგი ვასაძის კლავირის „შენ ხომ ვარდი იყავის“ გამოსაკვლევადა.

3. ექსპერტიზის ჩატარება დაევალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრს.

4. ექსპერტიზა ჩატარდეს სამი ექსპერტის მონაწილეობით, რომელთაგან ერთი მივლინებული იქნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრიდან, ერთი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოდან და ერთი საქართველოს უშიშროების სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოდან.

5. ექსპერტებს დაესვათ შემდეგი კითხვები:

ა) არის თუ არა ერთი და იგივე ხელით შესრულებული სიმღერების „შენ ხომ ვარდი იყავი“, „ჩემო თბილისო“, „ჭრიჭინ-ჭრიჭინ“ და გიორგი ვასაძის სახელზე საქართველოს კულტურის სამინისტროს თეატრის, კინოსა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმში არსებული სხვა სიმღერების კლავირები?

ბ) არის თუ არა ერთი და იგივე ხელით შესრულებული სიმღერაზე „შენ

ზომ ვარდი იყავი“ ტექსტური ჩანაწერი და მუზეუმში დაცული გიორგი ვასაძის ხელნაწერები?

გ) არის თუ არა ერთი და იგივე ხელით შესრულებული სიმღერა „შენ ზომ ვარდი იყავი“ კლავირის ტექსტური ნაწერის დედანი და სასამართლო-ში წარმოდგენილი ხილნაწერის ასლი, რომელიც დევს საქმის პირველ ტომ-ში 157-ე ფურცელზე?

დ) არის თუ არა გიორგი ვასაძის კლავირი „შენ ზომ ვარდი იყავი“ ტრანსპორტირებადი დოკუმენტი?

6. ექსპერტიზა ჩატარდეს საქართველოს კულტურის სამინისტროს თეატრის, კინოსა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმში, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისი, კარგარეთულის ქ. №6-ში.

7. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალ-ურ გამოკვლევათა ცენტრს წარუდგინოს სამოქალაქო საქმე №02ა/11 ი.ჩირინაშვილის სარჩელისა გამო საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს მიმართ, მესამე პირი მბერიძე და მესამე პირის მბერიძის სარჩელისა გამო ი.ჩირინაშვილის მიმართ მესამე პირი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია საქართველოს საავტორო და მომი-ჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს 3 ტომად.

8. დაევალოს საქართველოს კულტურის სამინისტროს თეატრის, კინოსა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმს, ექსპერტებს წარუდგინოს გიორგი ვასაძის პირადი დოკუმენტების პაკეტი, რომელიც ინახება მუზეუმის №1 ფონდში და მისი სარეგისტრაციო მონაცემებია 699 ს-20.931/17.27.372.

9. ექსპერტები გაურთხილებულნი იქნენ დასკვნის მიცემაზე უარის თქმი-სათვის, თავის არიდებისათვის და შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემის-ათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.

10. სამოქალაქო საქმეზე 02ა/11 ი.ჩირინაშვილის სარჩელისა გამო საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სააგენტოს მიმართ, მეს-ამე პირი მბერიძე და მესამე პირის მბერიძის სარჩელისა გამო ი.ჩირინაშვილის მიმართ მესამე პირი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია და საქართვე-ლოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტო შეჩერდეს წარმოება ექსპერტიზის დამთავრებამდე.

11. განჩინებაზე საქმის წარმოების შეჩერების ნაწილში შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა მისი გამოცხადებიდან 12 დღის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოში.



ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3\კ\824

5 დეკემბერი, 2000 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და
გაკოტრების საქმეთა პალატამ

შემდეგი შემადგენლობით: ბ. ზიმშიაშვილი (თავმჯდომარე),

ბ. კობერიძე,

შ. ახალაძე (მომხსენებელი)

კერძო საჩივრის შემომტანი პირი: დამოუკიდებელი სასარჩელო
მოთხოვნის მქონე მესამე პირის მაგდა ბერიძის წარმომადგენელი ალექსი
გაბუნია

მხარეები:

მოსარჩელე: ირინა ჩირინაშვილი; წარმომადგენელი – ზვიად კორძაძე

მოპასუხე: საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სააგენტო

გასაჩივრებული განჩინება: თბილისის საოლქო სასამართლოს
სამოქალაქო, სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 17 აგვისტოს
განჩინება

საქმის განხილვის ფორმა: ზეპირი მოსმენის გარეშე

დავის საგანი: საქმის წარმოების შეჩერების კანონიერება

ა ღ ვ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

ირინა ჩირინაშვილის მიერ აღძრულ იქნა სარჩელი სასამართლოში 1999
წელს მოპასუხეების საავტორო უფლებების რესპუბლიკური გაერთიანებისა
და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მიმართ საავტორო უფლებებ-
ის აღდგენისა და საავტორო გასამრჯელოს ანაზღაურების მოთხოვნით;

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა
კოლეგიის მიერ მოსამზადებელ სხდომაზე 2000 წლის 17 აგვისტოს მიღე-

ბულ იქნა განჩინება, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელის ი. ჩირინაშვილის წარმომადგენლის შუამდგომლობა: დანიშნა კალიგრაფიული ექსპერტიზა გიორგი ვასაძის სიმღერის კლავირის ავტორის „შენ ხომ ვარდი იყავი“ გამოსაკვლევეად; საქმის წარმოება შეჩერდა ექსპერტიზის დამთავრებამდე;

მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით გ. ბერიძის წარმომადგენელი ალექსი გაბუნია აღნიშნულ განჩინებაზე შეტანილ კერძო საჩივარში მიუთითებს, რომ მოსამზადებელ სხდომაზე მას არ მიეცა შუამდგომლობის წარდგენის შესაძლებლობა, სასამართლომ განჩინება გამოიტიანა მესამე პირის საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სააგენტოს წარმომადგენლის გარეშე, მაშინ, როცა იცოდა ამ უკანასკნელის დამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 291-ე, 282-ე მუხლების მოთხოვნები, საქმე გადააგზავნა საექსპერტო დაწესებულებაში გასაჩივრების ვადის გასვლამდე მიღებიდან 3 დღეში, რითაც მხარეს მოესპო სხდომის ოქმის გაცნობის შესაძლებლობა; კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით იგი აპირებდა სსკ-ის 275-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად განცხადების გაკეთებას სარჩელის განუზილველად დატოვების მოთხოვნით, რისი საშუალებაც არ მიეცა; მოითხოვს საოლქო სასამართლოს 2000 წლის 17 აგვისტოს განჩინების გაუქმებას და მოსამზადებელი სხდომის ხელახლა დანიშვნას;

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი საფუძვლები და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო საოლქო სასამართლოს განჩინება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის თანახმად კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებაზე მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საოლქო სასამართლოს კოლეგიის მიერ მიღებულ განჩინებაში გადაწყვეტილ საკითხთან მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა მხოლოდ ექსპერტიზის დანიშვნისას საქმის შეჩერების შემთხვევაში იძლევა განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების შესაძლებლობას;

პალატას მიაჩნია, რომ საოლქო სასამართლოს კოლეგიის 2000 წლის 16 ოქტომბერს ა. გაბუნიას კერძო საჩივრის განხილვის შედეგად მიღებულ განჩინებაში, რომლითაც უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო სააპელაციო სასამართლოს არ უნდა ემსჯელა გასაჩივრებულ განჩინებაში გადაწყვეტილ იმ საკითხთა მართლზომიერებაზე, რომელთა

გასაჩივრების შესაძლებლობას კერძო საჩივრით სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.

საკასაციო პალატა თვლის, მიუხედავად იმისა, რომ საჩივრის ავტორი საჩივარში არ ეხება საქმის წარმოების შეჩერების უკანონობის საფუძვლებს, კოლეგიის მიერ სწორად იქნა შეჩერებული საქმის წარმოება; სსკ-ის 280-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს ექსპერტიზის დანიშვნის შემთხვევაში უფლება აქვს თავისი ინიციატივით შეაჩეროს საქმის წარმოება; მოცემულ შემთხვევაში უდავოდ მიზანშეწონილი იყო საქმის წარმოების შეჩერება, ვინაიდან ექსპერტიზაზე დასმულ საკითხთა გადაწყვეტის შემთხვევაში, დასკვნა მნიშვნელოვანი მტკიცებულება იქნებოდა გადაწყვეტილების მიღებისას;

ამდენად, გასაჩივრებული განჩინება სამართლებრივად სწორადაა დასაბუთებული და კანონის დარღვევას ადგილი არა აქვს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით

დ ა ა ღ გ ი ნ ა

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის მაგდა ბერიძის წარმომადგენლის ალექსი გაბუნიას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 17 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელი; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

15 იანვარი, 2001 წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია შემდეგი შემადგენლობით:

მ.ჯიყაშვილი (თავმჯდომარე),
თ.ლალიაშვილი,
მ.ოშხარელი

განიხილა ექსპერტიზის დანიშვნის საკითხი სამოქალაქო საქმეზე ი.ჩირინაშვილის სარჩელისა გამო ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიმართ მესამე პირი და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მბერიძე საავტორო უფლებათა აღდგენის, დაცვისა და საავტორო გასამრჯელოს შესახებ და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

2000 წლის 17 აგვისტოს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის მიერ დადგენილი იქნა ექსპერტიზის ჩატარება გიორგი ვასაძის კლავირის გამოკვლევის მიზნით. კომისიური წესით. 2000 წლის 14 სექტემბერს ექსპერტების ლ.მჭედლიშვილის, მ.გოგიჩაშვილის, და მ.როყვას მიერ შედგენილი იქნა აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ, სადაც განმარტეს, რომ კომისიამ ადგილზე დაათვალიერა გამოსაკვლევი დოკუმენტი, რის შემდეგაც გამოირკვა, რომ გამოსაკვლევი ობიექტი რთულია. ხელწერის ექსპერტიზის სრულყოფილად ჩატარებისათვის სჭირია ლაბორატორიული გამოკვლევა, რაც თავისთავად მოითხოვს გარკვეულ დროს.

ექსპერტების მიერ შედგენილი აქტის სრულყოფილად განმარტებისათვის სასამართლო კოლეგიამ მოიწვია დასკვნაში მონაწილე ექსპერტები მოსამზადებელ სხდომაზე. სხდომაზე გამოცხადდა შინაგან საქმეთა სამინისტროს

საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს ექსპერტი მ.გოგიჩაიშვილი.

ექსპერტის განმარტებით გამოსაკვლევი კლავირები და ხელნაწერები რთულია, რადგან ისინი ფანქრითაა შესრულებული და გაცრეცილია. მის გამოსაკვლევად საჭიროა სპეციალური ლაბორატორიული დანადგარები და რადგანაც მასალის გამოკვლევა ერთ დღეში ვერ დასრულდება, შეუძლებელია ყოველდღიურად მუშეუმში ხელსაწყობით სიარული. ამავე დროს ექსპერტმა განმარტა, რომ გიორგი ვასაძის გამოსაკვლევი კლავირი „შენ ხომ ვარდი იყავი“ და შესადარებელი ხელნაწერები ტრანსპორტირებადია და მის საექსპერტო დაწესებულებაში გადაგზავნაზე თანხმობა მუშეუმის ხელმძღვანელებმაც გამოთქვეს.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ უნდა დაინიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა გიორგი ვასაძის კლავირის „შენ ხომ ვარდი იყავის“ გამოსაკვლევად სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში.

იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე, 163-ე, 164-ე, 166-ე, 173-ე და 174-ე, 280-ე, 281-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. დაინიშნოს განმეორებითი კალიგრაფიული ექსპერტიზა გიორგი ვასაძის კლავირის „შენ ხომ ვარდი იყავის“ გამოსაკვლევად.

2. ექსპერტიზის ჩატარება დაევალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრს.

3. ექსპერტიზა ჩატარდეს სამი ექსპერტის მონაწილეობით, რომელთაგან ერთი მივლინებული იქნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრიდან, ერთი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოდან და ერთი საქართველოს უშიშროების სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოდან.

4. ექსპერტებს დაესვათ შემდეგი კითხვები:

ა) არის თუ არა ერთი და იგივე ხელით შესრულებული სიმღერების „შენ ხომ ვარდი იყავი“, „ჩემო თბილისო“, „ჭრიჭინ-ჭრიჭინ“ და გიორგი ვასაძის სახელზე საქართველოს კულტურის სამინისტროს თეატრის, კინოსა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმში არსებული სხვა სიმღერების კლავირები?

ბ) არის თუ არა ერთი და იგივე ხელით შესრულებული სიმღერაზე „შენ ხომ ვარდი იყავი“ ტექსტური ჩანაწერი და მუზეუმში დაცული გიორგი ვასაძის ხელნაწერები?

გ) არის თუ არა ერთი და იგივე ხელით შესრულებული სიმღერა „შენ

ზომ ვარდი იყავის“ კლავირის ტექსტური ნაწერის დედანი და სასამართლო-ში წარმოდგენილი ხელნაწერის ასლი, რომელიც დევს საქმის პირველ ტომ-ში 157-ე ფურცელზე?

5. ექსპერტიზა ჩატარდეს სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში.

6. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრს გაეგზავნოს სამოქალაქო საქმე №02ა/11 იჩირინაშვილის სარჩელისა გამო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიმართ, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მბერიძე 3 ტომად.

7. დაევალოს საქართველოს კულტურის სამინისტროს თეატრის, კინოსა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმს გადაუგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრს გიორგი ვასაძის პირადი დოკუმენტების პაკეტი, რომელიც ინახება მუზეუმის №1 ფონდ-ში და მისი სარეგისტრაციო მონაცემებია 699 ს-20.931/17.27.372* შემდეგ მისამართზე ქობილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, III კვარტალი, ზა კორპუსი.

8. ექსპერტები გაფრთხილებულნი იქნენ დასკვნის მიცემაზე უარის თქმისათვის, თავის არიდებისათვის და შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.

9. სამოქალაქო საქმეზე №02ა/11 იჩირინაშვილის სარჩელისა გამო ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიმართ, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მბერიძე, შეჩერდეს წარმოება ექსპერტიზის დაბთავრებამდე.

10. განჩინებაზე საქმის წარმოების შეჩერების ნაწილში შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა მხარეთათვის მისი გადაცემიდან 12 დღის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოში.



ბ ა დ ა ჟ ყ ვ მ ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№2/ა-34-2001

12 ივნისი, 2001წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმე-
თა კოლეგია

შემადგენლობა: მარინა ჯიყაშვილი (თემჯდომარე),
მზია თოდუა,
მადონა ლიბრაძე

სხდომის მდივანი: ნინო ჩომახიძე

მოსარჩელე (მოპასუხე შეგებებულ სარჩელზე): ირინა ჩირინაშვილი;
წარმომადგენლები – ზვიად კორძაძე, ალექსანდრე ჩირინაშვილი

მოპასუხე (მოსარჩელე შეგებებულ სარჩელზე): მაგდა ბერიძე; წარმო-
მადგენელი – ალექსი გაბუნია

მესამე პირი: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული
ცენტრი „საქპატენტი“; წარმომადგენელი – გიორგი თაქთაქიშვილი

დავის საგანი: საავტორო უფლების აღიარება სიმღერაზე „ყვავილების
ქვეყანა“.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

1983 წელს მოსარჩელე ი. ჩირინაშვილმა აღძრა სარჩელი თბილისის
ორჯონოკიძის რაიონის სახალხო სასამართლოში მისი გარდაცვლილი მეუღ-
ლის მიხეილ ჩირინაშვილის დარღვეული საავტორო უფლებების დაცვისა
და საავტორო გასამრჯელოს შესახებ, საავტორო უფლებების აღდგენისა
და ზარალის ანაზღაურების შესახებ და იმავდროულად გიორგი ვასაძის
საავტორო უფლებების გაუქმების შესახებ, სიმღერაზე – „ყვავილების ქვეყანა“.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა
კოლეგიაში საქმის მთავარ სასამართლო სხდომაზე განხილვისას 2001 წლის

11 ივნისს მოსარჩელემ დააზუსტა თავისი მოთხოვნები და საბოლოოდ მოითხოვა მიხეილ ჩირინაშვილის საავტორო უფლებების აღიარება სიმღერაზე „ყვავილების ქვეყანა“ და იმავდროულად ამ უფლებების რეგისტრაცია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში“.

მოსარჩელე თავის მოთხოვნებს ამყარებს შემდეგ გარემოებებზე:

მიხეილ ჩირინაშვილმა სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“ („ყვავილების მეუფე“) შექმნა 1945-46 წლებში ჯანო ბაგრატიონის ჯაზ-ორკესტრისათვის, რაც დადასტურებულია საგაზეთო სტატიაში „საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ჯაზი სტალინში“, რომელიც 1948 წლის 31 ივნისს გამოქვეყნდა გაზეთში „საბჭოთა ოსეთი“.

მ. ჩირინაშვილის სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“ სრულდებოდა მედუდუკეთა ანსამბლის მიერ გ. ქსოვერელის ხელმძღვანელობით.

1963 წელს სტუდია „თბილისის“ მიერ გამოცემული იქნა გრამფირფიტა ანსამბლი „რეროს“ შესრულებით, სადაც სიმღერის ავტორად მითითებულია მიხეილ ჩირინაშვილი.

1971 წელს შეიქმნა სატელევიზიო ფილმი „რერო მასპინძლობს“, რომლის ტიტრებში სიმღერის ავტორად მითითებულია მიხეილ ჩირინაშვილი, ხოლო შემსრულებლად ჯაზ-ორკესტრი კონსტანტინე პევეზერის ხელმძღვანელობით.

1972 წლის 24 ივნისს ანსამბლი „რეროს“ მიერ შესრულებული იქნა სიმღერა და მის საკონცერტო პროგრამაში სიმღერის ავტორად მითითებული იყო კომპოზიტორი მ. ჩირინაშვილი.

1982 წელს საქართველოს მუსიკონდმა გამოსცა სიმღერის „ყვავილების ქვეყანა“ ნოტები, რომლის კომპოზიტორად მითითებული იყო მ. ჩირინაშვილი.

არსებობს მიხეილ ჩირინაშვილის მიერ შექმნილი კლავირი და პარტიტურა სიმღერაზე „ყვავილების ქვეყანა“.

1986 წლის 25 მარტის ექსპერტიზის დასკვნით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“ უნდა ჩაითვალოს ჭეშმარიტ ორიგინალურ ნაწარმოებად.

საქართველოს სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტო, ორჯონიკიძის რაიონული სასამართლოსათვის გაგზავნილ 02.03.1983წ. წერილში განმარტავდა, რომ სააღრიცხვო ბარათების მიხედვით 1947 და 1949 წლებში სიმღერისათვის „ყვავილების ქვეყანა“ საავტორო პონორარს იღებდა კომპოზიტორი მ. ჩირინაშვილი.

მოსარჩელემ, მისი მეუღლის მიხეილ ჩირინაშვილის საავტორო უფლების დარღვევის შესახებ შეიტყო 1982 წელს ტელევიზიის მეშვეობით, როცა სიმღერის ავტორად გამოცხადებული იყო გიორგი ვასაძე, რის გამოც 1983 წელს სარჩელით მიმართა სასამართლოს.

მოპასუხე (მოსარჩელე შეგებებულ სარჩელზე) – მაგდა ბერიძე არ ცნობს სარჩელს და ითხოვს უარი ეთქვას ძირითად სარჩელს და დაკმაყოფილდეს მისი შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა გიორგი ვასაძის ავტორად აღდგენის შესახებ სიმღერაზე „ყვავილების ქვეყანა“.

მოპასუხე თავის შესაგებელს და იმავდროულად, შეგებებულ სასარჩელო მოთხოვნას ამყარებს შემდეგ გარემოებებზე:

მოსარჩელე ი. ჩირინაშვილს, როგორც მიხილ ჩირინაშვილის მემკვიდრეს უფლება არა აქვს იდავოს საავტორო უფლებებზე, რადგან საქართველოს სამოქალაქო სამართლის 1964 წლის კოდექსის 505-ე მუხლის მიხედვით ავტორის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეები იცავენ ნაწარმოებთა ხელშეუხებლობას, რაც არსებითად განსხვავდება ავტორთა უფლებებისაგან (მ.მ. 93-503).

მოსარჩელის ი. ჩირინაშვილის მიერ წარმოდგენილი მ. ჩირინაშვილის კლავირების კრებული ორი ნაწილისაგან შედგება და იმ ნაწილს, სადაც მითითებული სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“ არ აწერია თარიღი. რის გამოც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს 1945 წელს შექმნილ ნაწარმოებად.

გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, რომელშიც გამოქვეყნდა წერილი და მასში აღნიშნული სიმღერის ავტორად მ. ჩირინაშვილი მიეთითა, 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 490-ე მუხლის გათვალისწინებით არ უნდა იქნეს მიჩნეული ნაწარმოების გამოქვეყნებად. ამავე დროს, იქ საუბარია სიმღერაზე „ყვავილების მეუფე“ და არა „ყვავილების ქვეყანა“.

საქმეში წარმოდგენილი ჯანო ბაგრატიონის წერილობითი განმარტების მიხედვით მ. ჩირინაშვილმა არააჩირება გაუკეთა ნაწარმოებს.

გიორგი ვასაძის მიერ შექმნილი სიმღერა თავდაპირველად სრულდებოდა მის მიერ ჯერ საქართველოში და შემდეგ რუსეთშიც.

საქართველოს სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტოს 1983 წლის 2 მარტის წერილში აღნიშნული ჰონორარის გადახდები იმიტომ ხდებოდა ორივე ავტორზე, რომ 1951 წლამდე სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“ ითვლებოდა ხალხურად, ხოლო აღნიშნულ წელს რ. გაბიჩაძის მიერ ჩატარდა ექსპერტიზა და სიმღერის ავტორად დადგენილ იქნა გიორგი ვასაძე.

ასევე, სააგენტოში არ არსებობს მ. ჩირინაშვილის ავტორობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

შეგებებული სარჩელის მოსარჩელე, თავისი სარჩელის საფუძველად მიიჩნევს იმ გარემოებებს, რომ 1951 წლიდან საავტორო სააგენტოში ავტორად სიმღერაზე „ყვავილების ქვეყანა“ ითვლებოდა გიორგი ვასაძე, რაც 1986 წლამდე სადავოდ არავის გაუხდია. მისივე განმარტებით საქმეში წარმოდგენილია უამრავი მტკიცებულება და სახელმწიფოს დონეზე 1986 წლამდე ავტორად ითვლებოდა გიორგი ვასაძე.

შეგებებული სარჩელის მოსარჩელე სადავოდ მიიჩნევს 1986 წლის 25 მარტის ექსპერტიზის დასკვნას, რადგან იგი შესრულებულია იმ დროისათვის მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც თვლის, რომ მტკიცებულებად არ უნდა იქნეს განხილული.

მოსარჩელის (შეგებებულ სარჩელზე) განმარტებით ის ფაქტი, რომ სიმღერის „ყვავილების ქვეყანა“ ავტორია გიორგი ვასაძე, ადასტურებენ მოწმეთა განმარტებები, რომლებიც წერილობითი სახითაა საქმეში წარმოდგენილი.

გიორგი ვასაძის ავტორობას ადასტურებს ასევე ანსამბლების „75“ და „ორერას“ საკონცერტო პროგრამები, სადაც კომპოზიტორად მითითებულია გიორგი ვასაძე.

მოპასუხე (შეგებებულ სარჩელზე) ი. ჩირინაშვილი მხარს არ უჭერს შეგებებული სარჩელის მოთხოვნას და თავის შესაგებელს ამყარებს შემდეგ გარემოებებზე:

შეგებებული სარჩელის საფუძველია საავტორო სააგენტოში მისი ავტორად რეგისტრაცია 1951 წელს, რაც არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ავტორობის წარმოშობის საფუძველი.

მტკიცება იმის შესახებ, რომ მუსიკის, კინოსა და თეატრის სახელმწიფო მუზეუმში დაცული კლავირი ეკუთვნის გიორგი ვასაძეს გაბათილებულ იქნა ადგილზე დათვალიერების ოქმით 2000 წლის 4 თებერვალს, სადაც მუზეუმის მცველმა ლ. კაპანაძემ განმარტა, რომ თარიღი კლავირზე შესრულებული იყო მის მიერ პასტიით. ასევე კულტურის სამინისტროს თანამშრომლის მანანა კორძაიას განმარტებით, რომელმაც განმარტა, რომ ასლი შეასრულა მან და ბოლოს, 2001 წლის ექსპერტიზის დასკვნით, რომელმაც დაასკვნა, რომ ეს ხელნაწერი ასლი და გიორგი ვასაძისეულად მიჩნეული კლავირი ერთი და იმავე ხელითაა შესრულებული. ხოლო რაც შეეხება შეგებებულ სარჩელზე მოსარჩელის მიერ მითითებულ სხვა დოკუმენტებს, იგი უფრო გვიანი პერიოდისაა, ვიდრე მ. ჩირინაშვილის ავტორობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

სასამართლო კოლეგიამ შეისწავლა რა საქმეში არსებული მასალები, მოუსმინა მხარეებს, გააანალიზა ექსპერტიზის დასკვნა, მათი შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ირინა ჩირინაშვილის სარჩელი მიხელ ჩირინაშვილის ავტორად აღიარების შესახებ სიმღერაზე „ყვავილების ქვეყანა“ საფუძველიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მოპასუხის შეგებებულ სარჩელს, იმავე სიმღერაზე, გიორგი ვასაძის ავტორად აღდგენის შესახებ უარი უნდა ეთქვას შემდეგი გარემოებების გამო:

მიხეილ ჩირინაშვილის ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევის შესახებ, ცნობილი გახდა მისი მემკვიდრეებისათვის 1982 წელს, როცა სიმღერის ავტორად გამოცხადდა გიორგი ვასაძე. ამ დროისათვის საავტორო და მომ-
იჯნავე უფლებათა სფეროს აწესრიგებდა საქართველოს სამოქალაქო სამართ-
ლის 1964 წლის კოდექსი 488-528-ე მუხლებით.

საქართველოს სამოქალაქო სამართლის 1964 წლის კოდექსის 512-ე მუხლის თანახმად „... თუ დარღვეული იქნა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება ან ავტორის სხვა არაქონებრივი პირადი უფლებები, მაშინ ავტორს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეებს შეუძლიათ მოითხო-
ვონ დარღვეული უფლების აღდგენა.“

ნაწარმოების ავტორის არაქონებრივ პირად უფლებებში კანონმდებელი ავტორობის, ნაწარმოების გამოქვეყნების, ცვლილებებზე ნებართვის და სხვა-
თა გვერდით გულისხმობს სახელის უფლებასაც (მუხლი 493).

მიხეილ ჩირინაშვილის მემკვიდრემ ი. ჩირინაშვილმა გამოიყენა სამო-
ქალაქო სამართლის 1964 წლის კოდექსის ნორმებით მისთვის მინიჭებული უფლება და 1983 წელს სარჩელით მიმართა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს, რათა დაეცვა მიხეილ ჩირინაშვილის სახელის დარღვეული უფლება.

მხარეთა განმარტებით სადავო ნაწარმოები — სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“ შექმნილია წინა საუკუნის 40-იან წლებში. რის გამოც, სასამართ-
ლო კოლეგია მიზანშეწონილად მიიჩნევს გამოიყენოს მისი შეფასებისათვის იმ პერიოდში მოქმედი ნორმატიული მასალა, რომელიც საავტორო და მომ-
იჯნავე უფლებათა სფეროს სამართლებრივად აწესრიგებდა. კერძოდ, სსრკ ცაკ-ისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 16 მაისის „საავტორო უფლებათა საფუძვლები“ და 1929 წლის 30 აგვისტოს დებულება „საავტორო უფლებების შესახებ“.

დებულების 1-ლი მუხლის თანახმად „საავტორო უფლება ისეთ ნაწარ-
მოებზე, რომელიც გამოცემულია საქართველოს სსრ და სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში შემავალი სხვა რესპუბ-
ლიკების ტერიტორიაზე, აგრეთვე ისეთ ნაწარმოებზე, რომელიც საქართვე-
ლოს სსრ და აღნიშნული რესპუბლიკების ტერიტორიაზე არის ხელნაწერი და ესკიზის სახით, ან სხვა ობიექტური ფორმით, — ეკუთვნის ავტორსა და მის უფლების მენაცვლეს“.

დებულება ნაწარმოებზე საავტორო უფლების გავრცელების ორ საფუძ-
ველს გამოყოფს — ნაწარმოების „გამოცემას“ და მისი „ობიექტური ფორმით შექმნას“.

სასამართლო კოლეგიის მიერ გამოკვლეულ იქნა საქმის პირველ ტომში 7-10 ფურცლებზე ფოტოასლის სახით წარმოდგენილი კლავირის დედანი და დადგინდა, რომ იგი შესრულებულია კომპოზიტორის მიხეილ ჩირინაშვილის მიერ. კლავირი სიმღერაზე „ყვავილების მეუფე“ (იგივე „ყვავილების ქვეყანა“) შესულია მ. ჩირინაშვილის კლავირების კრებულში. კრებული დათარიღებულია 1945 წლით, რაც კოლეგიას აძლევს იმის საფუძველს, რომ მიიჩნიოს სადავო ნაწარმოების კლავირი ამ პერიოდში შექმნილად.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ მ. ჩირინაშვილის მიერ შექმნილი მუსიკალური ნაწარმოები სიმღერისათვის „ყვავილების მეუფე“ („ყვავილების ქვეყანა“) ობიექტური ფორმით გამოიხატა კლავირის სახით 1945 წელს.

დებულების მე-9 მუხლის მიხედვით „გამოუცემელი მუსიკალური ნაწარმოების ავტორს აქვს გამონაკლისი უფლება თავის ნაწარმოების საჯაროდ შესრულებისა“.

მოსარჩელის მიერ სარჩელზე წარმოდგენილი იქნა 1948 წლის 31 ივლისის გაზეთი „საბჭოთა ოსეთის“ ფოტოასლი დამოწმებული კ. მარქისის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკიდან. გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიასში „საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ჯაზი სტალინში“ ნათქვამია, რომ „ჯაზის ხელმძღვანელმა ჯანო ბაგრატიონმა ჩვეული ოსტატობით შეასრულა სიმღერა „ყვავილების მეუფე“ (მუსიკა ჩირინაშვილის).

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ მიხეილ ჩირინაშვილის საავტორო უფლების დასადგენად სადავო ნაწარმოებზე არსებობს მუსიკალური ნაწარმოების სიმღერა „ყვავილების მეუფე“ („ყვავილების ქვეყანა“) ობიექტური ფორმით გამოხატული კლავირი შექმნილი 1945-46 წლებში, რომელიც რეპროდუცირებული იქნა საჯარო შესრულების სახით 1948 წელს სტალინის მოსახლეობის წინაშე.

შემდგომი პერიოდის საჯარო შესრულების ფაქტების დასადასტურებლად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი იქნა მტკიცებულება ჩამწერი სტუდია „თბილისის“ მიერ გამოცემული გრამფირფიტა, სადაც ჩაწერილი იყო სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“ და ფირფიტაზე ავტორად მითითებული იყო კომპოზიტორი მიხეილ ჩირინაშვილი.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ გაზიარებული უნდა იქნეს მოპასუხის შეფასება საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებაზე, რომელიც შედგენილია ექსპერტის დასკვნის სახით 1986 წლის 25 მარტს, რადგან იგი იმ პერიოდისათვის არსებული სამოქალაქო საპროცესო ნორმების დაუცველადაა განხორციელებული, თუმცა იმავდროულად კოლეგია ვერ მიიჩნევს მას ისეთ გარემოებად, რომელსაც შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებაზე.

საქმეში წარმოდგენილი 1986 წლის 25 მარტის „ექსპერტის დასკვნა“ და საქართველოს საავტორო უფლებების რესპუბლიკურ სააგენტოს 1982

წლის 10 სექტემბრის სხდომის ოქმი ხელმოწერილია ნ. გუდიაშვილის, მ. ცაბაძის, გ. ციციშვილის, ს. მირიანაშვილის, ბ. კვერნაძის მიერ, ამავე დროს მათგან გ. ციციშვილი და ნ. გუდიაშვილი 1983 წლის 16 მარტის სასამართლო სხდომაზე დაკითხულნი იყვნენ მოწმის სახით.

სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ ამ პირების მიერ შედგენილი დასკვნა და სხდომის ოქმი განხილულ უნდა იქნეს როგორც მოწმეთა განმარტებები.

სასამართლო კოლეგია იზიარებს მოწმეთა განმარტებებს და თვლის, რომ დადასტურებულად უნდა იქნეს მიჩნეული სადავო სიმღერის „ყვავილების ქვეყანა“ მიხეილ ჩირინაშვილის მიერ შექმნისა და გამოქვეყნების ფაქტი.

სასამართლო კოლეგია მიხეილ ჩირინაშვილის ნაწარმოების გამოქვეყნების დამადასტურებელ მტკიცებულებად მიიჩნევს საქართველოს საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტოს 1983 წლის 2 მარტს გაცემული წერილობით განმარტებას, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ 1947 და 1949 წლებში სიმღერისათვის „ყვავილების ქვეყანა“ საავტორო ჰონორარს იღებდა მიხეილ ჩირინაშვილი.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ საქმეზე მუსიკალური ნაწარმოების – სიმღერა „ყვავილების ქვეყანას“ გამოქვეყნებისა და კლავირის ფორმით მისი შექმნის შესახებ დადგენილი გარემოებები იძლევა იმის საფუძველს, რომ მიხეილ ჩირინაშვილი აღიარებულ იქნეს სიმღერის – „ყვავილების ქვეყანა“ ავტორად.

სასამართლო კოლეგია უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოპასუხის შეგებებული სარჩელის მოთხოვნებს იმავე „საავტორო უფლებათა საფუძველებისა“ და „საავტორო უფლებების შესახებ“ დებულების ნორმათა გათვალისწინებით.

კლავირი, რომელიც მოპასუხის მიერ მიჩნეული იყო გიორგი ვასაძის მიერ შედგენილი მუსიკალური ნაწარმოების ობიექტურად გამოხატულ ფორმად, შემოწმებული და გამოკვლეული იქნა ექსპერტიზის მიერ, რომელმაც 2001 წლის 8 მარტს დაასკვნა, რომ მასში და საქმის მასალებში არსებული ხელნაწერი ასლის ტექსტური ჩანაწერები შესრულებულია ერთი და იგივე ხელით. დასკვნაში მითითებული ხელნაწერი ასლი კი საქმეში არსებული განმარტების მიხედვით შესრულებულია კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიის წევრის მანანა კორძაიას მიერ. ამდენად, ექსპერტიზის დასკვნამ მთლიანად გამოორიცხა კლავირის გიორგი ვასაძის მიერ შესრულების ფაქტი. გარდა ამისა, კლავირზე მიწერილი შესრულების თარიღი – 1944 წელი, რომელიც განსხვავებული მასალის საწერი საშუალებით არის შესრულებული, 2000 წლის 4 თებერვლის ადგილზე დათვალიერების ოქმის შედეგად დადგინდა, რომ იგი მიწერილი იქნა მუხუშუმის მცველის ლ. კაპანაძის მიერ.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ ობიექტური ფორმით გამოხატული ნაწარმოების მიხედვით გიორგი ვასაძის საავტორო უფლების ცნობის საფუძველი არ არსებობს.

რაც შეეხება ნაწარმოებზე საავტორო უფლების გავრცელების მეორე საფუძველს, მისი გამოქვეყნების შესახებ მოპასუხემ (მოსარჩელე შეგებებულ სარჩელზე) ვერ დაადასტურა მისი საჯაროდ შესრულების ფაქტი უფრო ადრე, ვიდრე ეს დაადასტურებელი იქნა მ. ჩირინაშვილის ნაწარმოების შესრულებასთან დაკავშირებით.

სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს შეგებებულ სარჩელზე მოსარჩელის განმარტებას იმის შესახებ, რომ გიორგი ვასაძის ნაწარმოები „ყვავილების ქვეყანა“ ჯერ კიდევ 1939 წელს შესრულდა ქუთაისში, სრულდებოდა საქართველოში და შემდეგ რუსეთში. საოჯახო გარემოში და სამეგობრო წრეში მისი შესრულება კანონს არა აქვს მიჩნეული ნაწარმოების გამოცმად და გამოქვეყნებად და მოითხოვს შესრულებას „საჯაროდ“, სახალხოდ ანუ ადამიანთა დიდი წრის წინაშე.

სასამართლო კოლეგია ასევე ვერ გაიზიარებს შეგებებული სარჩელის მოთხოვნის შემდეგ საფუძველს, რომ გიორგი ვასაძე 1951 წლიდან საავტორო სააგენტოს ჩანაწერების მიხედვით იყო რეგისტრირებული ავტორად სადავო ნაწარმოებზე და ამის გამო იგი მიჩნეული უნდა იქნეს ავტორად.

სასამართლო კოლეგია დაუდასტურებლად მიიჩნევს გარემობას 1951 წლის სარეგისტრაციო ჩანაწერების განხორციელების კანონიერების შესახებ და მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს მისი საფუძველი, კერძოდ, კომპოზიტორ რ. გაბიჩვაძის მიერ შედგენილი „ექსპერტის დასკვნა“, რომლითაც მიჩნეული იქნა გიორგი ვასაძე სიმღერის ავტორად, რომლის გამოც შევიდა ცვლილება მუსიკალური ნაწარმოების სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“ ტექსტის ავტორის ბიძინა ფერაძის საავტორო ბარათში და მ. ჩირინაშვილის საავტორო ბარათში, რადგან არც საქმის მასალებში და არც თავად ავტორის გ. ვასაძის სარეგისტრაციო მასალებში ასეთი დასკვნა არ მოიპოვება.

„საავტორო უფლებების შესახებ“ 1929 წლის 30 აგვისტოს დებულების მე-17 მუხლის მიხედვით „ავტორს და მის მემკვიდრეს უფლება აქვს რეგისტრაციაში გაატარონ თავისი ნაწარმოები“ „ნაწარმოების რეგისტრაცია უკეთუ სასამართლოს წესით სხვა რამ არ არის დადგენილი წარმოადგენს დამამტკიცებელ საბუთს იმ მომენტის დასადგენად, რა მომენტიდანაც უნდა დაიწყოს საავტორო უფლების ვადის დენა, ხოლო იგი ხელს ვერ შეუშლის მესამე პირებს აღძრან დავა რეგისტრაციაში გატარებული ნაწარმოების საავტორო უფლებების შესახებ“.

1951 წლის რეგისტრაციის დროისათვის მოქმედი ზემოთ მითითებული ნორმა მიუთითებს ავტორის უფლებაზე რეგისტრაციაში გაატაროს მისი

ნაწარმოები და არა მოვალეობაზე და ამდენად, მას არ ანიჭებს გადაწყვეტ მნიშვნელობას ავტორობის განსაზღვრისათვის. იგი დებულების განსაზღვრების მიხედვით საავტორო უფლების ვადის დენის დასაწყისად უნდა იქნეს მიჩნეული, თუკი სასამართლო სხვა რაიმეს არ დაადგენს.

ამდენად, სასამართლო კოლეგია თვლის, რომ საქართველოს საავტორო უფლებათა სააგენტოში არსებულ ავტორთა ბარათებში 1951 წლის ცვლილებების შეტანით გიორგი ვასაძის ავტორად რეგისტრაცია არ შეიძლება ჩაითვალოს მისი საავტორო უფლების წარმოშობის საფუძველად.

საქმის განხილვის მთავარ სასამართლო სხდომაზე შეგებებული სარჩელის მოსარჩელემ განმარტა, რომ გიორგი ვასაძემ არ იცოდა ნოტების წერა და მას ეს არ ესაჭიროებოდა. ამავე დროს, კლავირი დაწერა ჩირინაშვილმა. კოლეგია თვლის, რომ მოპასუხის (შეგებულ სარჩელზე მოსარჩელის) ეს განმარტება უნდა მიჩნეულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებულ აღიარებად და სარჩელის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარის მტკიცებულებად უნდა ჩაითვალოს.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოპასუხის მაგდა ბერიძის შეგებებული სარჩელის გარემოებები გიორგი ვასაძის ავტორობის შესახებ სიმღერაზე „ყვავილების ქვეყანა“ ვერ იქნა დადასტურებული, რის გამოც თვლის, რომ არ შეიძლება გიორგი ვასაძე მიჩნეული იქნეს ავტორად სადავო სიმღერაზე.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 249-ე, 257-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით, გადაწყვიტა

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

1. ირინა ჩირინაშვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს.
2. აღიარებული იქნეს მიხეილ ჩირინაშვილის საავტორო უფლება სიმღერაზე „ყვავილების ქვეყანა“.
3. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ შევიდეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ საავტორო უფლებათა შესახებ არსებულ სარეგისტრაციო დოკუმენტებში.
4. არ დაკმაყოფილდეს მაგდა ბერიძის შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა გიორგი ვასაძის სიმღერაზე „ყვავილების ქვეყანა“ ავტორად აღდგენის შესახებ.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით.



გ ა ნ რ ი ნ მ ბ ა

საქართველოს სახელით

№ 3კ1885-01

3 იანვარი, 2002 წ., ქთბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა

შემადგენლობა: ლადო ჭანტურია (თავმჯდომარე),
ვალერი ზრუსტალი,
მერაბ ტურავა,
ბადრი შეტრეველი,
ქეთევან გაბელაია (მომხსენებელი),
მიხეილ გოგიშვილი,
ნანა კლარჯეიშვილი,
თენგიზ კობახიძე,
ბეჟან ზიმშიაშვილი

სხდომის მდივანი: გ. სუპატაშვილი

კასატორი: მაგდა ბერიძე (მოპასუხე ძირითად სარჩელზე, მოსარჩელე შეგებებულ სარჩელზე)

მოწინააღმდეგე მხარე: ირინა ჩირინაშვილი (მოსარჩელე ძირითად სარჩელზე, მოპასუხე შეგებებულ სარჩელზე)

შესამე პირი: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება

კასატორის მოთხოვნა: სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სარჩელის საგანი: საავტორო უფლების აღიარება სიმღერაზე „ყვავილების ქვეყანა“.

კომპოზიტორ მიხეილ ჩირინაშვილის მეუღლემ ირინა ჩირინაშვილმა 1983 წელს სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მისი გარდაცვლილი მეუღლის, მიხეილ ჩირინაშვილის დარღვეული საავტორო უფლებების დაცვა, საავტორო გასამარჯელოს მიღება და გიორგი ვასაძის საავტორო უფლებების გაუქმება სიმღერაზე „ყვავილების ქვეყანა“. მოგვიანებით, 2001 წლის 11 ივნისს, მოსარჩელემ დააზუსტა თავისი სასარჩელო მოთხოვნები და საბოლოოდ მოითხოვა მიხეილ ჩირინაშვილის საავტორო უფლებების აღიარება სიმღერაზე „ყვავილების ქვეყანა“ და საავტორო უფლების რეგისტრაცია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“. მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამყარებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

მიხეილ ჩირინაშვილმა სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“ („ყვავილების მეუფე“) შექმნა 1945-46 წლებში ჯანო ბაგრატიონის ჯაზ-ორკესტრისათვის, რაც დადასტურებულია საგაზეთო სტატიამში, რომელიც 1948 წლის 31 ივნისს გამოქვეყნდა გაზეთში „საბჭოთა ოსეთი“; 1963 წელს ფირმა „თბილისის“ მიერ გამოიცა ანსამბლ „რეროს“ მიერ შესრულებული სიმღერის გრამფირფიტა, სადაც სიმღერის ავტორად მითითებულია მიხეილ ჩირინაშვილი. 1971 წელს შეიქმნა სატელევიზიო ფილმი „რერო მასპინძლობს“, რომლის ტიტრებშიც სიმღერის ავტორად მითითებულია მიხეილ ჩირინაშვილი. 1972 წლის 24 ივნისს ანსამბლ „რეროს“ მიერ შესრულებულ იქნა სიმღერა და მის საკონცერტო პროგრამაში სიმღერის ავტორად მითითებული იყო კომპოზიტორი მ. ჩირინაშვილი.

1982 წელს საქართველოს მუსფონდმა გამოსცა სიმღერის „ყვავილების ქვეყანა“ ნოტები, რომელშიც კომპოზიტორად მითითებულია მ. ჩირინაშვილი. 1947-49 წლებში სიმღერისათვის „ყვავილების ქვეყანა“ საავტორო ჰონორარს იღებდა მიხეილ ჩირინაშვილი. მოსარჩელის განმარტებით, მან მეუღლის საავტორო უფლების დარღვევის შესახებ შეიტყო 1982 წელს ტელევიზიის მეშვეობით, როცა სიმღერის ავტორად გამოცხადდა გიორგი ვასაძე, რის გამოც 1983 წელს მიმართა სასამართლოს.

მოპასუხე გიორგი ვასაძის მეუღლემ მაგდა ბერიძემ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მოითხოვა გიორგი ვასაძის ავტორად აღდგენა სიმღერაზე „ყვავილების ქვეყანა“. მოსარჩელე თავის შეგებებულ სარჩელს ამყარებს შემდეგ გარემოებებზე: მოსარჩელე ირინა ჩირინაშვილი არ არის სათანადო მოსარჩელე; მას, როგორც მიხეილ ჩირინაშვილის მემკვიდრეს, უფლება არა აქვს იდავოს საავტორო უფლებებზე, რადგან საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის) 505-ე მუხლის მიხედვით ავტორის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეები იცავენ ნაწარმოებთა ხელშეუხე-

ბლობას, რაც არსებითად განსხვავდება ავტორთა უფლებებისაგან. საქმეში წარმოდგენილი მიხეილ ჩირინაშვილის კლავირების კრებული ორი ნაწილისაგან შედგება და იმ ნაწილს, სადაც სადავო სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“ შეტანილი, თარიღი არა აქვს, რის გამოც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს 1945 წელს შექმნილ ნაწარმოებად. გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“, გამოქვეყნებული წერილი, სადაც სადავო სიმღერის ავტორად მითითებულია მ. ჩირინაშვილი, 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 490-ე მუხლის გათვალისწინებით არ უნდა იქნეს მიჩნეული ნაწარმოების გამოქვეყნებად.

პონორარების გადახდა ორივე ავტორზე იმიტომ ხდებოდა, რომ სიმღერა 1951 წლამდე ითვლებოდა ხალხურად, ხოლო 1951 წელს რ. გაბიჯაძის მიერ ჩატარდა ექსპერტიზა და სიმღერის ავტორად დადგენილ იქნა გიორგი ვასაძე. ის ფაქტი, რომ სადავო სიმღერის ავტორია გიორგი ვასაძე, დასტურდება მოწმეთა განმარტებით, რომლებიც წერილობითი სახითაა საქმეში წარმოდგენილი. ვასაძის ავტორობას ადასტურებს ასევე ანსამბლების „ორერას“ და „75“-ის საკონცერტო პროგრამები.

მოცემულ სამოქალაქო დავაზე სასამართლომ პირველად 1986 წლის 30 მაისს გამოიტანა გადაწყვეტილება. იმ დროისათვის საქმეში მოსარჩელე იყო ი. ჩირინაშვილი, ხოლო მოპასუხე – საავტორო საქმეთა სააგენტო. ორჯონიკიძის რაიონის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებით ი. ჩირინაშვილის სარჩელი დაკმაყოფილდა: სიმღერა „ყვავილების ქვეყნის“ მუსიკის ავტორად აღიარებულ იქნა კომპოზიტორი მიხეილ ჩირინაშვილი; გაუქმდა გიორგი ვასაძის საავტორო უფლება სიმღერაზე „ყვავილების ქვეყანა“.

სასამართლომ ექსპერტიზის დასკვნის, მოწმეთა ჩვენებების, საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტოს სხდომის ოქმის, სიმღერის კლავირის, გრამფირფიტისა და ნოტების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ სიმღერის ავტორია მიხეილ ჩირინაშვილი. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 1986 წლის 24 ივლისის განჩინებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის 1998 წლის 20 აგვისტოს დადგენილებით გაზიარებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტი, გაუქმდა სასამართლოს გადაწყვეტილებები და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა პირველი ინსტანციის სასამართლოს. 1999 წლის 1 ნოემბრის განჩინებით საქმე განსჯადობის წესების დაცვით წარმოებაში მიიღო თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ. კოლეგიაში საქმის განხილვის დროს მოსარჩელის თანხმობით შეიცვალა მოპასუხე და მოპასუხედ მიჩნეულ იქნა მანამდე საქმეში მესამე პირად მონაწილე გიორგი ვასაძის მეუღლე მაგდა ბერიძე, რომელმაც შეგებებული სარჩელი შეიტანა სასამართლოში.

საქმის ხელახალი განხილვის შემდეგ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით ირინა ჩირინაშვილის სარჩელი დაკმაყოფილდა: მიხეილ ჩირინაშვილი აღიარებულ იქნა ავტორად სიმღერის „ყვავილების ქვეყანა“; არ დაკმაყოფილდა მაგდა ბერიძის შეგებებული სარჩელი ამ სიმღერის, „ყვავილების ქვეყნის“, ავტორად გიორგი ვასაძის აღდგენის შესახებ.

საოლქო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა შემდეგი საფუძველით: სასამართლომ დავის გადასაწყვეტად გამოიყენა სსრკ ცაკ-ის და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 16 მაისის „საავტორო უფლებათა საფუძვლები“ და 1929 წლის 30 აგვისტოს დებულება „საავტორო უფლებების შესახებ“, რადგან მხარეთა განმარტებით სადავო სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“ შექმნილია XX საუკუნის 40-იან წლებში. ამ დროს კი საავტორო და მომიჯნავე სფეროს აწესრიგებდა ზემოთ დასახელებული კანონები.

სასამართლომ „საავტორო უფლებების შესახებ“ დებულების 1-ლი მუხლის შესაბამისად ნაწარმოებზე საავტორო უფლების გაერცვლების ორი საფუძველი გამოყო – ნაწარმოების „გამოცემა“ და მისი „ობიექტური ფორმით“ შექმნა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ობიექტური ფორმით სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“ გამოიხატა მ. ჩირინაშვილის მიერ კლავირის სახით 1945 წელს, რომელიც რეპროდუცირებულ იქნა საჯარო შესრულების სახით 1948 წელს ქ. სტალინირის მოსახლეობის წინაშე და აღნიშნული გარემოებების საფუძველზე მიხეილ ჩირინაშვილი აღიარებულ იქნა სიმღერის – „ყვავილების ქვეყნის“ – ავტორად. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ გიორგი ვასაძის მეუღლემ მაგდა ბერიძემ სასამართლოს ვერ წარუდგინა ვასაძის მიერ ობიექტური ფორმით გამოხატული კლავირის ნიმუში. ასევე მოპასუხემ ვერ დაადასტურა სიმღერის საჯაროდ შესრულების ფაქტი უფრო ადრე, ვიდრე ეს დადასტურებულ იქნა ჩირინაშვილის ნაწარმოების შესრულებასთან დაკავშირებით. სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ საავტორო უფლებათა სააგენტოში 1951 წელს ვასაძის ავტორად რეგისტრაცია არ შეიძლება ჩაითვალოს მისი საავტორო უფლების წარმოშობის საფუძველად.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა გიორგი ვასაძის მეუღლემ მაგდა ბერიძემ და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი საფუძველით: სასამართლო საქმის განხილვის დროს იჩნდა აშკარა ტენდენციურობას; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 236-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, უკანონოდ გაუქმდა საოლქო სასამართლოს 2000 წლის 18 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება; მაგდა ბერიძე სასამართლო სხდომაზე გამოძახებული იყო როგორც მესამე პირი და არა როგორც მოპასუხე; მისი წარმომადგენელი ალ. გაბუნია მოქმედებდა როგორც მე-3 პირის

წარმომადგენელი; მაგდა ბერიძეს, როგორც მოპასუხეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად უფლება ჰქონდა თვითონ მიეღო მონაწილეობა საქმის განხილვაში.

საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა მოსამართლეები, რომლებიც არ იყვნენ გაცნობილნი საქმეს და განხილვა მიმდინარეობდა მოსამართლე ჯიყაშვილის კარნახით. სასამართლოს დაინტერესებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საქმის განხილვა დაამთავრეს ჩირინაშვილის დაბადების დღეს. სასამართლო კოლეგიამ ყოვლად უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ მ. ჩირინაშვილის მეუღლისათვის 1982 წელს გახდა ცნობილი ნაწარმოების ავტორად გიორგი ვასაძის გამოცხადების ფაქტი. სასამართლო პროცესზე ი. ჩირინაშვილის მიერ წარმოდგენილ კლავირზე არ არის „საუდის“ არანაირი აღნიშვნა ნაწარმოების რეგისტრაციის შესახებ. 1948 წლის 31 ივნისს გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“ გამოქვეყნებული სტატია არ გამოდგება სადავო სიმღერაზე მ. ჩირინაშვილის ავტორობის დასამტკიცებლად. 1951 წლიდან სიმღერის ავტორად ოფიციალურად აღიარებული იყო გ. ვასაძე. აღნიშნულ პერიოდში მ. ჩირინაშვილის ავტორობით გამოცემული სადავო სიმღერის ნოტები, გრამფირფიტები და სხვა, გამოცემულია კანონის მოთხოვნების უხეში დარღვევით, ვასაძის ავტორობის უკუღებულყოფით და ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებად მ. ჩირინაშვილის ავტორობის დასამტკიცებლად.

სასამართლოს საქმის წარმოება უნდა შეეწყვიტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ე“ პუნქტით, ვინაიდან 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 505-ე მუხლის თანახმად, ავტორის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეები იცავენ მხოლოდ ნაწარმოების ხელშეუხებლობას. მხოლოდ ვასაძის მემკვიდრეებს შეეძლოთ 1951 წლიდან სიმღერის – „ყვავილების ქვეყნის“ ავტორად აღიარებული ვასაძის საავტორო უფლების დაცვა და არა ჩირინაშვილის მემკვიდრეებს. კოლეგია არასწორად მიიჩნევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებულ აღიარებად ვასაძის მიერ ნოტების ჩაწერის შესაძლო არცოდნის ფაქტს. სადავო სიმღერაზე რომ კლავირი არსებობდა, ამაზე მიუთითებს „საუდში“ ვასაძის ავტორად რეგისტრაციის ფაქტი.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

დიდმა პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის მოტივები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

დიდი პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ 2000 წლის 18 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება არასწორად გააუქმა კოლეგიამ, რადგან ჩირინაშვილს, როგორც პროცესზე გამოცხადებულ პირს, უფლება არ ჰქონდა, შეეტანა საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე. პალატა თვლის, რომ საკითხი იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა უფლება ჩირინაშვილს შეეტანა საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, გარკვეულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ეკონომიკური საქმეთა პალატის 2000 წლის 18 მაისის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით, რომლითაც გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 14 მარტის განჩინება, რითაც უარი ეთქვა ჩირინაშვილს საჩივრის მიღებაზე და საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე კოლეგიას. ამდენად, უზენაესი სასამართლოს განჩინების საფუძველზე საოლქო სასამართლოს კოლეგიამ დაუშვა ჩირინაშვილის საჩივარი, განიხილა და ვინაიდან მიიჩნია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით იყო გამოტანილი, გააუქმა იგი, რისი უფლებაც მას ჰქონდა.

დიდი პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მაგდა ბერიძე, როგორც მოპასუხე, არ იყო გამოძახებული და გამოცხადებული სხდომაზე. სხდომის ოქმით და საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მაგდა ბერიძემ იცოდა სხდომის დღის შესახებ და სხდომას ესწრებოდა მისი წარმომადგენელი გაბუნია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად მოქალაქებს უფლება აქვთ, საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. მართალია, საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეს, თვითონაც მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში, მაგრამ ეს მისი უფლებაა და ამდენად, თუ სხდომას ესწრებოდა მხარის წარმომადგენელი და არა მხარე, სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს საქმე ისე, როგორც მხარის გამოცხადების შემთხვევაში. კასატორის მტკიცება, რომ ის სასამართლოში გამოძახებულ იქნა როგორც მესამე პირი და არა როგორც მოპასუხე, არ წარმოადგენს კანონის დარღვევას, რადგან მაგდა ბერიძე გამოძახებულ იქნა სასამართლოში როგორც მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და ასეთი კატეგორიის მესამე პირები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარგებლობენ მხარის ყველა უფლებით, ხოლო მისი უფლებები განხორციელებულ იქნა წარმომადგენლის მიერ.

დიდი პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მოსამართლე ჯიყაშვილი დაინტერესებული იყო საქმის შედეგით; იგი საქმის განხილვაში აბამდა სხვადასხვა მოსამართლეებს, რომლებიც არ იყვნენ გაცნობილი საქმეს და რომ მისი კარნახით მიმდინარეობდა საქმის წარმოება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საოლქო სასამართლოში საქმე იხილებოდა 1999 წლის ნოემბრიდან 2001 წლის ივნისამდე, ე.ი. თითქმის ორი წლის მანძილზე. ამ პერიოდში რამდენჯერმე ჩატარდა სასამართლო სხდომები და, ბუნებრივია, ყველა სხდომაზე ერთი და იმავე სასამართლოს შემადგენლობის უზრუნველყოფა შეუძლებელია. 2001 წლის 11 ივნისს დაწყებულ მთავარ სხდომას, რომლის შემდეგაც გამოვიდა გადაწყვეტილება, ესწრებოდნენ ის მოსამართლეები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გადაწყვეტილების გამოტანაში და ამ მხრივ კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

დიდი პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ი. ჩირინაშვილს, როგორც მემკვიდრეს, უფლება არა აქვს, მიმართოს სასამართლოს მისი აწ გარდაცვლილი მეუღლის საავტორო უფლებების დასაცავად, რადგან სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წ.) 505-ე მუხლის თანახმად, ავტორის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეები იცავენ მხოლოდ ნაწარმოების ხელშეუხებლობას, რაც განსხვავდება ავტორთა უფლებებისაგან. საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის დროს სასამართლო კოლეგიამ სწორად გამოიყენა სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წ.) 512-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ დარღვეულ იქნა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება ან ავტორის სხვა არაქონებრივი უფლებები, მაშინ ავტორს, ზოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეებს შეუძლიათ, მოითხოვონ დარღვეული უფლების აღდგენა. კანონში აღნიშნულ „არაქონებრივ უფლებებში“ მოიაზრება ავტორობის უფლება, გამოქვეყნების უფლება, სახელის უფლება. ამდენად, სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ ი. ჩირინაშვილი, როგორც მემკვიდრე, უფლებამოსილია, იდავოს მეუღლის საავტორო უფლებებზე.

დიდი პალატა არ განიხილავს საკასაციო საჩივრის სხვა მოტივებს, რადგან ისინი შეეხებიან საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, ზოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი უნდა ეფუძნებოდეს არა ფაქტობრივ გარემოებებს, არამედ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი პალატა თვლის, რომ საოლქო სასამართლოში საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის დროს კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ბერიძის მიერ წარმოდგენილი საკასაციო პრეტენზია ფაქტობრივი გარემოების დადგენის შესახებ არც დამატებითა და არც დასაბუთებული. პალატა თვლის, რომ კოლეგიის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებ-

ში სასამართლომ სწორად გამოიყენა „საავტორო უფლებების შესახებ“ 1929 წლის 30 აგვისტოს დებულების პირველი, მე-9 მუხლები და დააკმაყოფილა სარჩელი.

სასამართლომ „საავტორო უფლებების შესახებ“ დებულების I მუხლის შესაბამისად, ნაწარმოებზე საავტორო უფლების გავრცელების ორი საფუძველი გამოყო – ნაწარმოების „გამოცემა“ და მისი „ობიექტური ფორმით“ შექმნა. სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ ობიექტური ფორმით სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“ მ. ჩირინაშვილის მიერ კლავირის სახით გამოიხატა 1945 წელს, რომელიც საჯარო შესრულების სახით რეპროდუცირებულ იქნა 1948 წელს სტალინის მოსახლეობის წინაშე და აღნიშნული გარემოებების საფუძველზე მიხეილ ჩირინაშვილი აღიარა სიმღერის, „ყვავილების ქვეყნის“ ავტორად.

„საავტორო უფლებების“ შესახებ დებულების მე-4 მუხლის თანახმად, საავტორო უფლება წარმოიშობა ნაწარმოებზე მისი შექმნის მომენტიდან. ამ უფლების წარმოშობისათვის არ არის სავალდებულო ნაწარმოების რეგისტრაცია ან სხვა ფორმალობათა დაცვა. ნაწარმოების ავტორად მიიჩნევა პირი, რომლის ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგად შეიქმნა ინტელექტუალური საკუთრების ესა თუ ის ობიექტი, მიუხედავად მისი დანიშნულების, ღირსების, შინაარსის, ჟანრის, მოცულობის, აგრეთვე მისი გამოხატვის ფორმისა. „საავტორო უფლებების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის თანახმად, საავტორო უფლების ობიექტს წარმოადგენს ნაწარმოები იმის მიუხედავად, გამოქვეყნებულია თუ არა იგი. მთავარია, ნაწარმოები არსებობდეს ისეთი ობიექტური ფორმით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა აღქმული და რეპროდუცირებულ იქნეს მესამე პირის მიერ. აღნიშნულ მუხლში ასეთ ობიექტურ ფორმებად სამაგალითოდ დასახელებულია ხელნაწერი, ესკიზი და სხვა. რაც შეეხება მუსიკალურ ნაწარმოებს, იგი შეიძლება მესამე პირის მიერ აღქმული და რეპროდუცირებულ იქნეს ნოტების ან შესრულების სახით. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ ობიექტური ფორმით მუსიკალური ნაწარმოები „ყვავილების ქვეყანა“ კლავირის სახით გამოიხატა მიხეილ ჩირინაშვილის მიერ 1945 წელს და 1948 წელს საჯაროდ შესრულდა მიხეილ ჩირინაშვილის ავტორობით ყოფილ სამხრეთ ოსეთის ქალაქ სტალინირში (დღევანდელი ცხინვალი). გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების და გიორგი ვასაძის სადავო მუსიკალური ნაწარმოების ავტორად აღიარების კანონიერი საფუძველი ვერ გახდება კასატორის განცხადება, რომ სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“ ჯერ კიდევ 1945 წლამდე საჯაროდ სრულდებოდა ვასაძის მიერ, რადგან „საავტორო უფლებების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული საჯარო შესრულება გულისხმობს ისეთ შესრულებას, რომელიც განკუთვნილია მოქალაქეთა, მსმენელთა გარკვეული წრისათვის და არა შესრულებას

ოჯახისა და ახლობლების წრეში. საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცება, რომ აწ გარდაცვლილმა გ. ვასაძემ სადავო მუსიკალური ნაწარმოები შეასრულა საჯაროდ, ხოლო მოწმეთა ჩვენებები იმის შესახებ, რომ მათთვის მუსიკალური ნაწარმოების – „ყვავილების ქვეყნის“ – ავტორად ცნობილია გიორგი ვასაძე, არ შეიძლება გამოდგეს ნაწარმოების ობიექტური ფორმით შექმნის ან საჯარო შესრულების მტკიცებად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, საავტორო უფლება ვრცელდება ნაწარმოებზე, რომელიც შექმნილია ობიექტური ფორმით, რაც მისი რეპროდუქცირების შესაძლებლობას იძლევა, ანუ მუსიკალური ნაწარმოები ობიექტურად უნდა იყოს გამოხატული კლავირის სახით ან შესრულებული საჯაროდ. კასატორ მ. ბერიძეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია მტკიცება იმისა, რომ სადავო მუსიკალური ნაწარმოები რაიმე ობიექტური ფორმით შექმნილია მისი აწ გარდაცვლილი მეუღლის – გიორგი ვასაძის მიერ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები.

საავტორო უფლებას არ წარმოშობს ნაწარმოების რეგისტრაცია საავტორო უფლებათა სააგენტოში. „საავტორო უფლებების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლში საავტორო უფლების წარმოშობის საფუძვლად ავტორის რეგისტრაცია არ არის მითითებული. უფრო მეტიც, ამავე დებულების მე-17 მუხლის თანახმად, „ნაწარმოების რეგისტრაცია, უკეთუ სასამართლო წესით სხვა რამ არ არის დამტკიცებული, წარმოადგენს დამამტკიცებელ საბუთს იმ მომენტის დასადგენად, რა მომენტიდანაც უნდა დაიწყოს საავტორო უფლების ვადის დენა, ხოლო იგი ხელს ვერ შეუშლის მესამე პირთ, აღძრან დავა რეგისტრაციაში გატარებული ნაწარმოების საავტორო უფლების შესახებ“.

დიდი პალატა თვლის, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიას საქმის განხილვის დროს კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

დიდმა პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დადაღგინა:

მაგლა ბერიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელი დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ავტორად აღიარება და სავტორო უფლების
დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება**



ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№2/ა-164-2001 18 ოქტომბერი, 2001 წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა
კოლეგია

შემადგენლობა: ქეთევან დუგლაძე (თავმჯდომარე და მომხსენებელი),
მარინა ჯიფაშვილი,
მადონა დიბრაძე

სხდომის მდივანი: ხათუნა სურამელაშვილი

მოსარჩელე (მოპასუხე შეგებებულ სარჩელზე): დიმიტრი მანჯგალაძე;
წარმომადგენლები – არჩილ კბილაშვილი, ოთარ ბართაია;

მოპასუხე: 1. შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“; წარმომადგენელი
– ზვიდ კორძაძე;

მოპასუხე (მოსარჩელე შეგებებულ სარჩელზე): 2. „ზე კოკა-კოლა კო-
მპანი“; წარმომადგენელი – მარეხ ამირაშვილი.

დავის საგანი: ძირითად და შეგებებულ სარჩელზე დარღვეული საავ-
ტორო უფლებების აღდგენა.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

– მოსარჩელე განმარტავს, რომ 1976წ. -ის მიერ მისი ინტელექტუ-
ალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად შეიქმნა „კოკა-კოლას“ ქართული
ლოგოტიპის ესკიზი.

– 1993წ. აპრილში მოსარჩელესა და შპს. „კოკა-კოლა კავკასიონი“-ს

/ამჟამად „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“/ პრეზიდენტს თემურ ჭყონიას შორის მიღწეული იქნა ზეპირსიტყვიერი შეთანხმება ლოგოტიპის ესკიზის აშშ-ს ქალაქ ატლანტაში, „კოკა-კოლა“-ს შტაბბინაში გაგზავნის შესახებ, რათა მომხდარიყო მისი შეფასება /მოწონება/ სავაჭრო ნიშნად გამოყენებისათვის.

– მოსარჩელესა და თემურ ჭყონიას ზეპირსიტყვიერი შეთანხმებით, თუ „კოკა-კოლა“-ს შტაბბინაში მოსარჩელის მიერ შექმნილი ლოგოტიპის ესკიზი მოწონებული იქნებოდა სავაჭრო ნიშნად, მოსარჩელესა და შ.პ.ს. „კოკა-კოლა კავკასიონ“-ს შორის უნდა გაფორმებულიყო საავტორო ხელშეკრულება.

– მოსარჩელის მიერ შექმნილი ლოგოტიპის ესკიზი „ზე კოკა-კოლა კომპანის“ მიერ მოწონებული იქნა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ეს ლიგოტიპი „საქპატენტის“ მიერ რეგისტრირებული იქნა „ზე კოკა-კოლა კომპანი“-ს სავაჭრო ნიშნად.

– 1993 წლის 2 ივლისიდან საქართველოში დაიწყო „კოკა-კოლას“ ჩამოსხმა და რეალიზაცია, პროდუქციის ეტიკეტებზე და სხვა სარეკლამო საშუალებებზე მოსარჩელის მიერ შექმნილი ლოგოტიპის, როგორც სავაჭრო ნიშნის გამოყენებით;

– მოსარჩელე განმარტავს, რომ ამ პერიოდიდან, ე.ი. 1993 წლის 2 ივლისიდან დღემდე მოპასუხეების მიერ ირღვევა მისი, როგორც ავტორის, ქონებრივი უფლებები, მისი საავტორო უფლების ობიექტს მისი ნებართვის, გარეშე გამოყენებით სამეწარმეო მიზნებისათვის, მოგების მისაღებად. მოსარჩელე ითხოვს მისი საავტორო ქონებრივი უფლების აღსადგენად მოპასუხეებმა სოლიდარულად გადაუხადონ მას საქართველოში ჩამოსხმული „კოკა-კოლას“ სარეალიზაციო ფასის 1 პროცენტი, რაც 1993 წლის 2 ივლისიდან 2001 წლის 1 ოქტომბრამდე მოსარჩელის განმარტებით შეადგენს 1.287.500.00 ლარს, იმ ფორმულის საფუძველზე, რომ საქართველოში ყოველწლიურად ჩამოსხმება 15 მლნ ლარის ღირებულების „კოკა-კოლა“, 1993 წლის 2 ივლისიდან 2001 წლის 1 ოქტომბრამდე ამ ღირებულების 1%-ს კი წარმოადგენს 1.287.500.00 ლარს.

– მოსარჩელე გარდა მისი საავტორო უფლებების დარღვევით გამოწვეული მატერიალური ზარალის ანაზღაურებისა ითხოვს იმ მორალური ზიანის ანაზღაურებას, რაც გამოიწვია მოპასუხეთა კანონშესაბამო მოქმედებამ, მისი პატივისა და ღირსების შელახვის გზით. მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მოსარჩელე ითხოვს 120.000 ლარის ანაზღაურებას.

საქმის მომზადების სტადიაზე მოპასუხე „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“-ს თავისი წერილობითი შესაგებელი არ წარმოუდგენია, ხოლო მეორე მოპასუხემ „ზე კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“-მ სარჩელი არ ცნო; მის უარსაყოფად წარმოადგინა შეგებებული სარჩელი, რომელშიც მიუთითა შემდეგი გარემოებების შესახებ:

– სასაქონლო ნიშანი „Coca-Cola“ წარმოადგენს საყოველთაოდ ცნობილ ნიშანს, წარმოადგენს „ზე კოკა-კოლა კომპანი“-ს საკუთრებას და ამ ნიშანზე მას გააჩნია ყველა ქონებრივი და არაქონებრივი ექსკლუზიური უფლება 1892 წლიდან.

– ლოგოტიპი „Coca-Cola“ რეგისტრირებულია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. სსსრკ-ში ლოგოტიპის სარეგისტრაციო განაცხადი შეტანილი იყო 1925 წელს და რეგისტრირებულია 1928 წლიდან.

„ზე კოკა-კოლა კომპანი“-მ სასაქონლო ნიშანზე „Coca-Cola“ სარეგისტრაციო განაცხადი საქართველოში შეიტანა 1992 წელს, ხოლო ქართული ტრანსლიტერული ვარიანტის სარეგისტრაციო განაცხადი – 1993 წელს. ორივე – „Coca-Cola“-ს ინგლისური და ქართული ტრანსლიტერული ვერსიები საქართველოში სასაქონლო ნიშნებად დარეგისტრირებულია 1996 წელს.

ტრანსლიტერული ნამუშევარი არ არის საავტორო უფლების ობიექტი იქიდან გამომდინარე, რომ მას არ ახასიათებს საავტორო უფლების ობიექტისათვის დამახასიათებელი ორი მთავარი კრიტერიუმი: ის არ წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის ნაყოფს და არ ახასიათებს ორიგინალურობა.

– დ. მანჯგალაძის განმარტებით, მან 1976 წელს შექმნა „Coca-Cola“-ს ქართული ლოგოტიპის ესკიზი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად. „ზე კოკა-კოლა კომპანისა“ და დ. მანჯგალაძეს შორის არ ყოფილა შეთანხმება, რომელიც დ. მანჯგალაძეს ნაწარმოების „Coca-Cola“-ს თარგმნის ან სხვაგვარი გადამუშავების უფლებას აძლევდა, რის გამოც მანჯგალაძის მიერ დარღვეულია საქართველოს სსსრ სამოქალაქო კოდექსის 500-ე, 501-ე, 503-ე მუხლების მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ავტორის ნაწარმოების გამოყენება, მათ შორის თარგმნა ან სხვაგვარი გადამუშავება სხვა პირთა მიერ დასაშვებია მხოლოდ ავტორთან ან მის უფლებამონაცვლესთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. აგრეთვე, დ. მანჯგალაძის მიერ დარღვეულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-18 მუხლის მოთხოვნები იმის შესახებ, რომ გადამუშავებული ნაწარმოების ავტორმა უნდა დაიცვას ამ ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლება და რომ მხოლოდ ავტორის თანხმობით შეიძლება ნაწარმოების თარგმნა ან სხვაგვარი გადამუშავება.

– „ზე კოკა-კოლა კომპანის“ წარმომადგენლის განმარტებით დ. მანჯგალაძის მიერ დარღვეულია „ზე კოკა-კოლა კომპანის“, როგორც ლოგო „Coca-Cola“-ს ავტორის და ექსკლუზიური მესაკუთრის საავტორო უფლებები, ვინაიდან მან უკანონოდ დაარეგისტრირა „Coca-Cola“-ს ტრანსლიტერული ქართული ვერსია საავტორო უფლებათა დაცვის სააგენტოში, როგორც საკუთარი ორიგინალური ქმნილება.

– შეგებებული სარჩელის ავტორი ითხოვს: 1. აღიარებული იქნეს „ზე კოკა-კოლა კომპანი“ ლოგოტიპის „Coca-Cola“-ს და მისი ქართული ტრანსლიტერული ვერსიის ავტორად და ერთადერთ მესაკუთრედ საქართველოში. 2. ჩაითვალოს დ. მანჯგალაძე „ზე კოკა-კოლა კომპანის“ საავტორო უფლების დამრღვევად. 3. აეკრძალოს დიმიტრი მანჯგალაძეს, როგორც „ზე კოკა-კოლა კომპანის“ საავტორო უფლების დამრღვევს, ლათინური ლოგოტიპის „Coca-Cola“ და მისი ქართული ტრანსლიტერული ვერსიის გამოყენება ნებისმიერი ფორმით.

საქმის ზეპირი განხილვისას მოსარჩელებმა /როგორც ძირითად სარჩელზე, ასევე შეგებულ სარჩელზე/ მხარი დაუჭირეს თავიანთ სარჩელებს და საქმის მომზადების სტადიაზე ჩამოყალიბებულ თავიანთ პოზიციებს; ძირითად სარჩელზე მოპასუხე შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო, ის მიიჩნია უსაფუძვლოდ, როგორც მატერიალური, ისე ფორმალური თვალსაზრისით და განმარტა შემდეგი:

– სარჩელის განხილვისას გამოყენებული უნდა იქნეს საქართველო სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, ვინაიდან როგორც თვითონ მოსარჩელე განმარტავს, მას მოთხოვნის უფლება მოსარჩელის მიმართ წარმოეშვა ძველი სამოქალაქო კოდექსის მოქმედების პერიოდში, ხოლო ახალი სამოქალაქო კოდექსის თავი საავტორო უფლებების შესახებ გაუქმდა, ამავე კოდექსის გარდამავალი დებულებების მიხედვით მოდავე მხარეთა შორის ურთიერთობა არ უნდა მოწესრიგდეს ახალი კოდექსით დადგენილი ნორმების ფარგლებში, ხოლო „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონი“-ს 67-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რომ ეს კანონი მოქმედებს მხოლოდ იმ საავტორო ურთიერთობათა მიმართ, რომელიც წარმოიშვა ამ კანონის ამოქმედების შემდეგ. ეს კანონი ამოქმედდა 1999 წლის 22 ივნისს და თვით მოსარჩელის პოზიციიდანაც გამომდინარე /რომ მისი საავტორო უფლების დარღვევა გრძელდება/ სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ის გამოყენებული ვერ იქნება.

– მოსარჩელის მიერ გარკვეული არ არის დავის საგანი, სარჩელში ის განმარტავდა, რომ შექმნა ლოგო, ხოლო შეგებულ სარჩელზე შეაპასუხებაში განმარტა, რომ შექმნა სახვითი ხელოვნების ნაწარმოები, ესენი სხვადასხვა ობიექტებია და შესაბამისად უნდა განისაზღვროს გამოსაყენებელი კანონმდებლობაც.

– მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მის ავტორობას ქართულ ლოგოტიპიზე ან დაადასტურებდა იმ ფაქტს, რომ ასეთი ლოგო ობიექტურად არსებობდა 1976 წლიდან 1993 წლამდე.

– ქართულ ლოგოტიპზე მოსარჩელის ავტორობა ვერ დადასტურდება 1993 წლის 27 აპრილის სამხატვრო საბჭოს სხდომის ოქმით.

სასამართლო კოლეგია მხარეთა ზეპირი ახსნა-განმარტებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების შესწავლით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ როგორც ძირითადი ისე შეგებებული სარჩელი უსაფუძველოა, შემდეგი გარემოებების გამო:

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

1. მოცემული სამოქალაქო დავის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს სსსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით და ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის ბერნის საერთაშორისო კონვენციით.

მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის „Coca-Cola“ ქართული ლოგოტიპის გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წარმოიშვა სამოქალაქო სამართლის კოდექსის მოქმედების პერიოდში, ამდენად ამ ურთიერთობის საფუძველზე აღძრული დავაც გადაწყვეტილი უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-4 კარით დადგენილი ნორმების საფუძველზე.

საქართველომ ბერნის საერთაშორისო კონვენციის რატიფიკაცია განახორციელა 1995 წელს. კონვენციის მოთხოვნები ვრცელდება ისეთ ნაწარმოებზეც, რომლებიც შექმნილია და უკვე არსებობენ ამა თუ იმ ქვეყანაში, იმ მომენტისათვის, როცა ქვეყანა უერთდება ბერნის კონვენციას, თანახმად ბერნის კონვენციის მე-18 მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების დებულებებისა. ბერნის კონვენცია დეკლარირებს იმის შესახებ, რომ დაცვადია ინტელექტუალური ქმნილება და მხოლოდ ასეთ ქმნილებას აქცევს საავტორო უფლების დაცვის ქვეშ, სხვა დამატებით არანაირ კრიტერიუმს არ აცხადებს, რის გამოც ნაწარმოების ინტელექტუალურობის საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს კომპეტენციისათვის არის დარჩენილი.

ორიგინალურობის კრიტერიუმი, რომელიც ნაწარმოების ინტელექტუალურობის განმსაზღვრელი კრიტერიუმი და რომელიც წვეტს მოექცევა თუ არა ნაწარმოები საავტორო უფლების დაცვის ქვეშ, არც ბერნის კონვენციაში და არც რომელიმე ქვეყნის ეროვნულ საავტორო კანონმდებლობაში არ არის შესული — ეს განისაზღვრება საავტორო სამართლის თეორიაში ინტელექტუალური ნაწარმოების საყოველთაოდ აღიარებულ განმარტებიდან გამომდინარე.

2. მოსარჩელე მხატვარ-დიზაინერი დიმიტრი მანჯგალაძე არის ლათინური ლოგოს „Coca-Cola“, ქართული ვარიანტის, ქართული ლოგოს „კოკა-კოლა“, ესკიზის ავტორი. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 488-ე მუხლით საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებებზე, მიუხედავად მათი ფორმისა, ნიშნებისა და ღირსებისა, აგრეთვე რეპროდუქციის წესისა, რომლებიც გამოქვეყნებულა

ან არაა გამოქვეყნებული, მაგრამ გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით. ამასთან, საავტორო დაეების დროს ავტორმა უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებანი, რომ ნაწარმოები მისია და რომ ის არსებობდა მანამ, სანამ მისი უფლების დარღვევის ფაქტი მოხდებოდა.

მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით (1993 წლის 27 აპრილს სამხატვრო საბჭოს სხდომის ოქმი №8-დან ამონაწერი, „კოკა-კოლას“ ქართული ლოგოს ესკიზი, საქართველოს მხატვართა კავშირის თბილისის სამხატვრო საწარმოო კომბინატის 2000 წლის 17.08. №6 ცნობა, საქართველოს საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს სეთიფიკატი 00/3-48, 08.05.00.) დასტურდება, რომ ქართული ლოგოტიპი „კოკა-კოლა“ ობიექტური ფორმით არსებობდა 1993 წლიდან და მისი ავტორი მოსარჩელეა.

3. მოპასუხე „ზე კოკა-კოლა კომპანი“ არის ამერიკული კომპანია, რომელიც დაარსდა 1892 წელს.

სიტყვების კომბინაცია „Coca-Cola“, ასევე ამ სიტყვების საყოველთაოდ ცნობილი ორიგინალური მონახაზი, ხელწერა ეკუთვნის ამ სასმელის შემქმნელის ფარმაცევტ დოქტორ ჯონ სტიფ ჰემბერტონის პარტნიორს ფრანკ მ. რობინსონს, რომელმაც ის შექმნა როგორც სასმელის სახელწოდება, 1886 წელს. ამის შემდეგ სიტყვების კომბინაცია „Coca-Cola“ ჯერ ხდება „კოკა-კოლას“ ჩამომსხმელი კომპანიის საფირმო სახელწოდება 1892 წელს, ხოლო შემდეგ „Coca-Cola“-ს რობინსონიული მონახაზი რეგისტრირდება „ზე კოკა-კოლა კომპანი“-ს სავაჭრო ნიშნად, 1893 წლის 31 იანვარს.

4. როგორც ლოგოზე, ისე სასაქონლო ნიშანზე „Coca-Cola“ ზემოთ აღნიშნული, დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებების გამო „ზე კოკა-კოლა კომპანი“-ს გააჩნია ქონებრივი და არაქონებრივი ექსკლუზიური უფლებები 1892-1893 წლიდან.

5. „ზე კოკა-კოლა კომპანი“-მ სასაქონლო ნიშანზე „Coca-Cola“ სარეგისტრაციო განაცხადი საქართველოში შეიტანა 1992 წელს, ხოლო ქართულ ტრანსლიტერულ ვარიანტზე – 1993 წელს; ორივე, როგორც ლათინურ ანბანში გამოსახული ლოგო /„Coca-Cola“/, ისე ქართულ ანბანში გამოსახული ლოგო /„კოკა-კოლა“/ „ზე კოკა-კოლა კომპანი“-ს სასაქონლო ნიშნებად საქართველოში რეგისტრირებული იქნა 1996 წლიდან.

6. მოპასუხე შ.პ.ს. „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ არის ქართული კომპანია, რომელიც 1993 წლიდან საქართველოში ახდენს „კოკა-კოლას“ ჩამოსხმას და რეალიზაციას „ზე კოკა-კოლა კომპანი“-ს მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.

7. მოსარჩელის მიერ შექმნილი ლათინური ლოგოს „Coca-Cola“ ქართული ესკიზი, წარმოადგენს ნახატს. ნახატი კი, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 489-ე მუხლის მიხედვით საავტორო უფლების საგანი შეიძლება იყოს.

8. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელის მიერ შექმნილი „Coca-Cola“-ს ქართული ლოგო, როგორც ნახატი ფორმალურად შედის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 489-ე მუხლის ჩამონათვალში, ის მაინც ვერ იქნება განხილული, როგორც საავტორო სამართლით დაცული ობიექტი, ვინაიდან არ აკმაყოფილებს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ საავტორო სამართლის ობიექტის დაცვისუნარიანობის ძირეულ მოთხოვნას: საავტორო სამართლით დაცული ობიექტის ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად შექმნის შესახებ. ბერნის კონვენციის დებულების მიხედვით საავტორო სამართლით დაცულია ყველა ინტელექტუალური ნაწარმოები, მიუხედავად მათი ტიპისა, დანიშნულებისა, გამოხატვის ფორმისა და ა. შ..

ინტელექტუალური საკუთრების სამართლის თეორიის საყოველთაოდ მიღებული განმარტებით ნაწარმოები ინტელექტუალურად მიიჩნევა და ექცევა საავტორო სამართლის დაცვის ქვეშ თუ აკმაყოფილებს ორიგინალურობის, თვითმყოფადობის კრიტერიუმებს, ან აქვს ეს ნიშანი. ორიგინალურობა და თვითმყოფადობა თავის მხრივ გამოიხატება იმიში, რომ ნაწარმოები კონკრეტული ავტორის პიროვნულ-ინტელექტუალურ, ორიგინალურ, განსხვავებულ ქმნილებას წარმოადგენს და არ იმეორებს სხვა ნაწარმოებს.

9. მოსარჩელის მიერ შექმნილი „Coca-Cola“-ს ქართული ლოგო წარმოადგენს ლათინურ ანბანში შექმნილი „Coca-Cola“-ს ლოგოტიპის ტრანსკრიპტიზაციას /კოპირებას/ და ადაპტაციას /გადამუშავებას/ ქართულ ანბანში, რის გამოც ის არ წარმოადგენს ავტორის პიროვნულ ინტელექტუალურ ქმნილებას, გამორჩეულს ინდივიდუალურობით და ორიგინალურობით.

სასამართლო კოლეგია ამ დასკვნამდე მივიდა „Coca-Cola“-ს ორიგინალური ლათინური ლოგოს ნახატისა და ქართული ლოგოს ნახატის ურთიერთშედარების საფუძველზე.

ლათინური ლოგოს ნახატი წარმოადგენს წითელ ფონზე სტილიზებულად წარწერილი ლათინური ანბანით სიტყვების „Coca-Cola“-ს გამოხატულებას, ქართული ლოგოს ნახატი ასევე წარმოადგენს წითელ ფონზე ანალოგიურად სტილიზებულად წარწერილი ქართული ანბანით სიტყვების „კოკა-კოლა“-ს გამოხატულებას; ეს ნახატები ერთიმეორისაგან განსხვავდება მხოლოდ სიტყვების „Coca-Cola“ – სხვადასხვა ანბანით გამოსახვით, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული ლოგო წარმოადგენს ლათინური ლოგოს ტრანსლიტერაციას, ერთი დამწერლობის ასოების გადაცემას სხვა დამწერლობის ასოებით;

10. საავტორო სამართალი იცავს რა ნებისმიერ ინტელექტუალურ ქმნილებას და მოთხოვნას არ უყენებს მის ღირსებას, ღონეს, მისი მოთხოვნა მიმართულია ნაწარმოების შინაარსის, იდეების გამოხატვის ფორმების ინდივიდუალურობის და ორიგინალურობისაგან.

სასამართლო კოლეგიამ დ. მანჯგალაძის მიერ „Coca-Cola“ ლათინური ლოგოს მიხედვით, ქართული ანბანით შექმნილ ლოგოზე გამოხატვის ორიგინალური ფორმა ვერ გამოკვეთა.

მოსარჩელემ ქართული ლოგოს შექმნისას მოახდინა იმ ხაზების კოპირება, რაც ლოგოს ლათინურ ვარიანტში სიტყვას, „Coca-Cola“ თან დაჰყვება, ვინაიდან ქართულ ლოგოზე ქართული ასოების ორნამენტების უმეტესობა იდენტური ან მსგავსია იმ ასოების ორნამენტებისა, რაც გამოსახულია ლათინურ ლოგოზე. უმნიშვნელო განსხვავება, რომელიც ამ ორ ვარიანტს შორის არსებობს განპირობებულია ლათინური და ქართული ასოების ფორმებს შორის არსებული განსხვავებით.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ მოსარჩელის მიერ ლათინური ლოგოს ქართული ტრანსლიტერაცია განხორციელებულია მხოლოდ პროფესიული ცოდნისა და ჩვევების გამოყენებით, მიმართული ორიგინალურ ნაწარმოებთან მაქსიმალურად მიმსგავსებისაკენ, რაც ინტელექტუალურ-შემოქმედებით საქმიანობას არ წარმოადგენს.

11. ის გარემოება, რომ მანჯგალაძის ნამუშევარს გამოხატვის ორიგინალური და ინდივიდუალური ფორმები არ ახასიათებს დასტურდება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორ გოჩა წულაძის დასკვნის იმ ნაწილითაც, სადაც პროფესორი მიუთითებს, რომ მანჯგალაძის მიერ თავისი ნამუშევარის შექმნისას „Coca-Cola“ გამოხატვის ფორმა სრულად და მაქსიმალურად არის დაცული.

ასეთივე მითითებას შეიცავს მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მეცნიერთა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ზენაწერთა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ ელენე მაჭავარიანის დასკვნაც.

12. სასამართლო კოლეგია დადგენილად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ „Coca-Cola“-ს ქართული ესკიზი შეიქმნა „Coca-Cola“-ს ქართული სასაქონლო ნიშნად მისი გამოყენებისათვის ეს გარემოება სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია მოსარჩელის მიერ სასამართლო სხდომაზე გაკეთებული ზეპირი განმარტებების საფუძველზე.

ამ დადასტურებულად მიჩნეული გარემოების საფუძველზე სასამართლო აკეთებს დასკვნას, რომ ქართული ლოგოს შექმნისას მოსარჩელეს გამოხატვის ინდივიდუალურობის და ორიგინალურობის შესაძლებლობებში ზღუდავდა მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ქართული ლოგო მაქსიმალურად იდენტური უნდა ყოფილიყო ლათინურ ლოგოსთან, რათა მას მაქსიმალურად შეენარჩუნებინა ლათინური სასაქონლო ნიშნის „Coca-Cola“ ფუნქცია, რომელიც მომხმარებელს წარწერის ანბანური გამოსახვის მოუხედავად ერთი შეხედვით, ერთბაშად შეუქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ სასაქონლო ნიშანი „Coca-Cola“-

სია. სხვაგვარად ქართული ლოგო ვერ იქცეოდა „Coca-Cola“-ს ქართულ საეჭვო ნიშნად, სხვანაირ ნიშანს „ზე კოკა-კოლა კომპანი“ არ მოიწონებდა და არ დაარეგისტრირებდა.

ის ფაქტი, რომ მოსარჩელეს ლოგოზე მუშაობისას გაცნობიერებული ჰქონდა სასამართლოს მიერ ზემოთ მითითებული მოთხოვნები დასტურდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელის ზეპირი ახსნა-განმარტებით.

13. მანჯგალაძის მიერ შექმნილი სასაქონლო ნიშანი იმდენად მაქსიმალურადაა მიმსგავსებული ორიგინალურ სასაქონლო ნიშანთან: გაფორმების სტილით, გაფერადების ფონით, ასოთა გამოსახვის სტილიზების ფორმით, რომ ერთი თვალის შევლებით აღიქმება, რომ ეს არის „Coca-Cola“-ს სასაქონლო ნიშანი, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ არის ერთი და იგივე ნაწარმოები.

ზემოთ აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელის მიერ შექმნილი „Coca-Cola“-ს ქართული ლოგო „კოკა-კოლა“ ვერ პასუხობს ორიგინალურობის მოთხოვნებს, შესაბამისად არ წარმოადგენს ინტელექტუალურ ქმნილებას და საავტორო სამართლით დაცვადი არ არის, რის გამოც მოსარჩელის მიერ თავისი მოთხოვნის საფუძვლად მითითებული სამართლებრივი ნორმები არ შეესაბამება მის მოთხოვნას.

14. სასამართლო კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ რომ დ. მანჯგალაძის მიერ „Coca-Cola“-ს ქართული ლოგოტიპის შექმნა განხორციელდა შპს „კოკა-კოლა კავკასიონთან“, ამჟამად შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, შეთანხმებითა და დაკვეთით.

დაკვეთის ფაქტი დასტურდება მოსარჩელის დ. მანჯგალაძის მიერ მთავარ სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებით, და სამხტერო საბჭოს 1993 წლის 27 აპრილის სხდომის ოქმიდან (№8) ამონაწერით ამ ოქმის გრაფიში „დამკვეთი“ მითითებულია „კავკასიონი“; „დაკვეთილ სამუშაოდ“ – ფირმა კოკა-კოლას ქართული ლოგოტიპი; „ავტორად“ – დიმიტრი მანჯგალაძე.

ოქმის მიხედვით საავტორო პონორარად განსაზღვრულია 50.000 მანეთი.

15. სასამართლო კოლეგია დადასტურებულად მიიჩნევს, რომ სამხატვრო საბჭოს მიერ დიმიტრი მანჯგალაძის ნამუშევრის დამტკიცება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ის გამოყენებული უნდა ყოფილიყო ფირმა „კოკა-კოლას“ პროდუქციის რეკლამისათვის. ასეთის შესახებ მითითებას შეიცავს სამხატვრო საბჭოს სხდომის ოქმი და დადასტურებულია მოსარჩელის განმარტებებითაც.

მოსარჩელის განმარტებით „კოკა-კოლა“ ვერ გამოიყენებდა მის მიერ შექმნილ ლოგოტიპს, ე.ი. ვერ დაამზადებდა სარეკლამო რგოლებს, სამხატვრო საბჭოს მიერ მისი დამტკიცების გარეშე.

მოთხოვნა სამხატვრო საბჭოს მიერ ასეთი ნამუშევრის დამტკიცების თაობაზე გამომდინარეობს სამხატვრო ფონდის ორგანიზაციებისა და საწარმოების სამხატვრო საბჭოს შესახებ სანიმუშო წესდებიდან. კერძოდ, დებულების მე-9 პუნქტით, ნაწარმოების წარმოებაში გადასაცემად აუცილებელია მათი დამტკიცება. სააუტორო ანაზღაურების ოდენობას მოცემულ შემთხვევაში განსაზღვრავს სამხატვრო საბჭო, ნამუშევრის ავტორთან შეთანხმებით.

16. სამხატვრო საბჭომ დაბულების მე-9 პუნქტის მიხედვით მინიჭებული უფლებამოსილებით განსაზღვრა რა დ. მანჯგალაძის საავტორო ანაზღაურების ოდენობა, (50.000 მანეთი) ამის შესახებ მიუთითა კიდევ სამხატვრო საბჭოს სხდომის ოქმში, ხოლო ვინაიდან ამ ოქმს ხელს აწერს თვითონ დიმიტრი მანჯგალაძეც, სასამართლო კოლეგია თელის, რომ სამხატვრო საბჭოს მიერ საავტორო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა მოხდა ავტორთან, დიმიტრი მანჯგალაძესთან შეთანხმებით. მოსარჩელემ ასევე განმარტა, რომ ოქმში ყველა ფაქტობრივი მონაცემის შეტანა მოხდა მისი მითითებით.

17. სასამართლომ დადაგენილად მიიჩნია რა დაკვეთის არსებობა და დაკვეთილი სამუშაოს შესრულების ფაქტი, დგება ამ სამუშაოს ანაზღაურების საკითხი; როგორც მოსარჩელემ განმარტა, რომ სამხატვრო საბჭოს ოქმში (№8) მითითებული თანხა 50.000 მანეთი არის მისი პონორარი, რომელიც „კაკასიონს“ დამკვეთს სამხატვრო საბჭოს მეშვეობით უნდა გადაეხადა მისთვის.

მოსარჩელემ აგრეთვე განმარტა, რომ ეს თანხა 50.000 მანეთი „კაკასიონის“ მიერ არ ჩარიცხულა სამხატვრო კომბინატში, არ მიუღია მას და არც თვითონ გამოუყენებია მისი მოთხოვნის უფლებამოსილება, რადგან მიიჩნია, რომ აღნიშნული მის ნებას წარმოადგენს. მას ამ საფუძველზე მოთხოვნა არ დაუყენებია არც მოცემული დავის განხილვის პროცესში.

სასამართლო კოლეგიას უსაფუძველოდ მიაჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილშიც.

მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვს იმ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით, რომ მოპასუხეების მხრიდან მისი საავტორო უფლების დარღვევამ მასში გამოიწვია მავნე განცდები და შეელახა ავტორიტეტი, რომელთა გამოც განიცადა მორალური ზიანი.

მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად უთითებს სკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილს და 413-ე მუხლებს.

სკ-ის მე-18 მუხლში ამომწურავადა ჩამოთვლილი ის სიკეთეები, რომელთა დაცვაც შესაძლებელია განხორციელდეს ამ მუხლის საფუძველზე: სახელი, პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ზელმეუხებლობა, საქმიანი რეპუტაცია. ამავე მუხლით განსაზღვრულია ამ სიკეთეების ზელყოფისაგან დაცვის ფორმები: პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის,

პირადი ცხოვრების, პირადი ხელშეუხებლობის შემლახველი ცნობების უარყოფა, ასეთი ცნობების გამაჟვრელებელი პირის მიერ. მე-18 მუხლის მე-ნაწილი კი ადგენს მე-18 მუხლით გათვალისწინებული სიკეთის ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

საავტორო უფლებების დარღვევის შედეგად, ავტორიტეტის შელახვისა და მანვე განცდების სახით, გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი მოქმედი სამოქალაქო კოდექსით, კერძოდ მე-18 მუხლით დადგენილი არ არის.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ „ზე კოკა-კოლა კომპანი“-ს შეგებებული სარჩელი უსაფუძვლოა და მას უარი უნდა ეთქვას შემდეგი გარემოებების გამო:

1. სასამართლო კოლეგია დადგენილად მიიჩნევს, რომ ლათინური ლოგოს „Coca-Cola“, ქართული ვარიანტის, ქართული ლოგოს „კოკა-კოლა“ ავტორი არის მხატვარ-დიზაინერი დიმიტრი მანჯგალაძე. ის გარემოებები, რომელთა საფუძველზეც სასამართლო კოლეგიამ ქართული ლოგოტიპის „კოკა-კოლა“ ავტორად მიიჩნია დიმიტრი მანჯგალაძე გამოკვლეული და მითითებულია ამ გადაწყვეტილებაში ძირითადი სარჩელის შეფასებისას.

ამდენად, უსაფუძვლოა „ზე კოკა-კოლა კომპანი“-ს შეგებებული სარჩელის მოთხოვნა ქართული ლოგოს ავტორად მისი აღიარების შესახებ.

2. სასამართლო კოლეგიას დიმიტრი მანჯგალაძე არ მიაჩნია „ზე კოკა-კოლა კომპანი“-ს საავტორო უფლების დამრღვევად ლათინურ ლოგოზე „Coca-Cola“, ვინაიდან დ. მანჯგალაძის მიერ ქართული ესკიზის შექმნისას სრულად და მაქსიმალურად იქნა შენარჩუნებული ორიგინალური ლათინური ლოგოს გამოხატვის ფორმა, რამაც განაპირობა ის, რომ „ზე კოკა-კოლა კომპანი“-მ მოიწონა ქართული ლოგო და ის დაარეგისტრირა თავის სასაქონლო ნიშნად.

„ზე კოკა-კოლა კომპანი“-ს მიერ მანჯგალაძის ქართული ლოგოტიპის თავის სასაქონლო ნიშნად დარეგისტრირების ფაქტს, სასამართლო კოლეგია განიხილავს მის თანხმობად ასეთი ლოგოს შექმნაზე.

3. სასამართლო კოლეგიას ასევე უსაფუძვლოდ მიაჩნია შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მანჯგალაძისათვის „Coca-Cola“-ს ლათინური და ქართული ლოგოს გამოყენების აკრძალვის თაობაზე, ვინაიდან მოსარჩელის მიერ დადასტურებული არ იქნა, რომ დ. მანჯგალაძე რაიმე ფორმით იყენებდა ან იყენებს „Coca-Cola“-ს ან ლათინურ ან ქართულ ლოგოტიპს.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 249-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით, გადაწყვიტა:

1. უარი ეთქვას დაკმაყოფილებაზე დიმიტრი მანჯგალაძის სარჩელს შ.პ.ს. „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიასა“ და „ზე კოკა-კოლა კომპანი“-ს მიმართ, დარღვეული საავტორო უფლების აღდგენის შესახებ.

2. უარი ეთქვას დაკმაყოფილებაზე „ზე კოკა-კოლა კომპანი“-ს შეგებულ სარჩელს დიმიტრი მანჯგალაძის მიმართ, დარღვეული საავტორო უფლების აღდგენის შესახებ.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით მხარეთათვის მოტივირებული გადაწყვეტილების გადაცემიდან ერთი თვის განმავლობაში.



ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ 3კ/1239-01

19 ივლისი, 2002 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და აკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბეჟან ზიმშიაშვილი (თავმჯდომარე),

ქეთევან გაბელაია (მომხსენებელი),

თენგიზ კობახიძე

სხდომის მდივანი: გურამ სუპატაშვილი

კასატორი: დიმიტრი მანჯგალაძე (მოსარჩელე, მოპასუხე შეგებულ სარჩელში); წარმომადგენელი – არჩილ კბილაშვილი

შეგებულ საკასაციო საჩივრის შემომტანი: „ზე კოკა-კოლა კომპანი“ (მოპასუხე, მოსარჩელე შეგებულ სარჩელში); წარმომადგენელი – მარეზ ამირაშვილი, შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ (მოპასუხე)

გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება

კასატორის მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღება, სარჩელის დაკმაყოფილება

შეგებებული საკასაციო საჩივრის თხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება შეგებებულ სარჩელზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღება, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება

დავის საგანი: დარღვეული საავტორო უფლებების აღდგენა, მორალური ზიანის ანაზღაურება (ძირითად სარჩელში); ლოგოტიპის ქართული ვერსიის ერთადერთ ავტორად და მესაკუთრედ ცნობა, მოსარჩელისათვის ლოგოტიპის გამოყენების აკრძალვა (შეგებებულ სარჩელში).

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

დომიტრი მანჯგალაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ და „ზე კოკა-კოლა კომპანის“ მიმართ და მოითხოვა მათთვის 1.320000 ლარის სოლიდარულად დაკისრება შემდეგი საფუძვლით: 1976 წელს შექმნა „კოკა-კოლას“ ლათინური გამოსახულების ქართული ლოგოტიპის ესკიზი. 1993 წლის აპრილში მას და „კოკა-კოლა კავკასიონის“ (ამჟამად „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“) პრეზიდენტ თემურ ჭყონიას შორის მიღწეულ იქნა ზეპირსიტყვიერი შეთანხმება ლოგოტიპის ესკიზის აშშ-ში, კერძოდ, ატლანტაში მდებარე „ზე კოკა-კოლა კომპანის“ შტაბ-ბინაში გაგზავნის თაობაზე იმ მიზნით, რათა მომხდარიყო მისი, როგორც სავაჭრო ნიშნის, შეფასება (მოწონება). აღნიშნული შეთანხმების მიხედვით, ლოგოტიპის ესკიზის მოწონების შემთხვევაში დ. მანჯგალაძეს და შპს „კოკა-კოლა კავკასიონის“ შორის უნდა გაფორმებულიყო შესაბამისი საავტორო ხელშეკრულება. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლოგოტიპის ესკიზი მოწონებულ იქნა „ზე კოკა-კოლა კომპანის“ მიერ, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული ლოგოტიპი. საქაბტენტმა რეგისტრაციაში გაატარა „ზე კოკა-კოლა კომპანის“ სახელზე, როგორც სავაჭრო ნიშანი. 1993 წლის იელისიდან საქართველოში დაიწყო კოკა-კოლას ჩამოსხმა და რეალიზაცია დ.მანჯგალაძის მიერ შექმნილი ლოგოტიპის გამოყენებით, მასთან საავტორო ხელშეკრულების გაფორმებისა და საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე. სადავო თანხის გამოანგარიშებას მოსარჩელემ საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ მოპასუხეთა მიერ ყოველწლიურად ჩამოიხსმება

15 მილიონი ლარის ღირებულების კოკა-კოლა, რაც საერთო ჯამში 1993 წლიდან 2001 წლამდე შეადგენს 120 მილიონ ლარს. აღნიშნული ღირებულების 1% კი შეადგენს მილიონ ორასი ათას ლარს. მოსარჩელემ მიუთითა, რომ საავტორო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში იგი დათანხმდებოდა „კოკა-კოლას“ სარეალიზაციო ფასის არანაკლებ 1%-ის ოდენობის ჰონორარზე. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა მოპასუხეებისთვის მის მიერ შექმნილი „კოკა-კოლას“ ქართული ლოგოტიპის გამოყენების აკრძალვა მისი თანხმობისა და საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო. „ზე კოკა-კოლა კომპანიმ“ სასარჩელო მოთხოვნათა გასაქარწყლებლად წარმოადგინა შეგებებული სარჩელი, რომელშიც მიუთითა, რომ სასაქონლო ნიშანი „Coca-Cola“ საყოველთაოდ ცნობილი ნიშანია, წარმოადგენს „ზე კოკა-კოლა კომპანის“ საკუთრებას და ამ ნიშანზე 1892 წლიდან გააჩნია ყველა ქონებრივი და არაქონებრივი ექსკლუზიური უფლება; აღნიშნული ლოგოტიპი რეგისტრირებულია თითქმის ყველა ქვეყანაში; საბჭოთა კავშირში ლოგოტიპის სარეგისტრაციო განაცხადი შეტანილი იყო 1925 წელს და რეგისტრირებულია 1928 წლიდან. „ზე კოკა-კოლა კომპანიმ“ სასაქონლო ნიშანზე „Coca-Cola“ სარეგისტრაციო განაცხადი საქართველოში შეიტანა 1992 წელს, ხოლო ქართული ტრანსლიტერული ვარიანტის სარეგისტრაციო განაცხადი – 1993 წელს; როგორც ინგლისური, ისე ქართული ვერსიები საქართველოში სასაქონლო ნიშნებად რეგისტრირებულია 1996 წლიდან; საქართველოში სხვადასხვა დროს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად მოცემული ნიშნის სხვადასხვა ანბანით გამოსახვა, ანუ ტრანსლიტერაცია წარმოადგენს ტექნიკურ შესრულებას, უკვე არსებული ნამუშევრის უბრალო იმიტაციას ან კოპირებას. ტრანსლიტერული ნამუშევარი არ არის საავტორო უფლების ობიექტი ვინაიდან არ წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის ნაყოფს და არ ახასიათებს ორიგინალურობა; „ზე კოკა-კოლა კომპანისა“ და მოსარჩელეს შორის არ ყოფილა არანაირი შეთანხმება „Coca-Cola-ს“ ნიშნის თარგმნის ან სხვაგვარი გადამუშავების თაობაზე; ის გარემოება, რომ დამანჯგალაძემ საავტორო უფლებათა დაცვის სააგენტოში უკანონოდ გაატარა რეგისტრაციაში ლოგოტიპის ქართული ვერსია, როგორც საკუთარი ორიგინალური ქმნილება, ლახავს „ზე კოკა-კოლა კომპანის“ საავტორო უფლებებს. შეგებებული სარჩელით მოპასუხემ მოითხოვა „ზე კოკა-კოლა კომპანის“ აღიარება „Coca-Cola-ს“ ლოგოტიპის და მისი ქართული ტრანსლიტერული ვერსიის ავტორად და ერთადერთ მესაკუთრედ; დამანჯგალაძის მიჩნევა „ზე კოკა-კოლა კომპანის“ საავტორო უფლებათა დამრღვევად; მისთვის, როგორც საავტორო უფლებების დამრღვევისათვის, ლათინური ლოგოტიპის და მისი

ქართული ტრანსლიტერული ვერსიის ნებისმიერი ფორმით გამოყენების აკრძალვა. მოპასუხებ შეგებებულ სარჩელს თან დაურთო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინტელექტუალური სამართლის სფეროში მოღვაწე ფრანგი სპეციალისტის – პიერ ლენუარის დასკვნა, ასევე – ქართველი სპეციალისტის, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის წევრის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის, ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ლექტორის – დავით ძამუკაშვილის სამართლებრივი დასკვნა.

2001 წლის 1 ოქტომბრის განცხადებით მოსარჩელე დ.მანჯგალაძემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა 87500 ლარის ოდენობით ამასთან, განცხადებას დაურთო პროფესორ გოჩა წულაძისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის, ხელოვნებათმცოდნის, დოქტორის, პროფესორ ელენე მაჭავარიანის დასკვნები და ხელოვნების სფეროში მოღვაწე მაიკლ ანიკსტის საექსპერტო ანგარიში.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა არც დ.მანჯგალაძის სარჩელი და არც „ზე კოკა-კოლა კომპანის“ შეგებებული სარჩელი. აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლომ დააფუძნა შემდეგ გარემოებებს: მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ქართული ლოგოტიპი „კოკა-კოლა“ ობიექტური ფორმით არსებობდა 1993 წლიდან და მისი ავტორია მოსარჩელე; აღნიშნული ლოგოტიპის ქართული ესკიზი წარმოადგენს ნახატს. ნახატი კი, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 489-ე მუხლის თანახმად, საავტორო უფლების საგანი შეიძლება იყოს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც ვერ იქნება განხილული როგორც საავტორო სამართლით დაცული ობიექტი, ვინაიდან არ აკმაყოფილებს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ საავტორო სამართლის ობიექტის დაცვისუნარიანობის ძირეულ მოთხოვნას საავტორო სამართლით დაცული ობიექტის ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად შექმნის შესახებ; მოსარჩელის მიერ შექმნილი „Coca-Cola“-ს ქართული ლოგოტიპი წარმოადგენს ლათინურ ანბანში შექმნილი ლოგოტიპის ტრანსკრიპტიზაციას (კოპირებას) და ადაპტაციას (გადამუშავებას) ქართულ ანბანში, ანუ მის ტრანსლიტერაციას – ერთი დამწერლობის ასოების გადაცემას სხვა დამწერლობის ასოებით, რის გამოც იგი არ წარმოადგენს ავტორის პიროვნულ ინტელექტუალურ ქმნილებას, გამორჩეულს ინდივიდუალურობით და ორიგინალურობით.

სასამართლო კოლეგიამ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ იმ საფუძველით, რომ საავტორო

უფლებების დარღვევის შედეგად ავტორიტეტის შელახვისა და განცდების სახით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი არ არის.

სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია ასევე შეგებებული სარჩელის მოთხოვნა ქართული ლოგოს ავტორად „ზე კოკა-კოლა კომპანის“ აღიარების შესახებ, არ ჩათვალა რა დ.მანჯგალაძე „ზე კოკა-კოლა კომპანის“ საავტორო უფლებების დამრღვევად, ვინაიდან დ.მანჯგალაძის მიერ ქართული ესკიზის შექმნისას სრულად და მაქსიმალურად იქნა შენარჩუნებული ორიგინალური ლათინური ლოგოს გამოხატვის ფორმა, რამაც გამოიწვია ამ ლოგოტიპის მოწონება და მის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციაში გატარება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა დიმიტრი მანჯგალაძემ, რომელიც მოითხოვს აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმებას სარჩელზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არის ურთიერთსაწინააღმდეგო და კონკრეტულ შინაარსს მოკლებული. კერძოდ, ერთი და იგივე ობიექტი ერთდროულად არ შეიძლება აღიარებულ იქნეს ნახატად და ტრანსლიტერაციად; არ არის მართებული სასამართლოს მიერ ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორცაა „კოპირება“ და „ადაპტაცია“, ვინაიდან ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ტერმინი „კოპირება“ ნიშნავს ასლს, ხოლო „ადაპტაცია“ განმარტებულია, როგორც შეწყობა, მორგება. ამდენად, არ შეიძლება ერთი და იგივე ობიექტი ერთდროულად იყოს, ერთი მხრივ, რომელიმე საგნის ასლი და მეორე მხრივ – იმავე საგნის ადაპტაცია. სასამართლოს ასეთ შემთხვევაში უნდა გამოეყენებინა ბერნის კონვენციის 2(3) მუხლი, რომლის თანახმად თარგმანი, ადაპტაცია, მუსიკალური არანჟირება და ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოების სხვაგვარი გადაკეთება დაცულია ისევე, როგორც ორიგინალური ნაწარმოები, ორიგინალური ნაწარმოების ავტორის უფლებების შეულახავად. კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 489-ე მუხლი და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა – ამავე კოდექსის 506-ე მუხლი. ასევე დაარღვია სამოქალაქო სპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რაც გამოიხატა წარდგენილი მტკიცებულებების არასწორ შეფასებაში.

მოპასუხე „ზე კოკა-კოლა კომპანის“ წარმომადგენელმა მარეს ამირაშვილმა შეგებებული საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება შეგებებულ სარჩელზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის მოტივები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება და განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის საოლქო სასამართლოს იმავე კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელე მხატვარ-დიზაინერი დიმიტრი მანჯგალაძე არის ლათინური ლოგოს „Coca-Cola-ს“ ქართული ვარიანტის ქართული ლოგოს „კოკა-კოლა“ ესკიზის ავტორი. მოსარჩელის მიერ შექმნილი ლათინური ლოგოს „Coca-Cola-ს“ ქართული ესკიზი წარმოადგენს ნახატს, ნახატი კი საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964წ.) 489-ე მუხლის მიხედვით საავტორო უფლების საგანი შეიძლება იყოს, მაგრამ ის მაინც ვერ იქნება განხილული როგორც საავტორო სამართლით დაცული ობიექტი, ვინაიდან არ აკმაყოფილებს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ საავტორო სამართლის ობიექტის დაცვისუნარიანობის ძირეულ მოთხოვნას საავტორო სამართლით დაცული ობიექტის ინტელექტური საქმიანობის შედეგად შექმნის შესახებ. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მიერ შექმნილი „Coca-Cola-ს“ ქართული ლოგო წარმოადგენს ლათინურ ანბანზე შექმნილი „Coca-Cola“-ს ლოგოტიპის ტრანსკრიპტიზაციას (კოპირებას) და ადაპტაციის (გადამუშავებას) ქართულ ანბანთან და მიიჩნია, რომ აღნიშნულის გამო იგი არ წარმოადგენს ავტორის ინტელექტუალურ ქმნილებას გამორჩეულს ინდივიდუალობით და ორიგინალობით.

პალატა თვლის, რომ კოლეგიის აღნიშნული მსჯელობა ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავია. კოლეგია სადავოდ არ ხდის იმ ფაქტს, რომ ქართული ლოგოს ავტორი არის მოსარჩელე, თუმცა იგი მიიჩნევს, რომ მის მიერ შესრულებული ლოგო არის ლათინური ანბანით შექმნილი „Coca-Cola“-ს კოპირება და გადამუშავება.

პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ არ შეიძლება ერთი და იგივე ობიექტის მიმართ გაკეთდეს დასკვნა, რომ იგი არის ლათინური ლოგოს „Coca-Cola“-ს ლოგოტიპის ტრანსკრიპტიზაცია (კოპირება) და ადაპტაცია (გადამუშავება). პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში კოლეგიამ ვერ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება – მოცემული ნახატი „Coca-Cola“-ს ლათინური ლოგოტიპის კოპირებაა თუ ადაპტაცია, რადგან ერთდროულად ერთი და იგივე ობიექტი კოპირებაც იყოს და გადამუშავებაც, შეუძლებელია. კოპირებას არ იცავს ლიტერატურისა და მხატვრული ნაწარმოებებით დაცვის შესახებ, ბერნის საერთაშორისო კონვენცია, მაშინ როცა აღნიშნული კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით ადაპტაციის ავტორები დაცული

არიან ისევე, როგორც ორიგინალური ნაწარმოების ავტორები.

პალატა თვლის, რომ კოლეგიამ ხელახლა განხილვის დროს უნდა დაადგინოს ფაქტობრივი გარემოება – განსახილველი ნაშრომი ლათინური ლოგოტიპის კოპირებაა თუ მისი ადაპტაცია და მიიღოს შესაბამისად გადაწყვეტილება. ასევე უნდა გამოარკვიოს, რამდენად საფუძვლიანია მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების რაოდენობის ნაწილში.

პალატა ასევე თვლის, რომ უნდა დაკმაყოფილდეს „ზე კოკა-კოლა ენდ კომპანის“ შეგებებული საკასაციო საჩივარი, რომლითაც ითხოვენ გადაწყვეტილების გაუქმებას მათი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და დიმიტრი მანჯგალაძის ჩათვლას „ზე კოკა-კოლა კომპანის“ საავტორო უფლებების დამრღვევად, რადგან კოლეგიამ შეგებულ სარჩელზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა ის, რომ ქართული ლოგოტიპის „კოკა-კოლას“ ავტორად მიჩნეულია დიმიტრი მანჯგალაძე და აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოდ ჩათვალა „ზე კოკა-კოლა კომპანის“ შეგებებული სარჩელის მოთხოვნა ქართულ ლოგოს ავტორად მისი აღიარების შესახებ. მოცემულ სიტუაციაში, როცა გადაწყვეტილება პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია დ. მანჯგალაძის სარჩელი უარის თქმის ნაწილში, საფუძველს მოკლებულია შეგებებულ სარჩელზე უარის თქმაც კოლეგიის გადაწყვეტილების აღნიშნული მოტივით.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

დიმიტრი მანჯგალაძის საკასაციო საჩივარი და „ზე კოკა-კოლა კომპანის“ შეგებებული საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს თბილისის საოლქო სასამართლოს იმავე კოლეგიას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



ბ ა დ ა წ ყ ვ ე მ ტ ი ლ მ ბ ა

საქართველოს სახელით

№2ა-32-2003

24 ივლისი, 2003წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია

შემადგენლობა: მ. ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
გ. გულედანი (მომხსენებელი),
მ. ჯიყაშვილი

სხდომის მდივანი: ი.ხიჯაკაძე

მოსარჩელე: დმიტრი მანჯგალაძე; წარმომადგენელი – ა.კბილაშვილი

მოპასუხეები: 1) შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“; წარმომადგენელი – ზ.კორძაძე; 2) „ზე კოკა-კოლა კომპანი“; წარმომადგენელი – მაპირაშვილი

დავის საგანი: დარღვეული საავტორო უფლების აღდგენა და მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელე (შეგებებულ სარჩელზე): „ზე კოკა-კოლა კომპანი“; წარმომადგენელი – მაპირაშვილი

მოპასუხე: დმიტრი მანჯგალაძე; წარმომადგენელი – ა.კბილაშვილი

დავის საგანი: დარღვეული საავტორო უფლების აღდგენა.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

დმიტრი მანჯგალაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიასა“ და „ზე კოკა-კოლა კომპანის“ მიმართ და მოითხოვა მათთვის 1120000 ლარის სოლიდარულად დაკისრება შემდეგი საფუძველით: 1976 წელს მან შექმნა „კოკა-კოლას“ ლათინური გამოსახ-

ულების ქართული ლოგოტიპის ესკიზი. 1993 წლის აპრილში მას და „კოკა-კოლა კავკასიონის“ (ამჟამად „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“) პრეზიდენტ თემურ ჭყონიას შორის მიღწეულ იქნა ზეპირსიტყვიერი შეთანხმება ლოგოტიპის ესკიზის აშშ-ში, კერძოდ, ატლანტაში მდებარე „ზე კოკა-კოლა კომპანის“ შტაბბინაში გაგზავნის თაობაზე იმ მიზნით, რათა მომხდარიყო მისი, როგორც სავაჭრო ნიშნის, შეფასება (მოწონება). აღნიშნული შეთანხმების მიხედვით, ლოგოტიპის ესკიზის მოწონების შემთხვევაში დამანჯგალაძესა და შპს „კოკა-კოლა კავკასიონს“ შორის უნდა გაფორმებულიყო შესაბამისი საავტორო ხელშეკრულება. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლოგოტიპის ესკიზი მოწონებული იქნა „ზე კოკა-კოლა კომპანის“ მიერ, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული ლოგოტიპი საქაატენტმა რეგისტრაციაში გაატარა „ზე კოკა-კოლა კომპანის“ სახელზე, როგორც სავაჭრო ნიშანი. 1993 წლის ივლისიდან საქართველოში დაიწყო კოკა-კოლას ჩამოსხმა და რეალიზაცია დამანჯგალაძის მიერ შექმნილი ლოგოტიპის გამოყენებით, მასთან საავტორო ხელშეკრულების გაფორმებისა და საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე. სადავო თანხის გამოანგარიშებას მოსარჩელემ საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ მოპასუხეთა მიერ ყოველწლიურად ჩამოსხმება 15 მილიონი ლარის ღირებულების კოკა-კოლა, რაც საერთო ჯამში 1993 წლიდან 2001 წლამდე შეადგენს 120 მილიონ ლარს. აღნიშნული ღირებულების 1% კი შეადგენს მილიონ ორასი ათას ლარს. მოსარჩელემ მიუთითა, რომ საავტორო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში იგი დათანხმებოდა „კოკა-კოლას“ სარეალიზაციო ფასის არანაკლებ 1%-ის ოდენობის ჰონორარზე. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა მოპასუხეებისათვის მის მიერ შექმნილი „კოკა-კოლას“ ქართული ლოგოტიპის გამოყენების აკრძალვა მისი თანხმობისა და საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე.

მოსარჩელემ გარდა მისი საავტორო უფლებების დარღვევით გამოწვეული მატერიალური ზარალის ანაზღაურებისა მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება 120000 ლარის ოდენობით.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო. „ზე კოკა-კოლა კომპანიმ“ სასარჩელო მოთხოვნათა გასაქარწყლებლად წარმოადგინა შეგებებული სარჩელი, რომელშიც მიუთითა, რომ სასაქონლო ნიშანი „Coca-Cola“ საყოველთაოდ ცნობილი ნიშანია, წარმოადგენს „ზე კოკა-კოლა კომპანის“ საკუთრებას და ამ ნიშანზე 1892 წლიდან გააჩნია ყველა ქონებრივი და არაქონებრივი ექსკლუზიური უფლება; აღნიშნული ლოგოტიპი რეგისტრირებულია თითქმის ყველა ქვეყანაში; საბჭოთა კავშირში ლოგოტიპის სარეგისტრაციო განაცხადი შეტანილი იყო 1925 წელს და რეგისტრირებულია 1928 წლიდან. „ზე კოკა-კოლა კომპანიმ“ სასაქონლო ნიშანზე „Coca-Cola“ სარეგისტრაციო განაცხადი საქართველოში შეიტანა 1992 წელს, ხოლო ქართული ტრანს-

ლიტერული ვარიანტის სარეგისტრაციო განაცხადი – 1993 წელს; როგორც ინგლისური, ისე ქართული ვერსიები საქართველოში სასაქონლო ნიშნებად რეგისტრირებულია 1996 წლიდან; საქართველოში სხვადასხვა დროს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად მოცემული ნიშნის სხვადასხვა ანბანით გამოსახვა, ანუ ტრანსლიტერაცია, წარმოადგენს ტექნიკურ შესრულებას უკვე არსებული ნამუშევრის უბრალო იმიტაციას ან კოპირებას. ტრანსლიტერული ნამუშევარი არ არის საავტორო უფლების ობიექტი, ვინაიდან არ წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებით შრომის ნაყოფს და არ ახასიათებს ორიგინალურობა; „ზე კოკა-კოლა კომპანისა“ და მოსარჩელეს შორის არ ყოფილა არანაირი შეთანხმება „Coca-Cola“-ს ნიშნის თარგმნის ან სხვაგვარი გადამუშავების თაობაზე; ის გარემოება, რომ დ.მანჯგალაძემ საავტორო უფლებათა დაცვის სააგენტოში უკანონოდ გაატარა რეგისტრაციაში ლოგოტიპის ქართული ვერსია, როგორც საკუთარი ორიგინალური ქმნილება, ლახავს „ზე კოკა-კოლა კომპანის“ საავტორო უფლებებს. შეგებებული სარჩელით მოპასუხემ მოითხოვა „ზე კოკა-კოლა კომპანის“ აღიარება „Coca-Cola“-ს ლოგოტიპის და მისი ქართული ტრანსლიტერული ვერსიის ავტორად და ერთდეროდ შესაკუთრედ; დ.მანჯგალაძის მიჩნევა „ზე კოკა-კოლა კომპანის“ საავტორო უფლებათა დამრღვევად; მისთვის, როგორც საავტორო უფლებების დამრღვევისათვის, ლათინური ლოგოტიპის და მისი ქართული ტრანსლიტერული ვერსიის ნებისმიერი ფორმით გამოყენების აკრძალვა. მოპასუხემ შეგებებულ სარჩელს თან დაურთო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინტელექტუალური სამართლის სფეროში მოღვაწე ფრანგი სპეციალისტის – პიერ ლენუარის დასკვნა, ასევე – ქართველი სპეციალისტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის წევრის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის, ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ლექტორის – დავით ძამუკაშვილის დასკვნა.

მთავარ სხდომაზე „ზე კოკა-კოლა კომპანის“ წარმომადგენელმა სასარჩელო მოთხოვნა იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა „ზე კოკა-კოლა კომპანის“ ლათინური ლოგოს შესაკუთრედ ცნობას, მოხსნა.

მოსარჩელე თუ ადრე მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლს უთითებდა, მთავარ სხდომაზე მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა საქართველოს კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ 59-ე მუხლის III პუნქტის შესაბამისად.

2001 წლის 1 ოქტომბის განცხადებით მოსარჩელე დ. მანჯგალაძემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა 87500 ლარის ოდენობით. ამასთან, განცხადებას დაურთო პროფესორ გოჩა წულაძისა და საქართველოს მეცნიერებათა

აკადემიის კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის, ხელოვნებათმცოდნის, დოქტორის, პროფესორ ელენე მაჭავარიანის დასკვნები და ხელოვნების სფეროში მოღვაწე მაიკლ ანიკსტის საექსპერტო ანგარიში.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა არც დ.მანჯგალაძის სარჩელი და არც „ზე კოკა-კოლა კომპანის“ შეგებებული სარჩელი. აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლომ დააფუძნა შემდეგ გარემოებებს: მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ქართული ლოგოტიპი „კოკა-კოლა“ ობიექტური ფორმით არსებობდა 1993 წლიდან და მისი ავტორია მოსარჩელე; აღნიშნული ლოგოტიპის ქართული ესკიზი წარმოადგენს ნახატს, ნახატი კი, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 489-ე მუხლის თანახმად, საავტორო უფლების საგანი შეიძლება იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც ვერ იქნება განხილული როგორც საავტორო სამართლით დაცული ობიექტი, ვინაიდან არ აკმაყოფილებს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ საავტორო სამართლის ობიექტის დაცვისუნარიანობის ძირეულ მოთხოვნას საავტორო სამართლით დაცული ობიექტის ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად შექმნის შესახებ; მოსარჩელის მიერ შექმნილი „Coca-Cola“-ს ქართული ლოგოტიპი წარმოადგენს ლათინურ ანბანში შექმნილი ლოგოტიპის ტრანსკრიპტიზაციას (კოპირებას) ან ადაპტაციას (გადამუშავებას) ქურთულ ანბანში, ანუ მის ტრანსლიტერაციას – ერთი დამწერლობის ასოების გადაცემას სხვა დამწერლობის ასოებით, რის გამოც იგი არ წარმოადგენს ავტორის პიროვნულ ინტელექტუალურ ქმნილებას, გამორჩეულს ინდივიდუალურობით და ორიგინალურობით.

სასამართლო კოლეგიამ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ იმ საფუძველით, რომ საავტორო უფლებების დარღვევის შედეგად ავტორიტეტის შელახვისა და განცდების სახით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი არ არის.

კოლეგიამ უსაფუძვლოდ მიიჩნია ასევე შეგებებული სარჩელის მოთხოვნა ქართული ლოგოს ავტორად „ზე კოკა-კოლა კომპანის“ აღიარების შესახებ, არ ჩათვალა რა დ.მანჯგალაძე „ზე კოკა-კოლა კომპანის“ საავტორო უფლებების დამრღვევად, ვინაიდან დ.მანჯგალაძის მიერ ქართული ესკიზის შექმნისას სრულად და მაქსიმალურად იქნა შენარჩუნებული ორიგინალური ლათინური ლოგოს გამოხატვის ფორმა, რამაც გამოიწვია ამ ლოგოტიპის მოწონება და მისი სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციაში გატარება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა

კოლეგიის 2001 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა დიმიტრი მანჯგალაძემ, რომელმაც მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არის ურთიერთსაწინააღმდეგო, რომ ერთი და იგივე ობიექტი ერთდროულად არ შეიძლება აღიარებულ იქნეს ნახატად და ტრანსლიტერაციად; არ არის მართებული სასამართლოს მიერ ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორცაა „კოპირება“ და „ადაპტაცია“, ვინაიდან ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ტერმინი „კოპირება“ ნიშნავს ასლს, ხოლო „ადაპტაცია“ განმარტებულია, როგორც შეწყობა, მორგება. ამდენად, არ შეიძლება ერთი და იგივე ობიექტი ერთდროულად იყოს, ერთი მხრივ, რომელიმე საგნის ასლი და მეორე მხრივ – იმავე საგნის ადაპტაცია. სასამართლოს ასეთ შემთხვევაში უნდა გამოეყენებინა ბერნის კონვენციის 2 (3) მუხლი, რომლის თანახმად თარგმანი, ადაპტაცია, მუსიკალური არანჟირება და ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოების სხვაგვარი გადაკეთება დაცულია ისევე, როგორც ორიგინალური ნაწარმოები, ორიგინალური ნაწარმოების ავტორის უფლებების შეუღასხავად. კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 489-ე მუხლი და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა – ამავე კოდექსის 506-ე მუხლი. ასევე დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რაც გამოიხატა წარდგენილი მტკიცებულების არასწორ შეფასებაში.

მოპასუხე „ზე კოკა-კოლა კომპანის“ წარმომადგენელმა მარეზ ამირაშვილმა შეგებებული საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება შეგებებულ სარჩელზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების პალატამ 2002 წლის 19 ივლისის განჩინებით გააუქმა კოლეგიის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადასცა იმავე კოლეგიას. პალატის განჩინებაში აღნიშნულია შემდეგი: სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელე მხატვარ-დიზაინერი დიმიტრი მანჯგალაძე არის ლათინური ლოგოს „Coca-Cola“-ს ქართული ვარიანტის „კოკა-კოლას“ ესკიზის ავტორი. მოსარჩელის მიერ შექმნილი ლათინური ლოგოს „Coca-Cola“-ს ქართული ესკიზი წარმოადგენს ნახატს, ნახატი კი საქართველოს სამოქალაქო სამართლი სკოდექსის (1964 წლის რედაქცია) 489-ე მუხლის მიხედვით, საავტორო უფლების საგანი შეიძლება იყოს, მაგრამ ის მინც ვერ იქნება განხილული როგორც საავტორო სამართლით დაცული

ობიექტი, ვინაიდან არ აკმაყოფილებს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ საავტორო სამართლის ობიექტის დაცვისუნარიანობის ძირეულ მოთხოვნას საავტორო სამართლით დაცული ობიექტის ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად შექმნის შესახებ. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მიერ შექმნილი „Coca-Cola“-ს ქართული ლოგო წარმოადგენს ლათინურ ანბანზე შექმნილი „Coca-Cola“-ს ლოგოტიპის ტრანსკრიპტიზაციას (კოპირებას) და ადაპტაციას (გადამუშავებას) ქართულ ანბანთან და მიიჩნია, რომ აღნიშნულის გამო იგი არ წარმოადგენს ავტორის ინტელექტუალურ ქმნილებას, გამორჩეულს ინდივიდუალურობით და ორიგინალურობით.

პალატამ ჩათვალა, რომ კოლეგიის აღნიშნული მსჯელობა ურთიერთსაწინააღმდეგო და ურიტორთგამომრიცხავია. კოლეგია სადავოდ არ ხდის იმ ფაქტს, რომ ქართული ლოგოს ავტორი არის მოსარჩელე, თუმცა იგი მიიჩნევს, რომ მის მიერ შესრულებული ლოგო არის ლათინური ანბანით შექმნილი „Coca-Cola“-ს კოპირება და გადამუშავება.

პალატის აზრით არ შეიძლება ერთი და იგივე ობიექტის მიმართ გაკეთდეს დასკვნა, რომ იგი არის ლათინური ლოგოს „Coca-Cola“-ს ლოგოტიპის ტრანსკრიპტიზაცია (კოპირება) და ადაპტაცია (გადამუშავება), რომ მოცემულ შემთხვევაში კოლეგიამ ვერ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება – მოცემული ნახატი „Coca-Cola“-ს ლათინური ლოგოტიპის კოპირებაა თუ ადაპტაცია, რადგან შეუძლებელია ერთი და იგივე ობიექტი ერთდროულად კოპირებაც იყოს და გადამუშავებაც. კომპირებას არ იცავს ლიტერატურისა და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის საერთაშორისო კონვენცია, მაშინ როცა აღნიშნული კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით ადაპტაციის ავტორები დაცულნი არიან ისევე, როგორც ორიგინალური ნაწარმოების ავტორები.

პალატის აზრით, კოლეგიას ხელახლა განხილვის დროს უნდა დაედგინა ფაქტობრივი გარემოება – განსახილველი ნაშრომი ლათინური ლოგოტიპის კოპირებაა თუ მისი ადაპტაცია და მიელო შესაბამისი გადაწყვეტილება. ასევე უნდა გამოერკვია რამდენად საფუძვლიანია მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების რაოდენობის ნაწილში.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს მხატვართა კავშირში ჩატარებული ხელოვნებათმცოდნეობის ექსპერტიზებით დადგენილია, რომ დ.მანჯგალაძის მიერ შესრულებული კოკა-კოლას ქართული ლოგო ლათინურ ანბანზე შექმნილი „კოკა-კოლას“ ლოგოტიპის გადამუშავებას (ადაპტაციას) წარმოადგენს და არა მის კოპირებას. იგი ნახატია და არა ლათინური ლოგოს ტრანსლიტერაცია, კოკა-კოლას ქართული ლოგოტიპი წარმოადგენს ინტელექტუალური საქმიანობის შედეგს.

უზენაესი სასამართლოს პალატის მითითების შესაბამისად მოსარჩელი-

სათვის მიყენებული ზიანის ოდენობის დასადგენად კოლეგიამ 2002 წლის 11 სექტემბრის განჩინებით მოპასუხე შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიადან“ გამოითხოვა წერილობითი მონაცემები იმის შესახებ თუ რა ოდენობის შემოსავალი (ამონაგები) მიიღო მან „კოკა-კოლას“ რეალიზაციის შედეგად 1993 წლის 2 ივლისიდან თითოეულ წელთან მიმართებაში. მოპასუხემ კოლეგიის განჩინების შესაბამისად წარმოადგინა „კოკა-კოლას“ პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავლების ანალიზი მხოლოდ 1995 წლის ოქტომბრის თვიდან 2002 წლის 1 სექტემბრამდე.

მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა მატერიალური ზიანის ნაწილში და საბოლოოდ მოითხოვა მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ 1077667 ლარის გადახდევინება. სულ მორალურ ზიანთან (120000ლ) ერთად მოსარჩელემ მოითხოვა 197667 ლარის გადახდევინება.

კოლეგიას მიაჩნია, რომ დამანჯგალადის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო „ზე კოკა-კოლა კომპანის“ შეგებებულ სარჩელს ეთქვას უარი შემდეგი გარემოებების გამო:

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

1. კონკრეტული დავის გადაწყვეტის დროს კოლეგია მოქმედი კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსით, ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის ბერნის საერთაშორისო კონვენციით და იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის საავტორო უფლების დარღვევა დღემდე გრძელდება, საქართველოს კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“.

2. მოსარჩელე მხატვარ-დიზაინერი დიმიტრი მანჯგალაძე არის ლათინური ლოგოს „კოკა-კოლა“ ქართული ვარიანტის, ქართული ლოგოს „კოკა-კოლა“ ესკიზის ავტორი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 488-ე მუხლით საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებებზე, მიუხედავად მათი ფორმისა, ნიშნებისა და ღირსებისა, აგრეთვე რეპროდუქციის წესისა, რომლებიც გამოქვეყნებულია ან არაა გამოქვეყნებული, მაგრამ გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც ავტორის შემოქმედების ნაყოფის რეპროდუქციის შესაძლებლობას იძლევა (ხელნაწერი, ნახაზი, გამოსახულება და სხვა).

მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების (1993 წლის 27 აპრილის სამხატვრო საბჭოს სხდომის ოქმიდან №8 ამონაწერი, კოკა-კოლას ქართული ლოგოს ესკიზი, საქართველოს მხატვართა კავშირის თბილისის სამხატვრო საწარმოო კომბინატის 2000 წლის 17 აგვისტოს №6 ცნობა, საქართველოს საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს სერტიფიკატი

(0013-48, 08.05.00) დასტურდება, რომ ქართული ლოგოტიპი „კოკა-კოლას“ ავტორი მოსარჩელე დ.მანჯგალაძეა).

3. სასამართლო კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ დ.მანჯგალაძის მიერ „კოკა-კოლას“ ქართული ლოგოტიპის შექმნა განხორციელდა შპს „კოკა-კოლა კავკასიონთან“, ამჟამად შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიასთან“ შეთანხმებით. გარდა ამისა, კოლეგიას დადასტურებულად მიაჩნია, რომ სამხატვრო საბჭოს მიერ დ.მანჯგალაძის ნამუშევრის დამტკიცება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ის გამოყენებული უნდა ყოფილიყო ფირმა „კოკა-კოლას“ პროდუქციის რეკლამისათვის. აღნიშნულის შესახებ მითითებას შეიცავს სამხატვრო საბჭოს სხდომის ოქმი და დადასტურებულია მოსარჩელის ახსნა-განმარტებითაც. მოსარჩელის განმარტებით „კოკა-კოლა“ ვერ გამოიყენებდა მის მიერ შექმნილ ლოგოტიპს, ე.ი. ვერ დაამზადებდა სარეკლამო რგოლებს სამხატვრო საბჭოს მიერ მისი დამტკიცების გარეშე, როგორც ამას ითვალისწინებს სამხატვრო ფონდის ორგანიზაციებისა და საწარმოების სამხატვრო საბჭოს შესახებ სან-იმუშო წესდების მე-9 მუხლი.

სასამართლოს მიერ თბილისის სამხატვრო აკადემიასა და საქართველოს მხატვართა კავშირში ჩატარებული ხელოვნებათმცოდნეობის ექსპერტიზებით დადგენილია, რომ დ. მანჯგალაძის მიერ შესრულებული „კოკა-კოლას“ ქართული ლოგო ლათინურ ანბანზე შექმნილი „კოკა-კოლას“ ლოგოტიპის გადაამუშავებას (ადაპტაციას) წარმოადგენს და არა მის კოპირებას, „კოკა-კოლას“ ქართული ლოგო წარმოადგენს ნახატს და არა ლათინური ლოგოს ტრანსლიტერაციას (ერთი დამწერლობის გადაცემას სხვა დამწერლობის ასოებით), რომ „კოკა-კოლას“ ქართული ლოგოტიპი ინტელექტუალური შრომის შედეგია.

4. მოსარჩელეს მიერ შექმნილი ლათინური ლოგოს „Coca-Cola“-ს ქართული ესკიზი წარმოადგენს ნახატს, ნახატი კი საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 489-ე მუხლის შესაბამისად საავტორო უფლების საგანი შეიძლება იყოს. ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის (1) და (2) პუნქტების შესაბამისად საავტორო უფლების დაცვის ობიექტს სხვა ნაწარმოებების თანაბრად წარმოადგენს ნახატი და ადაპტაცია. ადაპტაცია დაცულია ისე როგორც ორიგინალური ნაწარმოები, ორიგინალური ნაწარმოების ავტორის უფლების შეუღახავად.

5. მოპასუხე „ზე კოკა-კოლა კომპანი“ არის ამერიკული კომპანია, რომელიც დაფუძნდა 1892 წელს. „ზე კოკა-კოლა კომპანიმ“ სასაქონლო ნიშანზე „Coca-Cola“ სარეგისტრაციო განაცხადი საქართველოში შეიტანა 1993 წელს. ორივე – როგორც ლათინურ ანბანში გამოსახული ლოგო ისე ქართულ ანბანში გამოსახული ლოგო „ზე კოკა-კოლა კომპანის“ სასაქონლო ნიშნებად საქართველოში რეგისტრირებული იქნა 1996 წლიდან. მოპასუხე შპს „კოკა-

კოლა ბოთლერს ჯორჯია“ არის ქართული კომპანია, რომელიც 1993 წლიდან საქართველოში ახდენს „კოკა-კოლას“ ჩამოსხმას და რეალიზაციას „ზე კოკა-კოლა კომპანის“ მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე. ლათინური ლოგოს ქართულ ანბანში გამოსახული „ლოგოტიპი“ „ზე კოკა-კოლა კომპანის“ მიერ რეგისტრირებული იქნა ქართული ლოგოს ავტორის – დ.მანჯგალაძის თანხმობის გარეშე. მისი თანხმობის გარეშე სარგებლობს ქართული ლოგოთი მოპასუხე შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიაც“, ეს მაშინ, როცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-500 მუხლით ავტორის ნაწარმოების გამოყენება სხვა პირთა მიერ დასაშვებია მხოლოდ ავტორთან ან მის უფლებამონაცვლესთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, გარდა კანონში აღნიშნული შემთხვევებისა. იმავე კოდექსის 512-ე მუხლის შესაბამისად თუ ნაწარმოები გამოყენებული იქნა ავტორთან ან მის უფლებამონაცვლესთან ხელშეკრულების დაუდებლად (ამ კოდექსის მე-500 მუხლი) ან დარღვეული იქნა ავტორის თანხმობის გარეშე ნაწარმოების გამოყენებისათვის დადგენილი პირობები (ამ კოდექსის 506-ე, 507-ე მუხლები) აგრეთვე თუ დარღვეული იქნა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება (503-ე მუხლი) ან ავტორის სხვა არაქონებრივი პირადი უფლებები, მაშინ ავტორს შეუძლია მოითხოვოს დარღვეული უფლების აღდგენა, ხოლო თუ ავტორმა საავტორო უფლების დარღვევს გამო ზარალი განიცადა მას უფლება აქვს მოითხოვოს ზარალის ანაზღაურებაც (კოდექსის 212-ე მუხლი).

იმის გამო, რომ მოსარჩელე დ.მანჯგალაძის საავტორო უფლების დარღვევა მოპასუხის მიერ 1993 წლიდან გრძელდება დღემდე, მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს აგრეთვე საქართველოს კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ 59-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად განსაკუთრებულ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს უფლება აქვს მოითხოვონ დამრღვევისაგან ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით.

მოსარჩელე დ.მანჯგალაძის საავტორო უფლების დარღვევის გამო მიყენებული ზარალის განსაზღვრისათვის სასამართლო კოლეგიის მიერ 2002 წლის 11 სექტემბრის განჩინებით მოპასუხე შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიადან“ გამოთხოვილი იქნა წერილობითი მონაცემები იმის შესახებ, თუ რა ოდენობის შემოსავალი (ამონაგები) მიიღო მან „კოკა-კოლას“ რეალიზაციის შედეგად 1993 წლის 2 ივლისიდან თითოეულ წელთან მიმართებაში. მოპასუხემ წარმოადგინა მხოლოდ „კოკა-კოლას“ პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავლების ანალიზი 1995 წლის ოქტომბრის თვიდან 2002 წლის 1 სექტემბრამდე. არ იქნა წარმოდგენილი მონაცემები 1993-94 და 1995 წლის 1 ოქტომბრამდე იმ მოტივით, რომ იმ პერიოდში მოქმედებდა კუპონი და მისი ინფლაცია იმდენად ხშირი იყო, რომ მონაცემების ამოკრებას

ერთ თვემდე ვადა დასჭირდებოდა. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შემოსავლები შეადგენს 75266714 ლარს. ამ თანხის 1%-ია 752667 ლარი. მოპასუხეს არ წარმოდგენია გაანგარიშება 1993 წლიდან 1995 წლის 1 ოქტომბრამდე, რაც შეადგენს 26 თვეს. ამ 26 თვის შემოსავალი გაანგარიშებულია შემდეგნაირად: $1200000:96$ (8 წელი) $=12500$; $12500 \times 26 = 325000$ ლარს. აქედან გამომდინარე $752667 \times 325000 = 1077667$ ლარს. აქედან გამომდინარე კოლეგიას მიაჩნია, რომ მოპასუხეებს, რომლებმაც დაარღვიეს მოსარჩელე დ.მანჯგალაძის საავტორო უფლებები სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის შესაბამისად მატერიალური ზიანის სახით უნდა დაეკისროთ სოლიდარულად 1077667 ლარის გადახდა – მოსარჩელეს სასარგებლოდ.

6. სასამართლო კოლეგიას დასაბუთებულად არ მიაჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში.

მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვს იმ გარემოებებზე მითითებით, რომ მოპასუხეების მხრიდან მისი საავტორო უფლების დარღვევამ მასში გამოიწვია მკვნივ განცდები და შეელახა ავტორიტეტი, რომელთა გამოც განიცადა მორალური ზიანი. ამ ნაწილში მოსარჩელის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, როგორც ამას მოითხოვს სსკ-ს 102-ე მუხლის პირველი პუნქტი, რის გამოც მოსარჩელეს მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უნდა ექთვას უარი.

7. სასამართლო კოლეგია თვლის, რომ „ზე კოკა-კოლა კომპანი“-ს შეგებებული სარჩელი უსაფუძვლოა და მას უარი უნდა ეთქვას შემდეგი გარემოებების გამო:

სასამართლო კოლეგია დადგენილად მიიჩნევს, რომ ლათინური ლოგოს „Coca-Cola“-ს, ქართული ვარიანტის, ქართული ლოგოს „კოკა-კოლა“ ავტორი არის მხატვარ-დიზაინერი დიმიტრი მანჯგალაძე. ის გარემოებები, რომელთა საფუძველზეც სასამართლო კოლეგიამ ქართული ლოგოტიპის „კოკა-კოლა“ ავტორად მიიჩნია დიმიტრი მანჯგალაძე გამოკვლეული და მითითებულია ამ გადაწყვეტილებაში ძირითადი სარჩელის შეფასებისას.

ამდენად, უსაფუძვლოა „ზე კოკა-კოლა კომპანი“-ს შეგებებული სარჩელის მოთხოვნა ქართული ლოგოს ავტორად მისი აღიარების შესახებ.

სასამართლო კოლეგიას დიმიტრი მანჯგალაძე არ მიაჩნია „ზე კოკა-კოლა კომპანი“-ს საავტორო უფლების დამრღვევად ლათინურ ლოგოზე „Coca-Cola“, ვინაიდან დ.მანჯგალაძის მიერ ქართული ესკიზის შექმნისას სრულად და მაქსიმალურად იქნა შენარჩუნებული ორიგინალური ლათინური ლოგოს გამოხატვის ფორმა, რამაც განაპირობა ის, რომ „ზე კოკა-კოლა კომპანიმ“ მოიწონა ქართული ლოგო და ის რეგისტრაციაში გაატარა თავის სასაქონლო ნიშნად.

„ზე კოკა-კოლა კომპანის“ მიერ მანჯგალაძის ქართული ლოგოტიპის თავის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის ფაქტს სასამართლო კოლეგია განიხილავს მის თანხმობად ასეთი ლოგოს შექმნაზე.

სასამართლო კოლეგიას ასევე უსაფუძვლოდ მიაჩნია შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მანჯგალაძისათვის „Coca-Cola“-ს ლათინური და ქართული ლოგოს გამოყენების აკრძალვის თაობაზე, ვინაიდან მოსარჩელის მიერ დადასტურებული არ იქნა, რომ დ.მანჯგალაძე რაიმე ფორმით იყენებდა ან იყენებს „Coca-Cola“-ს ან ლათინურ ან ქართულ ლოგოტიპს.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 244-ე, 249-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით გადაწყვიტა:

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

1. დიმიტრი მანჯგალაძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:

ა) დაეკისროთ მოპასუხეებს შპს „კოკა-კოლა ბოთლერ ჯორჯიას“ და „ზე კოკა-კოლა კომპანის“ სოლიდარულად 1077667 ლარის ანაზღაურება მოსარჩელე დიმიტრი მანჯგალაძის სასარგებლოდ;

ბ) უარი ეთქვას მოსარჩელე დიმიტრი მანჯგალაძეს მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

2. აეკრძალოთ მოპასუხეებს მოსარჩელე დიმიტრი მანჯგალაძის ავტორობით შექმნილი „კოკა-კოლას“ ქართული ლოგოტიპის გამოყენება მოსარჩელის თანხმობისა და საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე;

3. „ზე კოკა-კოლა კომპანის“ შეგებებულ სარჩელს მოპასუხე დიმიტრი მანჯგალაძის მიმართ დარღვეული საავტორო უფლების აღდგენის შესახებ ეთქვას უარი დაკმაყოფილებაზე;

4. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით ერთი თვის ვადაში მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის გადაცემის დღიდან.



გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ ას-527-1201-01

25 ნოემბერი, 2003 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და
გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მაია ახალაძე (თავმჯდომარე),
ნუნუ კვანტალიანი (მომხსენებელი),
მაია სულხანიშვილი

სხდომის მდივანი: გ. სუპატაშვილი

კასატორები: 1. „ზე კოკა-კოლა კომპანი“ (მოპასუხე, მოსარჩელე შეგე-
ბებულ სარჩელში); წარმომადგენელი – მარეხ ამირაშვილი;

2. შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ (მოპასუხე ძირითად სარჩელ-
ში, მესამე პირი შეგებებულ სარჩელში); წარმომადგენლები – ზეიად კორმა-
ძე, გელა მიქაძე, თემურ ჭყონია

მოწინააღმდეგე მხარე: დიმიტრი მანჯგალაძე (მოსარჩელე, მოპასუხე
შეგებებულ სარჩელში); წარმომადგენლები – არჩილ კბილაშვილი, ო.ბართაია
გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასა-
მართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 24
ივლისის გადაწყვეტილება

კასატორის მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

დავის საგანი: (ძირითად სარჩელში) დარღვეული საავტორო უფლებების
აღდგენა, მორალური ზიანის ანაზღაურება; (შეგებებულ სარჩელში) ლოგოტიპის
ქართული ვერსიის ერთადერთ ავტორად და მესაკუთრედ ცნობა, მოსარჩელი-
სათვის ლოგოტიპის გამოყენების აკრძალვა.

2001 წლის 31 იანვარს დიმიტრი მანჯგალაძემ სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიასა“ და „ზე კოკა-კოლა კომპანის“ მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეთათვის სულ 1.320.000 ლარის, მათ შორის მორალური ზიანის სახით, 120.000 ლარის, სოლიდარულად დაკისრება, მოპასუხეთა მხრიდან მის მიერ შექმნილი „კოკა-კოლას“ ქართული ლოგოტიპის მოსარჩელის თანხმობისა და სააგტორო ჰონორარის გადახდის გარეშე გამოყენების აკრძალვა, ვინაიდან ასეთი მოქმედებით ირღვევა მისი, როგორც ავტორის ქონებრივი უფლებები. დ.მანჯგალაძემ მიიჩნია, რომ ნაწარმოებზე მისი ავტორობა დასტურდებოდა თბილისის სამხატვრო საწარმოო კომბინატის სამხატვრო საბჭოს 1993 წლის 27 აპრილის №8 ოქმით და სააგტორო უფლებათა სააგენტოში განხორციელებული რეგისტრაციით. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხეთა მიერ საქართველოში ყოველწლიურად ჩამოისხმება 15 მილიონი ლარის ღირებულების „კოკა-კოლა“, რაც საერთო ჯამში 1993 წლიდან 2001 წლამდე შეადგენს 120.000.000 ლარს. აღნიშნული ღირებულების 1% კი შეადგენს 1.200.000 ლარს. მან აღნიშნა, რომ სააგტორო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში იგი დათანხმდებოდა „კოკა-კოლას“ სარეალიზაციო ფასის არანაკლებ 1%-ის ოდენობის შემაღლენელ ჰონორარზე.

დიმიტრი მანჯგალაძემ განმარტა, რომ 1976 წელს შექმნა „კოკა-კოლას“ ლათინური გამოსახულების ქართული ლოგოტიპის ესკიზი. 1993 წლის აპრილში მას და „კოკა-კოლა კავკასიონის“ (ამჟამად „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“) პრეზიდენტ თემურ ჭყონიას შორის მიღწეულ იქნა ზეპირსიტყვიერი შეთანხმება ლოგოტიპის ესკიზის აშშ-ში, კერძოდ, ატლანტაში მდებარე „ზე კოკა-კოლა კომპანის“ შტაბ-ბინაში გაგზავნის თაობაზე იმ მიზნით, რათა მომხდარიყო მისი, როგორც საუკრო ნიშნის შეფასება (მოწონება). აღნიშნული შეთანხმების მიხედვით, ლოგოტიპის ესკიზის მოწონების შემთხვევაში დ.მანჯგალაძეს და შპს „კოკა-კოლა კავკასიონს“ შორის უნდა გაფორმებულიყო შესაბამისი სააგტორო ხელშეკრულება. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლოგოტიპის ესკიზი მოიწონა „ზე კოკა-კოლა კომპანიმ“, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული ლოგოტიპი საქაატენტის მიერ დარეგისტრირდა „ზე კოკა-კოლა კომპანის“ სახელზე, როგორც სასაქონლო ნიშანი. 1993 წლის ივლისიდან საქართველოში დაიწყო კოკა-კოლას ჩამოსხმა და რეალიზაცია დ.მანჯგალაძის მიერ შექმნილი ლოგოტიპის გამოყენებით, მასთან სააგტორო ხელშეკრულების გაფორმებისა და სააგტორო ჰონორარის გადახდის გარეშე.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო. „ზე კოკა-კოლა კომპანიმ“ წარ-

მოადგინა შეგებებული სარჩელი, რომელშიც მიუთითა, რომ სასაქონლო ნიშანი „Coca-Cola“ საყოველთაოდ ცნობილი ნიშანია, წარმოადგენს „ზე კოკა-კოლა კომპანის“ საკუთრებას და ამ ნიშანზე 1892 წლიდან გააჩნია ყველა ქონებრივი და არაქონებრივი განსაკუთრებული უფლება; აღნიშნული ლოგოტიპი რეგისტრირებულია თითქმის ყველა ქვეყანაში; საბჭოთა კავშირში ლოგოტიპის სარეგისტრაციო განაცხადი შეტანილი იყო 1925 წელს და რეგისტრირებულია 1928 წლიდან. „ზე კოკა-კოლა კომპანიმ“ სასაქონლო ნიშანზე „Coca-Cola“ სარეგისტრაციო განაცხადი საქართველოში შეიტანა 1992 წელს, ხოლო ქართული ვარიანტის სარეგისტრაციო განაცხადი – 1993 წელს; როგორც ინგლისური, ისე ქართული ვერსიები საქართველოში სასაქონლო ნიშნებად რეგისტრირებულია 1996 წლიდან; საქართველოში სხვადასხვა დროს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად, მოცემული ნიშნის სხვადასხვა ანბანით გამოსახვა, ანუ ტრანსლიტერაცია წარმოადგენს ტექნიკურ შესრულებას, უკვე არსებული ნამუშევრის უბრალო იმიტაციას ან კოპირებას. ტრანსლიტერული ნამუშევარი არ არის საავტორო უფლების ობიექტი, ვინაიდან ორიგინალური არაა, არ წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის ნაყოფს. „ზე კოკა-კოლა კომპანისა“ და მოსარჩელეს შორის არ ყოფილა არანაირი შეთანხმება „Coca-Cola“-ს ნიშნის თარგმნის ან სხვაგვარი გადაამუშავების თაობაზე; ის გარემოება, რომ დ.მანჯგალაძემ საავტორო უფლებათა დაცვის სააგენტოში უკანონოდ დაარეგისტრირა ლოგოტიპის ქართული ვერსია, როგორც საკუთარი ორიგინალური ქმნილება, ლახავს „ზე კოკა-კოლა კომპანის“ საავტორო უფლებებს. შეგებებული სარჩელით მოპასუხებ მოითხოვა: „ზე კოკა-კოლა კომპანის“ აღიარება „Coca-Cola“-ს ლოგოტიპისა და მისი ქართული ტრანსლიტერაციული ვერსიის ავტორად და ერთდერით შესაკუთრედ, დ.მანჯგალაძის მიჩნევა „ზე კოკა-კოლა კომპანის“ საავტორო უფლებათა დამრღვევად, მისთვის, როგორც საავტორო უფლებების დამრღვევისათვის, ლათინური ლოგოტიპის, ასევე მისი ქართული ტრანსლიტერაციული ვერსიის ნებისმიერი ფორმით გამოყენების აკრძალვა. მოპასუხებ შეგებებულ სარჩელს თან დაურთო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინტელექტუალური სამართლის სფეროში მოღვაწე ფრანგი სპეციალისტის პიერ ლენუარისა და ქართველი სპეციალისტის დავით ძამუკაშვილის სამართლებრივი დასკვნა.

2001 წლის 1 ოქტომბრის განცხადებით მოსარჩელე დ.მანჯგალაძემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა 87500 ლარის ოდენობით. ამასთან, წარმოადგინა შეპასუხება შეგებებულ სარჩელზე და მიუთითა მის უსაფუძვლობაზე, რაც დაასაბუთა განცხადებას თანდართული პროფესორ გოჩა წულაძისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის, ხელოვნებათმცოდნეო-

ბის დოქტორის, პროფესორ ელენე მაჭავარიანის, დასკვნებით, ხელოვნების სფეროში მოღვაწე მაიკლ ანიკსტის საექსპერტო ანგარიშით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა როგორც დ.მანჯგალაძის სარჩელი, ისე „ზე კოკა-კოლა კომპანის“ შეგებებული სარჩელი. კოლეგიის მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ქართული ლოგოტიპი „კოკა-კოლა“ ობიექტური ფორმით არსებობდა 1993 წლიდან და მისი ავტორი მოსარჩელეა; აღნიშნული ლოგოტიპის ქართული ესკიზი წარმოადგენს ნახატს. ნახატი კი, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 489-ე მუხლის თანახმად, საავტორო უფლების საგანი შეიძლება იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც ვერ იქნება განხილული, როგორც საავტორო სამართლით დაცული ობიექტი, ვინაიდან არ აკმაყოფილებს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ საავტორო სამართლის ობიექტის დაცვისუნარიანობის ძირეულ მოთხოვნას საავტორო სამართლით დაცული ობიექტის ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად შექმნის შესახებ; მოსარჩელის მიერ შექმნილი „Coca-Cola“-ს ქართული ლოგოტიპი წარმოადგენს ლათინური ანბანით შექმნილი ლოგოტიპის ტრანსკრიპტიზაციას (კოპირებას) და ადაპტაციას (გადამუშავებას) ქართულ ანბანში, ანუ მის ტრანსლიტერაციას, ერთი დამწერლობის ასოების გადაცემას სხვა დამწერლობის ასოებით, რის გამოც იგი არ წარმოადგენს ავტორის პიროვნულ ინტელექტუალურ ქმნილებას, გამორჩეულს ინდივიდუალურობითა და ორიგინალურობით;

სასამართლო კოლეგიამ, ასევე, უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ იმ საფუძველით, რომ საავტორო უფლების დარღვევის შედეგად ავტორიტეტის შელახვისა და განცდების სახით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი არ არის;

სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია შეგებებული სარჩელის მოთხოვნა ქართული ლოგოს ავტორად „ზე კოკა-კოლა კომპანის“ აღიარების შესახებ, არ ჩათვალა რა დ.მანჯგალაძე „ზე კოკა-კოლა კომპანის“ საავტორო უფლებების დამრღვევად, ვინაიდან დ.მანჯგალაძემ ქართული ესკიზის შექმნისას სრულად და მაქსიმალურად შეინარჩუნა ორიგინალური ლათინური ლოგოს გამოხატვის ფორმა, რამაც გამოიწვია ამ ლოგოტიპის მოწონება და მის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციაში გატარება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა დიმიტრი მანჯგალაძემ, ხოლო მოპასუხე „ზე კოკა-

კოლა კომპანის“ წარმომადგენელმა მარეხ ამირაშვილმა შეიტანა შეგებებულ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატის 2002 წლის 19 ივლისის განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელე მხატვარ-დიზაინერი დიმიტრი მანჯგალაძე იყო ლათინური ლოგოს „Coca - Cola-ს“ ქართული ვარიანტის ქართული ლოგოს – „კოკა-კოლას“ ესკიზის ავტორი. მოსარჩელის მიერ შექმნილი ლათინური ლოგოს „Coca-Cola-ს“ ქართული ესკიზი წარმოადგენდა ნახატს, ნახატი კი საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) 489-ე მუხლის მიხედვით საავტორო უფლების საგანი შეიძლება იყოს. საოლქო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მიერ შექმნილი „Coca-Cola-ს“ ქართული ლოგო წარმოადგენდა ლათინურ ანბანზე შექმნილი „Coca-Cola-ს“ ლოგოტიპის ტრანსკრიპტიზაციას (კოპირებას), ადაპტაციას (გადამუშავებას) ქართულ ანბანთან და მიიჩნია, რომ აღნიშნულის გამო, იგი არ იყო ინდივიდუალობითა და ორიგინალობით გამორჩეული ავტორის ინტელექტუალური ქმნილება.

პალატამ ჩათვალა, რომ კოლეგიის აღნიშნული მსჯელობა ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი იყო, რადგან კოლეგია სადავოდ არ ხდიდა იმ ფაქტს, რომ ქართული ლოგოს ავტორი მოსარჩელე იყო, თუმცა იგი მიიჩნევდა, რომ მის მიერ შესრულებული ლოგო ლათინური ანბანით შექმნილი „Coca-Cola-ს“ კოპირებასა და გადამუშავებას წარმოადგენდა.

პალატამ დაუშვებლად მიიჩნია ერთსა და იმავე ობიექტის მიმართ დასკვნის გაკეთება, რომ იგი არის ლათინური ლოგოს „Coca-Cola“-ს ლოგოტიპის ტრანსკრიპტიზაცია (კოპირება) და ადაპტაცია (გადამუშავება). საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ლიტერატურისა და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის საერთაშორისო კონვენცია კოპირებას არ იცავს, მაშინ როცა აღნიშნული კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით ადაპტაციის ავტორები დაცული არიან ისევე, როგორც ორიგინალური ნაწარმოების ავტორები. ამრიგად, კოლეგიას ხელახლა განხილვის დროს უნდა დაედგინა ფაქტობრივი გარემოება – განსახილველი ნაშრომი ლათინური ლოგოტიპის კოპირებაა თუ მისი ადაპტაცია და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება. ასევე, უნდა გამოერკვია, რამდენად საფუძველიანია მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების რაოდენობის ნაწილში.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გა-

კოტრების საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 24 იელისის გადაწყვეტილებით დ.მანჯგალაძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისრათ 1 077 667 ლარის გადახდა, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე. მოპასუხეებს აეკრძალათ დ.მანჯგალაძის მიერ შექმნილი „კოკა-კოლას“ ქართული ლოგოტიპის გამოყენება მოსარჩელის თანხმობისა და საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე. შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 488-ე მუხლით და ბერნის კონვენციით ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ. კოლეგიამ დაადგინა, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ, 1993 წლის 27 აპრილის სამხატვრო საბჭოს №8 სხდომის ოქმით, საქართველოს მხატვართა კავშირის თბილისის სამხატვრო საწარმოო კომბინატის 2000 წლის 17 აგვისტოს №6 ცნობითა და საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს №0013-48 სერტიფიკატით დასტურდება დ.მანჯგალაძის მიერ „კოკა-კოლას“ ქართული ლოგოტიპის შექმნის ფაქტი. აღნიშნული განხორციელდა შპს „კოკა-კოლა კავკასიონთან“, ამჟამინდელ შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიასთან“ შეთანხმებით, „კოკა-კოლას“ პროდუქციის რეკლამისათვის.

სასამართლომ თბილისის სამხატვრო აკადემიასა და მხატვართა კავშირში ჩატარებული ხელოვნებათმცოდნეობის ექსპერტიზებით დაადგინა, რომ დ.მანჯგალაძის მიერ შესრულებული „კოკა-კოლას“ ქართული ლოგო ლათინურ ანბანზე შექმნილი „კოკა-კოლას“ ლოგოტიპის გადამუშავებას (ადაპტაციას) წარმოადგენს და არა მის კოპირებას. იგი არის ინტელექტუალური შრომის შედეგად მიღებული ნახატი, რომელიც სამოქალაქო სამართლის კოდექსის 489-ე მუხლის შესაბამისად, შეიძლება იყოს საავტორო უფლების საგანი. ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის (1) და (2) პუნქტების შესაბამისად, საავტორო უფლების დაცვის ობიექტს, სხვა ნაწარმოებებთან ერთად, წარმოადგენს ნახატი და ადაპტაცია. ადაპტაცია დაცულია ისევე, როგორც ორიგინალური ნაწარმოები.

მოპასუხე „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ არის ქართული კომპანია, რომელიც 1993 წლიდან საქართველოში ახდენს „კოკა-კოლის“ ჩამოსხმასა და რეალიზაციას „ზე კოკა-კოლა კომპანის“ მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე. ლათინური ლოგოტიპის ქართულ ანბანში გამოსახული „კოკა-კოლა“ „ზე კოკა-კოლა კომპანის“ მიერ რეგისტრირებულ იქნა მისი ავტორის, დ.მანჯგალაძის, თანხმობის გარეშე. სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-500, 512-ე, 506-507-ე, 503-ე და 212-ე მუხლების საფუძველზე, ასევე, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონ-

ნის 59-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დ.მანჯგალაძის მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს. აღნიშნული ზარალის ოდენობის განსაზღვრისათვის სასამართლომ გამოითხოვა წერილობითი მონაცემები შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ შემოსავლის შესახებ 1993 წლის 2 ივლისიდან, მოცემული თანხის 1%-ის გაანგარიშებით კოლეგიამ დ.მანჯგალაძის საავტორო უფლებების დარვევისათვის მოპასუხეებს სოლიდარულად დააკისრა 1 007 667 ლარის გადახდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხეთათვის მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში.

„ზე კოკა-კოლა კომპანის“ შეგებებულ სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან, „კოკა-კოლას“ ქართული ლოგოს ავტორად კოლეგიამ მიიჩნია დ.მანჯგალაძე, რის საფუძველზეც იგი ვერ იქნება ლათინური „Coca-Cola“-ს ლოგოტიპზე „ზე კოკა-კოლა კომპანის“ საავტორო უფლებების დამრღვევი. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელემ ქართული ესკიზის შექმნისას სრულად და მაქსიმალურად შეინარჩუნა ორიგინალური ლათინური ლოგოს გამოხატვის ფორმა. „ზე კოკა-კოლა კომპანის“ მიერ სადავო ლოგოტიპის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია სასამართლომ განიხილა, როგორც თანხმობა ასეთი ლოგოს შექმნაზე.

სასამართლო კოლეგიამ უსაფუძვლოდ მიიჩნია შეგებებული სარჩელის მოთხოვნა დ.მანჯგალაძისათვის „Coca-Cola“-ს ლათინური და ქართული ლოგოს გამოყენების აკრძალვის თაობაზე, ვინაიდან მხარემ ვერ დაადასტურა, რომ დ.მანჯგალაძე რაიმე ფორმით იყენებდა ან იყენებს „კოკა-კოლას“ ლათინურ ან ქართულ ლოგოტიპებს.

საოლქო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს „ზე კოკა-კოლა კომპანის“ წარმომადგენელმა მ.ამირაშვილმა და შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა თ.ჭყონიამ.

შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ საკასაციო საჩივარში მხარემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებისა და შეგებებულ სარჩელზე უარის თქმის ნაწილში, ახალი გადაწყვეტილებით კი – შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორმა მიიჩნია, რომ დ. მანჯგალაძის სარჩელის განხილვისას სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილებით, რომელთა თანახმად, დ. მანჯგალაძეს უნდა დაემტკიცებინა, რომ „კოკა-კოლას“ ქართული ლოგოტიპი შექმნა 1976 წელს, მასსა და თ. ჭყონიას შორის „კოკა-კოლას“ ლოგოტიპის ესკიზის აშშ-ში გაგზავნის შესახებ. ზეპირი შეთანხმებით მოსარჩელეს უნდა

განესაზღვრა თუ ვისთან აპირებდა ხელშეკრულების დადებას – „ზე კოკა-კოლა კომპანიასთან“, თ. ჭყონიასთან, თუ „კოკა-კოლა ბოთლერ ჯორჯიასთან“; უნდა დაედგინებინა, აღნიშნული ხელშეკრულების დადებისას თუ რატომ იქნებოდა სააგტორო ჰონორარი „კოკა-კოლას“ სარეალიზაციო ფასის და არა, მაგალითად მოგების 1% და დაიდებოდა თუ არა სადავო ხელშეკრულება დ. მანჯგალაძის მხრიდან შემოსხნებულ 1%-ზე ნაკლებ ჰონორარზე უარის თქმის შემთხვევაში.

კასატორმა მიუთითა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1964 წლის რედაქციის 488-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ სადავო ესკიზის 1976 წლიდან გამოქვეყნების ან ობიექტური ფორმით არსებობის რაიმე მტკიცებულება დ.მანჯგალაძეს არ წარმოუდგენია, ხოლო თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2003 წლის 24 ივლისის სხდომის ოქმში მოსარჩელის წარმომადგენელი ა.კვიციანიანი შემოსხნებული ფაქტის დასადასტურებლად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ დ. მანჯგალაძის განმარტების გარდა, 1976 წელს შექმნის შესახებ საქმეში სხვა მტკიცებულება არ მოიპოვება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-133-ე მუხლებზე დაყრდნობით კასატორმა მიიჩნია, რომ მოსარჩელემ აღიარა დ. მანჯგალაძის მიერ „კოკა-კოლას“ ქართული ლოგოტიპის შექმნა 1976 წელს, რის შესახებაც მას არ გააჩნია და არც საქმეში წარმოდგენილი არ არის არაერთი მტკიცებულება.

კასატორის აზრით, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა თ. ჭყონიასთან შეპირი შეთანხმების არსებობის ფაქტი. გაურკვეველია, თუ ვისთან აპირებდა ოგი აღნიშნული ხელშეკრულების დადებას, რადგან, მხარის მოსაზრებით, შეუძლებელია მოცემულ საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა, თუ არ დადგინდება ხელშეკრულების მხარეების ვინაობა. კასატორის ვარაუდით, ესკიზის აშშ-ში მოწონების შემთხვევაში ხელშეკრულება დადებულია „ზე კოკა-კოლა კომპანიასთან“. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი ეკარგებოდა თ. ჭყონიასთან მოლაპარაკების წარმოებას. კასატორის აზრით, დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნა „კოკა-კოლას“ სარეალიზაციო ფასის 1%-ის ოდენობით ზიანის ანაზღაურების შესახებ, რადგან თავად დ. მანჯგალაძემ საოლქო სასამართლოს კოლეგიაში საქმის განხილვისას დაადასტურა, რომ თ. ჭყონიასთან წინასწარი მოლაპარაკების დროსაც კი მხარეები ჰონორარის სახით პროცენტის ოდენობაზე არ შეთანხმებულან. ამრიგად, სასამართლომ არასწორად გაიზიარა მოსარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში. კასატორის აზრით, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 411-ე მუხლი, რადგან გაურკვეველია, თუ რა ვალდებულების ჯეროვნად შესრულებაზე შეიძლება მსჯელობა, როცა მოსარჩელე ვალდებულების 1%-ის გადახდის შეთანხმების არსებობასაც ვერ ადასტურებს.

მხარემ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული არგუმენტების უსაფუძვლობის შემთხვევაშიც სასამართლომ არასწორად გამოთვალა მოსარჩელისათვის ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა.

კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 463-ე მუხლი, რადგან სოლიდარული პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია სოლიდარული ვალდებულების არსებობა. მხარის მოსაზრებით, დ. მანჯგალაძის წინაშე შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ სოლიდარული ვალდებულების არსებობა საქმის მასალებით არ დასტურდება, თუმცა სადავო ზეპირი შეთანხმების ხელშეკრულებად მიჩნევის შემთხვევაშიც მისი მხარე უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მოპასუხე. ამასთან, „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ“ აღნიშნული ლოგოს გამოყენების უფლების მისაღებად მესაკუთრე „ზე კოკა-კოლა კომპანისთან“ გააფორმა ხელშეკრულება.

კასატორმა მიიჩნია, რომ მოსარჩელის საავტორო უფლების დაურღვევლობა ვერ ჩაითვლება სოლიდარულ ვალდებულებად. მხარემ მიუთითა „ზე კოკა-კოლა კომპანის“ მიერ „კოკა-კოლას“ ქართული ლოგოს სასაქონლო ნიშნად დარეგისტრირებაზე; მოპასუხეთა შორის სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმებაზე აღნიშნული სასაქონლო ნიშნით სარგებლობის უფლების შესახებ და „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ მიერ ქართული ლოგოს გამოყენების ფაქტზე. მხარის აზრით, მოსარჩელის საავტორო უფლებათა დარღვევის შემთხვევაში იგი დაარღვია ან „ზე კოკა-კოლა კომპანიმ“ ქართული ლოგოს რეგისტრაციით, ან „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ“ მისი გამოყენებით, ან ორივემ ერთად. სამივე ამ შემთხვევაში განსხვავებულია მოპასუხეთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები და ის არანაირად არ შეიძლება იყოს სოლიდარული. კასატორის აზრით, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ მიერ.

კასატორმა მიუთითა, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ გვერდი აუარა მისი პოზიციის დაფიქსირებას, არ იმსჯელა მოპასუხეთა ხელშეკრულებაზე „კოკა-კოლას“ ლოგოს გამოყენების ლიცენზიის შესახებ. უფრო მეტიც, აღნიშნული ხელშეკრულება საქმეში არ მოიპოვება, თუმცა მხარემ ის წარადგინა. კასატორის აზრით, კოლეგიის შემადგენლობამ მოცემული საქმის განხილვისას გამოავლინა არაობიექტურობა და მიკერძოება.

კასატორმა მიუთითა საავტორო უფლებების მსოფლიო კონვენციის პირველ მუხლზე, მე-4 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე და მიიჩნია, რომ საავტორო უფლებათა დაცვის ობიექტებს წარმოადგენენ ლიტერატურული, მეცნიერული და მხატვრული ნაწარმოებები, მხატვრულ ნაწარ-

მოგბთა რიცხვში მოიაზრება „კოკა-კოლას“ ეტიკეტი და, შესაბამისად, წარმოადგენს კონვენციის დაცვის ერთ-ერთ ობიექტს.

კასატორის მითითებით, კონვენციის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული საავტორო უფლება მსოფლიო კონვენციის მიღების თარიღისათვის აღიარებულია 1886 წლიდან ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მიიჩნია, რომ კომპანია „კოკა-კოლას“ უფლება ეტიკეტის გადამუშავებაზე, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ქონებრივი უფლება, აღიარებული და დაცული იყო კონვენციის სხვა წევრი ქვეყნების, მათ შორის, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. კასატორმა მიუთითა 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 492-ე მუხლი და აღნიშნა, რომ კომპანია „კოკა-კოლას“ ზემოხსენებული უფლება 1976 წელს დაცული იყო.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-18 და მე-13 მუხლებზე დაყრდნობით კასატორმა მიიჩნია, რომ ორიგინალური ნაწარმოების ავტორის ნებართვის გარეშე მისი გადამუშავებისას, გადამუშავების ავტორს საავტორო უფლებები არ წარმოეშვება. მხარემ აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, „ზე კოკა-კოლა კომპანისა“ და შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ საოლქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაეკისრათ მოსარჩელისათვის ზარალის ანაზღაურება იმ უფლების დარღვევისათვის, რომელიც მას არ წარმოშობია. შესაბამისად, არ არსებობს უფლება, რომელიც დაირღვა „კოკა-კოლას“ ქართული ეტიკეტის გამოყენებით, მათ შორის – საქონელზე დატანილი და სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვით.

სასამართლო კოლეგიამ დაადგინა, რომ დამანჯგალაძის მიერ „კოკა-კოლას“ ქართული ლოგოტიპი შეიქმნა შპს „კოკა-კოლა კავკასიონთან“, ამჟამად შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიასთან“ შეთანხმებით. კასატორის აზრით, აღნიშნული გარემოების დადგენილად ცნობით სასამართლომ გამორიცხა სადავო ლოგოტიპის 1976 წელს შექმნის შესაძლებლობა, ვინაიდან შპს „კოკა-კოლა კავკასიონი“ აღნიშნული დროისათვის არ არსებობდა. ამასთან, კასატორმა მიუთითა სამხატვრო საბჭოს 1993 წლის 27 აპრილის №8 ოქმზე, რომლის თანახმად, დამანჯგალაძის აღირებით, ქართული ლოგოტიპი მან შექმნა შპს „კოკა-კოლა კავკასიონის“ დაკვეთით, ხოლო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, იგი წარმოადგენს ნახატს. ზემოხსენებულ გარემოებათა გათვალისწინებით, კასატორმა მიიჩნია, რომ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 532-ე მუხლი, რომლის თანახმად, „სახვითი ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც შეკვეთით შეიქმნა, გადადის შემკვეთის საკუთრებად, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არის გათვალისწინებული.“

„ზე კოკა-კოლა კომპანიმ“ საკასაციო საჩივრით მოითხოვა საოლქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის აზრით, ის ფაქტი, რომ დ.მანჯგალაძემ სრულად და მაქსიმალურად შეინარჩუნა ორიგინალური ლოგოს გამოხატვის ფორმა, ადასტურებს არა იმას, რომ „ზე კოკა-კოლა კომპანის“ საავტორო უფლებები შელახული არ არის, არამედ იმ ფაქტს, რომ ქართული ლოგო არ წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის ნაყოფს და არ არის საავტორო კანონით დაცვადი. კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორად განმარტა 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 488-ე მუხლი და არ მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ, მოსარჩელის მტკიცების მიუხედავად, 1976 წლიდან ნაწარმოების ობიექტურად არსებობის ფაქტი არ დასტურდება და საქმეში წარმოდგენილი 1993 წლით დათარიღებული ლოგოს ესკიზის 1976 წლიდან მოსარჩელის ავტორად მიჩნევა სამართლებრივ ლოგიკას მოკლებულია.

კასატორმა მიიჩნია, რომ ქართულ ლოგოს არ ახასიათებს ის კრიტერიუმები, რაც მას საავტორო უფლების დაცვის ობიექტად აქცევდა, კერძოდ, იგი არ წარმოადგენს ტექნიკურ შესრულებას, ტრანსლიტერაციას, ზედმიწევნით იმეორებს ლათინური ლოგოს დამახასიათებელ ნიშანს და არ ახასიათებს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი თვისება, რომლის შედეგადაც უნდა იქმნებოდეს თვისობრივად და შინაარსობრივად ახალი, საავტორო კანონმდებლობით დაცვადი ნაწარმოები. მხარის მოსაზრებით, აღნიშნულ არგუმენტებს ადასტურებს ექსპერტთა დასკვნებიც, რომლებსაც სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა.

კასატორის აზრით, სასამართლო კოლეგიამ არ გაითვალისწინა საქმეზე წარმოდგენილი სპეციალისტების მოსაზრებანი, არასწორი შეფასება მისცა 1993 წლის სამხატვრო საბაჟოს №8 სხდომის ოქმს, არ გამოიყენა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 523-ე მუხლი და „სავტორო და მომიჯნავე უფლებათა“ შესახებ კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი. მხარის აზრით, ზემოხსენებული კანონი განსაკუთრებულ უფლებებს მხოლოდ ერთი უფლებით – გამოყენების უფლებით – განმარტავს. საავტორო სამართლის მიხედვით, ნაწარმოების გამოყენების უფლებად აღიქმება ნებისმიერი პირის მიერ ნაწარმოების უნებართვოდ გადამუშავება, რაც ავტომატურად ნიშნავს მის უნებართვოდ გამოყენებას და წარმოშობს თანმდევ სამართლებრივ შედეგებს.

კასატორი არ დაეთანხმა მოპასუხეთათვის ზარალის დაკისრებისა და მისი გამომანგარიშების თაობაზე სასამართლო კოლეგიის მსჯელობას. მხარის განმარტებით, სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილი კოკა-კოლას

პროდუქციის რეალიზაციის მონაცემები 1993 წლიდან 2002 წლის 1 სექტემბრამდე წარმოადგენს როგორც ლათინური, ისე ქართული ლოგოს გამოყენებით მიღებულ შემოსავალს. მხარემ არ გაიზიარა სასამართლოს მსჯელობა პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლით და არა მოგებით ზარალის ანაზღაურების შესახებ, ასევე, მიიჩნია, რომ თანხის 1%-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით მოსარჩელის მტკიცება სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

კასატორმა მიიჩნია, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 463-ე მუხლი და განმარტა, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია სოლიდარული ვალდებულების არსებობა, რასაც ადგილი არ ჰქონია, რადგან მოსარჩელესა და შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ შორის რაიმე ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაშიც კი მისი შეუსრულებლობისას დადგებოდა მხოლოდ ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საკითხი.

კასატორის განმარტებით, ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებისას სასამართლო კოლეგიამ სამართლებრივ საფუძვლად მიიჩნია სამოქალაქო სამართლის კოდექსის 500-ე, 503-ე, 506-ე, 507-ე, 512-ე მუხლები, მაშინ, როცა შეგებებული სარჩელის განხილვისას სრული იგნორირება გაუკეთა დამანჯგალაძის მიერ „ზე კოკა-კოლა კომპანის“, როგორც ორიგინალური ნაწარმოების, ავტორის განსაკუთრებული უფლებების დარღვევის ფაქტს. მხარის აზრით, კოლეგიის დასკვნა ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ, ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შინაარსიდან გამომდინარე, წინააღმდეგობაში მოდის იმ გარემოებასთან, რომ საქმეში არ მოიპოვება არცერთი მტკიცებულება დამანჯგალაძისათვის ორიგინალური ნაწარმოების გადამუშავების უფლების მინიჭების შესახებ. კასატორის აზრით, ის ფაქტი, რომ ორიგინალური ლოგოს ქართულ ვერსიას დღეს „კოკა-კოლა“ იყენებს, ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მსოფლიოში არ მოიპოვება სხვა სუბიექტი, რომელიც ამ ლოგოს გამოყენებას შეძლებდა.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, კასატორმა მიიჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვისას დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ პუნქტებისა და მე-3 ნაწილის მოთხოვნები, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძველს წარმოადგენს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად

თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს – გაუქმდეს საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელზე და შეგებებულ სარჩელზე უარის თქმის თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს და იზიარებს კასატორთა მოსაზრებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტით გათვალისწინებულ კანონის დარღვევაზე, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, კი საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

საოლქო სასამართლოს კოლეგიამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ამერიკული კომპანია „ზე კოკა-კოლა კომპანი“ დაარსდა 1892 წელს ჯორჯიის შტატში. 1893 წლის 31 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების საპატენტო ოფისში პირველად რეგისტრირებულ იქნა კომპანიის სასაქონლო ნიშანი „Coca-Cola“, რომლის ორიგინალური მონახაზი და ხელწერა ეკუთვნის ამ პროდუქტის სასმელის შემქმნელის, დოქტორ ჰემბერტონის პარტნიორს – ფრანკ მ. რობინსონს. აღნიშნულიდან გამომდინარე, „ზე კოკა-კოლა კომპანიის“ როგორც ლოგოზე, ისე სასაქონლო ნიშანზე – „Coca-Cola“ – 1892-93 წლებიდან გააჩნია განსაკუთრებული ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები.

ზემოხსენებულ სასაქონლო ნიშანზე სარეგისტრაციო განაცხადი საქართველოში „ზე კოკა-კოლა კომპანიის“ მიერ შემოტანილია 1992 წელს, ხოლო ქართულ ვარიანტზე – 1993 წელს. ორივე ნიშანი – ლათინური ანბანით გამოსახული ლოგო „Coca-Cola“ და ქართული ანბანში გამოსახული „კოკა-კოლა“ „ზე კოკა-კოლა კომპანიის“ სასაქონლო ნიშნებად საქართველოში რეგისტრირებულია 1996 წლიდან.

საქართველოში სასმელ „კოკა-კოლას“ ამზადებს და 1993 წლიდან მის რეალიზაციას ახდენს შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ (ყოფილი შპს „კოკა-კოლა კავკასიონი“).

ლათინური ლოგოს – „Coca-Cola“-ს ქართული ვარიანტის ესკიზი – „კოკა-კოლა“ შემუშავებულ იქნა დიმიტრი მანჯგალაძის მიერ შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიასთან“ შეთანხმებით და იგი ობიექტური ფორმით არსებობდა 1993 წლიდან. ეს გარემოება დასტურდება სამხატვრო საბჭოს 1993 წლის 27 აპრილის №8 სხდომის ოქმის ამონაწერით, რომლითაც

ფირმა „კოკა-კოლას“ ქართული ლოგოტიპის ავტორად მითითებულია დიმიტრი მანჯგალაძე, ხოლო სამუშაოს დამკვეთად – შპს „კოკა-კოლა კავკასიონი“. ამავე ოქმით განსაზღვრულია საავტორო ჰონორარი 50 000 მანეთის ოდენობით. ამასთან, უდავოა ის გარემოება, რომ დიმიტრი მანჯგალაძე ზემოაღნიშნული ქართული ლოგოტიპის შექმნის დროს იყო შპს „კოკა-კოლა კავკასიონის“ სარეკლამო სამსახურის თანამშრომელი.

„კოკა-კოლას“ ქართული ლოგოტიპი წარმოადგენს ნახატს.

გარემოებები, რომლებსაც ეყრდნობა სასარჩელო მოთხოვნა, წარმოიშვა 1993 წელს. შესაბამისად, სადავო ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს იმ დროს მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმებით, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობის მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტები.

სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის პარიზის რედაქციით, რომელსაც საქართველო მიუერთდა 1995 წლის მაისში. კონვენციის დებულებებით დაცვას ექვემდებარება ის ნაწარმოებებიც, რომლებიც მისი ძალაში შესვლის მომენტისათვის არსებობდნენ წარმოშობის ქვეყანაში. დავის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა გამოიყენოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო) ინიციატივით 1952 წელს მიღებული საავტორო უფლებების მსოფლიო კონვენცია, რომლის წევრად საბჭოთა კავშირი და, შესაბამისად, მასში შემავალი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაც დაფიქსირდა 1973 წელს. ორივე კონვენცია წარმოადგენს რა ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დაცვის ფუძემდებლურ ხელშეკრულებებს, უზრუნველყოფს ლიტერატურული, მეცნიერული და მხატვრული ნაწარმოებების (მათ შორის – ნახატის) ავტორების ძირითადი საავტორო უფლებების დაცვას. ამასთან, ხელშეკრულებებით ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთა დაცვითუნარიანობას განაპირობებს ნაწარმოების ინტელექტუალური (შემოქმედებითი) ქმნილების სახით არსებობა. იგივე მოთხოვნა გააჩნია სამოქალაქო სამართლის კოდექსს (1964 წლის რედაქცია) ნაწარმოების საავტორო სამართლის ობიექტად მიჩნევისათვის, კერძოდ, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 488-ე მუხლის თანახმად, საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე მიუხედავად მათი ფორმისა, დანიშნულებისა და ღირსებისა, აგრეთვე, მათი რეპროდუქციის წესისა. საავტორო უფლება ვრცელდება ნაწარმოებებზე, რომლებიც გამოქვეყნებულია ან არაა გამოქვეყნებული, მაგრამ გამოხატულია რაიმე ობიექ-

ტური ფორმით, რაც ავტორის შემოქმედების ნაყოფის რეპროდუქციის შესაძლებლობას იძლევა. ამავე კოდექსის 489-ე მუხლით, ნახატი საავტორო უფლების საგანთა რიცხვს მიეკუთვნება.

„კოკა-კოლას“ ქართული ლოგოტიპი, მიუხედავად იმისა, რომ ვიზუალური ეფექტით მიეკუთვნება სახვითი ხელოვნების სფეროს, საავტორო უფლებათა დაცვის საგნად ვერ იქნება მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული საავტორო სამართალი ნაწარმოებთა დაცვითუნარიანობის კრიტერიუმებს არ აზუსტებს, მაგრამ ცალკეულ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს ნაწარმოებებთან მიმართებაში გარკვეული მოთხოვნების არსებობას, კერძოდ, ნაწარმოები უნდა იყოს ინტელექტუალური (შემოქმედებითი) შრომის შედეგი და იგი უნდა არსებობდეს ობიექტური ფორმით. ნაწარმოების ინტელექტუალური ხასიათი უპირველესად ვლინდება მის ორიგინალობაში, ანუ ნაწარმოები უნდა იყოს განსხვავებული თავისი ინდივიდუალურობით და უნდა გააჩნდეს გარკვეული შემოქმედებითი დონე. აღნიშნული არ გულისხმობს ნაწარმოების ლიტერატურული ან მხატვრული ღირსების დონეს. ნაწარმოების ინდივიდუალურობაში მოიაზრება გამოხატვის ფორმისა და არა შინაარსის ორიგინალურობა. სწორედ ქმნილების გამოხატვის ფორმის უნიკალურობა განსაზღვრავს მის განუმეორებელ, ორიგინალურ და რასაკვირველია, ინტელექტუალურ ხასიათსაც. თუკი ნაწარმოები სხვა ნაწარმოებს იმეორებს, იგი საავტორო სამართლის დაცვის ქვეშ ვერ მოექცევა და საავტორო უფლებებიც მხოლოდ პირველ, ორიგინალურ ნაწარმოებზე გავრცელდება.

„კოკა-კოლას“ ორიგინალური სასაქონლო ნიშანი, რომელზეც ლათინური ასოებით თეთრი ფერით გამოსახულია სიტყვები „Coca-Cola“ შესრულებულია წითელ ფონზე. ქართული ვარიანტის სასაქონლო ნიშანზე იმავე ფერის ფონზე იმავე ფერის ქართული ასოებით გამოსახულია სიტყვები „კოკა-კოლა“. ლათინური და ქართული ასოებით გამოსახული ლოგოების ურთიერთშედარებით სხვა მსგავს ნიშნებთან ერთად ნათლად იკვეთება ქართული ასოების ორნამენტების იდენტურობა ლათინური ასოების ორნამენტებთან. ლოგოს ქართული ვარიანტით შენარჩუნებულია ლათინური ლოგოსათვის დამახასიათებელი ასოთა განლაგების სტილი.

ყოველივე მითითებული განაპირობებს ქართული ლოგოტიპის ვიზუალური ეფექტის უცვლელობას ლათინურ ლოგოტიპთან მიმართებაში. ზემოხსენებულ ლოგოტიპებს შორის ერთადერთი განსხვავება სხვადასხვა ანბანშია, რაც მიანიშნებს შესრულების ფარგლებზე – ერთი დამწერლობის ასოების სხვა დამწერლობის ასოებით შეცვლაზე. ეს მოქმედება კი აღიარებულია ტრანსლიტერაციად და საავტორო სამართლით დაცვადი არ არის.

ქართული ლოგოტიპის ორიგინალთან მაქსიმალური მსგავსება დადას-

ტურებულა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორ გოჩა წულაძისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ ელენე მაჭავარიანის სადავო საკითხზე ჩატარებული გამოკვლევის შედეგად მიღებული დასკვნებით, რომლითაც სპეციალისტები მიუთითებენ დ. მანჯგალაძის მიერ შექმნილი ქართული ლოგოტიპის ორიგინალთან აშკარა მსგავსებაზე. ამასთან, დაფიქსირებულია სპეციალისტთა აზრი ლათინური ლოგოს ელემენტების (გარდა ასოებისა) ზუსტ განმეორებადობაზე.

იგივე მოსაზრებაა დაფიქსირებული თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორის, განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გ. წერეთლის დასკვნის კვლევით ნაწილში, რომლის მიხედვით, „მხატვარ დ. მანჯგალაძის ქართული ასოებით შესრულებული ლოგო როგორც ვიზუალურად, ასევე შინაარსობრივად სრულიად ინარჩუნებს ორიგინალის განწყობასა და სტერეოტიპს. ამავე ექსპერტის შეფასებით „ქართული ლოგოტიპის შემქმნელს უდიდესი ძალისხმევა გამოუჩენია იმისათვის, რომ მოეხდინა ორიგინალთან ვიზუალური იდენტურობა.

რაც შეეხება ქართული ლოგოს ორიგინალობას, ექსპერტის მსჯელობა ამ ნაწილში წინააღმდეგობრივია, რადგან შეუძლებელია ესა თუ ის ნაწარმოები მეორე ნაწარმოებთან შედარებისას ვიზუალურად იდენტური იყოს, შინაარსობრივად ინარჩუნებდეს ორიგინალის განწყობას და ამავედროულად ორიგინალურიც იყოს, მითუმეტეს, თუ ეს ეხება ნახატს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს ექსპერტ გ. წერეთლის დასკვნას, რომ დ. მანჯგალაძის მიერ შესრულებული „კოკა-კოლას“ ქართული ლოგო ლათინურის ადაპტაციაა და არა მისი კოპირება, იგი წარმოადგენს ნახატს და არა ტრანსლიტერაციას ლათინურიდან.

ადაპტაცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს შეგუებას, შეწყობას. იგი სხვადასხვა მეცნიერებაში სხვადასხვა დატვირთვით გამოიყენება და განიმარტება, როგორც ორგანიზმის შეგუება, გარემო პირობების არსებობის შესანარჩუნებლად (ბიოლოგიაში); გრძნობის ორგანოს შერევა გარემოსთან; რაიმე ტექსტის გამარტივება, შემოკლება-გადაკეთება (ტექსტის ადაპტაცია).

ამ განმარტებიდან აშკარად ჩანს ადაპტირებული ნაწარმოების არსი – არსებულის შეცვლით ახალი ნაწარმოების შექმნა იმდაგვარად, რომ გადაქმუშავებული ნაწარმოები ორიგინალური უნდა იყოს, თავდაპირველი ნაწარმოებისგან განსხვავებული შინაარსითა და ფორმით გამოხატული.

ეს დასკვნა გამომდინარეობს თვით სიტყვა ორიგინალურის განმარტებიდან. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ორიგინალური განმარტე-

ბულია როგორც: 1. დამოუკიდებელი შემოქმედების შედეგად შექმნილი, არანათარგმნი, არანასესხები, არამიბაძეით. 2. რაც ან ვინც სხვას არა ჰგავს, თვითმყოფი. 3. თავისებური, არაჩვეულებრივი.

სასამართლო ზემოხსენებული გარემოებების ურთიერთშეჯერებით და შეფასებით ასკენის, რომ ქართული ლოგოტიპი „კოკა-კოლა“ იმეორებს ლათინური ლოგოს შინაარსსა და თვისებებს, იგი წარმოადგენს ორიგინალის გამეორებას და მოკლებულია თვითმყოფადობის, ორიგინალურობის ნიშნებს.

საკასაციო პალატა მხარეთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზეც, რომ დიმიტრი მანჯგალაძის მიერ შესრულებული „კოკა-კოლას“ ქართული ლოგოს ვარიანტი ორიგინალური ნაწარმოებიც რომ იყოს, მის ავტორს ქონებრივ საავტორო უფლებებზე კანონიერი პრეტენზიები ვერ ექნებოდა შემდეგის გამო:

საოლქო სასამართლო კოლეგიამ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ დ. მანჯგალაძის მიერ „კოკა-კოლას“ ქართული ლოგოტიპის შექმნა განხორციელდა შპს „კოკა-კოლა კავკასიონთან“, ამჟამად შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიასთან“ შეთანხმებით. სამხატვრო საბჭოს მიერ დ. მანჯგალაძის ნამუშევრის დამტკიცება განპირობებული იყო იმით, რომ ნამუშევარი უნდა გამოეყენებინათ ფირმა „კოკა-კოლას“ პროდუქციის რეკლამისათვის. სამხატვრო საბჭოს 1993 წლის 27 აპრილის №8 სხდომის ოქმი დამაჯერებლად ასახავს იმ გარემოებას, რომ „კოკა-კოლას“ ქართული ლოგოტიპი გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ შესრულდა მისი ავტორის – დიმიტრი მანჯგალაძის და შემკვეთის – შპს „კოკა-კოლა კავკასიონს“ შორის შემდგარი შეთანხმებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული ლოგოტიპი, თუკი იგი იქნებოდა ორიგინალური, უნდა მიეკუთვნებინათ შეკვეთით შექმნილი სახვითი ხელოვნების ნაწარმოებისათვის.

საავტორო სამართლით დადგენილი წესები ასახავს საერთო პრინციპს, რომლის თანახმად, საავტორო უფლება და საკუთრების უფლება ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი უფლებაა და ერთი მეორისაგან ავტომატურად არ გამომდინარეობს. ნაწარმოების რაიმე ფორმით სხვისთვის გადაცემა ერთდროულად არ ნიშნავს საავტორო უფლების დათმობას. ეს ორი სხვადასხვა გარიგებაა, რომლებიც შესაძლებელია, ზოგჯერ გაფორმდეს ერთ გარიგებად. ეს ურთიერთობა არ გამორიცხავს სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნას შეკვეთით, თუმცა საავტორო ხელშეკრულება სახვითი ხელოვნების ნაწარმოების შექმნაზე იწოდებოდა მხატვრული შეკვეთის ხელშეკრულებად (იხ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 516-517-ე მუხლები). სამოქალაქო სამართლის კოდექსის 523-ე მუხლში მოხსენიებული შეკვეთა მიღებული უნდა იქნეს არა როგორც საავტორო, არამედ როგორც ნარდობის ხელშეკრულება,

თუკი ასეთ ნაწარმოებზე შეკვეთა არ შეიცავს საავტორო ხელშეკრულების ელემენტებს, არ ითვალისწინებს შემკვეთის უფლებას ნაწარმოების გამოყენებაზე. შეკვეთით შექმნილი სახვითი ხელოვნების ნაწარმოებზე საკუთრება ეკუთვნის შემკვეთს, რომელიც არ იძენს არანაირ საავტორო-სამართლებრივ უფლებებს. ეს უკანასკნელი უფლებამოსილება, გარდა ქონებრივისა, რჩება ავტორს. შემკვეთი უფლებამოსილია, განკარგოს, გამოიყენოს მატერიალური ობიექტი-ნაწარმოები როგორც საკუთრების უფლების, მაგრამ არა როგორც საავტორო უფლების ობიექტი. კანონის ეს დანაწესი უფლებას აძლევს დიმიტრი მანჯგალაძეს მოითხოვოს შეთანხმებული გასამრჯელო და არა ნაწარმოების გამოყენებით მიღებული შემოსავლის ნაწილი, თუკი შესრულებული ობიექტი დააკმაყოფილებდა სახვითი ხელოვნების ნაწარმოებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დიმიტრი მანჯგალაძემ ვერ შეძლო და გასაჩივრებული გადაწყვეტილებითაც არ არის დადასტურებული, რომ სამხატვრო საბჭოს 1993 წლის 27 აპრილის სხდომის ოქმში მითითებული დამკვეთი, სამუშაოს ღირებულება და საერთოდ ამ ოქმის არსებობა იყო პირობითი, ფორმალური და მათ, თვით ცნებებიდან გამომდინარე, მიზნობრივი დატვირთვა არ ჰქონდათ.

სრულიად დაუსაბუთებელია დიმიტრი მანჯგალაძის სარჩელი შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ წარმომადგენელთან მისი შეთანხმების შესახებ საავტორო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. ასეთი რამ საქმის მასალებით და გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი არ არის.

ასევე ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული სასარჩელო მოთხოვნა „კოკა-კოლას“ პროდუქციის სარეალიზაციო ფასის არანაკლებ 1%-ის პონორარის სახით მიღებაზე. შესაბამისად, იურიდიულად დაუსაბუთებელია საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილშიც, ვინაიდან მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ზიანის არსებობა, დადასტურებული არ არის.

საკასაციო პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს „ზე კოკა-კოლა კომპანის“ შეგებებულ სარჩელსაც და მას უარი უნდა ეთქვას შემდეგ გარემოებათა გამო:

შეგებებული სარჩელით მოპასუხემ მოითხოვა – „ზე კოკა-კოლა კომპანის“ აღიარება „კოკა-კოლას“ ქართული ტრანსლიტერული ვერსიის ავტორად და ერთდერტ მესაკუთრედ ცნობა, დ. მანჯგალაძის „ზე კოკა-კოლა კომპანის“ საავტორო უფლებათა დამრღვევად ცნობა და მისთვის „კოკა-კოლას“ ქართული ლოგოტიპის ნებისმიერი ფორმით გამოყენების აკრძალვა. „Coca-Cola“ ლოგოტიპის ქართული ტრანსლიტერაციულ ვერსია საავ-

ტორო სამართლის ობიექტს არ წარმოადგენს, რაც დასაბუთებულია ამავე გადაწყვეტილებით ძირითად სარჩელზე დასკვნების გამოტანისას ზემოხსენებულ გარემოებათა გამო და აღნიშნული დასაბუთება ვრცელდება შეგებებული სარჩელის ამ ნაწილზეც. საკასაციო სასამართლო, ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს „ზე კოკა-კოლა კომპანის“ მოთხოვნას დიმიტრი მანჯგალაძის საავტორო უფლების დამრღვევად ცნობისა და მისთვის „კოკა-კოლას“ ლოგოტიპის გამოყენების აკრძალვის თაობაზე. საავტორო უფლების დარღვევა და გამოყენება, შეგებებული სარჩელის ავტორის მოსაზრებით, გამოიხატა ლოგოტიპის უკანონო გადაჭიმვაში. სასამართლოს მიერ ძირითად სარჩელზე მსჯელობისას გამოკვლეულ იქნა ქართული ლოგოტიპის შესრულების წესი და ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ქართული ლოგოტიპი შესრულდა დარღვევით და იგი საავტორო სამართლით დაცვად ნაწარმოებს არ წარმოადგენს. შესაბამისად, საავტორო სამართლის ნორმები მასზე არ გავრცელდება. იგივე დასკვნა ეხება შეგებებული სარჩელის ამ მოთხოვნებსაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ დიმიტრი მანჯგალაძის სარჩელიც და „ზე კოკა-კოლა კომპანის“ შეგებებული სარჩელიც უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიასა“ და „ზე კოკა-კოლა კომპანის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ გადაწყვეტილების გაუქმების ნაწილში დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

დიმიტრი მანჯგალაძის სარჩელი და „ზე კოკა-კოლა კომპანის“ შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საავტორო უფლების დარღვევის შედეგად
მიყენებული ზიანის ანაზღაურება**



ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№02ა/100

21 ნოემბერი 2000წ. ქ.თბილისი

**თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა
კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ქეთევან დუგლაძე (თავმჯდომარე),
მადი ჩანტლაძე,
დავით თოდრაძე**

დ.გოგატიშვილის მდივნობით

მოსარჩელე: აპოლონ ჟორდანიას მონაწილეობით

მოპასუხე: თამაზ ჭილაძე (მონაწილეობის გარეშე)

**განიხილა სამოქალაქო საქმე №02ა/100 აპოლონ ჟორდანიას სარჩელის
გამო თამაზ ჭილაძის მიმართ, საავტორო უფლებების დარღვევის თაობაზე.**

სასამართლო კოლეგიამ

გ ა მ ო ა რ კ ე ი ა :

**აპოლონ ჟორდანიამ სარჩელით მომართა თბილისის საოლქო სასამართ-
ლოს თამაზ ჭილაძის მიმართ, საავტორო უფლებების დარღვევასთან დაკავ-
შირებით.**

**მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში უთითებს, რომ 1977 წელს გა-
მოიცა მისი წიგნი „როცა პოეზიაზე ფიქრობ“, მასში შესულია ნაშრომი**

რუსთაველზე – „რუსთაველი და ეროვნულის უკვდავება ხელოვნებაში“. ეს წიგნი საჩუქრად გადასცა თამაზ ჭილაძეს, რომელმაც გამოიყენა მისი ნაშრომი რუსთაველზე და ოდნავ ფერშეცვლილად გამოსცა რამდენიმე წლის შემდეგ თავისი სახელით. თამაზ ჭილაძემ თავის წიგნს „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ დაარქვა.

მოსარჩელე ითხოვს ჩამოერთვას თამაზ ჭილაძეს ავტორობა წიგნზე „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ და აღდგეს მისი საავტორო უფლება ამ წიგნზე. აუნაზღაურდეს მორალური ზიანი 5000 ლარის ოდენობით.

მოპასუხე თამაზ ჭილაძეს სარჩელზე წერილობითი შესაგებელი არ წარმოუდგენია. მოსამზადებელ სხდომაზე სარჩელი არ ცნო და მორიგება შესთავაზა მოსარჩელე მხარეს, რაზეც მოსარჩელემ უარი განაცხადა.

მოპასუხემ მოსამზადებელ სხდომაზე იშუამდგომლა ავადმყოფობის გამო მისი მონაწილეობის გარეშე საქმის არსებითი განხილვის თაობაზე. სასამართლომ მოპასუხის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და საქმე განიხილა მოპასუხის მონაწილეობის გარეშე.

სასამართლო კოლეგიამ შეისწავლა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოისმინა მოსარჩელის ზეპირი ახსნა-განმარტება, მიიჩნია, რომ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა და მას უარი უნდა ეთქვას შემდეგი გარემოებების გამო:

სასამართლო კოლეგია აპოლონ ჟორდანიას სარჩელით აღძრული სადავო საკითხების გადაწყვეტისას ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნორმებით, ვინაიდან „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 67-ე მუხლის მიხედვით, ეს კანონი ვრცელდება იმ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ამ კანონის ამოქმედების შემდეგ. როგორც საქმის მასალებით დადგინდა, აპოლონ ჟორდანიასა და თამაზ ჭილაძეს შორის საავტორო უფლების ობიექტთან დაკავშირებული ურთიერთობები წარმოიშვა „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 1977 წელს გამოიცა აპოლონ ჟორდანიას ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწარმოები „როცა პოეზიაზე ფიქრობ“. მასში ერთ-ერთ თავად შესულია „რუსთაველი და ეროვნულის უკვდავება ხელოვნებაში“, რომელიც მწერლის მოსაზრებებს წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გაგების თაობაზე.

საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 488-ე მუხლით საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებებზე, მიუხედავად მათი ფორმისა, დანიშნულებისა და ღირსებისა, აგრეთვე მათი რეპროდუქციის წესისა. საავტორო უფლება ვრცელდება ნაწარ-

მოებებზე, რომლებიც გამოქვეყნებულია ან არაა გამოქვეყნებული, მაგრამ გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით.

საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 489-ე მუხლით საავტორო უფლების საგანი შეიძლება იყოს წერილობითი ნაწარმოები: ლიტერატურული, მეცნიერული და ა.შ.

ამდენად, ვინაიდან აპოლონ ჟორდანიას წიგნი „როცა პოეზიაზე ფიქრობ“ წარმოადგენს ობიექტური ფორმით გამოხატულ, გამოქვეყნებულ ლიტერატურულ ნაწარმოებს, ავტორის, ა.ჟორდანიას შემომდებელით საქმიანობის შედეგს, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის თაობაზე ავტორის მოსაზრებების გამოხატვა, ის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 488-ე და 489-ე მუხლების საფუძველზე ითვლება საავტორო უფლების საგნად.

აგრეთვე, ვინაიდან ნაწარმოები „როცა პოეზიაზე ფიქრობ“ გამოქვეყნებულია ავტორის ნამდვილი სახელით და ამ ნაწარმოებზე აპოლონ ჟორდანიას ავტორობა სადავოდ არ არის გამხდარი, აპოლონ ჟორდანიას, როგორც ნაწარმოების ავტორს, გააჩნია ამ ნაწარმოებზე სამოქალაქო სამართლის კოდექსის 493-ე მუხლით გათვალისწინებული ავტორის უფლებები.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 1984 წელს გამოქვეყნდა თამაზ ჭილაძის ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწარმოები „ვარდის ფურცლების ნიშანი“. მასში გადმოცემულია ავტორის, თამაზ ჭილაძის მოსაზრებები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გაგების თაობაზე.

სასამართლო კოლეგიას ზემოთაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე ნაწარმოები „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ მიაჩნია საავტორო უფლების საგნად, როგორც ნაწარმოების ავტორის თამაზ ჭილაძის დამოუკიდებელი ინტელექტუალური შემოქმედებითი საქმიანობის ნაყოფი და ამდენად, დამოუკიდებელი ლიტერატურული ნაწარმოები. მასში ავტორმა გამოხატა თავისი მოსაზრებები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღქმის თაობაზე, ამავე დროს შეეხო ყველა იმ ავტორს, რომელთაც აქვთ გამოთქმული თავიანთი მოსაზრებები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესახებ, რომელთაგან ზოგიერთის მოსაზრებები უარყო და გააკრიტიკა, ზოგიერთის კი გაიზიარა.

აპოლონ ჟორდანია მოითხოვს ჩამოერთვას თამაზ ჭილაძეს „ვარდის ფურცლობის ნიშანზე“ ავტორობა, როგორც მისი ნაწარმოების „როცა პოეზიაზე ფიქრობ“ აღმოჩენების, აზრების მიმოვისებელს, რომელმაც მისი წიგნიდან 80% გადაიწერა თავის წიგნში. მოსარჩელე აღნიშნულის დასადასტურებლად უთითებს შემდეგ გარემოებებს: „ამ ორ წიგნს შორის არის დამთხვევა, ჭილაძე ახერხებს სიტყვების შეცვლას, მაგრამ აზრი იგივე რჩება“. „ჭილაძე არის სხვისი აზრების მითვისების დიდი პროფესიონალი“, „ჭილაძეს გამოყენებული აქვს ჩემი წიგნიდან ბევრი რამ“, „ჭილაძემ გამოიყენა ჩემი ნაშრომი“.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული

გარემოებებით არ დასტურდება თამაზ ჭილაძის მიერ აპოლონ ჟორდანიას ნაწარმოების „როცა პოეზიაზე ფიქრობ“ მითვისების ფაქტი.

სასამართლო კოლეგიამ მოსარჩელის ახსნა-განმარტების და საქმის სხვა მასალების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ თამაზ ჭილაძემ თავისი ნაწარმოების შექმნისას გამოიყენა აპოლონ ჟორდანიას წიგნი „როცა პოეზიაზე ფიქრობ“. აღნიშნული დასტურდება თვით ნაწარმოების „ვარდის ფურცლობის ნიშანის“ ანოტაციაში, ავტორის შემდეგი მითითებით: ნაწარმოებში გათვალისწინებულია თითქმის ყველა ის საყურადღებო მოსაზრება, რაც ამ პოემასთან დაკავშირებით ქართველ თუ უცხოელ მეცნიერებს გამოუთქვამთ.

თამაზ ჭილაძე თავის ნაწარმოებში „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღქმის შესახებ აკრიტიკებს სხვადასხვა მწერალთა და მკვლევართა მოსაზრებებს, ხოლო იმ მკვლევარის მიმართ, რომლის შეხედულებებსაც იზიარებს, იყენებს გამოთქმას: ერთი მკვლევარი („ვარდის ფურცლობის ნიშანი“ გვ.83-92, 102-103).

სასამართლო კოლეგია ნაწარმოებების შესწავლისას მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იმ „ერთი მკვლევარის“-ს მოსაზრებები, რომლებსაც თამაზ ჭილაძე ემხრობა და იზიარებს თავის ნაწარმოებში, არის აპოლონ ჟორდანიას მოსაზრებები გამოხატული წიგნში, „როცა პოეზიაზე ფიქრობ“. აღნიშნულის შესახებ მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხებამაც განაცხადა. კერძოდ აღნიშნა: ერთი მკვლევარი, რომელსაც ვუთითებ ჩემს ნაწარმოებში არის აპოლონ ჟორდანიას.

საქმის მასალების და სადავო ნაწარმოებების შესწავლისას სასამართლო კოლეგია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ორივე მკვლევარს, აპოლონ ჟორდანიას და თამაზ ჭილაძეს აქვთ ერთნაირი შეხედულებები „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ახლებურად წაკითხვის თაობაზე და ამ მიმართებით ორივე მწერალი ერთ პოზიციაზე იმყოფება. ამასთან, ორივე ავტორი ამ თავიანთ, ერთმანეთის მსგავს შეხედულებებებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტთან მიმართებაში დამოუკიდებელი ინდივიდუალური ინტელექტუალური მწერლური ხერხებით და მეთოდებით გამოხატავს.

ამრიგად, სასამართლო კოლეგია დადგენილად მიიჩნევს რა თამაზ ჭილაძის მიერ თავისი ნაწარმოების შექმნისას აპოლონ ჟორდანიას ნაწარმოების გამოყენებას, თვლის, რომ მათ შორის ამ ნაწარმოების გამოყენებასთან დაკავშირებული სადავო ურთიერთობა უნდა გადაწყდეს საქართველოს სამოქალაქო სასამართლოს კოდექსის 506-ე მუხლის მიხედვით. ამ მუხლის შესაბამისად, ავტორის თანხმობის გარეშე და საავტორო გასამრჯელოს გადაუხდელოდ, ოღონდ გამოყენებული ნაწარმოების ავტორის გვარის და თვით წყაროს აუცილებელი მითითებით, დასაშვებია გამოქვეყნებული სხვისი ნაწარმოების გამოყენება ახალი, შემოქმედებითად დამოუკიდებელი ნაწარმოების შესაქმნელად.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 506-ე მუხლიდან გამომდინარე თამაზ ჭილაძეს უფლება ჰქონდა თავისი შემოქმედებითად დამოუკიდებელი ნაწარმოების შექმნისას გამოეყენებინა აპოლონ ჟორდანიას ნაწარმოები მისი თანხმობის გარეშე, ავტორის გვარის და თვით წყაროს აუცილებელი მითითებით. ე.ი. თავის ნაწარმოებში თამაზ ჭილაძეს „ერთი მკვლევარი“-ს ნაცვლად უნდა მიეთითებინა: აპოლონ ჟორდანია, „როცა პოეზიაზე ფიქრობ“, იმ შემთხვევებში, როცა თავის ნაწარმოებში ეხება აპოლონ ჟორდანიას მოსაზრებებს გადმოცემულს წიგნში „როცა პოეზიაზე ფიქრობ“.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 512-ე მუხლის მიხედვით, თუ ნაწარმოები გამოეყენებულა იქნა ავტორთან თანხმობის გარეშე, ნაწარმოების გამოყენებისათვის დადგენილი პირობების დარღვევით, ავტორს შეუძლია მოითხოვოს დარღვეული უფლების აღდგენა: სათანადო შესწორების შეტანა, პუბლიკაცია პრესაში ან სხვა რამ საშუალებით მომხდარი დარღვევის შესახებ.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსარჩელეს თავისი საავტორო უფლების დაცვა უნდა მოეთხოვა ერთ-ერთი ზემოთაღნიშნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების საშუალებით. მოსარჩელეს ასეთი მოთხოვნა სასამართლოს წინაშე არ დაუყენებია. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლით კი სასამართლოს უფლება არ აქვს თავისი გადაწყვეტილებით მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოსამზადებელ სხდომაზე თამაზ ჭილაძის მიერ აპოლონ ჟორდანიასათვის მორიგების პირობად 512-ე მუხლით გათვალისწინებული საავტორო უფლების დაცვის ერთ-ერთი ღონისძიების შეთავაზებას (პუბლიკაცია პრესაში ან შესწორების შეტანა) აპოლონ ჟორდანიამ კატეგორიული უარით უპასუხა.

ამრიგად, სასამართლო კოლეგიას მოსარჩელის მოთხოვნა თამაზ ჭილაძისათვის „გარდის ფურცლების ნიშანზე“ ავტორობის ჩამორთმევის შესახებ უსაფუძვლოდ მიაჩნია, ვინაიდან თვლის, რომ აპოლონ ჟორდანიას „როცა პოეზიაზე ფიქრობ“ და თამაზ ჭილაძის „გარდის ფურცლობის ნიშანი“ არის ორი მწერლის დამოუკიდებელი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის ნაყოფი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ახლებურად წაკითხვის (გაგების) თაობაზე, რის გამოც ორივე ავტორს გააჩნია საავტორო უფლება თავის ნაწარმოებზე და იმ მოსაზრებებსა და იდეებზე, რომლებიც ამ ნაწარმოებებშია გამოხატული. იმ გარემოებას კი, რომ აპოლონ ჟორდანიამ უფრო ადრე გამოთქვა თავის ნაწარმოებში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე ის მოსაზრებები, რომლებიც შემდგომ გაიზიარა თავის ნაწარმოებში თამაზ ჭილაძემ (ამავე ნაწარმოებში თამაზ ჭილაძემ ჩამოაყალიბა ბევრი სხვა ისეთი მოსაზრებაც, რომელიც არ არის აპოლონ ჟორდანიას ნაწარმოებში) სასამართლო კოლეგია არ მიიჩნევს თამაზ ჭილაძისათვის „გარდის ფურცლობის“ ნიშანზე ავტორობის ჩამორთმევის საფუძვლად.

სასამართლო კოლეგიამ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან მხარეთა შორის წამოჭრილი სადავო ურთიერთობის გადასაწყვეტად გამოყენებული სამოქალაქო სამართლის კოდექსი სამოქალაქო (საავტორო) ღირებულების გადაწყვეტისას მორალური ზიანის ანაზღაურებას არ ითვალისწინებს.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 249-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით,

გ ა ღ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. უარი ეთქვას აპოლონ ჟორდანიას სარჩელს თამაზ ჭილაძისათვის წიგნზე „ვარდის ფურცლების ნიშანი“ ავტორობის უფლების ჩამორთმევისა და ამ წიგნზე მისი (აპოლონ ჟორდანიას) საავტორო უფლების აღდგენის, ასევე მიყენებული მორალური ზიანის 5000 ლარის ანაზღაურების თაობაზე.

2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით, მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემიდან ერთი თვის ვადაში.



ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ 3კ\236-01

23 მარტი, 2001 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემდგენლობა: ბ. ზიმშიაშვილი (თავმჯდომარე),

ქ. გაბელაია (მომხსენებელი),

ბ. კობერიძე

მდივანი: ზ. სამუშია

კასატორი: აპოლონ ჟორდანია (მოსარჩელე)

მოწინააღმდეგე მხარე: თამაზ ჭილაძე (მოპასუხე)

გასაჩივრებელი გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო კოლეგიის 2000 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება.

დავის საგანი: საავტორო უფლებების დარღვევის შესახებ.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

აპოლონ ჟორდანიამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თავისი საავტორო უფლებების აღდგენა. სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელე მიუთითებს, რომ 1977 წელს გამოსცა წიგნი „როცა პოეზიაზე ფიქრობ“, რომელშიც შესულია მისი ნაშრომი „რუსთაველი ეროვნულის უკვდავება ხელოვნებაში“, რომელიც წარმოადგენს მის მოსაზრებებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ახლებური გაგების თაობაზე. აღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ 1984 წელს მოპასუხე თამაზ ჭილაძემ გამოსცა წიგნი „ვარდის ფურცლობის ნიშანი“, რომელშიც გამოიყენა მისი ზემოდასახელებული ნაშრომი ისე, რომ მისი სახელი და გვარი საერთოდ არ მოუხსენებია. თამაზ ჭილაძემ თავის ნაშრომში მითთვისა მისი აზრები, აღმოჩენები, რის გამოც ითხოვს თამაზ ჭილაძეს ჩამოერთვას ავტორობა წიგნზე „ვარდის ფურცლობის ნიშანი“.

სასამართლო სხდომაზე მოპასუხე თამაზ ჭილაძე არ გამოცხადდა, მან მოსამზადებელ სხდომაზე ითხოვა საქმე განხილულიყო მის დაუსწრებლად. თუმცაღა მოსამზადებელ სხდომაზე განმარტა, რომ „ერთი მკვლევარი, რომელსაც ვიხსენებ ჩემს წიგნში არის აპოლონ ჟორდანი“.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით აპოლონ ჟორდანიას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა შემდეგი საფუძვლით: მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებით არ დასტურდება, თამაზ ჭილაძის მიერ აპოლონ ჟორდანიას ნაწარმოების „როცა პოეზიაზე ფიქრობ“ მითვისების ფაქტი.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა აპოლონ ჟორდანიამ, რომლითაც ითხოვს გადაწყვეტილების გაუქმებას შემდეგი საფუძვლით: სასამართლო კოლეგიამ ყოველგვარი მტკიცების გარეშე მიიღო ტენდენციური გადაწყვეტილება დავის გადაწყვეტის დროს არასწორად გამოიყენა 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი და არ გამოიყენა კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. სასამართლომ აღნიშნული

კანონის გამოყენებლობა ახსნა იმით, რომ კანონის 67-ე მუხლის მიხედვით, „ეს კანონი ვრცელდება იმ სააეტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რომელიც წარმოიშვა ამ კანონის ამოქმედების შემდეგ. მოცემულ შემთხვევაში აპოლონ ჟორდანიასა და თამაზ ჭილაძეს შორის სააეტორო უფლების ურთიერთობები წარმოიშვა ამ კანონის ამოქმედებამდე“. კასატორის აზრით, არასწორია სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა, რადგან ჭილაძე დღესაც აგრძელებს ამ ურთიერთობებს, დღესაც სცემს სადავო ნაშრომს. გარდა ამისა, „რა ასეთი ჯადოსნურია ეს მუხლი, რომელიც ადგენს და აკანონებს თარიღს – მიჯნას, რომლის მიხედვითაც ვინც ამ თარიღამდე სხვისი ნაშრომი მიითვისა, მიმთვისებლად არ ითვლება. გარდა ამისა, სასამართლომ გამოიყენა არა ახალი სამოქალაქო კოდექსი, არამედ ძველი 1964 წლის კოდექსი.

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები საკასაციო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ აპოლონ ჟორდანიას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. უცვლელი უნდა დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ „დავის გადაწყვეტის დროს სასამართლოს უნდა გამოეყენებინა კანონი სააეტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ, რადგან მოპასუხის მიერ დღესაც გრძელდება მისი უფლებების დარღვევა“. საკასაციო პალატა თვლის, რომ საოლქო სასამართლომ სწორად გამოიყენა მხარეთა შორის დავის გადაწყვეტის დროს 1964 წლის სამოქალაქო კოდექსი, რადგან კანონის „სააეტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ 67-ე მუხლის თანახმად, ეს კანონი ვრცელდება იმ სააეტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ამ კანონის ამოქმედების შემდეგ. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, სადავო ნაშრომი „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ გამოცემულია 1984 წელს, ხოლო ნაშრომი „როცა პოეზიაზე ფიქრობ“, რომლის მითვისებასაც ედავება მოსარჩელე მოპასუხეს – 1967 წელს. აქედან გამომდინარე, თუ მოხდა სააეტორო უფლებების დარღვევა, ეს მოხდა 1984 წელს, ამიტომ გამოყენებული უნდა იქნეს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, ხოლო ის რომ, როგორც კასატორი განმარტავს, ჭილაძის მხრიდან დღესაც გრძელდება მისი სააეტორო უფლებების დარღვევა, არ შეიძლება გახდეს ახალი კანონის გამოყენების საფუძველი. საკასაციო პალატა, ასევე, ვერ გაიზიარებს კასატორის

მოსაზრებას, რომ კოლეგიამ ყოველგვარი მტკიცების გარეშე მიიღო გადაწყვეტილება, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემულია კანონის ყველა მუხლი, რომელსაც გადაწყვეტილება ეყრდნობა.

საკასაციო პალატის აზრით, გადაწყვეტილებაში სწორად მსჯელობს სასამართლო კოლეგია, როცა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 506-ე მუხლიდან გამომდინარე, თამაზ ჭილაძეს უფლება ჰქონდა თავისი, შემოქმედებითად დამოუკიდებელი წარმოების შექმნისას გამოეყენებინა აპოლონ ჟორდანიას ნაწარმოები მისი თანხმობის გარეშე ავტორის გვარისა და წყაროს აუცილებელი მითითებით. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში ავტორს შეუძლია მოითხოვოს დარღვეული უფლების აღდგენა. სათანადო ცვლილებების შეტანა, პუბლიკაცია პრესაში. კოლეგია მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს თავის საავტორო უფლების დაცვა უნდა მოეთხოვა კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთერთი ღონისძიებით საკასაციო პალატა თვლის, იმის გამო, რომ მოსარჩელე თავისი სარჩელით მოითხოვდა არა კანონით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული წესით თავისი საავტორო უფლებების აღდგენას, არამედ იმას, რომ ჭილაძეს ჩამოერთვას ავტორობა წიგნზე „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ და იგი ჩაითვალოს ამ წიგნის ავტორად, საოლქო სასამართლომ მოსარჩელეს სწორად უთხრა უარი აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო სქმეთა კოლეგიაში საქმის განხილვის დროს კანონის დარღვევას ადგილი არ ქონია, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელი უნდა დარჩეს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

აპოლონ ჟორდანიას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელი დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო კოლეგიის 2000 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



გ ა დ ა წ ყ ვ ე მ ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№2/ა-249-2002

13 იანვარი, 2003წ. ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია
შემადგენლობა: მ. ჩანტლაძე (თავმჯდომარე და მომხსენებელი),

მ. ჯიყაშვილი,

გ. გულელანი

სხდომის მდივანი: ხ. სურამელაშვილი

მოსარჩელე: აპოლონ ჟორდანი

მოპასუხე: ნანა ჯანელიძე; წარმომადგენელი – კ. შარაბიძე

დავის საგანი: საავტორო უფლების დაცვა.

მოსარჩელე: გია აბულაძე; წარმომადგენელი – ი. კორძახია

მოპასუხე: ა. ჟორდანი

დავის საგანი: ავტორობის და ღირსების დაცვა.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 15 ნოემბრის განჩინებით სსკ-ს 182-ე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე ერთ წარმოებად ერთად განხილვისათვის გააერთიანა სამოქალაქო საქმე ა. ჟორდანიას სარჩელის გამო მოპასუხე ნანა ჯანელიძის მიმართ საავტორო უფლების დარღვევის შესახებ (საქმე №2/ა-196) და გია აბულაძის სარჩელის გამო მოპასუხე ა. ჟორდანიას მიმართ ავტორობის და ღირსების დაცვის შესახებ (საქმე №2/ა-249).

აპოლონ ჟორდანიამ სარჩელით მომართა თბილისის საოლქო სასამართლოს მოპასუხეების თენგიზ აბულაძის მემკვიდრეების ნანა ჯანელიძის, ქეთი აბულაძის და მიხეილ ქელივიძის მიმართ საავტორო უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით და მოითხოვა დარღვეული საავტორო უფლების აღდგენა.

2002 წლის 16 ოქტომბერს სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე აპოლონ ჟორდანიამ მოპასუხეები ქეთი აბულაძე და მიხეილ ქელივიძე ამორიცხა მოპასუხეთა სიიდან და ნანა ჯანელიძის მიმართ დააზუსტა თავისი სასარჩელო მოთხოვნა, კერძოდ მოსარჩელე ითხოვს მოპასუხე ნანა ჯანელიძე აღიარებული იქნეს საავტორო უფლების დამრღვევად მის მიერ 1960-62 წლებში შექმნილ ნაწარმოებზე „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“.

აპოლონ ჟორდანია სასარჩელო მოთხოვნას ამყარებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

თენგიზ აბულაძემ და მისმა შემოქმედებითმა ჯგუფმა – მასთან შეუთანხმებლად და მის მოუხსენიებლად გამოიყენეს და არსებითად მითვისეს მისი ნაწარმოები „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“, რომლის გარეშეც ვერ შეიქმნებოდა ფილმი „მონანიება“.

ნაწარმოები „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“ მოსარჩელემ დაწერა 1960-62 წლებში, 1963 წლის მარტში წარადგინა ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში, რომელმაც არ დაბეჭდა და ამის შემდეგ მან გადაწყვიტა მისი რეალიზაცია ეკრანსა და სცენაზე. სწორედ იმ ხანებში, როდესაც ნაწარმოების რეალიზაციაზე წვალბოდა – საჯარო ბიბლიოთეკის სამეცნიერო დარბაზში შეხვდა კინორეჟისორ თენგიზ აბულაძეს, რომელსაც გადასცა თავისი მოთხრობა, იმ იმედით, რომ მოწონების შემთხვევაში ფილმს ერთად გადაიღებდნენ. აღნიშნულზე თ. აბულაძემ უარი განაცხადა და ურჩია, რომ მოსკოვში რეჟისორ მიხეილ რომისთვის მიემართა.

ა. ჟორდანიამ „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“ 1980-81-87 წლებში ხელახლა წარადგინა აღმანახ „განთიადი“-ს რედაქციაში, მაგრამ კვლავ არ გამოქვეყნდა.

ა. ჟორდანია თავის სასარჩელო მოთხოვნას ამყარებს შემდეგ მტკიცებულებებზე:

მან სასამართლოს წარმოუდგინა ნაწარმოები „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“ და 1968 წელს ჟურნალ „დროშის“ მე-2 ნომერში გამოქვეყნებული მოთხრობა „სადღაც ზღვის პირას“. 1989 წელს ჟურნალ „დროშაში“ მე-7 ნომერში გამოქვეყნებული ნაწყვეტი ავტობიოგრაფიული ნაწარმოებიდან „საით წავიდა მამა“.

მოპასუხე ნანა ჯანელიძე თავის წერილობით შესაგებელში სარჩელს არ ცნობს და უსაფუძვლოდ მიიჩნევს მას, როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი თვალსაზრისით.

მისი განმარტებით, მან, თენგიზ აბულაძესთან და რეზო კვესელავასთან ერთად მიიღო მონაწილეობა საყოველთაოდ ცნობილი მხატვრული ფილმის „მონანიების“ სცენარის შექმნაში. შესაბამისად, ის წარმოადგენს აღნიშნული ფილმის სცენარის ერთ-ერთ თანაავტორს. ფილმი „მონანიების“ სცენარი არის მის თანაავტორთა რთული შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი. ბატონ აპოლონ ჟორდანიას, ფილმის სცენარის შექმნის შემოქმედებით პროცესში არაერთგვაროვანი მონაწილეობა არ მიუღია, უფრო მეტიც ის არ ცნობს და არსოდეს შეხვედრია ა. ჟორდანიას.

მოპასუხეს უსაფუძვლოდ მიაჩნია მოსარჩელის განცხადება იმის თაობაზე, რომ მოპასუხეებმა მასთან შეუთანხმებლად და მის მოუხსენიებლად გამოიყენეს და არსებითად მიითვისეს ნაწარმოები „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“, რომლის გარეშეც ვერ შეიქმნებოდა ფილმი „მონანიება“. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სცენარის შექმნის მომენტი სათვის, დასახლებული ნაწარმოები მისთვის არ ყოფილა ხელმისაწვდომი. მისი განმარტებით: თვით აპოლონ ჟორდანიაც კი მის სარჩელში და თანდართულ საგაზეთო სტატიებში აღწერს, თუ როგორ ვერ შეძლო ამ ნაწარმოების გამოქვეყნება, მიუხედავად დაჟინებული მცდელობისა.

მოპასუხეს აბსურდულად მიაჩნია ის გარემოება, რითაც ა. ჟორდანიას ხსნის მისი (მოპასუხისათვის უცნობი) ნაწარმოების კავშირს ფილმ „მონანიების“ სცენართან, კერძოდ ის რომ თენგიზ აბულაძემ 1963 წელს წაიკითხა „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“, მოპასუხის განმარტებით საქმეში არსებული მასალებიდან გაურკვეველია, თუ რა ნაწარმოები გადასცა აპოლონ ჟორდანიამ თენგიზ აბულაძეს 1963 წელს საჯარო ბიბლიოთეკაში შეხვედრისას (საერთოდ გადასცა თუ არა), საერთოდ არსებობდა თუ არა 1963 წელს აპოლონ ჟორდანიას ნაწარმოები „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“, ხოლო თუ არსებობდა რა ფორმა და შინაარსი გააჩნდა მას იმ დროს.

მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელე ვერ უთითებს, თუ რომელი ქონებრივი საავტორო უფლება იქნა დარღვეული მოპასუხეთა მიერ და კონკრეტულად რაში გამოიხატება იგი. სარჩელში ა. ჟორდანიას მოპყავს რამდენიმე ეპიზოდი ფილმიდან და მას ადარებს საკუთარ მოთხოვნას ამგვარი შედარებებიდან, მით უფრო ნათელი ხდება სასარჩელო მოთხოვნის უსაფუძვლობა. კერძოდ, მოსარჩელე ვერ უთითებს ნაწარმოების რეპროდუცირების შემთხვევებს და მხოლოდ ალეგორიებით ცდილობს საავტორო უფლების დარღვევის სურათის შექმნას. ასე მაგალითად: ტორტის მცხობელი ქალი გაიგივებულია თეატრიდან დაბრუნებულ ლოგინზე დაწოლილ ადამიანთან?; კაცის სურათი განთავსებული გაზეთის ნეკროლოგში გაიგივებულია კედელზე ჩამოკიდებულ დედის სურათთან?; სასამართლო სხდომის დარბაზი გაიგივებულია თეატრის დარბაზთან?; დარაჯი გაიგივებულია გლეხთან, რომელიც მიწას

ხნავს და ა. შ. ამგვარი ლოგიკით, ნებისმიერ, თუნდაც რადიკალურად განსხვავებულ ნაწარმოებებს შორისაც კი შეიძლება „საერთოს“ მოძებნა. მოსარჩელის, როგორც ხელოვანი ადამიანის, ფანტაზია შესაძლოა უსაზღვრო იყოს, მაგრამ ა. ჟორდანიას მიერ დასახელებული არც ერთი გარემოება სამართლებრივი თვალსაზრისით, არ კჰმნის საავტორო უფლების დარღვევის ნიშნებს. ხოლო რაც შეეხება იდეებსა და კონცეფციებს მათზე არ ვრცელდება საავტორო უფლება, თუნდაც ასეთი აღწერილი და ხორცშესხმული იყოს ნაწარმოებში. საავტორო კანონმდებლობა იცავს მხოლოდ და მხოლოდ ნაწარმოების ფორმას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოპასუხე ითხოვს ა. ჟორდანიას ეთქვას უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

2002 წლის 24 სექტემბერს ა. ჟორდანიამ წარმოადგინა წერილობითი პასუხი ნანა ჯანელიძის შესაგებელზე, სადაც ის აცხადებს, რომ არავის არაფერი არ დაუწერია, თენგიზ აბულაძემ მის გვერდით, სცენარის ავტორებად მიაწერა ნანა ჯანელიძე და რეზო კვესელავა, რაც გააკეთა მოპარული სცენარის მითვისების კვალის დასაფარავად.

2002 წლის 12 ნოემბერს გია აბულაძემ სარჩელით მოპართა სასამართლოს მოპასუხე ა. ჟორდანიას მიმართ ავტორობის და ღირსების დაცვის შესახებ და ითხოვს 1) სასამართლომ დაეავალდებულოს ა. ჟორდანიას აღკვეთოს თენგიზ აბულაძის ავტორობის უფლების შელახვა „მონანიების“ სცენართან დაკავშირებით. 2) უარყოს მის მიერ საჯაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (გაზეთებით) გავრცელებული თენგიზ აბულაძის ავტორობის და ღირსების შემლახველი ცნობები, კერძოდ, ის რომ თ. აბულაძემ მითვისა ჟორდანიას რაიმე ნაწარმოები „მონანიების“ სცენარის შექმნისას. უარყოფა მოხდეს იმავე საშუალებებით (პრესით), რომლითაც მოხდა ცნობების გავრცელება.

მოსარჩელე თ. აბულაძის მემკვიდრე მამის თ. აბულაძის ავტორობისა და ღირსების შემლახველად მიიჩნევს მოპასუხის მიერ გავრცელებულ შემდეგ გამონათქვამებს:

1) „აბულაძემ გაცილებით უფრო დიდი დანაშაული ჩაიდინა, ვიდრე მის ესოდენ გახმაურებულ ფილმში გაკიცხული საქციელია“. „ამდენად მეტი საბუთია წარმოდგენილი ამ მაფიოზური გზის საჩვენებლად“ (სტატია „რაკი ხმა ამოვიღე, ბოლომდე ვიბრძოლებ“ გაზეთი „კაბადონი-8“ №23.8.09.1990წ.).

2) „საქმე ის არის, რომ აბულაძე, იქ სადაც ძალიან უჭირს მოპარულის დაფარვა სიზმარს და გადასაღებ მოედანს იშველიებს“. „ რეჟისორს წაყითხული, დამუშავებული და დაზეპირებული აქვს სხვისგან წაღებული და მოპარული სცენარები, მაგრამ ხალხმა ეს არ იცის. ასე ითრევს ის დანაშაულში ადამიანთა მთელ ჯგუფს“ (იმავე სტატიაში).

3) „... დაიბეჭდა ჩემი წერილების ციკლი, სადაც წარმოჩენილია სხვა-თა აზროვნების, შემოქმედების მიმთვისებლები, ისინი, ვისაც მეცნიერებაში, ლიტერატურაში და ხელოვნებაში პლაგიატორებს ეძახიან წარმოდგენილი მასალებით დოკუმენტურადაა მხილებული რეჟისორ თენგიზ აბულაძის და მისი „გონებრივი ცენტრის“ მიერ ჩემი ნაწარმოების გამოყენება და მითვისება ფილმ „მონანიების“ შექმნისას. ნაწარმოებისა და ფილმის შედარებით ნაჩვენებია პლაგიატის გზა“ (სტატია „აბულაძემ“ „მონანიება“ მომპარა“, გაზეთი „ასავალ-დასავალი“ მე-9 დეკემბერი 1996 წ.).

4) მიხეილ ქელივიძე არა მარტო მთარგმნელი და გამხმოვანებელია „მონანიებისა“, არამედ რეჟისორის მაფიოზურ-დანაშაულებრივი გზის მონაწილე (სტატია „მინც ვისია „მონანიება“, გაზეთი „ამერ-იმერი“).

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ იმისათვის, რომ მოპასუხემ მის მამას – საქართველოს კულტურის გამოჩენილ მოღვაწეს ასეთი აშკარა შეურაცხყოფა მიაყენა ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში და ახლაც, მისი გარდაცვალების შემდეგ, აგრძელებს ამ უღირს საქციელს. ეს მას განუზომლად დიდ სულიერ ტკივილს აყენებს და აქედან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლის საფუძველზე, როგორც შემკვიდრე (შვილი) ითხოვს თენგიზ აბულაძის ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფას.

აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით მოპასუხე მხარემ წარმოადგინა წერილობითი შესაგებელი, რომელშიც განმარტა: რომ მან კარგად იცის, რომ ნაწყვეტს „სადაც ზღვის პირას“ არაფერი აქვს საერთო უშუალოდ ფილმთან, მაგრამ ეს არის მისი გმირის იდეის მატარებელი გმირის ბიოგრაფიის ნაწყვეტი, რითაც დააფიქსირა ნაწარმოების არსებობა ნი-იან წლებში.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლო კოლეგიამ შეისწავლა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოისმინა მხარეთა ზეპირი ახსნა-განმარტებანი, წარმომადგენელთა სამართლებრივი შეფასებები და მიიჩნია, რომ აპოლონ ჟორდანიას უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ხოლო გიორგი აბულაძის სარჩელი მოპასუხე ა. ჟორდანიას მიმართ უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

„საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 67-ე მუხლის მიხედვით, ეს კანონი ვრცელდება იმ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ამ კანონის ამოქმედების შემდეგ.

საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, აპოლონ ჟორდანიასა და ნანა ჯანელიძეს შორის საავტორო უფლების ობიექტთან დაკავშირებული

ურთიერთობები წარმოიშვა, „სააეტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონისა და 1997 წლის 25 ნოემბრის სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგია დავის გადაწყვეტისას ხელმძღვანელობს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-4 კარით დადგენილი ნორმებით.

დადგენილია და სადავო არ არის, რომ

1) ა. ჟორდანია მთელი საქმის მასალებში წარმოდგენილი ნაწარმოები „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“ სარჩელის განხილვამდე არ გამოქვეყნებულა მთლიანი სახით.

2) 1968 წლის ჟურნალ დროშის მე-2 ნომერში დაიბეჭდა ა. ჟორდანია მოთხრობა შემდეგი სათაურით „სადაც ზღვის პირას“.

3) ფილმის „მონანიების“ სცენარი ქართულ ენაზე არ გამოქვეყნებულა, ის გამოიცა რუსულ ენაზე, ბულგარეთში 1990 წელს.

4) ქართველი საზოგადოებისათვის სცენარის – „მონანიების“ შინაარსი ცნობილი გახდა იმავე სახელწოდების ფილმის ეკრანზე ჩვენების შემდეგ, 1984 წელს, ხოლო საერთაშორისო აღიარება მან მოიპოვა 1986 წლის შემდეგ.

5) მოპასუხე ნანა ჯანელიძე წარმოადგენს ფილმ „მონანიების“ სცენარის თანაავტორს რეჟისორ თენგიზ აბულაძესა და რეჟაზ კვესელავასთან ერთად.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადგინდა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოპასუხე ნ. ჯანელიძემ რაიმე ფორმით დააღწია მოსარჩელის სამოქალაქო კოდექსის 512-ე, 503-ე მუხლებით გარანტირებული უფლებები, ამ უკანასკნელის მიერ საქმის მასალებში წარმოდგენილ ნაწარმოებზე „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“.

მოსარჩელის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ სადავო ნაწარმოები ნამდვილად არსებობდა 1960-63 წლებში იმ ფორმით, რა ფორმითაც მას საქმის მასალებში აქვს წარმოდგენილი.

ამ ფაქტის დასადასტურებლად სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს მოსარჩელის განმარტებას იმის შესახებ, რომ მის მიერ საქმის მასალებში წარმოდგენილი მოთხრობა „სადაც ზღვის პირას“ წარმოადგენს 1960-62 წლებში შექმნილი მისი ნაწარმოების („იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“) ნაწყვეტს.

სასამართლო უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევს ფაქტს იმის შესახებ, რომ 1968 წელს ჟურნალ „დროშის“ მე-2 ნომერში გამოქვეყნებული ზემოაღნიშნული მოთხრობა, რომელიც ამჟამად წარმოადგენს სადავო ნაწარმოების ნაწყვეტს, იმ პერიოდშიც ამავე ფორმით იქნებოდა გამოხატული. აღნიშნულს ვერ ადასტურებს ვერც ჟურნალ „დროშის“ მე-2 ნომერში 1968

წელს გამოქვეყნებული მოთხრობა „სადაც ზღვის პირას“. ის ჟურნალში გამოქვეყნებულია, როგორც დამოუკიდებელი მოთხრობა. მას არ ახლავს შესავალი, საიდანაც შეიძლება გაირკვეს, რომ გამოქვეყნებული მოთხრობა ავტორის რომელიმე ნაწარმოების ნაწყვეტია.

მოსარჩელე მხარემ ასევე ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მან საქმეში წარმოდგენილი სადავო ნაწარმოები ნამდვილად გადასცა თენგიზ აბულაძეს საჯარო ბიბლიოთეკაში 1963 წელს.

მოპასუხე ასევე ვერ გამოიყენებდა მისი სცენარის შესაქმნელად ა. ჟორდანიას მიერ 1989 წელს ჟურნალ „დროშის“ მე-7 ნომერში გამოქვეყნებულ ნაწყვეტს მისი ავტობიოგრაფიული ნაწარმოებიდან სათაურით „საით წავიდა მამა“ იმ მიზეზის გამო, რომ მითითებული ნაწარმოები გამოქვეყნდა „მონანიების“ სცენარის შექმნის შემდეგ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგია იზიარებს მოპასუხე ნ. ჯანელიძის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ის ვერ განახორციელებდა აპოლონ ჟორდანიას ნაწარმოების („იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“) გამოყენებასა და მითვისებას იმ მიზეზის გამო, რომ „მონანიების“ სცენარის შექმნის მომენტისათვის დასახელებული ნაწარმოები მისთვის არ ყოფილა ხელმისაწვდომი.

სასამართლო კოლეგია სარჩელს უსაფუძვლოდ მიიჩნევს, იმ გარემოების გამოც, რომ ა. ჟორდანიას თავის წერილობით განმარტებაში (ნ. ჯანელიძის შესაგებელზე) კატეგორიულად აღნიშნავს და იმავეს იმეორებს სასამართლოს სხდომაზე, რომ ნანა ჯანელიძეს არ დაუწერია არაფერი „მონანიების“ სცენართან დაკავშირებით. სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ დასახელებული არცერთი გარემოება სამართლებრივი თვალსაზრისით არ ჰქმნის საავტორო უფლების დარღვევის ნიშნებს.

რაც შეეხება იდეებსა და კონცეფციებს, რაზეც ხშირად მიუთითებს მოსარჩელე, რომ მისი ნაწარმოების გმირიც „მონანიების“ გმირის იდეის მატარებელია (მოსარჩელისათვის სადავო ნაწარმოები ხელმისაწვდომიც რომ ყოფილიყო) მათზე არ ვრცელდება საავტორო უფლება.

სამოქალაქო კოდექსის 448-ე მუხლის თანახმად საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებზე, მიუხედავად მათი ფორმისა, დანიშნულებისა და ღირსებისა, აგრეთვე მათი რეპროდუქციის წესისა.

საავტორო უფლება ვრცელდება ნაწარმოებებზე, რომლებიც გამოქვეყნებულია ან არაა გამოქვეყნებული რაიმე ობიექტური ფორმით, რაც ავტორის შემოქმედების ნაყოფის რეპროდუქციის შესაძლებლობას იძლევა.

სასამართლო კოლეგიამ შეაფასა გიორგი აბულაძის სასარჩელო განცხადებაში მოყვანილი გამონათქვამები, რომლებიც გავრცელებული იქნა მოპა-

სუხე ა. ჟორდანიას მიერ პრესის საშუალებით სხვადასხვა დროს და მოსარჩელის მამის აწ გარდაცვლილი ცნობილი რეჟისორის თენგიზ აბულაძის ღირსების შემლახველად მიიჩნია გაზეთ „ამერი-იმერის“ 1998 წლის ოქტომბრის თვეში გამოქვეყნებული შემდეგი გამონათქვამი: „მიხეილ ქვლივიძე არა მარტო მთარგმნელი და გამხმრვანებელია მონანიებისა, არამედ რეჟისორის (თენგიზ აბულაძის) მაფიოზურ-დანაშაულებრივი გზის მონაწილე“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება.

პირადი უფლების დაცვა გარდაცვალების შემდეგ უზრუნველყოფილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლით, რომლის თანახმად იმავე კოდექსის მე-18 მუხლში აღნიშნული უფლებები შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსებობის განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც.

სამართალში ადამიანი გვევლინება როგორც პირი და როგორც პიროვნება. როგორც პირს, მას აქვს უფლებები და ეკისრება მოვალეობები. პიროვნება კი ადამიანის სულიერ ღირებულებათა ერთობლიობას აერთიანებს.

გარდაცვალების შემდეგ ადამიანი ქრება, როგორც პირი, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, მაგრამ რჩება ადამიანი, როგორც პიროვნება. იგი რჩება ადამიანთა ცნობიერებაში და სიკვდილის შემდეგაც ინარჩუნებს ღირებულებას საზოგადოებისათვის.

გარდაცვლილის პიროვნების დაცვით ხორციელდება არა მხოლოდ გარდაცვლილის ახლობლების არამედ მთელი საზოგადოების ინტერესი, ამიტომაც კოდექსში არაა ჩამოთვლილი იმ პირთა წრე, რომლებსაც გარდაცვლილის პიროვნული უფლებების დაცვის მოთხოვნის დაყენების უფლება გააჩნია. ამის უფლება აქვს როგორც გარდაცვლილის მემკვიდრეებს, ისე სხვა პირებს.

სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ფაქტს, იმის შესახებ, რომ სადავო გამონათქვამი გავრცელებული იქნა გაზეთ „ამერი-იმერის“ 1998 წლის ოქტომბრის სტატიის სათაურით „მინც ვისია მონანიება“ (ლია წერილი ბატონ ნოდარ გურემიძეს და არა მხოლოდ მას.).

სასამართლო ასევე იზიარებს მოსარჩელის განმარტებას, რომ ზემოთ მითითებულ სტატიის მთავარსახის მიერ გავრცელებული სადავო გამონათქ-

ვამი ლახავს გარდაცვლილი რეჟისორის ღირსებას, ღირსების შელახვაში იგულისხმება პირის შესახებ ისეთი ცნობების გავრცელება, რომლებიც მის მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევებისა და უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ მტკიცებას შეიცავენ და რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ საზოგადოების სიძულვილი პიროვნების მიმართ. ცნობები იმ შემთხვევაში ჩაითვლება შემლახველად თუ ისინი შეიცავენ არასწორ მტკიცებას ფაქტის შესახებ. ფაქტების შეფასებითი განსჯა მოსაზრებაა ფაქტების შესახებ და იგი არ შეიძლება ჩაითვალოს შემლახველად თუ ეს მოსაზრებები არ შეიცავენ მტკიცებას მორალის ნორმების ან კანონის დარღვევის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგია პირის ღირსების შემლახველად მიიჩნევს მოპასუხე ა. ჟორდანიას გამონათქვამს: „მიხვილ ქვლივიძე არა მარტო მთარგმნელი და გამხმოვანებელია მონანიებისა, არამედ რეჟისორის (თენგიზ აბულაძის) მაფიოზურ-დანაშაულებრივი გზის მონაწილე“. სასამართლო თვლის რომ, ამ გამონათქვამით მოპასუხე ცდილობს საზოგადოების დარწმუნებას იმაში, რომ თ. აბულაძემ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული (პლაგიატი), რაც იმაში მდგომარეობს, რომ მან მიითვისა მისი ნაწარმოები – „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“ და გამოიყენა თავისი სცენარის „მონანიების“ შესაქმნელად და რეჟისორი სწორედ ამიტომ არის მაფიოზი – დამნაშავე.

მოპასუხის მიერ საჯაროდ იმის გავრცელება, რომ დარღვეულია კანონის ნორმა საზოგადოების თვალში იწვევს ცნობილი რეჟისორის თ. აბულაძის ღირსების დისკრედიტაციას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად პირის ღირსების შემლახველი ცნობების გამავრცელებელს ეკისრება გავრცელებული დიფამაციული ცნობების სინამდვილესთან შესაბამობის მტკიცების ტვირთი.

საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით ვერ დადასტურდა ფაქტები იმის შესახებ, რომ 1963 წელს ნამდვილად არსებობდა ობიექტური ფორმით გამოხატული „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“, ასევე ვერ დადასტურდა ფაქტი იმის შესახებ, რომ ა. ჟორდანიამ ნამდვილად საქმეში არსებული ნაწარმოები გადასცა თ. აბულაძეს 1963 წელს საჯარო ბიბლიოთეკაში.

კოლეგია მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით მოპასუხეს უნდა დაევალოს თ. აბულაძის ღირსების შემლახველი ცნობის გავრცელების უარყოფა პრესის საშუალებით.

სასამართლო კოლეგია უსაფუძვლოდ მიიჩნევს, მოსარჩელის მოთხოვნას ახალი სამოქალაქო კოდექსის ნორმების გავრცელების შესახებ იმ გამონათქ-

ვაშების მიმართ, რომლებიც ა. ჟორდანიას მიერ გაერცელებული იქნა 1997 წლის 25 ნოემბრამდე.

სასამართლო ვერ გაიზიარებს გ. აბულაძის წარმომადგენლის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან მისმა მარწმუნებელმა მამის გარდაცვალების შემდეგ (1994წ.) შეიტყო პოლემიკის არსებობის შესახებ, ხოლო 2002 წელს შეიტყო, რომ მას როგორც მემკვიდრეს სკ-ის მე-19 მუხლის საფუძველზე შეუძლია დაიცვას გარდაცვლილი მამის ღირსება, ამიტომ 1997 წლის 25 ნოემბრამდე არსებულ ურთიერთობებზე გამოყენებული უნდა იქნეს ახალი სამოქალაქო კოდექსი.

1964 წლის სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, მხოლოდ მოქალაქეს და ორგანიაზაციას ჰქონდა მინიჭებული უფლება მოეთხოვა სასამართლოს საშუალებით მისი პატივისა და ღირსების დაცვა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლი წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის სიახლეს, რომლის საშუალებით გარდაცვლილის მემკვიდრეებს და სხვა პირებს მიენიჭათ გარდაცვლილი პირის ღირსების დაცვის უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მიხედვით, სამოქალაქო კოდექსი ვრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც ამ კოდექსის ამოქმედების შემდეგ წარმოიშვა.

სკ-ის მე-6 მუხლის თანახმად, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიექცეს უკუქცევითი ძალა თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სამოქალაქო კანონები და კანონქვემდებარე აქტები იმ ურთიერთობებს აწესრიგებს, რომლებიც მისი მიღების, გამოცემისა და ოფიციალური გამოქვეყნების შემდეგ წარმოიშვა. მას შეიძლება მიექცეს უკუქცევითი ძალა, თუ ეს პირდაპირაა გათვალისწინებული კანონმდებლობაში.

მოსარჩელე გ. აბულაძე თ. აბულაძის ავტორობის უფლების შელახვას უკავშირებს მოპასუხის მიერ პრესის საშუალებით გაერცელებულ გამონათქვამებს, კერძოდ მოსარჩელე მამის ავტორობის უფლების შელახვად მიიჩნევს შემდეგ სიტყვებს: „ქურდი, პლაგიატი, მაფიოზი“.

სასამართლო კოლეგია უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოსარჩელის მოთხოვნას აღკვეთოს მოპასუხემ თენგიზ აბულაძის ავტორობის უფლების შელახვა „მონანიების“ სცენართან დაკავშირებით. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე და 35-ე მუხლების საფუძველზე.

ზემოაღნიშნული მითითებული მოთხოვნის გადასაწყვეტად სასამართლო

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის“ 67-ე მუხლის პირველი ნაწილს თანახმად იყენებს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსს.

აღნიშნული კოდექსის 512-ე მუხლის თანახმად ავტორობის უფლების დაცვა შეიძლება იმ შემთხვევაში მოითხოვოს პირმა, ან გარდაცვალების შემთხვევაში მისმა მემკვიდრემ: ა) თუ ნაწარმოები გამოყენებულ იქნა ავტორთან ან მის უფლებამონაცვლებთან ხელშეკრულების დაუდებლად (ამ კოდექსის მე-500 მუხლი) ან დარღვეული იქნა ავტორის თანხმობის გარეშე ნაწარმოების გამოყენებისათვის დადგენილი პირობები (ამ კოდექსის 506-ე-507-ე მუხლები), აგრეთვე თუ დარღვეული იქნა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება (503-ე მუხლი) ან ავტორის სხვა არაქონებრივი პირადი უფლებები.

„ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ“ ბერნის კონვენციის მე-6 bis მუხლის თანახმად (საქართველო შეუერთდა 1994 წლის 24 ნოემბერს), ნაწარმოების ავტორის სიკვდილის შემდეგ პირს უფლება აქვს ავტორის ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და ამ უფლებების დათმობის შემდეგაც მოითხოვოს ნაწარმოების მიმართ თავისი ან გარდაცვლილი პირის ავტორობის აღიარება და შეეწინააღმდეგოს ამ ნაწარმოების ყოველგვარ გაუკუღმართებას, დამახინჯებას ან სხვაგვარ შეცვლას, აგრეთვე ნაწარმოების სხვა ხელყოფას, რომელსაც შეუძლია ავნოს ავტორის ღირსებასა და რეპუტაციას.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე ავტორის ღირსების ან რეპუტაციის შელახვის ქვეშ იგულისხმება სხვა პირის მიერ ნაწარმოებში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც ავტორს ან მის სამართალმემკვიდრეს ღირსება შელახულად აგრძნობინებს თავს;

საქმის მასალებზე დაყრდნობით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ჟორდანიას მხრიდან არ ჰქონია ადგილი თ. აბულაძის ავტორობის უფლების დარღვევას „მონანიების“ სცენართან დაკავშირებით. თ. აბულაძე დღემდე ითვლება „მონანიების“ სცენარის ავტორად, აღნიშნულს ადასტურებს ა. ჟორდანიას მიერ სასამართლოში შემოტანილი სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე ითხოვს მოპასუხე ნ. ჯანელიძე სასამართლომ ცნოს მის ნაწარმოებზე „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“ საავტორო უფლების დამრღვევად. ა. ჟორდანია არ ითხოვს, რომ ის ცნოს სასამართლომ „მონანიების“ სცენარის ავტორად.

ავტორობის უფლება ნაწარმოების ავტორს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ წინ აღუდგეს სხვა პირის მიერ ავტორობის მითვისების მცდელობას, ვინაიდან ავტორობის უფლება პირდაპირ არის დაკავშირებული ავტორის სახელის გამოყენებასთან.

საქმის მასალებში არ არის იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ა. ჟორდანიას მხრიდან ადგილი ჰქონდა „მონანიების“ სცენარის მითვისებას.

მას არცერთ გამოცემაში არ მიუთითებია ავტორად თავისი სახელი და არც ამ ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება დაურღვევია.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა სსკ-ის მე-8, 243-ე, 244-ე, 247-ე, 248-ე, 249-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით, გადაწყვიტა:

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

1. აპოლონ ჟორდანას სარჩელს მოპასუხე ნანა ჯანელიძის მიმართ საავტორო უფლების დაცვის შესახებ ეთქვას უარი დაკმაყოფილებაზე;

2. გია აბულაძის სარჩელი მოპასუხე აპოლონ ჟორდანას მიმართ ავტორობის და ღირსების დაცვის შესახებ დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. დაევალოს მოპასუხე ა. ჟორდანას მის მიერ 1998 წლის ოქტომბერს გაზეთ „ამერ-იმერში“ გამოქვეყნებული თენგიზ აბულაძის ღირსების შემლახველი გამონათქვამის უარყოფა პრესის საშუალებით შემდეგი ფორმით:

„სიცრუეა, რომ თენგიზ აბულაძე არის მაფიოზურ-დანაშაულებრივი გზის მონაწილე“.

4. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება საქართველოს უზენაეს სასამართლოში თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით ერთი თვის ვადაში მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების დღიდან.



გ ა ნ რ ი ნ მ ბ ა

საქართველოს სახელით

№2/ა-40-2003წ.

24 თებერვალი, 2003წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმე-
თა კოლეგიამ

შემდეგი შემადგენლობით: მ. ჩანტლაძე (თავმჯდომარე),

მ. ჯიყაშვილი,

ბ. გულელანი

განიხილა მოსარჩელე აპოლონ ჟორდანიას განცხადება სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ, გამოარკვია:

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის მიერ განხილულ იქნა სამოქალაქო საქმე აპოლონ ჟორდანიას სარჩელის გამო ნანა ჯანელიძის მიმართ საავტორო უფლებების დარღვევის შესახებ და გიორგი აბულაძის სარჩელი აპოლონ ჟორდანიას მიმართ პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ.

სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით ა. ჟორდანიას სარჩელს უარი ეთქვა, ხოლო გიორგი აბულაძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

2003 წლის 21 თებერვალს აპოლონ ჟორდანიამ განცხადებით მიმართა კოლეგიას და განმარტა, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით ესაჭიროება 2003 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის განმარტება, თუ რომელი ინსტანციის სასამართლოში უნდა გასაჩივრდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატაში თუ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში.

აპოლონ ჟორდანია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის საფუძველზე ითხოვს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილების განმარტებას.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლო კოლეგიამ განიხილა წარმოდგენილი განცხადება ის, დაუშვებლად მიაჩნია შემდეგი გარემოების გამო: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, განცხადება გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, მაგრამ ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გავიდა დრო, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების ვადა არ არის გასული, ამდენად გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აპოლონ ჟორდანიას განცხადება გადაწ-

ყვეტილების განმარტების შესახებ დაუშვებელია და უარი უნდა ეთქვას.
კოლეგიამ იხელმძღვანელა რა სსკ-ის 262-ე მუხლის პირველი ნაწილით,
284-ე, 285-ე მუხლებით, დაადგინა:

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

1. აპოლონ ჟორდანიას განცხადება დაუშვებლად იქნეს მიჩნეული.
2. განჩინება არ საჩივრდება.



ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ 3კ/536-03

8 ივლისი, 2003 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და
გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მაია ახალაძე (თავმჯდომარე),
ნუნუ კვანტალიანი (მომხსენებელი),
მაია სულხანიშვილი

სხდომის მდივანი: ლ. სანიკიძე

კასატორი: აპოლონ ჟორდანია (მოსარჩელე)

მოწინააღმდეგე მხარე:

1. ნანა ჯანელიძე (მოპასუხე); წარმომადგენელი – კ. შარაბიძე
2. გია აბულაძე; წარმომადგენელი – ი.კორძახია

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს
სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის
2003 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება და 2003 წლის 24 თებერვლის
განჩინება

კასატორის მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილების და განჩინების გაუქმება.

დავის საგანი: ა.ჟორდანიას სარჩელში – საავტორო უფლების დაცვა; გაბულაძის სარჩელში – ავტორობისა და ლისრების დაცვა.

ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 15 ნოემბრის განჩინებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე ერთ წარმოებად იქნა გაერთიანებული სამოქალაქო საქმე აპოლონ ჟორდანიას სარჩელის გამო მოპასუხე ნანა ჯანელიძის მიმართ, მოპასუხის საავტორო უფლების დამრღვევად აღიარების თაობაზე და გია აბულაძის სარჩელი მოპასუხე აპოლონ ჟორდანიას მიმართ, ავტორობისა და ლისრების დაცვის შესახებ.

აპოლონ ჟორდანიას სარჩელი ნ.ჯანელიძის მიმართ დასაბუთებულია შემდეგით: 1963 წლის მარტში მოსარჩელემ ჟურნალ „ცისკარში“ წარადგინა თავისი ნაწარმოები „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“, რომელიც არ დაიბეჭდა. შემდგომში მან გადაწყვიტა ნაწარმოების რეალიზაცია კინოსა და თეატრში, ამიტომ გააცნო რუსთაველის თეატრის იმჟამინდელ დირექტორ სერგო ზაქარაიძეს. ამ უკანასკნელს მოეწონა ნაწარმოები, წააკითხა სიმონ ჩიქოვანს და თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგეს ვასილ კიკნაძეს. მათ ა.ჟორდანიას შესთავაზეს ფილმის შექმნა. იმავე პერიოდში საჯარო ბიბლიოთეკაში შეხვდა თენგიზ აბულაძეს, რომელსაც წასაკითხად გადასცა მოთხრობა, რათა მოწონების შემთხვევაში ფილმი გადაეღო. შემდეგში შეხვედრაზე დანიშნულ დროს თ. აბულაძე არ მოვიდა, მაგრამ სატელეფონო საუბარში განუცხადა, რომ ნაწარმოები ძალიან მოეწონა, მაგრამ ვერ გადაიღებდა, ამიტომ ურჩია მოსკოვში რეჟისორ მიხეილ რომთან წასვლა. ა.ჟორდანიამ 1980-87 წლებში არაერთხელ მიმართა აღმანახ „განთიადის“ რუდაქციას მოთხრობის გამოქვეყნების თაობაზე, მაგრამ ამ მცდელობას შედეგი არ მოყვლია. თენგიზ აბულაძემ „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“ ნაწილობრივ გამოიყენა ფილმ „ვედრებაში“ და მთლიანად მითთვისა ფილმ „მონანიების“ შექმნისას. ეს გარემოება დასტურდება 1968 წელს ჟურნალ „დროშის“ მეორე ნომერში გამოქვეყნებული აპოლონ ჟორდანიას ავტობიოგრაფიული ნაწარმოებიდან ნაწყვეტით „საით წავიდა მამა“, ასევე, საქმეში წარმოდგენილი სხვადასხვა გაზეთებში გამოქვეყნებული მასალებით.

მოპასუხე ნანა ჯანელიძემ სარჩელი არ ცნო შემდეგი მოტივებით: მან

თენგიზ აბულაძესთან და რეზო კვესელავასთან ერთად შექმნა ფილმის, „მონანიების“ სცენარი. ა.ჟორდანიას, სცენარის შექმნაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღია და საერთოდ არ იცნობს მას. მოპასუხისათვის ასევე უცნობი იყო ნაწარმოები „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“. საქმის მასალებით თაბულაძისათვის თ.ჟორდანიას მიერ ნაწარმოების გადაცემის ფაქტი არ დგინდება. ა.ჟორდანია სარჩელში ვერ უთითებს თუ რა სააგტორო უფლება იქნა დარღვეული მოპასუხეთა მიერ. მოსარჩელე ვერ უთითებს ნაწარმოების რეპროდუცირების შემთხვევებს და მხოლოდ ალეგორიებით ცდილობს სააგტორო უფლების დარღვევის სურათის შექმნას. ნ.ჯანელიძე მიიჩნევს, რომ სარჩელი სამართლებრივი და ფაქტობრივი თვალსაზრისით, დაუსაბუთებელია და მას უარი უნდა ეთქვას.

გია აბულაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე აპოლონ ჟორდანიას მიმართ და მოითხოვა სასამართლომ დაავალდებულოს აპოლონ ჟორდანია აღკვეთოს თენგიზ აბულაძის ავტორობის უფლების შელახვა „მონანიების“ სცენართან დაკავშირებით და უარყოს მის მიერ საჯაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული თენგიზ აბულაძის ავტორობისა და ღირსების შემლახველი ცნობები, კერძოდ, „მონანიების“ სცენარის შექმნისას თაბულაძის მიერ ა.ჟორდანიას რაიმე ნაწარმოების მითვისების უარყოფა უნდა მოხდეს იმავე საშუალებებით (პრესით), რომლითაც მოხდა ცნობების გავრცელება. გია აბულაძე, როგორც თენგიზ აბულაძის მემკვიდრე, მამის ღირსების შელახვად მიიჩნევს მოპასუხის მიერ გავრცელებულ შემდეგ გამონათქვამებს:

1. „აბულაძემ გაცილებით უფრო დიდი დანაშაული ჩაიდინა, ვიდრე მის ესოდენ გახმაურებულ ფილმში გაკიცხული საქციელია“, „ამჟამად მეტი საბუთია წარმოდგენილი ამ მაფიოზური გზის საჩვენებლად“ (სტატია „რაკი ხმა ამოვიღე, ბოლომდე ვიბრძოლებ“, გაზეთი „კაბადონი-8“ №23, 8.09.1990წ.);

2. „საქმე ის არის, რომ აბულაძეს, იქ, სადაც ძალიან უჭირს მოპარულის დაფარვა სიზმარს და გადასაღებ მოედანს იშველიებს“. „რეჟისორს წაკითხული, დამუშავებული და დაზეპირებული აქვს სხვისგან წაღებული და მოპარული სცენები, მაგრამ ხალხმა ეს არ იცის. ასე ითრევეს ის დანაშაულში ადამიანთა მთელ ჯგუფს“ (სტატია იმავე დასახელებით, გაზეთი „კაბადონი-8“ №26, 8.09.1990წ.);

3. „დაიბეჭდა ჩემი წერილების ციკლი, სადაც წარმოჩენილია სხვათა აზროვნების, შემოქმედების მიმთვისებლები, ისინი, ვისაც მეცნიერებაში, ლიტერატურაში და ხელოვნებაში პლაგიატორებს ეძახიან წარმოდგენილი მასალებით დოკუმენტალურადაა მხილებული რეჟისორ თენგიზ აბულაძის და მისი „გონებრივი ცენტრის“ მიერ ჩემი ნაწარმოების გამოყენება და მითვისება – ფილმ „მონანიების“ შექმნისას. ნაწარმოებისა და ფილმის შედარებით

ნაჩვენებია პლაგიატის გზა“ (გაზეთი „ცხოვრება და კანონი“ №13 (28) 26.06.2002);

სტატიაში სათაურით „აბულაძემ „მონანიება“ მომპარა“, ა.ჟორდანიას სწერს: „ამით გათამამებულმა აბულაძემ მთლიანად გამოიყენა იგი ფილმ „მონანიების“ შექმნისას, ოღონდ, როგორც ნაქურდალის მითვისებისას ხდება ხოლმე. თ. აბულაძე სცენართან ერთად იპარავს რეჟისორობასაც და არა მარტო ჩემგან (სტატია „აბულაძემ „მონანიება“ მომპარა“, გაზეთი „ასავალ-დასავალი“ 3-9 დეკემბერი 1996 წ.);

4. „მიხეილ ქელიძემ არა მარტო მთარგმნელი და გამხმოვანებელია „მონანიებისა“, არამედ რეჟისორის მაფიოზურ-დანაშაულებრივი გზის მონაწილე (სტატია „მინც ვისია „მონანიება“, გაზეთი „ამერი-იმერი“ ოქტომბერი 1998).

მოსარჩელე გია აბულაძე მიიჩნევს, რომ მ.ჟორდანიამ აშკარა შეურაცხყოფა მიაყენა მის მამას – საქართველოს კულტურის გამორჩენილ მოღვაწეს, რაც მას განუზომლად დიდ სულიერ ტკივილს აყენებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლზე მითითებით, ითხოვს თენგიზ აბულაძის ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფას. მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული მოთხრობის „სადღაც ზღვის პირას“ წაკითხვა საკმარისია იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ მას არაფერი აქვს საერთო „მონანიების“ სცენართან, თუნდაც იდეების დონეზე.

მოპასუხე ა.ჟორდანიამ გ.აბულაძის სარჩელთან დაკავშირებით განმარტა, რომ სარჩელს არ ეთანხმება. რაც შეეხება ჟურნალ „დროშაში“ გამოქვეყნებულ ნაწყვეტს „სადღაც ზღვის პირას“, მას მართალია არაფერი აქვს საერთო უშუალოდ ფილმთან, მაგრამ ის არის ა.ჟორდანიას იდეის მატარებელი გმირის ბიოგრაფიის ნაწყვეტი, რითაც დააფიქსირა ნაწარმოების არსებობა 60-იან წლებში.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით აპოლონ ჟორდანიას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გია აბულაძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. აპოლონ ჟორდანიას დაევალა მის მიერ 1998 წლის ოქტომბერს გაზეთ „ამერი-იმერში“ გამოქვეყნებული თენგიზ აბულაძის ღირსების შემლახველი გამონათქვამის უარყოფა პრესის საშუალებით შემდეგი ფორმით: „სიცრუეა, რომ თენგიზ აბულაძე არის მაფიოზურ-დანაშაულებრივი გზის მონაწილე“.

ა.ჟორდანიას საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმებას შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა მხარეთა დაუსწრებლად

არსებითი განხილვის გზით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის დარღვევით. სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადნენ მოპასუხე ნ.ჯანელიძე და მოსარჩელე გაბულაძე. სასამართლომ მხოლოდ მათი წარმომადგენელთა დასწრებით განიხილა საქმე. საქმეში წარმოდგენილ შუამდგომლობაზე ქეთევან აბულაძის ნაცვლად ხელს აწერს მისი წარმომადგენელი, რითაც დარღვეულია საპროცესო კოდექსის 95-98-ე მუხლების მოთხოვნები. ასევე, სასამართლოს არ უნდა მიეღო ქ.აბულაძის შეგებებული სარჩელი, ვინაიდან მას ხელს აწერს წარმომადგენელი. სასამართლოს არ უნდა დაეკმაყოფილებინა მ.ქელიძის შუამდგომლობა არასათანადო მოპასუხედ ცნობის შესახებ, ვინაიდან, აუცილებელი იყო მისი მონაწილეობა პროცესში, როგორც ფილმის მთარგმნელისა და გამხმოვანებლის. არ უნდა დაეკმაყოფილებულიყო ნ.ჯანელიძის წარმომადგენლის შესაგებელი, ვინაიდან მას ხელს არ აწერს თვითონ ნ.ჯანელიძე. ვია აბულაძეც ხელს არ აწერს სასარჩელო განცხადებას, ხოლო მისი წარმომადგენელი თავის უფლებამოსილებას ამტკიცებდა. გაბულაძის სარჩელს და ნ.ჯანელიძის შესაგებელს მტკიცებულებები არ ერთვის, რაც კანონის მოთხოვნათა დარღვევაა. სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა ნ.ჯანელიძის მოსაზრებანი, რადგან სცენარის იდეა და შინაარსი, ა.ჟორდანიას აზრით, მას ეკუთვნის, რასაც ადასტურებს კასატორის ნაწარმოების ჯერ კიდევ 1962 წელს არსებობის ფაქტი და შემდეგ მისი ნაწყვეტის გამოქვეყნება ჟურნალ „დროშაში“. სასამართლოს არ ჩაუტარებია ექსპერტიზა, რაც აუცილებელი იყო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის. საოლქო სასამართლომ 2003 წლის 28 თებერვლის განჩინებით უკანონოდ თქვა უარი ზემოხსენებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტებაზე. კასატორს სურდა გაერკვია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საჩივარი რომელ ინსტანციაში უნდა წარედგინა – სააპელაციოში თუ საკასაციოში, რაზედაც სარეზოლუციო ნაწილში არ იყო მითითებული. სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით განცხადება დაუშვებლად მიიჩნია და განჩინება გასაჩივრებას არ დაუქვემდებარა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ა.ჟორდანიას ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების და განჩინების გაუქმებას და მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და იგი არ უნდა დაეკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილით

საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. საკასაციო საჩივარი ამ სახის პრეტენზიას არ მოიცავს, ხოლო საოლქო სასამართლოს კოლეგიამ დამტკიცებულად ცნო შემდეგი გარემოებები:

1. აპოლონ ჟორდანიას მიერ საქმის მასალებში წარმოდგენილი ნაწარმოები „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“ სარჩელის განხილვამდე არ გამოქვეყნებულა მთლიანი სახით;

2. ჟურნალ „დროის“ 1968 წლის მეორე ნომერში დაიბეჭდა ა. ჟორდანიას მოთხრობა „სადღაც ზღვის პირას“;

3. ფილმი „მონანიების“ სცენარი ქართულ ენაზე არ გამოქვეყნებულა, ის გამოიცა რუსულ ენაზე ბულგარეთში 1990 წელს;

4. ქართველი საზოგადოებისათვის ფილმ „მონანიებას“ სცენარის შინაარსი ცნობილი გახდა 1984 წელს, ამავე სახელწოდების ფილმის ეკრანზე ჩვენების შემდეგ, ხოლო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა 1986 წლის შემდეგ;

5. ნანა ჯანელიძე წარმოადგენს ფილმ „მონანიების“ სცენარის თანაავტორს, რეჟისორ თენგიზ აბულაძესა და რეჟაზ კვესელავასთან ერთად;

6. გაზეთ „ამერ-იმერის“ 1998 წლის ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ აპოლონ ჟორდანიას სტატია სათაურით „მინც ვისია მონანიება“ მოიცავდა შემდეგი სახის გამონათქვამს: „მიხეილ ქვლივიძე არა მარტო მთარგმნელი და გამხმოვანებელია მონანიებისა, არამედ რეჟისორის მაფიოზურ-დანაშაულებრივი გზის მონაწილე“.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით სააპელაციო სასამართლოს კოლეგიამ მართებულად მიიჩნია, რომ აპოლონ ჟორდანიას სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) 503-ე და 512-ე მუხლებით გარანტირებული საავტორო უფლებები „იუბილარის საქორწინო მოგზაურობაზე“ მოპასუხე ნ. ჯანელიძის მიერ არ დარღვეულა. მოთხრობა „იუბილარის საქორწინო მოგზაურობა“ 1960-63 წლებში საქმეში წარმოდგენილი სახით რომ არსებობდა და იგი 1963 წელს ა. ჟორდანიამ გადასცა თ. აბულაძეს, საქმის მასალებით არ დასტურდება. აღნიშნულს ვერ ამტკიცებს ვერც მოსარჩელის მითითება 1968 წელს ჟურნალ „დროის“ მეორე ნომერში გამოქვეყნებულ მოთხრობაზე, „სადღაც ზღვის პირას“, როგორც სადავო ნაწარმოების ნაწყვეტზე. ზემოხსენებული მოთხრობა გამოქვეყნებულია როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოები და იგი არც შინაარსობრივად მიგვანიშნებს სხვა რაიმე ძირითადი ნაწარმოების არსებობაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს საოლქო სასამართლო კოლეგიის დასკვნას, რომ ის გარემოებები, რომლებზედაც დამყარებულია აპოლონ ჟორ-

დანიას სასარჩელო მოთხოვნა, მტკიცებულებებით არ დასტურდება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილით სამართალწარმოება მიმდინარეობს რა შეჯიბრებითობის საფუძველზე, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით კი თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებებს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოთხოვნას ექსპერტიზის დანიშნის და სპეციალისტთა დაკითხვის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლით განსაზღვრულია რა საკასაციო სასამართლოში მტკიცებულებათა შემოწმების ფარგლები, დადგენილია, რომ საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტების შესახებ, რომელიც ასახულია საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის გადაწყვეტილებაში, ან საქმის მასალებში. ამდენად, საქმის განხილვის ამ ეტაპზე მტკიცებულებათა ზემოხსენებული წესით გამოკვლევა და ფაქტობრივი გარემოების დადგენა დაუშვებელია.

რაც შეეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომლითაც გია აბულაძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საკასაციო საჩივარი პრესის საშუალებით თაბულაძის ღირსების შემლახველი ცნობის გავრცელების უარყოფაზე პრეტენზიას არ მოიცავს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში.

უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ სასამართლო კოლეგიამ დავა განიხილა რა მხარეთა გარეშე – მათი წარმომადგენლების მონაწილეობით, დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნები. მითითებული კოდექსის 93-ე მუხლის მეორე ნაწილით მხარეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადპყოფს იმ გარემოებას, რომ მოქალაქეს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია თვითონ, ან წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა სამოქალაქო საქმის წარმოებაში. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მხარეთა წარმომადგენლებს სასამართლოში საქმის წარმოების და საპროცესო მოქმედებების შესრულების უფლებამოსილება აქვთ კანონის შესაბამისად გაცემული და გაფორმებული მინდობილობებით.

ასევე, უსაფუძვლოა კასატორის მოთხოვნა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 24

თებერვლის განჩინების, როგორც უკანონოს გაუქმების თაობაზე. აღნიშნული განჩინებით სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია აპოლონ ჟორდანიას განცხადება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტით განსაზღვრული გასაჩივრების წესის განმარტებაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. მოცემულ შემთხვევაში სადავო განჩინება მიღებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემდეგ, ამიტომ, ბუნებრივია, იგი ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს გადაწყვეტილების კანონიერებაზე. კანონის შესაბამისად, მასზე საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს და საკასაციო საჩივარიც ამ ნაწილში დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საოლქო სასამართლოს კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება და განჩინება კანონის დარღვევის გარეშეა მიღებული და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

აპოლონ ჟორდანიას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება და 2003 წლის 24 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

საავტორო უფლების დარღვევის შედეგად
მიყენებული ზიანის ანაზღაურება



ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№2/ა-44

14 მარტი, 2002წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა
კოლეგია

შემადგენლობა: მადონა ღიბრაძე (თავმჯდომარე და მომხსენებელი),
დავით თოდრაძე,
გიორგი გულელანი

სხდომის მდივანი: ნინო ჩომახიძე

მოსარჩელე: ემირ ბურჯანაძე; წარმომადგენლები – ჯამლეთ მერებაშ-
ვილი, მამუკა მესხი

მოპასუხე: საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია; წარმომადგენელი –
ლევან გორხელაშვილი.

დავის საგანი: საავტორო უფლების დაცვისა და მორალური ზიანის
ანაზღაურების შესახებ.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

ემირ ბურჯანაძემ სარჩელით მომართა სასამართლოს საქართველოს
ფეხბურთის ფედერაციის მიმართ და მოითხოვა მატერიალური და მორ-
ალური ზიანის ანაზღაურება და საავტორო უფლების აღიარება.

სარჩელის საფუძველად მოსარჩელემ მიუთითა შემდეგი გარემოებები:

– 1995 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მამინდელ ხე-
ლმძღვანელს ნ. ახალკაცსა და მოსარჩელეს შორის შედგა მოლაპარაკება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი ემბლემის შექმნის თაობაზე, რომლის მოწონების შემთხვევაში მათი ურთიერთობა უნდა გაგრძელდეს. მოსარჩელემ შექმნა ემბლემის გრაფიკული გამოსახულება, რომელიც მოიწონა მოპასუხემ თავის საკუთარ ემბლემად, მაგრამ შემდგომში მათი ურთიერთობა აღარ გაგრძელდებულა ნ. ახალკაცის გარდაცვალების გამო.

– მოსარჩელე განმარტავს, რომ მოპასუხემ დაარღვია მისი საავტორო უფლება, უკანონოდ მიითვისა მისი ნაშუქვარი, ავტორთან შეთანხმების გარეშე იყენებს ემბლემას კომერციული მიზნებისათვის, მისი გამოსახულებით ამზადებს სხვადასხვა სუვენირებს, ახდენს მათ რეალიზაციას მოგების მიზნით. გარდა ამისა დაამახინჯა ემბლემის ავტორისეული გამოსახულება, კერძოდ დაარღვია ემბლემის კომპოზიციის ცენტრალური ნაწილის შემადგენელი ნიშნების (ვარსკვლავების) გამოსახულება, ზედმეტად გაუხეშებულია ემბლემის შემკვერელი ოქროსფერი რკალი, მთლიანად შეცვლილია ინგლისური წარწერის გრაფიკული გამოსახულება და ასეთივე დამახინჯებული სახით წარუდგინა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“, რომელმაც 2001 წლის 8 აგვისტოს გაატარა რეგისტრაციაში და გასცა №52 სერთიფიკატი.

მოსარჩელე განმარტავს, რომ მოპასუხის მიერ მისი საავტორო უფლების დარღვევით მან განიცადა მატერიალური და მორალური ზიანი, შეილახა მისი პიროვნული ღირსება და საქმიანი რეპუტაცია და „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოითხოვს დაეკისროს მოპასუხეს ემბლემის უკანონოდ გამოყენებისათვის 300.000 აშშ დოლარის გადახდა კომპენსაციის სახით, 200.000 აშშ დოლარის გადახდა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. ასევე მოითხოვს ამავე კანონის მე-60 მუხლის შესაბამისად მოპასუხის მიერ წარმოებული ყველა პროდუქცია, რომელზეც გამოსახულია მოსარჩელის მიერ შექმნილი ემბლემა ჩაითვალოს კონტრაფაქციულ ეგზემპლარებად, ამოღებული იქნეს და გადაეცეს მოსარჩელეს, აეკრძალოს მოპასუხეს მათი გამოყენება ავტორთან შეთანხმების გარეშე და ასევე აღიარებული იქნეს მოსარჩელის საავტორო უფლება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემაზე.

მოპასუხემ წერილობით შესაგებელში სარჩელი არ სცნო და მიუთითა, რომ – მოსარჩელის საავტორო უფლების საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემაზე მოპასუხე სადავოდ არ ზდის. პირიქით ეს უფლება მოპასუხის განცხადებით რეგისტრირებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ 2001 წლის 8 აგვისტოს №52 სერთიფიკატით.

მოპასუხეს მოსარჩელის მოთხოვნის, კომპენსაციისა და მორალური ზიანის

ანაზღაურების საფუძვლად „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის მიითთება არასწორად მიაჩნია, რადგან თელის, რომ ამავე კანონის 67-ე მუხლის თანახმად, მოცემულ ურთიერთობაზე უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმები მოპასუხე მიუთითებს, რომ თავად მოსარჩელის განმარტებიდან ირკვევა, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 515-ე მუხლის შესაბამისად იგი მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ ამავე კოდექსის 517-ე და 44-ე მუხლის თანახმად არ არის დაცული ხელშეკრულების მარტივი წერილობითი ფორმა, ეს არ იწვევს გარიგების ბათილობას, მხოლოდ ზღუდავს მხარეთა უფლებებს გარიგების დასადასტურებლად დაეყრდნონ მოწმეთა ჩვენებებს.

საქმის ზეპირი განხილვისას მოსარჩელემ მხარი დაუჭირა თავის მოთხოვნებს მოპასუხემ კი დაადასტურა შესაგებელი.

მოსარჩელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ რადგან მოსარჩელის საავტორო უფლებათა დარღვევას მრავალჯერადი ხასიათი ჰქონდა და იგი დღემდე გრძელდება რაც დასტურდება მოპასუხის მიერ 2001 წლის 8 აგვისტოს „საქპატენტში“ დამახინჯებული სახით წარდგენილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემის რეგისტრაციის ფაქტით, ამდენად საქმის გადაწყვეტის დროს გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ და ასევე ბერნის კონვენცია, რომელსაც საქართველო 1994 წელს შეუერთდა. ასევე განმარტა, რომ მოსარჩელის ინტერესი საავტორო გასამრჯელოს გარეშე შექმნაში იყო ის, რომ წარსულში იგი ფეხბურთელი იყო, მოიხსენიებდნენ ემბლემის ავტორად და შემდგომში გაფორმდებოდა ხელშეკრულება ნაწარმოების გამოყენებასთან დაკავშირებით.

მოპასუხის წარმომადგენელმა კი განმარტა, რომ ემბლემაზე ინგლისური შრიფტის დამახინჯება და ემბლემის იერსახის შეცვლა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ფეხბურთელთა ფორმებზე ემბლემის ამოქარგვა ხდება მანქანით, რა დროსაც შეუძლებელი გახდა ზუსტად ავტორისეული ვარიანტით მისი შესრულება და დაირღვა ემბლემის იერსახე მაგრამ მოპასუხის წარმომადგენელს მიაჩნია, რომ აღნიშნული გარემოება არ აძლევს მოსარჩელეს კომპენსაციისა და მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს, რადგან მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ფეხბურთის ფედერაციის მიერ ემბლემის უკანონოდ გამოყენების ფაქტი.

სასამართლო კოლეგიამ მოისმინა მხარეთა ზეპირი განმარტებები, გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებანი, შეაფასა სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები და მიაჩნია, რომ სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ საქართველოს კანონის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ეს კანონი ვრცელდება იმ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ამ კანონის ამოქმედების შემდეგ.“

მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემის შექმნასთან დაკავშირებული ურთიერთობები წარმოიშვა სამოქალაქო სამართლის კოდექსის მოქმედების პერიოდში, ამდენად, იმ სადავო ურთიერთობების მიმართ, რომლებიც წარმოიშვა მხოლოდ ემბლემის შექმნასთან დაკავშირებით, გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (1964 წლის რედაქციით) მე-4 კარით დადგენილი ნორმები, ხოლო იმ სადავო ურთიერთობების მიმართ, რომელიც ამ ემბლემის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოიშვა „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდგომ პერიოდში, გამოყენებული უნდა იქნეს ამ კანონის ნორმები.

წარმოდგენილი სარჩელით და ზეპირ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით დადგენილია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემა მოსარჩელემ შექმნა 1995 წელს.

საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 488-ე მუხლით საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე მიუხედავად მათი ფორმისა, ნიშნებისა და ღირსებისა, აგრეთვე რეპროდუქციის წესისა, რომლებიც გამოქვეყნებულია ან არაა გამოქვეყნებული, მაგრამ გამოხატულია რაიმე ფორმით.

მოსარჩელის მიერ შექმნილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემა წარმოადგენს გრაფიკულ ნაწარმოებს, რომელიც სამოქალაქო სამართლის კოდექსის 489-ე მუხლის მიხედვით შეიძლება იყოს საავტორო უფლების საგანი.

მოსარჩელის საავტორო უფლება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემაზე მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია, პირიქით მისი ეს უფლება მოპასუხის განცხადებით რეგისტრირებულია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ 2001 წლის 8 აგვისტოს №52 სერთიფიკატით.

მოსარჩელემ ვერ განმარტა ის იურიდიული ინტერესი, რისთვისაც ითხოვს საავტორო უფლების აღიარებას. სასამართლო კოლეგიას კი მიაჩნია, რომ იმ ვითარებაში როცა სადავოდ არ არის მოსარჩელის ავტორობა, მისი მოთხოვნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემაზე საავტორო

უფლების აღიარებაზე არ შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც სარჩელი შეიძლება აღძრას უფლების არსებობის დადგენის შესახებ თუ მოსარჩელეს აქვს იმის ოურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

წარმოდგენილი სარჩელით და მოსარჩელის წარმომადგენლის ზეპირი განმარტებით დადგენილია, რომ მოსარჩელესა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელ ხელმძღვანელ ნ. ახალკაცს შორის შედგა მოლაპარაკება ფედერაციის ემბლემის შექმნის თაობაზე, ასევე დადგენილია, რომ ემბლემის შექმნის ინიციატორი ნ. ახალკაცი იყო, რომელმაც ამ წინადადებით მიმართა ემირ ბურჯანაძეს.

მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით ასევე დადგენილია, რომ ემბლემის დახატვისათვის ცალკე საზღაური ე. ბურჯანაძესა და ნ. ახალკაცის მოლაპარაკებით არ ყოფილა განსაზღვრული.

სასამართლო კოლეგიას დადგენილად მიაჩნია ასევე ის გარემოება, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემის შექმნის მიზანი იყო მისი შემდგომი გამოყენება.

ამდენად ზემოთ მითითებული დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე სასამართლო კოლეგია თვლის, რომ მოსარჩელე ემირ ბურჯანაძესა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელ ხელმძღვანელ ნ. ახალკაცს შორის 1995 წელს დაიდო საავტორო ხელშეკრულება გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 515-ე მუხლის თანახმად ავტორს უფლება აქვს ნაწარმოების გამოყენების მიზნით დადოს სათანადო ორგანიზაციასთან საავტორო ხელშეკრულება გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ.

იმავე კოდექსის 516-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულებებს მიეკუთვნება ხელშეკრულება საჯაროდ გამოყენების მიზნით სახეითი ხელოვნების ნაწარმოების შექმნის შესახებ (მხატვრული შეკვეთის ხელშეკრულება).

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული ხელშეკრულება მიეკუთვნება სწორედ მხატვრული შეკვეთის ხელშეკრულებას.

იმავე კოდექსის 515-ე მუხლის თანახმად გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულებით ავტორი გადასცემს ან კისრულობს შექმნას და ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადასცეს ორგანიზაციას თავისი ნაწარმოები ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით გამოსაყენებლად, ხოლო ორგანიზაცია კისრულობს გამოიყენოს ეს ნაწარმოები ან

ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში შეუდგეს მის გამოყენებას. (ამ კოდექსის 522-ე მუხლი) აგრეთვე ავტორს ან მის უფლებამონაცვლეს მისცეს გასამრჯელო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

522-ე მუხლის თანახმად გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულებით ორგანიზაცია მოვალეა გამოიყენოს ან შეუდგეს მის გამოყენებას ხელშეკრულების დათქმული წესით და დადგენილ ვადაში, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს ორ წელს ნაწარმოების მოწონების დღიდან.

მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მათ შორის შეთანხმებით, მართალია დათქმული არ ყოფილა კონკრეტული ვადა ნაწარმოების გამოყენების თაობაზე, მაგრამ მოპასუხის წარმომადგენელმა ზეპირ განმარტებაში მიუთითა, რომ ემბლემის გამოყენებას საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია შეუდგა მისი გადაცემისთანავე 1995 წელს და მას შემდეგ გამოიყენებს დღემდე.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 517-ე მუხლის შესაბამისად საავტორო ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით ამავე კოდექსის 44-ე მუხლის შესაბამისად.

დადგენილია, რომ მხარეთა შორის საავტორო ხელშეკრულება წერილობით არ დადებულა ანუ ამ შემთხვევაში დაცული არ არის კანონის მოთხოვნა ხელშეკრულების წერილობითი ფორმის თაობაზე.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად კანონით დაწესებული ფორმის დაუცველობა იწვევს გარიგების ბათილობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ასეთი შედეგი პირდაპირაა მიითვებული კანონში. ამავე კოდექსის მე-4 კარით საავტორო სამართალი წერილობითი ფორმის დაუცველობის გამო საავტორო ხელშეკრულების ბათილობა განსაზღვრული არ არის. მართალია სამოქალაქო სამართლის კოდექსის 515-ე მუხლის მიხედვით ნაწარმოების შექმნისა და გამოსაყენებლად გადაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულებით ორგანიზაცია კისრულობს ავტორს მისცეს გასამრჯელო, რისი მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს ამ კანონის თანახმად შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ასეთი მოთხოვნა მას არ დაუყენებია და აღნიშნულზე არც სასამართლოს უმჯავლია.

ამავე კოდექსის 523-ე მუხლის მიხედვით, სახვითი ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც შეკვეთით შეიქმნა, გადადის შემკვეთის საკუთრებად, თუ ხელშეკრულებით, სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ავტორს რჩება საავტორო უფლება ამ ნაწარმოებზე, აქედან გამომდინარე, რადგან სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 1995 წელს დაიდო ხელშეკრულება საჯაროდ გამოყენების მიზნით სახვითი ხელოვნების ნაწარმოების შექმნის შესახებ (მხატვრული შეკვეთის ხელშეკ-

რულება) მოპასუხეს კანონის თანახმად ქონდა უფლება ავტორთან დამატებითი შეთანხმების გარეშე მოხდინა ფეხბურთის ფედერაციის ემბლემის გამოყენება თავისი შეხედულებისამებრ. ხოლო მოსარჩელეს დარჩა მხოლოდ საავტორო უფლება.

დადგენილია და მოპასუხე მხარესაც არ უარყვია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მოსარჩელის მიერ შექმნილი ემბლემის ავტორისეული ორიგინალი დამახინჯებული ფორმით წარუდგინა „საკაპიტენტს“ რეგისტრაციისათვის 2001 წლის 8 აგვისტოს და ასეთივე დამახინჯებული ფორმით გამოყენებას განაგრძობს დღესაც.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონი იცავს საავტორო უფლებების მფლობელს ხელყოფისაგან. ამ კანონის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტის შესაბამისად ავტორს აქვს უფლება დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია. მოპასუხის მიერ მოსარჩელის არაქონებრივი საავტორო უფლების დარღვევის ფაქტი (ნაწარმოების დამახინჯება) უკვე წარმოშობს მისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს, ანუ ივარაუდება, რომ მოსარჩელემ უკვე განიცადა მორალური ზიანი და 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტის შესაბამისად პირს, რომლის საავტორო უფლებაც დაირღვა უფლება აქვს მოითხოვოს დამრღვევისაგან ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდა, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს სასამართლო. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად ზიანის ანაზღაურების განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დარღვევის არსი, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელისათვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი, აგრეთვე ის სავარაუდო შემოსავალი, რომელიც შეეძლო მიეღო ავტორს ან საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელს ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის მართლზომიერად გამოყენების შედეგად. ზიანის ანაზღაურებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული სასამართლო ხარჯები, წარმომადგენლისა და ადვოკატებისათვის გადასახდელი თანხის ჩათვლით.

კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხოლოდ მოპასუხის მიერ ემბლემის დამახინჯებულად გამოყენების გამო მოსარჩელისათვის მიყენებულ არაქონებრივ ზიანს და საკომპენსაციო თანხად განსაზღვრავს 5.000 ლარს, რადგან მას არ წარმოუდგენია ადვოკატთან დადებული ხელშეკრულება და მისთვის გაწეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ ყველა ის პროდუქცია, რომელიც დამზადებულია მოპასუხის მიერ და რომელზეც საქართველოს ფეხბურთის

ფედერაციის ემბლემა გამოსახულია დამახინჯებული ფორმით საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად იწვევს საავტორო უფლებათა დარღვევას და ითვლება კონტრაფაქციულ ეგზემპლარად, რის გამოც იგი უნდა ჩამოერთვას მოპასუხეს და გადაეცეს მოსარჩელეს და ამასთან მოპასუხეს უნდა აეკრძალოს დამახინჯებული ფორმით ემბლემის გამოყენება ამავე კანონის 59-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 244-ე, 247-ე, 248-ე, 257-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით გადაწყვიტა:

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

1. მოსარჩელე ემირ ბურჯანაძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. მოპასუხეს – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დაეკისროს მოსარჩელე ემირ ბურჯანაძის სასარგებლოდ არაქონებრივი ზიანის ასანაზღაურებლად 5.000 ლარი.
3. მოპასუხეს – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აეკრძალოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემის გამოყენება ავტორისეული ორიგინალისაგან განსხვავებული სახით.
4. ჩაითვალოს კონტრაფაქციულად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კუთვნილი ყველა ის პროდუქცია, რომელზეც გამოსახულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემა მოსარჩელის მიერ შექმნილი ემბლემის ორიგინალისაგან განსხვავებული სახით, რომელიც ამოღებული და ჩამორთმეული იქნეს და გადაეცეს მოსარჩელეს.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო წესით მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3კ/829-02

20 ნოემბერი, 2002წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლალი გორჩელაშვილი (მომხსენებელი),
მურმან წიქვაძე

სხდომის მდივანი: ლელა სანიკიძე

კასატორი: 1. ემირ ბურჯანაძე; წარმომადგენელი – ჯ. მერებაშვილი;

2. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია; წარმომადგენლები: ლ. გორხელაშვილი, ე. მეტრეველი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

2001 წლის 2 ნოემბერს ემირ ბურჯანაძემ თბილისის საოლქო სასამართლოში .სარჩელი აღძრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ და მოითხოვა სააპელაციო უფლების დაცვა, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1995 წელს შექმნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემა, რომელიც მოწონებულ და მიღებულ იქნა ფეხბურთის ფედერაციის მიერ თავის საკუთარ ემბლემად. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია წლების მანძილზე ამ ემბლემით სარგებლობდა. ამასთან, შეცვალა მისი თავდაპირველი სახე. 2001 წლის 8 აგვისტოს საქართველოს

ფეხბურთის ფედერაციამ აღნიშნული ემბლემა დამახინჯებული სახით წარუდგინა „საქპატენტს“, რომელმაც გასცა №52 სერტიფიკატი. ემბლემის ავტორად მხატვარი ე. ბურჯანაძეა მიჩნეული. გარდა ამისა, მოსარჩელემ მიუთითა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ემბლემის ავტორთან შეთანხმების გარეშე ამზადებს სხვადასხვა სუვენირებს, სადაც იყენებს აღნიშნულ ემბლემას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მიუთითა, რომ ფეხბურთის ფედერაცია არღვევს მის საავტორო უფლებებს, რადგან უკანონოდ იყენებს ემბლემას, არღვევს მის მხატვრულ მხარეს, თვითნებურად ცვლის მას და ავტორის თანხმობის გარეშე იყენებს ემბლემას კომერციული მიზნებისათვის, რითაც იღებს მოგებასა და უგულებელყოფს ემბლემის ავტორის ფინანსურ ინტერესებს.

მოსარჩელემ მოითხოვა მისი საავტორო უფლების აღიარება და ემბლე-მის უკანონო გამოყენებისათვის კომპენსაციის სახით მოპასუხეზე 300.000 აშშ დოლარის დაკისრება; ყველა სახის პროდუქციის, რომელზეც გამოსახულია მოსარჩელის მიერ შექმნილი ემბლემა, კონტრაფაქციულად ჩათვალი, წარმოებიდან ამოღება, სარჩელის ავტორისათვის გადაცემა და ამ პროდუ-ქციის წარმოების აკრძალვა ავტორთან სათანადოდ გაფორმებული ხელშეკ-რულების გარეშე; ყველა იმ ნაწარმზე ყადაღის დადება, რომელიც მზადაა სარეალიზაციოდ; მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება 200.000 აშშ დოლარის ოდენობით. ასევე, მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღის დადება მოპასუხის ქონებასა და საანგარიშსწორებო ანგარიშზე ბანკში, ასევე, სასამართლოსა და წარმომადგენლის ხარჯების ანაზღაურება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, რის საფუძველადაც მიუთითა, რომ მოსარ-ჩელის მიერ სარჩელით ემბლემის ავტორობის აღიარების მოთხოვნა საჭიროებას მოკლებულია, ვინაიდან ამ უფლებას სადავოდ არაეინ ხდის და მასზე „საქ-პატენტის“ მიერ გაცემულია სერტიფიკატი.

რაც შეეხება მოსარჩელის მიერ საქართველოს კანონის „საავტორო და მოპიჯნავე უფლებათა შესახებ“ 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნ-ქტით მოთხოვნილ კომპენსაციას, ამავე კანონის 67-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით აღნიშნული კანონის ნორმები ვრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომელიც წარმოიშვა ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, ხოლო, მოპასუხის მითითებით კი, მოსარჩელესთან ურთიერთობა წარმოიშვა 1995 წლის დასაწყისში, როდესაც შეიქმნა ემბლემა, ე.ი. გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები.

რაც შეეხება წარმოებული პროდუქციის კონტრაფაქციულად ცნობას, ყადაღის დადებას, რეალიზაციის აკრძალვას და ა.შ. მოპასუხის მოსაზრებით,

არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით ემირ ბურჯანაძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოსარჩელესა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელ ხელმძღვანელ ნ. ახალკაცს შორის 1995 წელს დაიდო საავტორო ხელშეკრულება ნაწარმოების გამოსაყენებლად გადაცემის შესახებ.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 515-ე მუხლზე, რომლის თანახმად ავტორს უფლება აქვს, ნაწარმოების გამოყენების მიზნით დადოს საავტორო ხელშეკრულება ნაწარმოების გამოსაყენებლად გადაცემის შესახებ.

იმავე კოდექსის 515-ე მუხლის თანახმად ნაწარმოების გამოსაყენებლად გადაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულებით ავტორი გადასცემს ან კისრულობს შექმნას და ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადასცეს მეორე მხარეს თავისი ნაწარმოები ხელშეკრულებით დადგენილი წესით გამოსაყენებლად, ხოლო ორგანიზაცია კისრულობს ვალდებულებას, გამოიყენოს ეს ნაწარმოები ან ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში შეუდგეს მის გამოყენებას, აგრეთვე, ავტორს ან მის უფლებამონაცვლეს მისცეს გასამრჯელო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 517-ე მუხლის შესაბამისად საავტორო ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის საავტორო ხელშეკრულება წერილობით არ დადებულა, მაგრამ ეს არ შეიძლება გახდეს ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი, რადგან იმავე კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად კანონით დადგენილი ფორმის დაუცველობა იწვევს გარიგების ბათილობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ასეთი შედეგი პირდაპირაა მითითებული კანონში, ხოლო მოცემულ შემთხვევასთან დაკავშირებით კანონში მსგავსი მითითება არ არის.

ამავე კოდექსის 523-ე მუხლის მიხედვით სახვითი ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც შეკვეთით შეიქმნა, გადაღის შემკვეთის საკუთრებაში, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ავტორს რჩება საავტორო უფლება ამ ნაწარმოებზე. სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 1995 წელს დაიდო ხელშეკრულება საჯაროდ გამოყენების მიზნით სახვითი ხელოვნების ნაწარმოების შექმნის შესახებ (მხატვრული შეკვეთის ხელშეკრულება), რომლის საფუძველზედაც მოპასუხეს ჰქონდა უფლება, ავტორთან დამატებითი შეთანხმების გარეშე ფეხბურთის ფედერაციის ემბლემა გამოეყენებინა თავისი შეხედულებისამებრ,

ხოლო მოსარჩელეს კი დარჩა მხოლოდ საავტორო უფლება. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხემ 2001 წლის 8 აგვისტოს „საქპატენტს“ ემბლემა წარუდგინა დამახინჯებული სახით და მასზე გაიცა სერტიფიკატი. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიიჩნია, რომ „საავტორო და მომ-იჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად ავტორს უფლება აქვს, დაიცვას ნაწარმოები ყოველ-გვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია. მოპასუხის მიერ მოსარჩელის არაქონებრივი საავტორო უფლების დარღვევის ფაქტი უკვე წარმოშობს მისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს, ანუ ივარაუდება, რომ მოსარჩელემ უკვე განიცადა მორალური ზიანი და ამავე კანონის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე უფლება აქვს, მოითხოვოს კომპენსაცია, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს სასამართლო.

მოცემულ შემთხვევაში კომპენსაციის განსაზღვრისას სასამართლომ მხედ-ველობაში მიიღო მხოლოდ მოპასუხის მიერ ემბლემის დამახინჯებულად გამოყენების გამო მოსარჩელისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაუ-რება და საკომპენსაციო თანხად განსაზღვრა 5.000 ლარი.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ყველა ის პროდუქცია, რომელიც დამზადებულია მოპასუხის მიერ და რომელზეც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემაა გამოსახული დამახინჯებული ფორმით, „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის მე-60 მუხლის პირველი ნაწი-ლის შესაბამისად იწვევს საავტორო უფლებათა დარღვევას და ითვლება კონტრაფაქციულ ეგზემპლარად, რის გამოც იგი უნდა ჩამოერთვას მოპასუხ-ეს და გადაეცეს მოსარჩელეს. ამასთან, მოპასუხეს უნდა აეკრძალოს დამახ-ინჯებული ფორმით ემბლემის გამოყენება ამავე კანონის 59-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5.000 ლარის გადახდა კომპენსაციის სახით; აეკრძალა ემბლემის გამოყენება ავტორისეუ-ლი ორიგინალისაგან განსხვავებული ფორმით; ყველა ის პროდუქცია, რომელზეც გამოსახული იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემა ავტორის მიერ შექმნილი ორიგინალისაგან განსხვავებული ფორმით, ჩაითვალა კონ-ტრაფაქციულად და მოპასუხეს დაევალა მათი მოსარჩელისათვის გადაცემა. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

მოსარჩელის წარმომადგენელმა საკასაციო საჩივარში მიუთითა, რომ

სასამართლოს მიერ არასწორად იქნა შეფასებული მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობა, რადგან მათ მიერ მოპასუხეზე დაკისრებული თანხა 5.000 ლარი არანაირად არ შეესაბამებოდა იმ მორალურ ზიანს, რაც განიცადა მოსარჩელემ მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით.

მოსარჩელის წარმომადგენელმა ასევე მიუთითა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტი იმის შესახებ, რომ ბურჯანაძესა და ახალკაცს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება, არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან ეს იყო მხოლოდ საუბარი მომავალი თანამშრომლობის მიზნით. მათი თანამშრომლობა ნ. ახალკაცის გარდაცვალების გამო შეწყდა.

გარდა ამისა, სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი, ვინაიდან ფეხბურთის ფედერაციასა და ემირ ბურჯანაძეს შორის ურთიერთობა წარმოიშვა 1995 წელს, იგი გაგრძელდა ახალი კანონმდებლობის მიღების შემდეგაც, აქედან გამომდინარე კი, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა მხოლოდ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონი.

კასატორი ითხოვს თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილებას.

აღნიშნული გადაწყვეტილება ასევე საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ.

კასატორმა მიუთითა, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი: სადავო ემბლემა დამზადდა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გადაეცა 1995 წელს, როდესაც მოქმედებდა საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი და სასამართლოს უნდა გამოეყენებინა მხოლოდ აღნიშნული კოდექსის ნორმა და არა „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის ნორმები, რადგან ამ კანონის 67-ე მუხლში მითითებულია, რომ ეს კანონი ვრცელდება იმ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ამ კანონის ამოქმედების შემდეგ.

გარდა ამისა, კასატორმა მიუთითა, რომ მოსარჩელეს არ დაუსაბუთებია მორალური ზიანის არსებობა. კასატორმა მიუთითა ისიც, რომ სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით მხარეს მიაკუთვნა ის, რაც მას არ მოუთხოვია, კერძოდ, მოსარჩელემ მოითხოვა ზიანის ანაზღაურება, ხოლო სასამართლომ კი მოპასუხეს დააკისრა კომპენსაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი და თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს შემდეგი გარემოების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იმდენად არასრულია, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია. ამასთან, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია ამავე კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლითაც გადაწყვეტილება კანონის დარღვევით გამოტანილად ითვლება, თუ სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა 1995 წელს, სარჩელის დავის საგანს წარმოადგენს საავტორო უფლების დაცვა იმ ემბლემაზე, რომელიც მხატვარმა 1995 წელს შექმნა. ასევე, ამ ემბლემის უკანონო გამოყენებისათვის მოსარჩელე მოითხოვს მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას, ე.ი. მოსარჩელე მოითხოვს მისი დარღვეული უფლების აღდგენას, რომელიც დაურღვეეს 1995 წლიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სასამართლოს არ უნდა გამოყენებინა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის ნორმები, რადგან ამავე კანონის 67-ე მუხლის პირველი ნაწილით ეს კანონი ვრცელდება იმ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ამ კანონის ამოქმედების შემდეგ. კანონი კი ამოქმედდა 1999 წლის ივლისიდან. ამდენად, მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა 1995 წელს გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი.

პალატა მიუთითებს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ დამატებით უნდა გამოიკვლიოს საქმეში არსებული (ასევე – მხარეთა მიერ დამატებით წარმოდგენილ მტკიცებულებანი, თუ ასეთი მხარეებმა წარმოადგინეს საქმის ხელახლა განხილვისას) მასალები მხატვრული შექვეთის ხელშეკრულების ნამდვილობასთან დაკავშირებით, რადგან დავის საგანს საავტორო უფლების დაცვა წარმოადგენს. მართალია, საკასაციო სასამართლო იზიარებს საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივ მოტივაციას საავტორო ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით, მაგრამ დავის სწორად გადასაწყვეტად დასადგენია ის გარემოებები, რომლებიც დაადასტურებენ ხელშეკრულების დადების ფაქტს. დავის ერთ-ერთ საგანს საავტორო უფლების დაცვა წარმოადგენს და ამ ნაწილში სარჩელს უარი

ეთქვა, რაც საკასაციო სასამართლოს უსაფუძვლოდ მიაჩნია. პალატა თვლის, რომ მოპასუხემ შესაგებელში მითითებული გარემოებების დასადასტურებლად დამატებით უნდა წარმოადგინოს ისეთი მტკიცებულებანი, რომლებიც დაადასტურებენ ხელშეკრულების ნაძვეილობას (მაგ. ფეხბურთის ფედერაციის გამგეობის იმ სხდომის ოქმი, რომელზედაც განხილულ იქნა ფედერაციის ემბლემის საკითხი), ვინაიდან მტკიცების ტვირთი მხარეებს აკისრიათ, ხოლო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს მხატვრული შეკვეთების ხელშეკრულების დადებისათვის საჭირო ყველა ის არსებითი პირობა, რაზედაც მხარეები შეთანხმდნენ გარიგების დადებისას.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



გ ა დ ა ყ ვ ე მ ტ ი ლ მ ბ ა

საქართველოს სახელით

№2/ა-56-2003

12 მარტი, 2003 წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია

შემადგენლობა: მ. ჩანტლაძე (მომხსენებელი და თავმჯდომარე),
მ. ჯიყაშვილი,
გ. გულუდანი

სხდომის მდივანი: ი. ხიჯაკაძე
მოსარჩელე: ემირ ბურჯანაძე; **წარმომადგენელი** – ჯამლუტ მერეაშვილი
მოპასუხე: საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია; **წარმომადგენლები** –
ლევან გორხელაშვილი, ევგენი მეტრეველი, ბადრი ქარქაშაძე, ელადიმერ
ელოშვილი, მიხეილ ჯოჯუა, ილია მჭედლიშვილი;

დავის საგანი: საავტორო უფლებათა დაცვა და მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

სარჩელის მოთხოვნები:

1. აღიარებულ იქნეს ემბლემის ავტორად ე. ბურჯანაძე;
2. დაეკისროს მოპასუხეს – „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას“ კომპენსაციის სახით 300.000 აშშ დოლარის გადახდა მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად;
3. დაეკისროს მოპასუხეს 200.000 აშშ დოლარის გადახდა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად;
4. ჩაითვალოს კონტრაფაქციად, ამოღებულ იქნეს წარმოებიდან და გადაეცეს მოსარჩელეს მოპასუხის მიერ წარმოებული ყველა სახის პროდუქცია, რომლებზეც გამოსახულია სადავო ემბლემა, აეკრძალოს მოპასუხეს ამ პროდუქციის წარმოება ავტორთან სათანადოდ გაფორმებული ხელშეკრულების გარეშე;
5. დაეკისროს მოპასუხეს ადვოკატის მომსახურების ხარჯები, სადავო საგნის ღირებულების 10%-ის ოდენობით.

სარჩელის გარემოებები:

მოსარჩელე ემირ ბურჯანაძემ 1995 წლის დასაწყისში შექმნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემა, რომელიც მოწონებული და საკუთარ ემბლემად იქნა მიღებული მოპასუხის მიერ.

სადავო ობიექტი წარმოადგენს ტრადიციულ წრიულ ფორმას, სფეროს, რომლის ცენტრალური წრის ღერზე გამოსახულია ქართული უძველესი, ე.წ. ბოლნური ჯვარი, შვიდი მნათობით. ცენტრალურ წრეს შემოვლებული აქვს ღურჯი და ოქროსფერი რკალები, რომელთა შორის ინგლისურ ენაზე ჩაწერილია „GEORGIAN FOOTBALL FEDERATION“, ინგლისური წარწერის საწყისსა და დაბოლოებას შორის ჩართულია ოქროსფერად მოელვარე ქართული ანბანის მონოგრამა „სფფ“ შიგ ჩახატული შავ-თეთრი ბურთით.

ფედერაციის ემბლემის მთლიანი სიბრტყე თეთრი ფერისაა, ცენტრალური კომპოზიცია და ინგლისური წარწერა ღურჯი ფერის, ხოლო ქართული მონოგრამა ოქროსფერი, რომელიც შემოსაღებულია ასევე ოქროსფერი რკალით.

მთლიანობაში ემბლემაში კარგად იკითხება ქართული ტრადიციული ორნამენტისათვის დამახასიათებელი შტრიხები, ემბლემა მოწონებულ იქნა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის „ფიფას“ მიერაც, რომლის დაკვეთითაც შემდგომში დამზადდა არაერთი სუვენირი.

მოსარჩელის განცხადებით, ზემოთ აღწერილი ემბლემა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დამახინჯებული სახით წარუდგინა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“, რომელმაც 2001 წლის 8 აგვისტოს გასცა №52 სერთიფიკატი.

ე. ბურჯანაძის განმარტებით, სერთიფიკატის თავფურცელზე გამოსახული ემბლემა არ შეესაბამება დამტკიცებული ორიგინალის ნამდვილ სახეს, სადაც უხეშად არის დარღვეული მისი საავტორო უფლებები, კერძოდ: ა) დარღვეულია კომპოზიციის ცენტრალური ნაწილის შემადგენელი ნიშნები (ვარსკვლავები), ბ) ზედმეტად გაუხეშებულია ემბლემის შემკვერი ოქროსფერი რკალი, გ) მთლიანად შეცვლილია ინგლისური წარწერის გრაფიკული გამოსახულება. ყოველივე ამით კი დარღვეულია ემბლემის მხატვრული იერსახე.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ავტორთან შეთანხმების გარეშე ემბლემის გამოსახულებით ამზადებს სხვადასხვა სახის სუვენირებს, მათ შორის: ვიშპელებს, მაისურებს, საათებს, სამკერდე ნიშნებს, სიგელებს და სხვა, რითაც მოპასუხე არღვევს მის საავტორო უფლებებს, რაც საბოლოოდ მოსარჩელის განმარტებით, ლახავს – მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას და ასევე ქონებრივ უფლებებს, იყენებს რა კომერციული მიზნებისათვის ნახულობს საგრძნობ მოგებას, რითაც საერთოდ უგულებელყოფს ავტორის ფინანსურ პრობლემებს.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, მე-10, მე-17, მე-18, 21-ე და სხვა მუხლები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 413-ე მუხლები.

მოსარჩელე მხარემ სასამართლოს მთავარ სხდომაზე სასარჩელო მოთხოვნები შეამცირა, კერძოდ მოხსნა მოთხოვნა იმის შესახებ, რომ აღიარებულ იქნეს მისი საავტორო უფლებები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემაზე და ყადაღა დაედოს ყველა იმ ნაწარმს, რომელიც მზადაა სარეალიზაციოდ, აგრეთვე ყველა იმ მასალას და მოწყობილობას, რომელიც განკუთვნილია მათ დამზადებისა და წარმოებისათვის, ასევე აეკრძალოს მოპასუხეს მათი ხელახლა წარმოება და რეალიზაცია მოსარჩელესთან ხელშეკრულების გაფორმების გარეშე.

მოპასუხემ წერილობით შესაგებელში სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ აღნიშნულ სადავო ურთიერთობაზე არ შეიძლება გავრცელდეს „საავ-

ტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები, ვინაიდან, ამავე კანონის 67-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აღნიშნული კანონის ნორმები ვრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომელიც წარმოიშვა ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, ვინაიდან მოსარჩელესთან ურთიერთობა 1995 წლის დასაწყისში წარმოიშვა, დავის გადაწყვეტისას სასამართლოს მიერ გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები.

რაც შეეხება წარმოებული პროდუქციის კონტრაფაქციულად ცნობას, ყადაღის დადებას, რეალიზაციის აკრძალვას და ა. შ. მოპასუხის მოსაზრებით, არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა და მათ წარმომადგენელთა ზეპირი განმარტებები, შეაფასა სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები და მიიჩნია, რომ სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელის მიერ შექმნილი ემბლემა წარმოადგენს გრაფიკულ ნაწარმოებს, რომელზეც სამოქალაქო სამართლის კოდექსის 488-ე, 489-ე მუხლების მიხედვით, ვრცელდება საავტორო უფლებები (წარმოადგენს საავტორო უფლების საგანს).

„საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 67-ე მუხლის მიხედვით ეს კანონი ვრცელდება იმ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ამ კანონის ამოქმედების შემდეგ.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, თითოეული სასარჩელო მოთხოვნის მიმართ უნდა გავრცელდეს ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც მოქმედებდა საავტორო უფლების დარღვევის დროს.

დადგენილია და სადავო არ არის, რომ:

1. ემირ ბურჯანაძემ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ ემბლემა შექმნა 1995 წელს.

2. „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ განაცხადის საფუძველზე საქართველოს ინტელექტუალური ცენტრის „საქპატენტის“ მიერ 2000 წლის 8 აგვისტოს სადავო ემბლემაზე გაცემულ იქნა სერტიფიკატი №52.

ნაწარმოების ავტორად მითითებული იქნა ე. ბურჯანაძე.

სასამართლო კოლეგია იზიარებს მოსარჩელე მხარის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ მიერ

ავტორისეულ ორიგინალზე განხორციელებული არსებითი ცვლილებების შეტანით დამახინჯებულ იქნა მისი ნაწარმოები, რითაც მას შეეღაზა პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. ცვლილებების შეტანის ფაქტს ადასტურებს მოპასუხე მხარეც, თუმცა ის არსებით ცვლილებებად არ მიიჩნევს იმ ცვლილებებს, რომელიც მან შეიტანა ორიგინალში.

არსებით ცვლილებებად განიხილება ისეთი ცვლილებების შეტანა ორიგინალში, რომელიც მთლიანად ცვლის ნაწარმოების მხატვრულ სახეს და შეუძლებელს ხდის მისი სტილის შენარჩუნებას.

სასამართლო კოლეგია აღნიშნულ დასკვნამდე მივიდა, ნაწარმოების ორიგინალისა და „საქპატენტის“ მიერ გაცემულ სერტიფიკატზე გამოსახული ემბლემის შედარების შედეგად.

სასამართლოს აზრით, სერტიფიკატის გამოსახულებაზე დარღვეულია ემბლემის პროპორციების შეფარდება, შიდა წრე არის შემცირებული. ორიგინალის მიხედვით, ემბლემა არის კითხვადი ნიშანი საკრალური ნიშნით ეგრეთწოდებული „ბოლნური ჯვრით“. ჯვარი, რომელიც გამოსახულია სერტიფიკატზე გამოსახული ემბლემის შიდა წრეში არ ებმება გარშემო არსებულ თეთრ ზოლს, რითაც დაკარგულია „ბოლნური ჯვარი“. იდეურად და პროპორციულად შეცვლილია ის ადგილი, სადაც ასოები „სფფ“ არის გამოსახული. გაუხეშებულია ემბლემის შემკვერელი ოქროსფერი რკალი, შეცვლილია ინგლისური წარწერის გრაფიკული გამოსახულება. საბოლოო ჯამში მთლიანად დარღვეულია ემბლემის მხატვრული იერსახე.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტი აწესებს „ბერნის კონვენციის“ მე-6 bis მუხლის შესაბამის ნორმას, რომელიც ავტორს ანიჭებს უფლებას წინ აღუდგეს მისი ნაწარმოების დამახინჯებას, სხვაგვარ მოდიფიკაციას ან შინაარსის დაკნინებას. ეს უფლება ემყარება ავტორის პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვას. დაუშვებლად არის მიჩნეული მესამე პირთა ისეთი ქმედება, რამაც შეიძლება ავტორის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია შეღაზოს. საქართველოს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის ზემოთ მითითებული მუხლი უფრო კონკრეტულად და დაწვრილებით გადმოსცემს მორალური უფლების შინაარსს, ვიდრე „ბერნის კონვენცია“ და „ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის“ („ისმო“-ს) მიერ შემუშავებული სანიმუშო კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. ამ კანონით მინიჭებული უფლების თანახმად ავტორს შეუძლია შეეწინააღმდეგოს ნაწარმოების მთლიანობის ნებისმიერ დარღვევას, როგორც შინაარსობრივი ასევე ფორმის ერთიანობის დარღვევის თვალსაზრისით.

სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ განხორციელებული

ბული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მოსარჩელეს წარმოეშვა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი.

მორალური ზიანი – სულიერი და ფიზიკური ტანჯვაა, რომელიც გამოწვეულია ფიზიკური პირისათვის კანონით მინიჭებულ არაქონებრივ ღირებულებებზე ზემოქმედებით, რითაც შეიძლება შეილახოს პირის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები.

სასამართლო კოლეგიამ ჩათვალა რა ე. ბურჯანაძის ნაწარმოების დამახინჯება ავტორის რეპუტაციის შემლახველად, მიიჩნია, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის არსებობს კანონით გათვალისწინებული საფუძვლები, კერძოდ სახეზეა კანონით დაცული არაქონებრივი ინტერესების ხელყოფა. სასამართლო კოლეგია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სახეზეა მორალური ზიანის კომპენსაციის განსაზღვრის ისეთი საფუძველი როგორცაა მოპასუხის სამოქალაქო სამართლებრივი ბრალი, ანუ წინდახედულობის ნორმით დაცული ქტევის წესის დარღვევა.

სასამართლო კოლეგიამ „საავტორო და მიმჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის საფუძველზე გაითვალისწინა რა საავტორო უფლებების დარღვევის არსი, საავტორო უფლების მფლობელისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის სიმძიმე – გონივრულად და სამართლიანად მიიჩნია მოპასუხისათვის 30 000 ლარის დაკისრება მოსარჩელის სასარგებლოდ.

სასამართლო კოლეგია საფუძველს მოკლებულად მიიჩნევს მოსარჩელის მოთხოვნას მატერიალური ზიანის სახით 300 000 ლარის ანაზღაურების შესახებ.

საავტორო უფლებების მფლობელისათვის ზიანის ანაზღაურების მიზანია, რომ იგი აღმოჩნდეს პირვანდელ მდგომარეობაში, რომელშიც იქნებოდა საავტორო უფლებების დაურღვეველობის შემთხვევაში.

საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 512-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზარალის ანაზღაურება ავტორს ან მის უფლებამონაცვლეს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ავტორმა ან მისმა უფლებამონაცვლემ საავტორო უფლების დარღვევის შედეგად ზარალი განიცადეს. იმავე კოდექსის 212-ე მუხლის თანახმად, ზარალად ითვლება კრედიტორის მიერ გაღებული ხარჯები, მისი ქონების დაკარგვა ან გაფუჭება და აგრეთვე შემოსავალი, რომელიც არ მიუღია და რასაც იგი მიიღებდა, თუ კი მოვალე ვალდებულებას შეასრულებდა.

მოსარჩელე მხარის მიერ ვერ იქნა დადასტურებული ფაქტები იმის შესახებ, თუ რა ვალდებულებები ეკისრებოდა მოპასუხე მხარეს. მხარეთა მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საავტორო ხელშეკრულება წერილობით ფორმით, რომლის აუცილებლობას ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლის

კოდექსის 517-ე მუხლი. („საავტორო ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით.“) ასევე ვერ დადასტურდა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელესა და „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას“ შორის გაფორმებული იყო საავტორო ხელშეკრულება გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ. სასამართლო კოლეგია უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევს მოსარჩელის განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ მასსა და ფეხბურთის ფედერაციის იმჟამინდელ პრეზიდენტს ნ. ახალკაცს შორის 1995 წლის დასაწყისში შედგა საუბარი ნაწარმოების შექმნის შესახებ. ნ. ახალკაცის გარდაცვალების გამო ასევე ვერ დადგინდა ფაქტი იმის შესახებ, ვისი სახელით მოქმედებდა ნ. ახალკაცი, თავისი სახელით, როგორც ფიზიკური პირი თუ ფედერაციის სახელით, როგორც იურიდიული პირი. აღნიშნული მიზეზების გამო ვერ დადგინდა ასევე ფაქტი იმის შესახებ, ემბლემა იყო თუ არა შეკვეთილი ნაწარმოები.

მოსარჩელე მხარის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული ის ზარალი, რაც მას მიადგა მისი ემბლემის ფეხბურთის ფედერაციის მიერ უნებართვო გამოყენებით და ასევე მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული ის შემოსავალი რომელიც არ მიუღია და რასაც იგი მიიღებდა თუ კი მოვალე ვალდებულებას შეასრულებდა.

მოსარჩელეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება იმის შესახებ, რომელიც დაადასტურებდა, რომ საჯარო ქსელში არსებული პროდუქცია ფეხბურთის ფედერაციის მიერ იქნა დამზადებული და რეალიზებული.

სასამართლო კოლეგია საფუძველს მოკლებულად მიიჩნევს, მოსარჩელის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ კონტრაფაქციულად ჩაითვალოს მოპასუხის მიერ წარმოებული პროდუქცია, რომლებზეც გამოსახულია სადავო ემბლემა, ამოღებულ იქნეს წარმოებიდან და გადაეცეს მოსარჩელეს, აკრძალოს მოპასუხეს ამ პროდუქციის წარმოება ავტორთან სათანადოდ გაფორმებული ხელშეკრულების გარეშე.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კონტრაფაქციულ ეგზემპლარად ითვლება ნაწარმოების ეგზემპლარების დამზადება ან გავრცელება, რომლებიც იწვევს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საავტორო უფლების მფლობელის უფლებათა დარღვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ქმედება, რომელიც საჭიროებს უფლებამფლობელის ნებართვას, ჩადენილია სხვა პირის მიერ მისი თანხმობის გარეშე, საავტორო უფლებით დაცულ მასალათა ეგზემპლარების კომერციული მიზნებით უნებართვოდ დამზადება და აგრეთვე მათი გამოყენებით უნებართვო კომერციული ოპერაციების წარმოება.

მოსარჩელის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი

მტკიცებულება, რომ მოპასუხე მხარე მისი ნებართვის გარეშე კომერციული მიზნით ამზადებს პროდუქციას ან ახდენს მის რეალიზაციას.

სასამართლო კოლეგიას ასევე უსაფუძვლოდ მიაჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ადვოკატისათვის გაწეული მომსახურების ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მოსარჩელე მხარის მიერ მტკიცებულებებით ვერ დადასტურდა არსებობდა თუ არა ხელშეკრულება – შეთანხმება მასსა და მის რწმუნებულს შორის.

სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება რაც ხდება საფუძველი იმისა, რომ კრედიტორმა სსკ-ის 316-ე მუხლის თანახმად მოვალეს მოსთხოვოს რაიმე მოქმედების შესრულება.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 244-ე, 249-ე, 395-ე და 397-ე მუხლებით, გადაწყვიტა:

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

მოსარჩელე ემირ ბურჯანაძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; დაეკისროს მოპასუხეს – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მოსარჩელე ემირ ბურჯანაძის სასარგებლოდ 30.000 ლარის გადახდა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად;

გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით 1 თვის ვადაში მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების დღიდან.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ ას-30-733-03

26 დეკემბერი, 2003წ. ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე),
როზა ნადირიანი (მომხსენებელი),
მურმან წიქვაძე**

**სხდომის მდივანი: თამარ ჩანგიშვილი
კასატორები:**

1. ემირ ბურჯანაძე (მოსარჩელე); წარმომადგენელი – ჯ.მერებაშვილი
 2. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (მოპასუხე); წარმომადგენლები – ლ. გორხელაშვილი, ე. მეტრეველი
- გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება.**

სარჩელის საგანი: საავტორო უფლების დაცვა, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

2001 წლის 2 ნოემბერს ემირ ბურჯანაძემ თბილისის საოლქო სასამართლოში სარჩელი აღძრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ და მოითხოვა:

1. აღიარებულ იქნეს ემბლემის ავტორად;
2. მოპასუხეს დაეკისროს 300.000 აშშ დოლარის გადახდა მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად;

3. მოპასუხეს დაეკისროს 200 000 აშშ დოლარის გადახდა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად;

4. მოპასუხის მიერ წარმოებული ყველა სახის პროდუქცია, რომლებზეც გამოსახულია სადავო ემბლემა, ჩაითვალოს კონტრაფაქციად, ამოღებულ იქნეს წარმოებიდან და გადაეცეს მოსარჩელეს, მოპასუხეს აეკრძალოს ამ პროდუქციის წარმოება ავტორთან სათანადოდ გაფორმებული ხელშეკრულების გარეშე;

5. მოპასუხეს დაეკისროს ადვოკატის მომსახურების ხარჯები, სადავო საგნის ღირებულების 10%-ის ოდენობით.

სარჩელის საფუძვლად მოსარჩელემ მიუთითა შემდეგი გარემოებები:

1995 წლის დასაწყისში შექმნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემა, რომელიც მოპასუხემ მოიწონა და მიიღო საკუთარ ემბლემად.

სადავო ობიექტი წარმოადგენს ტრადიციულ წრიულ ფორმას, სფეროს, რომლის ცენტრალური წრის ლურჯ ფონზე გამოსახულია ქართული უძველესი, ე.წ. ბოლნური ჯვარი, შვიდი მნათობით. ცენტრალურ წრეს შემოვლებული აქვს ლურჯი და ოქროსფერი რკალები, რომელთა შორის ინგლისურ ენაზე ჩაწერილია „GEORGIAN FOOTBALL FEDERATION“. ინგლისური წარწერის საწყისსა და დაბოლოებას შორის ჩართულია ოქროსფერად მოელვარე ქართული ანბანის მონოგრამა „სფფ“ შიგ ჩახატული შავ-თეთრი ბურთით.

ფედერაციის ემბლემის მთლიანი სიბრტყე თეთრი ფერისაა, ცენტრალური კომპოზიცია და ინგლისური წარწერა ლურჯი ფერის, ხოლო ქართული მონოგრამა ოქროსფერი, რომელიც შემოსაღებულია ასევე, ოქროსფერი რკალით. მთლიანობაში ემბლემაში კარგად იკითხება ქართული ტრადიციული ორნამენტისათვის დამახასიათებელი შტრიხები. ემბლემა მოიწონა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ „ფიფამაც“, რომლის დაკვეთითაც შემდგომში დამზადდა არაერთი სუვენირი.

მოსარჩელის განცხადებით, ზემოთ აღწერილი ემბლემა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დამახინჯებული სახით წარუდგინა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“, რომელმაც 2001 წლის 8 აგვისტოს გასცა №52 სერთიფიკატი.

მოსარჩელის განმარტებით, სერთიფიკატის თავფურცელზე გამოხატული ემბლემა არ შეესაბამება დამტკიცებული ორიგინალის ნამდვილ სახეს, სადაც უხეშად არის დარღვეული მისი საავტორო უფლებები, კერძოდ:

ა) დარღვეულია კომპოზიციის ცენტრალური ნაწილის შემადგენელი ნიშნები (ვარსკვლავები);

ბ) ზედმეტად გაუხეშებულია ემბლემის შემკვერელი ოქროსფერი რკალი;

გ) მთლიანად შეცვლილია ინგლისური წარწერის გრაფიკული გამოსახულება. ყოველივე ამით კი დარღვეულია ემბლემის მხატვრული იერსახე.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ავტორთან შთანხმების გარეშე, ემბლემის გამოხატულებით, ამზადებს სხვადასხვა სახის სუვენირებს, მათ შორის ვიპელებს, მაისურებს, საათებს, სამკერდე ნიშნებს, სიგელებსა და სხვა, რითაც მოპასუხე არღვევს მის საეტიკო უფლებებს, რაც საბოლოოდ ლახავს მის პატივს, ღირსებას, საქმიან რეპუტაციასა და ასევე, ქონებრივ უფლებებს იყენებს რა კომერციული მიზნებისათვის, ნახულობს საგრძნობ მოგებას, რითაც საერთოდ უგულებელყოფს ავტორის ფინანსურ პრობლემებს.

მოსარჩელემ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მიუთითა „საეტიკო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, მე-10, მე-17, მე-18, 21-ე მუხლები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 413-ე მუხლები.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა, კერძოდ, მოხსნა მოთხოვნა იმის შესახებ, რომ აღირებულ იქნას მისი საეტიკო უფლებები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემაზე. მოსარჩელემ მოითხოვა, ასევე ყაღალა დაედოს ყველა იმ ნაწარმს, რომელიც მზადაა სარეალიზაციოდ, აგრეთვე, ყველა იმ მასალას და მოწყობილობას, რომელიც განკუთვნილია მისი დამზადების წარმოებისათვის, ასევე აეკრძალოს მოპასუხეს მათი ხელახლა წარმოება და რეალიზაცია მოსარჩელესთან ხელშეკრულების გაფორმების გარეშე.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ აღნიშნულ სადავო ურთიერთობაზე არ შეიძლება გავრცელდეს „საეტიკო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები, ვინაიდან, ამავე კანონის 67-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, აღნიშნული კანონის ნორმები ვრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომელიც წარმოიშვა ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ. ვინაიდან მოსარჩელესთან ურთიერთობა წარმოიშვა 1995 წლის დასაწყისში, დავის გადაწყვეტისას სასამართლოს მიერ გამოყენებულ უნდა იქნეს 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო სამართლის კოდექსი.

რაც შეეხება წარმოებული პროდუქციის კონტრაფაქციულად ცნობას, ყაღალის დადებას, რეალიზაციის აკრძალვასა და ა.შ. მოპასუხის მოსაზრებით, არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

საოლქო სასამართლოს კოლეგიამ უდავოდ დადგენილად ცნო, რომ ემირ ბურჯანაძემ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ ემბლემა შექმნა 1995 წელს. „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ განაცხადის საფუძველზე საქართველოს ინტელექტუალური ცენტრმა „საქპატენტმა“ 2000 წლის 8 აგვისტოს სადავო ემბლემაზე გასცა სერტიფიკატი №52. ნაწარმოების ავტორად მითითებულ იქნა ემირ ბურჯანაძე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ემბლემა წარმოადგენს გრაფიკულ ნაწარმოებს, რომელზეც სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964წ.) 488-ე, 489-ე მუხლების მიხედვით ვრცელდება საავტორო უფლებები.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 67-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ თითოეული სასარჩელო მოთხოვნის მიმართ უნდა გავრცელდეს ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც მოქმედებდა საავტორო უფლების დარღვევის დროს.

სასამართლო კოლეგიამ გაიზიარა მოსარჩელე მხარის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხის მიერ ავტორისეულ ორიგინალზე განხორციელებული არსებითი ცვლილებების შეტანით დამახინჯდა მისი ნაწარმოები, რითაც მას შეეღაზა პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ორიგინალში შეტანილი ცვლილებები არ წარმოადგენს არსებითს. სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებით ცვლილებებად განიხილება ისეთი ცვლილებების შეტანა ორიგინალში, რომელიც მთლიანად ცვლის ნაწარმოების მხატვრულ სახესა და შეუძლებელს ხდის მისი სტილის შენარჩუნებას. აღნიშნულ დასკვნამდე სასამართლო მივიდა ნაწარმოების ორიგინალისა და „საქპატენტის“ მიერ გაცემულ სერტიფიკატზე გამოსახული ემბლემის შედარების შედეგად.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სერტიფიკატის გამოსახულებაზე დარღვეულია ემბლემის პროპორციების შეფარდება, შიდა წრე არის შემცირებული. ორიგინალის მიხედვით ემბლემა არის კითხვადი ნიშანი, საკრალური ნიშნით ე.წ. „ბოლნური ჯვარი“. ჯვარი, რომელიც გამოსახულია სერტიფიკატზე გამოსახული ემბლემის შიდა წრეში არ ებმება გარშემო არსებულ თეთრ ზოლს, რითაც დაკარგულია „ბოლნური ჯვარი“. იდეურად და პროპორციულად შეცვლილია ის ადგილი, სადაც ასოები „სფფ“ არის გამოსახული, გაუხეშებულია ემბლემის შემკვერი ოქროსფერი რკალი, შეცვლილია ინგლისური წარწერის გრაფიკული გამოსახულება. საბოლოო ჯამში მთლიანად დარღვეულია ემბლემის მხატვრული იერსახე.

სასამართლომ მიუთითა, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის I ნაწილის „ე“ პუნქტი ნაწარმოების ავტორს ანიჭებს უფლებას, წინ აღუდგეს მისი ნაწარმოების დამახინჯებას, სხვაგვარ მოდიფიკაციას ან შინაარსის დაკნინებას. ეს უფლება ემყარება ავტორის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვას. დაუშვებლად არის მიჩნეული მესამე პირთა ისეთი ქმედება, რამაც შეიძლება ავტორის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია შეღაზოს. ამდენად, სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მოსარჩელეს წარმოეშვა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი.

სასამართლო კოლეგიამ ე. ბურჯანაძის ნაწარმოების დამახინჯება ჩათვალა ავტორის რეპუტაციის შემლახველად და მიიჩნია, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის არსებობს კანონით გათვალისწინებული საფუძველები, კერძოდ, სახეზეა კანონით დაცული არაქონებრივი ინტერესების ხელყოფა. ასევე, კოლეგიამ მიიჩნია, რომ სახეზეა მოპასუხის სამოქალაქო სამართლებრივი ბრალი, ანუ წინდახედულობის ნორმით დაცული ქცევის წესის დარღვევა.

საოლქო სასამართლოს კოლეგიამ გამოიყენა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილი, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი და გონიერულ, სამართლიან ანაზღაურებად მიიჩნია მოპასუხისათვის 30000 ლარის დაკისრება მოსარჩელის სასარგებლოდ.

სასამართლო კოლეგიამ საფუძველს მოკლებულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მატერიალური ზიანის სახით 300 000 ლარის ანაზღაურების შესახებ. კოლეგიამ მიუთითა, რომ მოსარჩელე მხარემ ვერ დაადასტურა ფაქტები იმის შესახებ, თუ რა ვალდებულებები ეკისრებოდა მოპასუხე მხარეს. მხარეთა მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საავტორო ხელშეკრულება წერილობითი ფორმით. ასევე, ვერ დადასტურდა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული იყო საავტორო ხელშეკრულება გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ. სასამართლო კოლეგიამ უტყუარ მტკიცებულებად არ მიიჩნია მოსარჩელის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ მასსა და ფეხბურთის ფედერაციის იმპაბინდულ პრეზიდენტ ნ. ახალკაცს შორის 1995 წლის დასაწყისში შედგა საუბარი ნაწარმოების შექმნის შესახებ. ნ.ახალკაცის გარდაცვალების გამო, ასევე ვერ დადგინდა ფაქტი იმის შესახებ, თუ ვისი სახელით მოქმედებდა ნ.ახალკაცი, თავისი სახელით, როგორც ფიზიკური პირი თუ ფედერაციის სახელით, როგორც იურიდიული პირი. ასევე, ვერ დადგინდა ფაქტი იმის შესახებ, ემბლემა იყო თუ არა შეკვეთილი ნაწარმოები.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა ის ზარალი, რაც მას მიადგა მისი ემბლემის ფეხბურთის ფედერაციის მიერ უნებართვო გამოყენებით. ვერ იქნა დასაბუთებული ის შემოსავალი, რომელიც არ მიუღია მოსარჩელეს და რასაც იგი მიიღებდა თუ კი მოვალე ვალდებულებას შეასრულებდა. მოსარჩელეს არ წარმოდგენია მტკიცებულება იმის შესახებ, რომელიც დაადასტურებდა, რომ სავაჭრო ქსელში არსებული პროდუქცია მოპასუხის მიერ იქნა დამზადებული და რეალიზებული.

სასამართლო კოლეგიამ საფუძველს მოკლებულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა წარმოებული პროდუქციის, რომელზედაც გამოსახულია სადავო ემბლემა კონტრაფაქციულად ცნობის შესახებ წარმოებიდან პროდუქციის

ამოღებისა და მოსარჩელისათვის გადაცემის შესახებ მოსარჩელესთან სათანადოდ გაფორმებული ხელშეკრულების გარეშე მოპასუხისათვის ამ პოლუქციის წარმოების აკრძალვის შესახებ იმ საფუძველით, რომ მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოპასუხე მხარე მისი ნებართვის გარეშე კომერციული მიზნით ამზადებს პროდუქციას ან ახდენს მის რეალიზაციას.

სასამართლო კოლეგიამ, ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ადვოკატისათვის გაწეული მომსახურების ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რადგან მოსარჩელემ ვერ დაადასტურა არსებობდა თუ არა ხელშეკრულება მასსა და მის რწმუნებულს შორის.

სასამართლო კოლეგიამ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 512-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 212-ე მუხლი, 316-ე და 317-ე მუხლები, სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964წ.) 517-ე მუხლი, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-60 მუხლის I ნაწილი და 2003 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით ებურჯანაძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 30 000 ლარის გადახდა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

საოლქო სასამართლოს კოლეგიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა ორივე მხარემ.

კასატორ ებურჯანაძის წარმომადგენლის მოსაზრებით, სასამართლომ ებურჯანაძის სულიერი ტანჯვა მეტად უმნიშვნელოდ შეაფასა. მის მიერ შექმნილი ემბლემა გასცდა ქვეყნის ფარგლებსა და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში – ფიფაში. მისი ღირებულება დიდი იყო და მისი არსებითი ხასიათის ცვლილებებით კიდევ უფრო მეტად შეიღაზა ავტორის ღირსება, პატივი, საქმიანი რეპუტაცია და არა მხოლოდ ავტორისა, არამედ ქვეყნისა.

კასატორის მოსაზრებით, ებურჯანაძესა და ნ.ახალკაცს შორის შემდგარი საუბარი შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მეგობრულ შეთანხმებად, რომელიც არავითარ ვალდებულებას არ წარმოშობს. მათი საუბარი იყო ნ.ახალკაცის მიერ იღვის შეთავაზება და არა მხარის მიერ გაკეთებული ოფერტი. ებურჯანაძემ მოიწონა იდეა და შექმნა ემბლემა, მაგრამ მას არ შეეძლო წინასწარ სცოდნოდა მიიღებდა და მოიწონებდა თუ არა მას ფედერაცია. ეს ფედერაციის გადასაწყვეტი იყო. ემბლემის შექმნის შემდეგ იგი გადაიქცა საქონლად, სარეალიზაციოდ გამზადებულ ნივთად, რომელიც უნდა გადასცემოდა ფედერაციას ან სხვა დაინტერესებულ პირს, ხოლო თუ როგორ და რა პირობებში უნდა ასახულიყო ხელშეკრულებაში, არ განხორციელებულა. აქედან გამომდინარე კასატორი თვლის, რომ ვინაიდან მოსარჩელეს და მოპასუხეს შორის არ გაფორმებულა არანაირი ხელშეკრულება, ემბლემა უნდა ჩაითვალოს მიტაცებულად და რასაც ამშვენებს ემბლემა, რომელიც დამზადებულია

ფედერაციის მიერ ან მისი შეკვეთით უნდა ჩაითვალოს კონტრაფაქციად, ამოღებულ იქნეს წარმოებიდან და ამით მიღებული შემოსავალი, როგორც მოსარჩელისათვის მიუღებელი შემოსავალი უნდა გადაეცეს მის კანონიერ მფლობელს.

კასატორი მიუთითებს, რომ მოპასუხე ემბლემას იყენებდა არა მარტო ხელშეკრულების გარეშე, არამედ რეგისტრაციის გარეშეც და მხოლოდ 2000 წლის 8 აგვისტოს მოხდა მისი რეგისტრაცია საქპატენტის მიერ, მანამდე ემბლემას იყენებდნენ ავტორის მიუთითებლად.

კასატორი თვლის, რომ ებურჯანაძემ განიცადა მატერიალური ზიანი, კერძოდ, ხელშეკრულების გაფორმების შედეგად აუცილებლად განისაზღვრებოდა ჰონორარის ოდენობა, რაც არ მიუღია და თავისთავად მიუღებელ შემოსავალში უნდა ჩაითვალოს. მოპასუხემ ემბლემის გამოსახულებით დაამზადა უამრავი ნივთი, რომლის რეალიზაციის შედეგად ფედერაციამ საკმაო მოგება ნახა. აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, ემბლემიანი საქონლის რეალიზაციით მიღებული მინიმალური შემოსავალი შეიძლება განისაზღვროს 2 200 000 ლარით, საიდანაც ავტორის მისაღები მინიმალური სარგებელი შეადგენს 300 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს.

ამდენად, კასატორს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, ასევე არ არის გათვალისწინებული ადვოკატის ხარჯები, რის გამოც კასატორმა საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა ადვოკატთან გაფორმებული ხელშეკრულება და მოითხოვს აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმებას, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის მთლიანად დაკმაყოფილებას.

კასატორი – „საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“ მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას იმ საფუძველით, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები და უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964წ.) ნორმები. ეს ნორმები მორალური ზიანის ანაზღაურებას არ ითვალისწინებს. კასატორი თვლის, რომ ემბლემა შეიქმნა 1995 წელს და, შესაბამისად, სამართალურთიერთობაც ამ დროს წარმოიშვა. ავტორს შეუძლია, მოითხოვოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ან ნაწარმოების გამოყენების აკრძალვა. ამგვარი საჭიროება კი არ არსებობს, რადგან ფედერაციამ უკვე უარი თქვა მოსარჩელის ნაწარმოების გამოყენებაზე.

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და თვლის, რომ ებურჯანაძისა და ფეხბურთის ფედერაციის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული, ან დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა თვლის, რომ გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის ბოლო წინადადების თანახმად, ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებაა, წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას (ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება), ხოლო ამავე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებაა, დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია (რეპუტაციის პატივისცემის უფლება).

აღნიშნული ნორმები ავტორს ანიჭებს უფლებას წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას, ასევე ნაწარმოების დამახინჯებას, რომელმაც შეიძლება ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია შელახოს. ნაწარმოებში ცვლილებების შეტანისას გასარკვევია, რამდენად არსებითი ცვლილებები მოხდა და რამდენად იცვლება მოცემული ნაწარმოების სტილი და შინაარსი. არსებითი ცვლილება ნიშნავს ისეთი ცვლილების შეტანას, რომელიც შეცვლის საგნის (ამ შემთხვევაში ემბლემის) ძირითად ბუნებას, რითაც განასხვავებს მას სხვა საგნისაგან (ემბლემისაგან). მიუხედავად შეტანილი ცვლილებებისა, თუ ავტორი მისეული სტილით შეიძლება იქნეს ამოცნობილი, ანუ ორიგინალური ნაწარმოების სტილი იქნა შენარჩუნებული, მაშინ ავტორის უფლებათა დარღვევა (ნაწარმოების მთლიანობის დარღვევის თვალსაზრისით) ვერ დაფიქსირდება.

ყოველგვარი ცვლილება ვერ იქნება მიჩნეული ავტორის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვად. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვას იწვევს ისეთი სახის ცვლილებები, რითაც ნაწარმოები დამახინჯდა ან შეურაცხყოფელად გამოიყურება. ავტორი რეპუტაციას იძენს საზოგადოების მიერ მისი ნაწარმოების შეფასებისას. ამ საკითხის

განხილვისას დასადგენია, ავტორის რეპუტაციაზე რამდენად მოახდინა გავლენა ნაწარმოებში ცვლილებების შეტანამ.

საოლქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ემბლემის ორიგინალში შეტანილია არსებითი ხასიათის ცვლილებები, რითაც ისე დამახინჯდა ემბლემა, რომ შეილახა ავტორის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლოს დასკვნა ამ ნაწილში დაუსაბუთებელია, საოლქო სასამართლომ არ დაადგინა, თუ რაში გამოიხატა ავტორის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა. თავისთავად ემბლემაში ცვლილებების შეტანა არ იწვევს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვას. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოსარჩელეს დღემდე არ მოუთხოვია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორ ემირ ბურჯანაძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თუ მხარეებს შორის არ გაფორმებულა არანაირი ხელშეკრულება, ავტორს აქვს უფლება მოითხოვოს საზღაური მისი ნაწარმოების გამოყენებისათვის.

საკასაციო პალატა თვლის, მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილშიც გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და დადგენილი გარემოებები არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან.

დავის გადაწყვეტისას სასამართლომ სრულად უნდა დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, შეფასება მისცეს მხარეთა განმარტებებს, ასევე იმ გარემოებას, რომ ემბლემა წარმოადგენს სფუ-ს იდენტიფიცირებისათვის გამოსაყენებელ სიმბოლოს. გასარკვევია, ჰქონდა თუ არა მოპასუხე ემბლემის გამოყენების უფლება, აღებული აქვს თუ არა მოსარჩელეს ჰონორარი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეკუთვნის გარკვეული ანაზღაურება. იმის დასადგენად, დამახინჯდა თუ არა ემბლემა და რაში გამოიხატება დამახინჯება, საკასაციო პალატის აზრით, საჭიროა სპეციალისტთა და ექსპერტიზის დასკვნა.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საავტორო უფლების დარღვევის შედეგად
მიყენებული ზიანის ანაზღაურება**



ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№02ა/82

3 ოქტომბერი, 2000 წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით:
მჩანტლაძე (თავმჯდომარე),
მ.ღიბრაძე,
ქ.ღუგლაძე

ნ. გველესიანის მდივნობით

განიხილა ა.ზაალიშვილის სარჩელი მოპასუხის ე.ზოდელის მიმართ საავტორო უფლებების დარღვევის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

სასამართლო კოლეგიამ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2000 წლის 3 ივლისს თბილისის საოლქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ანზორ ზაალიშვილმა მოპასუხე შპს „იმპერია“-ს წინააღმდეგ საავტორო უფლებების დარღვევის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის 20000 ლარის ანაზღაურების თაობაზე.

თავის სასარჩელო მოთხოვნას მოსარჩელე შემდეგ გარემოებებზე აყარებს:

ყურნალმა „კურიერმა“, რომლის გამომცემელიც არის შპს „იმპერია“,

მოსარჩელესთან შეთანხმების გარეშე, ე.ხოდელის ავტორობით, გამოაქვეყნა ნაწყვეტები მისი წიგნიდან „ქურდული სამყაროს ქრონიკები“. აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად, ა.ზალიშვილმა სარჩელს თან დაურთო ჟურნალის 2000 წლის 15-21 იანვრის №22 ნომერი, რომლის 22-24-ე გვერდებზე გამოქვეყნებულია სტატია „ცოტა რამ კანონიერი ქურდების შესახებ“ (ყოფილი პროკურორის ნაამბობიდან).

აღნიშნული ფაქტი მოსარჩელემ მიიჩნია მისი საავტორო უფლებების დარღვევად და მოითხოვა:

1. ჟურნალი „კურიერი“-ს მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაზე მისი ავტორობის აღიარება.

2. საავტორო უფლებების დარღვევის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის 20000 ლარის ანაზღაურება.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას მოსარჩელემ უარი განაცხადა მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.

წარმოდგენილ სარჩელთან დაკავშირებით, მოპასუხე მხარემ თავის შესაგებულში არ ცნო თავი სათანადო მოპასუხედ და სსკ-ს 85-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა თვდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლა.

სასამართლომ, საქმის მასალების გამოკვლევის ეტაპზე, დააკმაყოფილა შპს „იმპერია“-ს შუამდგომლობა და მის ნაცვლად სათანადო მოპასუხედ ჩართო ე.ხოდელი.

მოპასუხე მხარემ ელგუჯა ხოდელმა სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას აღიარა მოსარჩელის საავტორო უფლებების დარღვევის ფაქტი.

მხარეთა შორის პაექრობის დაწყების სტადიაზე, სასამართლომ მხარეებს მისცა რჩევა, რომ საუკეთესო შედეგი ამ საქმის გადაწყვეტისა – ესაა საქმის მორიგებით დამთავრება.

სასამართლოს ეს რჩევა გაიზიარეს მხარეებმა და ისინი მორიგდნენ შემდეგზე: მოპასუხის დახმარების მიზნით ჟურნალ „კურიერის“ რედაქცია გახეთ „შანისი“ უახლოეს ნომერში ე.ხოდელის მიერ ჟურნალ „კურიერის“ 22-ე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაზე აღიარებს ანზორ ზაალიშვილის საავტორო უფლებებს.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა სსკ-ს 272-ე მუხლის „დ“ პუნქტით, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით, 218-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 273-ე, 274-ე, 284-ე, 416-ე მუხლებით.

1. დამტკიცდეს მხარეთა მორიგება, რომლის თანახმად, მოპასუხე მხარე ე.ხოდელი გაზეთ „შანსის“ უახლოეს ნომერში გამოაქვეყნებს სტატიას, რომელშიც აღიარებს ა.ზაალიშვილის ავტორობას ჟურნალ „კურიერში“ გამოქვეყნებულ სტატიაზე – „ცოტა რამ კანონიერი ქურდების შესახებ“ (ყოფილი პროკურორის ნაამბობიდან).

2. შეწყდეს საქმის წარმოება ა.ზაალიშვილის სარჩელის გამო ე.ხოდელის მიმართ საავტორო უფლებების დარღვევით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

3. განემარტოს მხარეებს, რომ „საალსრულებო წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, თუ რომელიმე მათგანი დაარღვევს მორიგების პირობებს, ეს განჩინება შეიძლება აღსრულდეს იძულებითი წესით.

4. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა 12 დღის განმავლობაში მისი მხარისათვის გადაცემის მომენტიდან.



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№02ა/28

11 ოქტომბერი, 2000 წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია

შემდეგი შემადგენლობით: მ. ჩანტლაძე (თავმჯდომარე),

მ. ლიბრაძე,

ქ. დუგლაძე

ნ. გოგატიშვილის მდივნობით

განიხილა ა.ზაალიშვილის სარჩელი მოპასუხე შპს „ტორი“-ს წინააღმდეგ საავტორო უფლებების დარღვევის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის (60000 ლარის) ანაზღაურების თაობაზე. სასამართლო კოლეგიამ

თბილისის საოლქო სასამართლოს სარჩელით მიმართა მოსარჩელე ან-ზორ ზაალიშვილმა მოპასუხე შპს „ტორი“-ს წინააღმდეგ სააეტორო უფლებების დარღვევის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის 60000 ლარის ანაზღაურების თაობაზე.

თავის სასარჩელო მოთხოვნებს მოსარჩელე შემდეგ გარემოებებზე ამყარებს:

გაზეთმა „კრიმინალურმა ჯოჯოხეთმა“ (რომლის გამომცემელიც არის შპს „ტორი“) მოსარჩელესთან შეთანხმების გარეშე გაზეთის რამდენიმე ნომერში გამოაქვეყნა ნაწყვეტები მისი წიგნიდან „ქურდული სამყაროს ქრონიკები“. აღნიშნულის დასადასტურებლად, ა.ზაალიშვილმა სარჩელს თან დაურთო გაზეთის ექვსი ნომერი.

1999 წლის 26 მარტით დათარიღებულ ნომერში გამოქვეყნდა ნაწყვეტი მისი მოთხრობიდან: 1. „მარტოხელა კანონიერი ქურდი კუტა ზაალიშვილი“; 2. მომდევნო ნომერში დაიბეჭდა ნაწყვეტი იმავე მოთხრობიდან: „კრიმინალური რეალობა, ანუ საიდან სადაო ქართველებო“; 3. 2000 წლის 11 თებერელის ნომერში გამოქვეყნდა: „ასლამაზიშვილის ნაამბობიდან“, „გაქცევა კოლონიიდან“; 4. მომდევნო ნომერში დაიბეჭდა „სეანეთის უბნის ავტორიტეტები“; 5. იმავე წლის 3 მარტის ნომერში გამოქვეყნდა: „სისხლიანი რაზმორკები კოლონიაში“; 6. 2000 წლის 10 მარტის ნომერში დაიბეჭდა ნაწყვეტები სათაურით: „ჯაბა იოსელიანის 25 წლით პატიმრობა“.

გაზეთ „კრიმინალური ჯოჯოხეთი“-ს ზემოთ ჩამოთვლილ ნომერებში „ქურდული სამყაროს ქრონიკები“-დან ნაწყვეტების გამოქვეყნება მოსარჩელე მხარემ მიიჩნია მისი სააეტორო უფლებების დარღვევად და მოპასუხისაგან მოითხოვა: 1. გაზეთ „კრიმინალური ჯოჯოხეთი“-ს ნომერებში გამოქვეყნებულ სტატიებზე მისი ავტორობის აღიარება; 2. სააეტორო უფლებების დარღვევის შედეგად წარმოშობილი მატერიალური ზიანის ანაზღაურება (60000 ლარის ოდენობით).

შპს „ტორი“-ს წარმომადგენელმა ნაღფაიძემ არ სცნო სარჩელი და მისი უარყოფა დაამყარა შემდეგ გარემოებებზე:

შპს „ტორმა“ აღიარა, რომ გაზეთის ორ ნომერში ა.ზაალიშვილის ნაწარმოების ნაწყვეტების გამოქვეყნება მოხდა ავტორობის შეთანხმების გარეშე, რისთვისაც ა.ზაალიშვილს კონორარის სახით გამოქვეყნების შემდეგ გადაუხადეს 30 ლარი, ხოლო დანარჩენ ნომერებში „ქურდული სამყაროს ქრონიკები“-დან გამოქვეყნების უფლება მათ მიიღეს თვითონ ავტორისაგან ზეპირი შეთანხმების შედეგად.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე ზეპირი შეთანხმების ფაქტის დადგენის

მიზნით მოწმის სახით დაიკითხნენ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მოწმე – ო.იასეშვილი და მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მოწმეები მ.იაშვილი, ნ.ალფაიძე და ა.გურგენიძე.

მხარეთა შორის ჰაქერობის დაწყებამდე, სასამართლომ მხარეებს მისცა რჩევა, რომ საუკეთესო შედეგი ამ საქმის გადაწყვეტისა – ესაა საქმის მორიგებით დამთავრება.

სასამართლოს ეს რჩევა გაიზიარეს მხარეებმა და ისინი მორიგდნენ შემდეგზე: მოსარჩელემ უარი თქვა თავის სასარჩელო მოთხოვნებზე. მოპასუხე მხარემ საავტორო უფლებების დარღვევის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის სახით მოსარჩელე მხარეს გადასცა 200 ლარი.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა სსკ-ის 284-ე, 272-ე მუხლის „დ“ პუნქტით, 273-274-ე მუხლებით, 218-ე მუხლის IV ნაწილით, 416-ე მუხლით

დ ა ა დ გ ი ა

1. მხარეთა მორიგების დამტკიცების საფუძველზე შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება მოსარჩელე ა.ზაალიშვილის სარჩელის გამო, მოპასუხე შპს „ტორი“-ს მიმართ საავტორო უფლებების დარღვევის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

2. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა მხარეთათვის განჩინების გადაცემიდან 12 დღის განმავლობაში.

არქიტექტურულ განაშენიანების პროექტზე
საავტორო უფლების დაცვა



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№2/ა-230-2002

30 დეკემბერი, 2002 წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა
კოლეგია

შემდეგი შემადგენლობით: მადი ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
ქეთევან დუგლაძე (მომხსენებელი),
მარინა ჯიყაშვილი

სხდომის მდივანი: ნ. ხარხელაური

მოსარჩელე: შპს „არსი“; წარმომადგენელი – ი. ჟღენტვი

მოპასუხე: დარეჯან წულუკიძე; წარმომადგენელი – მ. ნინუა

მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით: გიორგი აბუ-
ლაძე; წარმომადგენელი – ი. კაცაძე.

დავის საგანი: საავტორო უფლების დაცვა.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

თბილისის საოლქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მომართა
შპს „არსმა“ მოპასუხე დარეჯან წულუკიძის მიმართ 2000 ლარისა და
პირგასამტეხლოს, გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველ ვადაგადაცილე-
ბულ დღეზე 20 ლარის ანაზღაურების, გათბობა-ვენტილაციის დანადგარის
დემონტაჟისა და გარე განათების ბრების მოხსნის შესახებ.

მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნებს აფუძნებს შემდეგ გარემოებებზე:

მხარეთა შორის 2002 წლის 29 აპრილს დადებული „მიკრორაიონის და
შენობის არქიტექტურული პროექტების საავტორო უფლების დაცვის ხე-

ლშეკრულების“ 5.2 მუხლის თანახმად, მოზინადრე კისრულობს ვალდებულებას, ავტორის წერილობით ნებართვის გარეშე არ აწარმოოს კონდიციონების და გათბობის დანადგარების დამონტაჟება; ბუხრის მილის, ელექტრო და კომუნიკაციური გაყვანილობების დამონტაჟება და ა. შ.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ უნებართვოდ დაამონტაჟა განათების ბრები და გათბობა-ვენტილაციის დანადგარი, ქ. თბილისში, ჩიქოვანის №36-ში მდებარე სახლის ფასადზე, რითაც დაირღვა მოსარჩელის შპს „არსის“ საავტორო უფლება მის მიერ შექმნილი შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის არქიტექტურული განაშენიანების პროექტზე.

2002 წლის 5 დეკემბრის განჩინებით მიღებულ იქნა წარმოებაში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის გიორგი აბულაძის სასარჩელო განცხადება, რომელიც არის თბილისში ჩიქოვანის №36-ში მდებარე სახლის პროექტის თანაავტორი. გიორგი აბულაძე ითხოვს მოპასუხე დარეჯან წულუკიძემ მოახდინოს გათბობა-ვენტილაციის დანადგარისა და გარე განათების ბრების დემონტაჟი, აანაზღაუროს მორალური ზიანი 2.000 ლარი და საადვოკატო მომსახურების ხარჯები 1.600 ლარი.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და მოითხოვეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

მოპასუხე დარეჯან წულუკიძე კისრულობს ვალდებულებას:

განახორციელოს გათბობა ვენტილაციის აპარატის (კონდიციონერის) დემონტაჟი და იმგვარად დაამონტაჟოს იგი ხელახლა, რომ მას ფარავდეს აივნის მოაჯირი;

მისი სახლის ფასადზე არსებული გარე განათების ბრები მოიყვანოს მოსარჩელის მიერ შეთავაზებულ დიზაინის შესაბამისობაში (თეთრი ფერის); მოსარჩელეს აუნაზღაურდეს სასამართლოს ხარჯები შვიდასი ლარის ოდენობით. თანხის გადახდა მოხდეს ექვსი თვის განმავლობაში.

მოსარჩელე კისრულობს ვალდებულებას:

მოპასუხეს მისცეს უფლება დაამონტაჟოს სარეცხი გასაფენი დანადგარი, გარე განათების ბრები, გათბობა-ვენტილაციის (კონდიციონერი) და ამ დანადგარებისათვის საჭირო მოწყობილობა სახლის ჩრდილო ფასადზე.

გათბობა-ვენტილაცია (კონდიციონერი) დამონტაჟდეს იმდაგვარად, რომ მას ფარავდეს აივნის მოაჯირი. დამხმარე მოწყობილობა (გაყვანილობა) და შესრულებული სამუშაოები განხორციელდება იმდაგვარად, რომ არ დაირღვევა შენობის ფასადი და იქნება ფასადის შესაფერის ფერებში (არ უნდა დაირღვეს მხარეებს შორის დადებული საავტორო უფლების დაცვის ხელშეკრულება №11B-25F); დააყენოს ფანჯრებზე და კარებზე ყალუხები, გისოსები მოსარჩელესთან ურთიერთშეთანხმებული დიზაინით;

დაიწყოს სახლის წინ მდინარე ვერეს მხარეს მიტოვებული ამწის დემონტაჟი.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და უნდა შეწყდეს საქმის წარმოება აღნიშნულ საქმეზე შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო სამართალწარმოების დისპოზიციურობის პრინციპის თანახმად, (სსკ-ს მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი) „მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ“.

სსკ-ს 272-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად „სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეების მორიგდენ“.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა სსკ-ს მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით, 272-ე, 273-ე, 274-ე, 284-ე, 285-ე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით და დაადგინა:

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

1. დაემაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება შპს „არსს“, დარეჯან წულუკიძესა და გიორგი აბულაძეს შორის შემდეგი პირობებით:

მოპასუხე დარეჯან წულუკიძე კისრულობს ვალდებულებას:

განახორციელოს გათბობა ვენტილაციის აპარატის (კონდიციონერის) დემონტაჟი და იმგვარად დაამონტაჟოს იგი ხელახლა, რომ მას ფარავდეს აიენის მოაჯირი;

მისი სახლის ფასადზე არსებული გარე განათების ბრები მოიყვანოს მოსარჩელის მიერ შეთავაზებულ დიზაინის შესაბამისობაში (თეთრი ფერის);

მოსარჩელეს აუნაზღაურდეს სასამართლოს ხარჯები შეიდასი ლარის ოდენობით. თანხის გადახდა მოხდეს ექვსი თვის განმავლობაში.

მოსარჩელე კისრულობს ვალდებულებას:

მოპასუხეს მისცეს უფლება დაამონტაჟოს სარეცხი გასაფენი დანადგარი, გარე განათების ბრები, გათბობა-ვენტილაციის (კონდიციონერი) და ამ დანადგარებისათვის საჭირო მოწყობილობა სახლის ჩრდილო ფასადზე.

გათბობა-ვენტილაცია (კონდიციონერი) დამონტაჟდეს იმდაგვარად, რომ მას ფარავდეს აიენის მოაჯირი. დამხმარე მოწყობილობა (გაყვანილობა) და შესრულებული სამუშაოები განხორციელდება იმდაგვარად, რომ არ დაირღვევა შენობის ფასადი და იქნება ფასადის შესაფერის ფერებში (არ უნდა დაირღვეს მხარეებს შორის დადებული საავტორო უფლების დაცვის ხელშეკრულება №11B-25F); დააყენოს ფანჯრებზე და კარებზე ჟალუზები,

გისოსები მოსარჩელესთან ურთიერთშეთანხმებული დიზაინით;

დაიწყო სახლის წინ მდინარე ვერეს მხარეს მიტოვებული ამწეს დემონტაჟი.

2. შეწყდეს წარმოება სამოქალაქო საქმეზე №2/ა-230-02წ. შპს „არსის“ სარჩელის გამო მოპასუხე დარეჯან წულუკიძის მიმართ, მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით გიორგი აბულაძე საავეტორო უფლების დაცვის შესახებ.

3. განემარტოთ მხარეებს, რომ დავა იმავე საგანზე, იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძველით არ დაიშვება.

4. განემარტოთ მხარეებს, რომ მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში განჩინება შეიძლება მიექცეს იძულებით აღსრულებაზე.

5. განჩინების გასაჩივრება შეიძლება კერძო საჩივრით თბილისის საოლქო სასამართლოში მხარეთათვის დასაბუთებული განჩინების ჩაბარების დღიდან 12 დღის განმავლობაში.

საავტორო პონორარის ღაცისრება



გ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№2/292

6 ოქტომბერი, 1998 წ., ქ. ჭიათურა

ჭიათურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გ.სხირტლაქემ

დ.ფხალაძის მდივნობით

განმცხადებლის რ.გოგებაშვილისა და სს „ჭიათურმანგანუმის“ წარმომადგენლის ლ.სალირაშვილის მონაწილეობით

განვიხილე რევაზ გოგებაშვილის განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ, დაინტერესებული პირის სს „ჭიათურმანგანუმის“ და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე

რევაზ გოგებაშვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და აღნიშნა, რომ სს „ჭიათურმანგანუმის“ და მცირე საწარმოო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრს „მანგანუმს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად სტაც „მანგანუმს“ უნდა დაემუშაებინა „ჭიათურმანგანუმის“ მშრომელთა შრომის ანაზღაურების სისტემა. სტაც „მანგანუმმა“, იგი, როგორც შრომის დარგის სპეციალისტი მოიწვია აღნიშნული თემის დასამუშაველად. შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადასვლა განაპირობა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით მუშაობის აუცილებლობამ. მისი, როგორც ავტორის მიერ შრომის ანაზღაურების ახალი სისტემა დამუშავებულ და ვადაზე წარდგენილ იქნა 1992 წლის იანვრის თვეში სს „ჭიათურმანგანუმის“ დირექციაში, რაც განხილულ და მოწონებულ იქნა დირექტორთა საბჭოს მიერ 1992 წლის 31 იანვრის სხდომაზე; ამასთან მიღებული იქნა გადაწყვეტილება წარმოებაში

დანერგვის შესახებ, რაც განხორციელდა იმავე წელს 1 ივლისიდან და მოქმედებს ამჟამადაც. აღნიშნული შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის ღირებულება და ეკონომიურობა დადასტურებული იქნა.

რამდენიმეჯერ მიმართა სს „ჭიათურმანგანუმს“ შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის დამუშავებისათვის ავტორობის უფლების დამტკიცებასა და მიღებული ეკონომიიდან სათანადო გასამრჯელოს შესახებ, რასაც დღემდე შედეგი არ მოჰყოლია. განმცხადებელი მოითხოვს დაუდგინდეს სს „ჭიათურმანგანუმს“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების მომსახურების შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის ავტორობის იურიდიული ფაქტი, რაც ეს-აჭიროება საავტორო გასამრჯელოს მიღებისათვის.

დაინტერესებული პირი წინააღმდეგი არ არის განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა.

გაუაანალიზე რა საქმის მასალები მოვისმინე განმცხადებლისა და დაინტერესებული პირის საქმეზე მოწმედ დაკითხული ნ.ქურციკიძის, ლ.ხვედელიძის, მ.დარჩიას, თ.არველაძის და რ.სხირტლაძის განმარტებანი მიმჩნია, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს სსკ-ს 243, 244-ე, 247-ე, 250-ე, 312-ე მუხლებით

გ ა ლ ა ვ წ ყ ვ ი ტ ე

განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, დადგინდეს სს „ჭიათურმანგანუმის“ მუშების, ინჟინერ ტექნიკური მუშაკების, მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის რევაზ გოგებაშვილის ავტორობის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი.

გადაწყვეტილება კასაციურია 1 თვის ვადაში.



ბ ა ნ ჩ ი ნ მ ბ ა

საქართველოს სახელით

№2/233

5 დეკემბერი 2002წ., ქ. ჭიათურა

ჭიათურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ტ.ტაბატაძე

მოსარჩელე: რევაზ გოგებაშვილი

მოპასუხე: სს „ჭიათურმანგანუმი“; წარმომადგენელი – ლია საღირაშვილი

საქმის წინასწარი მომზადების წესით განვიხილე მოპასუხე სს „ჭიათურმანგანუმი“ წარმომადგენლის ლია საღირაშვილის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მოსარჩელის რ.გოგებაშვილის სარჩელი მიეკუთვნება ინტელექტუალური საკუთრების ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რომელიც განსჯადობით ქუთაისის საოლქო სასამართლოს განსახილველია, როგორც პირველი ინსტანციით განსჯადი საქმე.

ვიხეიმდგანელებ სსკ-ს 14, 21 მუხლებით, რომლის თანახმადაც საოლქო სასამართლოები განიხილავენ ინტელექტუალური საკუთრებით ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს და მოპასუხის წარმომადგენელი მოითხოვს საქმე განსჯადობის წესით განიხილოს ქუთაისის საოლქო სასამართლომ.

დ ა ვ ა ღ გ ი ნ ე

1. სამოქალაქო საქმე მოსარჩელე რევაზ გოგებაშვილის სარჩელისა გამო მოპასუხე სს „ჭიათურმანგანუმთან“ საავტორო პონორარის 76400 ლარის ანაზღაურების შესახებ, განსჯადობის განსახილველად გადაეცეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს.

2. ამ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.



ბ ა დ ა ჯ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

24 იანვარი,

2003 წ., ქ. ქუთაისი

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ

შემდეგი შემადგენლობით:

გურამ გოცირიძე (თავმჯდომარე),
მერი მაისურაძე,
რეზო სულწაძე

ქ. კუჭავას მდივნობით

მოსარჩელე: რევაზ გოგებაშვილი; წარმომადგენელი – რევაზ გოგებაშვილი
მოპასუხე: სს „ჭიათურმანგანუმი“; წარმომადგენელი – ლევან იაკობიძე

დავის საგანი: საავტორო პონორარის სახით 76400 ლარის დაკისრება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

მოსარჩელე რევაზ გოგებაშვილმა 2002 წლის 4 ოქტომბერს ჭიათურის რაიონულ სასამართლოში აღძრა სარჩელი და მოითხოვა მისი საავტორო პონორარის სახით 76400 ლარის მოპასუხე სს „ჭიათურმანგანუმისათვის“ დაკისრება.

მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნას ამყარებს შემდეგ გარემოებებზე: 1991 წლის დეკემბერ – 1992 წლის იანვრის თვეში მის მიერ შემუშავებული იქნა სს „ჭიათურმანგანუმის“ (ყოფილი საწარმოო გაერთიანება) მშრომელთა შრომის ანაზღაურების ახალი სისტემა, რომელიც წარმოებაში დანერგილი იქნა 1992 წლის მეორე ნახევრიდან – 1 ივლისიდან და მოქმედებს დღესაც, აღნიშნული ანაზღაურების სისტემის გამოყენებით სს „ჭიათურმანგანუმმა“ 1995-98 წლებში მიიღო ეკონომია 6084866 ლარის ოდენობით, ადრე წლებში მიღებული ეკონომია დაანგარიშებული არ არის.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ 1993-94 წლებში არაერთხელ მიმართა თხოვნით სს „ჭიათურმანგანუმს“ მისთვის ახალის სისტემით მიღებული ეკონომი-
დიან საავტორო ჯილდოს ანაზღაურების შესახებ, რაც მოპასუხის მხრიდან არ დაკმაყოფილდა. იმავე მოთხოვნით 1998 წლის 20 თებერვალს რ.გოგებაშვილმა განცხადებით მიმართა „ჭიათურმანგანუმის“ გენ.დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ობუცხრიკიძეს, რაზედაც მიიღო პასუხი, რომ მას ჯილდო მიეცემოდა სასამართლოს მიერ შრომის ანაზღაურების ახალ სისტემაზე რ.გოგებაშვილის ავტორობის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შემდეგ.

1999 წლის 6 ოქტომბერს ჭიათურის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება რ.გოგებაშვილის მიერ ანაზღაურების ახალი სისტემის შესახებ ნაშრომზე ავტორობის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ, ხოლო 2001 წლის 8 სექტემბერს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ რ.გოგებაშვილზე გაიცა №55 სერტიფიკატი „შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის შესახებ“, მან კვლავ მიმართა სს „ჭიათურმანგანუმს“ საავტორო ჯილდოს მოთხოვნით, რაზედაც 2002 წლის 27 მაისის დირექტორთა საბჭოს მიერ ოფიციალურად ეთქვა დაუსაბუთებელი უარი.

სარჩელში მითითებული გარემოებების დადასტურების მიზნით მოსარჩელემ წარმოადგინა შემდეგი მტკიცებულებები: ჭიათურის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქპატენტის მიერ გაცემული №55 სერტიფიკატი, შრომის ანაზღაურების ახალი ჯილდოს რაოდენობა, სს „ჭიათურმანგანუმის“ 2002 წლის 27 მაისის სხდომის ოქმი.

მოპასუხე სს „ჭიათურმანგანუმმა“ არ სცნო სარჩელი და გენერალურმა დირექტორმა რ.გოცაძემ და რეაბილიტაციის მმართველმა გ.ლეჟავამ თავიანთ შესაგებელში მიუთითეს, რომ 1991 წლის 9 დეკემბერს საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმს“ და სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „მანგანუმს“ შორის გაფორმდა №1 ხელშეკრულება „ჭიათურმანგანუმის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის შემუშავების შესახებ, რისი შესრულების ღირებულება უნდა აენაზღაურებინა სს „ჭიათურმანგანუმს“. ხელშეკრულების პირობები 1992 წელს ორივე მხარის მიერ შესრულდა.

რ.გოგებაშვილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღებული მოგების მონაწილე არ ყოფილა. მოპასუხე მიუთითებს, რომ „პატენტის შესახებ“ კანონის თანახმად გამოგონებაზე სასარგებლო და სამრეწველო ნიმუშებზე, რომელიც დაკავშირებულია სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან, ეკუთვნის სამუშაოს მიმცემს. ამიტომ საგამომგონებლო საქმიანობის პატენტის მიღების უფლება ეკუთვნის „ჭიათურმანგანუმს“, რ.გოგებაშვილი მიაჩნი-

ათ რა არასათანადო მოსარჩელედ და თვლიან, რომ სარჩელის შეტანის უფლება გააჩნდა სამეცნიერო ცენტრ „მანგანუმს“, მოითხოვენ, რომ უარი ეთქვას რ.გოგებაშვილს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 5 დეკემბრის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადმოიგზავნა ქუთაისის საოლქო სასამართლოში.

ქუთაისის საოლქო სასამართლოში საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვისას მოსარჩელის წარმომადგენელმა რ.გოგებაშვილმა მხარი დაუჭირა სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო მოპასუხე სს „ჭიათურმანგანუმის“ წარმომადგენელმა ლ.იაკობაძემ მოსარჩელის მოთხოვნის უარსაყოფად დამატებით აღნიშნა, რომ მოთხოვნა არის ხანდაზმული, ვინაიდან მხარეს სასამართლოსათვის არ მიუმართავს ხელშეკრულების დამთავრებიდან – 1992 წლიდან სამი წლის ვადაში, რაც შეეხება იმას, რომ რ.გოგებაშვილმა თავის ავტორობით შეასრულა სამუშაო, დავას არ იწვევს, მაგრამ ეს გამოგონებად არ მიაჩნიათ, ამასთან ჭიათურის რაიონული სასამართლო არ იყო უფლებამოსილი 1999 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაედგინა რ.გოგებაშვილის ავტორობის შესახებ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი.

მოპასუხემ აღნიშნულ გარემოებათა დასადასტურებლად როგორც მტკიცებულებებზე მიუთითა საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების თავმჯდომარის თ.შილაკაძის წერილზე სს „ჭიათურმანგანუმის“ გენ.დირექტორისადმი, ასევე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ გენ.დირექტორის მოადგილის ზ.ნეფარიძის მიმართვაზე სს „ჭიათურმანგანუმის“ დირექტორისადმი.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

სასამართლო კოლეგიამ მოისმინა რა მხარეთა განმარტებები და გაანალიზა საქმეში არსებული მასალები, მივიდა დასკვნამდე, რომ მოსარჩელე რ.გოგებაშვილის სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1999 წლის 22 ივნისს მიღებული საქართველოს კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ მე-4 მუხლი განსაზღვრავს „ავტორის“ განმარტებას, რომელიც არის ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები, ხოლო „ნაწარმოები“ ამავე კანონის მე-5 მუხლის I პუნქტის თანახმად, წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს მეცნიერებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში მიუხედავად მისი დანიშნულებისა, ღირსებისა, შინაარსისა, ჟანრისა, მოცულობისა, აგრეთვე მისი გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

ამდენად, რეგოგებაშვილის ნაშრომი „შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის შესახებ“ არის მეცნიერული ნაწარმოები, რომლის ავტორიც არის რეგოგებაშვილი, აღნიშნული დასტურდება, როგორც ჭიათურის რაიონული სასამართლოს 1999წ. 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით – რეგოგებაშვილის ავტორობის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ, ასევე „საქპატენტის“ მიერ 2001 წლის 8 სექტემბერს გაცემული საავტორო უფლების №55 სერტიფიკატით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოპასუხე ექვის ქვეშ არ აყენებს უშუალოდ რეგოგებაშვილის მიერ აღნიშნული ნაწარმოების შექმნის ფაქტს.

საქართველოს კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ პირველი მუხლის თანახმად კანონის მიზანია დაიცვას საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და გამოყენების დროს, აგრეთვე ზოგიერთი მათი მომიჯნავე უფლება.

მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით კი ეს კანონი ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებზე, რომლებზედაც საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა მფლობელია საქართველოს მოქალაქე, საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირი ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი.

ამრიგად, სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვის დროს უნდა იხელმძღვანელოს ზემოაღნიშნული კანონის ნორმათა მოთხოვნებით.

ამავე კანონის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც შექმნილია სამუშაოს მიმცემის უშუალო სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით (სამსახურებრივი ნაწარმოები) ეკუთვნის სამსახურებრივი ნაწარმოების ავტორს. ამ შემთხვევაში მოსარჩელე რეგოგებაშვილის მიერ ნაწარმოები შექმნილია შპს სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „მანგანუმი“ უშუალო სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით, რის გამოც ნაწარმოების საავტორო უფლება ეკუთვნის რეგოგებაშვილს.

მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი უფლებას აძლევს ავტორს ან განსაკუთრებული საავტორო უფლების სხვა მფლობელს მიიღოს საავტორო პონორარი მისი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს მოპასუხეთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რეგოგებაშვილი არის არასათანადო მოსარჩელე, ხოლო სათანადო მოსარჩელე არის ყოფილი შპს სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „მანგანუმი“. რეგოგებაშვილი არის რა სათანადო მოსარჩელე, უფლება აქვს მიიღოს საავტორო პონორარი ს/ს „ჭიათურმანგა-

ნუმისაგან“, როგორც საწარმო გაერთიანება „ჭიათურმარგანეის“ სამართალმემკვიდრისაგან მათ მიერ მისი ნაწარმოების გამოყენებისათვის.

რ.გოგებაშვილმა გამოიყენა კანონით მინიჭებული უფლება მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმადაც „საავტორო უფლების მქონეს უფლება აქვს ნაწარმოები რეგისტრაციაში გაატაროს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქატენტიის ცენტრში. რეგისტრაციის შემდეგ რეგისტრანტს ეძლევა სერტიფიკატი“. 2001 წლის 08 სექტემბერს მან თავისი ნაწარმოები გაატარა საქატენტიის ცენტრში, რის შემდეგაც მიიღო №55 სერტიფიკატი ნაწარმოებზე „შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის შესახებ“.

რაც შეეხება საავტორო ჰონორარის ოდენობას, იგი მოპასუხის მხრიდან არასოდეს სადავო არ ყოფილა და 76400 ლარის, როგორც თანხისა ჰონორარის ოდენობის სიზუსტის შესახებ, პრეტენზია არა აქვს, მხოლოდ თვლის, რომ რ.გოგებაშვილს არ ეკუთვნის იგი, როგორც არაუფლებამოსილ პირს.

სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს მოპასუხის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ვინაიდან რ.გოგებაშვილს არ წარმოუდგენია პირობები ხელშეკრულების დადების დროს, ამიტომ მას არ ეკუთვნის საავტორო ჰონორარი. აღნიშნული მოთხოვნა არ არის გათვალისწინებული „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონით და არც მანამდე მოქმედი სსრ კავშირის მინ.საბჭოს მიერ დამტკიცებული 1973წ. 21 აგვისტოს დებულების არცერთი პუნქტით.

ასევე ვერ იქნება გაზიარებული მოპასუხის შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ ჭიათურის რაიონულ სასამართლოს უფლება არ ჰქონდა დაედგინა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ნაწარმოების ავტორობის ფაქტი, ვინაიდან აღნიშნული 1999 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება არის შესული კანონიერ ძალაში და ამასთან, პრეტენზიის შემთხვევაში მოპასუხეს შეეძლო დადგენილ ვადაში გაესაჩივრებინა იგი სათანადო წესით.

საქმეში მოპასუხის მიერ წარმოდგენილია საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების თავმჯდომარის თ.შილაკაძის წერილი ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ გენ.დირექტორისადმი, რომელშიც აღნიშნავს, რომ მასთან წარდგენილ მასალებში გამოგონების დამადასტურებელი დოკუმენტი „პატენტი“ არ არსებობს და აქედან გამომდინარე გამოგონებისათვის თანხის ანაზღაურებაზე არ შეუძლიათ იმსჯელონ. აღნიშნულს სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს, ვინაიდან რ.გოგებაშვილის მიერ შექმნილი ნაწარმოები არ განეკუთვნება სამრეწველო საკუთრების საგანს და მასზე პატენტი რა თქმა უნდა არ უნდა გაცემულიყო (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1100 მუხ). საავტორო სამართლით მოწესრიგებული საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება „საავ-

ტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (საქ.სამოქალაქო კოდექსის 1017-ე მუხ), რომელიც ითვალისწინებს სათანადო სერტიფიკატის გაცემას.

იგივე მოტივით, სასამართლო კოლეგიის მიერ არ იქნა გაზიარებული საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქ-პატენტის“ გენერალური დირექტორის მოადგილის ზნეფარიძის მიმართვა ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ დირექტორისადმი, რომელშიც აღნიშნავს, რომ „საპატენტო კანონის“ მე-16 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად პატენტის ობიექტად არ მიიჩნევა და აქედან გამომდინარე პატენტი არ გაიცემა მეურნეობრიობის ორგანიზაციისა და მართვის მეთოდზე“.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ რ.გოგებაშვილის მიერ არ ყოფილა დარღვეული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა შემდეგ გარემოებათა გამო:

სადავო არ არის ის გარემოება, რომ რ.გოგებაშვილის ავტორობით შექმნილი ნაწარმოები „შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის შესახებ“ წარმოებაში დაინერგა 1992 წლის მეორე ნახევრიდან, რის გამოც ეკონომიური ეფექტის მიღების თვალსაზრისთ აღნიშნული წლის შედეგი გათვალისწინებული არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 21 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებული დებულების 113-ე პუნქტის თანახმად, გამოგონებლობა-რაციონალიზაციის შესახებ გამოგონებელს 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ეკუთვნოდა საავტორო ჯილდო მიღებული ეკონომიის 2%-ის, მაგრამ არა უმეტეს 20 ათასის ოდენობით. აღნიშნული ხუთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ დირექციას, რომელმაც არ მიიღო ზომები მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რის გამოც რ.გოგებაშვილმა განცხადება შეიტანა ჭიათურის რაიონულ სასამართლოში, რომელსაც 1999 წლის 20 სექტემბერს ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მიმართა წერილით, რომელშიც აღნიშნავს, რომ შრომის ანაზღაურების ახალი სისტემა დაინერგა საწარმოში და მოუტანა მას დიდი მოგება, მაგრამ ს/ს „ჭიათურმანგანუმს“ არა აქვს ავტორობის დადგენის უფლება, ხოლო სასამართლოს მიერ რ.გოგებაშვილის ავტორობის იურიდიული ფაქტის დადგენის შემდეგ, რომელიც დასტურდება საქპატენტის მიერ გაცემული საპატენტო სიგელით, განიხილება მის მიერ საავტორო ჯილდოს გაცემის საკითხი.

ჭიათურის რაიონულმა სასამართლომ 1999 წლის 6 ოქტომბერს გამოიტანა გადაწყვეტილება განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ, რითაც დაადგინა ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ მუშაობის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მოსამსახურეების „შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის“ რევაზ სერგოს ძე გოგებაშვილის ავტორობის იურიდიული მნიშვნელობის მქონე

ფაქტი. ამის შემდეგ 2001 წლის 08 სექტემბერს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქაპატენტის მიერ რ.გოგებაშვილზე გაცემული იქნა №55 სერტიფიკატი, როგორც ნაწარმოებზე – „შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის შესახებ“.

2002წ. 27 მაისს ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ დირექტორთა გამგეობამ თავის სხდომაზე განიხილა რა რ.გოგებაშვილის მოთხოვნა, ოფიციალურად უთხრა უარი მის დაკმაყოფილებაზე. 2002 წლის 4 ოქტომბერს კი მოსარჩელემ სარჩელით მიმართა ჭიათურის რაიონულ სასამართლოს.

ამდენად მოსარჩელე რ.გოგებაშვილის მიერ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გაშვებული არ არის და დაცულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მოთხოვნები.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ო

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-4, 247-9 და 257-ე მუხლებით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

მოსარჩელე რევაზ გოგებაშვილის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და მოპასუხე ს/ს „ჭიათურმანგანუმს“ მის სასარგებლოდ საავტორო პონორარის სახით გადასახდელად დაეკისროს 76400 ლარი.

მოპასუხე ს/ს „ჭიათურმანგანუმს“ დაეკისროს სახ.ბაჟი 1910 ლარის ოდენობით, საიდანაც 70% ჩაირიცხოს საერთო სასამართლოების მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ანგარიშზე (კოდი 220101107, ანგ. 000141107 ქვეანგარიში 61) ხოლო 30% ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში ერთი თვის ვადაში მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ქუთაისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით.



გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3კ/637-03

25 ნოემბერი, 2003 წ., ქობილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მაია ახალაძე (თავმჯდომარე),
ნუნუ კვანტალიანი (მომხსენებელი),
მაია სულხანიშვილი

სხდომის მდივანი: გ. სუპატაშვილი

საკასაციო საჩივრის ავტორი: ს/ს „ჭიათურმანგანუმი“ (მოპასუხეები);
წარმომადგენელი – ლევან იაკობიძე

მოწინააღმდეგე მხარე: რევაზ გოგებაშვილი (მოსარჩელე); წარმომადგენელი – დავით გუნიავა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება

კასატორის მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

დავის საგანი: საავტორო ჰონორარის ანაზღაურება.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

2002 წლის 4 ოქტომბერს რევაზ გოგებაშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ მიმართ საავტორო ჰონორარის, 76 400 ლარის, დაკისრების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ 1991-92 წლებში შეიმუშავა ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ მშრომელთა შრომის ანაზღაურების ახალი სისტემა, რომელიც წარმოებაში დაინერგა 1992 წლის მეორე ნახევრიდან და დღემდე მოქმედებს. აღნიშნული სისტემის გამოყენებით მოპა-

სუხე მხარემ 1995-98 წლებში მიიღო 6 084 866 ლარის ეკონომია. 1995 წლამდე მიღებული ეკონომიის ოდენობა დაანგარიშებული არ ყოფილა.

1994 წლიდან რ.გოგებაშვილი მიმართავდა ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ ადმინისტრაციას საავტორო პონორარის მიღების თაობაზე, თუმცა მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა ორგანიზაციის უსახსრობის მოტივით. 1998 წლის 20 თებერვალს მოსარჩელემ იმავე მოთხოვნით მიმართა ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ ო.ბუცხრიკიძეს. იმავე წლის ოქტომბერში რ.გოგებაშვილის მოთხოვნა განიხილა საზოგადოების ხელმძღვანელობამ. მოსარჩელეს განემარტა, რომ საავტორო პონორარი მას მიეცემოდა სასამართლოს მიერ შრომის ანაზღაურების ახალ სისტემაზე ავტორობის შესახებ იურიდიული ფაქტის დადგენის შემდეგ.

ჭიათურის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დადგინდა იურიდიული ფაქტი რ.გოგებაშვილის შრომის ანაზღაურების ახალ სისტემაზე ავტორობის შესახებ, ხოლო 2001 წლის 8 სექტემბერს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის (საქპატენტის) მიერ მოსარჩელის სახელზე გაიცა №55 სერტიფიკატი ნაწარმოებზე (შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის შესახებ). აღნიშნულის შემდეგ რ.გოგებაშვილმა კვლავ მიმართა მოპასუხე მხარეს საავტორო პონორარის ანაზღაურების მოთხოვნით, რაზედაც ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ დირექტორთა საბჭომ ოფიციალურად დაუსაბუთებელი უარი უთხრა. რ.გოგებაშვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში. მან მოითხოვა ხანდაზმულობის ვადის აღდგენა და საავტორო პონორარის ანაზღაურება.

მოპასუხე ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ გენერალურმა დირექტორმა რ.გოცაძემ და რეაბილიტაციის მმართველმა გ.ლეჟავამ სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ 1999 წლის 9 დეკემბერს საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმსა“ და სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „მანგანუმს“ შორის გაფორმდა №1 ხელშეკრულება „ჭიათურმანგანუმის“ მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის შემუშავების შესახებ. რისი შესრულების ღირებულება უნდა აენაზღაურებინა ს/ს „ჭიათურმანგანუმს“. მოპასუხის განმარტებით, აღნიშნული ხელშეკრულების პირობები 1992 წელს ორივე მხარის მიერ შესრულდა. მხარემ არ უარყო რ.გოგებაშვილის მიერ მოცემული შრომის ანაზღაურების სისტემის შემუშავების ფაქტი, თუმცა მიუთითა, რომ საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად, პატენტი გამოგონებაზე, სასარგებლო და სამრეწველო ნიმუშზე, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, ეკუთვნის სამუშაოს მიმცემს, ამიტომ პატენტის მიღებისა და, შესაბამისად, სარჩელის აღძვრის უფლება გააჩნდა სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „მანგანუმს“. მოპასუხე მხარემ რ.გოგებაშვილი მიიჩნია არასათანადო მოსარჩელედ და მოითხოვა მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით რ.გოგებაშვილის სარჩელი დაკმაყოფილდა და ს/ს „ჭიათურმანგანუმს“ დაეკისრა მოსარჩელი-სათვის საავტორო ჰონორარის, 76 400 ლარის, გადახდა.

სასამართლო კოლეგიამ გაიზიარა ჭიათურის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შრომის ანაზღაურების ახალ სისტემაზე რ.გოგებაშვილის ავტორობის დადგენის ფაქტი და 2001 წლის 8 სექტემბერს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მიერ მოსარჩელის სახელზე გაცემული №55 სერტიფიკატი ნაწარმოებზე (შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის შესახებ) და აღნიშნა, რომ მოპასუხე ეჭვის ქვეშ არ აყენებდა უშუალოდ რ.გოგებაშვილის მიერ აღნიშნული ნაწარმოების შექმნის ფაქტს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ 1-ლი მუხლით, მე-3 მუხლის „ა“ პუნქტით და მიიჩნია, რომ მოცემული დავა განხილულ უნდა იქნეს აღნიშნული კანონის გამოყენებით.

სასამართლომ ზემოხსენებული კანონის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით მიიჩნია, რომ საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც შექმნილია სამუშაოს მიმცემის უშუალო სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით ეკუთვნის ნაწარმოების ავტორს, მოცემულ შემთხვევაში – რ.გოგებაშვილს. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება რ.გოგებაშვილის არასათანადო მოსარჩელედ მიჩნევისა და მისთვის საავტორო ჰონორარის მიღების შესახებ მოთხოვნაზე უარის თქმის საკითხში და მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მოსარჩელემ მიიღო საქპატენტის №55 სერტიფიკატი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საავტორო ჰონორარის თანხა მოპასუხე მხარემ სადავო არ გახდა და არ გაიზიარა ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ წარმომადგენლის პოზიცია იმის შესახებ, რომ, ვინაიდან რ.გოგებაშვილს არ წარმოუდგენია პირობები ხელშეკრულების დადების დროს, ამიტომ მას არ ეკუთვნის საავტორო ჰონორარი, რაც დაასაბუთა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების“ შესახებ კანონითა და სსრ კავშირის მინ.საბჭოს მიერ დამტკიცებული 1973 წლის 21 აგვისტოს დებულებით, რომელთა არც ერთი პუნქტი არ ითვალისწინებდა მოპასუხის მიერ აღნიშნული პირობების არსებობის სავალდებულობას. კოლეგიამ მიიჩნია, რომ ჭიათურის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, რის გამოც მოპასუხის პრეტენზიები აღნიშნულ გადაწყვეტილება-ბასთან დაკავშირებით არ იქნა გაზიარებული.

სასამართლომ იმსჯელა მოპასუხე მხარის მიერ საქმეში წარმოდგენილ,

საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების თავმჯდომარე თ. შილაკაძის წერილზე ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ გენ. დირექტორისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ მოპასუხის მიერ წარდგენილ მასალებში „პატენტი“ არ არსებობს და აქედან გამომდინარე, გამოგონებისათვის თანხის ანაზღაურებაზე არ შეუძლიათ იმსჯელონ. ასევე, სასამართლომ იმსჯელა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ზ. ნუფარიძის მიმართვაზე იმის შესახებ, რომ პატენტის ობიექტად არ მიიჩნევა და პატენტი არ გაიცემა მეურნეობრიობის ორგანიზაციისა და მართვის მეთოდზე. კოლეგიამ ჩათვალა, რომ რ. გოგებაშვილის მიერ შექმნილი ნაწარმოები არ განეკუთვნება სამრეწველო საკუთრების საგანს და მასზე პატენტი არ უნდა გაცემულიყო (სამოქალაქო კოდექსის 1100-ე მუხლი). საავტორო სამართლით მოწესრიგებული საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონით (სამოქ. კოდექსის 1070-ე მუხლი), რომელიც ითვალისწინებს სათანადო სერტიფიკატის გაცემას. ამრიგად, კოლეგიამ ზემოხსენებული მისაზრებები არ გაიზიარა.

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ რ. გოგებაშვილის მიერ არ ყოფილა დარღვეული ხანდაზმულობის ვადა. მოსარჩელის მიერ შექმნილი სისტემა წარმოებაში დანიერგა 1992 წლის მეორე ნახევარში, რის გამოც ეკონომიური ეფექტის მიღების თვალსაზრისით აღნიშნული წლის შედეგი გათვალისწინებული არ შეიძლება ყოფილიყო. სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 21 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებული დებულების 113-ე პუნქტის თანახმად, გამომგონებლობა-რაციონალიზაციის შესახებ გამომგონებელს 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ეკუთვნის საავტორო ჯილდო მიღებული ეკონომიის 2%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 20 ათასის ოდენობით. აღნიშნული ხუთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ რ. გოგებაშვილმა არაერთხელ ამაოდ მიმართა ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ დირექციას. მოსარჩელემ განცხადება შეიტანა ჭიათურის რაიონულ სასამართლოში, რომელსაც მიმართა მოპასუხე მხარემაც და აღნიშნა, რომ საავტორო ჯილდოს გაცემის საკითხს განიხილავს რ. გოგებაშვილის ავტორობის იურიდიული ფაქტის დადგენის შემდეგ, რომელსაც დაადასტურებს საქპატენტი, თუმცა მოსარჩელის მიერ აღნიშნული დოკუმენტების მოპოვების შემდეგ, 2002 წლის 27 მაისს, ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ დირექტორთა გამგეობამ თავის სხდომაზე განიხილა რ. გოგებაშვილის სადავო მოთხოვნა და დაკმაყოფილებაზე ოფიციალურად უთხრა უარი. ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე, 2002 წლის 4 ოქტომბერს რ. გოგებაშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს თავისი უფლების დასაცავად.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს/ს „ჭიათურმანგანუმმა“. კასატორი მიიჩნევს,

რომ იგი უკანონოა და მიღებულია არსებული მდგომარეობის მხოლოდ რეგოგებაშილის ფორმულირების გათვალისწინებით. მხარის განმარტებით, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმს“, რომლის სამართალმემკვიდრეა ს/ს „ჭიათურმანგანუმი“ და სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „მანგანუმს“ შორის 1992 წლის 9 დეკემბერს გაფორმდა შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის შემუშავების №1 ხელშეკრულება. შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება დაეკისრა ს/ს „ჭიათურმანგანუმს“. 1992 წლის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ორივე მხარემ შეასრულა. კასატორის მითითებით, 1996 წლამდე რეგოგებაშილს მოპასუხისათვის საავტორო ჯილდოს მოთხოვნით არ მიუძღრთავს. ავტორობის შესახებ სასამართლოს მიერ იურიდიული ფაქტის დადგენისა და საქპატენტიდან №55 სერტიფიკატის მიღების შემდეგ, 2002 წლის მაისში, მოსარჩელემ ს/ს „ჭიათურმანგანუმისაგან“ მოითხოვა ჯილდოს ანაზღაურება, რაზეც, კასატორის განმარტებით, მიიღო უარი. მხარის აზრით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არასწორადაა მითითებული, თითქოს ს/ს „ჭიათურმანგანუმს“ სადავოდ არ გაუხდია საავტორო ჰონორარის ოდენობა, მაშინ, როცა ს/ს „ჭიათურმანგანუმიდან“ უარი სწორედ თანხის უარყოფის გამო აქვს მიღებული. კასატორის განმარტებით, სასამართლო წინააღმდეგობრივია თავის მსჯელობაში, როცა მიუთითებს, რომ განსახილველი ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს საქართველოს კანონით „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, ხოლო თანხის დაკისრების შემთხვევაში ხელმძღვანელობს სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 21 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებული დებულების 113-ე პუნქტით, მაშინ, როცა ზემოხსენებული კანონის 68-ე მუხლის საფუძველზე ძალადაკარგულადაა ჩათვლილი ყველა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება მოცემულ კანონს, ხოლო ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-7 პუნქტით „სამსახურებრივი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების სავტორო გასამრჯელოს „ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი შეიძლება განისაზღვროს ავტორისა და სამუშაოს მიმცემს შორის ხელშეკრულებით“, რაც მხარის აზრით, მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელებულა და ამიტომ უკანონოა 76 400 ლარის ს/ს „ჭიათურმანგანუმისათვის“ დაკისრება. კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არ დაასაბუთა თუ რატომ იხელმძღვანელა რეგოგებაშილის მოსაზრებით თანხის დაკისრების ნაწილში და რატომ უარყო მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტები, ასევე, უკანონოდ არ გაიზიარა საქმეში წარმოდგენილი საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების თავმჯდომარის თ.შილაკაძის წერილი იმ მოტივით, რომ რეგოგებაშილის მიერ შექმნილი ნაწარმოები არ მიეკუთვნება სამეწარმეო საკუთრების საგანს, იგი ჩათვალა ზემოხსენებული კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ მეცნიერულ ნაწარმოებად. მხარის აზრით, მოსა-

რჩელის მიერ შექმნილი სისტემა არ განეკუთვნება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონში ჩამოთვლილ ნაწარმოებთა რიცხვს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია, იგი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელს უარი უნდა ეთქვას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მოცემულ დავაზე სასამართლოს გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლი და 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, ამგვარი დარღვევა იმის საფუძველია, რომ გადაწყვეტილება კანონით დარღვევით მიღებულად ჩაითვალოს. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

საოლქო სასამართლოს კოლეგიის გადაწყვეტილებით და საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1991 წლის 9 დეკემბერს საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმსა“ და სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „მანგანუმს“ შორის გაფორმდა №1 ხელშეკრულება „ჭიათურმანგანუმისათვის“ შრომის ანაზღაურების სისტემისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების თანამდებობრივი სარგოების დამუშავების თაობაზე. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით წინამდებარე სახელშეკრულებო დავალების შესრულებისათვის დამკვეთი (გაერთიანება) გადაუხდის შემსრულებელს (ცენტრს) ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სახელშეკრულებო თანხას 15500 მანეთს.

ჭიათურის რაიონული სასამართლო 1999 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დადგინდა სს „ჭიათურმანგანუმის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის რევაზ სერგოს ძე გოგებაშვილის ავტორობის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი.

ასევე დადგენილია, რომ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების

ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა“ 2001 წლის 8 სექტემბერს რევაზ გოგებაშვილზე გასცა საავტორო უფლების დამადასტურებელი №55 სერტიფიკატი ნაწარმოებზე „შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის შესახებ“.

სს „ჭიათურმანგანუმს“ რევაზ გოგებაშვილის ავტორობა ზემოხსენებულ ნაშრომზე სადავოდ არ გაუხდია.

განსახილველი სამოქალაქო დავის გადასაწყვეტად სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსით, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტები. მოცემულ შემთხვევაში გარემოებები, რომლებსაც ემყარება სასარჩელო მოთხოვნა წარმოიშვა 1992 წელს. შესაბამისად, ეს ურთიერთობა უნდა დარეგულირდეს 1997 წლის 25 ნოემბრამდე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსით. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი დავის მოსაწესრიგებლად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 21 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებული დებულება აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ, ვინაიდან ამავე დებულების პირველი პუნქტით დებულება აწესრიგებს გამოგონების, რაციონალიზატორულ წინადადებასა და აღმოჩენებთან დაკავშირებულ ქონებრივ, პირად არაქონებრივ და შრომით ურთიერთობებს საქმეში არსებული მასალების შეჯგურებით. რ. გოგებაშვილის ნაშუქვარი შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის შესახებ ამ ურთიერთობათა ობიექტს არ მიეკუთვნება.

საკასაციო პალატა განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით ასკენის, რომ რევაზ გოგებაშვილი იყო რა სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „მანგანუმის“ თანამშრომელი, საწარმოო გაერთიანება, ამჟამინდელ სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმისათვის“ შრომის ანაზღაურების სისტემის შემუშავებისას ასრულებდა თავის სამსახურებრივ საქმიანობას. თვით რ. გოგებაშვილის განმარტებითვე აღნიშნულს საფუძველად დაედო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრსა და საწარმოო გაერთიანებას შორის დადებული ხელშეკრულება, რომლითაც ნაკისრი ვალდებულებები ორივე მხარემ შეასრულა. რაც შეეხება თვით შესრულებულ სამსახურებრივ დავალებას, შრომის ანაზღაურების ახალ სისტემას, სასამართლო, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატის (რომელიც სადავოდ არ გამხდარა) საფუძველზე, მას საავტორო უფლების ობიექტად მიიჩნევს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 496-ე მუხლით საავტორო უფლება იმ ნაწარმოებზე, რომელიც შექმნილია სამეცნიერო ან სხვა ორგანიზაციაში

სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით, ეკუთვნის მის ავტორს. ამ ორგანიზაციის მიერ ასეთი ნაწარმოების გამოყენებისა და ავტორისათვის გასამრჯელოს მიცემის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

აღნიშნული ნორმის ანალიზით აშკარაა, რომ სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით ნაწარმოების შექმნისას სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, ავტორი, ხოლო მეორე მხრივ – ორგანიზაცია, რომლის დავალებითაც იქმნება ნაწარმოები და სადაც ხდება მისი შექმნა. მოცემულ შემთხვევაში ასეთ სუბიექტებს წარმოადგენს სამცენიერო-ტექნიკური ცენტრი „მანგანუმი“, რომელმაც საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმი“ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმებული საზღაურის სანაცვლოდ იკისრა ვალდებულება შრომის ანაზღაურების სისტემის დამუშავებაზე და ამავე ცენტრის თანამშრომელი რევაზ გოგებაშვილი, რომელსაც დაევალა ზემოხსენებული სისტემის დამუშავება. აღნიშნული სისტემა, კომპეტენტური ორგანოს მიერ აღიარებულ იქნა რა საავტორო სამართლის ობიექტად – ნაწარმოებად, ავტორი, რევაზ გოგებაშვილი, უფლებამოსილია ნაწარმოებთან დაკავშირებული პრეტენზიები წარუდგინოს სამცენიერო-ტექნიკურ ცენტრ „მანგანუმი“, რომლის დავალებითაც შეიქმნა ნაწარმოები და რომელმაც ნაწარმოების საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმისათვის“ გადაცემით მიიღო გარკვეული ფულადი ანაზღაურება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ რევაზ გოგებაშვილის სარჩელი წარდგენილია არასათანადო მოპასუხის მიმართ, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, სარჩელზე უარის თქმის საფუძველია.

ამასთან, საკასაციო პალატა მხარეთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი კანონი ისეთი ნაწარმოებისათვის, როგორსაც მიეკუთვნება რ.გოგებაშვილის ნამუშევარი, საავტორო ჯილდოს ანაზღაურების წესს არ ადგენდა, კერძოდ: სამოქალაქო სამართლის კოდექსის 49 ნ-ე მუხლის პირველი წინადადებით სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით შექმნილ ნაწარმოებზე კანონით გარანტირებული საავტორო უფლებამოსილებანი მხოლოდ ავტორის კუთვნილებაშია. ორგანიზაცია დასახელებული ვითარების არსებობისას არ წარმოადგენს ნაწარმოების ავტორს და ამ კუთხით მისი უფლებამოსილებანი უმეტესწილად გამორიცხულია, გარდა ამ ნაწარმოების გამოყენებისა. ეს უკანასკნელი კი განპირობებულია სამუშაოს მიმცემის სამსახურებრივი ნაწარმოებისადმი ინტერესით, რაც მდგომარეობს ნაწარმოების ნორმალური მართლზომიერი გამოყენებით სავარაუდო შემოსავლის მიღებაში. ბუნებრივია, რომ მხოლოდ ასეთი ინტერესის არსებობის შედეგია სამსახურებრივი დავალება.

მოცემულ შემთხვევაში რევაზ გოგებაშვილის ავტორობა მის მიერ შემუშავებულ შრომის ანაზღაურების სისტემაზე სადავო არ გამხდარა და მასზე პრეტენზია არც კასატორს არ განუცხადებია.

რაც შეეხება სამსახურებრივი დავლების შესრულების წესით შექმნილი ნაწარმოების ავტორისათვის გასამრჯელოს მიცემის წესს, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 496-ე მუხლის მეორე წინადადებით, იგი განისაზღვრებოდა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით. ზემოხსენებული წესით შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო ჰონორარის სახით ანაზღაურებას კანონი არ ითვალისწინებდა. აღნიშნული ნორმა მიანიშნებდა რა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობაზე, ანაზღაურება დასაშვები იყო მხოლოდ ცალკეული ურთიერთობის მომწესრიგებელი სპეციალური კანონით – საგამონაკლისო ნორმებით. ასე მაგალითად, სსრ კავშირის კანონმდებლობა ადგენდა ავტორისათვის გასამრჯელოს ანაზღაურების წესს უმაღლესი და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემისას, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ბრიგადულ-ინდივიდუალური სწავლების სახელმძღვანელოების გამოცემისათვის, თუკი ასეთი სახელმძღვანელოები დამტკიცდებოდა კანონით დადგენილი წესით. იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა ასევე ადგენდა გასამრჯელოს ანაზღაურების წესს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია, იგი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით რ.გოგებაშვილის სარჩელს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
გაუქმდეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
რევაზ გოგებაშვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ ვ-1266-ბ-13-04

23 თებერვალი, 2004 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და
გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მაია ახალაძე (თავმჯდომარე),
ნუნუ კვანტალიანი (მომხსენებელი),
მაია სულხანიშვილი

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

განმცხადებელი: რევაზ გოგებაშვილი (მოსარჩელე)

მოწინააღმდეგე მხარე: ს/ს „ჭიათურმანგანუმი“ (მოპასუხეები)

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: საქართველოს უზენაესი სასამართ-
ლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003
წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება

განმცხადებლის მოთხოვნა; გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

დავის საგანი: სააეტორო კონორარის ანაზღაურება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და
გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატის 2003 წლის 25 ნოემბრის გადაწყ-
ვეტილებით რევაზ გოგებაშვილს უარი ეთქვა ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ მი-
მართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-
ე მუხლის საფუძველზე, რ.გოგებაშვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო
პალატას აღნიშნული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და

გაკორტების საქმეთა პალატის 2004 წლის 22 იანვრის განჩინებით რ.გოგებაშვილს დაუდგინდა ხარვეზი და მხარეს მიეცა ვადა მის გამოსასწორებლად. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განცხადება არ შეიცავდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლით გათვალისწინებულ მონაცემებს, კერძოდ, განცხადებით არ ირკვეოდა თუ რა საფუძველით უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა ან საქმის წარმოების განახლება. სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში რ.გოგებაშვილმა შემოიტანა განცხადება, რომელშიც მიუთითა იგივე გარემოებები, რაც თავდაპირველ განცხადებაში. ასევე, მხარის აზრით, საკასაციო სასამართლომ არასწორად მიიღო წარმოებაში ს/ს „ჭიათურმანგანუმის“ საკასაციო საჩივარი, ხოლო მისი განხილვისას არ გაითვალისწინა რ.გოგებაშვილის მოთხოვნა მოწმე ნ.ქურციკიძის დაკითხვის შესახებ.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა რევაზ გოგებაშვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატის 2003 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ და მიიჩნია, რომ იგი დაუსაბუთებელია, რის გამოც უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დასაშვებობის ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს. ამავე კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული მხარის მიერ განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი თუ: ა) „გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად, უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში; ბ) ერთ-ერთი მხარე ან თუ მას კანონიერი წარმომადგენელი სჭირდება, ასეთი წარმომადგენელი არ იყო მოწვეული საქმის განხილვაში.

ამავე კოდექსის 427-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ საფუძველებზე, რომელთა გამოც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა ან საქმის განახლება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ განცხადება არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს განმცხადებელს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს

ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, განცხადება არ დაიშვება.

მოცემულ შემთხვევაში რვეაზ გოგებაშვილის განცხადება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ, არ შეესაბამება ზემოხსენებულ ნორმებს, კერძოდ, მითითებული არ არის ის საფუძვლები, რომელთა არსებობისას დასაშვები გახდებოდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ საკასაციო სასამართლოს 2004 წლის 23 იანვრის განჩინებით რვეაზ გოგებაშვილს განემარტა მის განცხადებაში არსებული ხარვეზის შესახებ და მიეცა ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუმცა მხარის მიერ აღნიშნულ ვადაში წარმოდგენილი განცხადება კანონის ზემოხსენებულ მოთხოვნებს კვლავ არ აკმაყოფილებს და წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ზედამხედველობის წესით გასაჩივრების მცდელობას, რასაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ რვეაზ გოგებაშვილის განცხადება, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ, უნდა დარჩეს განუხილველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

რვეაზ გოგებაშვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ დარჩეს განუხილველი.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საავტორო უფლების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება



გ ა დ ა ზ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

26 იანვარი,

1999წ., ქ. თბილისი

ქ.თბილისის გლდანის რაიონის სასამართლომ შემდეგი შემადგენლობით:
თ.სურგულაძის (თავჯდომარე),
ნაფიცი მსაჯულების: მალრაძის, მეცხვარიშვილის

მდივან: რეხვიაშვილის

ადვოკატების: ჯოგლიძე, ბართაიას მონაწილეობით

განიხილა ღია სასამართლო სხდომაზე სამოქალაქო საქმე თამარ წა-
მალაიძის სარჩელისა გამო სახაზინო საწარმო თბილისის კარტოგრაფიის
სტამბის დირექტორი ოთარ საბანაძესთან და სვეტლანა დარჩიაშვილთან საავ-
ტორო უფლების დარღვევასთან დაკავშირებით.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო მ გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

მოსარჩელე თავის სარჩელში მიუთითებს, რომ არის ავტორი ნაშრომისა
– „პირველი კლასის კალიგრაფიული რეეული“. აღნიშნული ნაშრომი რეგ-
ისტრირებულია საავტორო უფლებათა და ინტელექტუალური საკუთრებს
საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს მიერ და იცავს საავტორო სამართალი.

თანახმად საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს 1996 წლის
18 ივნისის №1-01/3-24-ით გაცემული საინფორმაციო წერილის მიხედვით
ნაშრომი „პირველი კლასის კალიგრაფიული რეეული“-ს გამოცემისას მას
მიეცა „საავტორო უფლებათა დაცვის შესახებ“ საერთაშორისო ნიშანი, რაც
ნიშნავს, რომ ავტორის ან კანონიერი მემკვიდრის ნებართვის გარეშე არავის

შეუძლია ამ ნაშრომის გამოყენება თუ პირს, რომელმაც გამოსცა ნაშრომი არ გააჩნია ავტორთან ან მის კანონიერ მემკვიდრესთან იურიდიულად დამოწმებული ხელშეკრულება, მიანიშნებს სხვის ნაშრომის მითვისებაზე.

1998 წლის ივლისის თვეში თბილისის დიდუბისა და ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე ნანახი იქნა მოსარჩელის ნებართვის გარეშე გამოცემული და სარეალიზაციოთ გატანილი რვეულები. სადგურის ბაზრობიდან მოსარჩელის ინიციატივით ამოღებული იქნა 30 ცალი რვეული, რომლის თითოეული ცალის ღირებულება შეადგენს 1,5 ლარს, რომელიც მოპასუხეს დაუბეჭდია სახაზინო საწარმო კარტოგრაფიის ფაბრიკის სტამბაში.

სხვაობა მოსარჩელის ნაშრომისა და მოპასუხის მიერ დაბეჭდილ რვეულებში არის ყდაში. ასობის გამოწერაში იქ, სადაც მოსწავლემ უნდა შემოატაროს წერტილოვან ასობებს, მოპასუხეს პირდაპირ აქვს გადაწერილი ასობები. ასევე სხვაობაა ქალღმერთი. გარდა ამისა მოსარჩელის მიერ შექმნილი ნაშრომის ანუ რვეულის თითოეული ფურცლის ბოლო მარჯვენა მინდორზე გამოსახულია მაკრატელი, რაც უნდა წააჭრას მოსწავლემ, რაც მოპასუხის გამოცემულ რვეულებში არ არის. ასევე ერთმანეთს არ შეესაბამებია ასობები.

როგორც გეოდეზიისა და კარტოგრაფიის ფაბრიკის 1998 წლის 24 ივლისის №1/78-ით გამოგზავნილ წერილის პასუხიდან ირკვევა, წინამდებარე სარჩელში აღნიშნული რვეული მოპასუხე დარჩინაშვილის შეკვეთის საფუძველზე გამოსცა 5000 ცალი, რისი საფუძველიც ნაღდი ანგარიშსწორებით შეტანილია ფაბრიკის ანგარიშზე 300 ლარის ოდენობით. გატანილია მთლიანი ტირაჟი სამ ივლისს, მასალის ფაქტურა №34, ყველა საჭირო მასალა რვეულების გამოცემისათვის შემოტანილი იყო დამკვეთი დარჩინაშვილის მიერ.

აღნიშნული მიანიშნებს მოპასუხის მიერ საავტორო სამართლით დაცულ ავტორის უფლებათა დარღვევაზე, როგორც ავტორის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნილი ნაწარმოების ლიცენზიის გარეშე გამოცემაზე და შესაბამისად გავრცელებაზე, რაც დასჯადია და რამაც გამოიწვია მოსარჩელის მიერ შესაძლებელი გასამარჯელოს მიუღებლობა. ითხოვს ზემოთაღნიშნულის შედეგად მოსარჩელეზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. კერძოდ მოპასუხის მიერ 5000 ტირაჟით გამოცემული რვეულების ამოღებით და მათი გასაყიდი ფასის (ერთი ცალის ფასი 1,5 ლარი) 7500 ლარის ანაზღაურებას მოსარჩელის სასარგებლოდ.

სასამართლოს წინაშე მოსარჩელე წამალაიძემ მხარი დაუჭირა თავის სარჩელს და განმარტა, რომ იგი განათლებით არის პედაგოგი, ფილოლოგი. მან თავისი შემოქმედებით, ინტელექტუალური შრომის შედეგად შექმნა „კალიგრაფიული რვეული პირველი კლასის მოსწავლეებისათვის“. მისი შექმნა შთანხმებული იყო საქართველოს განათლების სამინისტროსთან, სპეციალ-

ური საბჭოს მიერ მისი ნაშრომი მოწონებული იქნა და განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით წარდგენილი იქნა საქართველოს რესპუბლიკის საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოში და მასზე გაცემული იქნა საავტორო უფლება, რის შემდეგაც მან გამოსცა ხსენებული რვეული და იგი გაშვებული იქნა რეალიზაციისათვის. 1998 წლის ივლისის თვის პირველ ნახევარში ნახა, რომ ქ.თბილისის სხვადასხვა ბაზრობებზე იყიდებოდა ანალოგიური რვეულები, ოღონდ შეცვლილი ქონდათ ყდები, ასევე არ იყო მინდორზე მონიშნული მაკრატელი, რომელიც მის რვეულებშია მონიშნული, განსხვავებაა ქაღალდში, ასოების გამოწერასა და სხვა. მოპასუხეთა რვეულები შესრულებულია უხარისხოდ და მათი გამოყენება სასკოლო სწავლებისათვის მას, როგორც პედაგოგს მიაჩნია მიზანშეუწონლად. ამასთან მოპასუხებმა ასეთი რვეულების გამოშვებით შელახეს მისი საავტორო უფლება. მოპასუხე დარჩიაშვილი ყოველგვარი ნებართვის გარეშე თვითნებურად აქვს მოცემული შეკვეთა რვეულების გამოცემაზე მის თანამოპასუხე, კარტოგრაფიის ფაბრიკის დირექტორ ოთარ საბანაძეზე და გამოცემული აქვთ 5000-იანი ტირაჟით. საცალო ფასად დადგენილი აქვთ 1,5 ლარი. მოითხოვს უკანონოდ გამოცემული რვეულების ამოღებას და მოპასუხებზე მორალური ანაზღაურების დაკისრებას, რაც მისი გაანგარიშებით შეადგენდა 7500 ლარს. ეს თანხა გამოყავს იქიდან, თუ კი მოპასუხეები გაყიდნენ მათ მიერ გამოშვებული რვეულების მთელ ტირაჟს ანუ 5000 ცალს, მიიღებდნენ მის ღირებულებას 7500 ლარს და ეს თანხა მათ მიერ აღებული ექნებოდა მისი საავტორო უფლების უკანონოდ მითვისებით და ეს თანხა მათ უნდა გადაიხადონ მის სასარგებლოდ, ამასთან აეკრძალოთ შემდგომში რვეულის გამოცემა. მოპასუხე დარჩიაშვილი სარჩელს არ სცნობს და განმარტავს, რომ ეს რვეულები არაერთარ ინტელექტუალურ-შემოქმედებით ნაშრომს არ წარმოადგენენ. ასეთი რვეულები იყიდება ყველგან. მას ასევე არ იცოდა ვინმეს საავტორო უფლების შესახებ. რვეული შექმნილია კომპიუტერული წესით, ასოების გამოსახულება, კალიგრაფიული ნიმუშები გადმოიღო გოგებაშვილის დედანიდან. მის მიერ გამოშვებული რვეული არსებითად განსხვავდება მოსარჩელის რვეულისაგან, როგორც სასაქონლო, ასევე კალიგრაფიული თვისებებით, ქაღალდით, გარეკანით და სხვა. ამ რვეულების გამოცემისას მას ლიცენზია არ აუღია, მას როგორც მეწარმეს გააჩნია ასეთი საქმიანობის წარმოების უფლება. განათლების სამინისტროსთან შეთანხმება არ ქონია. შეკვეთა დაბეჭდვაზე მისცა თანამოპასუხე – სახაზინო საწარმო – კარტოგრაფიის ქარხნის დირექტორს ოთარ საბანაძეს, ჩაურიცხა ფული ნაღდი ანგარიშსწორებით 300 ლარი, შეიტანა რვეულის გამოცემისათვის საჭირო მასალა და გამოსცა 5000 ცალი. აქედან ნაწილი გაყიდა. ხალხი კმაყოფილია, მისი რვეული უფრო იაფიანია, ღირს 1,5 ლარი, მოსარჩელის კი 2 ლარი, რვეული არის

ფართო მოხმარების საგანი და მას არავითარი საავტორო უფლება არ მიუთვისებია ვისმესგან. მოითხოვს უარი ეთქვას სარჩელს როგორც უსაფუძვლოს. მოპასუხე საბანაძემ ასევე არ სცნო სარჩელი და განაცხადა, რომ იგი არის სახაზინო საწარმოო „გეოლოგიისა და კარტოგრაფიის“ ფაბრიკის დირექტორი. მის საქმიანობაში შედის შეკვეთების მიღება და სხვადასხვა პოლიგრაფიული სამუშაოების და დაკვეთების შესრულება. ამ შემთხვევაშიც ასე იყო. დარჩიაშვილმა ჩაურიცხა ფული და დაუბეჭდა 5000 ცალი რვეული პირველი კლასის მოსწავლეთათვის. მან ეს სამუშაო შეუსრულა დარჩიაშვილს, სხვა არაფერი ეკითხება. ასეთ სამუშაოებზე არავითარი საავტორო უფლება არ არსებობს, რვეული რომელიც არის მის მიერ გამოცემული, წარმოადგენს ფართო მოხმარების საგანს და მისი გამოცემის უფლება ყველას აქვს.

სასამართლომ მოუსმინა მხარეებს, გააანალიზა საქმის მასალები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სარჩელს უნდა ეთქვას უარი შემდეგ გარემოებათა გამო, კერძოდ, მოსარჩელის მიერ გამოცემულ რვეულზე არ არის აღნიშნული ისეთი რეკვიზიტები, რომლებიც მიაინიშნებს ავტორზე და შესაბამისად მის უფლებებზე. არ არის ავტორის გვარი და სახელი, ნაშრომის დასახელება. ის რომ იგი რეკომენდირებული იყო გამოცემისათვის საქართველოს განათლების სამინისტროს დაწყებითი კლასების სასწავლო-მეთოდური საბჭოს მიერ. მასზე არ არის აღბეჭდილი საავტორო უფლებათა დაცვის საერთაშორისო ნიშანი. მართალია ორივე რვეულს ერთი და იგივე დანიშნულება გააჩნია, მაგრამ ისინი ერთმანეთის ანალოგიად ვერ ჩაითვლებიან, მათ შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების გამო. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში არ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მოპასუხეთა მხრიდან აღგილი აქვს საავტორო უფლების დარღვევას და მითვისებას. ამასთან აღიარებულია, რომ ასეთი ტიპის რვეულის გამოცემისათვის მოპასუხე დარჩიაშვილს უნდა ჰქონოდა სპეციალური ლიცენზია, შეთანხმებული განათლების სამინისტროსთან და დასკვნა თუ რამდენად მისაღებია მის მიერ გამოცემული კალიგრაფიული რვეული სწავლებისათვის. შესაბამისად მხოლოდ ასეთი დოკუმენტის არსებობისას ჰქონდა უფლება მოპასუხე საბანაძემ მიეღო შეკვეთა რვეულის გამოცემის შესახებ. ამდენად, სარჩელის მოთხოვნა იმ ნაწილში, რომ მოპასუხეებმა უნდა შეწყვიტონ რვეულების წარმოება, როგორც ულიცენზიო ნაწარმის გამოშვება სწორია, რის თაობაზეც სასამართლომ განჩინებით მიმართა საგადასახადო სამსახურს.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა სსკ-ს 197-ე მუხლით

უარი ეთქვას თამარ წამალაიძის სარჩელს მისი საავტორო უფლების, როგორც „პირველი კლასის კალიგრაფიული რვეულის“ ავტორს მოპასუხე დარჩიაშვილისა და საბანიძის მიერ ბითვისების შესახებ, როგორც უსაფუძვლოს.



ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№194

9 მარტი, 1999წ., ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ შემდეგი შემაღგენლობით: დ.სუხიტაშვილი (თავმჯდომარე),
გ.თითბერიძე,
თ.კობახიძე

განიხილა 1999 წლის 9 მარტის სხდომაზე თამარ წამალაიძის საკასაციო საჩივარი თბილისის გლდანის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებაზე.

სასამართლო კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდნენ თ.წამალაძე, ო.ბარათია, ნ.დარჩიაშვილი.

მოისმინა რა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის გ.თითბერიძის მოხსენება, სასამართლო კოლეგიამ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

თამარ წამალაიძე არის ავტორი ნაშრომისა „პირველი კლასის მოსწავლეთა ქართული ენის რვეული“. მითითებული ნაშრომი რეგისტრირებულია საავტორო უფლებათა და ინტელექტუალური საკუთრების საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს მიერ. სასამართლოს სრულყოფილად არ გამოურკვევია საქმის ნამდვილი გარემოებები და მხარეთა უფლება-მოვალეობები, რითაც დარღვეულია საქართველოს სსკ-ს მე-11 და 52-ე მუხლების მოთხოვნები.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე არის ავტორი ნაშრომისა „პირველი კლასის მოსწავლეთა ქართული ენის რვეული“. მითითებული ნაშრომი რეგისტრირებულია საავტორო უფლებათა და ინტელექტუალური საკუთრების საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს მიერ.

სასამართლოს მიერ სათანადო შეფასება არ მისცემია ექსპერტიზის დასკვნებს, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილი რვეულები ერთნაირია დამზადების წესისა და დანიშნულების მიხედვით, განსხვავებაა მხოლოდ გაფორმებასა და შესრულების მანერაში, ასევე ექსპერტის დასკვნას, რომ ორივე რვეული იდენტურია.

ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1017-ე, 1018-ე, 1020-ე, 1024-ე, 1029-ე, 1030-ე, 1031-ე, 1043-ე, 1045-ე და 1048-ე მუხლების შინაარსს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ს 317-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა

ქთბილისის გლდანის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე გაუქმდეს და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სხვა შემდაგენლობას.



გ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

11 ნოემბერი, 1999წ, ქთბილისი

ქთბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ
შემდეგი შემადგენლობით: ო.დგებუაძე (თავმჯდომარე)

მდივანი: ნ.არჩვაძე

ადვოკატების: თ.ჯოგლიძის და ო.ბართაიას მონაწილეობით

ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა საქმე თამარ წამალაიძის, სახ-
აზინო საწარმო თბილისის კარტოგრაფიის სტამბისა და ამავე სტამბის
თანამშრომლის ნ.დარჩიაშვილის მიმართ საავტორო უფლებათა დარღვევის
შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო მ გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

მოსარჩელე თამარ წამალაიძემ სასამართლოში აღძრა სარჩელი ინტელექ-
ტუალური საკუთრების დარღვევის უფლებების დასაცავად. მისი განმარტე-
ბით 1996 წლის 18 ივნისს სახელმწიფო საავტორო სააგენტოს ნებართვით
ნაშრომს „პირველი კლასის კალიგრაფიული რვეული“ მიენიჭა საავტორო
უფლებათა დაცვის საერთაშორისო ნიშანი „C“. 1998 წლის ივლისის თვეში
მის მიერ სავაჭრო ქსელში ნანახი იქნა მასთან შეუთანხმებლად გამოცემული
და სარეალიზაციოდ გატანილი რვეულები, იდენტური იმ რვეულებისა, რომელიც
გამოცემული იქნა თავად ავტორის მიერ. განსხვავება მისი მხრიდან ამოღებუ-
ლი რვეულებისა და ნაშრომს შორის აღმოჩნდა რვეულის ყდა. დანარჩენი
კომპონენტები მითვისებული იქნა მოპასუხის მხრიდან. ავტორის ნებართვის
გარეშე გამოცემული რვეულები შესრულებული იქნა თბილისის კარტოგრაფიის
სტამბაში, რომლის საბაზრო ღირებულება განისაზღვრებოდა 1,5 ლარის
ოდენობით. ხსენებული რვეულები შეკვეთილი იქნა ამავე კარტოგრაფიის
თანამშრომლის ნ.დარჩიაშვილის მიერ 5000 ცალი ტირაჟის ოდენობით.

მოსარჩელეს მიაჩნია, რომ უხეშად იქნა დარღვეული ავტორის უფლებე-
ბი და მოითხოვა მისგან დამდგარ შედეგებით გამოწვეული ზარალის 7500
ლარის კომპენსაცია და მატერიალური ზარალი.

მოპასუხე მხარემ სახაზინო საწარმო თბილისის კარტოგრაფიის სტამ-
ბის დირექტორმა ო.საბანაძემ, ამავე სტამბის თანამშრომელმა ნ.დარჩიაშვილმა
არ უარყვეს მათი მხრიდან სტამბაში „პირველი კლასის კალიგრაფიული
რვეულების“ გამოცემის ფაქტი და განმარტეს რომ მათთვის ცნობილი არ
იყო არსებობდა თუ არა ანალოგიურ რვეულებზე საავტორო უფლება. ვი-
ნაიდან აზრი პირველი კლასის რვეულების გამოცემის შესახებ მოუვიდა
ნ.დარჩიაშვილს, რომელიც გარკვეულად დაეხმარებოდა დამწყები კლასის
მოსწავლეებს სწავლაში, მოხდა მისი რეალიზაცია სტამბის მხრიდან. თუმცა
ნებართვა-ლიცენზია აღნიშნული რვეულების დამზადებაზე მათ არ გააჩნდათ.
მოპასუხის განმარტებით, მითთის ცნობილიც რომ ყოფილიყო სადავო რვეულე-
ბზე საავტორო უფლების არსებობა, სარჩელი არ უნდა იქნეს გაზიარებული,
ვინაიდან მათი მხრიდან დაირღვა მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
ნორმა – სათანადო ლიცენზიის გარეშე ხსენებული რვეულების გამოცემისას,
რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ წარმოადგენს სამოქალაქო დავის საგანს.

ამდენად, მოპასუხე მხარეს სარჩელის მოთხოვნა არ მიაჩნია საფუძვლიანი.

სასამართლომ მოისმინა რა მხარეთა განმარტებები, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი საფუძვლიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 1996 წლის 18 ივნისიდან მოსარჩელე თ.წამალაიძეს მინიჭებული ჰქონდა სახელმწიფო სააგენტოსაგან საავტორო უფლება „პირველი კლასის მოსწავლეთა ქართული ენის რვეულის“ გამოცემაზე, რომელსაც გააჩნდა საავტორო უფლების დაცვის საერთაშორისო ნიშანი „C“.

„საავტორო უფლებათა დაცვის შესახებ“ ენევის მსოფლიო კონვენცია თავი III კატეგორიულად იცავს ავტორის ან კანონიერი მემკვიდრის ნებართვის გარეშე ნაშრომის გამოყენების უფლებებს.

ის გარემოება, რომ მოპასუხე მხარემ დაუშვა ავტორის კანონიერი უფლებების შელახვა გარდა მათი განმარტებებისა, დადასტურებულია საქმეზე ჩატარებული ტექნიკურ-კრიმინალისტიკური და სასაქონლო ექსპერტიზების დასკვნით.

მოცემული დასკვნები აშკარად მიუთითებენ მოპასუხის მხრიდან მოსარჩელე თ.წამალაიძის საავტორო უფლების მითვისების და იდენტური რვეულების გამოცემის ფაქტებზე.

სასამართლოში მოწვეულმა საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილის მმგალობლიშვილის განმარტებით დადგენილია, რომ თ.წამალაიძეს გააჩნდა სათანადო კანონიერი ნებართვა პირველი კლასის რვეულის გამოცემაზე საავტორო უფლებით. მოპასუხე მხარე ვალდებული იყო პირველი კლასის რვეულის გამოცემისას დაედგინა მათთან არსებობდა თუ არა საავტორო უფლება. ასეთი რვეულების გამოცემაზე, როგორც იურიდიული პირს და მით უმეტეს სტამბას არ ჰქონდა არავითარი კანონიერი უფლება დაემზადებინა და სარეალიზაციოდ გამოეშვა ისეთი სახის პროდუქცია, რომელზედაც არ გააჩნდათ საავტორო უფლება ან ასეთზე ნებართვა.

მოპასუხეების მხრიდან განმარტება იმის თაობაზე, რომ თითქოს არ იცოდნენ თ.წამალაიძის საავტორო უფლების არსებობა და ისე ხდებოდა იდენტური რვეულების დაბეჭდვა-რეალიზაცია არ გამორიცხავს მათ სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ამდენად, სასამართლოს სარჩელის მოთხოვნა მიაჩნია კანონიერად, რის გამოც ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1031-ე, 1017-ე, 1020-ე, 1024-ე, 1096-ე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-258-ე მუხლებით, ენევის მსოფლიო კონვენციით „საავტორო უფლებათა დაცვის შესახებ“ III თავით

დავალებანი

სარჩელი დაკმაყოფილდეს. სახაზინო საწარმო თბილისის კარტოგრაფიის სტამბას და ამავე სტამბის თანამშრომელ ნატალია დარჩიაშვილს გადახდეთ სოლიდარულად თამარ წამალაიძის სასარგებლოდ საავტორო და მომზადებულ უფლებათა დარღვევის შედეგად მიყენებული ზარალი 7500 ლარის ოდენობით.

მათვე გადახდეს კომპენსაციის სახით თამარ წამალაიძის სასარგებლოდ 1500 ლარი მორალური ზიანისათვის.

აეკრძალოს თბილისის კარტოგრაფიის სტამბას საავტორო სამართლით დაცული თამარ წამალაიძის მიერ ავტორის უფლების გარეშე ნაშრომის „პირველი კლასის კალიგრაფიული რვეულის“ ტოპოგრაფიული გამოშვება.

ამოღებული იქნეს სავაჭრო ქსელიდან ავტორის თამარ წამალაიძის საავტორო უფლების გარეშე კონტრაფრაქციულად გამოცემული ნაშრომი „პირველი კლასის კალიგრაფიული რვეული“, რომელიც განადგურდეს.

გადაწყვეტილება აპელაციურია 1 თვის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოში.



ბ ა ნ რ ი ნ ე მ ბ ა

საქართველოს სახელით

№02ბ-865-99

14 მარტი, 2000წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის კოლეგიამ

შემდეგი შემადგენლობით: მ.ნასარიძე (თავმჯდომარე),
ლ.კობალაძე,
თ.კილანავა

თ.გოცირიძის მდივნობით

განიხილა სახაზინო საწარმო „თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკის“ და ნატალია დარჩიაშვილის სააპელაციო საჩივარი თბილისის გლდანი-ნამძალადვეის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, საქმეზე თამარ წამალაიძის სარჩელისა გამო სახაზინო საწარმო „თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკის“ და ნატალია დარჩიაშვილის მიმართ საავტორო უფლებით დაცული ნაშრომის რეალიზაციის შეწყვეტის, უკანონოდ გამოცემული ტირაჟის ამოღების, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

1998 წლის 29 ივლისს თამარ წამალაიძემ მიმართა თბილისის გლდანის რაიონის სასამართლოს სარჩელით მოპასუხეების – სახაზინო საწარმო „თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკის“ და ნატალია დარჩიაშვილის მიმართ და განმარტა შემდეგი:

მოსარჩელის განცხადებით, იგი არის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნილი ნაშრომის „პირველი კლასის კალიგრაფიული რვეულის“ ავტორი; აღნიშნული ნაშრომი რეგისტრირებულია საავტორო უფლებათა და ინტელექტუალური საკუთრების საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს მიერ და მას იცავს საავტორო სამართალი. მიუხადავად ამისა, 1998 წლის ივლისში მან ნახა თბილისის ღიდუბის და ჩულურეთის რაიონების ტერიტორიაზე მასთან, როგორც რვეულის ავტორიდან ნებართვის გარეშე გამოცემული და სარეალიზაციოდ გატანილი რვეულები. როგორც შემდგომში გაირკვა, აღნიშნული რვეულები გამოსცა ნატალია დარჩიაშვილმა სახაზინო საწარმო „თბილისის კარტოგრაფიულ ფაბრიკაში“. მოსარჩელის განცხადებით, სხვაობა მის რვეულსა და მოპასუხეების მიერ გამოცემულ რვეულებს შორის პრაქტიკულად არ არსებობს, თუ არ ჩაითვლება სხვაობად განსხვავებული ყდა, ქაღალდი, მოსაჩლევს რვეულში ფურცლების ბოლოს მარჯვენა მინდორზე დახატული მაკრატელი. მოსარჩელის მტკიცებით, მისი შეცდომებიც კი გადატანილია მოპასუხეების რვეულში.

ყოველივე ზამოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელემ მოითხოვა მისი ნაშრომის „პირველი კლასის კალიგრაფიული რვეული“ რეალიზაციის შეწყვეტა, უკანონოდ გამოცემული ტირაჟის ამოღება და მისთვის გადაცემა; მან აგრეთვე მოითხოვა გამოცემული 5000 რვეულის ღირებულების 7500 ლარის (თითო რვეულის გასაყიდი ღირებულება, მისი მტკიცებით 1,5 ლარს შეადგენს) მოპასუხეებზე დაკისრება კომპენსაციის სახით და მორალური ზიანის ანაზღაურება.

თბილისის გლდანი-ნამძალადვეის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. მოპასუხ-

ებს დაეკისრათ მოსარჩელის სასარგებლოდ მიყენებული მატერიალური ზარალის 7500 ლარის და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 1500 ლარის სოლიდარულად გადახდა; ამასთან, სახაზინო საწარმო „თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკა“-ს აეკრძალა საავტორო სამართლით დაცული თამარ წამალაიძის ნაშრომის „პირველი კლასის კალიგრაფიული რვეული“-ს ავტორის ნებართვის გარეშე ტიპოგრაფიული გამოშვება, ხოლო უკვე გამოშვებული რვეულები დაექვემდებარა განადგურებას.

არ დაეთანხმნენ რა სასამართლო გადაწყვეტილებას, მოპასუხებმა გაასაჩივრეს იგი სააპელაციო წესით.

სასამართლო კოლეგიამ გადასინჯა საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

უარყოფენ რა მოსარჩელის საავტორო უფლებების ხელყოფას, აპელანტები იშველიებენ შემდეგ მოსაზრებებს:

მათი განცხადებით, საქმეში არსებობს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის კვლევითი ცენტრის ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული დასკვნა რვეულების იდენტიურობის შესახებ, რის გამოც სასამართლოს არ უნდა მიეღო არცერთი მათგანი; გარდა ამისა, მათი აზრით, თუ თამარ წამალაიძის რვეული დაცული იყო საავტორო სამართლით, მას უნდა ჰქონოდა საავტორო უფლებათა დაცვის ნიშანი ©, განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელის სახელი, ნაწარმოების გამოცემის პირველი წილი; აპელანტების მტკიცებით, თ.წამალაიძემ რვეულზე საავტორო უფლებები მოიპოვა 1998 წელს და ზემოხსენებული აღნიშვნები დატანებულია რვეულის 1999 წლის გამოცემაზე, ანუ მათი რვეულის გამოცემის შემდეგ და ბოლოს, ამ საკითხთან მიმართებაში აპელანტები აცხადებენ, რომ სასამართლო პროცესზე წარმოდგენილმა სპეციალისტმა – საქართველოს საავტორო უფლებით სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილემ ვერ განმარტა, კანონით დადგენილ რომელ სფეროს მიეკუთვნება თ.წამალაიძის ნაშრომი – მეცნიერების, ლიტერატურის თუ ხელოვნების დარგს, ამდენად საავტორო უფლების ობიექტი საერთოდ არ შეიძლებაოდა ყოფილიყო.

სასამართლო კოლეგია ვერ დაეთანხმდება აპელანტის ამ მოსაზრებას. თანახმად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1031-ე მუხლისა, საავტორო უფლების მფლობელს თავისი უფლების გაცნობების მიზნით შეუძლია, მაგრამ არ არის ვალდებული გამოიყენოს საავტორო უფლების დაცვის ნიშანი. ამდენად, აპელანტების მოსაზრება იმის შესახებ, რომ რვეულზე საავტორო უფლება გაცემული იყო 1998 წელს, რის შემდეგ ნიშანი დატანებულ იქნა 1999 წლის გამოცემაზე, როდესაც მათი რვეული უკვე გამოშვებული იყო, არ შეესაბამება ფაქტობრივ გარემოებებს, როგორც საქმის მასალებით მტკიცება,

საავტორო უფლება რვეულზე გაცემული იყო თამარ წამალაიძის სახელზე 1996 წელს და ის ფაქტი, რომ რვეულის პირველ გამოშვებას არ ჰქონდა ნიშანი © არაფერს ცვლის, რადგანაც, როგორც უკვე აღინიშნა, ამ ნიშნის დატანება რვეულზე იყო თამარ წამალაიძის უფლება და არა მოვალეობა.

ვერ გაიზიარებს სასამართლო კოლეგია აპელანტების იმ მოსაზრებასაც, რომ რადგანაც პირველი ინსტაციის სასამართლოს მიერ პროცესზე მოწვეულმა სპეციალისტმა ვერ განმარტა, კანონით დადგენილ რომელ სფეროს მიეკუთვნება თამარ წამალაიძის რვეული, იგი ვერ ჩათვლება საავტორო უფლების ობიექტად. სასამართლო კოლეგია განმარტავს, რომ ვიდრე არ მოხდება თამარ წამალაიძის სახელზე სათანადო წესით გაცემული საავტორო უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაუქმება, თამარ წამალაიძე ითვლება რვეულის ავტორად, რომლის უფლებები დაცულია მოქმედი კანონმდებლობით.

რაც შეეხება აპელანტების აზრს იმის თაობაზე, რომ სასამართლოს მიერ არ უნდა მიღებულიყო მტკიცებულებად ექსპერტის არცერთი დასკვნა, როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო, სასამართლო კოლეგია ვერც ამ მოსაზრებას დაეთანხმება. როგორც საქმეში არსებული ექსპერტის დასკვნებიდან ჩანს, ისინი არ არიან ურთიერთსაწინააღმდეგო, პირიქით, დასკვნები ერთმანეთს ავსებენ. ორივე დასკვნაში დადასტურებულია, რომ რვეულები დამზადებულია ერთნაირი-ტოპოგრაფიული წესით, ამასთან, პირველ დასკვნაში მითითებულია, რომ რვეულები ერთნაირია დანიშნულების მიხედვით და აღნიშნული დასკვნა არ არის უარყოფილი მეორე ექსპერტიზის დასკვნაში. გარდა ამისა, პირველ დასკვნაში მითითებულია, რომ რვეულები განსხვავდება ერთმანეთისაგან გაფორმების და შესრულების მანერით, რაზეც არაფერია ნათქვამი მეორე დასკვნაში და ბოლოს, პირველ დასკვნაში აღნიშნულია, რომ რვეულები განსხვავდება ერთმანეთისაგან ფურცლების ხარისხით, რაც დადასტურებულია მეორე დასკვნაშიც. ამდენად, აპელანტების მოსაზრება ექსპერტიზის დასკვნების ურთიერთწინააღმდეგობის შესახებ არ შეესაბამება საქმის მასალას.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ ნატალია დარჩიაშვილის მიერ შედგენილი და სახაზინო საწარმო „თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკი“-ს მიერ დაბეჭდილი პირველი კლასის რვეულები იდენტურია. თავის ახსნა-განმარტებაში ნ.დარჩიაშვილმა დაადასტურა, რომ მისთვის ცნობილი იყო თამარ წამალაიძის რვეული, თუმცა მან არაფერი იცოდა თამარ წამალაიძის საავტორო უფლების შესახებ. უფრო მეტიც, აპელანტმა განმარტა, რომ მისი სურვილი იყო შეედგინა და გამოეცა ანალოგიური, მაგრამ უფრო იაფი რვეული, რაც შეძლო კიდევ რადგანაც მუშაობდა კარტოგრაფიულ ფაბრიკაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ვიზუალური დათვალიერებით, რვეულები თავისი შინაარსით პრაქტიკულად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, უფრო მეტიც, ნ.დარჩიაშვილის რვეულში გამოერებულია თ.დარჩიაშვილის მიერ რვეულის პირველ გამოცე-

მაში დაშვებული შეცდომები (ასობის შესწავლის პროგრამის შემდეგ რეულში გამოვრებულია სხვანაირი ასობები, კერძოდ „დ“, „ლ“, „რ“ სამფეხიანი „ლ“, ორფეხიანი „დ“ და ორფეხიანი „რ“-ს ნაცვლად. შემდეგ კი წინადადებებში მორდება ისე „ლ“, „დ“, „რ“, რაც თ.წამალაიძის შეცდომაა, განმორებული ნ.დარჩიაშვილის რეულშიც. ასო-ბგერა „ჯ“-ს შემდეგ თ.წამალაიძის რეულში არ არის სიტყვა „ჯაჭვი“, რაც პოლიგრაფიული შეცდომაა, ესეც გაიმორრა თავის რეულში ნ.დარჩიაშვილმა. თ.წამალაიძის რეულში არ არის კუთხოვანი ასო „ო“, აღნიშნული აგრეთვე არ არის ნ.დარჩიაშვილის რეულშიც – და სხვა).

ამდნად, ეჭვს არ იწვევს, რომ თავისი რეულის შედგენისას ნ.დარჩიაშვილი არამტუე ხელმძღვანელობდა წამალაიძის რეულით, არამედ შეადგინა ფაქტობრივად იდენტური რეული, რომელიც თავისი შინაარსითა და დანიშნულებით პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა თ.წამალაიძის რეულისაგან, რითაც შეილახა საქართველოს სკ-ს 1045-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის „ა“ და „კ“ ქვეპუნქტებით ავტორის – თამარ წამალაიძის განსაკუთრებული უფლებები. ამავე ნორმების თანახმად, ავტორს უფლება აქვს მოითხოვოს მისი ნაშრომის რეპროდუცირების აკრძალვა, ამდნად, სასამართლოს გადაწყვეტილება სახაზინო საწარმოსათვის რეულის ტაოგრაფიული გამოშვების აკრძალვის ნაწილში სწორია. კანონიერია აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნ.დარჩიაშვილის მიერ გამოცემული რეულები, როგორც კონტრაფაქტიული პროდუქცია, დაექვემდებარა განადგურებას, რაც გათვალისწინებულია ზემოხსენებული კოდექსის 1098-ე მუხლის მე-2 პუნქტით.

რაც შეეხება მოპასუხებებზე 7500 ლარის მატერიალური ზარალის დაკისრებას, აღნიშნული სასამართლო კოლეგიას არ მიაჩნია სწორად შემდეგ გარემოებათა გამო:

მართალია, სამოქალაქო კოდექსის 1096-ე მუხლის „დ“ პუნქტით გათვალისწინებულია, რომ ავტორს უფლება აქვს მოითხოვოს მისი უფლების დარღვევისათვის იმ შემოსავლის გადახდევინება, რომელიც დამრღვევმა მიიღო საავტორო უფლების დარღვევის შედეგად, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ არის დაზუსტებული, თუ რა შემოსავალი მიიღო ნ.დარჩიაშვილმა რეულის რეალიზაციის შედეგად: არ არის დადგენილი რეულის სარეალიზაციო ფასი და გაყიდული რეულების რაოდენობა. ამასთან საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სახაზინო საწარმო „თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკი“-ს შემოსავალი რეულის დაბეჭდვისაგან შეადგენდა 300 ლარს. ამდნად მასზე სოლიდარულად 7500 ლარის დაკისრება არასწორი იყო.

რაც შეეხება მოპასუხებებზე 1500 ლარის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად დაკისრებას, აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილება, როგორც

უკანონო, უნდა გაუქმდეს, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთვევაში, ხოლო მოცემული შემთხვევისთვის მორალური ზიანის ანაზღაურება კანონით არ არის გათვალისწინებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე, 386-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/5-99 გაუქმდეს იმ ნაწილში, რომლითაც სახაზინო საწარმო „თბილისის კარტოგრაფიულ ფაბრიკას“ და ნ.დარჩიაშვილს სოლიდარულად დაეკისრათ მორალური ზიანის ანაზღაურებად მოსარჩელისათვის 1500 ლარის გადახდა და ამ ნაწილში მოსარჩელეს სარჩელზე უარი ეთქვა.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხეებზე სოლიდარულად 7500 ლარის დაკისრების ნაწილში გაუქმდეს და ზელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს.
4. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.
5. განჩინებაზე შეიძლება საკასაციო საჩივრის შეტანა 1 თვის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში.



ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№3კ/279

11 აგვისტო, 2000 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და
გაკოტრების საქმეთა პალატამ

შემდეგი შემადგენლობით: ბ. ზიმშიაშვილი (თავმჯდომარე),

ქ. გაბელაია,

მ. ცისკაძე

დ. კვაჭანტირაძის მდივნობით

ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა მოსარჩელე თამარ წამალაიძის წარმომადგენელ ოთარ ბარათიას საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 14 მარტის განჩინებაზე, საქმეზე – თამარ წამალაიძის სარჩელის გამო მოპასუხე სახაზინო საწარმო „თბილისის პოლიგრაფიული ფაბრიკისა“ და ნატალია დარჩიაშვილის მიმართ – საავტორო უფლების დარღვევით მიყენებული ზიანისა და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე.

პალატამ მოისმინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ბეჟან ზიმშიაშვილის მოხსენება და

გ ა მ ო ა რ კ ე ბ ა

კასატორ თამარ წამალაიძემ სარჩელი აღძრა სახაზინო საწარმო თბილისის პოლიგრაფიული ფაბრიკისა და ნატალია დარჩიაშვილის მიმართ და მოითხოვა, მოპასუხეები მიჩნეული ყოფილიყვნენ საავტორო უფლების დამრღვევებად და დაკისრებოდნენ დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ მისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ნაშრომის „პირველი კლასის კალიგრაფიული რვეულის“ რე-

ალიზაცია და უკანონოდ გამოცემული ტირაჟის დარჩენილი ნაწილი გადაეცათ მოსარჩელესათვის. ასევე, მოითხოვა მიყენებული ზარალის ანაზღაურება 7500 ლარის ოდენობით, იმ მოტივით, რომ იგი არის ავტორი ნაშრომისა „პირველი კლასის კალიგრაფიული რვეული“. ეს ნაშრომი რეგისტრირებულია საავტორო უფლებათა და ინტელექტუალური საკუთრების საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს მიერ. საქართველოს საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს 1996 წლის 18 ივნისის №1-01/3-24 საინფორმაციო წერილის თანახმად, აღნიშნული ნაშრომის გამოცემისას მას მიეკუთვნება „საავტორო უფლებათა დაცვის“ საერთაშორისო ნიშანი ©.

ეს საქმე არაერთხელ იქნა განხილული სხვადასხვა დონის სასამართლოების მიერ. ბოლოს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა: „სახაზინო საწარმო თბილისის პოლიგრაფიულ სტამბას და ამავე სტამბის თანამშრომელ ნატალია დარჩიაშვილს მოსარჩელე თამარ წამალაიძის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 7500 ლარის გადახდა საავტორო და მომხრეზე უფლებათა დარღვევის შედეგად მიყენებული ზარალი და კომპენსაციის სახით 1500 ლარი მორალური ზიანის ანაზღაურება“.

რაინული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მოპასუხეებმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 14 მარტის განჩინებით მოპასუხეების სახაზინო საწარმო „თბილისის პოლიგრაფიული ფაბრიკის წარმომადგენლისა და ნატალია დარჩიაშვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. კერძოდ, გაუქმებულ იქნა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე იმ ნაწილში, რომლითაც სახაზინო საწარმო „თბილისის პოლიგრაფიულ ფაბრიკას და ნატალია დარჩიაშვილის სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელისათვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 1500 ლარის გადახდა და ამ ნაწილში სარჩელში უარი ეთქვა, ხოლო მოპასუხეებზე მატერიული ზარალის 7500 ლარის სოლიდარულად დაკისრების ნაწილში გადაწყვეტილება გაუქმდა და ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს.

მოსარჩელე თამარ წამალაიძის წარმომადგენელი ოთარ ბართია საკასაციო საჩივრით მოითხოვს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 14 მარტის განჩინების გაუქმებას იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ მოქმედი კანონის დარღვევით მიღებული განჩინებით გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინებით უარი უთხრა სარჩელის მოთხოვნას 1500 ლარის მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, ხოლო მატე-

რიალური ზარალის – 7500 – ლარის დაკისრების ნაწილში საქმე დააბრუნა განსახილველად გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში. კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე, 1017-ე, 1020-ე, 1031-ე და 1096-ე მუხლების მოთხოვნები.

პალატამ მოისმინა მხარეთა განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის მოტივები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით კასატორ თამარ წამალაიძის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ თავისი განჩინებით გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მოსარჩელეს, მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, მოპასუხებებზე 1500 ლარის დაკისრებაზე სარჩელში უარი უთხრა, ხოლო დანარჩენ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა პირველი ინსტანციის სასამართლოში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის თანახმად, განჩინება გამოიტანება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე არსებითად არ წყდება. მოცემულ შემთხვევაში კი, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეს უარი უთხრა განჩინებით, საქმე არსებითად გადაწყვიტა. თუ სააპელაციო სასამართლოს მიაჩნდა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები საშუალებას იძლეოდა არსებითად გადაეწყვიტა სასარჩელო მოთხოვნა, მაშინ 386-ე მუხლის შესაბამისად უნდა გამოეტანა ახალი გადაწყვეტილება. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ სარჩელის ერთ ნაწილს, ანუ მორალური ზიანის ანაზღაურებაზე მოსარჩელეს უარი უთხრა, ხოლო საავტორო უფლების დარღვევიდან გამომდინარე, მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, საქმე ახალი განხილვისათვის დააბრუნა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მაშინ, როდესაც ეს ორი დაუა თავისი იურიდიული ბუნებით ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ერთ სამართლებრივ საფუძველს ემყარება საავტორო უფლების დაცვის მარეგულირებელ ნორმებს, ამდენად, იგი სააპელაციო სასამართლოს ერთობლიობაში უნდა გადაეწყვიტა და არ უნდა განეცალკეებინა, არ გამოეყო. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველ ნაწილში ამომწურავად არის ჩამოთვლილი გარემოებები, რომელთა არსებობისას სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის. სააპელა-

ციო პალატის განჩინებაში არც ერთ ასეთ გარემოებაზე მითითებული არ არის, რის გამოც შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლის შემოწმება. განჩინება ემყარება მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების განხილვას, რომელთა შეფასებაც შეეძლო სააპელაციო სასამართლოს ისე, რომ არ დაებრუნებინა საქმე ხელახალი განხილვისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოში.

აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამართლის ნორმა, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, განჩინების გაუქმების საფუძველია.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბლისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 14 მარტის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას. განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.





გ ა დ ა ო მ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№22-263-2001

5 თებერვალი, 2001წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს ხამოქალაქო, სამეწარმეო და გა-
კორტების საქმეთა სააპელაციო პალატამ

შემდეგი შემადგენლობით: ლ.არჩვაძე (თავმჯდომარე),
მ.სულხანიშვილი,
თ.კილანავა

ნ.ნებიერიძის მღივნობით

აპელანტი: სახაზინო საწარმო თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკის
დირექტორის, ამჟამად, სააქციო საზოგადოება „კარტოგრაფიის“ დირექტორის
ო.საბანაძის, მეორე აპელანტის ნატალია დარჩიაშვილის მონაწილეობით

განიხილა სახაზინო საწარმო თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკის,
ამჟამად ს/ს „კარტოგრაფიის“ დირექტორის ო.საბანაძის და ნატალია დარ-
ჩიაშვილის სააპელაციო საჩივარი თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონუ-
ლი სასამართლოს 1999 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, სამო-
ქალაქო საქმეზე – თამარ წამალაიძის სარჩელზე მოპასუხეების: სახაზინო
საწარმო თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკის და ნატალია დარჩიაშვილის
მიმართ, საავტორო უფლებათა დარღვევის შედეგად მიყენებული ზარალის
ანაზღაურების შესახებ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ განიხილა
თამარ წამალაიძის სარჩელი მოპასუხეების სახაზინო საწარმო თბილისის
კარტოგრაფიული ფაბრიკის და ნატალია დარჩიაშვილის მიმართ, საავტორო
უფლებათა დარღვევის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახ-

ებ და 1999 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

სახაზინო საწარმო თბილისის კარტოგრაფიის სტამბას და ამავე სტამბის თანამშრომელ ნატალია დარჩიაშვილს გადახდა სოლიდარულად თამარ წამალაიძის სასარგებლოდ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევის შედეგად მიყენებული ზარალის 7500 ლარის ოდენობით.

მათვე გადახდათ კომპენსაციის სახით თამარ წამალაიძის სასარგებლოდ 1500 ლარი მორალური ზიანისათვის, ასევე აეკრძალათ თბილისის კარტოგრაფიის სტამბას საავტორო სამართლით დაცული თამარ წამალაიძის მიერ ავტორის უფლების გარეშე ნაშრომის „პირველი კლასის კალიგრაფიული რეგული“ ტოპოგრაფიული გამოშვება.

ამოღებული იქნა სავაჭრო ქსელიდან ავტორის თამარ წამალაიძის საავტორო უფლების გარეშე კონტრაფრაქციულად გამოცემული ნაშრომი „პირველი კლასის კალიგრაფიული რეგული“, რომელიც უნდა განადგურდეს.

მიიჩნეოს რა სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება უკანონოდ, თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკის დირექტორმა ო.საბანაძემ და ნატალია დარჩიაშვილმა სააპელაციო საჩივრით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას და მოითხოვეს გაუქმდეს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე განხილულ იქნეს ხელახლა და მოსარჩელე თამარ წამალაიძეს უარი ეთქვას საავტორო უფლებათა დარღვევის შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე.

სააპელაციო საჩივრის განხილვისას სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე თ.წამალაიძე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების სრული დაცვით.

თ.წამალაიძეს ჩაბარდა შეტყობინება სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადების თაობაზე 2000 წლის 15 დეკემბერს, სასამართლოს მთავარი სხდომის ჩატარებამდე 20 დღით ადრე. ამასთანავე, ეს უკანასკნელი გაფრთხილებული იქნა იმის თაობაზე, რომ სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოტანილი იქნებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მიუხედავად აღნიშნულისა, თ.წამალაიძე არ გამოცხადდა სასამართლოს სხდომაზე და არც უცნობებია სასამართლოსათვის გამოუცხადებლობის მიზეზი.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადდნენ აპელანტები: სახაზინო საწარმო თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკის, ამჟამად სს „კარტოგრაფიის“ დირექტორი ო.საბანაძე და ნ.დარჩიაშვილი, რომელთაც მოითხოვეს, რომ გამოტანილი იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, რომლითაც დაკმაყოფილდეს მათი სააპელაციო

საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის აზრი დაუსწრებელი გადაწყვეტილებ-
ის გამოტანისას. კოლეგიამ იჩირინაშვილის სარჩელის დაკმაყოფილებაზე
უარის თქმისას ანგარიში გაუწია არა საქმეში უზენაესი სასამართლოს პრო-
ტესტის და პრეზიდიუმის დადგენილების არსებობის ფაქტს, არამედ კანონზე
დამყარებულ სწორ იურიდიულ შეფასებას, რაც მოცემულია აღნიშნულ პრო-
ტესტსა და პრეზიდიუმის დადგენილებაში.

მოსარჩელე საჩივარში „უადგილოდ“ მიიჩნევს სასამართლოს მიერ ბერ-
ნის კონვენციის მოშველიებას, ეს მაშინ როცა საქართველო ბერნის კონ-
ვენციის წევრია და იგი ვალდებულია დაიცვას ამ კონვენციის მოთხოვნები
(მუხ.36).

მოსარჩელე, გადაწყვეტილების გაუქმების საკითხს იმ მოტივითაც აყ-
ენებს, რომ მთავარ „სხდომაზე სასამართლოს მიერ სსკ-ს 70-78 მუხლების
შესაბამისად გამოძახებული არ ყოფილა სახელმწიფო ფილარმონია“, ეს
მაშინ როცა იმავე საჩივრის მე-5 გვერდზე აღნიშნულია, რომ მოსარჩელეს
შუამდგომლობით კოლეგიამ მოსამზადებელ სხდომაზე „მოპასუხეებიდან გამორ-
იცხა“ სახელმწიფო ფილარმონია. საჩივრის დაუსაბუთებლობა და წინააღმ-
დეგობა აქედანაც ნათლად ჩანს.

მოსამართლე სადავოდ ხდის მესამე პირის პოზიციას. ეს მაშინ, როცა
მოსარჩელემ იშუამდგომლა რა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე,
მესამე პირმა საბოლოოდ მოითხოვა იჩირინაშვილის სარჩელის დაკმაყოფილე-
ბაზე უარის თქმა და სიმღერის ავტორად გ.ვასაძის ცნობა და სარეგისტრაციო
ბარათებში სათანადო ცვლილებების შეტანა, რამაც ასახვა ჰპოვა დაუსწრებელ
გადაწყვეტილებაში. მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მის მიერ
დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე შუამდგომლობის აღძვრის შემთხ-
ვევაში აუცილებელი ყოფილიყო მესამე პირის ანალოგიური შუამდგომლობა,
კანონის მოთხოვნას არ ემყარება. მესამე პირის სარჩელი ორგანულადაა დაკავ-
შირებული ძირითად სარჩელთან, რის გამოც დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში
ორივე სასარჩელო მოთხოვნამ ჰპოვა ასახვა. სწორედ ამიტომ სასამართლოს
დაუსწრებელი გადაწყვეტილებით არ მიუკუთვნებია პირისათვის ამაზე მეტი
ვიდრე ის მოითხოვდა და ის რაც მას არ მოუთხოვია. ე.ი. კონკრეტულ
შემთხვევაში სსკ-ს 218-ე მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ადგილი არ
აქვს ასევე საჩივარში მითითებული საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხ-
ლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევას.

საჩივრის დაუსაბუთებლობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ მოსარ-
ჩელე ერთი მხრივ უკმაყოფილებას გამოთქვამს სახელმწიფო მუზეუმში ჩატარე-
ბული დათვალიერების შედეგების გაუთვალისწინებლობის გამო, ხოლო მეორე
მხრივ, მოსარჩელე გაკვირვებას გამოთქვამს თუ რომელი საპროცესო ნორმით
ხელმძღვანელობდა მოსამართლე, როცა თავად ადგენდა დათვალიერების ოქმს.

საჩივარი, გაუქმება თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება და მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას საავტორო უფლებათა დარღვევის შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 236-ე და 237-ე მუხლებით,

გ ა ლ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დაკმაყოფილდეს სახაზინო საწარმო თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკის, ამჟამად სააქციო საზოგადოება „კარტოგრაფიის“ დირექტორის ო.საბანაძის და ნ.დარჩიაშვილის სააპელაციო საჩივარი მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო.

2. გაუქმდეს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება.

3. უარი ეთქვას მოსარჩელე თამარ წამლაიძეს საავტორო უფლებათა დარღვევის შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე.

4. დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში, მხარისათვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

**არქიტექტურულ პროექტზე საავტორო უფლების
დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება**



**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით**

№2/644

22 ივნისი, 2001წ., ქ. თბილისი

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კოლეგიამ
შემდეგი შემადგენლობით: დ.დოიჯაშვილი (თავმჯდომარე),
წევრები: ს.მუმლაძე,
ნ.კვანტალიანი

განიხილა ადმინისტრაციული საქმე გიორგი გეგეშიძის, ვლადიმერ სიმონიას და სს „საქქალაქმშენპროექტი“-ს სარჩელის გამო სს „ოტელი-თბილისი“-ს და არქიტექტურის საქალაქო სამსახურის სს „ოტელი-თბილისი“-ს საავტორო უფლებათა დამრღვევად ცნობის, არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 1999 წლის 9 ოქტომბრის კონკურსის შედეგების ბათილად ცნობის, მიუღებელი შემოსავლის 59625 აშშ დოლარის, წარმომადგენლობის 14750 აშშ დოლარის და მორალური ზიანის 20000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების თაობაზე.

მოსარჩელების: გ. გეგეშიძის, ვ.სიმონიას, სს „საქქალაქმშენპროექტის“ წარმომადგენლების ო.ბართიას და გ.ხომერიკის

მოპასუხე: სს „ოტელ-თბილისის“ წარმომადგენლის გ.გოგიშვილის; არქიტექტურის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლების ლ.ბენიძის და ნ.სვანიძის, მესამე პირის ვ.ცინცაძის მონაწილეობით

მოსარჩელეთა მოთხოვნა დასაბუთებულია შემდეგით: მხარემ თავის სასარჩელო განცხადებაში სასამართლოს განუმარტა, რომ ქ.თბილისში 1991 წლის 22 დეკემბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე მომხდარი მოვლენების შედეგად, დანგრეული, დამწვარი და დაზიანებული შენობების აღდგენა-

რეკონსტრუქციის მიზნით, შეიქმნა საპროექტო ღონისძიებათა შემუშავებელი კომისია, რომელმაც შეიმუშავა არქიტექტურული კონკურსების ჩატარების პროგრამა და პირობები, რის შედეგადაც 1992 წლის 19 მარტს გამოცხადდა არქიტექტურული კონკურსები საუკეთესო პროექტის გამოსავლენად, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო „კონკურსი თავისუფლების მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტზე“. კონკურსების ფიური დაადგენდა ავტორს ან ავტორთა ჯგუფს, ვისაც ჯილდოდ მიეცემოდა პროექტის შემდგომი დამუშავების უფლება. ფიურის გადაწყვეტილებით ეს უფლება 1992 წლის 30 ივლისს მიენიჭა არქიტექტორ გ.გეგეშიძის საავტორო კოლექტივს, რაც მოიცავს შემდეგს: 1. დაგეგმარება-განაშენიანების ესკიზური პროექტი; 2. განაშენიანების „პროექტი“; 3. განაშენიანების მუშა დოკუმენტაცია. კონკურსის ჩატარების შედეგად, გამარჯვებულ კოლექტივს თბილისის მერია, ხოლო შემდეგ, 1994 წლის 24 თებერვლიდან სს „თბილისისიტი“, როგორც გენ-დამკვეთი ავალდებულებდა, ხოლო ავტორები ვალდებულნი იყვნენ, დაეპროექტებინათ ობიექტები ზემოთაღნიშნული „არქიტექტურულ-გეგმარებითი მოთხოვნების“ მიხედვით ჩამოყალიბებული პროგრამით, რაც გამოიხატა კიდევაც სხვადასხვა დამკვეთებისათვის გენგეგმის ეტაპის დამუშავებაში, ორი საცხოვრებელი სახლის დაპროექტებაში და განხორციელებაში, ეროვნული ბანკის რეკონსტრუქციის პროექტისა და სხვა საპროექტო წინადადებების დამუშავებაში. ყოველივე ზემოხსენებული ნიშნავს იმას, რომ იმ ტერიტორიაზე, რომელიც შემოსაზღვრულია თავისუფლების მოედნით, ლეონიძისა და ინგოროყვას ქუჩებით, გენგეგმისა და ყველა ასაშენებელი ობიექტის დაპროექტება უნდა წარმართულიყო კონკურსში გამარჯვებული საავტორო კოლექტივის მიერ. 1999 წლის 16 ივლისს, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროში, გაერთიანებული საბჭოს სხდომაზე მიღებული და მოწონებული იქნა ასევე ავტორების მიერ წარმოდგენილი თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების პროექტის კორექტირებული ვარიანტი. ავტორთა ჯგუფის საავტორო უფლებების უზრუნველსაყოფად დამკვეთს – მოპასუხე სს „ოტელ-თბილისს“ უნდა წარედგინა ამავე ავტორების მიერ დამუშავებული თავისუფლების მოედნის წინა ზოლის მოშენების ესკიზური პროექტი, როგორც შემადგენელი ნაწილი ზემოთხსენებული განაშენიანების პროექტისა. კონკურსში გამარჯვებულ ავტორთა ჯგუფის განაშენიანების პროექტი საბოლოოდ რეგისტრირებული იქნა საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს მიერ. მოსარჩელე მხარის განცხადებით, საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლისთანავე, საქართველოს კანონის „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ მე-9 მუხლის თანახმად, არქიტექტორები გ.გეგეშიძე და ე.სიმონია არიან განსაკუთრებული საავტორო უფლებათა მფლობელები და

ამავე კანონის პიველი მუხლის მიხედვით მათი საავტორო-ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები დაცულია კანონით. შესაბამისად მათი დავის საგანს ზემოაღნიშნულ პროექტზე საავტორო უფლებების დაცვა წარმოადგენს. სს „ოტელ-თბილისმა“ შეისყიდა რა მიწის ნაკვეთი თავისუფლების მოედანი №4-ში სს „უძრავი ქონების კომპანია“-საგან, რომელსაც იგი 99 წლით სარგებლობის უფლებით ჰქონდა გადაცემული მერიისაგან, იმის მაგივრად, რომ საავტორო უფლებების მქონე კოლექტივთან გაეფორმებინა ხელშეკრულება თანახმად საქ. კანონის „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ მე-12 მუხლის მე-4 პუნქტისა, 1999 წლის 9 ოქტომბერს გამოცხადდა კონკურსი თავისუფლების მოედანზე მრავალფუნქციური შენობის ესკიზურ პროექტზე. ამ კონკურსის გამოცხადებას საფუძვლად დაედო სს „ოტელ-თბილისის“ ამერიკელი პარტნიორის მიერ შესასრულებელი ესკიზური პროექტი, რომელიც დამუშავებულია არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების გარეშე (რითაც დარღვეულია საქ. კანონის „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ მე-3 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 პუნქტი) დარღვეულია მათი, მოსარჩელების საავტორო უფლებები, რაც გამოიხატება ავტორებთან შეუთანხმებლად საავტორო უფლებით დაცულ პროექტში მთელი რიგი პრინციპული ცვლილებების შეტანაში და ამავე დროს პლაგიატში, რაც აისახა ავტორების მიერ დამუშავებული განაშენიანების პროექტის ფრაგმენტების გამოყენებაში (რითაც დარღვეულია კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ მე-18 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები). ამ საკითხთან დაკავშირებით სს „საქქალაქმშენაროექტმა“ 1999 წლის 20 ოქტომბერს გას. №დ-4-160 წერილი გაუგზავნა ქ.თბილისის მთავარ არქიტექტორს, 1999 წლის 21 ოქტომბერს გას. №დ-4-162 სს „ოტელ-თბილისის“ გენერალურ დირექტორს, ხოლო საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტომ 1999 წლის 17 ნოემბერს გას. №4-3015054 გაგზავნილი წერილით საქმის კურსში ჩააყენა ქ.თბილისის მერი, ასევე კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე. საქართველოს კანონის „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მერიის არქიტექტურული სამსახური უნდა მონაწილეობდეს არქიტექტორთა უფლებების დაცვაში და თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს არქიტექტორთა შემოქმედებითი თავისუფლება. კანონის ამ მოთხოვნის საწინააღმდეგოდ მოპასუხე გასცდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს და გამოაცხადა კონკურსი იმ ობიექტების პროექტებზე, რომლის უფლება განსაკუთრებულ საავტორო უფლებათა მფლობელობას ეკუთვნის. რაც შეეხება ახალ კონკურსს, მოსარჩელე მხარის განცხადებით იგი არის არასამართლიანი. ეს კონკურსი გამოცხადდა ჯერ კიდევ 1992 წლის კონკურსის პროგრამის მოქმედების არეში. პროექტები დიამეტრულად განსხვავდებიან ერთმანეთის-

აგან, რამაც გამოიწვია დაპირისპირება, რაც ყოვლად მიუღებელია როგორც არქიტექტურულ-გეგმარებით, ასევე ინტელექტუალური საკუთრების პოზიციებიდან. აღნიშნული კონკურსით, მოსარჩელე მხარის განმარტებით, შეილახა მათი როგორც მატერიალური ასევე მორალური ინტერესებიც, რადგან 1992 წლის კონკურსის შედეგებით ისინი გარანტირებული იყვნენ პრესტიჟული საპროექტო სამუშაოებით, რაც წარმოადგენდა საპროექტო ჯგუფისათვის შემოსავლის წყაროს. კონკურსის შედეგებმა არ დააკმაყოფილა ჟიურის წევრები და რაც მთავარია ჟიურის თავმჯდომარე, რომელმაც ხელი არ მოაწერა ოქმს. ავტორებს რეკომენდაცია მიეცათ შეეცვალათ თავიანთი პროექტები და დაეახლოვებინათ ისინი 1999 წლის 16 ივლისს მიღებული გეგეშიძისა და სიმონიას პროექტთან. ამ კონკურსის ჩატარების აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ ზოგიერთ არქიტექტორს ჩაეგდო ხელში პრესტიჟული დაკვეთა, რაც გამოიხატა კიდევ არქიტექტორ ვ.ცინცაძის მიერ ამ კონკურსში მონაწილეობის მიღებაში. მოსარჩელე მხარის განცხადებით ყოველივე ზემოაღნიშნულმა ქმედებებმა შელახეს მათი კონსტიტუციური უფლება (შრომის უფლება), რაც გამოიხატა მათზე ჯილდოს სახით გადაცემული თავისუფლების მოედნის №4-ის შემდგომი განაშენიანების უფლების ფაქტიურად ჩამორთმევაში, რამაც შელახა მათი ავტორიტეტი, პატივი და ღირსება და მიაყენა მორალური ზიანი. სს „ოტელ-თბილისის“ მიერ საავტორო უფლებების მფლობელებთან ხელშეკრულების დაუდებლობამ და ახალი კონკურსის გამოცხადებამ გამოიწვია მისი არაკანონიერი ქმედება, რაც გამოიხატა შემდეგში: დარღვეულია და დღესაც ირღვევა საქართველოს კანონის „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ 1-ლი, მე-2-5, მე-9, მე-12 მუხლებისა და საქართველოს კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ დაცული უფლებები, კერძოდ: 1-ლი, მე-3, მე-5, მე-10, მე-17, მე-18, 31-ე, 58-ე და 59-ე მუხლებით დაცული საავტორო უფლებებისა. დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მე-3 და 23-ე მუხლები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თვლის რა სარჩელს დასაბუთებულად, მოსარჩელე მხარე ითხოვს: 1. საქართველოს კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ 58-ე მუხლის მიხედვით მოპასუხეები ჩაითვალოს საავტორო უფლებების დამრღვევად; 2. სს „ოტელ-თბილისისა“ და საქალაქო სამსახურის მიერ 1999 წლის 9 ოქტომბერს გამოცხადებული კონკურსის შედეგები ბათილად იქნეს ცნობილი; 3. დაევალოს მოპასუხე სს „ოტელ-თბილისის“ ხელმძღვანელობას, მოახდინოს მოსარჩელების კანონით მინიჭებული საავტორო უფლებებით დაცული პროექტის რეალიზაცია, ხოლო მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში დაეკისროს მოპასუხეს სოლიდარულად განსაკუთრებული საავტორო უფლებების მფლობელებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება შესაძლო მიუღებელი შემოსავლის სახით სს „საქალაქმშენპროექტიდან“ 1999 წლის

22 ნომბრის დას. №დ-4-182 გაგზავნილი გაანგარიშების მიხედვით, 59 625 აშშ დოლარის ოდენობით; 4. ძირითად სასარჩელო თანხას 59 625 აშშ დოლარს დაემატოს წარმომადგენლებისათვის გადასახდელი თანხა 14 750 აშშ დოლარი და 20 000 აშშ დოლარი მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის, სულ 9 4375 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ლარებში.

მოპასუხე სს „ოტელ-თბილისის“ წარმომადგენელმა გ.გოგიშვილმა სარჩელი არ სცნო შემდეგი მოტივებით: 1992 წელს კონკურსი გამოცხადდა ქ.თბილისის მერიის მიერ. კონკურსის მიზანს წარმოადგენდა ქ.თბილისში, თავისუფლების მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციის მიზნით საუკეთესო იდეის გამოვლენა. კონკურსის ფიურის უნდა დაედგინა იდეის ავტორი ან ავტორთა ჯგუფი, რომელსაც ჯილდოდ მიენიჭებოდა პროექტის შემდგომი დამუშავების უფლება. კონკურსის მიზანი შემოფარგლული იყო ქალაქგეგმარებითი ასპექტებით. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ზორცშესხმულია ნაწარმოებში. მოსარჩელები აცხადებენ, რომ მათ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტისაგან მიიღეს დათქმული ჯილდო, ანუ თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების პროექტის დამუშავების დაკვეთა. აქვე დგება მეორე საკითხი, შეასრულეს თუ არა მოსარჩელებმა ეს დაკვეთა, ანუ შექმნეს თუ არა არქიტექტურული პროექტი, რომელიც საავტორო უფლებებით იქნებოდა დაცული. მოსარჩელეთა მიერ შექმნილ განაშენიანების პროექტს არ აქვს დასრულებული სახე, რადგან იგი არ არის დამტკიცებული დადგენილი წესით და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტს, როგორც განაშენიანების პროექტის დამკვეთს, არ მიუღია გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ დაკვეთა ჩაითვალოს შესრულებულად და მოხდეს მისი ქალაქის გენერალურ გეგმაში ჩართვა. აღნიშნულ ქმედებამდე შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, მათ შორის პირველ რიგში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტს და არქიტექტურის საქალაქო სამსახურს, სრული უფლებამოსილება გააჩნიათ მოსთხოვონ მოსარჩელებს განაშენიანების პროექტში ცვლილებების შეტანა და მოსარჩელები ვალდებული არიან გაითვალისწინონ ეს მოთხოვნები. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტი ან ნებისმიერი სხვა პირი არ არის ვალდებული არ გამოიყენოს ან არ შეცვალოს მოსარჩელეთა განაშენიანების პროექტი მათი თანხმობის გარეშე, არამედ პირიქით, მოსარჩელები არიან ვალდებული გაითვალისწინონ და შეასრულონ დამკვეთის (თბილისის მუნიციპალიტეტი) მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში დაკვეთა ვერ ჩაითვლება შეს-

რულებულად. არ იქნება სახეზე საავტორო უფლებებით დაცული ობიექტი – არქიტექტურული პროექტი, ანუ მოსარჩელეთა განაშენიანების პროექტი ამ ეტაპზე მხოლოდ 1992 წელს გამარჯვებული იდეის დამუშავების სტადიაზეა და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტი როგორც დამკვეთი მიიღებს შესრულებას და ჩართვას მას ქალაქის გენერალურ გეგმაში, სახეზე იქნება არქიტექტურული პროექტი, რომლის ავტორები არიან მოსარჩელები, ხოლო მესაკუთრე და ყველა ქონებრივი საავტორო უფლების მფლობელი იქნება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტი. მოსარჩელები ვერ დაეყრდნობიან საავტორო კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებს. ასეთ ვითარებაში შეუძლებელია სს „ოტელ-თბილისი“ ან თუნდაც ნებისმიერი სხვა პირი მოსარჩელების საავტორო უფლებების დამრღვევად იქნეს მიჩნეული. სს „ოტელ თბილისის“ მიერ არც პროექტის დამუშავების უფლებაა დარღვეული. მოსარჩელები ვერ უთითებენ მათი ამ უფლების დარღვევის დამადასტურებელ ვერც ერთ კონკურენტულ ფაქტს. მოსარჩელები კვლავ აგრძელებენ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაკვეთილი განაშენიანების პროექტის დამუშავებას და გააგრძელებენ მანამ, ვიდრე ძალაში იქნება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის დაკვეთა. დაუსაბუთებელია მოსარჩელეთა მოთხოვნა სს „ოტელ თბილისის“ მიერ 1999 წელს გამოცხადებული კონკურსის შედეგების ბათილობის თაობაზე. სს „ოტელ თბილისმა“ 1999 წელს გამოაცხადა კონკურსი, რაც შეთანხმებული იყო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტთან და არქიტექტურის საქალაქო სამსახურთან. ზემოაღნიშნულ ორგანოებთან შეთანხმების აუცილებლობა განპირობებული იყო იმით, რომ სწორედ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის, როგორც ქალაქის გენერალური გეგმის განმსაზღვრელისა და მესაკუთრის, კომპეტენციაა განსაზღვროს ნებისმიერ ობიექტზე ქალაქგეგმარებითი მოთხოვნები და ასპექტები.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა და არქიტექტურის საქალაქო სამსახურმა განუსაზღვრეს სს „ოტელ თბილისის“ ქალაქგეგმარებითი მოთხოვნები, გენერალური გეგმა, რომლებიც სს „ოტელ თბილისმა“ შეიტანა მის მიერ გამოცხადებულ კონკურსის პირობებში. სს „ოტელ თბილისი“ ვალდებული იყო გაეკეთებინა ეს მიუხედავად იმისა თუ ვინ იქნებოდა გენ.გეგმის ავტორი. თავის მხრივ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია დამოუკიდებლად, ავტორის ვინაობის მიუხედავად, მიიღოს გადაწყვეტილება გენ.გეგმის გამოყენებაზე. უსაფუძვლოა ასევე მოსარჩელეთა მტკიცება, რომ მათ მიერ დამუშავებული განაშენიანების პროექტის საკონკურსო პირობებში ჩართვა წარმოადგენდა სს „ოტელ თბილისის“ მიერ ამ პროექტის უკანონო გამოყენებას, რადგან არ იყო შეთანხმებული ავტორებთან. სს „ოტელ თბილისმა“ გენერალური გეგმა შეიტანა საკონკურსო პირობებში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის, როგორც ამ გეგმის მესაკუთრის მოთხოვნით. მოსარჩელები

მიიჩნევენ, რომ ეს საკითხი მათთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული. მათ ეს პრეტენზია უნდა წაუყენონ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტს და არა სს „ოტელ თბილისს“, ამ შემთხვევაში სს „ოტელ-თბილისი“ არასათანადო მოპასუხეა. თუმცა მოსარჩელებს პრეტენზია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტთან არ იქვთ. თუკი მოსარჩელები თვლიან, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტს მათი უფლებები არ შეუღახავს, მაშინ მით უფრო აბსურდული ხდება მოსარჩელეთა მტკიცება სს „ოტელ თბილისის“ მიერ მათი უფლებების დარღვევის თაობაზე. მოსარჩელეთა მხრიდან მუნიციპალიტეტის მიმართ პრეტენზიების არარსებობა სწორედ იმას მიუთითებს, რომ ისინი აღიარებენ მათ მიერ დამუშავებულ პროექტზე მუნიციპალიტეტის საკუთრებისა და მათ შორის ქონებრივი სააქტორო უფლებების გადასვლის ფაქტს. სს „ოტელ თბილისმა“ დაიცვა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მოთხოვნები და კანონით დადგენილი წესით გამოაცხადა კონკურსი. კომპეტენტურმა უიურიმ შეაფასა წარმოდგენილი ნამუშევრები და გამოავლინა კიდევ გამარჯვებულები. საბოლოოდ გამარჯვებული პროექტი შეთანხმებული და დამტკიცებული იქნა კანონით დადგენილი წესით. იმავდროულად პროექტი სრულად აკმაყოფილებს სს „ოტელ თბილისის“ როგორც ამ პროექტის დამკვეთისა და მესაკუთრის მოთხოვნებს. რაც შეეხება თავად გამარჯვებულ პროექტს, რომლის ავტორია ვ.ციცაძის ჯგუფი და რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს მშენებლობა სს „ოტელ თბილისის“ მიერ, არც ამ პროექტით შეღახულა მოსარჩელეთა სააქტორო ან რაიმე სხვა უფლება, რაც დასტურდება ექსპერტის დასკვნითაც. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 1992 წლისა და 1999 წლის კონკურსების მიზანი და ამოცანები აბსოლუტურად განსხვავებულია. მოსარჩელები ვერ ასაბუთებენ სს „ოტელ თბილისის“ მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგად მათი უფლებების დარღვევას, იმავდროულად ისინი ვერ უთითებენ კანონის ვერც ერთ ნორმას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია სს „ოტელ თბილისის“ მიერ გამოცხადებული კონკურსი ბათილად იქნეს მიჩნეული. შესაბამისად, არ არსებობს ამ კონკურსისა და მისი შედეგების ბათილობის საფუძველი. რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების დაკისრებას და ამ ზიანის ოდენობას, მოპასუხის განმარტებით, გამომდინარე იქიდან, რომ სს „ოტელ თბილისს“ არ დაურღვევია მოსარჩელეთა უფლებები, ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველიც არ არსებობს. გარდა ამისა, დაუსაბუთებელია თავად ზიანის ოდენობაც, მიუღებელი შემოსავლის და წარმომადგენლობისათვის გადასახდელი თანხის სახით მოთხოვნილი გადახდის დაკისრებაზე, რადგან მოსარჩელებს არ წარმოუდგენიათ არც ერთი დოკუმენტი, რომელიც საფუძველად დაედებოდა მათ ამ მოთხოვნას. ასევე დაუსაბუთებელია მორალური ზიანიც. სს „ოტელ

თბილისმა“ ითხოვა უარი ეთქვას მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნას უსაფუძვლოების გამო.

მოპასუხე, არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის წარმომადგენელმა ლბენიძემ სარჩელი არ სცნო და სასამართლო პროცესზე განმარტა: 1992 წელს კონკურსი გამოცხადდა თავისუფლების მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციის მიზნით, რომლის დროსაც ჟიური დაადგინდა იდეის ავტორს ან ავტორთა ჯგუფს, რომელთაც ჯილდოდ მიენიჭებოდათ პროექტის შემდგომი დამუშავების უფლება ანუ კონკურსის ძირითადი ამოცანა იყო დაზიანებული კვარტლის მოცემულ საზღვრებში თავდაპირველად განაშენიანების ესკიზური პროექტის დამუშავება და დადგენილი წესით შეთანხმება, რის შემდეგ დაზუსტდებოდა არქიტექტურულ-გეგმარებითი მოთხოვნები ცალკეულ ობიექტებზე. გეგეშიძემ და სიმონიამ მერიის დაკვეთით მართლაც დააპროექტეს და განახორციელეს ორი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ხოლო შემდგომ ტერიტორია გასხვისდა და ცალკეული ობიექტები გადავიდა იურიდიული და ფიზიკური პირების საკუთრებაში, კონკრეტულ შემთხვევაში კი სს „ოტელ-თბილისის“ საკუთრებაში, რომელმაც 1999 წელს თავის მხრივ მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გამოაცხადა კონკურსი, სადაც გაიმარჯვა ელადიმერ ცინცაძის ჯგუფმა. კონკურსი კი გამოცხადდა ყველა საჭირო წესებისა და პირობების დაცვით. ე.ი. აღნიშნულ ტერიტორიაზე გეგეშიძესა და სიმონიას არ ჰქონიათ არანაირი დაკვეთა და არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, რომლებიც წარმოადგენენ კიდევ პროექტის შექმნის საფუძველს. რაც შეეხება არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებას ანუ სამშენებლო პასპორტს, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობაზე დადგენილი წესით გაიცა სააქციო საზოგადოება „თბილისის-სიტიზე“ 1996 წელს. არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება გაიცემა კონკრეტულ ობიექტზე, შენობაზე და არა ამა თუ იმ მესაკუთრეზე, რაც დასტურდება კიდევ „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ პუნქტით, რომლის თანახმად, არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება ეს არის საქართველოს კანონმდებლობით, ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტების კომპლექსითა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების ერთობლიობა, რომელიც ადგენს არქიტექტურული ობიექტის დანიშნულებას, მის პარამეტრებს და სხვა. ამიტომ თარიღს ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ვინაიდან მაშინაც სამშენებლო პასპორტი ერქვა არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებას და დღესაც ასე ჰქვია და იგივე პუნქტები და მოთხოვნებია გათვალისწინებული მასში. გამომდინარე აქედან, უსაფუძვლოა მოსარჩელეთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თითქოს არ არსებობს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება გაცემული „ოტელ-თბილისზე“

და ისინი მშენებლობას აწარმოებენ უკანონოდ, პირიქით, არსებობს ყველა საჭირო დოკუმენტაცია მშენებლობისათვის.

მესამე პირად საქმეში ჩაბმულმა შპს „ფრესკას“ წარმომადგენელმა ცინცაძემ სარჩელი არ ცნო და განმარტა: ჩატარდა კონკურსი, მიიღო მონაწილეობა. ფიურის მოეწონა მისი პროექტი და გაიმარჯვა. მისივე განმარტებით იგი მის ქმედებაში დანაშაულს ვერ ხედავს.

მხარეთა მოსაზრებისა და საქმის მასალების ანალიზით სარჩელი უსაფუძვლოა და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ 1992 წლის 4 მარტს ქთბილისის მერიამ და „თბილქალაქპროექტმა“ გამოაცხადა არქიტექტურული კონკურსი რუსთაველის პროსპექტისა და მისი მიმდებარე უბნების აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტებზე. კონკურსის ფიურის უნდა დაედგინა იდეის ავტორი ან ავტორთა ჯგუფი, ვისაც ვიღღოდ მიენიჭებოდა პროექტის შემდგომი დამუშავების უფლება.

თავისუფლების მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტების კონკურსის ფიურის 1992 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით თავისუფლების მოედნის, ლეონიძის და ინგოროყვას ქუჩებს შორის მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების პროექტირების წარმართვის უფლება მიენიჭა არქიტექტორ გ.გვეგეშიძის საავტორო ჯგუფს.

ასევე დადგენილია, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი „ფიზიკური პირებისა და კერძო იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის, თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 9 ოქტომბრის №20.31.1187 დადგენილებისა და ქთბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1998 წლის 21 სექტემბერს გაცემული მიწის ნაკვეთის გვეგეშის საფუძველზე, მშენებლობის უფლებით საკუთრებაში გადაეცა სს „თბილისის უძრავი ქონების კომპანია“.

1999 წლის 7 აგვისტოს სს „თბილისის უძრავი ქონების კომპანია“ და სს „ოტელ-თბილისს“ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით ზემოთ მითითებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე გახდა სს „ოტელ-თბილისი“, რომელმაც უძრავი ქონება შეიძინა სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების მეორე პუნქტით დაფიქსირებულია გამყიდველის გარანტია, „რომ მიწის ნაკვეთი არაავისზე არ არის გაყიდული, არ არის იპოთეკით ან სხვა ვალდებულებით დატვირთული“.

1999 წლის 9 ოქტომბერს სს „ოტელ-თბილისმა“ გამოაცხადა ღია

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის შინაარსისათვის უცხოა მსჯელობა იმის შესახებაც, რომ როგორც საჩივარში აღნიშნული უზენაესმა სასამართლომ პროტესტი შეიტანა „საქმეში შემთხვევით გაჩენილი მე-2 ტომის საფუძველზე“, რომ „თავად საქალაქო სასამართლო თავისი სტატუსით ვერ ჩაითვლება საოლქო სასამართლოზე მაღლა მდგომ ორგანოდ“.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ი.ჩირინაშვილის წარმომადგენლების საჩივარი სსკ-ს 239-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად არ არის დასაშვები.

კოლეგიამ იხელმძღვანელა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტებით,

და ა ა დ გ ი ნ ა

ი.ჩირინაშვილის წარმომადგენლების საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000წ. 18 თებერვლის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე არ იქნეს მიღებული.

განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.



ბ ა ნ ჩ ი ნ მ ბ ა

საქართველოს სახელით

№02ა/70

31 მარტი, 2000წ., ქ.თბილისი

ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით:

გ.გულედიანი (თავმჯდომარე),

ქ.დუგლაძე,

დ.თოდრაძე

განიხილა რა ირინა ჩირინაშვილის სარჩელი სააპელაციო და მომიჯნავე უფლებების სახელმწიფო სააგენტოსთან, მესამე პირი მ.ბერიძე, დარღვეული

არქიტექტურული კონკურსი მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომელშიც სხვა პირებთან ერთად მონაწილეობდნენ მოსარჩევეები კონკურს-გარეშე, მათივე მოთხოვნით. კონკურსის უიურის მიერ გამარჯვებულად გამოცხადდა პროექტი შპს „ფრესკას“ ავტორობით, რის შემდეგაც სს „ოტელ-თბილისისა“ და შპს „ფრესკას“ შორის დაიდო ხელშეკრულება პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებით და ანალიზით დასტურდება, რომ მოპასუხე სს „ოტელ-თბილისის“ მიერ 1999 წელს გამოცხადებულ კონკურსის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის და არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ დადგენილი ქალაქის გენერალური გეგმიდან გამომდინარე ქალაქგეგმარებითი მოთხოვნების და ასპექტების გათვალისწინება, რაც განპირობებული იყო აღნიშნულზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კომპეტენციით. ამდენად, მოსარჩელეთა მტკიცება, რომ მათ მიერ დამუშავებული განაშენიანების პროექტის კონკურსის პირობად ჩართვით მოპასუხე სს „ოტელ-თბილისმა“ უკანონოდ გამოიყენა მოსარჩელეთა პროექტი – უსაფუძვლოა, ვინაიდან მოპასუხისათვის ასეთი პირობის გათვალისწინება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის წინაშე ვალდებულებას წარმოადგენდა, და არა მის ნებას. კერძოდ, ქ.თბილისში, თავისუფლების მოედანზე მრავალფუნქციური შენობის ესკიზური 1999 წლის პროექტზე კონკურსის პროგრამით კონკურსის მონაწილეთათვის დაწესდა სავალდებულო მოთხოვნა მოსარჩელეთა პროექტით გათვალისწინებული გენერალური გეგმის და მრავალფუნქციური შენობების მოცულობით-სივრცობრივი გადაწყვეტის პარამეტრების დაცვა. აღნიშნული წარმოადგენდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის, როგორც უფლებამოსილი პირის მოთხოვნას, რაც ცხადია გამორიცხავს კონკურსის მომწყობის – სს „ოტელ-თბილისის“ ბრალეულობას.

სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელეთა არგუმენტს, რომ 1992 წლის კონკურსით მათ ჯილდოდ მიენიჭათ რა სასტუმროს ესკიზური პროექტის შემდგომი დამუშავების უფლება მათი საავტორო უფლებები წარმოიშვა ამ კონკურსის შედეგად და 1999 წლის კონკურსის ჩატარებით დაირღვა მათი საავტორო უფლება. 1992 წლის კონკურსის მიზანს წარმოადგენდა აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტზე საუკეთესო იდეის ავტორის დადგენა. იდეა თავისი არსით არის რა აზრი, ჩანაფიქრი, მასზე თანახმად „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამე ნაწილისა, საავტორო უფლება არ ვრცელდება.

საავტორო უფლებათა ობიექტს წარმოადგენს რა არქიტექტურული ნაწარმოები, რაც „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტით არის არქიტექტურული პროექტის და

არქიტექტურული ობიექტების სახით არსებული არქიტექტურული საქმიანობის შედეგი, იგი დასრულებულად ჩაითვლება კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის გავლის შემდეგ (იხ. „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი) მოსარჩელეთა მიერ შედგენილი განაშენიანების პროექტი საბოლოოდ დამუშავებული არ არის და იგი არ შეიძლება საავტორო უფლების ობიექტად იქნეს მიჩნეული, ვინაიდან საავტორო უფლება, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი ნაწილით, წარმოიშობა ნაწარმოების შექმნის მომენტიდან.

რაც შეეხება მოსარჩელეთა მტკიცებას, კონკურსში გამარჯვებულ შპს „ფრასკას“ მიერ მოსარჩელეთა პროექტის უკანონო გამოყენების თაობაზე, იგი უარყოფილია ექსპერტის 2000 წლის 21 ივლისის №1179/15 დასკვნით. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის ექსპერტის 2000 წლის 21 ივლისის №1179/15 დასკვნით „ქ.თბილისში თავისუფლების მოედანზე მრავალფუნქციური შენობის ესკიზური პროექტის შედგენისას ვლადიმერ ცინცაძის საავტორო ჯგუფს (შპს „ფრესკა“) არ აქვს გამოყენებული გ.გეგეშიძის საავტორო კოლექტივის მიერ 1999 წელს შედგენილი დაზიანებული კვარტლის აღდგენისა და რეკონსტრუქციის პროექტის ელემენტები ან ცალკეული ფრაგმენტები.

ზემოაღნიშნული პროექტის შედგენისას ვ.ცინცაძის ჯგუფის მხრიდან პლაგიატს ადგილი არ ჰქონია.

დაუსაბუთებელია მოსარჩელეთა არგუმენტი სამოქალაქო კოდექსის 490-ე, 494-495-ე და 291-ე მუხლებზე მითითებით სს „ოტელ-თბილისის“ მიერ შესყიდული მიწის ნაკვეთის უფლებრივად დატვირთვის შესახებ, რაც გამოიხატებოდა ამ მიწის ნაკვეთზე მოსარჩელეთა პროექტით მშენებლობის განხორციელებაში. მსგავსი უფლებით უძრავი ნივთის დატვირთვას მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს. ამასთან, საქმის მასალებით დადასტურებულია ის ფაქტი, რომ 1992 წლის კონკურსის შექმლო სამართლებრივი ურთიერთობა წარმოეშვა მოსარჩელეებსა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტს შორის, და არა მოპასუხე სს „ოტელ-თბილისთან“. ამ უკანასკნელმა შეიძინა რა უფლებრივად უნაკლო ნივთი, რაც დადასტურებულია უძრავი ნივთის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტებით, მას ვერ დაეკისრება მოსარჩელეთა მიმართ რაიმე პასუხისმგებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უსაფუძვლოა მოსარჩელეთა მოთხოვნა 1999 წლის კონკურსის შედეგების ბათილობის თაობაზე, ვინაიდან არც სარჩელით და არც საქმის მასალებით სადავო კონკურსის არაკანონიერება დადასტურებული არ არის. ასევე უსაფუძვლოა და დაუსაბუთებელი მოსარ-

ჩელეთა ალტერნატიული მოთხოვნა მოსარჩელეთა უფლებების რეალიზაციის ან ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოპასუხეს მოსარჩელეთა უფლება არ დაურღვევია და მას ვერც მატერიალური და ვერც მორალური ანაზღაურება ვერ დაეკისრება. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ზიანის ოდენობა საერთოდ დაუსაბუთებელია.

ვიხელმძღვანელებ რა ასკ-ს პირველი და სსკ-ს 249-ე მუხლით

გ ა ლ ა ვ წ ყ ვ ი ტ ე

მოსარჩელების ვ.სიმონიას, გ.გეგეშიძის და სს „საქქალაქმშენპროექტის“ სარჩელი მოპასუხე სს „ოტელ-თბილისის“ და არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მესამე შპს „ფრესკას“ მიმართ სს „ოტელ-თბილისის“ ქ.თბილისის თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტის შემდგომი დამუშავების უფლების, აგრეთვე საქართველოს კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების“ შესახებ 58-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევად, არქიტექტურის საქალაქო სამსახურის თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტის შემდგომი დამუშავების უფლების დამრღვევად, სს „ოტელ-თბილისის“ და არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ 1999 წლის 9 ოქტომბრის კონკურსის შედეგების ბათილად ცნობის თაობაზე; მოპასუხე „ოტელ-თბილისისათვის“ მოსარჩელეთა უფლებების რეალიზაციის, ხოლო მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსარჩელებისათვის მატერიალური ზიანის 59 625 აშშ დოლარის, მორალური ზიანის 20 000 აშშ დოლარის, წარმომადგენლობისათვის გადასახდელი თანხის 14 750 აშშ დოლარის, სულ 94 375 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა სააპელაციო პალატაში, მდ. ქ.თბილისი, რობაქიძის 7ა-ში, ერთი თვის ვადაში გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების დღიდან.



ზ ა ნ რ ი ნ მ ბ ა
საქართველოს სახელთ

№3ბ/313

22 მაისი, 2002წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ

შემდეგი შემდეგენლობით: ნ.წიქვლაძე (თავმჯდომარე),
ნ.ჭავჭავანიძე,
ჯ.რუსიაშვილი

განიხილა ქ.თბილისში, ლეონიძის ქ. №1 საცხოვრებელი სახლის მობინადრეთა: დ.წინამძღვრიშვილი, ლ.ნერგაძე, ა.ნერგაძე, ი.კორპოვიჩი, ც.მიქელაძე, მ.მოსიძე, ლ.დემეტრაშვილი, ა.მურადოვა, ნ.ჯიქია, ლ.ლალიაშვილი, ბ.ჩირგაძე, ლ.წულუკიძე, ნ.ნიკურაძე, ლ.ანასაშვილი და გ.სლოიანის 2002 წლის 21 მაისის განცხადება და ქ.თბილისში, თავისუფლების მოედნის №4 საცხოვრებელი სახლის მობინადრეთა ც.ჭანტურიძე, ი.დოლობერიძე, მ.გურგენიძე, მ.თათნაშვილი, პ.ჩიქობავა, ზ.ჩიქობავა, ჯ.წულაია, ზ.ლომაძე, ნ.წულუკიძე, ა.გაგულიძე და მ.წულუკიძის 2002 წლის 21 მაისის განცხადება აღნიშნული მობინადრეების საქმეზე №3ბ/313, მესამე პირებად ჩაბმის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში იმყოფება საქმე №3ბ/313, გ.გეგეშიძის, ვ.სიმონიას და სს „საქქალაქმშენაროექტის“ სააპელაციო საჩივრისა გამო, ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებაზე.

ქ.თბილისში, ლეონიძის ქ. №1 საცხოვრებელი სახლის მობინადრეების და თავისუფლების მოედნის №4 საცხოვრებელი სახლის მობინადრეები განცხადებით ითხოვენ საქმეში მესამე პირებად ჩაბმას შემდეგი მოტივით:

მოსარჩელებების სს „საქქალაქმშენაროექტის“ ავტორთა ჯგუფის

გ.გეგეშიძის და ვ.სიმონიას სარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 1999 წლის 9 ოქტომბრის კონკურსის შედეგების ბათილად ცნობა. განმცხადებლებს მიაჩნიათ, რომ ახლანდელი პროექტით შენდება რა „ოტელ-თბილისი“, მათი სახლის ეზოს ხარჯზე მოეწყობა ქუჩა, რომელზეც გაივლის თავისუფლების მოედნიდან შემომავალი ყველა სახის ტრანსპორტი. აგრეთვე, ზოგიერთი მობინადრის აივანი ნაწილობრივ გადაფარულია სასტუმროს შენობით. ძველი პროექტისაგან განსხვავებით ახალი სასტუმროს შენობა აუშნოებს მათ სახლს, და საცხოვრებელ გარემოს, ფაქტიურად რჩებიან კეთილმოწყობილი ეზოს გარეშე.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ განცხადება საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს და მითითებული პირები ქ.თბილისში, ლეონიძის ქ. №1 საცხოვრებელი სახლის მობინადრეები: დ.წინამძღვრიშვილი, ლ.ნერგაძე, ა.ნერგაძე, ი.კორპოვიჩი, ც.მიქელაძე, მ.მოსიძე, ლ.დემეტრაშვილი, ა.მურადოვა, ნ.ჯიქია, ლ.ლაღიაშვილი, ბ.ჩირგაძე, ლ.წულუკიძე, ნ.ნიკურაძე, ლ.ანასაშვილი და გ.სლოიანი და ქ.თბილისში, თავისუფლების მოედნის №4 საცხოვრებელი სახლის მობინადრეები: ც.ჭანტურიძე, ი.ლოლობერიძე, მ.გურგენიძე, მ.თათანაშვილი, პ.ჩიქობავა, ზ.ჩიქობავა, ჯ.წულაია, ზ.ლომთაძე, ნ.წულუკიძე, ა.გაგულიძე და მ.წულუკიძე ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ჩაბმული უნდა იქნეს მოცემულ საქმეში მესამე პირებად, ვინაიდან ისინი არიან იმ სამართალურთიერთობის მონაწილენი, რომელთა მიმართ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი და მოცემული დავა უშუალოდ ეხება მათ სამართლებრივ ინტერესებს.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I, 16-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილით, სსკ-ის 372, 414-416-ე მუხლებით და

დ ა ა დ ვ ი ნ ა

1. ქ.თბილისში, ლეონიძის ქ. №1 საცხოვრებელი სახლის მობინადრეები დ.წინამძღვრიშვილი, ლ.ნერგაძე, ა.ნერგაძე, ი.კორპოვიჩი, ც.მიქელაძე, მ.მოსიძე, ლ.დემეტრაშვილი, ა.მურადოვა, ნ.ჯიქია, ლ.ლაღიაშვილი, ბ.ჩირგაძე, ლ.წულუკიძე, ნ.ნიკურაძე, ლ.ანასაშვილი და გ.სლოიანი და ქ.თბილისში, თავისუფლების მოედნის №4 საცხოვრებელი სახლის მობინადრეები ც.ჭანტურიძე, ი.ლოლობერიძე, მ.გურგენიძე, მ.თათანაშვილი, პ.ჩიქობავა, ზ.ჩიქობავა, ჯ.წულაია, ზ.ლომთაძე, ნ.წულუკიძე, ა.გაგულიძე და მ.წულუკიძე ჩაბმულ იქნენ საქმეში №33/313 მესამე პირებად.

2. მითითებულ პირებს შეუძლიათ აღნიშნულ განჩინებაზე კერძო სა-

ჩივრის შეტანა თბილისის საოლქო სასამართლოში, მდებარე ქ.თბილისი, გრ.რობაქიძის გამ. 7ა, განჩინების გადაცემიდან 12 დღის ვადაში.

3. განჩინება გადაეგზავნოს მხარეებს და მესამე პირებს.



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№33/55

15 მაისი, 2003წ., ქ.თბილისი

**თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული
სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ**

შემდეგი შემადგენლობით: ნ.წიკელაძე (თავმჯდომარე),
ი.მახათაძე,
ჯ.რუსიაშვილი

ცირა სურამელაშვილის მდივნობით

განიხილა სს „საქქალაქმშენპროექტის“, გ.გეგეშიძის და ვ.სიმონიას სააპელაციო საჩივარი თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებაზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

2000 წლის 23 თებერვალს საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტომ, გიორგი გეგეშიძემ, ვლადიმერ სიმონიამ, სს „საქქალაქმშენპროექტმა“ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს მოპასუხე სააქციო საზოგადოება „ოტელ-თბილისი“ და არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიმართ და მოითხოვეს მოპასუხეთა საავტორო უფლებების დამრღვევად გამოცხადება, აგრეთვე საავტორო უფლებათა დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენის მიზნით, მოსარჩელეთა თანხმობის გარეშე ობიექტების საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის შეწყვეტა და საავტორო უფლების უზრუნველყოფის

მიზნით, სს „ოტელ-თბილისის“ ხელმძღვანელობისათვის საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენაზე ხელშეკრულების გაფორმების დავალება კონკურსში გამარჯვებულ საავტორო ჯგუფთან ან მოპასუხე სს „ოტელ-თბილისისთვის“ განსაკუთრებულ საავტორო უფლებათა მფლობელებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება შესაძლო მიუღებელი შემოსავლის სახით, კერძოდ 59625 აშშ დოლარის ოდენობით, ამასთან მოსარჩელებმა მოითხოვეს ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად, მორალური ზიანის ანაზღაურებაც, შემდეგი საფუძველით:

ქ.თბილისის მერიამ და „თბილქალაქპროექტმა“, 1992 წლის 19 მარტს გამოაცხადეს არქიტექტურული კონკურსები საუკეთესო პროექტის გამოსავლენად. აღნიშნულ კონკურსში გამოვლენილ გამარჯვებულ ავტორთა ჯგუფს ჯილდოს სახით, პროექტის შემდგომი დამუშავების უფლებას ანიჭებდნენ. თავისუფლების მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტზე კონკურსში წარდგენილი 18 პროექტიდან, 1992 წლის 30 ივლისის დასკვნით სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, კონკურსის ყიურიმ თავისუფლების მოედნის, ლეონიძისა და ინგოროყვას ქუჩებს შორის არსებული ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების პროექტირება დაავალა გ.გეგეშიძის საავტორო ჯგუფს. მოსარჩელეთა მტკიცებით, საავტორო ჯგუფმა დააფიქსირა თავისი საავტორო უფლებები სამართლებრივ ფორმაში „მგმ-ავტორი“.

1999 წლის 16 ივლისს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროში გაერთიანებული საბჭოს სხდომაზე მოწონებული იქნა ამავე ავტორთა ჯგუფის პროექტი თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების კორექტირებული ვარიანტი.

მოსარჩელეთა განმარტებით, ავტორთა ჯგუფის საავტორო უფლებათა უზრუნველსაყოფად სს „ოტელ-თბილისს“ უნდა წარედგინა ამავე ავტორთა მიერ დამუშავებული თავისუფლების მოედნის წინა ზოლის ესკიზური პროექტი, როგორც შემოთმითითებული განაშენიანების პროექტის შემადგენელი ნაწილი. აღნიშნული პროექტი მომზადდა და რეგისტრირებული იქნა საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს მიერ, რის საფუძველზეც გ.გეგეშიძე და ვ.სიმონია გახდა განსაკუთრებული საავტორო უფლებათა მფლობელი.

მოსარჩელებმა მიიჩნიეს, რომ სს „ოტელ-თბილისის“ მიერ დარღვეული იქნა „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი მაშინ, როდესაც 1999 წლის 9 ოქტომბერს გამოცხადდა კონკურსი თავისუფლების მოედანზე მრავალფუნქციური შენობის ესკიზურ პროექტზე. გარდა ამისა, დარღვეული იქნა „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტი, ვინაიდან კონკურსი ჩატარდა არქიტექტორთა კავშირის მონაწილეობის გარეშე.

მოსარჩელებებს მიაჩნიათ, რომ კონკურსის ჩატარებამდე უნდა მომხდარიყო დოკუმენტის შედგენა, რომლითაც გადასინჯული იქნებოდა 1992 წელს ჩატარებული კონკურსის შედეგად ჩამოყალიბებული უფლება-მოვალეობანი.

სს „ოტელ-თბილისის“ პარტნიორის მიერ შესრულებული პროექტი, მოსარჩელეთა მოსაზრებით, დამუშავებულია საქართველოს კანონის „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ აშკარა დარღვევებით და არ შეესაბამება საავტორო ჯგუფის მიერ დამუშავებულ პროექტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურსის გამოცხადება იმ ობიექტების პროექტირებაზე, რომლის დაპროექტების უფლება უკვე მინიჭებული ჰქონდათ 1992 წელს ჩატარებული კონკურსის ფიურის გადაწყვეტილებით გ.გეგეშიძის ავტორთა ჯგუფს, მოსარჩელებმა კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნიეს.

მოსარჩელებმა რაიონულ სასამართლოში სადავოდ გახადეს ასევე, ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ 1999 წლის 27 დეკემბრის №2179 წერილი-პასუხი, რომლითაც ირკვევა, რომ „თავისუფლების მოედნისა და მიმდებარე დაზიანებული კვარტლის აღდგენარეკონსტრუქციის და განაშენიანობის პროექტის ავტორებმა არქიტექტორმა გ.გეგეშიძემ და ვ.სიმონიამ მონაწილეობა მიიღეს სს „ოტელ-თბილისის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში და ნამუშევრების ჩაბარების დროს მათივე მოთხოვნით პროექტი მონაწილეობდა კონკურსგარეშე“.

მოსარჩელეთა მოსაზრებით, საავტორო უფლებათა მფლობელების მიერ კონკურსში მონაწილეობა ამოიწურა მხოლოდ რეგისტრაციაში გატარებით, რადგან მათი მიზანი იყო საკონკურსო-საპროექტო მასალების მოპოვება ანალიზისათვის და არა უშუალოდ იმ კონკურსში მონაწილეობის მიღება.

მოპასუხეთა ზემოთმითითებული ქმედებით, მოსარჩელეთა მტკიცებით, დარღვეული იქნა როგორც საქართველოს კანონის „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ 1-ლი, მე-3, მე-4, მე-5, მე-9, მე-12 მუხლები, ასევე „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ დაცული საავტორო უფლებები, კერძოდ: 1-ლი, მე-3, მე-9, მე-10, მე-17, მე-18, 31-ე, 58-ე, 59-ე მუხლები, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის მე-3 და 23-ე მუხლები.

მოპასუხე სს „ოტელ-თბილისის“ წარმომადგენელმა გ.გოგიაშვილმა სარჩელი არ ცნო შემდეგ გარემოებათა გამო:

მოპასუხემ მიიჩნია, რომ სს „ოტელ-თბილისი“ არ შეიძლება მიჩნეული იქნეს მოსარჩელეთა საავტორო უფლებების დამრღვევად, ვინაიდან 1992 წლის 19 მარტს კონკურსი გამოცხადებული იქნა თბილისის მერიისა და „თბილქალაქპროექტის“ მიერ, რომლითაც ჯილდოს სახით განსაზღვრეს პროექტის ავტორთათვის გარკვეული უფლებების მინიჭება. ამასთან, აღნიშნული კონკურსი არ გულისხმობდა კონკრეტულ ობიექტების პროექტირებას

და შემოფარგლული იყო ქალაქგეგმარებითი ასპექტებით – აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს მიაჩნია, რომ სს „ოტელ-თბილისი“ რომელიც წარმოადგენს იურიდიულ პირს და არ არის თბილისის მერიისა და „თბილქალაქპროექტის“ სამართალმემკვიდრე, კანონიერი უფლება ჰქონდა განეხორციელებინა მის საკუთრებაში არსებული ობიექტის მშენებლობა სხვა პროექტით, რადგან თვლის, რომ 1992 წლის 19 მარტს გამოცხადებულ კონკურსზე გამარჯვებულ პროექტზე მოსარჩელეთა საკუთრების უფლება არ გულისხმობს მინცდამინც ამ პროექტის გამოყენების ანდა მშენებლობის ამ პროექტის საფუძველზე წარმართვის სავალდებულობას იმ პირისთვის, ვისაც მისი გამოყენების ვალდებულება არ უკისრია.

მოპასუხემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად მოითხოვა სს „ოტელ-თბილისის“ არასათანადო მოპასუხედ ცნობა.

მოგვიანებით, სს „ოტელ-თბილისის“ წარმომადგენლის გ.გოგიაშვილის მიერ საოლქო სასამართლოში წარმოდგენილი იქნა შუამდგომლობა, რომლითაც ითხოვდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სააეტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს არასათანადო მოსარჩელედ ცნობას, რადგან მიიჩნია, რომ „სააეტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტოს არ გააჩნია ამა თუ იმ პირის სააეტორო უფლების დარღვევის ფაქტზე სარჩელის შეტანის უფლებამოსილება.

აღნიშნული შუამდგომლობები არ იქნა დაკმაყოფილებული თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის მიერ 2000 წლის 27 მარტის საოქმო განჩინებით.

2000 წლის 14 აპრილს მოსარჩელე, საქართველოს სააეტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს გ.გეგეშიძის, ვ.სიმონიას, სს „საქქალაქმშენპროექტი“-ს მიერ თბილისის საოლქო სასამართლოში წარმოდგენილი იქნა დამატებითი სასარჩელო განცხადება, რომლითაც მოითხოვეს მოცემულ საქმეში 1999 წლის 9 ოქტომბრის არქიტექტურულ კონკურსში გამარჯვებული არქიტექტორის ვ.ცინცაძის და მისი ჯგუფის, ასევე სს „უძრავი ქონების კომპანიის“ მესამე პირად ჩართვა. აგრეთვე სს „ოტელ-თბილისისა“ და ქ.თბილისის საქალაქო სამსახურის მიერ 1999 წლის 9 ოქტომბერს გამოცხადებული კონკურსის შედეგების ბათილად ცნობა და სდავოდ გახდა სს „თბილისი-სიტი“-ს სარგებლობაში არსებული მერიის შენატანი უძრავი ქონების, რომელიც გადაცემული იქნა სს „უძრავი ქონების კომპანიისათვის“, სს „ოტელ-თბილისის“ საკუთრებაში არსებობის ფაქტი. ამავე დამატებით სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელების მიერ გაზრდილი იქნა სასარჩელო თანხა 59625, წარმომადგენლებისათვის გადასახდელი თანხის ოდენობის, კერძოდ, 14750 აშშ დოლარ-

რის ექვივალენტით ლარებში, მოპასუხისათვის გადახდის დაკისრება.

2000 წლის 4 მაისს მოსარჩელეთა წარმომადგენელმა ო.ბარათიამ განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს სს „ოტელ-თბილისის“ მიერ უნებართვო მშენებლობის შეჩერების თაობაზე, ხოლო 2000 წლის 6 მაისს წარმოდგენილი იქნა დამატებითი სასარჩელო განცხადება, რომლითაც პირვანდელი და ადრე წარმოდგენილი დამატებითი სასარჩელო მოთხოვნების გარდა, გაზრდილი იქნა სასარჩელო მოთხოვნა, რომლითაც მორალური ზიანის სახით სს „ოტელ-თბილისისთვის“ 200000 აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 8 მაისის განჩინებებით არ იქნა დაკმაყოფილებული არქიტექტურის საქალაქო სამსახურის შუამდგომლობა მისი არასათანადო მოპასუხედ ცნობის შესახებ, ხოლო მოსარჩელეთა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა და შესაბამისად შეჩერებული იქნა ქ.თბილისში, თავისუფლების მოედანი №4 მოპასუხე „ოტელ-თბილისის“ მიერ უნებართვო მშენებლობა, სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 8 მაისის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე გასაჩივრებული იქნა სს „ოტელ-თბილისის“ წარმომადგენლის გ.გოგიაშვილის მიერ, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება, საჩივრის განხილვამდე ზემოთაღნიშნული განჩინების აღსრულების შეჩერება და სამუშაოების შეჩერების გამო სს „ოტელ-თბილისის“ მოსალოდნელი ზარალის უზრუნველსაყოფად მოსარჩელეთა კუთვნილ ქონებაზე ყადაღის დადება, რაც თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 23 მაისის განჩინებით დაკმაყოფილებული იქნა.

2000 წლის 12 ივნისს მოსარჩელე გ.გეგეშიძის, ვ.სიმონიას, სს „საქქალაქმშენპროექტის“ მიერ დაზუსტებული იქნა სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, კერძოდ, ძირითად თანხასთან 59625 აშშ დოლართან ერთად, მოსარჩელები ითხოვდნენ წარმომადგენლებისათვის გადასახდელ თანხას 14750 აშშ დოლარს და 200000 აშშ დოლარს მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის, რამაც ჯამში შეადგინა 94375 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

თბილისის საოლქო სასამართლოში 2000 წლის 8 მაისს გამართულ მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელეთა მიერ ჩამოყალიბებული იქნა იმ პირთა წრე, რომლებიც საქმეში მოპასუხეებად უნდა ყოფილიყვნენ ჩართული. კერძოდ, ისინი ითხოვდნენ მოცემული საქმის განხილვაში თბილისის მერიისა და არქიტექტორ ვ.ციციაძის მოპასუხედ და სს „უძრავი ქონების კომპანიის“ მესამე პირად ჩართვას მოპასუხის მხარეზე.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 26 ივნისის განჩინებით მოცემულ საქმეზე დაინიშნა არქიტექტურული ექსპერტიზა, რომლის ჩატარება დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრს. აღნიშნული ცენტრის 2000 წლის 21 ივლისის ექსპერტის დასკვნიდან ირკვევა, რომ თბილისში, თავისუფლების მოედანზე მრავალფუნქციური შენობის ესკიზური პროექტის შედგენისას ვ.ცინცაძის საავტორო ჯგუფს არ აქვს გამოყენებული გ.გეგეშიძის საავტორო კოლექტივის მიერ 1999 წელს შედგენილი დაზიანებული კვარტლის აღდგენისა და რეკონსტრუქციის პროექტის ელემენტები, ამასთან ზემოთაღნიშნული პროექტის შედგენისას ვ.ცინცაძის ჯგუფის მხრიდან პლაგიატს ადგილი არ ჰქონია.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 18 სექტემბრის განჩინებით მოცემული საქმე განსახილველად გადაეცა განსჯადობით თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 30 ნოემბრის განჩინებით, რომლითაც განხილული იქნა დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიასა და ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას შორის, საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად გადაეცა ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა ვ.სიმონიას, გ.გეგეშიძის, სს „საქქალაქმშენპროექტის“ სარჩელი მოპასუხე სს „ოტელ-თბილისის“ და არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიმართ, მესამე პირის შპს „ფრესკას“ მონაწილეობით არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1992 წლის 4 მარტს თბილისის მერიამ და „თბილქალაქპროექტმა“ გამოაცხადა არქიტექტურული კონკურსი რუსთაველის პროსპექტისა და მისი მიმდებარე უბნების აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტებზე. კონკურსის ფიურის უნდა დაედგინა იდეის ავტორი ან ავტორთა ჯგუფი, ვისაც ჯილდოდ მიენიჭებოდა პროექტის შემდგომი დამუშავების უფლება.

რაიონულმა სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ თავისუფლების მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტების კონკურსის ფიურის 1992 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით თავისუფლების მოედნის, ლეონიძის და ინგოროყვას ქუჩებს შორის მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციული სამუშაოების პროექტირების წარმართვის უფლება მიენიჭა გ.გეგეშიძის საავტორო ჯგუფს.

დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია ასევე,

რომ სადავო მიწის ნაკვეთი საქართველოს კანონის „ფიზიკური პირებისა და კერძო იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 9 ოქტომბრის №20.31.1187 დადგენილებისა და ქ.თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1998 წლის 21 სექტემბერს გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმის საფუძველზე, მშენებლობის უფლებით საკუთრებაში გადაეცა სს „უძრავი ქონების კომპანია“, რომელმაც 1999 წლის 7 აგვისტოს მოპასუხე სს „ოტელ-თბილისთან“ გააფორმა ხელშეკრულება, რის საფუძველზეც იგი გახდა მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. ამ უკანასკნელმა 1999 წლის 9 ოქტომბერს გამოაცხადა არქიტექტურული კონკურსი, რომელშიც მოსარჩელებიც იღებდნენ მონაწილეობას კონკურსგარეშე, მათივე თხოვნით. ხოლო, კონკურსში გამარჯვებულად გამოაცხადა შპს „ფრესკა“, რომელსაც ხელშეკრულებით დაევალა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელეთა მტკიცება იმის თაობაზე, რომ მათ მიერ დამუშავებული განაშენიანების პროექტის კონკურსის პირობად ჩართვით მოპასუხის მიერ განხორციელდა მოსარჩელეთა პროექტით უკანონოდ სარგებლობა, რადგან ამგვარი პირობის გათვალისწინება სს „ოტელ-თბილისს“ ევალებოდა თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის მიერ.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა არგუმენტი იმის შესახებ, რომ დარღვეული იქნა მოპასუხის ქმედებით მათი საავტორო უფლებები.

სასამართლო აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო საქართველოს კანონს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ მე-1 მუხლის შესამე ნაწილს, რომლის თანახმად, საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეაზე, ხოლო საქართველოს კანონის „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად არქიტექტურული ნაწარმოები, რომელიც წარმოადგენს საავტორო უფლებათა ობიექტს, არის არქიტექტურული პროექტის და არქიტექტურული ობიექტების სახით არსებული არქიტექტურული საქმიანობის შედეგი, რომელიც დასრულებულად ითვლება კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის გავლის შემდეგ.

სასამართლოს მიერ გაზიარებული იქნა ექსპერტის 2000 წლის 21 იელისის №1179/15 დასკვნა და შესაბამისად მიჩნეული იქნა, რომ ვ.ცინცაძის ავტორთა ჯგუფის მხრიდან პლაგიატს აღგილი არ ჰქონია. შესაბამისად დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული მოსარჩელეთა მოთხოვნა საავტორო უფლებათა დარღვევისათვის მორალური ზიანის და მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, 1992 წლის კონკურსს შეეძლო სამართლებრივი ურთიერთობა წარმოეშვა მოსარჩელებსა და თბილისის მუნიციპალიტეტს შორის და არა მოპასუხე სს „ოტელ-თბილისთან“, რადგან მან შეიძინა უფლებრივად უნაკლო ნივთი, რის გამოც ვერ დაეკისრება მოსარჩელეთა მიმართ რაიმე სახის პასუხისმგებლობა.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს ზემოთმიითებული გადაწყვეტილება მოსარჩელებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით, რომლითაც მოითხოვეს 2001 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლა ახალი გადაწყვეტილებით და სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

აპელანტების მოსაზრებით, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა, ვინაიდან იგი სამართლის ნორმების დარღვევითაა მიღებული.

აპელანტები არ ეთანხმებიან სასამართლოს მტკიცებას იმის თაობაზე, რომ სს „ოტელ-თბილისს“ არ გამოუყენებია მოსარჩელეთა არქიტექტურული პროექტი და თითქოს მოსარჩელეთა გენგეგმის და პარამეტრების გამოყენება მუნიციპალიტეტის წინაშე წარმოადგენდა სს „ოტელ-თბილისის“ ნებას და არა ვალდებულებას. ასევე, აპელანტები არ იზიარებენ სასამართლოს მოსაზრებას მოსარჩელეთა პროექტზე საავტორო უფლებების არარსებობის შესახებ.

კანონსაწინააღმდეგოა, გ.გეგეშიძისა და ვ.სიმონიას მოსაზრებით, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-1 მუხლის მე-3 პუნქტზე მითითება იმ არგუმენტის დასამტკიცებლად, რომ ნაწარმოების იდეაზე საავტორო უფლებები არ ვრცელდება, ვინაიდან აპელანტები თვლიან, რომ ზემოთმიითებული კანონის მე-1 მუხლი არ გამოირცხავს ნაწარმოების იდეის გამოყენება ჩაითვალოს ნაწარმოების გამოყენებად. მათივე მტკიცებით, 1999 წლის კონკურსში მოპასუხეთა მიერ გამოყენებული იქნა მოსარჩელეთა პროექტის პარამეტრები, რომელთა გამოყენება წარმოდგენილია მთლიანი პროექტის (ფასადები, გეგმების, მაკეტების და ნახაზების) გამოყენებლად.

აპელანტები მიიჩნევენ, რომ რაიონული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეული იქნა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ნორმები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კერძოდ, არასწორად იქნა გამოყენებული გადაწყვეტილების მიღებისას „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1) 2) ნაწილები.

აპელანტთა მოსაზრებით, სასამართლოს არ დაუსაბუთებია არქიტექტურის სამსახურის პროექტის შემდგომი დამუშავების უფლების ერთ-ერთ დამრღვევად ცნობის შესახებ მოსარჩელეთა მოთხოვნაზე უარი, რითაც დაარ-

ღვია „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მოთხოვნები.

შესაბამისად, აპელანტები მიიჩნევენ, რომ მოპასუხეთა ქმედება განხორციელებულია „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ კანონის ამოქმედების შემდეგ და მისი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.

აპელანტი გ-გეგეშიძისა და ვ.სიმონიას მტკიცებით, 1992 წელს არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების მიხედვით სასტუმროს დაპროექტების უფლება მოსარჩელეთა უფლებას წარმოადგენდა, შესაბამისად არქიტექტურის სამსახურს არ ჰქონდა უფლება მიწის ნაკვეთის ახალ მესაკუთრეზე გაეცა პასპორტი, რადგან მას შეეძო კანონმდებლობის თანახმად, მხოლოდ არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების მიცემა სს „ოტელ-თბილისისათვის“.

აღნიშნული საკითხის შეუფასებლობით, რაიონული სასამართლოს მიერ დარღვეული იქნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი.

აპელანტები არ ეთანხმებიან პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სს „ოტელ-თბილისის“ მიერ შექმნილი იქნა უფლებრივად უნაკლო ნივთი, კერძოდ, უძრავი ქონება. მიწის ნაკვეთი, რომლის შექმნის კანონიერების დადგენის უფლება, აპელანტთა აზრით, სასამართლოს არ ჰქონდა, ვინაიდან მოსარჩელეთა მიერ აღნიშნული საკითხი სადავოდ არ გამხდარა.

ზემოთმითითებულის მიუხედავად, აპელანტთა მოსაზრებით სასამართლოს უნდა შეემოწმებინა მიწის ნაკვეთის შესახებ ნასყიდობის ზელშეკრულებაში არსებული ჩანაწერი იმ კუთხით, იყო თუ არა იგი განაშენიანების ვალდებულებით დატვირთული. მით უფრო, რომ საქართველოს კანონის „არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით აღნიშნული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა და უნდა მომხდარიყო მისი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აპელანტები მიიჩნევენ, რომ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ უკანონოდ იქნა გაზიარებული მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი მთელი რიგი მტკიცებულებანი.

მოწინააღმდეგე მხარემ, ქ.თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურმა სააპელაციო საჩივარი არ ცნო უსაფუძვლოებისა და დაუსაბუთებლობის გამო.

თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის უფროსის ქალაქის მთავარი არქიტექტორის მ.ჩხაიძის განცხადებით, აპელანტები 1992 წლის კონკურსში, რომლის მიზანი იყო თავისუფლების მოედნისა და მომდებარე კვარტლის რეკონსტრუქციაზე საუკეთესო იდეის და

ავტორთა ჯგუფის გამოვლენა, გამარჯვებულად იქნენ გამოცხადებული, რისთვისაც ჯილდოს სახით მიენიჭათ პროექტის შემდგომი დამუშავების უფლება. „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი პროექტის შექმნის საფუძველს წარმოადგენს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, რომელიც მიეცა არა გ-გეგმავისა და ვ.სიმონიას, არამედ კანონის საფუძველზე ტერიტორიის მესამეკუთრეს სს „ოტელ-თბილისს“, მრავალფუნქციური შენობის პროექტის დასამუშავებლად, ხოლო გ-გეგმავისა და ვ.სიმონიას განაშენიანების პროექტი მოწონებული იქნა ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს მიერ, რომელიც ჩაირთება დადგენილი წესით შეთანხმების შემდეგ ქალაქის ცენტრის საერთო გენგეგმაში, შესაბამისად, საავტორო უფლებები განაშენიანების პროექტზე მათთვის არავის წაურთმევია.

2002 წლის 8 აპრილს შუამდგომლობით მომართეს აპელანტებმა სააპელაციო სასამართლოს, მესამე პირად მოცემულ საქმეში ლეონიძის ქ. №1-ში და თავისუფლების მოედნის №4ა-ში მცხოვრებთა ჩართვის შესახებ.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 22 მაისის განჩინებით ზემოთმითითებული შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნა და საქმის განხილვაში ჩართული იქნენ მესამე პირებად თბილისში, ლეონიძის ქ. №1 საცხოვრებელი სახლის და თავისუფლების მოედნის №4 საცხოვრებელი სახლის მობინადრეები.

სააპელაციო სასამართლოს წინადადებით, მოსარჩელებს დაეზუსტებინათ, თუ რას გულისხმობდნენ კონკურსის შედეგების ბათილად ცნობის ნიწილში, მოსარჩელებმა მოთხოვნა დააზუსტეს შემდეგი ფორმით, ბათილად იქნეს ცნობილი, 1) „ოტელ-თბილისის“ მიერ 1999 წლის 12 ოქტომბერს მოწყობილი კონკურსის პროგრამა და პირობები, 2) კონკურსის ჟიურის 1999 წლის 23 ნოემბრის სხდომის ოქმი, 3) თბილისის მთავარი არქიტექტორის 2000 წლის 22 მაისის ბრძანება №183, 4) თბილისის მთავარი არქიტექტორის 2001 წლის 1 ივნისის ბრძანება №179, აგრეთვე, მოითხოვეს მიუღებელი შემოსავლის სახით 59625 აშშ დოლარის, 200000 აშშ დოლარის მორალური ზიანის და 14750 აშშ დოლარის წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის ანაზღაურება შემდეგი საფუძველებით:

ვ.სიმონიას და გ-გეგმავის მოსაზრებით „მარიოტის“ პროექტი შეიცავს გენერალური გეგმის და მოცულობით-სივრცობრივი გადაწყვეტილების პარამეტრების დარღვევებს, რის გამოც მისი ჩართვა კონკურსის მასალებში ეწინააღმდეგება გენერალური გეგმის და მოცულობით-სივრცობრივი გადაწყვეტის პარამეტრების სავალდებულო დაცვის შესახებ კონკურსის პროგრამისა და პირობების მოთხოვნებს.

ამასთან, არასწორია აპელანტთა მტკიცებით, კონკურსის ჟიურის 1999

წლის 23 ნოემბერს ჩატარებული სხდომის ოქმის ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ ვკინცადის პროექტი აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს. გარდა ამისა, კონკურსის ფიურიმ არ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, რამაც გამოიწვია კონკურსის პირობათა საწინააღმდეგოდ პროექტების შერჩევა.

აპელანტთა მტკიცებით, თბილისის მთავარი არქიტექტორის 2002 წლის 22 მაისის ბრძანება №183 ეწინააღმდეგება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლს, რადგან აღნიშნული ბრძანების საფუძველებში გამოტოვებულია დოკუმენტაცია, რომლითაც არქიტექტურის სამსახურის მიერ დადგენილია, ქალაქის მერთან შეთანხმებულია და საჯაროდ განცხადებულია მოცემულ ტერიტორიაზე სასტუმროს დაპროექტების უფლების მინიჭება 1992 წლის კონკურსზე გამარჯვებულებისათვის. ასევე, სადავო ბრძანება გამოცემულია „მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ“ კანონის მე-10 და მე-12 მუხლების, აგრეთვე „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის 35-ე მუხლის დარღვევით და არ იქნა გაზიარებული 2000 წლის 18 მაისის საექსპერტო რეკომენდაცია, რომელიც მიეცა „ოტელ-თბილისს“ რათა დაემტკიცებინა საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურულ-გეგმარებითი ნაწილი, ხოლო დანარჩენი ნაწილი უნდა დაემუშაებინა ამავე დასკვნაში მოცემული შენიშვნების მიხედვით, რაც სს „ოტელ-თბილისს“ მიერ არ იქნა განხორციელებული.

ასევე თბილისის მთავარი არქიტექტორის 2001 წლის 1 ივნისის №179 ბრძანება, აპელანტთა აზრით, №183 ბრძანებისაგან განუყოფელია და მიღებულია კანონდარღვევით. იმდენად, რამდენადაც დამკვეთს აღნიშნული ბრძანებით ფაქტობრივად ევალება პროექტის განხორციელება „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის მე-7, მე-17 და მე-18 მუხლების დარღვევით.

2003 წლის 15 მაისს სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარემ სს „ოტელ-თბილისის“ და მესამე პირის შპს „ფრესკას“ წარმომადგენელმა გ.გოგიაშვილმა არ ცნო სააპელაციო საჩივარი და მოითხოვა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

მოწინააღმდეგე მხარემ არქიტექტურის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ლ.ბენიძემ ასევე არ ცნო სააპელაციო საჩივარი, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

სააპელაციო სასამართლო საქმის მასალების, სააპელაციო საჩივრის მოტივების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სს „საქალაქმშენპროექტის“, გ.გვეგვიძის და ვ.სიმონიას სააპელაციო საჩივარი არ უნდა

დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ გამო, შესაბამისად უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ რაიონული სასამართლოს მიერ მართებულად იქნა დადგენილად მიჩნეული, რომ სს „ოტელ-თბილისის“ მიერ 1999 წლის გამოცხადებული კონკურსის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა თბილისის მუნიციპალიტეტის და არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ დადგენილი მოთხოვნების და ასპექტების გათვალისწინება, რაც განპირობებული იყო აღნიშნულზე მუნიციპალიტეტის კომპეტენციით, ვინაიდან კონკურსის გამოცხადებისას სს „ოტელ-თბილისის“ ვალდებული იყო მითითებული პირობის გათვალისწინებით გამოეცხადებინა კონკურსი და მოსარჩელეთა მიერ დამუშავებული განაშენიანების პროექტის კონკურსის პირობად ჩართვა არ არის სს „ოტელ-თბილისის“ ინიციატივით და ნებით გამოწვეული, შესაბამისად, უსაფუძვლოა სს „ოტელ-თბილისის“ მიერ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის მტკიცება, აღსანიშნავია, რომ მოსარჩელებს მოთხოვნა მუნიციპალიტეტის (თბილისის მთავრობის) მიმართ არ გააჩნიათ, მით უფრო, რომ საქმეში წარმოდგენილია „ქ.თბილისში თავისუფლების მოედანზე მრავალფუნქციური შენობის ესკიზურ პროექტზე კონკურსის“ პროგრამა და პირობები, რომელიც შეთანხმებულია თბილისის მუნიციპალიტეტის პრემიერთან, თბილისის მთავარ არქიტექტორთან და ასს „ოტელ-თბილისის“ გენერალურ დირექტორთან, პროგრამის II თავის 2.2 პუნქტის მიხედვით კონკურსის მიზნიდან გამომდინარე, კონკურსის მონაწილეებს მოეთხოვებათ პროექტირების პროცესში შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა: ა) ტოპოგეგმაზე მითითებული წითელი ხაზების და კვარტალის, შესაბამისი სამსახურების გაერთიანებული სხდომის მიერ რეკომენდირებული გენერალური გეგმის, მრავალფუნქციური შენობის მოცულობით-სივრცობრივი გადაწყვეტის პარამეტრებისა და საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვა; ბ) თბილისის ისტორიულ ნაწილში მდებარე მთავარი მოედნის არქიტექტურულ-სივრცობრივი მასშტაბის გათვალისწინება.

სააპელაციო სასამართლო იზიარებს რაიონული სასამართლოს მსჯელობას შემდეგზე, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 5.3 მუხლის მიხედვით იდეაზე საავტორო უფლება არ ვრცელდება, შესაბამისად კონკურსის ჩატარებით არ დარღვეულა მოსარჩელეთა საავტორო უფლება, ვინაიდან კონკურსის მიზანს წარმოადგენდა – აღდგენა, რეკონსტრუქციის პროექტზე საუკეთესო იდეის ავტორის დადგენა, ასევე, მართებულად იქნა გამოყენებული განმარტებული „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-2 გ) მუხლით და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-9.1 მუხლი.

სააპელაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს აპელანტების მტკიცებას გასაჩივრებული კონკურსის პროგრამის და პირობების უკანონობის თაობაზე, დაუსაბუთებლობის და უსაფუძვლობის გამო, ვინაიდან „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ კანონის 5.5 მუხლის თანახმად, პროექტის შექმნის საფუძველს წარმოადგენს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, რომელიც მიეცა არა მოსარჩელეებს, არამედ, კანონის შესაბამისად ტერიტორიის მესაკუთრეს – სს „ოტელ-თბილისს“, მრავალფუნქციური შენობის პროექტის დასამუშავებლად.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის მერიის მიერ 1992 წელს გამოცხადებული კონკურსის მიზანი შემოიფარგლება ქალაქგეგმარებითი ასპექტებით ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს მიერ მოწონებულ და რეკომენდირებულ იქნა განაშენიანების პროექტი, აღნიშნულის შედეგად ასეთი არ დასტურდება, რომ აპელანტებმა მოიპოვეს ცალკეული შენობა-ნაგებობების პროექტირების უფლება, განაშენიანების პროექტის მოწონების შედეგად მათ მიიღეს ჯილდოდ პროექტის შემდგომი დამუშავების უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურსის ორგანიზატორსა და კონკურსის გამარჯვებულს შორის წარმოიშვა სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის არშესრულების შემთხვევაში მხარეებს წარმოეშობათ მოთხოვნის უფლება ურთიერთმიმართ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელები თვლიან, რომ მათი საავტორო უფლება შეილახა, ისინი უფლებამოსილი არიან სარჩელი აღძრან თბილისის მერიის მიმართ.

სააპელაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს აპელანტების მიერ დაზუსტების შედეგად კონკურსის ყიურის 1999 წლის 23 ნოემბრის სხდომის ოქმს, თბილისის მთავარი არქიტექტორის 2000 წლის 22 მაისის №183 ბრძანების და 2001 წლის 1 ივნისის №179 ბრძანებების ბათილად ცნობის მოთხოვნას, ვინაიდან გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტებს, რომელთა ბათილად ცნობის პირობები დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1 მუხლით.

აპელანტთა არგუმენტაცია გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტების კანონიერების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია დაუსაბუთებლად, ვინაიდან აპელანტები იმთავითვე არამართებულად მიიჩნევენ რომ კონკურსის პროგრამით, პირობებით, შედეგებით და თანმდევნი ყველა ღონისძიებით დაირღვა მათი საავტორო უფლება, სასამართლო კოლეგია თვლის, რომ ვერ იქნება გაზიარებული თბილისის მთავარი არქიტექტორის ბრძანებულებების გამოცემის დროს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7, მე-13 და 218-ე მუხლების დარღვევის თაობაზე, როგორც დაუსაბუთებელი და შეუსაბამო, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1 მუხლის

დ) პუნქტის მიხედვით, სადავო აქტის ბათილობის საფუძველს წარმოადგენს მისი კანონსაწინააღმდეგობა ან აქტის მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების არსებითი დარღვევა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განმარტებულია თუ რა ჩაითვლება აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებითად დარღვევად, სააპელაციო სასამართლო თელის, რომ სახეზე არ არის ამავე კოდექსის 32, 34.2 მუხლებით გათვალისწინებული, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება, ვინაიდან მთავარი არქიტექტორის ბრძანებულების საფუძველს წარმოადგენს კონკურსის ყიურის 24.11.99 ოქმი, რომლის დამოუკიდებლად ბათილად ცნობის საფუძველიც სასამართლო კოლეგიის აზრით, არ არსებობს, შესაბამისად, მის საფუძველზე მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონსაწინააღმდეგობის მტკიცება უსაფუძველოა.

სააპელაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს აპელანტთა მოთხოვნას მიუღებელი შემოსავლის სახით 59625 აშშ დოლარის, მისაღები ზიანის სახით 200000 დოლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე. უსაფუძველობის გამო, ვინაიდან მთლიანად ეთანხმება რაიონული სასამართლოს მსჯელობას და დასკვნას მითითებულ საკითხზე, მართებულად იქნა გამოყენებული მოქმედი კანონმდებლობის ნორმები და არ არსებობს გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების იურიდიული და ფაქტობრივი საფუძველები.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-12, 26¹-ე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 385-ე, 390-ე, 391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. სს „საქქალაქმშენაროექტის“, გ.გეგუმიძის და ვ.სიმონიას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძველობის გამო;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება;
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში, მდებარე ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32, განჩინების მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№ ბს-177-342-კ-03

24 მარტი, 2004 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბესიკ კობერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მაია ვაჩაძე,
ნინო ქადაგიძე

სხდომის მდივანი: გ. ილინა

კასატორები: 1. გ. გეგეშიძე (მოსარჩელე); 2. ვ. სიმონია (მოსარჩელე);
3. სს „საქქალაქმშენპროექტი“ (მოსარჩელე); წარმომადგენლები – ო. ბართაია, გ. ხომერიკი

მოწინააღმდეგე მხარეები: 1. სს „ოტელ-თბილისი“ (მოპასუხე); წარმომადგენელი – გ. გოგიშვილი; 2. არქიტექტურის საქალაქო სამსახური (მოპასუხე)

მესამე პირები: 1. შპს „ფრესკა“; წარმომადგენელი – გ. გოგიშვილი; 2. თბილისში, ლეონიძის ქ. №1-ში მცხოვრები ფიზიკური პირები
გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახლო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 15 მაისის განჩინება

საკასაციო საჩივრის თხოვნა: გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სარჩელის საგანი: 1. მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება; 2. მოპასუხეთა აღიარება საავტორო უფლებების დამრღვევებად.

2000 წლის 22 თებერვალს საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტომ, გიორგი გეგეშიძემ, ვლადიმერ სიმონიამ და სს „საქქალაქმშენპროექტმა“ სარჩელი აღძრეს თბილისის საოლქო სასამართლოში მოპასუხეების – სს „ოტელ-თბილისისა“ და არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიმართ. სარჩელში აღნიშნული იყო, რომ ქ. თბილისში, 1991 წლის 22 დეკემბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე მომხდარი მოვლენების შედეგად დანგრეული, დამწვარი და დაზიანებული შენობების აღდგენა-რეკონსტრუქციის მიზნით შეიქმნა საპროექტო ღონისძიებათა შემ-მუშავებელი კომისია, რომელმაც შეიმუშავა არქიტექტურული კონკურსების ჩატარების პროგრამა და პირობები.

მოსარჩელეთა განმარტებით, 1992 წლის 19 მარტს ქ. თბილისის მერიამ და მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულმა გენერალურმა საპროექტო ორგანიზაციამ „თბილქალაქპროექტმა“ გამოაცხადეს არქიტექტურული კონკურსები საუკეთესო პროექტების გამოსავლენად. ყველა აღნიშნული კონკურსისთვის დადგინდა საერთო დებულება, რომლის თანახმად, კონკურსის ეიური გამოავლენდა ავტორს ან ავტორთა ჯგუფს, ვისაც ჯილდოდ გადაეცემოდა პროექტის შემდგომი დამუშავების უფლება.

მოსარჩელეთა მითითებით, კონკურსი გამოცხადდა თავისუფლების მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტზეც, რომელზეც წარდგენილი იყო 18 პროექტი. კონკურსის ეიურმა ჩაატარა 6 სხდომა და 1992 წლის 30 ივლისს, დასკვნით სხდომაზე, მიიღო გადაწყვეტილება თავისუფლების მოედნის, ლეონიძისა და ინგოროვას ქუჩებს შორის ტერიტორიაზე აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების პროექტირება წარემართა არქიტექტორ გ. გეგეშიძის საავტორო ჯგუფს. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე კონკურსში გამარჯვებულმა საავტორო ჯგუფმა დააფიქსირა თავისი საავტორო უფლებები სამართლებრივ ფორმაში „მგმ – ავტორი“.

სარჩელში აღნიშნული იყო, რომ საავტორო ჯგუფმა საავტორო უფლებების საფუძველზე და კონკურსის შედეგად შემუშავებული „არქიტექტურულ-გეგმარებით მოთხოვნათა“ მიხედვით დამუშავა გენგეგმების ეტაპები, განახორციელა ორი საცხოვრებელი სახლისა და ერთენული ბანკის რეკონსტრუქციის პროექტი და დაამუშავა სხვა საპროექტო წინადადებები.

მოსარჩელეთა განმარტებით, 1999 წლის 16 ივლისს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროში, გაერთიანებული საბჭოს სხდომაზე, მოიწონეს და მიიღეს მათ მიერ წარდგენილი თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების პროექტის კორექტირებული ვარიანტი. სხდომის ოქმის საფუძველზე, ავტორთა ჯგუფის საავტორო უფლებების უზრუნ-

ველსაყოფად დამკვეთს, ანუ სს „ოტელ-თბილისს“ უნდა წარედგინა ამავე ავტორების მიერ დამუშავებული თავისუფლების მოედნის წინა ზოლის ესკიზური პროექტი, როგორც ზემოხსენებული განაშენიანების პროექტის შემადგენელი ნაწილი.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ მათი ჯგუფის განაშენიანების პროექტის საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს მიერ რეგისტრაციის შემდეგ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, არქიტექტორები გიორგი გეგეშიძე და ვლადიმერ სიმონია გახდნენ განსაკუთრებულ საავტორო უფლებათა მფლობელები, რომელთა საავტორო-ქონებრივი და პირადი-არაქონებრივი უფლებები დაცული იყო კანონით.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ 1999 წლის 9 ოქტომბერს მოპასუხე სს „ოტელ-თბილისმა“ ავტორთა ჯგუფთან შეუთანხმებლად და „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით გამოაცხადა თავისუფლების მოედანზე მრავალფუნქციური შენობის ესკიზურ პროექტზე კონკურსი, რომლის პროგრამასა და პირობებში აღნიშნული იყო, რომ იგი შეთანხმებული იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის პრემიერთან და ქ. თბილისის მთავარ არქიტექტორთან, რაც სათანადოდ არ იყო დამოწმებული. კონკურსი კი ჩატარდა არქიტექტორთა კავშირის მონაწილეობის გარეშე, რითაც დაირღვა მითითებული კანონის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტი. მოსარჩელეთა განმარტებით, აღნიშნული კონკურსი იყო უკანონო, ვინაიდან უნდა შემდგარიყო შესაბამისი დოკუმენტი, რომელის საფუძველზეც გადაისინჯებოდა 1992 წლის კონკურსის შედეგად ჩამოყალიბებული უფლება-მოვალეობები და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოცხადებულიყო ახალი კონკურსი. ამ კონკურსის გამოცხადებას საფუძვლად დაედო სს „ოტელ-თბილისის“ ამერიკელი პარტნიორის მიერ შესრულებული ესკიზური პროექტი, რომელიც დამუშავდა „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით და არ შეესაბამებოდა საავტორო ჯგუფის მიერ დამუშავებულ პროექტს, რითაც არღვევდა კონკურსში გამარჯვებულ ავტორთა ჯგუფის საავტორო უფლებებს.

მოსარჩელეთა განმარტებით, ამის შემდეგ შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ არსებობდა საავტორო უფლებათა მქონე ორი კოლექტივი, რომელთა ინტერესები და პოზიციები ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს. ამასთან, უკანონო იყო იმ ობიექტების პროექტირებაზე კონკურსის გამოცხადება, რომლის დაპროექტების უფლება 1992 წელს ჩატარებული კონკურსის ფიურის გადაწყვეტილებით მინიჭებული ჰქონდა გ. გეგეშიძის ჯგუფს.

მოსარჩელეთა განმარტებით, თავისუფლების მოედნისა და მიმდებარე

დაზიანებული ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციისა და განაშენიანების პროექტის ავტორებს – გ. გეგეშიძეს და ვ. სიმონიას მონაწილეობა არ მიუღიათ სს „ოტელ-თბილისის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში, მათი კონკურსში მონაწილეობა ამოიწურა მხოლოდ რეგისტრაციაში გატარებით, რისი მიზანიც იყო საკონკურსო-საპროექტო მასალების ანალიზისთვის მოპოვება და არა კონკურსში მონაწილეობის მიღება. საავტორო უფლებათა მფლობელებმა პროექტის კონკურსგარეშე წარდგენით ჟიურის და დამკვეთს – „ოტელ-თბილისს“ შეახსენეს, რომ ისინი იყვნენ განსაკუთრებულ საავტორო უფლებათა მფლობელები.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური გასცდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს და „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით გამოაცხადა კონკურსი იმ ობიექტების პროექტირებაზე, რომლის უფლებაც ეკუთვნოდა განსაკუთრებულ საავტორო უფლებათა მფლობელებს.

მოსარჩელეთა განმარტებით, მოპასუხეებმა დაარღვიეს „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-9 და მე-12 მუხლები, ასევე „საავტორო და მოძიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი, მე-3, მე-9, მე-10, მე-17, მე-18, 31-ე, 58-ე და 59-ე მუხლები და საქართველოს კონსტიტუციის მე-3 და 23-ე მუხლების მოთხოვნები, რითაც მოსარჩელებს მატერიალური და მორალური ზიანი მიაყენეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა ითხოვეს: მოპასუხეების საავტორო უფლებათა დამრღვევებად აღიარება; საავტორო უფლებების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და ამ მიზნით მათი თანხმობის გარეშე თავისუფლების მოედნის ტერიტორიაზე ობიექტების საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის აკრძალვა; მოპასუხე სს „ოტელ-თბილისის“ ხელმძღვანელობისთვის მათთან საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენაზე ხელშეკრულების გაფორმების დაკისრება ან მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის – 59 625 (ორმოცდაცხრაშეტი ათას ექვსას ოცდახუთი) აშშ დოლარის ანაზღაურება.

მოპასუხე სს „ოტელ თბილისის“ წარმომადგენელმა გ. გოგიშვილმა სარჩელი არ ცნო და შესაგებელში აღნიშნა, რომ ქ. თბილისში, თავისუფლების მოედნის №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა სს „ოტელ თბილისის“ საკუთრებას, სადაც იგეგმებოდა მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა. შენობის მართვას კი განახორციელებდა სასტუმროების საერთაშორისო ოპერატორი „მერიოტი“.

მოპასუხის განმარტებით, სს „ოტელ თბილისის“ მიერ კონკურსის გამოცხადება წარმოადგენდა მისი უფლების რეალიზაციის საშუალებას და არავითარი კავშირი არ ჰქონდა მოსარჩელების საავტორო უფლებებთან.

მოპასუხემ ასევე აღნიშნა, რომ სს „ოტელ თბილისი“ საავტორო უფლებების დამრღვევად არ უნდა მიჩნეულიყო: ვინაიდან 1992 წლის 19 მარტს კონკურსი გამოცხადდა ქ. თბილისის მერიისა და „თბილქალაქპროექტის“ მიერ, მათვე განსაზღვრეს ჯილდო და ჯილდოს სახით განსაზღვრული უფლებაც მათვე უნდა მიეცათ პროექტის ავტორთათვის; კონკურსი მკაცრად იყო შემოფარგლული ქალაქგეგმარებითი ასპექტებით და არ გულისხმობდა კონკრეტული ობიექტების პროექტირებას; სს „ოტელ თბილისი“ იყო იურიდიული პირი, რომელიც არ წარმოადგენდა სხვა რომელიმე პირის, მათ შორის: ქ. თბილისის მერიის, „თბილქალაქპროექტის“, სს „თბილისის სიტის“ სამართალმემკვიდრეს, შესაბამისად, იგი არ იყო ვალდებული, მის საკუთრებაში არსებული ობიექტის მშენებლობა განეხორციელებინა 1992 წლის 19 მარტს გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული პროექტით ან მშენებლობისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოები დაეკეთა ამ პროექტის ავტორთათვის. სს „ოტელ თბილისის“ თავისი ქმედებით არ დაურღვევია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის ან სხვა საკანონმდებლო აქტის მოთხოვნები.

სს „ოტელ თბილისის“ წარმომადგენელმა გ. გოგიშვილმა შუამდგომლობა დააყენა სასამართლოში და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის თანახმად, ითხოვა საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს არასათანადო მოსარჩელედ ცნობა იმ საფუძველით, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო სააგენტოს არ გააჩნდა ამა თუ იმ პირის საავტორო უფლების დარღვევის ფაქტზე სარჩელის შეტანის უფლებამოსილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 27 მარტის საოქმო განჩინებით სს „ოტელ თბილისის“ წარმომადგენელ გ. გოგიშვილის ზემოთ აღნიშნული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

2000 წლის 14 აპრილს იგივე მოსარჩელებმა დამატებითი სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს მოპასუხეების – სს „ოტელ-თბილისისა“ და არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიმართ, მესამე პირებად მიუთითეს შპს „ფრესკასა“ (ვლ. ცინცაძის საავტორო ჯგუფი) და სს „უძრავი ქონების კომპანიაზე“.

მოსარჩელებმა დამატებით სასარჩელო განცხადებაში მიუთითეს იგივე საფუძველებზე, რაზეც მითითებული ჰქონდათ თავდაპირველ სარჩელში.

გარდა ამისა, მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ ვლ. ცინცაძე დაინტერესდა მომავალი საპროექტო სამუშაოებით, რომლის უფლებაც მათ უკვე მოპოვებული ჰქონდათ და შეგნებულად მიიღო მონაწილეობა სს „ოტელ-

თბილისის“ მიერ გამოცხადებულ უკანონო კონკურსში, ხოლო შემდეგ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის თანახმად, განსაკუთრებული საავტორო უფლებების მფლობელთა ნებართვის გარეშე, ცვლილებები შეიტანა პროექტში, რითაც დაარღვია „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის „დ“ პუნქტის მოთხოვნები. აღნიშნულის გამო ვლ. ცინცაძის ქმედება უკანონოდ უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ ქ. თბილისის მერიის მიერ სს „ოტელ-თბილისის“ საწესდებო კაპიტალში საკუთრების უფლებით სახელმწიფო ქონების – ქ. თბილისში, თავისუფლების მოედნის №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთის საწესდებო კაპიტალში ჩადება არაკანონიერი იყო.

მოსარჩელებმა დამატებითი სარჩელით ითხოვეს: 1. სს „ოტელ-თბილისისა“ და არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ 1999 წლის 9 ოქტომბერს გამოცხადებული კონკურსის შედეგების ბათილად ცნობა;

2. თავდაპირველ სარჩელში მოთხოვნილ 59625 აშშ დოლართან ერთად, მოპასუხეებისთვის მორალური ზიანის – 20000 აშშ დოლარისა და წარმომადგენლისთვის გადასახდელი თანხის – 14750 დოლარის, სულ 94375 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

2000 წლის 6 მაისს საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტომ, გ. გეგეშიძემ და ვლ. სიმონიამ დამატებითი სასარჩელო განცხადება შეიტანეს თბილისის საოლქო სასამართლოში მოპასუხეების – ქ. თბილისის მერიისა და ვლ. ცინცაძის (შპს „ფრესკა“) მიმართ, მესამე პირად მიუთითეს სს „უძრავი ქონების კომპანიაზე“.

მოსარჩელებმა დამატებით სარჩელში მიუთითეს იგივე საფუძვლებზე და დამატებით აღნიშნეს, რომ ქ. თბილისის მერიამ ბოლომდე ვერ უზრუნველყო 1992 წლის 30 ივლისს ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებული მოსარჩელებისთვის კონკურსით მინიჭებული დაპროექტების უფლება. აღნიშნულით შეილახა მათი უფლებები, რაც გამოიხატა მოსარჩელებისთვის ჯილდოს სახით გადაცემული თავისუფლების მოედნის №4-ის შემდგომი განაშენიანების პროექტირების უფლების ფაქტობრივად ჩამორთმევაში.

მოსარჩელებმა დამატებითი სარჩელით ითხოვეს: 1. სს „ოტელ-თბილისის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, თბილისში, თავისუფლების მოედნის №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთის, უკანონოდ მიჩნევა;

2. სს „ოტელ-თბილისისა“ და ქ. თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ 1999 წლის 9 ოქტომბერს გამოცხადებული კონკურსის შედეგების ბათილად ცნობა;

3. თავდაპირველ სარჩელში მითითებული თანხისგან დამოუკიდებლად,

მორალური ზიანის – 20000 აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრება სს „ოტელ-თბილისისთვის.“

თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 26 ივნისის განჩინებით მოცემულ საქმეზე დაინიშნა არქიტექტურული ექსპერტიზა, რომლის ჩატარება დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრს. აღნიშნული ცენტრის ექსპერტის 2000 წლის 21 ივლისის დასკვნიდან ირკვევა, რომ თბილისში, თავისუფლების მოედანზე მრავალფუნქციური შენობის ესკიზური პროექტის შედგენისას ვ. ცინცაძის საავტორო ჯგუფს არ ჰქონდა გამოყენებული გ. გეგეშიძის საავტორო კოლექტივის მიერ 1999 წელს შედგენილი დაზიანებული კვარტლის აღდგენისა და რეკონსტრუქციის პროექტის ელემენტები, ამასთან, ზემოაღნიშნული პროექტის შედგენისას ვ. ცინცაძის ჯგუფის მხრიდან პლაგიატს ადგილი არ ჰქონია.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 18 სექტემბრის განჩინებით მოცემული საქმე განსახილველად განსჯადობით გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახდლო საქმეთა კოლეგიას, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 30 ნოემბრის განჩინებით, რომლითაც განიხილა დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიასა და ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახდლო საქმეთა კოლეგიას შორის, საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად გადაეცა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში მოსარჩელებმა წარადგინეს კიდევ ერთი სასარჩელო განცხადება, რომელშიც საბოლოოდ დააზუსტეს მოპასუხეები, კერძოდ, მოპასუხეებად მიუთითეს სს „ოტელ-თბილისსა“ და არქიტექტურის საქალაქო სამსახურზე, ხოლო მესამე პირად – ვლ. ცინცაძეზე (შპს „ფრესკა“).

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა ვ. სიმონიას, გ. გეგეშიძის, სს „საქქალაქმშენპროექტის“ სარჩელი მოპასუხე სს „ოტელ-თბილისისა“ და არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიმართ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა და ითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

მოსარჩელებმა სარჩელი დააკონკრეტეს თბილისის საოლქო სასამართლოში საქმის განხილვისას და განმარტეს, რომ ისინი ითხოვდნენ მათი უფლებების რეალიზაციას, მათ შორის – გენგეგმისა და განაშენიანების პროექტის სივრცით-მოცულობითი პარამეტრების დაცვას და დაპროექტების

უფლების ხელყოფის გამო კომპენსაციას, გარდა ამისა, მოსარჩელებმა ითხოვეს სასამართლოს მიერ გენგეგმისა და სივრცით-მოცულობითი პარამეტრების დარღვევის გათვალისწინებით, სასტუმროს პროექტის ხელახალი შეთანხმების შესახებ ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. მოსარჩელებმა ასევე აღნიშნეს, რომ მათი ახალი მოთხოვნა არ სცილდებოდა სასარჩელო მოთხოვნაში მათი უფლებების რეალიზაციის შესახებ მოთხოვნას.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 15 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს იმავე საფუძვლებით გ. გეგეშიძემ, ვლ. სიმონიამ და სს „საქქალაქმშენპროექტმა“ და ითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორთა განმარტებით, საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, კერძოდ, „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „დ“, „თ“ პუნქტები და მე-10 მუხლი, ასევე „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-5, მე-6 და მე-9 მუხლები და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7, მე-13, მე-60 და 218-ე მუხლები. კასატორები, აგრეთვე, მიუთითებენ, რომ სააპელაციო პალატამ არასრულყოფილად გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები და არასწორად შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ მიიღო არასწორი განჩინება.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა, მესამე პირის განმარტებები, შეამოწმა საკასაციო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი საფუძვლები, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 1992 წლის 4 მარტს ქ. თბილისის მერიამ და „თბილქალაქპროექტმა“ გამოაცხადეს არქიტექტურული კონკურსი რუსთაველის გამზირისა და მისი მიმდებარე უბნების აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტებზე. კონკურსის ჟიურის უნდა დაედგინა იდენი ავტორი ან ავტორთა ჯგუფი, ვისაც ჯილდოდ მიენიჭებოდა პროექტის შემდგომი დამუშავების უფლება. თავისუფლების მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის

აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტების კონკურსის ფურის 1992 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით თავისუფლების მოედნის, ლეონიძისა და ინგოროყვას ქუჩებს შორის მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების პროექტირების წარმართვის უფლება მიენიჭა არქიტექტორ გ. გეგეშიძის საავტორო ჯგუფს.

საქმის მასალებიდან, აგრეთვე, ირკვევა რომ „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის, თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 9 ოქტომბრის №20.31.1187 დადგენილებისა და ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1998 წლის 21 სექტემბერს გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმის საფუძველზე თბილისში, თავისუფლების მოედნის №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთი მშენებლობის უფლებით საკუთრებაში გადაეცა სს „თბილისის უძრავი ქონების კომპანია“.

სს „თბილისის უძრავი ქონების კომპანია“ და სს „ოტელ-თბილის“ შორის 1999 წლის 7 აგვისტოს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთის შესაკუთრე გახდა სს „ოტელ-თბილისი“.

1999 წლის 9 ოქტომბერს სს „ოტელ-თბილისმა“ გამოაცხადა ღია არქიტექტურული კონკურსი მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ასაშენებელ მრავალფუნქციური შენობის ესკიზურ პროექტზე. კონკურსის ფურიმ გამარჯვებულად გამოაცხადა შპს „ფრესკის“ ავტორობით შექმნილი პროექტი, რის შემდეგაც სს „ოტელ-თბილისსა“ და შპს „ფრესკას“ შორის დაიდო ხელშეკრულება პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის შესრულებაზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ქ. თბილისის მერიის მიერ 1992 წლის 4 მარტსა და სს „ოტელ-თბილისის“ მიერ 1999 წლის 9 ოქტომბერს გამოცხადებულ კონკურსებს ჰქონდათ განსხვავებული მიზნები. ქ. თბილისის მერიის მიერ 1992 წლის 4 მარტს გამოცხადებული კონკურსის მიზანს წარმოადგენდა მხოლოდ ქალაქგეგმარებითი ასპექტები. 1992 წლის 4 მარტის კონკურსში გამარჯვებულებს არ მოუპოვებიათ ცალკეული შენობის პროექტირების უფლება. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორების განმარტებას, რომ მათ ჰქონდათ ცალკეული შენობის, მათ შორის, თავისუფლების მოედნის №4-ში ასაშენებელი ნაგებობის პროექტირების უფლება. განაშენიანების პროექტის მოწონების შედეგად კასატორებმა ჯილდოდ მიიღეს პროექტის შემდგომი დამუშავების უფლება. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ კონკურსის ორგანიზატორ ქ. თბილისის მერიასა და კონკურსში გამარჯვებულებს შორის წარმოიშვა სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის არშესრულების შემთხ-

ვევაში მხარეებს მოთხოვნის უფლება უნდა გასჩენოდეთ ერთმანეთის მიმართ. თუ კასატორები თვლიდნენ, რომ შეილახა მათი სააკტორო უფლება, ისინი უფლებამოსილი იყვნენ, აღეძრათ სარჩელი ქ. თბილისის პერიის მიმართ.

რაც შეეხება სს „ოტელ-თბილისის“ მიერ 1999 წლის 9 ოქტომბერს გამოცხადებულ კონკურსს, იგი გამოცხადდა თავისუფლების მოედნის №4-ში მდებარე სს „ოტელ-თბილისის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი შენობის პროექტზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თელის, რომ 1992 წლის 4 მარტის კონკურსის მიზანი იყო რუსთაველის გამზირისა და მიმდებარე ტერიტორიების აღდგენა-რეკონსტრუქციის არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტის მიღება, ხოლო 1999 წლის 9 ოქტომბრის კონკურსის მიზანი იყო კონკრეტული შენობის საუკეთესო პროექტის შერჩევა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორებს არ მოუპოვებიათ თავისუფლების მოედნის №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი შენობის პროექტირების უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, არც მათი უფლება დაურღვევია სს „ოტელ-თბილისის“. ამ უკანასკნელს არ გააჩნდა სახელშეკრულებო ან კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულება, თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შენობა აეშენებინა მხოლოდ კასატორების პროექტის საფუძველზე.

ამრიგად, საკასაციო სასამართლო თელის, რომ სს „ოტელ-თბილისის“ მიერ 1999 წლის 9 ოქტომბერს თავისუფლების მოედნის №4-ში ასაშენებელი შენობის პროექტზე გამოცხადებული კონკურსით არ დარღვეულა კასატორთა უფლება, რომელიც მათ მოიპოვეს თბილისის პერიის მიერ 1992 წლის 4 მარტს გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებით.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მოტივაციას, რომ „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პროექტის შექმნის საფუძველს წარმოადგენს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში მიეცა არა მოსარჩელებს, არამედ კანონის შესაბამისად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრე სს „ოტელ-თბილისის“ ასაშენებელი შენობის პროექტის დასამუშავებლად.

საკასაციო სასამართლო თელის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად არ გაიზიარა აპელანტთა (მოსარჩელები) მოთხოვნა ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტი, რომლის თანახმად, სადავო ადმინისტრაციული აქტის ბათილობის საფუძველს წარმოადგენს მისი კანონთან წინააღმდეგობა ან ადმინისტრაციული აქტის მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების დარღვევა. საკასაციო სასამართლოს აზრით,

სააპელაციო პალატამ მართებულად ჩათვალა, რომ ზემოთ აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევას კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია დაუსაბუთებლად აპელანტთა (მოსარჩევეები) მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის – 59625 აშშ დოლარის, მორალური ზიანის – 20000 აშშ დოლარისა და წარმომადგენლისთვის გადასახდელი თანხის – 14750 აშშ დოლარის, სულ – 94375 აშშ დოლარის მოპასუხისთვის დაკისრების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატას განჩინების გამოტანისას არ დაურღვევია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სწორად გამოიყენა და განმარტა ის კანონები, რომლებიც საფუძვლად დაედო მის მიერ გამოტანილ განჩინებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. სს „საქქალაქმშენპროექტის“, გ. გეგეშიძისა და ვ. სიმონიას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 15 მაისის განჩინება;
3. კასატორები – ვ. სიმონია და გ. გეგეშიძე გაათავისუფლდნენ სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან;
4. კასატორ სს „საქქალაქმშენპროექტს“ შეუმცირდეს სახელმწიფო ბაჟის ოდენობა და დაეკისროს სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით;
5. საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საავტორო უფლების დამრღვევად აღიარება და ზიანის ანაზღაურება



გ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა საქართველოს სახელით

№02ა/79-99 6 იანვარი, 2000 წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო
საქმეთა კოლეგიამ

შემდეგი შემადგენლობით: მ.ჯიყაშვილი (თავმჯდომარე),
მ.ჩანტლაძე,
დ.თოდრაძე

მოსარჩელები: ზ.აბაშიძის, ვ.ცერცვაძის, მათი წარმომადგენლის
ო.ბართაიას

მოპასუხეების: დ.ეფრემიძის, შპს „მთაწმინდელის“ გაერთიანება „ოთხ-
მოცდაათიანელების“ წარმომადგენლის ე.ყურუას და თავად დ.ეფრემიძის
მონაწილეობით

განიხილა სამოქალაქო საქმე ზ.აბაშიძისა და ვ.ცერცვაძის სარჩელის
გამო დ.ეფრემიძის, შპს „მთაწმინდელის“, გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელებ-
ის“ მიმართ მოპასუხეების მომიჯნავე უფლებების დამრღვევებად ცნობის,
გაერთიანების მიერ გამოცემული წიგნების „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ –
კონტრადაქციულ ეგზემპლარებად ჩათვლის, მოპასუხეებზე 15000 ლარის
დაკისრების, მოპასუხეებისათვის მოსარჩელების და საავტორო და მომ-
იჯნავე უფლებით სახელმწიფო სააგენტოს თანხმობის გარეშე წიგნის –
„გეოპოლიტიკის საფუძვლები“ გამოცემის და რეალიზაციის აკრძალვის და
მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ

ვანო ცერცვაძე და ზვიად აბაშიძე არიან ალექსანდრე დუგინის წიგნის „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ გადამუშავებული ნაწარმოების, კერძოდ, ქართულენოვანი თარგმანის ავტორი. მათ მიერ გადამუშავებული ნაწარმოები 1999 წლის 6 ივლისიდან რეგისტრირებულია საავტორო უფლებათა და ინტელექტუალური საკუთრების საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს მიერ. აღნიშნული თარგმანის გამოცემისას მას მიენიჭება საავტორო უფლების დაცვის საერთაშორისო ნიშანი – ©.

მხარეთა შორის მიღწეული მოლაპარაკების საფუძველზე, 1999 წლის 28 ივნისს დაიდო წერილობითი ხელშეკრულება გამომცემლობა „არფტოგე-ას“, „გეოპოლიტიკის საფუძვლების“ ავტორს ალექსანდრე დუგინსა და მეორე მხარეს, მთარგმნელებს (ვ.ცერცვაძე, ზ.აბაშიძე) შორის „გეოპოლიტიკის საფუძვლების“ ქართულ ენაზე გამოცემის განსაკუთრებული უფლების თაობაზე, ხოლო 1999 წლის 30 სექტემბერს გამოცემლობისა და ავტორის მიერ გაცემული იქნა რწმუნება ვანო ცერცვაძესა და ზვიად აბაშიძეზე, რომლის ძალითაც ამ უკანასკნელებს გადასცეს უფლება წიგნის „გეოპოლიტიკის საფუძვლების“ სხვის მიერ ქართულ ენაზე უკანონოდ გამოცემის შემთხვევაში დაიცვან ავტორის უფლება აღნიშნულ წიგნზე.

მოსარჩელის განმარტებით, ნაწარმოების თარგმანი ავტორების მიერ მომზადდა საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის მუშაკის, მოპასუხის, დავით ეფრემიძის ნებართვით პარლამენტის სამუშაო ოთახებში არსებულ კომპიუტერულ ბაზაზე. ავტორებმა სამუშაოს ჩატარების შემდეგ მიზანშეწონილად ჩათვალეს წაშლათ აღნიშნული თარგმანი. მოპასუხეებმა, ისარგებლეს რა აღნიშნული გარემოებით, 1999 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დიდი ოდენობითა და ხარვეზებით, გამოსცეს და რეალიზაცია გაუკეთეს ავტორების მიერ ქართულად ნათარგმნ წიგნს „გეოპოლიტიკის საფუძვლები“. მოპასუხეების მიერ გამოცემული წიგნის ყოველ ლუწ გვერდზე აღნიშნულია ერთ-ერთი მოპასუხე – გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელები“.

როგორც სასარჩელო განცხადებაში მიუთითებენ, თარგმანის ავტორების მიერ შემოწმდა წიგნის გასაყიდი ადგილები და აღმოჩნდა დიდი ოდენობით გასაყიდი წიგნები, კერძოდ, მაღაზია „აისში“, მდებარე ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის №89-ში – 1000 ეგზემპლარი გასაყიდი ფასით 13 ლარი; მაღაზია „ბესტსელერი“ მდებარე ქ.თბილისი, მელიქიშვილის №13-ში – 730 ეგზემპლარი გასაყიდი ფასით 13 ლარი; მაღაზია „საუნჯე“, მდებარე რუსთაველის გამზ, №28-ში – 2570 ეგზემპლარი, გასაყიდი ფასი – 13 ლარი.

მოსარჩელები განმარტავენ, რომ მოპასუხეებმა საქართველოს საავტორო უფლებათა დაცვის სახელმწიფო სააგენტოს მიერ 1999 წლის 15

ოქტომბერს გაგზავნილი წერილ-შეკითხვას ავტორების ზ.აბაშიძის და ვ.ცერცვაძის მიერ ალექსანდრე დუგინის ნაწარმოების „გეოპოლიტიკის საფუძვლების“ ქართულ ენაზე თარგმნის უნებართვოდ გამოცემისა და ტირაჟის შესახებ არ უპასუხეს, რაც მათი აზრით იმაზე მიუთითებს, რომ მოპასუხეებმა თავისად დაგულებული უფლებით თვითნებურად მიითვისეს თარგმანი, რითაც შელახეს ვ.ცერცვაძისა და ზ.აბაშიძის ავტორის უფლებები.

საქმეზე წერილობითი შეჯიბრისას მოსარჩლეები ითხოვდნენ აღიარებულ იქნენ მოპასუხეები, საქართველოს კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ 58-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე საავტორო და მომიჯნავე უფლებების დამრღვევებლად. მოპასუხეთა მიერ გამოცემული წიგნები „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ ჩაითვალოს კონტრაფაქციულ ეგზემპლარებად; იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხეების მიერ კონტრაფაქციული წიგნები გამოცემულია დიდი ხარვეზებით, ზიანის ანაზღაურების მიზნით მოპასუხეებს დაეკისრათ 5000 ტირაჟის გასაყიდი ფასის 13 ლარის მიხედვით 65000 ლარის გადახდა 1999 წლის სექტემბერ-ოქტომბერში არსებული ლარის კურსის მიხედვით აშშ დოლართან მიმართებაში და თანხა ჩაირიცხოს ანგარიშზე; სს „საქართველოს საფოსტო ბანკის“ აფხაზეთის №1 ფილიალი, 220101877 კ/ა 890029 ზვიად აბაშიძე 711006; ასევე მოპასუხეებს აეკრძალოთ საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოსა და ავტორების – ვ.ცერცვაძისა და ზ.აბაშიძის თანხმობის გარეშე გამოსცენ წიგნი „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ და რეალიზაცია გაუკეთონ მას; სახელმწიფო ბაჟი დაეკისროს მოპასუხეებს, მათვე დაეკისროთ მორალური ზიანის გადახდა.

საქმის ზეპირი განხილვისას მოსარჩლეებმა ნაწილობრივ შეამცირეს სასარჩელო მოთხოვნები. საბოლოოდ, სხვა მოთხოვნების უცვლელად ითხოვენ 65000 ლარის ნაცვლად დაეკისროთ მოპასუხეებს 15000 ლარი.

მოპასუხეებმა სარჩელი ნაწილობრივ ცნეს და განმარტეს, რომ 1996 წლის მარტში გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელებში“ ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ცენტრი, რომლის ხელმძღვანელად 1997 წლის 23 ნოემბრის №7 ბრძანების საფუძველზე დაინიშნა ვ.ცერცვაძე. 1998 წლის თებერვალში ცენტრმა მიზნად დაისახა ალ.დუგინის წიგნის „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ ქართულ ენაზე თარგმნა, რის გამოც შეიქმნა მთარგმნელთა ჯგუფი ვ.ცერცვაძის ხელმძღვანელობით. ჯგუფის ერთ-ერთი წევრი იყო ზ.აბაშიძეც. 1998 წლის 13 აგვისტოს ვერცვაძეს დაევალა ეწარმოებინა მოლაპარაკება ალ.დუგინთან. 1998 წლის 24 აგვისტოს ვ.ცერცვაძემ დარეკა ალ.დუგინთან მოსკოვში და გვაცნობა, რომ მას ვერ დაუკავშირდა. იმავე წლის შემოდგომაზე კი ვ.ცერცვაძემ და ზ.აბაშიძემ შეწყვიტეს გაერთიანებაში სხდომებსა და შეკრებებზე სიარული, ჯგუფმა კი გააგრძელა წიგნის თარგმნა.

1999 წლის 14 სექტემბერს შპს „მთაწმინდელმა“ დადო ხელშეკრულება შპს „სეზანთან“ წიგნის გამოცემის თაობაზე. 1999 წლის 27 სექტემბერს მოპასუხემ შპს „სეზანისაგან“ ჩაიბარა დაბეჭდილი წიგნის 100 ეგზემპლარი, რომელთაგან ერთი, მისი განმარტებით, გადასცა ვ.ცერცვაძეს, 23 წიგნი სხვა მთარგმნელებს, ხოლო 10-10 წიგნი შეტანილ იქნა მაღაზიებში. 1999 წლის 8 ოქტომბერს ვ.ცერცვაძემ და ზ.აბაშიძემ გააცნეს მოპასუხეებს ალ.დუგინთან დადებული ხელშეკრულების ტექსტი. 1999 წლის 11-12 ოქტომბერს მაღაზიებიდან მოპასუხეებმა უკან ამოიღეს გაუყიდავი წიგნები.

მოპასუხეთა განმარტებით ზ.აბაშიძემ და ვ.ცერცვაძემ დაარღვიეს საქართველოს კანონი „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების შესახებ“, მათი წესდება. ალ.დუგინის მოტყუებით დადეს მასთან გარიგება, ასევე მოტყუებით, წიგნის სხვა მთარგმნელების თანხმობის გარეშე რეგისტრაციაში გაატარეს თარგმანი საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოში. ვ.ცერცვაძემ და ზ.აბაშიძემ წიგნების ტირაჟის შესახებ ყალბი და არარსებული ციფრებისა, ფაქტების მოწოდებით შეცდომაში შეიყვანეს საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტო, რის გამოც სააგენტომ – მაღაზიებში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის შეუსწავლელად, მხოლოდ ვ.ცერცვაძისა და ზ.აბაშიძის სიტყვიერი განცხადების საფუძველზე გამოიტანა მცდარი დასკვნა და სადავო თანხა ხელოვნურად გაზარდა.

მოპასუხეები ითხოვენ ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს სარჩელი. მისი მოთხოვნები – მიჩნეულ იქნენ მოპასუხეები საავტორო და მომიჯნავე უფლებების დამრღვევებად; მოპასუხეების მიერ გამოცემული წიგნები „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ ჩაითვალოს კონტრაფაქციულ ეგზემპლარებად, აეკრძალოთ მოპასუხეებს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოსა და ვ.ცერცვაძისა და ზ.აბაშიძის თანხმობის გარეშე გამოსცენ წიგნი „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ და რეალიზაცია გაუკეთონ მათ, მოპასუხეების თხოვნით, დაკმაყოფილდეს მთლიანად, ხოლო 15000 ლარის დაკისრებაზე ეთქვათ ნაწილობრივი უარი და დაკმაყოფილდეს 640 ლარის ოდენობით.

სასამართლო კოლეგიამ მოუსმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებებს, მოწმეთა ჩვენებებს, შეისწავლა საქმეში არსებული მასალები, მიაჩნია, რომ სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სასარჩელო დავა წარმოადგენს საავტორო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავას, კერძოდ, შესრულებულ თარგმანზე საავტორო უფლების მქონე პირებსა და მათი ნებართვის გარეშე ნაწარმოების გამომცემლებს შორის არსებულ დავას.

მოსარჩელები ვ.ცერცვაძე და ზ.აბაშიძე არიან ალ.დუგინის წიგნის „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ თარგმანის ავტორები. „საავტორო და მომ-

იჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ლ“ პუნქტის თანახმად გადამუშავებული ნაწარმოები, კერძოდ, თარგმანი ითვლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებად. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე კი გადამუშავებული ნაწარმოების დაცვა ხორციელდება ორიგინალურ, ნაწარმოების თანაბრად. იმავე კანონის მე-11 მუხლის მიხედვით კი მოსარჩელები ზ.აბაშიძე და ვ.ცერცვაძე არიან თარგმანის თანავეტორები, რაც დადასტურებულია საქართველოს საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს მიერ გაცემული ცნობით.

მოსარჩელებმა ალ.დუგინის წიგნის „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ თარგმანისა და მასზე საავტორო უფლების რეგისტრაციის შემდეგ შეიძინეს საავტორო უფლება გადამუშავებულ ნაწარმოებზე, თარგმანზე (მუხლი 13).

მოსარჩელების მიერ თარგმანი განხორციელებულ იქნა ალექსანდრე დუგინის რუსულენოვან ნაწარმოებზე „გეოპოლიტიკის საფუძვლები“. ზემოთ მითითებული კანონის 18-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად ავტორს მისი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება აქვს, რაც ასევე თარგმანზე ნებართვის მიცემის უფლებასაც გულისხმობს. მოსარჩელების მიერ დაცული იქნა კანონის ამ ნორმის მოთხოვნა და მიღწეული იქნა შეთანხმება წიგნის ავტორთან ალ.დუგინთან და წიგნის გამომცემელთან „არგტოგეასთან“, რის შედეგადაც დაიდო მათ შორის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების ძალით მოსარჩელები ზ.აბაშიძე და ვ.ცერცვაძე ლეგალობდნენ წიგნის „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ თარგმანისა და გამომცემის განსაკუთრებულ უფლებას. თავის მხრივ მოსარჩელები ვალდებულნი არიან კისრულობდნენ გადაეცათ 500 აშშ დოლარი ალ.დუგინისათვის ქართულენოვანი წიგნის გამომცემიდან 5 თვის ვადაში და გაეგზავნათ მისი 5 ეგზემპლარი, ხელშეკრულების 5-6 პუნქტებით დაცული იყო ავტორის სხვა უფლებებიც. ხელშეკრულების ძალითვე მოსარჩელებს ეკრძალებოდათ წიგნის თარგმანის გამომცემა ავტორისა და გამომცემლობა „არგტოგეას“ წინასწარი შეტყობინების გარეშე, ასევე სხვა პირებისათვის ამ უფლების გადაცემა. გარდა ამისა, ალ.დუგინის მიერ წიგნის თარგმანზე და მის გამომცემაზე დასტურის დასამტკიცებლად მოსარჩელების მიერ წარმოდგენილი იქნა ავტორის წინასიტყვაობა და რწმუნება გაცემული გამომცემლობა „არგტოგეას“ და ავტორის ალ.დუგინის მიერ ვ.ცერცვაძისა და ზ.აბაშიძის სახელზე.

სასამართლო დადგენილად მიიჩნევა იმ გარემოებას, რომ მოპასუხეების მიერ გამომცემელი ქართულენოვანი წიგნი ალ.დუგინის „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ წარმოადგენს მოსარჩელების მიერ შესრულებულ თარგმანს. მოპასუხეები თავიანთ შესაგებელ განმატებაში აღნიშნავენ, რომ 1998 წლის თებერვალში გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელებში“ შეიქმნა ალ.დუგინის „გეოპოლიტიკის საფუძვლების“ ქართულ ენაზე თარგმანისათვის მთარგმ-

ნელთა ჯგუფი ვ-ცერცვაძის ხელმძღვანელობით, ზ.აბაშიძე კი მისი ერთ-ერთი წევრი იყო. მოსარჩელები რომ ამ წიგნის თარგმანზე მუშაობდნენ დადასტურდა ასევე მოწმეთა თბინიაშვილისა და ა.კობალაძის ჩვენებებით.

მოპასუხეების განმარტებით, მათ მოსარჩელეთა მიერ თარგმანზე საავტორო უფლების მიღების შესახებ შეიტყვეს 1999 წლის ოქტომბრის დასაწყისში და მათ ამ უფლების რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოსათვის არ მიუმართავთ, რითაც ფაქტიურად აღიარეს მოსარჩელების უფლება სადავო თარგმანზე. მოპასუხეებმა ზ.აბაშიძისა და ვ-ცერცვაძის საავტორო უფლება აღიარეს და ცნეს სარჩელის მოთხოვნები ასევე საქმეზე ზეპირი შეჯიბრის დროსაც იმ ნაწილში, რომ ისინი უნდა იქნენ ცნობილნი საავტორო უფლებების დამრღვევებად, მათ მიერ გამოცემული წიგნები კი უნდა ჩაითვალოს კონტრაფაქციურად.

სასამართლო კოლეგია ითვალისწინებს რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის დეფინიციას, მიაჩნია, რომ მოპასუხეების აღიარება უნდა ჩაითვალოს საკმარის მტკიცებულებად იმისათვის, რომ დაკმაყოფილებული იქნეს სარჩელის ეს მოთხოვნები.

მოსარჩელები სარჩელით ითხოვდნენ მოპასუხეებს დაკისრებოდათ 65000 ლარი. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის ზეპირი განხილვისას, კერძოდ, მხარეთა პაექრობისას მოსარჩელებმა შეამცირეს სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვეს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტზე მითითებით დაეკისროთ მოპასუხეებს 15000 ლარის გადახდა ზიანის სახით, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით. იმავდროულად, მოსარჩელები მოითხოვენ კანონზე დაყრდნობით რწმენითა და სასამართლოს შეხედულებით განსაზღვრული ოდენობით დაეკისროთ მოპასუხეებს მორალური ზიანის ანაზღაურება – სკ-ს მე-18 მუხლით.

მოსარჩელების განმარტებით, მათ მიერ მოთხოვნილი თანხა 15000 ლარი ორი ნაწილისაგან შედგება. ერთი ნაწილი – 2000 ლარი წარმოადგენს ზიანს იმ მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით, რომელიც უნდა მიეღოთ წიგნის გამოცემის შემთხვევაში, ხოლო მეორე ნაწილი კი 13000 ლარია და ეს თანხა მოსარჩელების თქმით, სარჩელზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ უნდა გადაუხადონ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს სარჩელით თავდაპირველად მოთხოვნილი თანხის 65000 ლარის 20%-ის სახით.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა მოპასუხეებისათვის ზიანის, მათ შორის მიუღებელი შემოსავლის დაკისრების შესახებ ნაწილობრივ საფუძვლიანია. მართალია მოპასუხეები სადავოდ ხდი-

ან მოსარჩელეთა გამოთვლებს წიგნის გამოცემის ხარჯებსა და საბოლოოდ მისაღები 2000 ლარის შემოსავლის შესახებ და მიუთითებენ, რომ მათი გაანგარიშებით მოსარჩელებს უნდა მიეცეთ 1280 ლარი, მათი მტკიცება საფუძველს მოკლებულია და ვერ აბათილებს მოსარჩელეთა მოთხოვნებს მოპასუხეებზე 2000 ლარის დაკისრების შესახებ. მოსარჩელების აზრით მოპასუხეების მიერ კანონის დარღვევით გამოცემული იქნა რა ალექსანდრე დუგინის წიგნები „გეოპოლიტიკის საფუძვლები“, დაკარგეს შესაძლებლობა თვითონ გამოეცათ წიგნები და მიეღოთ გარკვეული შემოსავალი, რის გამოც მოსარჩელებმა ზ.აბაშიძემ და ვ.ცერცვაძემ დაკარგეს ასეთი შემოსავალი.

სასამართლო კოლეგიას საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკიდან გამომდინარე მიაჩნია, რომ უნდა იქნეს გაზიარებული მოსარჩელეთა გამოთვლები წიგნის გამოცემის ხარჯებისა და მისაღები შემოსავლის სახით, რადგან მოსარჩელებს, მათ მიერ მოძიებული გამომცემლობისა და დამფინანსებელი პირის გათვალისწინებით, სწორედ ის თანხები ჰქონდათ ნავარაუდები, რაც მათ საბოლოო მოთხოვნებში მიუთითეს და ვერ განახორციელეს მათთვის კანონით მინიჭებული უფლებები მოპასუხეთა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების გამო. ამდენად, მოსარჩელეთა მოთხოვნა მოპასუხეებზე 2000 ლარის, მიუღებელი შემოსავლის სახით, დაკისრების შესახებ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული. რაც შეეხება ვ.ცერცვაძისა და ზ.აბაშიძის მიერ მოთხოვნილი თანხის მეორე ნაწილს, კერძოდ, 65000 ლარის 20%-ს, ანუ 13000 ლარის მოპასუხეებზე დაკისრებას, სასამართლო კოლეგია მას უსაფუძვლოდ მიიჩნევს. თავად მოსარჩელების მიერ შემცირებული იქნა სასარჩელო მოთხოვნა 15000 ლარამდე, ამდენად არ შეიძლება მათი გამოთვლები დამყარებული იქნეს არარსებული სასარჩელო მოთხოვნებზე. ამავე დროს მოსარჩელებმა ვერ შეძლეს მიეთითებინათ რა საფუძვლებიდანაა წარმოშობილი სარჩელის ფასის 20%-ის მოთხოვნა. მათ მიერ არ იქნა წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება ამ მოთხოვნის დასადასტურებლად. მათი განმარტებით, მათ მხოლოდ ზეპირი შეთანხმება ჰქონდათ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოსთან, რომ გადაიხდიდნენ 65000 ლარის 20%, რაც სასამართლო კოლეგიას უსაფუძვლოდ მიაჩნია და თვლის, რომ არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

მოსარჩელები ითხოვენ დაეკისროთ მოპასუხეებს მორალური ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე. თუმცა არ მიუთითებენ რაში გამოიხატა განცდილი მორალური ზიანი, ან როგორ მატერიალურ განზომილებაში წარმოდგენილი იგი.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული მოსარჩელეთა ეს მოთხოვნა, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული არაქონებრივი (მორ-

ალური) ზიანი უნდა დაეკისროთ იმ პირებს, რომელთაც ამავე მულით დაცული სიკეთეები ხელყვეს. მოპასუხეების მიერ არ ყოფილა განხორციელებული ასეთი ხელყოფა. ისინი არც სახელის ტარების უფლებას შეცილებიან მოსარჩელებს და არც მათი სახელით უსარგებლიათ, არც მათი ღირსების შემლახველი ინფორმაციები გაუვრცელებიათ. მოპასუხეების მიერ დარღვეული იქნა საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ საქართველოს კანონით დაცული ავტორის უფლებები, რისთვისაც მოსარჩელებმა მათივე არჩევით ითხოვეს ამავე კანონის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დაკისრებოდან ზიანი, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით მოპასუხეებს, ანუ 15000 ლარი 2000 ლარის ჩათვლით მოსარჩელების მიერ მოშველიებული 59-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტში კანონმდებელს ნაგულისხმევი აქვს ზიანი ზოგადად მოცემულ შემოსავლთან ერთად, რაც სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა კიდევ.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს კანონის საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ მე-6, მე-11, მე-13, მე-17, მე-18, 36-ე, 58-ე, 59-ე, მე-60 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 243-ე, 240-ე, 391-ე, 395-ე და 397-ე მუხლებით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

დაკმაყოფილდეს ზვიად აბაშიძისა და ვანო ცერცვაძის სარჩელი ნაწილობრივ.

მიჩნეული იქნენ საავტორო უფლების დარღვევებად დავით ეფრემიძე, შპს „მთაწმინდელი“ და გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელები“ ჩაითვალოს კონტრაფაქციულად დ.ეფრემიძის, შპს „მთაწმინდელის“ და გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელების“ მიერ გამოცემული წიგნი ალ.დუგინი „გეოპოლიტიკის საფუძვლები“.

დაეკისროს მოპასუხეებს – დავით ეფრემიძეს, შპს „მთაწმინდელს“ და გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელებს“ 2000 ლარი მოსარჩელების ზვიად აბაშიძისა და ვანო ცერცვაძის სასარგებლოდ.

აეკრძალოთ დ.ეფრემიძეს, შპს „მთაწმინდელს“ და გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელებს“ ვცერცვაძისა და ზ.აბაშიძის თანხმობის გარეშე წიგნის „გეოპოლიტიკის საფუძვლების“ გამოცემა და რეალიზაცია.

უარი ეთქვათ მოსარჩელებს ზ.აბაშიძესა და ვცერცვაძეს დ.ეფრემიძეზე, შპს „მთაწმინდელზე“ და გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელებზე“ მორალური ზიანის დაკისრების შესახებ უსაფუძვლობის გამო.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ერთი თვის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელთ

№3კ/121

21 აპრილი, 2000წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ქ.გაბელაიას თავმჯდომარეობით: მოსამართლეების ლ.ქაჯაიას, თ.ჩიქოვანის შემადგენლობით

ფ.ელიაურის მდივნობით

განიხილა მოსარჩელების (კასატორები) – ვანო ცერცვაძის და ზვიად აბაშიძის საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილებაზე საქმეზე ვანო ცერცვაძის და ზვიად აბაშიძის სარჩელის გამო მოპასუხებთან: დავით ეფრემიძესთან, შპს გამომცემლობა „მთაწმინდელთან“ და გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელებთან“ საავტორო და მომიჯნავე უფლებების დამრღვევებად ცნობის, მოპასუხეების მიერ გამოცემული წიგნის „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ კონტრაფაქციულად ჩათვლის, მოპასუხეებზე 15.000 ლარის გადახდის დაკისრების, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს თანხმობის გარეშე წიგნის „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ გამოცემისა და რეალიზაციის აკრძალვის და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.

პალატის სხდომაზე გამოცხადნენ: ვ.ცერცვაძე, ზ.აბაშიძე, ო.ბართაია, კ.ენუქიძე, ე.პეტრიაშვილი, დ.ეფრემიძე და მისი რწმუნებულებით კბედუკაძე და ლ.პეტრიაშვილი.

პალატამ მოისმინა რა თ.ჩიქოვანის მოხსენება,

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის პირველმა მოადგილემ მარინე მგალობლიშვილმა 1999 წლის 12 ნოემბერს სარჩელი აღძრა სასამართლოში და ითხოვა მოპასუხე-

ბის: დავით ეფრემიძის, შპს გამოცემლობა „მთაწმინდელის“ და გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელების“ საავტორო და მომიჯნავე უფლებების დამრღვევებად მიჩნევა საქართველოს კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ 58-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად.

2. კონტრაფაქციულ ვებმპლარებად ჩათვლა მოპასუხეების მიერ გამოცემული წიგნების – „გეოპოლიტიკის საფუძვლები“.

3. მოპასუხეები ზიანის ანაზღაურების მიზნით დაეკისროს სარჩელში აღნიშნული 5000 ტირაჟის გასასყიდი ფასის 13 ლარის მიხედვით 65000 ლარის ოდენობით გადახდა 1999 წლის სექტემბერ-ოქტომბერში არსებული ლარის კურსის მიხედვით აშშ დოლართან მიმართებაში და ამოღებული თანხაგადაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: სს საქართველოს საფოსტო ბანკის აფხაზეთის №1 ფილიალი, 2201011877, კ/ა 890029, ზვიად აბაშიძე 711006;

4. აეკრძალოთ მოპასუხეებს საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოსა და ავტორების ვ.ცერცვაძისა და ზ.აბაშიძის თანხმობის გარეშე წიგნის „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ გამოცემა და მისი რეალიზაცია.

5. დაეკისროს მოპასუხეებს სახელმწიფო ბაჟი ბიუჯეტის სასარგებლოდ.

6. განისაზღვროს მორალური ზიანის ანაზღაურება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად.

სარჩელის მოთხოვნა ემყარება იმ საფუძვლებს, რომ საქართველოს კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ მე-6 მუხლის „ლ“ პუნქტის მიხედვით ვანო ცერცვაძე და ზვიად აბაშიძე, არიან ავტორები ალექსანდრე დუგინის წიგნის „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ გადამუშავებული ნაწარმოების, კერძოდ, ქართულენოვანი თარგმანისა. ავტორის მიერ გადამუშავებული ნაწარმოები 1999 წლის 6 ივლისიდან რეგისტრირებულია საავტორო უფლებათა და ინტელექტუალური საკუთრების საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს მიერ.

კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რაც ნიშნავს უფლებას – განაზოციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს: ნაწარმოების რეპროდუქცირება, ნაწარმოების თარგმნა (თარგმნის უფლება) და ა.შ.

ავტორების მიერ ნაწარმოების თარგმანი მომზადდა საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის მუშაკის, მოპასუხის დავით ეფრემიძის ნებართვით პარლამენტის სამუშაო ოთახებში არსებულ კომპიუტერულ ბაზაზე. იმის გათვალისწინებით, რომ კომპიუტერის დისკეტებს შესაძლოა ჰქონოდათ ქარხნული დეფექტები, რაც

შეუძლებელს გახდიდა მათში არსებული ინფორმაციის გადატანას სხვა კომპიუტერში, ავტორებმა სამუშაოს ჩატარების შემდეგ მიზანშეუწონლად ჩათვალეს წაეშალათ აღნიშნული თარგმანი.

მოპასუხეებმა ისარგებლეს რა ამ გარემოებით და 1999 წლის სექტემბერ-ოქტომბერში კანონის მე-13 მუხლის დარღვევით, დიდი ოდენობით და ხარვეზებით გამოსცეს და რეალიზაცია გაუკეთეს ავტორების მიერ ქართულად ნათარგმნ წიგნს „გეოპოლიტიკის საფუძვლებს“, რითაც დაარღვიეს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი, მე-17, მე-18, მე-19, 21-ე, 36-ე, მე-40 და 42-ე მუხლების მოთხოვნები.

მოპასუხეებმა: დავით ეფრემიძემ, შპს გამომცემლობა „მთაწმინდელმა“ და გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელებმა“ 1999 წლის 27 დეკემბერს შესაგებელით მიმართეს სასამართლოს და ითხოვეს შემდეგი:

1. არ დაკმაყოფილდეს საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს სარჩელი, როგორც უსაფუძვლო, რამდენადაც ვანო ცერცვაძე და ზვიად აბაშიძე არიან გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელების“ წევრთა კოლექტიური ნაშრომის (მთარგმნელები და მოწმები: აკაკი კობალაძე, თედო გობეჯიშვილი, ლია მეხაშიშვილი, გვანცა ნინოშვილი, დავით ისაკაძე, მუხრან ნადირაძე, მამუკა მენთუშაშვილი) მიმთვისებლები და მათ არ ჰქონდათ აღნიშნული პირების თანხმობის გარეშე თარგმანის რეგისტრაციის უფლება.

2. ბათილად იქნეს ცნობილი ვანო ცერცვაძისა და ზვიად აბაშიძის მიერ მოტყუებით მიღებული საავტორო უფლება.

3. დაეკისროს ზვიად აბაშიძეს და ვანო ცერცვაძეს ზარალის 740 აშშ დოლარის ექვივალენტის გადახდა, რამდენადაც წიგნის საავტორო უფლებისათვის მიმდინარე მოლაპარაკებები მათ მიერ შეგნებულად იყო დამალული (1998 წლის 24 აგვისტო, 1999 წლის 9 სექტემბერი), რის გამოც მატერიალური და მორალური ზიანი მიადგა გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელებსა“ და შპს „მთაწმინდელის“ ავტორიტეტს.

4. ანაზღაურებული იქნეს მორალური ზიანი მატერიალური და ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად.

შესაგებელის მოთხოვნა ემყარება ის საფუძველს, რომ გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელები“ დაფუძნდა 1995 წლის მარტში საინიციატივო ჯგუფის სახით, ხოლო რეგისტრაცია გაიარა 1995 წლის 21 დეკემბერს იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის №369 დადგენილებით (სარეგისტრაციო მოწმობა №2282). ხელახალი რეგისტრაცია გაიარა თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოში 1998 წლის 23 დეკემბერს (რეგისტრაციის №5/9-134).

1996 წლის მარტში გაერთიანებაში ჩამოყალიბდა „საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ცენტრი“, რომლის ხელმძღვანელად 1997 წლის 23 ნოემბრის №7 ბრძანების საფუძველზე დაინიშნა ვანო ცერცვაძე. ამ ცენტრში 1998 წლის თებერვალში გაჩნდა იდეა ალექსანდრე დუგინის „გეოპოლიტიკის საფუძვლების“ ქართულ ენაზე თარგმნის საჭიროების შესახებ, რის გამოც შეიქმნა მთარგმნელთა ჯგუფი ვ.ცერცვაძის ხელმძღვანელობით, მთარგმნელთა ჯგუფის წევრი და ამავე ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ზვიად აბაშიძეც.

1998 წლის შემოდგომაზე ვანო ცერცვაძემ და ზვიად აბაშიძემ შეწყვიტეს გაერთიანებაში სხდომებსა და შეკრებებზე სიარული და ეს ახსნეს უდროობით ასპირანტურაში ჩაბარებისათვის მზადების გამო (ვანო ცერცვაძეს თსუ ასპირანტურაში მიზნობრივი ადგილი გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელების“ თხოვნით გამოუყვეს).

1998 წლის 1 დეკემბრის საერთო შეკრებაზე წიგნის გამოცემისათვის ორი კვირის ვადა მიეცა ვანო ცერცვაძეს და ზვიად აბაშიძეს.

1999 წლის 30 იანვარს ვანო ცერცვაძემ წიგნის გამოცემის ნაცვლად თავის წილად 2000 აშშ დოლარი მოითხოვა, ამის შემდეგ მთარგმნელთა ჯგუფმა გააგრძელა წიგნზე მუშაობა და დაასრულა 1999 წლის მაისში.

1999 წლის მაისის შუა რიცხვებში შეიკრიბა მთარგმნელთა ჯგუფი და ვანო ცერცვაძეს და ზვიად აბაშიძეს განესაზღვრა წიგნის გამოცემის ვადა 1999 წლის 1 სექტემბრამდე და ისინი 1999 წლის 31 დეკემბრამდე გადაუხდიდნენ გაერთიანებას (დავით ფერემიდის სახით) 500 აშშ დოლარს. იმ შემთხვევაში თუ 1999 წლის 1 სექტემბერს არ იქნებოდა წიგნი სტამბაში მიტანილი, წიგნის გამოცემის უფლება გადადიოდა გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელების“ კომპეტენციაში. ამ შეთანხმების შესაბამისად მათ ჰქონდათ წიგნის გამოცემის უფლება, რის გამოც 1999 წლის 14 სექტემბერს დადეს ხელშეკრულება შპს „სეზანთან“ წიგნის გამოცემის თაობაზე“.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ (თავმჯდომარე მ.ჭყაყაძე, მოსამართლეები მ.ჩანტლაძე, დ.თოდრაძე) 2000 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილებით „დააკმაყოფილა ზვიად აბაშიძის და ვანო ცერცვაძის სარჩელი ნაწილობრივ. მიჩნეულ იქნა საავტორო უფლების დამრღვევებად დავით ფერემიძე, შპს „მთაწმინდელი“ და გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელები“ ჩაითვალა კონტრაფაქტიულად დ.ფერემიდის, შპს „მთაწმინდელის“ და გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელების“ მიერ გამოცემული წიგნი ალ.დუგინი „გეოპოლიტიკის საფუძვლები“.

დაეკისრა მოპასუხეებს, დავით ფერემიძეს, შპს „მთაწმინდელს“ და გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელებს“ 2000 ლარი მოსარჩეელების ზვიად აბაშიძისა და ვანო ცერცვაძის სასარგებლოდ.

აეკრძალათ დ.ეფრემიძეს, შპს „მთაწმინდელს“ და გაერთიანება „ოთხ-მოცდაათიანელებს“ ვ.ცერცვაძის და ზ.აბაშიძის თანხმობის გარეშე წიგნის „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ გამოცემა და რეალიზაცია.

უარი ეთქვა მოსარჩელებს: ზ.აბაშიძესა და ვ.ცერცვაძეს დ.ეფრემიძეზე, შპს „მთაწმინდელზე“ და გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელებზე“ მორალური ზიანის დაკისრების შესახებ.

საკასაციო საჩივარი ითხოვს საოლქო სასამართლოს კოლეგიის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას და ამ ნაწილებში საქმის ხელახლა განხილვისათვის დაბრუნებას თბილისის საოლქო სასამართლოში. კერძოდ, იმ ნაწილებში, რომლითაც მოპასუხეებს – დავით ეფრემიძეს, შპს „მთაწმინდელს“ და გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელებს“ დაეკისრა 2000 ლარი ვანო ცერცვაძისა და ზვიად აბაშიძის სასარგებლოდ და იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი დ.ეფრემიძეზე, შპს „მთაწმინდელზე“ და გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელებზე“ მორალური ზიანის დაკისრების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს პალატა გაეცნო საკასაციო საჩივრის მიზეზებს (გასაჩივრების საფუძვლებს, კასაციის განაცხადს, მოუსმინა საქმეში მონაწილეებს და პალატა თვლის, რომ ამ საქმეზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე კოლეგიას შემდეგი გარემოებების გამო:

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ დამტკიცებულად ცნო შემდეგი: „მოსარჩელები ვ.ცერცვაძე და ზ.აბაშიძე არიან ალ.დუგინის წიგნის „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ თარგმანის ავტორები. „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ლ“ პუნქტის თანახმად გადამუშავებული ნაწარმოები, კერძოდ, თარგმანი ითვლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებად. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე კი გადამუშავებული ნაწარმოების დაცვა ხორციელდება ორიგინალური ნაწარმოების თანახმად. იმავე კანონის მე-11 მუხლის მიხედვით კი მოსარჩელები ზ.აბაშიძე და ვ.ცერცვაძე არიან თარგმანის თანავტორები, რაც დადასტურებულია საავტორო უფლებათა სააგენტოს მიერ გაცემული ცნობით.

მოსარჩელებმა ალ.დუგინის წიგნის „გეოპოლიტიკის საფუძვლების“ თარგმანისა და მასზე საავტორო უფლების რეგისტრაციის შემდეგ შეიძინეს საავტორო უფლება გადამუშავებულ ნაწარმოებზე. ამასთანავე, მოპასუხებმა ზ.აბაშიძის და ვ.ცერცვაძის საავტორო უფლება აღიარეს და ცნეს სარჩელის მოთხოვნები იმ ნაწილში, რომ ისინი ცნობილ უნდა იქნენ საავტორო უფლებების დამრღვევებად, მათ მიერ გამოცემული წიგნები კი უნდა ჩაითვალოს კონტრაფაქციულად, რამდენადაც მოპასუხეების აღიარება არის საკმა-

რისი მტკიცებულება იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულ იქნეს სარჩელის ეს მოთხოვნები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლი).

კოლეგიამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა მოპასუხეებისათვის ზიანის მათ შორის მიუღებელი შემოსავლის 2000 ლარის დაკისრების შესახებ იმ დასაბუთებით, რომ მოპასუხეების მიერ კანონის დარღვევით გამოცემული იქნა აღექსანდრე ღუგინის წიგნი „გეოპოლიტიკის საფუძვლები“, რითაც მოსარჩელებმა დაკარგეს შესაძლებლობა თვითონ გამოეცათ წიგნები და მიეღოთ შემოსავალი.

რაც შეეხება ვცერცვაძისა და ზ.აბაშიძის მიერ მოთხოვნილი თანხის მეორე ნაწილს, კერძოდ 65.000 ლარის 20%-ს ანუ 13.000 ლარის მოპასუხეებზე დაკისრებას, სასამართლო კოლეგია მას უსაფუძვლოდ მიიჩნევს. თვითონ მოსარჩელების მიერ შემცირებული იქნა სასარჩელო მოთხოვნა 15.000 ლარამდე, ამდენად არ შეიძლება მათი გამოთვლები დამყარებულ იქნეს არარსებულ სასარჩელო მოთხოვნებზე. ამავე დროს მოსარჩელებმა ვერ შეძლეს მიეთითებინათ რა საფუძვლებიდანაა წარმოშობილი სარჩელის ფასის 20%-ის მოთხოვნა.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული მოსარჩელეთა ეს მოთხოვნა, რადგან სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ არაქონებრივი (მორალური) ზიანი უნდა დაეკისროს იმ პირებს რომელიც ამავე მუხლით დაცული სიკეთეები ხელყვეს. მოპასუხეების მიერ არ ყოფილა განხორციელებული ასეთი ხელყოფა. ისინი არც სახელის ტარების უფლებას შეცილებიან მოსარჩელებს და არც მათი სახელით უსარგებლიათ, არც მათი ღირსების შემლახავი ინფორმაციები გაუვრცელებიათ“.

საკასაციო სასამართლოს პალატა აღნიშნავს, რომ საოლქო სასამართლოს კოლეგიის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ამასთან დაკავშირებით, პალატა მიზანშეწონილად თვლის განჩინებაში აღნიშნოს კასაციის მიზეზები (გასაჩივრების საფუძვლები). კერძოდ, მოსარჩელები (კასატორები) ვანო ცერცვაძე და ზვიად აბაშიძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ შემდეგს: „სასამართლო კოლეგიამ გადაწყვეტილებაში არ გაითვალისწინა ჩვენს მიერ თარგმანზე გაწეული შრომის ღირებულება კერძოდ: რუსულიდან ქართულად თარგმნის საბაზრო ღირებულებაა 1 გვერდი 10 ლარი, ჩვენს მიერ ნათარგმნია 600 გვერდი, რაც შეადგენს 6000 ლარს. სასამართლო კოლეგიამ ჩვენი შუამდგომლობით არ გამოიძახა მოწმედ ქეთევან გაბიტაშვილი, რომელიც დაადასტურებდა საქმისათვის მნიშვნელოვან

გარემოებას იმის თაობაზე, რომ ქ.გაბიტაშვილმა ჩაატარა ჩვენი თარგმანის კორექტურა, რომლისათვის უკვე ჩატარებული სამუშაოსათვის – თითოეული გასწორებული გვერდისათვის უნდა გადაგვეხადა 1 ლარი, სულ 600 ლარი. ასევე მოწმედ არ იქნა გამოძახებული მათა კაპანაძე, რომელმაც ქ.გაბიტაშვილთან ერთად შეასრულა ჩვენი თარგმანის დაკაბადონება, აგრეთვე მოამზადა რუქები სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამაში. მათ მიერ ჩატარებული სამუშაოს ანაზღაურება დაკაბადონებაში შეადგენს 1200 ლარს და რუქების დამუშავებისათვის 800 ლარს, რითაც დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები, რაც ოქმში არ არის დაფიქსირებული.

ჩვენს მიერ წიგნის ავტორთან და გამომცემლობა „არკტოგეასთან“ დადებული ხელშეკრულების თანახმად, ავტორს ალ.დუგინს უნდა გადაეუხადოთ 500 აშშ დოლარი ჰონორარის სახით უკვე ჩვენი წარმომადგენლის შრომის ანაზღაურების მიზნით უნდა გაეცეთ სარჩელის მიხედვით 2000 აშშ დოლარი.

გადაწყვეტილებაში არასწორად არის აღნიშნული იმის თაობაზე, რომ მოსარჩელებმა ვერ შეძლეს მიეთითებინათ რა საფუძვლებიდანაა წარმოშობილი სარჩელის 20%-ის მოთხოვნა.

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოში არსებული დოკუმენტის „საბუღალტრო ანგარიშსწორებისა და ანარიცხების შესახებ“ მიხედვით, სასარჩელი თანხის 20%-ს იტოვებს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტო. ასევე ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 29 ოქტომბრის დადგენილება №784 (ე.ი. გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული).

გადაწყვეტილებაში არასწორად არის აღნიშნული იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების მე-5 პუნქტებით დაცული იყო ავტორის სხვა უფლებებიც. ხელშეკრულების ძალითვე მოსარჩელებს ეკრძალებოდათ წიგნის თარგმანის გამოცემა ავტორისა და გამომცემლობა „არკტოგეას“ წინასწარი შეთანხმების გარეშე, ასევე სხვა პირებისათვის ამ უფლების გადაცემა.

მიღწეული მოლაპარაკების საფუძველზე 1999 წლის 28 ივნისს დაიდო წერილობითი ხელშეკრულება გამომცემლობა „არკტოგეას“, „გეოპოლიტიკის საფუძვლების“ ავტორს ალექსანდრე დუგინსა და მეორე მხარეს (ვ.ცერცვაძე და ზ.აბაშიძე) შორის „გეოპოლიტიკის საფუძვლების ქართულ ენაზე გამოცემის განსაკუთრებული უფლების თაობაზე, ხოლო 1999 წლის 30 სექტემბერს გამომცემლობისა და ავტორის მიერ გაცემულ იქნა რწმუნება ვანო ცერცვაძესა და ზვიად აბაშიძეზე, რომლის ძალითაც ამ უკანასკნელებს გადმოგვცეს უფლება წიგნის „გეოპოლიტიკის საფუძვლების“ სხვის მიერ

ქართულ ენაზე გამოცემის შემთხვევაში, დაიცვას ავტორის უფლება წიგნზე სასამართლო ორგანოში.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს ნაწარმოების თარგმნა და ა.შ. აქედან გამომდინარე სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება ამ ნაწილში უკანონოა. არასწორია სასამართლო კოლეგიის დასკვნა არაქონებრივი (მორალური) ზიანის ნაწილში. კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოპასუხეების მიერ არ განხორციელებულა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული სიკეთების ხელყოფა. სინამდვილეში დაირღვა აღნიშნული მუხლის 1-ლი პუნქტი. მოპასუხეები შეგვეცილენ სახელის ტარების უფლებაში. მათ მიერ უკანონოდ გამოცემულ წიგნში არ არის მითითებული ჩვენი სახელები.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარომოუქმნა ხელმყოფს. ხელმყოფმა, ამ შემთხვევაში მოპასუხებმა, მიიღეს 65000 ლარი“.

პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია და მასში მითითებული მიზეზები (გასაჩივრების საფუძვლები) საჭიროებს ხელახლა გამოკვლევას კოლეგიის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად. ამასთანავე, პალატას მიაჩნია, რომ საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვის დროს პალატა არ არის შეზღუდული კასაციის მიზეზებით (გასაჩივრების საფუძვლებით) საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შეფასების საფუძველზე განჩინებაში უნდა აღნიშნოს: თუ რომელი ფაქტები საჭიროებს გამოკვლევას, რა მტკიცებულებებია შესაკრები და რა კონკრეტული საპროცესო მოქმედება უნდა შეასრულოს შესაბამისმა კოლეგიამ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი).

აქედან გამომდინარე პალატა აღნიშნავს შემდეგს: კოლეგიამ დადგინილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოპასუხეების მიერ გამოცემული ქართულენოვანი წიგნი ალ.დუგინის „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ წარმოადგენს მოსარჩეელების მიერ შესრულებულ თარგმანს და არ გაიზიარა მოპასუხეების შესაგებელი ამ წიგნის გამოცემაზე მთარგმნელთა ჯგუფის მიერ იმ საფუძველით, რომ მოპასუხებმა მოსარჩეელთა მიერ თარგმანზე საავტორო უფლების მიღების შესახებ შეიტყვეს 1999 წლის ოქტომბრის დასაწყისში და მათ ამ უფლების რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოსთვის არ მიუმართათ, რითაც

ფაქტიურად აღიარეს მოსარჩელების უფლება სადავო თარგმანზე.

ამასთან დაკავშირებით, პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებელით არ არის უარყოფილი ზ.აბაშიძის და ვ.ცერცვაძის მონაწილეობა წიგნის თარგმანში, მაგრამ შესაგებელი ითხოვდა ვ.ცერცვაძესა და ზ.აბაშიძეზე წიგნის საავტორო უფლების ბათილად ცნობას იმ საფუძველით, რომ 1996 წლის მარტში გაერთიანებაში ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ცენტრი, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა ვ.ცერცვაძე. აღნიშნულ ცენტრში 1998 წლის თებერვალში გაჩნდა იდეა ალ.დუგინის „გეოპოლიტიკის საფუძვლების“ ქართულ ენაზე თარგმნის საჭიროების შესახებ, რის გამოც შეიქმნა მთარგმნელთა ჯგუფი ვ.ცერცვაძის ხელმძღვანელობით, მთარგმნელთა ჯგუფის წევრი და ამავე ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ზვიად აბაშიძე“. ასევე, შესაგებელში მითითებულია სათანადო მტკიცებულებებზე იმის თაობაზე, რომ მთარგმნელთა ჯგუფმა 1999 წლის 14 სექტემბერს მიიღო შესაბამისი უფლება წიგნის გამოცემაზე და დადო ხელშეკრულება შპს „სეზანთან“ წიგნის გამოცემის თაობაზე.

კოლეგიამ საერთოდ არ იმსჯელა შესაგებელში აღნიშნულ მოსაზრებებზე და სათანადოდ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები: კერძოდ, წიგნის „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ თარგმანის ავტორები არიან ვ.ცერცვაძე და ზ.აბაშიძე, თუ მთარგმნელთა ჯგუფი, მაშინ როდესაც ამ საკითხის გარკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს დავის სწორად გადაწყვეტისათვის, რამდენადაც მთარგმნელს აქვს საავტორო უფლება საკუთარ თარგმანზე (სამოქალაქო კოდექსის 1036 მუხლი), ხოლო თუკი თარგმანი ერთობლივი შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნა ორმა ან მეტმა პირმა, ერთობლივად ეკუთვნის თანაავტორებს, იმის მიუხედავად, იგი წარმოადგენს ერთ განუყოფელ მთლიანობას, თუ შედგება ნაწილებისაგან (სამოქალაქო კოდექსის 1033-ე მუხლი).

ამასთანავე, სასამართლო კოლეგია გადაწყვეტილებას ასაბუთებს მოპასუხეების მიერ სარჩელის ცნობით იმ ნაწილში, რომ მოპასუხეები უნდა იქნენ ცნობილი საავტორო უფლებების დამრღვევებად და მათ მიერ გამოცემული წიგნები ჩაითვალოს კონტრაფაქციულად. ასევე, კოლეგიას მიაჩნია, რომ მოპასუხეების აღიარება უნდა ჩაითვალოს საკმარის მტკიცებულებად ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებისათვის (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლი).

ამასთან დაკავშირებით პალატა აღნიშნავს, რომ მოპასუხის წარმომადგენელმა ე.ყურუამ კოლეგიის სხდომაზე განმარტა: „მოპასუხეები არ უარყოფენ მოსარჩელების: ვ.ცერცვაძისა და ზ.აბაშიძის მონაწილეობას წიგნის თარგმანში და მხოლოდ ამიტომ შესთავაზეს 1300 ლარი, რასაც ეტაპობრივად გადაიხდიდნენ. მაგრამ ეს სასამართლომ არ უნდა გაიგოს ისე, თითქოს

ჩვენ ვაღიარებთ მოსარჩელის მხრიდან დაუსაბუთებელ, დაუკონკრეტებელ მორალურ ზიანს. ეს ასე არაა, 1300 ლარი მათ მიერ გაწეული შრომის ღირებულებაა მხოლოდ და კიდევ, კომპრომისის ძიება ყოფილ მეგობრებთან“.

აქედან გამომდინარე, მოპასუხებ ცნო სარჩელის პირველი პუნქტი – „მოპასუხეების საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევებად მიჩნევაზე, მეორე პუნქტი – „გეოპოლიტიკის საფუძვლების წიგნები ჩაითვალოს კონტრაფაქციულ ეგზემპლარებად“ და ცნო ნაწილობრივ მესამე პუნქტი, კერძოდ: „მოპასუხეებზე 65000 ლარის გადახდის დაკისრების ნაცვლად 1300 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ“ (ვცერცვაძის და ზაბაშიძის მიერ წიგნის თარგმანში გაწეული შრომის ღირებულება).

პალატა თვლის, რომ ამ ნაწილებში სარჩელის ცნობა გამომდინარეობს წიგნის თარგმანში ზ.აბაშიძის და ვ.ცერცვაძის თანაავტორობიდან და არა წიგნზე მათი საკუთარი თარგმანის აღიარებიდან. ე.ი. ფაქტობრივად კოლეგიას არ გამოუკვლევია: წიგნის „გეოპოლიტიკის საფუძვლების“ მთარგმნელთა საავტორო უფლება. კერძოდ, თარგმანი შეიქმნა ერთობლივი შემოქმედებითი შრომის შედეგად (ორი ან მეტი პირი) თუ ცალკე პირის მიერ დამოუკიდებელი ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგად. მაშინ, როდესაც აღნიშნული საფუძველი მითითებულია შესაგებელში ვ.ცერცვაძის და ზ.აბაშიძის საავტორო უფლების ბათილად ცნობისათვის.

ამასთანავე, პალატა აღნიშნავს, რომ თარგმანის საავტორო უფლებათა გარკვევასთან არის დაკავშირებული სარჩელის სხვა მოთხოვნები: ზიანის ანაზღაურება, კონტრაფაქციულად ჩათვლა, რამდენადაც იგი გამომდინარეობს საავტორო უფლებათა დარღვევიდან (სამოქალაქო კოდექსის 1096-ე და 1097-ე მუხლები), რის გამოც პალატა თვლის, რომ მთლიანად უნდა გაუქმდეს გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ კასაციის განაცხადი ითხოვს გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას.

ასევე, პალატა აღნიშნავს, რომ მოპასუხეებს არ შემოუტანიათ კოლეგიის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი, მაგრამ პალატის სხდომაზე წარმოადგინეს საკასაციო საჩივრის შესაგებელი, რომელიც თავისი შინაარსით არის საკასაციო საჩივარი და მასში მითითებული გარემოებები სადავოდ ხდის ზ.აბაშიძისა და ვ.ცერცვაძის მიერ წიგნის უშუალოდ თარგმნას, მიაჩნია მთარგმნელთა ჯგუფის მიერ შესრულებულად და აქედან გამომდინარე, ითხოვს 1999 წლის 28 ივნისის ხელშეკრულების გაუქმებას.

ასეთ ვითარებაში პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივრის ნაცვლად, საკასაციო საჩივარზე შესაგებელის მითითება ფორმალური მხარეა და იგი არ არის მისი განხილვის უარყოფის საფუძველი.

პალატა აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხის წარმომადგენელმა ეყურა კოლეგიის სხდომაზე განმარტებაში აღნიშნა კვალიფიცი-

ური ექსპერტების მიერ თარგმანის ან მისი ღირებულების (იგულისხმება ორივე მხარის თარგმანის შემოწმება), კოლეგიამ ეს საკითხი მსჯელობის გარეშე დატოვა. მაშინ, როდესაც თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოიჭრა ისეთი საკითხი, რომლის განმარტებაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, სასამართლოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლი).

ამასთანავე, პალატა თვლის, რომ სახელის უფლება ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებაა, რომელიც ეკუთვნის ავტორს მისი ქონებრივი უფლებისაგან დამოუკიდებლად (სამოქალაქო კოდექსის 1043-ე და 1044-ე მუხლები).

საქმის ხელახლა განხილვის დროს მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი), ხოლო სასამართლომ საქმის სრული და ობიექტური განხილვის საფუძველზე, უნდა მიიღოს სათანადო დასკვნა კანონისა და სასამართლოს წინაშე მხარეთა თანასწორობის საწყისებზე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 და 105-ე მუხლები).

იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე, 265-ე მუხლებით და 264-ე მუხლის შესაბამე ნაწილით, პალატამ

დ ა ა დ გ ი ნ ა

გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე კოლეგიას.

განჩინება კანონიერ ძალაში შევიდა მისი გამოცხადებისთანავე და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

**საავტორო უფლების დამრღვევად აღიარება და
რეალიზებული ფიზნების ღირებულების გადახდევინება**



**დაუსწრებელი გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№02ა/21-99

17 აგვისტო, 1999 წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამე-
წარმეო საქმეთა კოლეგიამ

შემდეგი შემადგენლობით: გ. გულედანი (თავმჯდომარე),
მ. ჯიყაშვილი,
დ. თოდრაძე

ო.შირიანაშვილის მდივნობით

მოსარჩელე: თამარ აშხაცავასა და მისი წარმომადგენლის ო. ბართა-
იას მონაწილეობით

განიხილა რა საქმე თ.აშხაცავასა და საავტორო უფლებათა დაცვის
სახელმწიფო სააგენტოს სარჩელზე გამოძვეობა „ლაშარის“ მიმართ,
მესამე პირის ფირმა „ნათიას“, საავტორო უფლების დამრღვევად აღიარების,
„იზარდე მწვანე ჯეჯილოს“ წიგნების ჩამორთმევის, წიგნის გამოქვეყნების,
აკრძალვისა და რეალიზებული წიგნების ღირებულების გადახდევინების
შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

მხატვრული ნაწარმოებები – კრებული „იზარდე მწვანე ჯეჯილო“
პირველად გამოიცა 1962 წელს, ხოლო მეორე 1966 წელს. კრებულის
ავტორები იყვნენ ევლოკია ბერძენიშვილი და თამარ ერისთავი. 1966 წელს
წიგნი გამოვიდა 30000 ტირაჟით. ებერძენიშვილი გარდაიცვალა 1966

წლის 1 მარტს, ხოლო თამარ ერისთავი 1980 წლის 12 აპრილს. ებერძენიშვილის მემკვიდრე არ დარჩენია, ხოლო თ.ერისთავს დარჩა შვილი-ნიშვილი – მოსარჩელე თამარ აშხაცავა, რომელსაც მიღებული აქვს მემკვიდრეობის მოწმობა. თამარ აშხაცავამ აღძრა სარჩელი და აღნიშნა, რომ 1998 წელს წიგნი „იზარდე მწვანე ჯეჯილო“ გამოცემლობა „ლაშარის“ მიერ გამოცემულია საავტორო უფლების დარღვევით – მისი თანხმობისა და ტირაჟის ჩვენების გარეშე. საქართველოს საავტორო უფლებათა დაცვის სააგენტომ 1999 წლის 29 იანვარს – წერილობით მიმართ აგამომცემლობა „ლაშარის“ დირექტორს ზუტა ბერულავას, ეცნობებინა კრებულის ტირაჟის შესახებ, მაგრამ გამოცემლობამ წერილი უპასუხოდ დატოვა. „იზარდე მწვანე ჯეჯილოს“ ორიგინალიდან თვითნებურადაა ამოღებული 15 ლექსი და ერთი მოთხრობა, სამაგიეროდ წინა გამოცემისაგან განსხვავებით ზუტა ბერულავას თერთმეტი ლექსია შეტანილი, ამოღებულია წიგნის ავტორთა – თ.ერისთავისა და ლ.ბერძენიშვილის გვარები, ასევე წიგნის რედაქტორის გ.კაჭახიძის, პოეტების – მ.მრევლიშვილის, გ.ჭყიშვილის, ი.ნონეშვილის, რ.მარგინისა და სხვათა ლექსები. გ.კაჭახიძის ნაცვლად წიგნის რედაქტორად, დასახელებულია მოპასუხე – გამოცემლობა „ლაშარის“ დირექტორი ზუტა ბერულავა, ტექრედაქტორად – ლ.ქვარცხავას ნაცვლად გ.ნადირაძე, კორექტორად – ლ.სულთანისშვილის ნაცვლად ბ.გველესიანი. 1998 წლის გამოცემაში გარეკანის ადრინდელი მხატვრული გაფორმება შეცვილილა და მხატვრად დასახელებულია გ.ბჟალავა. 1998 წლის გამოცემის მიხედვით კრებული „იზარდე მწვანე ჯეჯილო“, იმის გამო, რომ თ.ერისთავი და ებერძენიშვილი თვითნებურად არიან ამოღებული, წიგნი შემდგენლების, ე.ი. ავტორების გარეშეა გამოცემული.

თავდაპირველად მოსარჩელე აშხაცავამ მოითხოვა, სასამართლოს ეცნო გამოცემლობა „ლაშარი“ საავტორო უფლების დამრღვევად, აეკრძალა წიგნის რეალიზაცია და დარჩენილი ეგზემპლარები მისთვის გადაეცა. ამასთან, მოსარჩელემ მოითხოვა გამოცემლობა „ლაშარს“ გამოეგზავნა სასამართლოსთვის გამოცემული წიგნის ტირაჟის შესახებ მონაცემები და ამის მიხედვით მომხარაიყო ღირებულების ანაზღაურება. შემდგომში, მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნა დააზუსტა და წიგნის ტირაჟად დაასახელა 10000 ცალი. ამასთან, წიგნების აღმოუჩენლობის შემთხვევაში, მოითხოვა თითოეულ წიგნზე 10 ლარის გადახდევინება.

საქმის მომზადების სტადიაზე საოლქო სასამართლოში შემოვიდა საქართველოს საავტორო უფლებათა დაცვის სააგენტოს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ წიგნის თანაავტორს ებერძენიშვილს მემკვიდრე არ დარჩენია და ამიტომ თანამოსარჩელედ აღნიშნული სააგენტო ჩაბმულიყო საქმეში. განცხადება შემოიტანა ასევე მოსარჩელე თამარ აშხაცავამ, რომელმაც მოითხოვა –

ფირმა „ნათია“ სასამართლოს ჩაება საქმეში მესამე პირად. მოპასუხის მხარეზე. შუამდგომლობები კოლეგიის მიერ დაკმაყოფილებულ იქნა.

წიგნის შესავალში, რომელსაც ხელს აწერს მოპასუხე „ლაშარის“ დირექტორი ხუტა ბერულავა, არაა მითითებული იმის შესახებ, რომ 1998 წლის გამოცემამდე ამავე კრებულის ორი გამოცემა არსებობდა თერისთავისა და ებერძენიშვილის ავტორობით. სამაგიეროდ მითითებულია იმის შესახებ, თითქოს წიგნის გამოცემის იდეა და განხორციელება ეკუთვნოდეს ფირმა „ნათიას“.

მოპასუხე, გამომცემლობა „ლაშარის“ დირექტორს, სსკ-ს 184-ე და 201-ე მუხლების შესაბამისად გაეგზავნა მოსარჩელის როგორც თავდაპირველი, ისე დაზუსტებული სარჩელებისა და თანდართული საბუთების ასლები. მოპასუხემ, სარჩელში დასმულ საკითხებზე კონკრეტული პასუხის გაცემას თავი აარიდა და მიუხედავად არაერთი შეხსენებისა პასუხი არ გამოგზავნა. შემდგომში, მოსამართლის თანაშემწის მიერ ხელზე წამოღებულ პასუხებში აღნიშნულია, რომ მოსარჩელე ალბათ ვილაცამ „შეაცდინა“, რომ სარჩელი სრულ გაუგებრობაზეა დამყარებული, მოსარჩელის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით ნოტარიუსის მიერ გაცემული ცნობა კი ყალბია, რომ იმედი აქვს, სასამართლო, რომელსაც ისედაც უამრავი სერიოზული საქმე აქვს განსახილველი და გასარჩევი, მომავალში დროს არ დაკარგავს ასეთი განცხადების წაკითხვით, რომ გარდა ამისა, თერისთავის, როგორც წიგნის ერთ-ერთი შემდგენლის წვლილი, როგორც პირველი, ისე მეორე გამოცემისას, უმნიშვნელო იყო, ამაში მისი ლექსების წაკითხვით შეიძლება დარწმუნება. ისეთი გაზეთიც კი, როგორცაა „საქართველოს რესპუბლიკა“ მწერლებს ჰონორარს ვერ აძლევს, ხოლო რაც შეეხება წიგნებს, მათი გამოცემისათვის ჰონორარის გადახდა გამორიცხულია.

მოსარჩელე აშხაცავამ დაზუსტებულ სასარჩელო განცხადებაში მიუთითა, რომ საავტორო უფლების დარღვევით გამოცემული წიგნები მან ნახა ვაჟა ფშაველას გამზ. №20-ში მდებარე მალაზია „ცოდნაში“, ცენტრალური უნივერსიტეტის შესასვლელთან და მეტრო „ვაგზლის მოედანთან“. წიგნის გასაყიდი ფასი იყო 8-12 ლარი.

მოპასუხე სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა. მთავარი სხდომის შესახებ წინასწარ იყო გაფრთხილებული კანონით დადგენილი წესით.

მოსარჩელემ მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სარჩელის დაკმაყოფილებით.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა სსკ-ს 230-ე, 234-ე, 236-ე, 237-ე, 253-ე, 49-ე და სკ-ს 1034-ე, 1045-ე, 1096-ე, 1097-ე და 1098-ე მხლებით

გ ა ლ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მოსარჩელე თაშხაცავასა და საავტორო უფლებათა დაცვის სააგენტოს სარჩელი დაკმაყოფილდეს. გამომცემლობა „ლაშარის“ მიერ გამოცემული „იზარდე მწვანე ჯეჯილოს“ წიგნები ჩაითვალოს კონტრაფაქციულ ეგზემპლარებად.

2. მოპასუხე გამომცემლობა „ლაშარს“ ჩამოერთვას „იზარდე მწვანე ჯეჯილოს“ წიგნების კონტრაფაქციული ეგზემპლარები 10000 ცალი და გადაეცეს მოსარჩელეებს. წიგნების სრული ოდენობით აღმოუჩენლობის შემთხვევაში გადახდეს მათი ღირებულება, თითოეულ წიგნზე 10 ლარის ოდენობით და მიღებული თანხა გადაირიცხოს საავტორო უფლებათა დაცვის სახელმწიფო სააგენტოს ანგარიშზე: თბილისი, სს „საქართველოს ბანკი“ ა/ა 000700529 ბანკის კოდი 220101502.

3. გამომცემლობა „ლაშარსა“ და ფირმა „ნათიას“ აეკრძალოთ საავტორო უფლებათა დაცვის სააგენტოსა და წიგნის თანაავტორის მემკვიდრის თანხმობის გარეშე გამოსცენ კრებული „იზარდე მწვანე ჯეჯილო“ და რეალიზება გაუკეთონ მას.

4. სახელმწიფო ბაჟი 1250 ლარის ოდენობით ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს მოპასუხე გამომცემლობა „ლაშარს“.

5. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.



გ ა ლ ა წ ყ ვ ი ტ ი ლ მ ბ ა
საქართველოს სახელით

№2/ა-20

02 ივლისი 2001წ კ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია

შემადგენლობა: მადონა ღიბრაძე (თავმჯდომარე),
მარინა ჯიფაშვილი,
დავით თოდრაძე

სხდომის მდივანი: ხათუნა სურამელაშვილი
მოსარჩელე: თამარ აშხაცავა; წარმომადგენელი – თამაზ მღებრიშვილი

მოპასუხე: საქართველოს აკადემიური წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდი; წარმომადგენელი – ნანა ლიპარტიანი.

დავის საგანი: საავტორო უფლებების დარღვევა.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

მოსარჩელე თამარ აშხაცავამ აღძრა სარჩელი მოპასუხე ხუტა ბერულავას მიმართ საავტორო უფლებების დარღვევის შესახებ და მიუთითა, რომ არის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილი 1966 წელს მეორედ გამოცემული კრებულის „იზარდე მწვანე ჯეჯილოს“ ავტორის თამარ ერისთავის კანონიერი მემკვიდრე. 1999 წლის იანვარში მისთვის ცნობილი გახდა, რომ 1998 წელს გამომცემლობა „ლაშარმა“ 10.000 (ათი ათასი) ტირაჟით გამოსცა და სარეალიზაციოდ გამოიტანა კრებული „იზარდე მწვანე ჯეჯილო“-ს ეგზემპლარები.

აღნიშნული ეგზემპლარებში კრებულის ავტორებად აღარ არის მითითებული თ. ერისთავისა და ე. ბერძენიშვილის სახელები, ხოლო კრებულის რედაქტორად ქ. კაჭახიძის ნაცვლად დასახელებულია ხუტა ბერულავა, ლ. სულთანიშვილის ნაცვლად კი ქ. გველესიანი. მოსარჩელე განმარტავს, რომ აღძრა სარჩელი თბილისის საოლქო სასამართლოში გამომცემლობა „ლაშარის“ (რომლის დირექტორიც ხუტა ბერულავაა) მიმართ საავტორო უფლებების დარღვევის აკრძალვის მოთხოვნით, საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 1999 წლის 17 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნები დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, მაგრამ შემდეგში მისი აღსრულება ვერ მოხერხდა, რადგან გამომცემლობა „ლაშარი“ რეგისტრირებული ცალკე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით არ არის. მოსარჩელე თვლის, რომ ხუტა ბერულავამ არარსებული საზოგადოების – გამომცემლობა „ლაშარის“ დირექტორის თანამდებობას ამოფარებულმა დაარღვია ინტელექტუალური სამართლით გათვალისწინებული საავტორო უფლებები და „მეწარმეთა შესახებ კანონის“ 2.5. მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ხუტა ბერულავამ პასუხი უნდა აგოს უშუალოდ მთლიანად პირდაპირ შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით, როგორც სოლიდარულმა მოვალემ და მოითხოვა: 1) ჩაითვალოს ხუტა ბერულავა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1096-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საავ-

ტორო უფლებების დამრღვევად; 2) დაევალოს მოპასუხეს დაუყონებლივ შეწყვიტოს კრებულის „იზარდე მწვანე ჯეჯილოს“ ანალოგიური რეალიზაცია; 3) კრებულის „იზარდე მწვანე ჯეჯილოს“ საავტორო უფლებების დარღვევით 1998 წელს გამოცემული 10.000 (ათი ათასი) ეგზემპლარი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1097-ე მუხლის შესაბამისად ჩაითვალოს კონტრაფაქციულ ეგზემპლარებად; 4) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1098-ე მუხლის შესაბამისად კონტრაფაქციულად ცნობილი წიგნის ეგზემპლარები ჩამოერთვას მოპასუხეს და გადაეცეს მოსარჩელეს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე ვერ შეძლებს სრულად დაბრუნებას, დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ ერთ ეგზემპლარზე 10 ლარის გადახდა.

საქმის განხილვის მოსამზადებელ ეტაპზე დადგინდა, რომ ფიზიკური პირი ხუტა ბერულავა არ წარმოადგენს იმ პირს, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე და მოსარჩელის თანხმობით იგი შეიცვალა სათანადო მოპასუხით – საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდით, რომლის წესდების მე-2 მუხლის მიხედვით მას აქვს საკუთარი გამომცემლობა „ლაშარი“, რომელმაც, როგორც მოსარჩელე მიუთითებს გამოსცა წიგნი „იზარდე მწვანე ჯეჯილო“, რითაც დაარღვია ინტელექტუალური სამართლით დაცული მისი უფლებები.

სათანადო მოპასუხეს აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდს გაეგზავნა სარჩელი და მასზე თანდართული დოკუმენტები სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, რომელსაც წერილობითი შესაგებელი სასამართლოში არ წარმოუდგენია.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ მხარი დაუჭირა თავის სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო მოპასუხის წარმომადგენელმა სარჩელი არ სცნო და განმარტა, რომ კრებულის „იზარდე მწვანე ჯეჯილოს“ 1966 წლის გამოცემა და სადავო (1998) წლის გამოცემა აბსოლუტურად განსხვავებულნი არიან. სადავო წიგნი შედგენილია სხვადასხვა ავტორთა ნაწარმოებებით, რომელთა უფლებაც დარღვეული არაა, რადგან სადავო გამოცემა არაა 1966 წლის გამოცემის სრული კოპირება. გამომცემლობა „ლაშარის“ პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ ხელშეკრულების საფუძველზე გამომცემლობის „გრიფი“ გადასცა ინდივიდუალური საწარმო „ნათიას“, რაც მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით ნიშნავს იმას, რომ კრებულზე უნდა აღნიშნულიყო გამომცემლობა „ლაშარის“ სახელი. წიგნის გამოცემასა და რეალიზაციაზე პასუხისმგებლობა კი ეკისრებოდა ფირმა „ნათიას“ გამომცემლობა „ლაშარმა“ მისი სახელის გამოყენებისათვის მიიღო 300 ლარი, რითაც შემოიფარგლა მისი პასუხისმგებლობა.

სასამართლო კოლეგიამ მოუსმინა მხარეებს შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებანი და მიაჩნია, რომ სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლო კოლეგია მოცემული დავის გადასაწყვეტად იყენებს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე, სამოქალაქო კოდექსის მოქმედ ნორმებს, რომლებიც აწესრიგებდნენ ინტელექტუალურ სამართლებრივ ურთიერთობებს, რადგან მოსარჩელის განმარტებით საავტორო უფლებათა დარღვევა ეხება 1998 წლის პერიოდს. ხოლო „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის“ 67-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად ეს კანონი ვრცელდება იმ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ამ კანონის ამოქმედების შემდეგ.

დადგენილია, რომ 1966 წელს გამოცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა კრებული „იზარდე მწვანე ჯეჯილო“, რომლის შემდგენლები იყვნენ ე. ბერძენიშვილი და თ. ერისთავი, ხოლო რედაქტორი გ. კაჭახიძე. წინასიტყვაობის მიხედვით კრებული განკუთვნილი იყო სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის და მასში შესული იყო ქართულ კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებები, ქართული ხალხური ზღაპრები და სხვა. სამოქალაქო კოდექსის 1025-ე მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად კრებული (ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა) და სხვა შედგენილი ნაწარმოები, მასალის შერჩევისა და განლაგების მიხედვით ინტელექტუალურ-შემოქმედებით საქმიანობის შედეგს წარმოადგენს, მისი შემდგენელის საავტორო უფლება დაცულია საავტორო სამართლით. ამდენად უდავოდ არის დადგენილი, რომ თ. ერისთავი წარმოადგენს კრებულის „იზარდე მწვანე ჯეჯილოს“ ერთ-ერთ ავტორს და მისი საავტორო უფლებები დაცულია კანონით.

სამოქალაქო კოდექსის 1066-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საავტორო უფლება გადაეცემა კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობის წესით. დადგენილია, რომ კრებულის „იზარდე მწვანე ჯეჯილოს“ ერთ-ერთი შემდგენელის (ავტორი) აწ გარდაცვლილი თამარ ერისთავის მემკვიდრეა მისი შვილიშვილი მოსარჩელე თამარ აშხაცავა. სამოქალაქო კოდექსის 1045-ე მუხლით გათვალისწინებული ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლებები, ხოლო ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით მემკვიდრეებს უფლება აქვთ განახორციელონ ავტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა, რაც დროით შეზღუდული არ არის.

დადგენილია, რომ 1998 წელს გამოიცა წიგნი სახელწოდებით „იზარდე მწვანე ჯეჯილო“, რომლის გამომცემლად მითითებულია გამომცემლობა

„ლაშარი“ წიგნის რედაქტორად – ხუტა ბერულავა. მასვე ეკუთვნის წინასიტყვაობა, სადაც მითითებულია, რომ წიგნი განკუთვნილია საბავშვო ბაღის აღსაზრდელთათვის და მასში შესულია ქართველ ავტორთა ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, გამოცანები, ხალხური სიტყვიერების ნიმუშები და სხვა.

სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს მოპასუხის წარმომადგენლის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 1966 წელს გამოცემული წიგნი „იზარდე მწვანე ჯეჯილო“ და 1998 წელს იმავე სახელწოდებით გამოცემული წიგნი აბსოლუტურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იმ გარემოების გამო, რომ სასამართლო კოლეგიის მიერ დადგენილია, რომ იდენტურია, როგორც კრებულის სახელწოდებები, ასევე მათში შესულ ნაწარმოებთა თემატური დალაგება და მათი განლაგების რიგითი თანმიმდევრობაც. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კრებულის 1966 წლის გამოცემიდან ამოღებულია სხვადასხვა ავტორთა 15 ლექსი და ერთი მოთხრობა და მათ ნაცვლად შეტანილია ხუტა ბერულავას 11 ლექსი. რაც აშკარად ჩანს ორივე კრებულის სარჩევთა შედარებით.

ამდენად, სასამართლო კოლეგია დადგენილად თვლის, რომ სახეზე გვაქვს ინტელექტუალური სამართლით დაცული საავტორო უფლებათა დარღვევა; დარღვეულია სამოქალაქო კოდექსის 1043-ე მუხლის „ბ“ „დ“ და „ზ“ პუნქტებით გათვალისწინებული თ. ერისთავის, როგორც ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, კერძოდ, სახელის უფლება, უფლება ნება დართოს სხვა პირებს შეიტანონ ცვლილებები, როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებებსა და ავტორის სახელში, აგრეთვე წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას და უფლება შეიტანოს ცვლილებები და დამატებები გამოქვეყნებულ ნაწარმოებში. ასევე 1045-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ნაწარმოების ავტორის განსაკუთრებული უფლება. რაც ნიშნავს უფლებას – განახორციელოს ნება დართოს ან აკრძალოს ნაწარმოების რეპროდუცირება, გავრცელება და ა.შ.

მოსარჩელე თამარ აშხაცავა, როგორც ნაწარმოების ავტორის კანონიერი მემკვიდრე უფლებამოსილია დამრღვევს წაუყენოს მოთხოვნები გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსის 1096-ე მუხლით.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ ზემოთ აღნიშნულ საავტორო უფლებათა დამრღვევად მიჩნეული უნდა იქნეს საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდი, ვინაიდან სადავო წიგნის გამომცემლად მითითებულია გამომცემლობა „ლაშარი“, რომელიც საბავშვო ფონდის წესდების 2.1. მუხლის თანახმად ფონდის საკუთარი გამომცემლობაა და არ არის რეგისტრირებული დამოუკიდებელი სუბიექტის სახით, არც სამოქალაქო და არც „მეწარმეთა კანონით“ გათვალისწინებული ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმით.

სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს მოპასუხის წარმომადგენლის მოსაზრებას საბავშვო ფონდის არასათანადო მოპასუხედ ცნობის შესახებ; მიუხედავად იმისა, რომ სადავო წიგნის გამოცემის იდეა, როგორც წიგნის წინასიტყვაობაშია მითითებული და ასევე მისი გამოცემის ტექნიკური უზრუნველყოფა ეკუთვნის ინდივიდუალურ საწარმო „ნათიას“, რომელსაც გამომცემლობა „ლაშარისაგან“ მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა გამომცემლობის „გრიფი“, სადავო წიგნი გამომცემულია გამომცემლობა „ლაშარის“ სახელით და ივარაუდება, რომ წიგნის გამომცემელი ანუ რეპროდუცირების განმახორციელებელია გამომცემლობა „ლაშარი“. მოპასუხემ ვერ განმარტა ვერც მის მიერ გამოყენებული ტერმინის „გრიფის“ მნიშვნელობა და ვერც ის საკანონმდებლო ნორმა, რომლითაც მისი გადაცემა შესაძლებელია. თავის მხრივ სასამართლო კოლეგია განმარტავს, რომ განსაკუთრებული საავტორო უფლება შეიძლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცეს მესამე პირს, ოღონდ თუ თავად უფლების გადაცემა წარმოადგენს მის (უფლების) მფლობელს. მოპასუხე საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდის გამომცემლობა „ლაშარის“ განსაკუთრებული საავტორო უფლება წიგნზე „იზარდე მწვანე ჯეჯილო“ არ გააჩნდა და მის მიერ ინდივიდუალურ საწარმო „ნათიაზე“ წიგნის გამოცემის ნებართვის მიცემა არამართლზომიერია და არავითარ სამართლებრივ შედეგს არ იწვევს. ამდენად სასამართლო კოლეგია თვლის, რომ სამოქალაქო კოდექსის 1096-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდი მიჩნეულ უნდა იქნეს საავტორო უფლების დამრღვევად. რითაც სასამართლო კოლეგია აკმაყოფილებს მოსარჩელე თ. აშხაცაყას სასარჩელო მოთხოვნას მოპასუხე აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდის საავტორო უფლების დამრღვევად მიჩნევის შესახებ. განსაკუთრებული საავტორო უფლებათა მფლობელებს, სამოქალაქო კოდექსის 1096-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად უფლება აქვთ მოითხოვონ დამრღვევისაგან იმ მოქმედებათა აღკვეთა, რომლებიც არღვევენ საავტორო უფლებას. ამდენად სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ არსებობს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველები იმ ნაწილში, რომ მოპასუხეს დაევალოს შეწყვიტოს კრებულის „იზარდე მწვანე ჯეჯილოს“ ეგზემპლარების გამოცემა და რეალიზაცია.

სამოქალაქო კოდექსის 1097-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად ნაწარმოების ეგზემპლარები, რომელთა გავრცელებაც იწვევს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევას ჩაითვლებიან კონტრაფაქციულ ეგზემპლარებად, ამდენად უნდა დაკმაყოფილდეს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხის საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდის გამომცემლობა „ლაშარის“ მიერ საავტორო უფლების დარღვევით

გამოცემული კრებულის „იზარდე მწვანე ჯეჯილოს“ ეგზემპლარების კონტრაფაქციულად ჩათვლის შესახებ.

სასამართლო კოლეგია თელის, რომ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის 10 000 ლარის დაკისრების ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელე აღნიშნულ მოთხოვნას აფუძნებს იმ გარემოებებზე მითითებით, რომ მოპასუხემ კრებული „იზარდე მწვანე ჯეჯილო“ რამდენჯერმე გამოსცა, სულ 10 000-იანი ტირაჟით და ერთი ეგზემპლარის ღირებულება შეადგენს 10 ლარს.

მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა მხოლოდ სადაო წიგნის 1998 წლის გამოცემა, რომელზეც მითითებულია ტირაჟის ოდენობა 1 500 ცალი. სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ გამოცემული წიგნის ტირაჟი აღემატება 1 500 ცალს მოსარჩელის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი.

მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა ასევე მტკიცებულება იმის შესახებ, რომ წიგნის სარეალიზაციო ფასი შეადგენს 10 ლარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს, 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი სასამართლოსათვის მტკიცებულებების წარდგენის მოვალეობა ეკისრებათ მხარეებს. ზოლო იმ შემთხვევაში თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, მოსარჩელე მხარეს შუამდგომლობა მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ სასამართლოსათვის არ წაუყენებია.

სამოქალაქო კოდექსის 1096-ე მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად მოსარჩელეს შეუძლია უფლების დამრღვევისაგან მოითხოვოს იმ შემოსავლის გადახდევინება, რომელიც დამრღვევმა მიიღო საავტორო უფლებათა დარღვევის შედეგად. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური საწარმო „ნათიასთან“ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დადგინილია, რომ საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდის გამოცემლობა „ლაშარმა“ მისი სახელით წიგნის „იზარდე მწვანე ჯეჯილოს“ გამოცემის ნებართვის გაცემისათვის, შემოსავლის სახით მიიღო 300 ლარი. სხვა მტკიცებულება მოპასუხის მიერ მიღებული შემოსავლის დასადასტურებლად საქმეში არ მოიპოვება. ამდენად სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის შემოსავლის 10 000 ლარის გადახდევინების ნაწილში ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და მოპასუხის, მის სასარგებლოდ დაეკისროს 300 ლარის გადახდა.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 55-ე, 243-ე, 244-ე, 247-ე, 248-ე, 249-ე, 395-ე და 397-ე მუხლებით,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. თამარ აშხაცავას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. მოპასუხე საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდი ჩაითვალოს საავტორო უფლების დამრღვევად.
3. დაევალოს მოპასუხეს შეწყვიტოს კრებულის „იზარდე მწვანე ჯეჯილოს“ ეგზემპლარების გამოცემა და რეალიზაცია.
4. მოპასუხის საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდის გამომცემლობა „ლაშარის“ მიერ საავტორო უფლების დარღვევით გამოცემული კრებულის „იზარდე მწვანე ჯეჯილოს“ ეგზემპლარები ჩაითვალოს კონტრაფაქციულ ეგზემპლარებად.
5. დაეკისროს საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდს მოსარჩელე თამარ აშხაცავას სასარგებლოდ 300 ლარის ანაზღაურება.
6. გადახდეს მოპასუხე საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდს სახელმწიფო ბაჟი 7 ლარისა და 50 თეთრის ოდენობით, რომლის 70% ჩაირიცხოს საერთო სასამართლოების მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის №000141107 ანგარიშზე, საქართველოს ეროვნულ ბანკში კოდი 220101107, ხოლო 30% თბილისის დიდუბის ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე №210 130 225, კოდი 220101107, საქართველოს ეროვნულ ბანკში.
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან, თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით.

**საავტორო უფლებების დარღვევის შედეგად მიყენებული
ზიანის ანაზღაურება**



**ბ ა დ ა წ ყ ვ მ ტ ი ლ მ ბ ა
საქართველოს სახელით**

№2/ა-39-2002

5 თებერვალი, 2002 წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია

შემადგენლობა: მ. ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
ქ. დუგლაძე (მომხსენებელი),
დ. თოდრაძე

სხდომის მდივანი: ხ. სურამელაშვილი

მოსარჩელე: ცისანა კვერნაძე-მიქაძე; წარმომადგენელი – ა. ვახტანგიშვილი

მოპასუხე: „შ.პ.ს. დღლ“; წარმომადგენელი – ბ. ნიური

მოპასუხე: „ინდივიდუალური საწარმო რაფაელ ათანელოვი“; წარმომადგენელი – ა. გაბუნია

დავის საგანი: საავტორო უფლებების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

მოსარჩელე მოითხოვს „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევისათვის დაეკისროთ მოპასუხეებს კომპენსაცია და მიყენებული ზიანის ანაზღაურება. კერძოდ, მოპასუხე

1. ინდივიდუალური საწარმო „გიორგი თოლორაიას“ დაეკისროს 570 ლარის ანაზღაურება;

2. მოპასუხე ასოციაცია „შემოქმედი“ სმს „უნივერსალი“ დაეკისროს 970 ლარის ანაზღაურება;

3. ინდივიდუალური საწარმო „რაფაელ ათანელოვს“ დაეკისროს 870 ლარის ანაზღაურება;

4. ინდივიდუალური საწარმო „მაჭვარიანი ვახტანგის“ დაეკისროს 970 ლარის ანაზღაურება;

5. ინდივიდუალური საწარმო „ედოლს“ დაეკისროს 670 ლარის ანაზღაურება;

6. შპს „დღლ“-ს დაეკისროს 870 ლარის ანაზღაურება;

7. ინდივიდუალური საწარმო „გირმისაშვილი მერაბს“ დაეკისროს 1170 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელე თავისი მოთხოვნების დასასაბუთებლად მიუთითებს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ:

1. 1993 წელს ცისანა კვერნაძე-მიქაძემ გამოაქვეყნა და საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს სასკოლო ბიბლიოტეკტორს ხელშეკრულებით მიჰყიდა თავისი „ქართულ-გერმანული გერმანულ-ქართული სასაუბრო“ 5.000 ცალის ოდენობით. ეს სასაუბრო დიდი წარმატებით იქნა რეალიზებული და შემდგომ ავტორის თანხმობით მოხდა დამატებით 1.000 ცალი სასაუბროს გამოცემა და გავრცელება რეალიზაციის გზით.

2. 2000 წლის 05 ივნისს მოსარჩელემ დადო ხელშეკრულება „შპს აზრთან“ 1500 ცალი აღნიშნული სასაუბროს დაბეჭდვის თაობაზე, რომლიდანაც 500 ცალის რეალიზაცია უნდა მოეხდინა ავტორს, ხოლო 1.000 ცალი დაბეჭდვის ანგარიშში უნდა რეგებოდა შპს „აზრს“ რეალიზაციის გზით გავრცელების უფლებით ერთი წლის ვადით.

როგორც მოსარჩელე განმარტავს, მხარეთა შორის დადებული ეს ხელშეკრულება ვერ განხორციელდა და მან რეალურად მისაღები შემოსავალი ვერ მიიღო, ვინაიდან თბილისის საეკსპრო ქსელში ფართოდ გავრცელდა და საჯაროდ გაიყიდა ამ სასაუბროს კონტრაფაქციული ეგზემპლარები;

3. მოსარჩელის განმარტებით, სასაუბროს კონტრაფაქციული ეგზემპლარები იყიდებოდა თბილისის მეტროს სადგურების „მარჯანიშვილის“, „რუსთაველის“, „თავისუფლების მოედნის“, მიმდებარე ტერიტორიებზე მოწყობილ წიგნებით სავაჭრო გარე ობიექტების დახლებზე, ასევე რუსთაველის გამზირზე №32-ში მდებარე მაღაზია „ნოტემში“ და ამავე გამზირზე №28-ში მდებარე მაღაზია „საუნჯეში“.

4. მოსარჩელის განმარტებით, მეტროსადგურ „მარჯანიშვილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული წიგნებით სავაჭრო გარე დახლების ერთ-ერთი გამყიდველის მეშვეობით მან მიაკვლია კონტრაფაქციული ეგზემპლარების ერთ-ერთ გამავრცელებელს შპს „დღლ“-ს.

„შპს დღღ“-ის თანამშრომლის იგორ კრეპსის განმარტებით სასაუბროს კონტრაფაქციული ეგზემპლარები მას გადასცა ინდივიდუალურ საწარმო „ედპოლის“ ხელმძღვანელმა ედუარდ პოლტახინტმა, 20 ცალის ოდენობით, ვალის ანგარიშში ჩასათვლელად, რაც დაფიქსირებულია კიდევ შპს „დღღ“-ის ჟურნალში. „შპს დღღ“-მა მოახდინა ოცივე ცალის რეალიზაცია მეტრო-სადგურ „მარჯანიშვილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე თავისი სავაჭრო ცენტრის მეშვეობით; აღნიშნული დასტურდება მოწმეების გივი მიქაძისა და ნატალია ბოლოტინას განმარტებით, კერძოდ: ნატალია ბოლოტინამ წერილობითი ხელწერილით განმარტა, რომ მან 2001 წლის 27 მაისს მოახდინა კონტრაფაქციული სასაუბროს ბოლო ეგზემპლარის რეალიზაცია.

როგორც მოსარჩელე უთითებს, ინდივიდუალური საწარმო „ედპოლის“ ხელმძღვანელის ედუარდ პოლტახინტის თქმით 2000 წლის ივნისსა თუ ივლისის თვეში მოქალაქე მერაბ გირმისაშვილმა მას სარეალიზაციოდ გადასცა 95-100 ცალი კონტრაფაქციული ეგზემპლარი, აქედან ავტორის მითითების შემდეგ 70-80 ცალი მან უკან დაუბრუნა გირმისაშვილს, ათიოდე უკვე გაყიდული ჰქონდა, ხოლო 20 ცალი სარეალიზაციოდ გადასცა „შპს დღღ“-ს.

მოსარჩელე აგრეთვე განმარტავს, რომ როგორც მან გამოარკვია მოქალაქე მერაბ გირმისაშვილს სასაუბროების კონტრაფაქციული ეგზემპლარები თავისი ინდივიდუალური საწარმოს „მერაბ გირმისაშვილის“ სახელით 2000 წლის 07 ივნისს ჩუბარებია სარეალიზაციოდ მალაზია „საუნჯესათვის“ ორმოცი ცალის ოდენობით, ხოლო 2000 წლის 22 ივნისს ჩაუბარებია მალაზია „ნოტებისათვის“ 15 ცალის ოდენობით.

მოსარჩელე აგრეთვე განმარტავს, რომ სასაუბროების კონტრაფაქციული ეგზემპლარები შეძენილი იქნა უშუალოდ მის მიერ ზედღებულების საფუძველზე ინდივიდუალური საწარმო „გიორგი თალორიაისაგან“, ასოციაცია „შემოქმედი“ სმს „უნივერსალისაგან“, ინდივიდუალური საწარმო „მაჭავარიანი ვახტანგისაგან“.

მოსარჩელის განმარტებით 2001 წლის 06 ივლისს თბილისში მერაბ კოსტავას ქუჩაზე №18-ში ალიკა ბარხუდაროვისაგან, რომელიც არის ინდივიდუალური საწარმო „რაფაელ ათანელოვის“ წიგნების გამყიდველი, სავაჭრო დახლზე მან ორი მოწმის თანდასწრებით (გივი მიქაძე, ზურაბ კეპულაძე) დააფიქსირა სასაუბროს კონტრაფაქციული ეგზემპლარები. ალიკა ბარხუდაროვმა მოწმეებს შესთავაზა ამ სასაუბროების შეკვრა 22 ცალი ბითუმად საყიდლად. შეძენის შემთხვევაში ალიკა ბარხუდაროვი მათ სთავაზობდა შეძენის დასტურად ზედღებულის გამოწვევას, ვინაიდან მოწმეებმა კონტრაფაქციული ეგზემპლარების შეძენა ვერ მოახერხეს უსახსრობის გამო, მათ შეადგინეს აქტი 2001 წლის 06 ივლისს ალიკა ბარხუდაროვის დახ-

ლზე სასაუბროების კონტრაფაქციული ეგზემპლარების (23 ცალის) სარეალიზაციოდ წარმოდგენის შესახებ.

მოპასუხემ ინდივიდუალური საწარმო „რაფაელ ათანელოვა“ სარჩელი არ ცნო და შესაგებელში განმარტა, რომ ცისანა კვერნაძე-მიქაძის „ქართულ-გერმანული გერმანულ-ქართული სასაუბრო“ მას არასოდეს ჰქონია სარეალიზაციოდ. სასარჩელო განცხადებაში მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ 2001 წლის 06 ივლისს ალიკა ბარხუდაროვის დახლზე მოსარჩელემ დააფიქსირა სასაუბროს კონტრაფაქციული ეგზემპლარები არ შეესაბამება სინამდვილეს და ამ დღეს შედგენილი აქტივ ყალბია, როგორც დაინტერესებული პირების მიერ ცალმხრივად შედგენილი, ვინაიდან აქტს ხელს არ აწერს გამყიდველი ალიკა ბარხუდაროვი, ხოლო აქტზე ხელისმომწერი პირები არიან დაინტერესებული პირები. აქტში მითითებულია, რომ მოსარჩელემ კოსტავას ქუჩა №18-ში ალიკა ბარხუდაროვის დახლზე აღმოაჩინა 23 ცალი სასაუბრო; კოსტავას ქუჩა №18-ში ინდივიდუალური საწარმო „რაფაელ ათანელოვი“ არ ფუნქციონირებს; ინდივიდუალური საწარმო „რაფაელ ათანელოვს“ წიგნებით ვაჭრობის ნებართვა ქალაქის მერიიდან მიღებული აქვს კოსტავას ქუჩა №14-ში.

მოპასუხემ „შსს დღღ-მა“ სარჩელი არ ცნო და სადავოდ გახადა გარემოება იმის შესახებ, მოსარჩელეს ეკუთვნის თუ არა საავტორო უფლება დავის საგანზე, გერმანულ-ქართულ ლექსიკონზე, რის გამოც მას მოსარჩელე მიიჩნია არასათანადო მოსარჩელედ, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა არამოტივირებულ, უსაფუძვლო და დაუდასტურებელ მოთხოვნად.

მოპასუხემ ინდივიდუალური საწარმო „გიორგი თოლორაიაძე“ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2001 წლის ადრე გაზაფხულზე საკუთარი მოხმარებისათვის შეიძინა გერმანულ-ქართული სასაუბრო, ხოლო მაისის თვეში ფინანსური სიძნელეების გამო გამოიტანა გასაყიდად, რომელიც სამსხვა სასაუბროსთან ერთად მისმა გამყიდველმა მიჰყიდა მოსარჩელის წარმომადგენელს.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე სასამართლო კოლეგიამ მოსარჩელის შუამდგომლობით საოქმო განჩინებით ცალკე წარმოებად გამოყო სარჩელის მოთხოვნები მოპასუხეების: ასოციაცია „შემოქმედი“ „სმ.ს უნივერსალი“-ს, „ი.ს. მაჭავარიანი ვახტანგი“-ს და „ი.ს. ედპოლი“-ს მიმართ, ვინაიდან ამ მოპასუხეების მიმართ წაყენებული მოთხოვნების განცალკევებულად განხილვა უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე საოქმო განჩინებით სასამართლომ დაამტკიცა მორიგება მოსარჩელესა და ორ მოპასუხეს, „ი.ს. გიორგი თოლორაიაძეს“ და „ი.ს. გირმისაშვილი მერაბის“ მიმართ და საქმის წარმოება შეწყვიტა ამ მოპასუხეების მიმართ.

სასამართლო კოლეგიამ შეისწავლა საქმეში არსებული მტკიცებულებები, სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოისმინა მხარეთა ზეპირი ახსნა-განმარტებები, შეაფასა წარმოდგენილი სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები და მიიჩნია, რომ ცისანა კვერნაძე-მიქაძის სარჩელი „შ.პ.ს. დღლ-ის“ და „ი.ს. რაფაელ ათანელოვის“ მიმართ დაუსაბუთებელია და მას უარი უნდა ეთქვას, ვინაიდან:

1. სასამართლო კოლეგიას დადასტურებულად მიაჩნია, რომ მოსარჩელე ცისანა კვერნაძე-მიქაძე არის ნაწარმოების „ქართულ-გერმანული გერმანულ-ქართული სასაუბროს“ ავტორი. მან 1993 წელს გამოაქვეყნა აღნიშნული სასაუბრო და ხელშეკრულებით სარეალიზაციოდ მიჰყიდა საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს სასკოლო ბიბლიოკორექტორს, 5000 ცალის ოდენობით.

2. ცისანა კვერნაძე-მიქაძეს, როგორც სასაუბროს ავტორს „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მიხედვით აქვს ამ სასაუბროს ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება, კერძოდ, უფლება განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს სასაუბროს ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გავრცელება გაყიდვის ან გაქირავების ან საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის პირველი პუნქტით ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარები, რომელთა დამზადება ან გავრცელება იწვევს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევას, ითვლება კონტრაფაქციულ ეგზემპლარებად.

3. სასამართლო კოლეგიამ დადასტურებულად არ მიიჩნია მოპასუხეების: „შ.პ.ს. დღლ-ის“ და „ი.ს. რაფაელ ათანელოვის“ მიერ „ქართულ-გერმანული გერმანულ-ქართული სასაუბროს“ კონტრაფაქციული ეგზემპლარების გაყიდვის გზით გავრცელების ფაქტი, ვინაიდან მოსარჩელე მხარემ სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენით ვერ დაადასტურა ეს ფაქტობრივი გარემოება.

4. სამოქალაქო სამართალწარმოების დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნით მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებით უნდა იქნას დადასტურებული ეს ფაქტები, სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით კი განსაზღვრულია, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს ან შესაგებელს.

მოსარჩელე მხარემ მოპასუხეების მიერ სასაუბროს კონტრაფაქციული ეგზემპლარების გავრცელების ფაქტის დასადასტურებლად სასამართლოში წარმოადგინა მოწმეების გ. მიქაძის და ა. ბარხუდაროვის ჩვენებები და 06.07.2001წ. აქტი.

მოწმე გ. მიქაძის იმ ჩვენების საფუძველზე, რომ „ი.ს. რაფაელ ათანელოვის“ გამყიდველის ა. ბარხუდაროვის და „შ.პ.ს. დღლ“-ის გამყიდველის ნ. ბოლოტინას სავაჭრო დახლზე მან ნახა „გერმანულ-ქართული და ქართულ-გერმანული სასაუბრო“, სასამართლომ დადასტურებულად არ ჩათვალა „ი.ს. რაფაელ ათანელოვის“ და „შ.პ.ს. დღლ“-ის“ მიერ აღნიშნული სასაუბროს კონტრაფაქციული ეგზემპლარების გავრცელების ფაქტი, ვინაიდან ეს ფაქტი საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებით არ დადასტურდა. კერძოდ, მოწმედ დაკითხულმა ა. ბარხუდაროვმა უარყო მის მიერ სასაუბროს კონტრაფაქციული ეგზემპლარების გავრცელების ფაქტი. ხოლო 06.07.01წ. აქტს სასამართლო არ განიხილავს ისეთ „სხვა“ ახალ მტკიცებულებად, რომლის გ. მიქაძის ჩვენებასთან ერთობლიობაში შეფასებით სასამართლო დადასტურებულად ჩათვლიდა მოპასუხეების მიერ სასაუბროს კონტრაფაქციულ ეგზემპლარების გავრცელების ფაქტს. 06.07.01 აქტში, რომელსაც ხელს აწერს მოწმე გ. მიქაძე მითითებულია მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომლის არსებობის ფაქტი სასამართლოს სხდომაზე დაადასტურა მოწმე გ. მიქაძემ და უარყო მოწმე ა. ბარხუდაროვმა.

ამდენად, მოწმე გ. მიქაძის ჩვენება და 06.07.01 აქტი ასახავს ერთ და იმავე ფაქტობრივ გარემოებას და იმდენად, რამდენადაც აქტის სისწორეც დასტურდება იგივე მოწმე გ. მიქაძის ხელმოწერით, ეს აქტი მოპასუხეების მიერ სასაუბროს კონტრაფაქციული ეგზემპლარების გავრცელების ფაქტის დამადასტურებელ, მოწმის ჩვენებისგან განსხვავებულ „სხვა“ მტკიცებულებად, ვერ განიხილება.

06.07.01 აქტში მითითებული გარემოების აღწერას შეიცავს სასამართლოში წარმოდგენილი მოქალაქე ზ. კეპულაძის წერილობითი განმარტება.

ზ. კეპულაძე ხელს აწერს 06.07.01 აქტს.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ გამომდინარე იქიდან, რომ ზ. კეპულაძე სასამართლო სხდომაზე, როგორც მოწმე არ დაკითხულა და შესაბამისად არ გაფრთხილებულა სსკ-ის 145-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე სასამართლოს არ გამოურკვევია მისი დამოკიდებულება მოსარჩელე მხარესთან, ზ. კეპულაძის განმარტება, როგორც მოწმის ჩვენება, ასეთი სახის მტკიცებულებად არ შეიძლება განიხილებოდეს.

მოპასუხე „შ.პ.ს. დღლ“-ს“ მიერ სასაუბროს კონტრაფაქციული ეგზემპლარების გავრცელების დასადასტურებლად მოსარჩელე მხარეს მოწმე გ.

მიქაძის ჩვენების გარდა სხვა მტკიცებულება სასამართლოში არ წარმოუდგენია.

სასამართლო კოლეგიამ მხოლოდ მოწმე გ. მიქაძის ჩვენების საფუძველზე, რომელიც არის მოსარჩელე ცისანა კვერნაძე-მიქაძის მეუღლე და ამდენად წარმოადგენს საქმის შედეგებით დაინტერესებულ პირს, მოპასუხეების „შ.პ.ს. დღლ“-ის“ და „ი.ს. რაფაელ ათანელოვის“ მიერ სასაუბროს კონტრაფაქციული ეგზემპლარების გავრცელების ფაქტი დადასტურებულად არ მიიჩნია და შესაბამისად მოსარჩელის მოთხოვნა მათ მიმართ დაუსაბუთებლად ჩათვალა.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა სსკ-ის 243-ე, 249-ე, 395-ე და 397-ე მუხლებით, გადაწყვიტა:

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ღ ი

1. მოსარჩელე ცისანა კვერნაძე-მიქაძის სარჩელს მოპასუხეების: „შ.პ.ს. „დღლ“-ს“ და ინდივიდუალური საწარმო „რაფაელ ათანელოვი“-ს მიმართ საავტორო უფლებების დარღვევის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ ეთქვას უარი;

2. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით ერთი თვის ვადაში მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№ 3კ/573-01

27 იელისი, 2001 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მურმან წიქვაძე (თავმჯდომარე),
ლალი გოჩელაშვილი (მომხსენებელი),
როზა ნადირიანი

კასატორი: აპოლონ წულაია

წარმომადგენელი: რუსუდან პიტავა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება

კასატორის თხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტი

მესამე პირები: არჩილ ბატიაშვილი, ბორის გოგოლაძე, კარპეზი კაპანაძე, დავით კაკულია.

სარჩელის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

აპოლონ წულაიამ სარჩელი აღძრა სასამართლოში იმ მოტივით, რომ მან საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტ-

ერინარიის დეპარტამენტთან დადო ხელშეკრულება, რომლითაც ა. წულაიამ ვალდებულება აიღო დეპარტამენტისთვის გადაეცა ა. ბატიაშვილის, ბ. გოგოლაძისა და მისი ავტორობით გამოცემული წიგნის „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სასამართლო სავეტერინარო სანიტარული ექსპერტიზის“ 3500 ეგზემპლარი. თავის მხრივ, მოპასუხე-დეპარტამენტმა ვალდებულება აიღო თითოეულ წიგნში გადაეხადა 25 ლარი. გადახდა უნდა მომხდარიყო 1999 წლის პირველ იანვრამდე. ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის ერთი აშშ დოლარის ღირებულება ეროვნულ ვალუტაში შეესაბამებოდა 1,30 ლარს, რაც ასახული იყო ხელშეკრულებაში და ერთი წიგნის ღირებულებად დაფიქსირებული იყო 19,23 აშშ დოლარი. ხელშეკრულებით დადგენილი იყო აგრეთვე, წიგნის ღირებულების დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საურავის სახით 0,1% პირგასამტეხლოს გადახდა.

1998 წლის 10 ივნისს ა.წულაიამ მოპასუხეს გადასცა 3500 ცალი წიგნი, მაგრამ ვეტერინარიის დეპარტამენტმა დათქმულ ვადაში არ გადაიხადა წიგნების საფასური, რის გამოც მოსარჩელემ მოითხოვა 67000 აშშ დოლარის მოპასუხისთვის დაკისრება.

მოპასუხე საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელე მიაჩნია არასათანადო მხარედ, რამდენადაც ხელშეკრულება გაფორმებულია ორ იურიდიულ პირს შორის, ხოლო წულაია თანხას ითხოვს, როგორც ფიზიკური პირი და აქედან გამომდინარე, მას მოთხოვნის უფლება არა აქვს.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ვეტერინარიის დეპარტამენტმა გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით. საფუძვლად მიუთითა ის გარემოება, რომ 1997 წლის 1 ოქტომბერს ხელშეკრულება დაიდო საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტსა და მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტს (თემჯდომარე ა. წულაია) შორის და არა ვეტერინარიის დეპარტამენტსა და ფიზიკურ პირ აპოლონ წულაიას შორის. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაარღვია კანონი, რადგან მას წულაია უნდა ჩაეთვალა არასათანადო მოსარჩელედ.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და ა. წულაიას სარჩელი უარყოფილ იქნა, რადგან სასამართლომ წულაია არ მიიჩნია ვალდებულების სათანადო მხარედ.

აპოლონ წულაია საკასაციო საჩივრით მოითხოვს თბილისის საოლქო

სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას, რადგან მიაჩნია, რომ სასამართლომ დაარღვია კანონი. კერძოდ, სსკ-ს 105-ე მუხლის II პუნქტის მოთხოვნა, რის გამოც ითხოვს ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატა გაეცნო საკასაციო საჩივარს, საქმის მასალებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის საოლქო სასამართლოს შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული გარიგების დადება ან შესრულება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით ადმინისტრაციული გარიგება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება.

მოცემულ საქმეზე მოპასუხე საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტი, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რის გამოც დავა უნდა ჩაითვალოს ადმინისტრაციულად და მისი გადაწყვეტა უნდა მოხდეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესების თანახმად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ დავებს საოლქო სასამართლოებში იხილავს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატა.

ადმინისტრაციულ დავათა განხილვის წესი არსებითად განსხვავდება სამოქალაქო დავათა განხილვის პროცედურისაგან. დავის ადმინისტრაციული ხასიათი, საჯარო ინტერესები, განაპირობებს მხარის ნების პრიმატის და დისპოზიციურობის პრინციპის შეზღუდვას.

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. ამასთან, სასამართლო უფლებამო-

სილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებათა წარმოსადგენად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით მტკიცებულებებს სასამართლოს წარმოუდგენენ მხარეები. სასამართლო თავისი ინიციატივით არ იღებს გადაწყვეტილებას დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოდგენის შესახებ.

როდესაც ადმინისტრაციულ დავას იხილავს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატა სამოქალაქო საპროცესო ნორმების საფუძველზე, ირღვევა კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციულ დავათა განხილვის უმთავრესი პრინციპი და დაეა წყდება იმ აუცილებელი ნორმების გამოყენებისა და გათვალისწინების გარეშე, რაც ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლო წარმოებას სამოქალაქო საქმეთა წარმოებისაგან განასხვავებს.

პალატა თვლის, რომ საპროცესო ნორმების ამგვარი დარღვევა წარმოადგენს ისეთ დარღვევას, რომელსაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო არ იყენებს იმ საპროცესო ნორმებს, რომლებიც უნდა გამოყენებინა, რის გამოც შეუძლებელი ხდება გადაწყვეტილების კანონიერებისა და მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

აპოლონ წულაიას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



ზ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№3გ/ად-211-კ-02

8 ნოემბერი, 2002 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემაღგენლობა: ბადრი მეტრეველი (თავმჯდომარე),
მაია ვაჩაძე (მომხსენებელი),
ნუგზარ სხირტლაძე

სხდომის მდივანი: ნ. ჭიჭილეიშვილი
კასატორი (მოპასუხე): საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტი; წარმომადგენელი – ადვოკატი გიორგი უსუფაშვილი
მოწინააღმდეგე მხარე (მოსარჩელე): აპოლონ წულაია; წარმომადგენელი – ადვოკატი რუსუდან პიტავა
მესამე პირები: 1. არჩილ ბატიაშვილი; 2. ბორის გოგოლაძე; 3. კარპეზ კაპანაძე; 4. დავით კაკულია, 5. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტი; წარმომადგენელი – ბუდუ ფანცულაია
გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2002 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება.

დავის საგანი: ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

2000 წლის 15 სექტემბერს აპოლონ წულაიამ ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა

და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტისაგან ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება მოითხოვა. მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში მიუთითა, რომ 1997 წლის 1 ოქტომბერს მასსა და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტს შორის ხელშეკრულება დაიდო, რომლითაც მოსარჩელემ არჩილ ბატიაშვილსა და ბორის გოგოლაძესთან ერთად მისი ავტორობით გამოცემული 3500 ცალი წიგნის – „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სასამართლო სავეტერინარო სანიტარული ექსპერტიზა“ – მოპასუხისათვის მიწოდება იკისრა. მოპასუხეს თითოეულ წიგნში 1999 წლის 1 იანვრამდე 19,23 აშშ დოლარის შესაბამისი ლარი უნდა გადაეხადა. ხელშეკრულებაში, ასევე განისაზღვრა, რომ მოპასუხეს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოსარჩელისათვის საურავის სახით 0,1% უნდა გადაეხადა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1997 წლის 20 დეკემბერს მასსა და მოპასუხეს შორის კიდევ ერთი ხელშეკრულება დაიდო, რომლის თანახმად აპოლონ წულაიას ვეტერინარიის დეპარტამენტისათვის მისი და კარპეს კაპანაძის ავტორობით გამოცემული წიგნის – „ვეტერინარიის ფუძემდებლები საქართველოში და მომდევნო თაობა“ – 2500 ეგზემპლარი უნდა გადაეცა. აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვეტერინარიის დეპარტამენტს თითოეულ წიგნში 12 ლარი უნდა გადაეხადა. იმ დროისათვის 1 აშშ დოლარის ღირებულება 1,3 ლარი იყო. მხარეებმა კვლავ განსაზღვრეს საურავი 0,1%-ის სახით.

მოსარჩელის მითითებით, მხარეებს შორის მესამე ხელშეკრულებაც დაიდო, რომლის თანახმად მას საავტორო ჯგუფის მიერ გამოცემული წიგნის – „სავეტერინარო ობიექტების დეზინფექცია, დეზენსექცია, დერატიზაცია“ – 2500 ეგზემპლარი უნდა მიეწოდებინა მოპასუხისათვის, თითოეული წიგნის ღირებულება 10 ლარით განისაზღვრა (7,68 აშშ დოლარი). მესამე ხელშეკრულებითაც ყოველი გაცდენილი დღისათვის 0,1% საურავი დაწესდა.

მოსარჩელემ 1997 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დროულად შეასრულა და წიგნების სრული რაოდენობა ვეტერინარიის დეპარტამენტს მიაწოდა. მოპასუხემ კი ვალდებულება არ შეასრულა იმ მოტივით, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ზაზინამ 1998 და 1999 წლებში ვეტერინარიის დეპარტამენტისათვის ბიუჯეტზე გათვალისწინებული თანხების გამოყოფა ვერ უზრუნველყო.

აპოლონ წულაიამ სასარჩელო განცხადებით 109300 აშშ დოლარის ანაზღაურება მოითხოვა. მან სასარჩელო განცხადებაში მიუთითა, რომ საურავის გადახდას ქვეყნის შიდა ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ ითხოვს. მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილზე დაამყარა. მოსარჩელემ საქმის

სასამართლოს განხილვის სტადიაზე სარჩელი დააზუსტა და პირველი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება და მოპასუხეზე 67000 ლოლარის შესაბამისი ლარის დაკისრება მოითხოვა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. ვეტერინარიის დეპარტამენტმა აღნიშნა, რომ იგი, მართალია, ეჭვქვეშ არ აყენებს სამივე ხელშეკრულების რეალობას, მაგრამ ამასთან თვლის, რომ ხელშეკრულებები მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტსა და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტს შორის დაიდო, ე.ი. ორ იურიდიულ პირს შორის და აპოლონ წულაიას, როგორც ფიზიკურ პირს ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების მოთხოვნა არ გააჩნია.

მესამე პირებმა მხარი სასარჩელო მოთხოვნას დაუჭირეს. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით აპოლონ წულაიას სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტს აპოლონ წულაიას სასარგებლოდ 127000 ლარის გადახდა დაეკისრა.

ვაკე-საბურთალოს 2000 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტმა გაასაჩივრა. აპელანტმა სააპელაციო საჩივარში მიუთითა, რომ აპოლონ წულაია არასათანადო მოსარჩელეა, რადგან ხელშეკრულება ორ იურიდიულ პირს შორის – ვეტერინარიის დეპარტამენტსა და მეცხოველეობის სანაშენე დეპარტამენტს შორის დაიდო, რომლის თავმჯდომარეც აპოლონ წულაია იყო. საქმის სასამართლო პროცესზე განხილვისას კი მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მას ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, არავითარი პრეტენზია არ აქვს. ამდენად, აპელანტის აზრით, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს. მოწინააღმდეგე მხარემ სააპელაციო საჩივარი არ ცნო.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

სასამართლომ აპოლონ წულაია არასათანადო მოსარჩელედ მიიჩნია და უარყო მისი სარჩელი. კერძოდ, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება გაუქმდა და აპოლონ წულაიას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

2001 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით აპოლონ წულაიამ გაასაჩივრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 27 ივლისის განჩინებით აპოლონ წულაიას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტი ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, რის გამოც დაეა ადმინისტრაციულად უნდა ჩაითვალოს და მისი გადაწყვეტა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით უნდა მოხდეს, საქმე განსახილველად თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატას გადაეცა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილა. სააპელაციო პალატამ მხარეთა ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ 1997 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების შესავალ ნაწილში, მართალია, აპოლონ წულაია მოხსენებულია როგორც მეცხოველეობის სანაშენე საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე, მაგრამ, იქვე, დაფიქსირებულია მისი მეორე ტიტულიც, როგორც ხელშეკრულების საგნის – წიგნის – საავტორო ჯგუფის ხელმძღვანელი. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხისათვის თავიდანვე ნათელი იყო, რომ ის ხელშეკრულებას არა დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, არამედ წიგნის საავტორო ჯგუფის ხელმძღვანელთან დებდა. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონილი სასამართლოს 2000 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტმა აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით იმავე საფუძველებით გაასაჩივრა. კასატორის აზრით, საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, არასწორად განმარტა კანონი და სათანადოდ არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2002 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სავალდებულოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დაცვით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რადგან კასატორის მიერ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. ამდენად, საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ხელშეკრულების საგანი – არჩილ ბატიაშვილის, ბორის გოგოლაძისა და აპოლონ წულაიას ავტორობით გამოცემული წიგნი „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სასამართლო სავეტერინარო სანიტარული ექსპერტიზა“ – უშუალოდ ამ ავტორთა ინტელექტუალური შრომითა და მატერიალური დანახარჯებით იქნა შედგენილი და გამოცემული და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტს ამ წიგნის შედგენასა და გამოცემაში მონაწილეობა არ მიუღია. საკასაციო სასამართლო, ასევე დადგენილად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ აღნიშნული წიგნის 3500 ეგზემპლარი, რომელიც ავტორთა საკუთრებას წარმოადგენდა, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტს მიღებული აქვს. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მი-აქცევს იმ გარემოებასაც, რომ კასატორი ზემოთ დასახელებულ ფაქტებს, აგრეთვე, 1997 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულების ნამდვილობას, სადავოდ არ ხდის და 3500 ცალი წიგნის ეგზემპლარის მიღებას აღიარებს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოწინააღმდეგე მხარის – აპოლონ წულაის მოსაზრებას სარჩელის საფუძვლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მითითების თაობაზე და განმარტავს, რომ ამ ნორმის თანახმად „ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას“, რომ „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას“. რადგან კასატორმა – საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტმა

მიიღო შესრულება (3500 ცალი წიგნი), იგი ვალდებულია გადაიხადოს მისი საზღაური (1 ცალი წიგნი – 19,23 აშშ დოლარის შესაბამისი ლარი).

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ აპოლონ წულაია არასათანადო მოსარჩელეა, რადგან დადგენილად მიიჩნეეს იმ ფაქტს, რომ 1997 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულება აპოლონ წულაიას მონაწილეობით არის დადებული და იგი ხელშეკრულებაში წარმოდგენილია არა მარტო როგორც მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტის თავმჯდომარე, არამედ, როგორც წიგნის – „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სასამართლო სექტერიწარმო სანიტარული ექსპერტიზის“ საავტორო ჯგუფის ხელმძღვანელი.

საკასაციო სასამართლო თელის, რომ სააპელაციო სასამართლომ მიიღო განჩინება, რადგან უცვლელად დატოვა ვაე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, თუმცა განჩინების ნაცვლად უწოდა გადაწყვეტილება. აღნიშნულ გარემოება, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ შეიძლება გახდეს გაუქმების საფუძველი, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად „საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ო ნ ა:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2002 წლის 17 აპრილის განჩინება.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საავტორო უფლების დარღვევის აკრძალვა
და კომპენსაციის დაკისრება



გ ა დ ა ვ ყ ვ ე მ ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№02ა/27-2001

19 თებერვალი, 2001 წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ

შემდეგი შემადგენლობით: მ.ღიბრაძე (თავმჯდომარე),
მ.ჯიყაშვილი,
დ.თოდრაძე

ი.ხიჯაკაძის მდივნობით

მოსარჩელე: ლუბოვ (ლულუ) ჩხენკელი; წარმომადგენელი – ოთარ ბეუიტაშვილი

მოპასუხეები: გამომცემლობა „რადო“-ს დირექტორი ბონდო გაგნიძე;
წარმომადგენლები – ოთარ ბერიშვილი, თეიმურაზ მიბზუანი, სერგო წურ-
წუმია, ომარ გოგია.

დავით საგანი: საავტორო უფლებათა დარღვევის აკრძალვა და კომ-
პენსაციის სახით 50000 ლარის დაკისრება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

ლუბოვ (ლულუ) ჩხენკელმა აღძრა სარჩელი და განმარტა, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის“ მე-5 და მე-9 მუხლების შესაბამისად იგი წარმოადგინეს აფხაზეთის ომის დროს ტყვედ აყვანილი მიხეილ დემიანოვის დაკითხვის მასალების საფუძველზე შექმნილი ნაწარმოების „ორი სიმართლე არ არსებობს“ ავტორს, რომელიც რუსულ

ენაზე გამოიცა 1996 წელს, ხოლო ამავე კანონის მე-12 მუხლის თანახმად აღნიშნულ ნაწარმოებზე სარგებლობს პირადი არაქონებრივი და განსაკუთრებული ქონებრივი საავტორო უფლებებით. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეებმა – გამომცემლობა „რაეოს“ ღირექტორმა ბონდო გაგნიძემ, სერგო წურწუშიამ, თეიმურაზ მიბჩუანმა და ომარ გოგიამ 2000 წელს გამომცემლობა „რაეოსი“ გამოსცეს რუსულ ენაზე წიგნი „კაზაკები და საქართველო“, სადაც მთლიანად არის შესული მოსარჩელის წიგნიდან შედგენილი ნაწარმოები. მოსარჩელე მიუთითებს, რომ მოპასუხეების მიერ განხორციელდა მისი ნაწარმოების რეპროდუცირება და გავრცელება შეცვლილი სათაურით, ავტორის თანხმობის, საავტორო პონორარის გადახდისა და ავტორის სახელის მითითების გარეშე, რითაც დაირღვა მოსარჩელის განსაკუთრებული ქონებრივი საავტორო უფლებები, გათვალისწინებული „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის“ მე-17 და მე-18 მუხლებით. მოსარჩელის მოსაზრებით, მოპასუხეები მითითებული კანონის 58-ე მუხლის თანახმად ითვლებიან საავტორო და მომიჯნავე უფლების დამრღვევად, ამავე კანონის მე-60 მუხლის თანახმად კი მათ მიერ გამოცემული ეგზემპლარები განიხილება კონტრაფაქციულ ეგზემპლარებად.

მოსარჩელის მოთხოვნებია:

1. „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის“ 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კომპენსაციის სახით მოპასუხეთათვის სოლიდარულად 50000 ლარის დაკისრება.

2. მოპასუხეთათვის წიგნის „კაზაკები და საქართველოს“ რეპროდუცირება-გამოცემის აკრძალვა, რომელშიც შესულია მოსარჩელის ნაწარმოები.

3. „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის“ 60.3 მუხლის შესაბამისად, მოპასუხეების მიერ უკვე დაბეჭდილი და გასავერცელებლად გამზადებული წიგნების „კაზაკები და საქართველოს“ ეგზემპლარების მოსარჩელისათვის გადაცემა.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, კერძოდ, მისთვის უკვე დაბეჭდილი და გასავერცელებლად გამზადებული წიგნის „კაზაკები და საქართველოს“ ეგზემპლარების გადაცემის ნაწილში.

მოპასუხეთაგან წერილობითი პასუხი (შესაგებელი) წარმოადგინეს მხოლოდ გამომცემლობა „რაეოს“ რედაქტორის ბონდო გაგნიძის წარმომადგენელმა ო.ბერიშვილმა და თ.მიბჩუანმა, მათ არც წერილობით შესაგებელში და არც სასამართლო სხდომაზე სარჩელი არ ცნეს. ო.ბერიშვილს მიაჩნია, რომ ბ.გაგნიძე არ შეიძლება ჩაითვალოს საავტორო უფლების დამრღვევად, რადგან წიგნის „კაზაკები და საქართველოს“ ავტორები არიან სერგო წურწუშია და თეიმურაზ მიბჩუანი, ხოლო ბ.გაგნიძე გამომცემლობის რედაქტორ-

რია, რომელმაც წიგნი გამოსცა. რედაქტორი კი ასრულებს მხოლოდ წიგნის გამოცემისათვის ტექნიკურ სამუშაოებს და არ შეიძლება იცოდეს თუ საიდან სარგებლობს ავტორი ნაწარმოების შედგენისას. ობერიშვილის აზრით თვით მოსარჩელის წიგნი „ორი სიმართლე არ არსებობს“ არ შეიძლება ჩაითვალოს ნაწარმოებად, რადგან ეჭვიმითანილის დაკითხვის ოქმი, ბრძანებები და სხვა დოკუმენტები არ წარმოადგენს გონებრივი შრომის ნაყოფს, რაზედაც საავტორო უფლება გავრცელდებოდა, თუნდაც ასეთსაც, წარმოადგენდეს საავტორო უფლებათა შესახებ კანონის 12.4 მუხლის შესაბამისად, შემდგენელის საავტორო უფლება, ხელს არ უშლის სხვა პირებს განახორციელონ იმავე მასალის შერჩევა და განლაგება თავიანთ შედგენილ ნაწარმოებთან შესაქმნელად, გამოცემლობა „რაეოს“ არ დაურღვევია საავტორო და მოძიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მოთხოვნა.

სარჩელი არ სცნო მოპასუხე თ.მიბჩუანმატ. მას მიაჩნია, რომ წიგნი „ორი სიმართლე არ არსებობს“ წარმოადგენს დოკუმენტების კრებულს, რომლის ავტორად რატომღაც მითითებულია ლ.ჩხენკელი, მაშინ, როცა ასეთი დოკუმენტების კრებულზე როგორც წესი უნდა ეწეროს: დოკუმენტურ მასალას თავი მოუყარა, კომენტარები დაურთო და გამოსცა ლ.ჩხენკელმა. მოპასუხე თ.მიბჩუანი ასევე მიუთითებს, რომ წიგნში „კახაკები და საქართველო“, რომლის ავტორი მასთან ერთად ს.წურწუშიაა, ლ.ჩხენკელის წიგნიდან შეტანილია დემიანოვის დაკითხვის მასალა, წიგნის დედანში მითითებული იყო ლ.ჩხენკელის გვარი, მაგრამ დასტაბშვის დროს გაიპარა არაერთი შეცდომა და უზუსტობა, მათ შორის გამორჩა ლ.ჩხენკელის გვარის მითითბაც. წიგნი გამოიცა 200 ცალის სასიგნალო ეგზემპლარის სახით, რაც თ.მიბჩუანის აზრით ტირაჟად ვერ ჩაითვლება, წიგნები სარეალიზაციოდ არ გაუტანიათ, ყველა დარიგდა უფასოდ წიგნის პრეზენტაციაზე.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე სარჩელი არ სცნო ასევე ს.წურწუშიამაც და დაეთანხმა სარჩელთან დაკავშირებით მოპასუხე თ.მიბჩუანისა და გამოცემლობა „რაეოს“ რედაქტორის ბ.გაგნიძის წარმომადგენლის ო. ბერიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.

სარჩელზე წერილობითი პასუხი არ წარმოუდგენია და მთავარ სხდომაზე არ გამოცხადებულა მოპასუხე ო.გოგია, რომელსაც ჩაბარდა სარჩელი თანდართულ მასალებთან ერთად, გაფრთხილებული იყო ასევე მთავარი სხდომის შესახებ სსკ-ს 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლო კოლეგიამ მოუსმინა მხარეებს, შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებანი და მიაჩნია, რომ სარჩელი, მოპასუხეებისათვის წიგნის

„კაზაკები და საქართველოს“ რეპროდუცირება-გამოცემის აკრძალვის ნაწილში, რომელშიც შესულია ლ.ჩხენკელის ნაწარმოები, უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მოპასუხეებისათვის სოლიდარულად კომპენსაციის სახით 50000 ლარის დაკისრების ნაწილში დაუსაბუთებელია და უარი უნდა ეთქვას შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლო კოლეგიას დადგენილად მიაჩნია, რომ მოსარჩელე ლ.ჩხენკელი არის წიგნის „ორი სიმართლე არ არსებობს“ ავტორი, რომელიც გამოცემულია რუსულ ენაზე 1996 წელს მოქალაქეთა კავშირის გამომცემლობის მიერ. წიგნი შედგება წინასიტყვაობის, აფხაზეთის ომის დროს ტყვედ აყვანილი ГРУ-ს რეზიდენტის მ.დემიანოვის დაკითხვის მასალების, ეპილოგისა და დანართისაგან, ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტთა და საგაზეთო პუბლიკაციების ასლებს.

სასამართლო კოლეგიას დადგენილად მიაჩნია და ეთანხმება მოსარჩელის მოსაზრებას მასზე, რომ აღნიშნულ წიგნში შესული აფხაზეთის ომის დროს ტყვედ აყვანილი მ.დემიანოვის დაკითხვის მასალა, მოსარჩელე ლ.ჩხენკელის მიერ თემატურად არის შერჩეული და განლაგებული, რის მიხედვითაც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს და სრულად შეესაბამება შედგენილი ნაწარმოებისათვის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის“ 6.1 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ამდენად, მოსარჩელე ლ.ჩხენკელს ამავე კანონის 12.1 მუხლის შესაბამისად ეკუთვნის საავტორო უფლება მასალის შერჩევასა და განლაგებაზე, რაც მისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს, ხოლო იმავე კანონის 9.4 მუხლით კი მოსარჩელე ითვლება განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელად. გამომდინარე აქედან, სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს მოპასუხეთა მოსაზრებას მასზედ, რომ წიგნი „ორი სიმართლე არ არსებობს“ არ წარმოადგენს საავტორო უფლებათა დაცვის ობიექტს, ხოლო ლ.ჩხენკელი მის ავტორს, თუმცა სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხეებმა მოსარჩელის წიგნი აღიარებს შედგენილად, მაგრამ კვლავ არ სცნეს მასზედ მოსარჩელის საავტორო უფლება. მოპასუხე თმობრუნმა იმ მოსაზრებით, რომ ლ.ჩხენკელი წიგნის შემდგენელია და არა ავტორი, ხოლო ბ.გაგანიძის წარმომადგენელმა ო.ბერიშვილმა იმ მოსაზრებით, რომ მოსარჩელე ლ.ჩხენკელი დოკუმენტური მასალების შემკრებია, ხოლო შეკრებასა და შედგენას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს.

სასამართლო კოლეგია კატეგორიულად ვერ დაეთანხმება მოპასუხეთა აღნიშნულ მოსაზრებას, რადგან „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის“ მე-12 მუხლის მიხედვით ავტორი და შემდგენელი ერთი და იგივეა.

სასამართლო კოლეგია მოპასუხეთა ვერც იმ აზრს გაიზიარებს, რომ ლ.ჩხენკელის წიგნი არ წარმოადგენს გონებრივი შრომის ნაყოფს, ვინაიდან მასში მოთავსებულ ექვმიტანილის დაკითხვის ოქმზე, ბრძანებებზე და სხვადასხვა დოკუმენტებზე საავტორო უფლება არ ვრცელდება.

სასამართლო კოლეგია სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ დაკითხვის ოქმები და სხვა ოფიციალური დოკუმენტები ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ანუ მოპასუხეთა შეფასებით გონებრივი შრომის ნაყოფს არ წარმოადგენს და მათზე საავტორო უფლება არ ვრცელდება, მაგრამ მოსარჩელე ლ.ჩხენკელის განმარტებით დადგენილია, რომ მ.დემიანოვის დაკითხვის მასალა, წიგნში „ორი სიმართლე არ არსებობს“, განთავსებულია არა როგორც დაკითხვის ოქმის სტენოგრაფიული ჩანაწერისა და ოფიციალური დოკუმენტის სახით, არამედ შექმნილია ვიდეოკასეტებზე დაფიქსირებული მ.დემიანოვის ჩვენებების გაშიფვრის საფუძველზე, თემატურადაა შერჩეული და განლაგებული მოსარჩელე ლ.ჩხენკელის მიერ, ხოლო რაიმე მტკიცებულება იმის დასტურად, რომ წიგნში მოთავსებული მასალა მ.დემიანოვის დაკითხვის შესახებ ოფიციალური დოკუმენტი ანუ დაკითხვის ოქმის სტენოგრაფიული ჩანაწერია, მოპასუხეებს არ წარმოუდგენიათ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე მხარეები თვითონ განსაზღვრავენ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამასთან, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 6.2 მუხლის მიხედვით შედგენილ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებათა დაცვა ზორციელდება მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა საავტორო უფლებების ობიექტებს ის ნაწარმოებები, რომლებსაც ემყარებიან ან შეიცავენ ისინი.

მოპასუხეთა განმარტების საფუძველზე სასამართლო კოლეგიას დადგენილად მიაჩნია, რომ მათ მიერ გამოცემულ წიგნში „კაზაკები და საქართველო“ განთავსებული მასალა სათაურით „რეზიდენტის აღსარება“ (გვ.109-130) აბსოლუტურად იდენტურია მოსარჩელის წიგნში „ორი სიმართლე არ არსებობს“ მოთავსებული დემიანოვის დაკითხვის მასალისა შეცვლილი სათაურით და წინასიტყვაობით და გადმობეჭდილია ლ.ჩხენკელის წიგნიდან.

სასამართლო კოლეგია დადგენილად თვლის, რომ მოპასუხეებმა ავტორთან შეთანხმების გარეშე განახორციელეს ლ.ჩხენკელის ნაწარმოების რეპროდუცირება და საზოგადოებაში მისი გავრცელება წიგნად გამოცემის შედეგად: „საავტორო და მომიჯნავე უფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18.2(ბ) მუხლის საზოგადოებაში გავრცელებაში მოიაზრებს არა მარტო გაყიდვასა და გაქირავებას, არამედ, საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემასაც, როგორცაა ჩუქება, გაცვლა და ა.შ. მოცემულ

საქმეზე მოპასუხეთა განმარტებით კი დადგენილია, რომ წიგნის „კაზაკები და საქართველოს“ ეგზემპლარები ავტორებმა საჩუქრად დაურიგეს წიგნის პრეზენტაციაზე მისულ სტუმრებს.

ამდენად, სასამართლო კოლეგიას დადასტურებალედ მიაჩნია, რომ სახეზე გვაქვს მოსარჩელე ლ.ჩხენკელის როგორც ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებების დარღვევა. კერძოდ: მოპასუხეების მიერ გამოცემულ წიგნში ლ.ჩხენკელის შედგენილი ნაწარმოები გამოყენებულია ავტორის სახელის მითითების გარეშე, შეცვლილი სათაურითა და წინასიტყვაობით, რითაც დაირღვა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის“ 17.1(ა), 17.1(დ) და 17.1(ვ) მუხლებით გათვალისწინებული ავტორის არაქონებრივი უფლებები, ხოლო მოპასუხეთა მიერ ლ.ჩხენკელის ნაწარმოების რეპროდუცირებითა და გავრცელების შედეგად დაირღვა ამავე კანონის 18.2(ა) და 18.2(ბ) მუხლებით გათვალისწინებული ავტორის ქონებრივი უფლება, ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება და მოპასუხეები წიგნის „კაზაკები და საქართველოს“ ავტორები თ.მიბჩუანი და ს.წურწუშია გამომცემლობა „რაეოს“ მთავარი რედაქტორი ბ.გაგნიძე და რედაქტორი გამომცემელი ო.გოგია განიხილებიან ამ უფლებათა დამრღვევებად „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 58.2 მუხლის თანახმად, ხოლო 60.1 მუხლის თანახმად, მათ მიერ გამოშვებული წიგნის ეგზემპლარები განიხილება ნაწარმოების კონტრაფაქციულ ეგზემპლარად. აქედან გამომდინარე, სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს გამომცემლობა „რაეოს“ რედაქტორის ბ.გაგნიძის წარმომადგენლის ობერიაშვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ბ.გაგნიძე არ შეიძლება ჩაითვალოს საავტორო უფლების დამრღვევად, რადგან იგი არ არის ავტორი, მხოლოდ წიგნის გამომცემისათვის საჭირო ტექნიკური სამუშაოების შემსრულებელია. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 9.4 მუხლით განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელს თავისი უფლების განცხადებისათვის შეუძლია გამოიყენოს საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე და შედგება 3 ელემენტისაგან:

ა) ლათინური ასო C წრეწირში – ©.

ბ) განსაკუთრებული საავტორო უფლების სახელი (დასახელება).

გ) ნაწარმოების პირველი გამოცემის წელი.

მოპასუხეების მიერ გამოცემული წიგნის „კაზაკები და საქართველო“ მე-4 გვერდზე კანონით დადგენილი სამივე ელემენტის შემცველი საავტორო უფლების დაცვის ორი ნიშანია, რომელიც მიუთითებს, რომ განსაკუთრებული საავტორო უფლება თ.მიბჩუანსა და ს.წურწუშიასთან ერთად ეკუთვნის გამომცემლობა „რაეოს“, ხოლო მოპასუხე ო.გოგია მითითებულია როგორც

რედაქტორ-გამომცემელი, რომელმაც სხვადასხვა მასალის შერჩევა-განლაგებისას შედეგად გამოსცა შედგენილი ნაწარმოები "კაზაკები და საქართველო" და „სააეტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 12.1 მუხლის თანახმად ითვლება ამ ნაწარმოების ავტორად.

ზემოთ აღნიშნული სვათვალისწინებით სასამართლო კოლეგია თვლის, რომ მოსარჩელე ლ.ჩხენკელის მოთხოვნა მოპასუხეთათვის წიგნის „კაზაკები და საქართველოს“ რეპროდუცირება-გამოცემის აკრძალვის შესახებ, რომელშიც შესულია მისი ნაწარმოები საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება მოსარჩელე ლ.ჩხენკელის მოთხოვნას მოპასუხეთათვის კომპენსაციის სახით 50000 ლარის სოლიდარულად დაკისრების შესახებ, სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ იგი დაუსაბუთებელია და უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელე მოთხოვნას ასაბუთებს იმ საფუძველით, რომ „სააეტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის“ 59.1(ე) მუხლით, სააეტორო უფლების მფლობელს, უფლება აქვს ზიანის ანაზღაურების და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად, მოითხოვოს კომპენსაციის გადახდა, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს სასამართლო. კომპენსაციის მოთხოვნის შესაძლებლობა გარკვეულწილად მნიშვნელოვნად ამსუბუქებს სააეტორო უფლებების მფლობელთა სამართლებრივ მდგომარეობას, რადგან ისინი თავისუფლდებიან თავიანთი ზიანის ოდენობის დოკუმენტური მტკიცებისაგან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სააეტორო უფლებების მფლობელი ასევე თავისუფლდება თვით ზიანის არსებობის ფაქტის დადასტურებისაგან; რამდენადაც კომპენსაცია შეიძლება დაეკისროს ზიანის სანაცვლოდ, კომპენსაციის კონკრეტული ოდენობს განსაზღვრა უნდა მოხდეს ზიანის მიახლოებითი ოდენობის შესაბამისად. ამდენად, თუ არ არსებობს ზიანი, კომპენსაცია ვერ დაეკისრება. მოსარჩელე ჩხენკელმა კი ვერ დაასაბუთა მიაღვა თუ არა ზიანი.

მოსარჩელის წარმომადგენლის ობექტივაშილის განმარტებით საკომპენსაციო თანხა 50000 ლარი აერთიანებს შესაძლო მატერიალურ და მორალურ და არა უკვე არსებულ ზიანს, ამასთან ვერ მიუთითა წარმომადგენლისათვის გადასახდელი ან უკვე გადახდილი თანხის ოდენობა.

ამდენად, სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსარჩელე ლ.ჩხენკელის მოთხოვნა მოპასუხეთათვის კომპენსაციის სახით 50000 ლარის დაკისრების ნაწილში დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 243-ე, 247-ე, 248-ე, 249-ე, 258-ე მუხლებით

გ ა ლ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ლუბოვ (ლულუ) ჩხენკელის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. მოპასუხეებს – გამოცემლობა „რაოს“, თეიმურაზ მიბჩუანს, სერგო წურწუმიას და ომარ გოგიას აეკრძალოთ წიგნის „კაზაკები და საქართველოს“ რეპროდუცირება-გამოცემა, რომელშიც შესულია მოსარჩელე ლ.ჩხენკელის ნაწარმოები.
3. მოსარჩელე ლულუ ჩხენკელს მოპასუხეებისათვის სოლიდარულად კომპენსაციის სახით 50000 ლარის დაკისრების ნაწილში უარი ეთქვას დაუსაბუთებლობის გამო.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან საქართველოს უზენაეს სასამართლოში, თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით.



გ ა ნ ჩ ი ნ მ ბ ა საქართველოს სახელთო

№ 3კ\471-01

12 ოქტომბერი, 2001 წ., თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბეჟან ზიმშიაშვილი (თავმჯდომარე),
ქეთევან გაბელაია (მომხსენებელი),
მაია ახალაძე

მდივანი: გ. სუპატაშვილი

კასატორი: ლუბოვ ჩხენკელი (მოსარჩელე); წარმომადგენელი – ო. ბეჟიტაშვილი

მოწინააღმდეგე მხარე: გამომცემლობა „რაოს“ დირექტორი ბონდო გაგნიძე, თეიმურაზ მიბჩუანი, სერგო წურწუშია, ომარ გოგია; წარმომადგენელი – ოთარ ბერიშვილი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება

კასატორის მოთხოვნა: გადაწყვეტილების გაუქმება კომპენსაციის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში.

დავის საგანი: საავტორო უფლებათა დარღვევის აკრძალვა და კომპენსაციის დაკისრება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

მოსარჩელე ლუბოვ ჩხენკელი არის წიგნის „ორი სიმართლე არ არსებობს“ შემდგენელი – ავტორი. წიგნი წარმოადგენს აფხაზეთის ომის დროს ტყვედ აყვანილი მიხეილ დემიანოვის დაკითხვის მასალების საფუძველზე შექმნილ ნაწარმოებს, რომელიც რუსულ ენაზე 1996 წელს გამოსცა მოქალაქეთა კავშირის გამომცემლობამ. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეებმა: გამომცემლობა „რაეოს“ დირექტორმა ბონდო გაგნიძემ, სერგო წურწუშიამ, თეიმურაზ მიხუანმა და ომარ გოგიამ 2000 წელს გამომცემლობა „რაეოში“ გამოსცეს რუსულ ენაზე წიგნი „კაზაკები და საქართველო“, სადაც მთლიანად არის შესული მოსარჩელის ნაწარმოები. მოსარჩელემ ჩათვალა, რომ მოპასუხეების მიერ განხორციელდა მისი ნაწარმოების რეპროდუცირება და გავრცელება შეცვლილი სათაურით, ავტორის თანხმობის, საავტორო ჰონორარის გადახდისა და ავტორის სახელის მითითების გარეშე, რითაც დაირღვა მოსარჩელის განსაკუთრებული საავტორო ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, რის გამოც მიმართა სასამართლოს და მოითხოვა „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კომპენსაციის სახით მოპასუხეთათვის სოლიდარულად 50000 ლარის დაკისრება, წიგნის „კაზაკები და საქართველო“ – რეპროდუცირება-გამოცემის აკრძალვა. სასამართლო სხდომაზე მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს, რადგან მათი აზრით მოსარჩელის წიგნი „ორი სიმართლე არ არსებობს“ არ შეიძლება ჩაითვალოს ნაწარმოებად. იგი არის ეჭვმიტანილის დაკითხვის ოქმი, რომელიც არ წარმოადგენს შემოქმედებითი შრომის ნაყოფს და მასზე საავტორო უფლებები არ ვრცელდება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით ლუბოვ ჩხენკელის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მოპასუხეებს აეკრძალათ წიგნის „კაზაკები და საქართველო“ რეპროდუცირება-გამოცემა. მოპასუხეთათვის სოლიდარულად კომპენსაციის სახით 50000 ლარის დაკ-

ისრებაზე მოსარჩელის სარჩელს ეთქვა უარი უსაფუძვლოების გამო.

საოლქო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა შემდეგი საფუძველით: დადგენილად მიიჩნია, რომ წიგნში „ორი სიმართლე არ არსებობს“ შესული აფხაზეთის ომის დროს ტყვედ აყვანილი მ. დემიანოვის დაკითხვის მასალა მოსარჩელე ჩხენკელის მიერ თემატურად არის შერჩეული და განლაგებული, რის გამოც წარმოადგენს ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს და სრულად შეესაბამება შედგენილი ნაწარმოებისათვის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის ნ.1. მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მას ეკუთვნის საავტორო უფლება მასალის შერჩევასა და განლაგებაზე.

კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხებმა ავტორთან შეუთანხმებლად განახორციელეს მისი ნაწარმოების რეპროდუცირება და საზოგადოებაში გამოცემა.

რაც შეეხება მოპასუხისათვის კომპენსაციის სახით 50000 ლარის სოლიდარულად დაკისრებას, კოლეგიის აზრით, ასეთი მოთხოვნა უსაფუძველოა, რადგან მართალია, კომპენსაციის მოთხოვნის დროს მოსარჩელე თავისუფლდება მისთვის მიყენებული ზიანის დოკუმენტური მტკიცებისაგან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საავტორო უფლებების მფლობელი ასევე თავისუფლდება თვით ზიანის არსებობის ფაქტის დადასტურებისაგან. მოსარჩელემ კი ვერ დაასაბუთა, რომ მას მიადგა ზიანი.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა მოსარჩელე ლულუ ჩხენკელმა, რომლითაც ითხოვს გადაწყვეტილების გაუქმებას ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში შემდეგი საფუძველით: სასამართლო სხდომაზე მოწმეებმა: ლ. ურუშაძემ და მ. მხეიძემ დაადასტურეს წიგნის – „კაზაკები და საქართველო“ ეგზემპლარების სამოქალაქო ბრუნვაში გაშვების ფაქტი, მიუთითეს წიგნის ფასი (საშუალოდ 10 ლარი). სასამართლო კოლეგიამ ყურადღების მიღმა დატოვა მოსარჩელის ისეთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა, როგორცაა მისთვის მორალური ზიანის ანაზღაურება. მოპასუხეთა მიერ მოსარჩელის ნაწარმოების უკანონო რეპროდუცირებისა და გამოცემის შედეგად შეილახა მისი პატივი და ღირსება, ეჭვქვეშ დადგა მისი საქმიანი რუპუტაცია. პატივისა და ღირსების შელახვის უმთავრესი ფაქტორი იყო მისი ნაწარმოების ჩართვა მოპასუხეთა მიერ გამოშვებულ წიგნში.

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის შინაარსი და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორი ლუბოვ (ლულუ) ჩხენკელი საკასაციო საჩივრით მოითხოვს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმებას მოპასუხისათვის მხოლოდ საკომპენსაციო თანხის – 50000 ლარის – მის სასარგებლოდ დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამდენად, გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელზეც საკასაციო საჩივარი არ შემოსულა, პალატა ვერ იმსჯელებს. საოლქო სასამართლოს კოლეგიის გადაწყვეტილებით ლუბოვ (ლულუ) ჩხენკელი ცნობილია წიგნის – „ორი სიმართლე არ არსებობს“ – შემდგენლად – ავტორად და მოპასუხეებს აეკრძალათ წიგნის – „კაზაკები და საქართველოს“ – რეპროდუცირება-გამოცემა. გადაწყვეტილება ამ ნაწილში კანონიერ ძალაში შევიდა. „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონი იცავს საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელს ხელყოფისაგან. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ლუბოვ ჩხენკელი მოითხოვდა აღნიშნული კანონის 59-ე მუხლის I პუნქტის „ე“ პუნქტის თანახმად კომპენსაციის გადახდას, ვინაიდან მოპასუხეებმა დაარღვიეს მისი როგორც არაქონებრივი, ისე – ქონებრივი საავტორო უფლებები. საოლქო სასამართლომ გადაწყვეტილებით უარი უთხრა მოსარჩელეს კომპენსაციის გადახდაზე იმ საფუძველით, რომ კომპენსაციის მოთხოვნის დროს საავტორო უფლებების მფლობელმა უნდა დაადასტუროს ზიანის არსებობის ფაქტი, რამდენადაც კომპენსაციის კონკრეტული ოდენობის განსაზღვრა უნდა მოხდეს ზიანის მიაზლოებითი ოდენობის შესაბამისად, თუ არ არსებობს ზიანი, მოპასუხეს კომპენსაცია ვერ დაეკისრება. სასამართლომ ჩათვალა, რომ ჩხენკელმა ვერ დაადასტურა რომ მას მიადგა ზიანი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საოლქო სასამართლოს კოლეგიის ზემოაღნიშნული მსჯელობა შეიძლება გაზიარებულ იქნეს მხოლოდ ქონებრივი ზიანის არსებობის ნაწილში, ე.ი. მხარეს ევალებოდა იმის მტკიცება, თუ რა შემოსავალს მიიღებდა იგი, მოპასუხეებსა და მას შორის ნორმალური სამართლებრივი მდგომარეობა რომ არსებულებოდა, მაგრამ ასეთი მსჯელობა არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს მოსარჩელის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ნაწილში თვით ის ფაქტი, რომ მოპასუხეებმა დაარღვიეს მოსარჩელის არაქონებრივი საავტორო უფლება (რაც დადასტურებულად მიიჩნია საოლქო სასამართლომ), უკვე წარმოშობს მისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ზიანის

ანაზღაურების განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დარღვევის არსი, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელისათვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი“. საოლქო სასამართლომ ასევე არ იმსჯელა სასამართლოს ხარჯებზე წარმომადგენლისა და ადვოკატისათვის გადასახდელი თანხის რაოდენობაზე. ვინაიდან გარკვეული არ არის სასამართლო ხარჯების ოდენობა, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თეთონ გამოიტანოს გადაწყვეტილება და ამდენად, საქმე მთლიანად უნდა დაექვემდებაროს საოლქო სასამართლოს იმავე კოლეგიას. საქმის ხელახალი განხილვის დროს საოლქო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს სასამართლოს ხარჯების ოდენობა და თავის გადაწყვეტილებაში განსაზღვროს არაქონებრივი ზიანისა და სასამართლო ხარჯების ოდენობა.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ლუბოვ ჩხენკელის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება ლუბოვ ჩხენკელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 50000 ლარის კომპენსაციის სახით დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე განსახილველად გადაეგზავნოს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



გ ა დ ა ო ყ ვ ე მ ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№2/ა-209

26 დეკემბერი, 2001წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ

შემდეგი შემაღგენლობით:

მადონა ლიბრაძე (თავმჯდომარე და მომხსენებელი),

მარინა ჯიყაშვილი,

დავით თოდრაძე

სხდომის მდივანი: ინგა ხიჯაკაძე

მოსარჩელე: ლუბოვ (ლულუ) ჩხენკელი; წარმომადგენელი – ოთარ ბეუიტაშვილი

მოპასუხეები: 1. გამომცემლობა „რაეო“, რედაქტორი ბონდო გაგნიძე; წარმომადგენელი – ოთარ ბერიშვილი;

2. თეიმურაზ მიბჩუანი;

3. სერგო წურწუშია;

4. ომარ გოგია

დავის საგანი: საავტორო უფლებათ დარღვევის გამო კომპენსაციის დაკისრება.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ლუბოვ (ლულუ) ჩხენკელის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეებს თ. მიბჩუანს, ო. გოგიას, ს. წურწუშიას და გამომცემლობა „რაეოს“ აეკრძალათ წიგნის „კახაკები და საქართველოს“ რეპროდუცირება, გამოცემა, ხოლო მოპასუხეთათვის სოლიდარულად კომპენსაციის სახით 50.000 ლარის

დაკისრებაზე სარჩელს უარი ეთქვა დაუსაბუთებლობის გამო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწამეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით გადაწყვეტილება ლ. ჩხენკელისათვის კომპენსაციის მოთხოვნის ნაწილში გაუქმდა და ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა საოლქო სასამართლოს.

მოსარჩელე ლუბოვ (ლულუ) ჩხენკელი თავის მოთხოვნას კომპენსაციის სახით მოპასუხეებისათვის სოლიდარულად 50.000 ლარის დაკისრების ნაწილში ამყარებს შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

მოპასუხეთა მიერ მოსარჩელის წიგნის უკანონო რეპროდუცირებით შეილახა მისი პატივი და ღირსება, ვინაიდან ლ. ჩხენკელის ნაწარმოები გამოცემული იყო ცალკე წიგნად, რომელსაც ჰყავდა მხოლოდ ერთი ავტორი – შემდგენელი ლ. ჩხენკელი, იგი ადრეც ინტენსიურად მუშაობდა დოკუმენტური კინოსა და პუბლიცისტიკის სფეროში და საკმაოდ ავტორიტეტული და პროფესიონალი შემოქმედის სახელი დაიმკვიდრა, ამდენად მისი ნაწარმოების სხვა ნაწარმოებში შეტანა, უდავოდ პატივისა და ღირსების შელახვად მიაჩნია მოსარჩელეს. მოპასუხეების მიერ გამოცემულ წიგნში „კაზაკები და საქართველო“ ავტორად ლ. ჩხენკელის გვარი მითითებული არ არის.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ლ. ჩხენკელის ნაწარმოების უკანონო რეპროდუცირებით შეილახა მისი საქმიანი რეპუტაცია, რადგან მოსარჩელის ნაწარმოები წარმოადგენს აფხაზეთის თემაზე შექმნილ ნაწარმოებს, რომელშიც მოყვანილი მოსაზრებები და ფაქტები წარმოადგენს უტყუარ მტკიცებულებებს აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობის შესახებ. მოსარჩელის ნაწარმოები თავისი დადაზრით და სულისკვეთებით, წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეწყობა მხილების ერთგვარ დოკუმენტს და აქედან გამომდინარე ლ. ჩხენკელის ნაწარმოების ჩართვა მოპასუხეთა მიერ კაზაკების თემაზე შექმნილ წიგნში, მოსარჩელეს მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვად მიაჩნია. რადგან მოსარჩელეს ურეკავდნენ ნაცნობ-მეგობრები და საყვედურს ეუბნებოდნენ მისი ნაწარმოების მოპასუხეთა წიგნში შეტანის გამო.

გარდა ამისა, მოსარჩელე ითხოვს, წარმომადგენლისათვის გაწეული ხარჯების 3.000 ლარისა და სასამართლოს ხარჯების ანაზღაურებას ე.ი. სულ კომპენსაციის სახით 50.000 ლარის მოპასუხეთათვის დაკისრებას.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხეები, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ სსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით არ გამოცხადდნენ.

ამასთან, სასამართლო კოლეგიამ გაითვალისწინა მოპასუხე გაზეთ „რაიოს“ რედაქტორის ბ. გაგნიძის წარმომადგენლის ო. ბერიშვილის წერილობითი თხოვნა, იმავე დღის 13 საათისათვის სხდომის გადადების თაობაზე და

სასამართლო სხდომა დაიწყო 14 საათზე, მაგრამ არც ბ. გაგნიძე და არც მისი წარმომადგენელი სხდომაზე არ გამოცხადდნენ.

მოსარჩელემ მოპასუხეთა გამოუცხადებლობის გამო არ მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და იშუამდგომლა საქმის არსებითად განხილვა მოპასუხეთა დასწრების გარეშე.

სასამართლო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა სარჩელის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები და მიაჩნია, რომ სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ლუბოვ (ლულუ) ჩხენკელი ცნობილია წიგნის – „ორი სიმართლე არ არსებობს“ – შემდგენელად – ავტორად, ხოლო მოპასუხეები თეიმურაზ მიბჩუანი, ომარ გოგია, სერგო წურწუშია და გამომცემლობა „რაეო“ საავტორო უფლებათა დამრღვევად, გადაწყვეტილება ამ ნაწილში კანონიერ ძალაშია. „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონი იცავს საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელს ზელყოფისაგან. ამ კანონის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტის შესაბამისად პირს, რომლის საავტორო უფლებაც დაირღვა უფლება აქვს მოითხოვოს დამრღვევისაგან ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდა, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს სასამართლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად ზიანის ანაზღაურების განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დარღვევის არსი, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელისათვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი, აგრეთვე ის სავარაუდო შემოსავალი, რომელიც შეეძლო მიეღო ავტორს ან საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელს ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის მართლზომიერად გამოყენების შედეგად. ზიანის ანაზღაურებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასამართლო ხარჯები, წარმომადგენლისა და ადვოკატებისათვის გადასახდელი თანხის ჩათვლით.

რამდენადაც აღნიშნული კომპენსაცია შეიძლება დაეკისროს ზიანის სანაცვლოდ, კომპენსაციის კონკრეტული ოდენობის განსაზღვრა უნდა მოხდეს ზიანის მიახლოებითი ოდენობის შესაბამისად, ხოლო თუ არ არსებობს ზიანი, კომპენსაცია არ დაეკისრება.

მოსარჩელე კომპენსაციის მოთხოვნაში აერთიანებს მორალურ ზიანს, წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯები 3000 ლარის და ქონებრივ ზიანს სასამართლო ხარჯების სახით 1650 ლარის ოდენობით, რომელიც მისი განმარტებით გასწია სადავო წიგნების რუსულიდან ქართუ-

ლად თარგმნისათვის და მისი ნოტარიალურად დამოწმებისათვის.

სსკ-ს 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ გაწეული სასამართლო ხარჯების დასტურად სასამართლოს ვერ წარუდგინა ვერცერთი მტკიცებულება და ვერ დაადასტურა მოთხოვნის საფუძველად მითითებული გარემოება, სასამართლო ხარჯების გაწევის გამო, ქონებრივი ზიანის მიყენების შესახებ და ამდენად სასამართლო კოლეგია კომპენსაციის დაკისრების დროს ქონებრივ ზიანს მხედველობაში ვერ მიიღებს. რაც შეეხება სავარაუდო შემოსავალს, რომელიც შეეძლო მიეღო მოსარჩელეს ნაწარმოების მართლზომიერად გამოყენების შედეგად, ამ საკითხის შეფასებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მოსარჩელის განმარტებას, რომ მოპასუხებთან წიგნის გამოცემის თაობაზე შეთანხმების შემთხვევაში ყოველ გამოცემულ 100 ეგ ზემპლარზე მოითხოვდა 500 ლარს და ასევე მის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებას. მოპასუხეთა მიერ გამოცემული წიგნის „კაზაკები და საქართველო“ 200 ეგ ზ. ოდენობით გამოცემის შესახებ, რაც არც მოპასუხეებს უარუყვიათ. კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო კოლეგია მხედველობაში იღებს ასევე წარმომადგენლისათვის გადასახდელ თანხას, რომელიც წარმოდგენილი იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით 3000 ლარს შეადგენს, მაგრამ მოსარჩელესა და მის წარმომადგენელს შორის ხელშეკრულების საგანი არ არის მხოლოდ მოცემულ კონკრეტულ დავაზე იურიდიული მომსახურების გაწევა, არამედ ხელშეკრულების პირობების თანახმად, წარმომადგენელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სახის ხელშეკრულების შექმნაში, რომელთაც მოსარჩელე დადებს სხვა საწარმოებთან და მოქალაქეებთან, გაუწიოს ზეპირი კონსულტაციები მოსარჩელის სამართლებრივ საკითხებზე, ამდენად წარმოდგენილი იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება არ მოიცავს მხოლოდ მოცემულ კონკრეტულ დავასთან დაკავშირებულ დახმარების გაწევას და კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში ვერ მიიღებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხას მთლიანი ოდენობით.

კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს, რომ მოპასუხეების მიერ მოსარჩელის არაქონებრივი საავტორო უფლების დარღვევის ფაქტი, (რაც დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით) უკვე წარმოშობს მისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს, ანუ ივარაუდება, რომ მოსარჩელემ უკვე განიცადა მორალური ზიანი.

ამდენად, სასამართლო კოლეგია კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას და სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისას „სავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამ-

ისად, მხედველობაში იღებს მოსარჩელის მიერ წარმომადგენლისათვის გასაწევ ხარჯებს, მიუღებელ შემოსავალს და მისთვის მიყენებულ მორალურ ზიანს და საკომპენსაციო თანხად განსაზღვრავს 2000 ლარს.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 244-ე, 248-ე, 395-ე და 397-ე მუხლებით,

გ ა ლ ა წ ყ ვ ი ტ ა

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

1. მოსარჩელე ლუბოვ (ლულუ) ჩხენკელის სარჩელი მოპასუხეების გამომცემლობა „რაეოს“, სერგო წურწუმიას, თეიმურაზ მიბჩუანის, ომარ გოგიას მიმართ საავტორო უფლებათა დარღვევის გამო კომპენსაციის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. მოპასუხეებს გამომცემლობა „რაეოს“, სერგო წურწუმიას, თეიმურაზ მიბჩუანს, ომარ გოგიას დაეკისროთ მოსარჩელე ლუბოვ (ლულუ) ჩხენკელის სასარგებლოდ სოლიდარულად კომპენსაციის სახით 2000 ლარის გადახდა;

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში.



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელთ

№ 3კ/658-02

3 ივლისი, 2002 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბეჟან ზიმშიაშვილი (თავმჯდომარე),
მარიამ ცისკაძე (მომხსენებელი),
მაია ახალაძე

განხილვის ფორმა: ზეპირი მოსმენის გარეშე

კასატორი: გამომცემლობა „რაეოს“ მთავარი რედაქტორი ბონდო გაგნიძე სერგო წურწუშია, ომარ გოგია და თეიმურაზ მიბჩუანი (განმცხადებლები, მოპასუხეები)

მოწინააღმდეგე მხარე: ლუბოვ (ლულუ) ჩხენკელი (მოსარჩელე)

გასაჩივრებული სასამართლოს განჩინება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 26 თებერვლის განჩინება

კასატორის მოთხოვნა: სასამართლო კოლეგიის განჩინების გაუქმება და ხელახალი განხილვისათვის საქმის დაბრუნება იმავე კოლეგიისათვის.

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

ლუბოვ ჩხენკელის წიგნი „ორი სიმართლე არ არსებობს“ წარმოადგენს აფხაზეთის ომის დროს ტყვედ აყვანილ მიხეილ დემიანოვის დაკითხვის მასალების საფუძველზე შექმნილ ნაწარმოებს, რომელიც 1996 წელს რუსულ ენაზე გამოსცა მოქალაქეთა კავშირის გამომცემლობამ. ლ.ჩხენკელმა 2000 წლის ოქტომბერში სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების – გამომცემლობა „რაეოს“ რედაქტორი ბონდო გაგნიძის, სერგო წურწუშიას, თეიმურაზ მიბჩუანის და ომარ გოგიას მიმართ და მიუთითა, რომ მოპასუხეებმა 2000 წელს გამოსცეს რუსულ ენაზე წიგნი „კაზაკები და საქართველო“, სადაც მთლიანად არის შესული მოსარჩელის ნაწარმოები. ამიტომ მან მოითხოვა „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კომპენსაციის სახით მოპასუხეებისათვის სოლიდარულად 50000 ლარის დაკისრება. წიგნის „კაზაკები და საქართველო“ რეპროდუცირება-გამოცემის აკრძალვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით ლუბოვ (ლულუ) ჩხენკელის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეებს: გამომცემლობა „რაეოს“, თეიმურაზ მიბჩუანს, სერგო წურწუშიას და ომარ გოგიას აეკრძალათ წიგნის „კაზაკები და საქართველოს“ რეპროდუცირება-გამოცემა, რომელშიც შესულია ლ.ჩხენკელის ნაწარმოები. მოსარჩელე ლ.ჩხენკელის სარჩელს მოპასუხეებისათვის სოლიდარულად კომპენსაციის სახით 50000

ლარის დაკისრების ნაწილში უარი ეთქვა უსაფუძვლოების გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ლ.ჩხენკელის წარმომადგენელმა ობეჟიტაშვილმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატამ 2001 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით დააკმაყოფილა ლ.ჩხენკელის საკასაციო საჩივარი. გააუქმა მოცემულ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება ლ.ჩხენკელის სარჩელზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე განსახილველად გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ 2001 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლუბოვ (ლულუ) ჩხენკელის სარჩელი მოპასუხეების – გამოძეგმლობა „რაეოს“, ს.წურწუმიას, თ.მიბჩუანის, ო.გოგიას მიმართ საავტორო უფლებათა დარღვევის გამო კომპენსაციის დაკისრების თაობაზე, ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მოპასუხეებს: გამოძეგმლობა „რაეოს“, სერგო წურწუმიას, თეიმურაზ მიბჩუანს, ომარ გოგიას დაეკისრათ მოსარჩელე ლუბოვ (ლულუ) ჩხენკელის სასარგებლოდ სოლიდარულად კომპენსაციის სახით 2000 ლარის გადახდა.

თეიმურაზ მიბჩუანმა, სერგო წურწუმიამ, გამოძეგმლობა „რაეოს“ მთავარმა რედაქტორმა ბ.გაგნიძემ განცხადებით მიმართეს საოლქო სასამართლოს კოლეგიას და მოითხოვეს სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო და საქმის წარმოების განახლება. განმცხადებლებმა ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითეს ის, რომ ლ.ჩხენკელის საავტორო უფლებები არ დარღვეულა, დემიანოვის დაკითხვის ოქმი არსებობს უშიშროების სამინისტროში, რომელიც აბსოლუტურად იდენტურია მის წიგნში მოთავსებული დაკითხვის ოქმთან. უსაფუძვლოა ლ.ჩხენკელის განცხადება იმის თაობაზე, რომ მან ეს ოქმი თემატურად გადაამუშავა, რადგან დაკითხვის ოქმის თემატური გადამუშავება არ შეიძლება. განმცხადებლები მიუთითებენ, რომ ამის დასტურად სასამართლოს წარუდგინენ დემიანოვის დაკითხვის ოქმს, ასევე გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლცს“ და წიგნს კალინინის ავტორობით „რასპიატაია გრუზია“, რომელიც 1995 წელს გამოიცა სანქტ-პეტერბურგში.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ 2002 წლის 26 თებერვლის განჩინებით თ.მიბჩუანის, ს.წურწუმიას და გამოძეგმლობა „რაეოს“ რედაქტორ ბ.გაგნიძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო იმავე სასამართლოს 2001 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დააკმაყოფილა უსაფუძვლოების გამო. სასამართლო კოლეგიის განჩინება დას-

აბუთებულია შემდეგი მოტივებით: ახლად აღმოჩენილ გარემოებად მითითებულია ის, რომ ლულუ ჩხენკელის წიგნში შეტანილი დემიანოვის დაკითხვის ოქმი იდენტურია მისი საგამოძიებო ორგანოებში დაკითხვის ოქმისა და იმავე დაკითხვის ოქმი ლულუ ჩხენკელზე ადრე 1995 წელს იმავე სახით შეტანილი არის იულია კალინინის წიგნში „რასპიატაია გრუზია“, მაგრამ განმცხადებლებმა ვერ დაადასტურეს და სასამართლოს მტკიცებულების სახით ვერ წარუდგინეს მათ მიერვე მითითებული იულია კალინინის წიგნი „რასპიატაია გრუზია“ და დემიანოვის დაკითხვის ოქმის დედანის ასლი. მათ სასამართლო სხდომაზე განმარტეს, რომ ოქმის დედანი არც უნახავთ და ვერ მოიძიეს აფხაზეთისა და საქართველოს უშიშროების საგამოძიებო სამსახურებში. სასამართლომ მიუთითა, რომ ასეთი ოქმი რომც წარმოედგინათ, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ახლად აღმოჩენილ გარემოებად, ვინაიდან ამ ოქმზე განმცხადებლები მიუთითებდნენ საქმის განხილვის დროსაც. ამიტომ, სასამართლო კოლეგიამ ჩათვალა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძვლები არ არსებობს.

გამომცემლობა „რაეოს“ მთავარმა რედაქტორმა ბონდო გაგნიძემ საკასაციო საჩივარი შეიტანა სასამართლო კოლეგიის განჩინებაზე, მოითხოვა სასამართლო კოლეგიის 2002 წლის 26 თებერვლის განჩინების გაუქმება და ხელახალი განხილვისათვის საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის. საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია შემდეგი მოტივებით: „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად გამომცემლობა არ აგებს პასუხს ავტორის ნაწარმოებებზე და მასში მოყვანილ ფაქტებზე; ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. სასამართლო კოლეგიამ კი გადაწყვეტილების გამოტანისას არ გაითვალისწინა ზემოხსენებული კანონის მოთხოვნა. არ იქნა გათვალისწინებული ისიც, რომ ლ.ჩხენკელის წიგნში არ არის მითითებული წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი ISBN, რაც საქართველოში შემოღებულია 1974 წლიდან. არ არის ასევე მითითებული კოპირაიტის აღმნიშვნელი ფორმულა ©, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ღაცულია საავტორო უფლება და გამომცემლობა უფლებამოსილია დაიცვას წიგნის გამომცემის რედაქტირება, სტილი, კორექტურა, ტექნიკური რედაქცია, მხატვრული გაფორმება, პერგამენტზე ან ცელოფანზე წიგნის მომზადება და ა.შ.

ომარ გოგია, სერგი წურწუშია, თეიმურაზ მიბზუანი საკასაციო საჩივარში მიუთითებენ, რომ მ.დემიანოვის დაკითხვის ოქმი გამოქვეყნდა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“, შემდეგ იგი თავის ნარკვევში დაიმოწმა იულია კალინინამ 1995 წელს. ლ.ჩხენკელმა 1996 წელს გამოსცა დოკუმენტების კრებული. მასში თავმოყრილ დოკუმენტებს შორის არის მ.დემიანოვის და-

კითხვის ოქმიც, რომელიც მთლიანად შეიტანეს კასატორებმა თავის წიგნში. კასატორების მიერ გამოქვეყნებული წიგნი 254 გვერდიანია, ხოლო მღემიანოვის დაკითხვის ოქმი კი მხოლოდ 21 გვერდს შეადგენს. ამასთან გამოსცეს სულ 200 ცალი, რაც ტირაჟად არ ჩაითვლება. კასატორები მიუთითებენ, რომ ლ.ჩხენკელს არ ჰქონდა უფლება თავი დოკუმენტების კრებულის ავტორად გაესაღებინა. ლ.ჩხენკელმა უსაფუძვლოდ მიუთითა, რომ კასატორების წიგნი საქართველოს და რუსეთის ბაზარზე იყიდებოდა. თვით ლ.ჩხენკელმა რატომ არ მიუთითა მღემიანოვის დაკითხვის ოქმის პირველი წყარო, საიდანაც მან იხელმძღვანელა. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად დოკუმენტებზე არ ვრცელდება საავტორო უფლება. კასატორებმა მოითხოვეს სასამართლო კოლეგიის 2002 წლის 26 თებერვლის განჩინების გაუქმება.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, საკასაციო საჩივრების მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, გამომცემლობა „რაეოს“ მთავარმა რედაქტორმა ბ.გაგნიძემ, თ.მიბზუნამა, ს.წურწუშიამ განცხადებით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვეს იმავე სასამართლოს 2001 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნაწილის გაუქმება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო და საქმის წარმოების განახლება. მათ ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითეს ის, რომ მღემიანოვის დაკითხვის ოქმი, რომელიც უშიშროების სამინისტროშია, აბსოლუტურად იდენტურია ლ.ჩხენკელის წიგნში მოყვანილ დაკითხვის ოქმთან, ამდენად, ლ.ჩხენკელს აღნიშნული ოქმი თემატურად არ გადაუმუშავებია და არც შეიძლება დაკითხვის ოქმის თემატური გადამუშავება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლო კოლეგიამ სწორად არ მიიჩნია აღნიშნული ახლად აღმოჩენილ გარემოებად, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელ გადაწყვეტილების გამოტანას. იმავე მუხლის მეხამე ნაწილში კი იმპერატიულადაა მითითებული,

რომ ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“-“ვ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძველებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. როგორც საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 19 თებერვლის სხდომის ოქმით ირკვევა, განმცხადებლებმა პროცესზე აღნიშნეს, რომ ლ.ჩხენკელმა ის დოკუმენტები, მათ შორის მ.დემიანოვის დაკითხვის ოქმი, რომელიც თავის წიგნში აქვს მოცემული, მოიპოვა გაზეთებიდან, წიგნიდან, ტელევიზიიდან. საკასაციო საჩივარშიც მიუთითებენ ო.გოგია, ს.წურწუშია და თ.მიბჩუანი, რომ მ.დემიანოვის დაკითხვის ოქმი აფხაზეთის ომის შემდეგ გამოქვეყნდა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“, შემდეგ იგი დაიმოწმა ოულია კალინინამ თავის ნარკვევში 1995 წელს. ლ.ჩხენკლის დოკუმენტების კრებული კი გამოქვეყნდა 1996 წელს. კასატორებს ახლად აღმოჩენილი გარემოება – მ.დემიანოვის დაკითხვის ოქმის დენის ასლი – სასამართლო კოლეგიისათვის არ წარუდგენიათ, რაც დასტურდება 2002 წლის 26 თებერვლის სასამართლო სხდომაზე ბ.გაგნიძის წარმომადგენელ ობერიშვილის განმარტებით, რომ განმცხადებლებმა ვერ მოიპოვეს აღნიშნული ოქმი. ყოველივე აღნიშნული კი მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლო კოლეგიამ კანონიერად არ დააკმაყოფილა კასატორების მოთხოვნა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ, რადგან მათ სასამართლოს ვერ წარუდგინეს ასეთი ახალი გარემოება.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

გამომცემლობა „რაეოს“ მთავარ რედაქტორ ბონდო გაგნიძის, სერგო წურწუშიას, ომარ გოგიას, თეიმურაზ მიბჩუანის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 26 თებერვლის განჩინება.

პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№02/199-2002

1 ნოემბერი, 2002 წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია

შემაღვენლობა: გ. გულედანი (თავმჯდომარე),
მ. ღიბრაძე,
მ. ჯიყაშვილი

სხდომის მდივანი: ნ.ჩომახიძე
მოსარჩელე: ნ.ლაბარტყავა
წარმომადგენლები: დ.ვადაჭკორია, მ.ლაბარტყავა
მოპასუხე: გამომცემლობა „განათლება“
წარმომადგენელი: ნ.ნასარიძე

დავის საგანი: საავტორო ჰონორარის ანაზღაურება.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

სარჩელში აღნიშნულია, რომ 1962 წელს ოლეგ ლაბარტყავამ სხვა ავტორებთან ერთად გამოსცა რუსული ენის სახელმძღვანელო საშუალო სკოლის მე-8 კლასისათვის. 2002 წლის 12 აპრილს აღნიშნულ სახელმძღვანელოზე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ გაცემული იქნა სერტიფიკატი №143. ოლეგ ლაბარტყავას გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრე გახდა მოსარჩელე, რომლისთვისაც 2000 წლის აგვისტოში მაშისაგან – მიხეილ ლაბარტყავასაგან ცნობილი გახდა ის გარემოება, რომ სპორტის სასახლესთან მოწყობილ სასკოლო ბაზრობაზე სარეალიზაციოდ გამოტანილი იყო რუსული ენის

სახელმძღვანელო მე-9 კლასისათვის, გამოცემული მოპასუხის მიერ.

მოსარჩელე, აღნიშნულია განცხადებაში, შეეცადა გაერკვია, თუ რის საფუძველზე მოხდა სახელმძღვანელოს გამოცემა და გამოირკვა, რომ ამ სახელმძღვანელოს გამოყენება სასწავლო პროცესში ხდებოდა 1990 წლიდან 2000 წლამდე, რაც დასტურდება საქართველოს განათლების სამინისტროს 2002 წლის 23 აპრილის №01-12-06/1186 წერილით. წერილში მითითებულია, რომ „1990-1993 წლებში, ცნობილი მოვლენების შედეგად, დაირღვა ჩვეულებრივი რიტმი ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის განათლების სისტემაშიც, რის გამოც ვერ ხერხდებოდა წლების განმავლობაში სასკოლო სახელმძღვანელოების სრულად გამოცემა და მხოლოდ 1994-1995 სასწავლო წლისათვის გახდა შესაძლებელი დაახლოებით 44-მდე დასახელების სახელმძღვანელო დასტამბულიყო, მათ შორის გახვლელიანის, ვნათაძის, გფაღავასა და ო.ლაბარტყავას „რუსული ენის სახელმძღვანელო“. ამ სახელმძღვანელოს ბოლო გამოცემა 1997 წლით თარიღდება და იგი გამოიყენებოდა სასწავლო პროცესში 1998-1999 სასწავლო წლის ჩათვლით“.

მოპასუხის მიერ წარმოდგენილი იქნა 1995 წლის 11 სექტემბრის და 1997 წლის 8 აგვისტოს საგამომცემლო ხელშეკრულებები, გარდა ამისა ოლეგ ლაბარტყავას მოპასუხის ზეპირი განმარტებით, მიღებული აქვს ჰონორარი სახელმძღვანელოს მისაღებად 34 ლარის ოდენობით, მაგრამ ხელფასის უწყისის ასლი მოპასუხემ არ გადასცა.

ზემოთ ნახსენები ხელშეკრულებების გაცნობისას, აღნიშნულია სარჩელში, გამოირკვა, რომ 1997 წლის ხელშეკრულებაზე საერთოდ არ არის ო.ლაბარტყავას ხელმოწერა, ხოლო 1995 წლის ხელშეკრულებაზე ო.ლაბარტყავას მაგიერად სხვა პირი აწერს ხელს.

1997 წლის 8 აგვისტოს ხელშეკრულების მე-3 მუხლში ავტორი კისრულობს ვალდებულებას ნაწარმოების ხელნაწერი წარუდგინოს გამომცემლობას არა უგვიანეს 1997 წლის 10 აპრილისა, ხოლო 1995 წლის 11 სექტემბრის ხელშეკრულებით იგივე ვალდებულების შესრულება ნაკისრია 22.11.94 წლისათვის. ე.ი. ორივე შემთხვევაში ავტორი ვალდებულების შესრულებას კისრულობს მანამდე, სანამ საერთოდ ხელშეკრულების გაფორმებაზე იქნებოდა საუბარი.

მოპასუხეს, მითითებული დოკუმენტების შექმნა, აღნიშნულია სარჩელში ალბათ დასჭირდა იმისათვის, რომ თუნდაც მაკონტროლებელი ორგანოების წინაშე გაემართლებინა თავი, თითქოსდა კანონიერად გამოსცეს სახელმძღვანელო, კანონიერად მიიღეს შემოსავალი, სხვა შემთხვევაში ხომ უკანონო შემოსავალი თანახმად საგადასახადო კოდექსისა მთლიანად ბიუჯეტში ჩარიცხვას დაექვემდებარებოდა.

თანახმად „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-5

მუხლისა, საეკტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავტორისა, ავტორისა, ფანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

ამავე კანონის შესამე მუხლის შესაბამისად ავტორს უფლება აქვს მიიღოს საეკტორო ჰონორარი მისი ნაწარმოების გამოყენებისათვის (ჰონორარის უფლება), ამავე მუხლში მითითებულია ნაწარმოების ავტორის ქონებრივი უფლება, კერძოდ, გამოქვეყნებისა და გამოცემის უფლებაზე თანხმობის განცხადება, ანუ ავტორის თანხმობის გარეშე არავის აქვს უფლება გამოსცეს მისი სახელმძღვანელო.

ბერნის კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად, სახელმძღვანელოს მეორადი გამოყენების ნებართვის გაცემა ავტორის განსაკუთრებული უფლებაა.

ფაქტი სახეზეა, სახელმძღვანელო გამოიცა და არ არის ავტორის თანხმობა, არ არის ხელშეკრულება დადებული ავტორთან, არ არის გადახდილი ჰონორარი.

მოპასუხემ, მოსარჩელეს წარუდგინა ორი ხელშეკრულება: 1995 წლის 24 მარტის ხელშეკრულება №319 და 1997 წლის 15 მაისის ხელშეკრულება №3115. ორივე ხელშეკრულების მხარეები არიან გამომცემლობა „განათლება“ და შპს „ლაშპარი“. 1995 წლის ხელშეკრულებით შპს „ლაშპარი“ სახელმძღვანელო უნდა გამოეცა 3000 ტირაჟით, რისთვისაც შემსრულებელმა გადაუხადა დამკვეთს 500 ლარი, ხოლო 1997 წლის ხელშეკრულებით „ლაშპარი“ დაბეჭდავდა სახელმძღვანელოს 10000 ტირაჟით და შემსრულებელი უნაზღაურებდა დამკვეთს წიგნზე გაწეულ ყველა ხარჯს და გრიფისათვის განკუთვნილ თანხას 450 აშშ დოლარის ოდენობით, ე.ი. სულ ხელშეკრულება გაფორმდა 13000 ეგზემპლარზე. ორივე ხელშეკრულება მოსარჩელის აზრით ფარისა და ემსახურება ფულის გადაქაჩვას ერთი ორგანიზაციიდან მეორეში. წიგნის სარეალიზაციო ფასი, აღნიშნულია სარჩელში, შეადგენს საშუალოდ 4 ლარს. სულ ცოტა 13000 ეგზემპლარის გამოშვების შემთხვევაში გამომცემლობა მიიღებდა 52000 ლარს. ამის მაგივრად მან ხელშეკრულება გააფორმა შპს „ლაშპართან“ და მიიღო საშუალოდ 1400 ლარი, რაც შემოსავლის 3,5%-ს თუ შეადგენს. საქართველოს განათლების სამინისტროს სასწავლო-სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ინფორმატიკის“ 27.09.01 წლის წერილით 1995-2000 სასწავლო წლებში მე-9 კლასი დაამთავრა 307494 მოსწავლემ, ე.ი. გამოდის, რომ ამ პერიოდში ერთი წიგნით სარგებლობდა საშუალოდ 25 მოსწავლე, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, ე.ი. ზემოთ აღნიშნულ ცნობაზე დაყრდნობით 1995-2000 წლებში უნდა დაბეჭდილიყო სულ მცირე 307494 ეგზემპლარი.

მოპასუხის 10.05.2002 წლის №01-15/31 წერილით ღვინდება, რომ

1995-2000 წლებში საავტორო ჰონორარის პროცენტი ერთ ეგზემპლარის ფასთან მიმართებაში საშუალოდ შეადგენდა 1995 წელს – 7%-ს; 1996 წელს – 32%-ს; 1997 წელს – 6%; 1998 წელს – 19%; 1999 წელს – 33%-ს; 2000 წელს – 33%-ს, ე.ი. საშუალოდ 21,5%-ს. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1995-2000 წლებში უნდა დაბეჭდილიყო 307494 ეგზემპლარი, ხოლო ერთი ეგზემპლარის ფასი საშუალოდ 4 ლარია, ავტორის ჰონორარი მოსარჩელის აზრით შეადგენს 21,5%, ანუ 26444484 ლარს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეს დაეკისროს 26444484 ლარი ჰონორარის გადახდა.

მოპასუხე გამოძეგლობა „განათლებამ“ სარჩელი არ სცნო და შესაგებელში აღნიშნა შემდეგი: ა) მოსარჩელეს არ წარმოუდგენია მტკიცება, რომ იგი არის ო.ლაბარტყავას კანონიერი მემკვიდრე. ბ) კარგა ხნის გასულია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. დავა ეხება გახველდიანის, ო.ლაბარტყავას, ვნათაძისა და გ.ფაღავას რუსული ენის სახელმძღვანელოს ქართული სკოლის მე-9 კლასისათვის.

აღნიშნული სახელმძღვანელო 1995 წელს ათი ათასი, ხოლო 1997 წელს სამი ათასი ტირაჟით გამოვიდა გამოძეგლობა „განათლებაში“.

მოსარჩელე ამტკიცებს, რომ 1995 წლის ხელშეკრულებაზე ხელმოწერა არ ეკუთვნის ო.ლაბარტყავას.

ხელშეკრულების გაფორმებისას, აღნიშნულია შესაგებელში, ო.ლაბარტყავა 80 წელს იყო მიღწეული, მოტეხილი ჰქონდა ფეხი და ფიზიკურად არ შეეძლო გამოძეგლობაში მოსვლა ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად.

როგორც გამოძეგლობის რუსული ენისა და ლიტერატურის რედაქციის გამგემ ქ.ლომაშვილმა განაცხადა, ო.ლაბარტყავამ მას ტელეფონით სთხოვა მის მაგივრად ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე.

ქ.ლომაშვილისავე განაცხადებით, ლომაშვილებისა და ლაბარტყავას ოჯახებს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან (ქ.ლომაშვილის მუდმივ პრაფ. ფ.ლომაშვილი და ო.ლაბარტყავა წლების მანძილზე ერთად მუშაობდნენ სს ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში). ამდენად, მათ გააჩნდათ სრული ურთიერთნდობა, მით უმეტეს, რომ საჰონორარო თანხა მეტად მცირე იყო.

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ქ.ლომაშვილს დაედო დისციპლინარული სასჯელი დადგენილი წესის დარღვევისათვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხსენებული სახელმძღვანელო 1995 წელს ათი ათასი, ხოლო 1997 წელს სამი ათასი ეგზემპლარის რაოდენობით გამოიცა და ორივე შემთხვევაში ერთი ცალის ფასი იყო 2,94 ლარი. მოსარჩელე, აღნიშნულია შესაგებელში, თავისი გაანგარიშებით ჰონორარის

სახით მოითხოვს 264 ათას ლარზე მეტს, რაც ყოველად წარმოდგენილია მიიღოს ერთი წიგნის თანავეტორმა (რომელიც მხოლოდ ორი თაბახის ავტორია).

შედარებისათვის, შესაგებელში მითითებულია, რომ 1995 წელს გამოცემლობა „განათლების“ მთელი შემოსავალი იყო მხოლოდ 36670 ლარი, 1996 წელს – 168293, ხოლო 1997 წელს – 304043 ლარი. ე.ი. მთელი სამი წლის განმავლობაში „განათლების“ წლიური საშუალო შემოსავალი იყო 169668066 ლარი. 1995 წელს „განათლების“ მიერ გამოცემულ (და არა რეალიზებულ) სახელმძღვანელოებზე საშუალოდ ერთი თაბახის ანაზღაურება (კონორარი) შეადგენდა 29,32 ლარს, 1996 წელს – 61,45, ხოლო 1997 წელს – 98,73 ლარს.

მათ შორის სადავო სახელმძღვანელოს ერთ თაბახში 1995 წელს დარიცხული იყო 3,9 ლარი. ეს თანხა თუ საშუალოზე (29,32 ლარი) ბევრად დაბალია, გამოწვეულია სახელმძღვანელოს გამოცემის რიგითობით. ამ წელს (1995) პირველი გამოცემით დაიბეჭდა 2 დასახელება, მეორე გამოცემით – 3, მესამე გამოცემით – 9, მეხუთე გამოცემით – 4, მეექვსე გამოცემით – 6, მერვე გამოცემით – 3, მეთერთმეტე გამოცემით – 1, ხოლო სადავო სახელმძღვანელო 43-ე გამოცემას წარმოადგენდა. ამასთან, სხვა სახელმძღვანელოები გამოდიოდა გარკვეული ცვლილებებით (გადამუშავება, შევსება, განახლება), ხოლო სადავო წიგნს არ განუცდია არავითარი ცვლილება, გარდა ახალი იდეოლოგიით გამოწვეული კონიუნქტურისა, და ისიც გამომცემლობის რედაქციამ გააკეთა და არა რომელიმე ავტორმა ან, მით უმეტეს, მემკვიდრემ.

აღნიშნული სახელმძღვანელო უკვე მორალურად მოძველებული იყო, მაგრამ სხვა ავტორთა მიერ შექმნილი ახალი სახელმძღვანელო არ იყო და ამიტომ გამომცემლობა იძულებული გახდა ისევ წუნდებული წიგნი გამოეცა.

1997 წელს საშუალოდ ერთი თაბახის ანაზღაურება (კონორარი) შეადგენდა 98,73 ლარს, სადავო წიგნისა კი ერთ თაბახში – 50 ლარს მისი გამოცემის რიგითობისა (44-ე გამოცემა) და მოძველების შესაბამისად.

ვინაიდან ო.ლაბარტყავას აღნიშნულ წიგნში ეკუთვნოდა მხოლოდ ორი თაბახი, 1995 წლის გამოცემაში ეკუთვნოდა 7,80 ლარი, 1997 წლის გამოცემაში – 100 ლარი. გამომცემლობა აღიარებს, რომ ო.ლაბარტყავასთან ხელშეკრულების გაფორმებაში დაშვებულია დარღვევები (თუმცა ნდობაზე დამყარებული და უანგარო), მაგრამ ბრალეული თანამშრომლები ფაქტების დადგენის შემდეგ მკაცრად დისციპლინური წესით.

მოსარჩელის მოთხოვნა, რომ კონორარი მიიღოს მოსწავლეთა კონტინენტის რაოდენობის მიხედვით, ყოველწლიურად გამოცემული ტირაჟების კვალობაზე, უსწოროდ მიაჩნია მოპასუხეს.

შესაგებელში შემდეგ აღნიშნულია, რომ მოპასუხე გამოძცემლობა „განათლებამ“ სადავო სახელმძღვანელო ბოლოს გამოსცა 1995 და 1997 წლებში (43-ე და 44-ე გამოცემები). ხოლო თუ მოსარჩელემ ან ვინმემ სხვა წლების გამოცემებიც ნახა, ეს იმის შედეგია, რომ უკანასკნელი 5-7 წლის მანძილზე სასკოლო სახელმძღვანელოების დაბეჭდვასა და რეალიზაციას ახორციელებენ არაკეთილსინდისიერი იურიდიული და კერძო პირები, რომლებიც სარგებლობენ გამოძცემლობა „განათლების“ მიერ გამოცემული წიგნებით და ამრავლებენ მას სასტამბო და ქსეროქსული წესით, რის გამოც მრავალჯერ მიმართეს სხვადასხვა ინსტანციებს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

კოლეგიას მიაჩნია, რომ ნ.ლაბარტყავას სარჩელს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე შემდეგი გარემოებების გამო:

1962 წელს გახვლედიანის, ო.ლაბარტყავას, ვნათაძისა და გ.ფალავას თანაავტორობით გამოიცა რუსული ენის სახელმძღვანელო ქართული სკოლის მე-9 კლასისათვის. რუსული ენის სახელმძღვანელო შედგება 15 თაბახისაგან. 15 თაბახიდან ორი თაბახის ავტორია მოსარჩელე ნინო ლაბარტყავას ბაბუა – ოლეგ ლაბარტყავა. ოლეგ ლაბარტყავა გარდაიცვალა 2000 წლის 1 ივლისს. საქმეშია ო.ლაბარტყავას 1995 წლის 30 ნოემბრის თარიღით გაფორმებული ანდერძი მისი შვილიშვილის – მოსარჩელე ნ.ლაბარტყავას სახელზე, რომლითაც მოანდერძე მთელ თავის ქონებას, მათ შორის საცხოვრებელ ბინას უტოვებს მოსარჩელეს. მოსარჩელის მამა – მიხეილ ლაბარტყავა, რომელიც ანდერძის დამტოვებლის – ოლეგ ლაბარტყავას პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეა, საქმეში მონაწილეობს, როგორც შვილის – მოსარჩელე ნინო ლაბარტყავას წარმომადგენელი.

მოსარჩელე ნინო ლაბარტყავას სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება ვარაუდს იმის შესახებ, რომ 1995-2000 წლებში რუსული ენის სახელმძღვანელო უნდა დაბეჭდილიყო 307494 ეგზემპლარი ე.ი. იმდენი, რამდენმა მოსწავლემაც 1995-2000 სასწავლო წლებში მე-9 კლასი დაამთავრა, ეს მაშინ, როცა საქმეში არსებული 1995 წლის 24 მარტისა და 1997 წლის 15 მაისის ხელშეკრულებების შესაბამისად აღნიშნულ წლებში სულ დაიბეჭდა და გამოიცა 13000.

გარდა ამისა, საავტორო პონორარის ოდენობა მაშინ მოქმედი საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 519-ე მუხლის შესაბამისად დამოკიდებულია წიგნის ავტორსა (ან უფლებამონაცვლის) და მოპასუხე, გამოძცემლობას შორის შეთანხმებაზე, რაც კონკრეტულ შემთხვევაში აისახა საგამოძცემლო ხელშეკრულებებში. იგივე წესია გათვალისწინებული საავტორო

და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-6 პუნქტით.

როგორც 1995 წლის 19 ოქტომბრისა და 1997 წლის 22 აგვისტოს საგამომცემლო ხელშეკრულებებიდან ირკვევა 1995 წელს, ორი თაბახის ავტორს ო.ლაბარტყავას ეკუთვნოდა თითოეულ თაბახში 11,62 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 1997 წელს 50 ლარი.

მოსარჩელეს 1995-2000 წლებში საავტორო ჰონორარის პროცენტი (21,5%) ერთი ეგზემპლარის ფასთან მიმართებაში გაანგარიშებული აქვს 1996, 1998, 1999 და 2000 წლების პროცენტების გათვალისწინებით, ეს მაშინ, როცა ამ წლებში სადავო სახელმძღვანელოები საერთოდ არ გამოცემულა.

მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა თუ რატომ ეკუთვნის მას მთლიანი წიგნის ჰონორარი, მაშინ, როცა ო.ლაბარტყავა 15 თაბახისაგან შემდგარი წიგნის მხოლოდ ორი თაბახის ავტორია.

მოსარჩელემ, რომელსაც აქვს ო.ლაბარტყავას მიერ დატოვებული ანდერძი, სასამართლოს ვერ წარმოუდგინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის შესაბამისად მემკვიდრეობის უფლების მოწმობა, ამასთან ვერ დაადასტურა სამკვიდროს რეალურად მიღების ფაქტი.

კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 244-ე, 257-ე, 395-ე და 397-ე მუხლებით, გადაწყვიტა:

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

1. მოსარჩელე ნ.ლაბარტყავას სარჩელს ეთქვას უარი დაკმაყოფილებაზე.
2. გადაწყვეტილებაზე შეიძლება შეტანილი იქნეს საკასაციო საჩივარი მხარეებისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან ერთი თვის ვადაში.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№ 3კ-1448-02

6 მარტი, 2003 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გა-
კოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მაია ახალაძე (თავმჯდომარე),
თენგიზ კობახიძე (მომხსენებელი),
მარიამ ცისკაძე

სხდომის მდივანი: ლ. სანიკიძე

კასატორი: ნ. ლაბარტყავა (მოსარჩელე)

მოწინააღმდეგე მხარე: გამომცემლობა „განათლება“ (მოპასუხე)

გასაჩივრებული განჩინება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამო-
ქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002
წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება

კასატორის თხოვნა: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო
და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება
და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

დავის საგანი: საავტორო პონორარის ანაზღაურება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

1995 წელს ოლეგ ლაბარტყავამ გამომცემლობა „განათლებასთან“ დადო
საგამომცემლო ხელშეკრულება რუსული ენის მე-9 კლასის სახელმძღვანე-
ლოს 44-ე გამოცემაზე.

1997 წლის 8 აგვისტოს იმავე სახელმძღვანელოზე მხარეებს შორის
გაფორმდა მეორე საგამომცემლო ხელშეკრულება.

2000 წლის 1 ივლისს გარდაიცვალა ოლეგ ლაბარტყავა.

2002 წლის 4 დეკემბერს ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოსათვის
„საქპატენტის“ მიერ ოლეგ ლაბარტყავაზე გაცემულია №143 სერთიფიკატი.

ოლეგ ლაბარტყავამ 1995 წლის 30 ნოემბერს შედგენილი ანდერძით მთელი მისი ქონება უანდერძა შვილიშვილს ნინო ლაბარტყავას.

2002 წლის ივლისში ნინო ლაბარტყავამ სარჩელი შეიტანა სასამართლოში გამოძველობა „განათლების“ მიმართ, საავტორო ჰონორარის 264444 ლარის ანაზღაურების შესახებ, იმ საფუძველით, რომ 1995-2000 წლებში უნდა დაბეჭდილიყო სახელმძღვანელოს სულ ცოტა 307 494 ეგზემპლარი.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნინო ლაბარტყავას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ნინო ლაბარტყავა საკასაციო საჩივრით ითხოვს სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას იმ საფუძველით, რომ ნინო ლაბარტყავამ სარჩელის აღძვრის შედეგად ფაქტობრივად მიიღო სამკვიდრო.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა განმარტებები და თვლის, რომ სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამ საქმეზე დატოვებული უნდა იქნეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

1962 წელს გ.ახვლედიანის, ო.ლაბარტყავას, ვნათაძის და გ. ფაღავას თანავტორობით გამოიცა რუსული ენის სახელმძღვანელო ქართული სკოლის მე-8 კლასისათვის, რომელიც შედგებოდა 15 თაბახისაგან.

დადგენილია, რომ 1995 წლის 11 სექტემბერს და 1997 წლის 8 აგვისტოს ოლეგ ლაბარტყავამ გამომცემლობა „განათლებასთან“ დაღო ხელშეკრულებები სახელმძღვანელოს ხელახლა გამოცემის თაობაზე.

ოლეგ ლაბარტყავამ 1995 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ანდერძით მთელი თავისი ქონება, მათ შორის ქ.თბილისში, მდებარე ბინა, დაუტოვა შვილიშვილს ნინო ლაბარტყავას.

ოლეგ ლაბარტყავა გარდაიცვალა 2000 წლის 1 ივლისს. მისი პირველი რიგის მემკვიდრეა შვილი მიხეილ ლაბარტყავა, რომელიც მოცემულ საქმეში მონაწილეობს, როგორც ქალიშვილი ნინო ლაბარტყავას წარმომადგენელი.

სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით სანოტარო კანტორაში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.

ამავე კოდექსის 1424-ე მუხლის თანახმად სამკვიდრო მიღებული უნდა იქნეს 6 თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ კასატორმა განცხადებით მიმართა სანოტარო კანტორას ანდერძის საფუძველზე სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლოში აღძრული სარჩელით ჰონორარის მოთხოვნა წარმოადგენს სამკვიდროს მიღებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად სასამართლომ სწორი შეფასება მისცა მტკიცებულებებს და გამოიტანა კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

ნინო ლაბარტყავას საკასაციო საჩივარი არ დაემყარებინა.
თბილისის საოლქო სასამართლოს სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საავტორო უფლების დარღვევის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება



ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა საქართველოს სახელით

№2ა/81

28 დეკემბერი, 2000წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ

შემდეგი შემადგენლობით: ქეთევან დუგლაძე (თავმჯდომარე),
დავით თოდრაძე,
მარინა ჯიყაშვილი

დ. გოგატიშვილის მდივნობით

განიხილა სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა შუამდგომლობა მორიგების თაობაზე, სამოქალაქო საქმეზე გიორგი კაჭარავას სარჩელის გამო შპს „სტუდია თბილისი“-ს მიმართ საავტორო უფლებების დარღვევს გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. სასამართლო კოლეგიამ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

მოსარჩელე, გიორგი კაჭარავამ სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს შპს „სტუდია თბილისი“-ს მიმართ საავტორო უფლებების დარღვევის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მოსარჩელე, სასარჩელო განცხადებაში მიუთითა, რომ ის არის დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი და კომპოზიტორი ფილმისა „დონჟუანის დასაფასი“, მოსახუბე – შპს „სტუდია თბილისი“ არღვევს მას საავტორო უფლებებს, რადგან მასთან შეუსაბამებლად აქარმოვებს მანა ფილმის აღონ ჟიანის დასაფასი რეპროდუქციონის და ვაგერეღვას.

მოსარჩელე ითხოვს, დაეკისროს მოსახუბებს საავტორო უფლებების

დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება 10000 აშშ დოლარის ოდენობა. აგრეთვე ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება 560 აშშ დოლარის ოდენობით.

მოპასუხე შპს „სტუდია თბილისი“ სარჩელს არ ცნობს, რადგან მიაჩნია, რომ მას არ დაურღვევია მოსარჩელის საავტორო უფლებები და არ უწარმოებია მისი ფილმის „დონ ჟუანის დაბადება“ ტირაჟირება და რეალიზაცია.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეებმა განაცხადეს, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება, დასამტკიცებლად წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

მხარეებმა დასამტკიცებლად წარმოადგინეს მორიგების აქტი შემდეგი პირობებით:

1. შპს „სტუდია თბილისი“ იღებს ვალდებულებას იმ შემთხვევაში, თუ გიორგი კაჭარავა მორიგების აქტის ხელმოწერიდან ორი თვის განმავლობაში წარუდგენს შპს „სტუდია თბილისის“ ფონოგრამას, მოახდენს ამ ფონოგრამის რეპროექტირებას საკუთარი სახსრებით 500 ცალი აუდიოკასეტის ოდენობით.

2. შპს „სტუდია თბილისი“ იღებს ვალდებულებას მოახდინოს ზემოთაღნიშნული ფონოგრამის რეპროდუცირება მორიგების აქტის ხელმოწერიდან 8 თვის განმავლობაში.

3. შპს „სტუდია თბილისი“ იღებს ვალდებულებას გიორგი კაჭარავას მიერ მიწოდებულ ფონოგრამაზე რეპროდუცირებული კასეტების რეალიზაცია 500 მოახდინოს საკუთარი ხარჯებით და გადაუხადოს გიორგი კაჭარავას თითოეულ რეალიზებულ კასეტაზე 40 თეთრი.

4. მხარეთა შორის ანგარიშსწორება მოხდეს ნაღდი ანგარიშსწორებით, 500-ივე კასეტის რეალიზაციის შემდეგ.

5. მორიგების აქტით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შპს „სტუდია თბილისი“ იღებს ვალდებულებას გადაუხადოს გიორგი კაჭარავას 200 ლარი. 2001 წლის 31 დეკემბრამდე.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ მხარეთა შუამდგომლობა საფუძვლიანია და ის უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან: სსკ-ის მე-3 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ.

სსკ-ის 218-ე მუხლის მეოთხე პუნქტით სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ.

მხარეებს შორის მორიგების მიღწევის შემთხვევაში სსკ-ის 272-ე მუხლის „დ“ პუნქტის საფუძველზე სასამართლო წყვეტს საქმის წარმოებას.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილით, 218-ე მუხლის IV ნაწილით, 272-ე მუხლის „დ“ პუნქტით, 273-ე, 274-ე, 284-ე, 285-ე, 416-ე მუხლით და სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონით,

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

2. დამტკიცდეს მხარეთა მორიგება შემდეგი შინაარსით.

2.1. შპს „სტუდია თბილისი“ იღებს ვალდებულებას იმ შემთხვევაში, თუ გიორგი კაჭარავა მორიგების აქტის ხელმოწერიდან ორი თვის განმავლობაში წარუდგენს შპს „სტუდია თბილისის“ ფონოგრამას, მოახდინოს ამ ფონოგრამის რეპროდუცირება საკუთარი სახსრებით 500 ცალი აუდიოკასეტის ოდენობით.

2.2. შპს „სტუდია თბილისი“ იღებს ვალდებულებას მოახდინოს ზემოთაღნიშნული ფონოგრამის რეპროდუცირება მორიგების აქტის ხელმოწერიდან 8 თვის განმავლობაში.

2.3. შპს „სტუდია თბილისი“ იღებს ვალდებულებას გიორგი კაჭარავას მიერ მიწოდებულ ფონოგრამაზე რეპროდუცირებული კასეტების რეალიზაცია (500 ცალი) მოახდინოს საკუთარი ხარჯებით და გადაუხადოს გიორგი კაჭარავას თითოეულ რეალიზებულ კასეტაზე 40 თეთრი.

2.4. მხარეთა შორის ანგარიშსწორება მოხდეს ნაღდი ანგარიშსწორებით 500-ვე კასეტის რეალიზაციის შემდეგ.

2.5. მორიგების აქტით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შპს „სტუდია თბილისი“ იღებს ვალდებულებას გადაუხადოს გიორგი კაჭარავას 200 ლარი 2001 წლის 31 დეკემბრამდე.

3. შეწყდეს საქმის წარმოება გიორგი კაჭარავას სარჩელის გამო შპს „სტუდია თბილისის“ მიმართ, საავტორო უფლებების დარღვევის გამო მიყენებული ზიანი ანაზღაურების შესახებ.

4. განემარტოს მხარეებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, მხარეთა მიერ მორიგების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ეს განჩინება შეიძლება აღსრულდეს იძულებითი წესით.

5. განემარტოს მხარეებს სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

6. ამ განჩინების გასაჩივრება შეიძლება კერძო საჩივრით, განჩინების გამოცხადებიდან 12 დღის განმავლობაში, თბილისის საოლქო სასამართლოში.

ფილმის უკანონო გამოყენების აკრძალვა და ზიანის ანაზღაურება



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა საქართველოს სახელით

№02^ა-167

9 ივნისი, 2000წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლომ სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ

შემდეგი შემადგენლობით: ც.დვერისაშვილი (თავმჯდომარე),
მ.ფარცვანია,
თ. მუხრანელი

მ.კუთხაშვილის მდივნობით

განიხილა ლუბოვ ჩხენკელის სააპელაციო საჩივარი ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებაზე ლ.ჩხენკელის სარჩელისა გამო ტელეკომპანია „კავკასიის“ მიმართ, შესამე პირი – საქართველოს საავტორო უფლებათა დაცვის სახელმწიფო სააგენტო, მოსარჩელის – საავტორო დოკუმენტური ფილმის მოპასუხის მიერ ჩვენების აკრძალვის და ფილმის ჩვენებით მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის 78000 ლარის ანაზღაურების შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

1999 წლის 15 თებერვალს ლუბოვ ჩხენკელმა სარჩელით მიმართა ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს და აღნიშნა, რომ 1998 წლის 15 დეკემბერს ტელეკომპანია „კავკასიამ“ საავტორო ხელშეკრულების დადებისა და მისი თანხმობის გარეშე ეთერში თვითნებურად აჩვენა მისი პუბლიცისტური ფილმი „ომი წესების გარეშე – მხოლოდ ფაქტები“, რითაც მოპასუხემ დაარღვია მისი საავტორო უფლება, რამაც განაპირობა ის, რომ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1048-ე მუხლით გათვალისწინებული საავტორო ჰონორარი ვერ მიიღო.

რადგან ლ.ჩხენკელის აზრით მოწმედ დაკითხულმა დავით აქუბარდიამ დაადასტურა ზემოთხსენებული ფილმის ნაწილის ჩვენება, მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყვეტილიყო მისი საავტორო ფილმის ჩვენება და დაკისრებოდა ტელეკომპანია „კავკასიას“ 78000 ლარის ანაზღაურება მორალური და მატერიალური ზარალის სახით „ქართული ფილმის“ წერილის მიხედვით, სადაც აღნიშნულია, რომ 10 წთ ფილმის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 15000 ლარს.

ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელს ეთქვა უარი უსაფუძვლოების გამო.

არ დაეთანხმა რა ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას, ლუბოვ ჩხენკელმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა იგი.

სააპელაციო საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ ტელეკომპანია „კავკასიის“ მიერ 1998 წლის 15 დეკემბერს ნაჩვენები იქნა ფილმი „ომი წესების გარეშე – მხოლოდ ფაქტები“ ავტორის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე, რითაც დარღვეული იქნა მისი ნაწარმოების საჯარო გადაცემის განსაკუთრებული საავტორო უფლება, ხოლო სასამართლოს 1999 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით უსაფუძვლოების მოტივით უთხრა უარი მოსარჩელის მიერ მატერიალური და მორალური ზარალის 78000 ლარის ანაზღაურებაზე.

აპელანტს მიაჩნია, რომ სასამართლოს მიერ არცერთი მატერიალური სამართლის ნორმა არ არის სწორად გამოყენებული და განმარტებული, რომელსაც ეფუძნება გამოტანილი გადაწყვეტილება.

სასამართლოს გადაწყვეტილება აპელანტის აზრი არასწორია, რადგან არ იქნა სათანადოდ გამოკვლეული მტკიცებულებები. ნაჩვენები არ ყოფილა სადავო ფილმი არც სასამართლოს შემადგენლობისათვის და არც მოწმეებისათვის მისი თქმით დასადგენი იყო ის ფაქტი, ნაჩვენები იყო თუ არა ფილმი და არა ის, თუ რომელ საათზე იქნა ფილმი ნაჩვენები.

აპელანტს მიაჩნია, რომ არასწორია სასამართლოს უარის თქმა იმ მოტივით, რომ მოსარჩელემ სასამართლოს არ წარუდგინა ფილმის სახარჯთაღრიცხვო მონაცემები, რის გამოც მოსამართლემ ვერ შეძლო ზარალზე მსჯელობა, რადგან მისთვის გაუგებარია რა ოდენობის ხარჯთაღრიცხვა იქნებოდა სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის ან კომპოზიტორის ნაწარმოებებზე. მისი აზრით მათზე მატერიალური დანახარჯი მეტად მცირე იქნებოდა საღებავებისა და ფანქრის სახით, ამიტომ აპელანტის აზრით სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების წარმოუდგენლობის საფუძვლით არასწორია.

საჩივრის ავტორის აზრით პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1059 მუხლით, რადგან ეს მუხლი სხვა შინაარსობრივი დატვირთვისაა. ასევე უადგილოდ გამოყენებულად მიაჩნია 1055-ე მუხლის „დ“ აბზაცი, ამიტომ აპელანტს მიაჩნია, რომ გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და შეიცვალოს, რადგან სამოქალაქო კოდექსის 1038-ე მუხლის თანახმად, სადავო ფილმი მიეკუთვნება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებათა რიცხვს, რომლის პირადი არაქონებრივი და განსაკუთრებული ქონებრივი საავტორო უფლებები მის ავტორს ეკუთვნის. ავტორს კი სამოქალაქო კოდექსის 1045-ე მუხლის თანახმად აქვს ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება.

აპელანტის თქმით 1998 წლის 15 დეკემბერს ტელეკომპანია „კავკასიას“ ეთერში განხორციელდება სადავო ფილმის – „ომი წესების გარეშე – მხოლოდ ფაქტების“ ჩვენება და ეს მოხდა მოსარჩელის მიერ ავტორის თანხმობისა და მისთვის პონორარის გადახდის გარეშე. ფილმს უყურა თვით ავტორმაც, რომელსაც ფილმის ჩვენების დროს ნაცნობები ურეკადნენ და ამცნობდნენ ფილმის ჩვენებას.

აპელანტი მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 1096-ე მუხლის 1 და 2 ნაწილებზე და აღნიშნავს, რომ ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ქონებრივი მოთხოვნის სახით შეუძლია მოითხოვოს ამ მუხლის „ა“, „ბ“, და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებით და ამ არჩევანის საფუძველზე იგი ცვლის თხოვნის საგანს და ამავე მუხლის „ე“ აბზაცის თანახმად მოითხოვს კომპენსაციის გადახდას სააპელაციო საჩივარში 100000, ხოლო პროცესზე 78000 ლარის ოდენობით.

სააპელაციო საჩივრის ავტორი თვლის, რომ სადავო ნაწარმოები არის აუდიოვიზუალური ნაწარმოები, რომელიც ასახავს აფხაზეთში მიმდინარე ომის უნიკალურ კადრებს. მასში ავტორმა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გადაღებული დოკუმენტური მასალა გამოიყენა. საქმის ვითარება დაამძიმა იმ გარემოებამ, რომ მოსარჩელემ მისი აზრით დამალა ფილმის ჩვენების ფაქტი. ტელეკომპანიის მალწყებლობა ვრცელდება ქთბილისის ტერიტორიაზე და აპელანტის აზრით შესაძლო მაყურებელთა რაოდენობა აღემატება 2 მილიონს, რაც საჯარო გადაცემისა და ჩვენებისათვის პონორარის დადგენის ერთ-ერთ კრიტერიუმად მიაჩნია. პოტენციურ მაყურებელთა რაოდენობა და წარსულში ნაწარმოების გამოქვეყნების სიხშირე. ყოველივე ამის გათვალისწინებით ფიქრობს, რომ შესაძლოა ავტორს წარმოეშვას უარყოფითი ეკონომიკური ფაქტორები ნაწარმოების გამოყენებისას შემდგომში.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო საჩივრის ავტორი ითხოვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1096-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ აბზაცის თანახმად დაეკისროს კომპენსაციის გადახდა

ტელეკომპანია „კავკასიას“ 100000 ლარის ოდენობით და ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის 20000 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლითა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

1998 წლის 15 თებერვალს ლუბოვ ჩხენკელმა სარჩელით მიმართა ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს და აღნიშნა, რომ ტელეკომპანია „კავკასიამ“ ხელშეკრულების დადებისა და მისი თანხმობის გარეშე ეთერში აჩვენა მისი 52 წუთიანი ფილმი „ომი წესების გარეშე (მხოლოდ ფაქტები)“.

სარჩელში მითითებულია უშიშროების სამინისტროში დაკითხული დავით აქუბარდიას ჩვენებაზე, რომელმაც მისი აზრით დაადასტურა ზემოხსენებული ფილმის ნაწილის ჩვენების ფაქტი და მოითხოვა მიყენებული მორალური და მატერიალური ზარალის 78000 ლარის ანაზღაურება თანახმად კომპანია „ქართული ფილმის“ წერილის მიხედვით, რომლის თანახმადაც 10 წუთიანი ფილმის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 15000 ლარს.

I ინსტანციის სასამართლომ ფილმის გაშვება დადასტურებულად არ ცნო და შესაბამისად მოთხოვნასაც მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა, როგორც უსაფუძვლოს, უთხრა უარი, რასაც იზიარებს სააპელაციო სასამართლოც, რადგან ინტელექტუალური საკუთრების სფეროში უფლებათა დარღვევას დამტკიცება უნდა. დარღვევა რომ დამტკიცდეს, თავისდროული ქმედებები უნდა განხორციელდეს. ამდენად, უფლებათა მფლობელმა უნდა მოიპოვოს მყარი მტკიცებულებები, რაც არ წარმოუდგენია სასამართლოსათვის აპელანტს.

საჩივრის ავტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ დამრღვევი პირის მიერ გამოყენებულია მისი ნაწარმოებები, რადგან ნაწარმოების ავტორს აქვს ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1045-ე მუხლის თანახმად. გამოყენების განსაკუთრებული უფლება ავტორს აძლევს საშუალებას თავისი ნებითა და სურვილით გადაწყვიტოს ვინ, როგორ, როდის გამოიყენებს მის ნაწარმოებებს. ამიტომ, საავტორო განსაკუთრებული უფლებების უნებართვო გამოყენება განიხილება ქონებრივი უფლების დარღვევად.

სააპელაციო სასამართლო იზიარებს აპელანტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლოს მიერ ყველაზე მთავარი დასადგენი იყო ფაქტი იმის შესახებ, ნაჩვენები იყო თუ არა სადავო ფილმი ეთერში. მაგრამ ვერ გაიზიარებს მისივე მეორე მოსაზრებას, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ

რომელ საათზე იქნა ნაჩვენები იგი, რადგან საქმეში იმის მტკიცებულება, რომ ფილმი ნაჩვენები იყო ტელეკომპანია „კავკასიაზე“ არ არის, თუ არ ჩათვლით მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც ზუსტად ვერ მიუთითებენ რომელ საათზე იქნა ფილმი ნაჩვენები და აქუბარდიას ჩვენებას, სადაც აღნიშნულია, რომ ნაჩვენები იქნა ფილმის ნაწილი. ფილმის ნაწილის ჩვენებას მიუთითებს თვით სარჩელის ავტორიც და პროცესზე მისი ადვოკატიც. ფილმის ნაწილის ჩვენება კი სამოქალაქო კოდექსის 1055-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად დაშვებულია ავტორის თანხმობის გარეშე და მისთვის პონორარის გადახდის გარეშე, მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოებისა. სადავო ფილმი კი რომ მართლზომიერად გამოქვეყნებულად ითვლებოდა სამოქალაქო კოდექსის 1019-ე მუხლის თანახმად, ამტკიცებს ის, რომ 1994 წელს იგი ნაჩვენები იყო საქართველოს ტელევიზიის თითქმის ყველა არხზე.

სააპელაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება აპელანტს, რომ 1-ლი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა საფუძველს მოკლებულია, როდესაც სარჩელის მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველად დასახელებულ იქნა საჩივრის ავტორის მიერ ფილმის სახარჯთაღრიცხვო მონაცემების არ წარდგენა, რის გამოც სასამართლომ ვერ იმსჯელა ზარალზე, რადგან თვით მოსარჩელემ მოითხოვა სასამართლოსაგან დაეკისრებინა მოწინააღმდეგე მხარისათვის 78000 ლარი, რადგან „ქართული ფილმის“ წერილის თანახმად 10 წთ. ფილმის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 15000 ლარს და რადგან სადავო ფილმი 52 წუთიანია, მოითხოვა შესაბამისად 78000 ლარის გადახდა. კომპანია „ქართული ტელეფილმის“ წერილით დგინება, რომ დოკუმენტური ფილმის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება მოიცავს სხვადასხვა ზარაგებს. ამიტომ სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ 1-ლი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტი სწორი იყო და იგი შეესაბამებოდა სასარჩელო მოთხოვნას.

სააპელაციო საჩივრის ავტორი თავის სააპელაციო საჩივარში რატომღაც მიუთითებს, რომ სადავო ფილმის „ომი წესების გარეშე (მხოლოდ ფაქტების)“ საჯარო გადაცემა განხორციელდა მოსარჩელის მიერ და მოსარჩელე ითვლება საავტორო უფლების დამრღვევად.

აპელანტმა მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1096-ე მუხლზე და მისი მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებზე, ე.ი. ქონებრივი მოთხოვნის სახით რა შეუძლია მოითხოვოს ავტორმა საავტორო უფლების დამრღვევისგან. აქვე დასძინა, რომ იგი ცვლის სასამართლოში წაყენებულ მოთხოვნის საგანს და 1096-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ აბზაცის თანახმად მოითხოვა ამჟამად უკვე კომპენსაციის გადახდა მორალური და მატერიალური ზარალის სანაცვლოდ. მაშინ როდესაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის თანახმად დავის საგნის შეცვლა დასაშ-

ვება იმ შემთხვევაში, როდესაც მოწინააღმდეგე მხარე ამის თანახმა იქნება. ამაზე თანხმობა კი მოწინააღმდეგე მხარეს არ განუცხადებია და არც სასამართლოს მსჯელობის საგანი გამხდარა მისი მიზანშეწონილად ცნობაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1096-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტი, რაზედაც აპელირება გააკეთა მხარემ, ითვალისწინებს კომპენსაციის გადახდას საავტორო უფლების დამრღვევის მიერ და მისი ოდენობა განისაზღვრება სასამართლოს მიერ ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის სანაცვლოდ. აპელანტმა სარწმუნოდ ვერ გახადა მისთვის გადასახდელი თანხის ოდენობა და ვერც ის, რომელი შემოსავლის ჩამორთმევის სანაცვლოდ ითხოვდა მას.

საჩივრის ავტორმა სასამართლოს ვერ დაუმტკიცა ფილმის ჩვენების ფაქტი.

საქმეში წარმოდგენილი გაზეთის თანახმად პროგრამაში ტელეკომპანია „კავკასიას“ 1998 წლის 15 დეკემბერს 16 საათზე უზის სტუდია „სპექტრი“ და არა სადავო ფილმი.

I ინსტანციაში დაკითხული მოწმეების ჩვენებები და საოლქო სასამართლოში დაკითხული მოწმეების ჩვენებების წინააღმდეგობრივია. ორივე მხარის მოწმეები ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს იძლევა, ამიტომ სააპელაციო სასამართლო ვერ დაეყრდნობა მათ ჩვენებებს.

თვით ფილმის ავტორმა სარწმუნოდ ვერ გახადა ის ფაქტი, რომ მან თვითონ ნახა სადავო ფილმი „კავკასიის“ ეკრანზე. მან არ გამოიყენა ვიდეოაპარატურა და „კავკასიის“ ლოგოთი არ დააფიქსირა ფილმის ჩვენების ფაქტი, მაშინ, როდესაც მას ეს ტექნიკური საშუალება გააჩნია და მეორეც, სასამართლო პროცესზე მან აღნიშნა ელექტროენერგიის მოწოდებასთან დაკავშირებულ აქციაში მონაწილეობის მიღება, რაც საეჭვოს ხდის მის განცხადებას მისთვის 24 საათიანი ელექტროენერგიის მოწოდებისა და შესაბამისად ფილმის ყურებისა მისი მხრიდან.

ფილმის ჩვენებას არ აღიარებს მოწინააღმდეგე მხარე. საქმეში არ არსებობს მის მიერ ფილმის ჩვენების ფაქტის დადასტურება გარდა იმ ჩვენებისა, რომელიც მისცა დ.აქუბარდიამ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში, სადაც აღნიშნული აქვს სადავო ფილმის ნაწილის ჩვენება, რაც უარყო თავად დ.აქუბარდიამ სასამართლო პროცესზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე, 390-ე, 395-ე და 397-ე მუხლებით, სააპელაციო სასამართლომ

ლ.ჩხენკელის სააპელაციო საჩივარს უარი ეთქვას დაკმაყოფილებაზე. ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით 1 თვის ვადაში გამოცხადების დღიდან.



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№ 3კ-578

22 სექტემბერი, 2000 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ შემდეგი

შემადგენლობით: ვ. ხრუსტალი (თავმჯდომარე),
მ.გოგიშვილი,
მ.წიქვაძე

კ. ხაჩიძის მდივნობით

განიხილა ლუბოვ ჩხენკელის წარმომადგენლის კახა შარაბიძის საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 9 ივლისის განჩინებაზე. საქმეზე ლ. ჩხენკელის სარჩელისა გამო ტელეკომპანია „კავკასიის“ მიმართ კომპენსაციის გადახდის თაობაზე.

პ ა ლ ა ტ ა მ გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს სარჩელით მიმართა ლუბოვ ჩხენკელმა. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ იგი არის დოკუმენტური

ფილმის „ომი წესების გარეშე (მხოლოდ ფაქტების)“ ავტორი. აღნიშნული ფილმი რეგისტრირებულია საქართველოს საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოში 1994 წლის 5 ოქტომბერს. მოსარჩელეს ფილმი არ გაუსხვისებია. 1995 წლის 4 აპრილს გაქურდული იქნა მისი ბინა, საიდანაც სხვადასხვა ნივთებთან ერთად წაღებული იქნა ზემოხსენებული ფილმის ვიდეოფირი. 1998 წლის 15 დეკემბერს მოპასუხემ, ტელეკომპანია „კავკასიაში“, ზემოხსენებული ფილმი თვითნებურად აჩვენა ეთერში, რომელიც მიმდინარეობდა 52 წუთი.

1999 წლის 11 იანვარს ტელეკომპანია „კავკასიას“ ჩაბარდა საქართველოს საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს წერილი-შეკითხვა, თუ რაბდენი წუთის განმავლობაში და როდის უჩვენა ფილმი, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

მოსარჩელემ მოითხოვა: 1. დაუყოვნებლივ შეწყდეს მისი ფილმის ჩვენება. 2. აუნაზღაურდეს მისი თანხმობის გარეშე ფილმის გამოყენებისათვის მიყენებული მორალური და მატერიალური ზარალი 78000 ლარის ოდენობით. მოსარჩელე თავისი მოთხოვნის იურიდიულ საფუძვლად მიუთითებდა სამოქალაქო კოდექსის 1018-1025-ე, 1029-ე, 1030-ე, 1938-ე, 1041-ე, 1945-ე და 1096-ე მუხლებს. მომხდარის დასადასტურებლად მიუთითებდა ცალკეულ პირთა ჩვენებებზე.

მოპასუხე განმარტავდა, რომ მის მიერ ნაჩვენები იქნა მხოლოდ ფრაგმენტები გადაცემაში „სტურია სპექტრი“, რომელიც აფხაზეთის პრობლემას ეხებოდა. მან მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1055-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს ავტორის თანხმობის გარეშე ნაწარმოების გამოყენების უფლებას.

ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ თვით ავტორისა და მოწმეთა განმარტებები ურთიერთგამომრიცხავ გარემოებებს შეიცავდა. სასამართლოს განმარტებით, ფილმში გამოყენებულია მრავალი ოპერატორის მიერ გადაღებული დოკუმენტური მასალა. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1059-ე მუხლზე და 1055-ე მუხლის „დ“ პუნქტზე, რომლის შესაბამისად დაშვებულია ავტორისა და საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე მიმდინარე მოვლენების პროცესში დანახული ან მოსმენილი ნაწარმოების საჯაროდ გადაცემა იმ მოცულობით, რაც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით. იმ შემთხვევაშიც კი, დადასტურებულადაც რომ იყოს მიჩნეული მოპასუხის მიერ ფილმის ფრაგმენტული ჩვენება, მაინც არ იქნებოდა დარღვეული კანონის მოთხოვნა, — განმარტავს სასამართლო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ

იქნა სააპელაციო წესით. აპელანტი მიუთითებდა, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა 1055-ე და 1059-ე მუხლები, არ გამოიყენა 1023-ე და 1045-ე მუხლები და მოითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას. ამასთან, მან სამოქალაქო კოდექსის 1096-ე მუხლის საფუძველზე შეცვალა პირველი ინსტანციის სასამართლოში წაყენებული მოთხოვნა და მოითხოვა კომპენსაციის გადახდა 100000 ლარის ოდენობით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და აკორტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 9 ივნისის განჩინებით ლ. ჩხენკელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ ფილმის ჩვენების ფაქტი დადგენილად არ მიიჩნია, რადგანაც საქმეზე დაკითხული მოწმეთა ჩვენებები და სხვა მტკიცებულებები ჩაითვალა ურთიერთსაწინააღმდეგოდ.

ლუბოვ ჩხენკელის წარმომადგენელი კახა შარაბიძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე მიღებული სააპელაციო სასამართლოს განჩინება უკანონოა, მას საფუძველად უდევს კანონის დარღვევა და უნდა გაუქმდეს. კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლოს მიერ არასწორად იქნა გამოყენებული სამოქალაქო კოდექსის 1055-ე მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტები და 1059-ე მუხლი. მან სრულიად უსაფუძველოდ და დაუსაბუთებლად გააბათილა საქმეში არსებული ერთ-ერთი უმთავრესი მტკიცებულება, ტელეკომპანიის დირექტორის დაქუბარდიას უშიშროების საგამომიებო სამსახურში დაკითხვის ოქმი, სადაც იგი ადასტურებდა სადავო ლოკუმენტური ფილმის ეთერში გაშვებას.

პალატა საქმის მასალების შესწავლითა და მხარეთა განმარტებების მიხედვით მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ლუბოვ ჩხენკელი, როგორც სააეტტორო უფლების მფლობელი, მოპასუხესაგან მოითხოვს კომპენსაციის გადახდას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1096-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად სააეტტორო უფლების მქონე პირს კომპენსაციის უფლება აქვს მისი უფლების დამრღვევისაგან.

ლუბოვ ჩხენკელი თავის მოთხოვნას საფუძველად უდევს იმ გარემოებას, რომ მისი ფილმი სრულად იყო ნაჩვენები ტელეკომპანია „კავკასიის“ მიერ. სააპელაციო სასამართლომ მიერ დამტკიცებულად არის ცნობილი, რომ ფილმის სრულად ჩვენებას ადგილი არ ჰქონია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის. საკასაციო პალატა დამატებით და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიად ვერ მიიჩნევს კასატორის განცხადებას, რომ სასამართლომ სრულიად უსაფუძველოდ და დაუსაბუთებლად გააბათილა

საქმეში არსებული ერთ-ერთი უმთავრესი მტკიცებულება დ. აქუბარდიას უშიშროების საგამოძიებო სამსახურში დაკითხვის ოქმი. აღნიშნული ოქმით არ დასტურდება მოპასუხის მიერ ფილმის სრულად ჩვენების ფაქტი. ოქმში მხოლოდ ფილმის გამოყენებაზეა საუბარი.

კასატორმა ასევე ვერ დაადასტურა, რომ მოპასუხის მიერ მისი ნაწარმოების გამოყენება სცილდება სამოქალაქო კოდექსის 1055-ე მუხლით დაშვებულ ფარგლებს, ვინაიდან ვერ დგინდება, თუ რა ფორმით იქნა გამოყენებული ლუბოვ ჩხენკელის ფილმი აღნიშნულ გადაცემაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება მიღებულია კანონმდებლობის დაცვით და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. ლუბოვ ჩხენკელის წარმომადგენლის კახა შარაბიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 9 ივნისის განჩინება.

2. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საავტორო უფლების დარღვევამდე არსებული
პლგოფარიუმის აღდგენა



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№2/ა-137-2001

5 აპრილი, 2002წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი

შემადგენლობით: მადი ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
ქეთევან დუგლაძე,
მარინა ჯიყაშვილი

განიხილა მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე, კომპანია „ასბორნ ფაბლიშინგ ლიმიტედი“-ს განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

კომპანია „ასბორნ ფაბლიშინგ ლიმიტედი“-ს წარმომადგენლებმა სარჩელით მომართეს თბილისის საოლქო სასამართლოს „შ.პ.ს. საყმაწვილო-ლიტერატურული ჟურნალ „დილას“ წინააღმდეგ. მესამე პირი „შ.პ.ს. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.

მოსარჩელე ითხოვს მოპასუხის მიერ გამოცემული „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ეგზემპლარების ჩამორთმევას და განადგურებას და მათი შემდგომი გაერცელების აკრძალვას. აგრეთვე, საავტორო უფლების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. მოსარჩელემ სარჩელთან ერთად სასამართლოში წარმოადგინა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და სარჩელის უზრუნველსაყოფად მოითხოვა: „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ეგზემპლარების ნებისმიერი საშუალებით გაყიდვის, გაქირაების, უსასყიდლოდ გასხვისების, გაერცელების აკრძალვა მოპასუხისათვის და „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ყველა ეგზემპლარის დაყაადება.

მოსარჩელე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობას ასაბუთებს იმ გარემოებაზე მითითებით, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს რა მოპასუხის მიერ გამოცემული „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ეგზემპლარების შემდგომი გავრცელების აკრძალვა და ჩამორთმევა, მოპასუხე კი აკრძალვებს რა „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ეგზემპლარების რეალიზაციას საცალო ქსელით და სხვადასხვა საშუალებებით, მოსალოდნელია სარჩელის განხილვამდე „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ეგზემპლარების სრული რეალიზაცია, რაც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეუძლებელს გახდის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას.

სასამართლო კოლეგიამ განიხილა წარმოდგენილი შუამდგომლობა, შეისწავლა თანდართული მტკიცებულებები და შეაფასა შუამდგომლობის სამართლებრივი საფუძვლები მიიჩნია, რომ შუამდგომლობა საფუძვლიანია და ის უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 191-ე მუხლით მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და ასეთი განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

„სააეტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქმის არსებით განხილვამდე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს განჩინება, რომელიც უკრძალავს მოპასუხეს, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია სააეტორო და მომიჯნავე უფლებები განსაზღვრულ მოქმედებათა შესრულებას, როგორცაა დამზადება, რეპროდუცირება, გაყიდვა, გაქირავება, იმპორტი და ამ კანონით გათვალისწინებული ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ მოსარჩელის მიერ განცხადებაში მითითებული ის გარემოება, რომ მოპასუხე ახდენს „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ეგზემპლარების რეალიზაციას წარმოადგენს ისეთ გარემოებას, რომელიც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას შეუძლებელს გახდის.

ასევე განმცხადებლის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებების დასადასტურებლად წარმოდგენილი მტკიცებულებები სასამართლოს უკმნის საფუძვლიან ვარაუდს იმის თაობაზე, რომ მოპასუხის მიერ დარღვეულია მოსარჩელის სააეტორო უფლებები, ასეთი ვარაუდი კი სააეტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველია.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა სსკ-ის 191-ე, 198-ე მუხლის პირველი პუნქტით და მეორე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 194-ე მუხლით, „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ საქართველოს კანონის“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტით,

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. „ასბორნ ფაბლიშინგ ლიმიტედი“-ს შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. აეკრძალოს „შ.პ.ს. საყმაწვილო-ლიტერატურულ ჟურნალ დილა“-ს „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ეგზემპლარების გავრცელება ნებისმიერი საშუალებებით (გაყიდვა, გაქირავება, უსასყიდლო გასხვისება და ა.შ).
3. ყადაღა დაედოს „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ყველა ეგზემპლარს.
4. განჩინების გასაჩივრება შეიძლება კერძო საჩივრით თბილისის საოლქო სასამართლოში მოპასუხისათვის განჩინების გადაცემიდან ხუთი დღის განმავლობაში.



ზ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№2/ა-137-2001

18 აპრილი, 2002 წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი

შემადგენლობით: მაღი ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
ქეთევან დუგლაძე,
მარინა ჯიფაშვილი

განიხილა მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე, საყმაწვილო ლიტერატურული ჟურნალ „დილას“ კერძო საჩივარში თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 5 აპრილის განჩინებაზე და

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ 2002 წლის 5 აპრილის განჩინებით დააკმაყოფილა მოსარჩელე „ასბორნ ფაბლიშინგ ლიმიტედი“-ს შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ და მოპასუხე საყმაწვილო ლიტერატურული ჟურნალ „დილას“ აუკრძალა „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ეგზემპლარების გავრცელება ნებისმიერი საშუალებებით; ასევე ყადაღა დაადო „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ყველა ეგზემპლარს.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივრით მიმართა სასამართლოს მოპასუხე მხარემ და მოითხოვა მისი (განჩინების) გაუქმება, შემდეგი საფუძვლებით:

1. მოსარჩელე მხარემ წინასწარი განზრახვით სასამართლოში სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით საფუძვლის ჩამოუყალიბებელი ფორმით – დავის საგანი ღირებულების ზუსტი განსაზღვრის გარეშე წარმოაჩინა, რათა სასამართლოში საქმის წარმოების დაწყებისას არ გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი. აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლო, თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 42-ე მუხლის მოთხოვნისა, თავად განსაზღვრავს დავის საგნის ღირებულებას. მოსაკრებელის საზღაურის განსაზღვრა პროცესუალურად დაპირისპირებულ მხარესთან მიმართებაში არ მომხდარა. ამდენად მუხლის მოთხოვნა დაცული არ ყოფილა. რითაც მხარეს საშუალება მიეცა სახ. ბაჟის გადაუხდელოდ, საკუთარი სურვილისა და პრეტენზიების საზომით, შემდგომში გაეზარდა ზიანის თანხები.

2. მოსარჩელე მხარე სასამართლოს რეალურ ფაქტობრივ გარემოებებს საკუთარი იმპროვიზირებით წარმოუდგენს და ცალსახად იგნორირებას უკეთებს ობიექტურ რეალობას. კერძოდ, სარჩელში დაფიქსირდა 2002 წლის 4 იანვრის ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი განჩინება და პარალელურად მხარე მიუთითებდა, რომ მოპასუხეს არაერთხელ შესთავაზეს მოლაპარაკების გზით დარეგულირებულიყო სადავო საკითხები, რაც მათივე განმარტებით ჩვენს მიერ უპასუხოდ რჩებოდა. წერილობით განცხადებული არ შეესაბამება სიმართლეს. მოსარჩელე მხარეს ერთთვიანი ინტერვალის შუალედით ეშლება დაფიქსირებულ სასამართლო განჩინების თარიღი და სასამართლო შეცდომაში შეჰყავს. ასევე საერთოდ არ ახსენებს ფაქტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა შემდგომში – განჩინება გაუქმებულია (კერძო საჩივარს თან ეურთავთ დამამტკიცებელ დოკუმენტაციას). ამდენად მხარე ცდილობს, სასამართლოს მოპასუხე მხარე წარმოუჩინოს, როგორც არაკანონმორჩილი, უპასუხისმგებლო და მიუკარებელი პირი. ხაზგასმით ავლნიშნავთ, სარჩელს თანდართული დოკუმენტაცია

ჩვენთვის ცნობილი გახდა სასამართლოს მიერ გამოგზავნილი საბუთების მიღებისას. მოსარჩელე მხარეს აღნიშნულ დრომდე მსგავსი გზავნილები არ გამოუგზავნია და არც პირადად ჩაუბარებია. სხვა შემთხვევაში წარმოდგინონ მიღება-ჩაბარების შესაბამისი დამამტკიცებელი დოკუმენტაცია.

3. სასამართლომ არსებული განჩინებით დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა ისე, რომ გარკვეული და გათვალისწინებული არ იქნა შემდეგი გარემოებანი: პროცესუალურად დაპირისპირებულმა მხარემ სარჩელში დააფიქსირა შემდეგი: „ასბორნსა“ და „გამომცემლობას“ შორის 2001 წლის 10 ივლისს დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საბავშვო ენციკლოპედიის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის განსაკუთრებული საავტორო უფლება 2007 წლამდე ეკუთვნის გამომცემლობას. აღნიშნული ხელშეკრულება მხარეს არ წარმოუდგენია და ამდენად დაფიქსირებული სიტყვიერად განცხადებულ კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება. რამდენად შეესაბამება აღნიშნული რეალობას, ცალკე მსჯელობის საგანია. მოპასუხე მხარემ ენციკლოპედიის იდეაზე მუშაობა 1996 წლიდან დაიწყო, ხოლო 2001 წლის იანვრის თვეში საზოგადოებას ამცნო ენციკლოპედიის გამოცემის დაწყებაზე. რის საფუძველზეც საყმაწვილო ლიტერატურულ ჟურნალ „დილას“ გამოცემულ საყმაწვილო ენციკლოპედიის პირველ წიგნს „სამყარო“ გაუჩნდა ხელმომწერები, რომელთაც წიგნის საზღაურში გადაიხადეს შეთანხმების საფუძველზე 6 ლარი (25.01-15.09 2001 წელი). აღნიშნული გამოცემა შესაბამისად მიღებული აქვთ დათქმულ დროსა და ვადაში. ასევე გამავერცელებლებმა დარჩენილ ტირაჟს რეალიზაცია გაუკეთეს აღნიშნულ განჩინებამდე, რაც მოსარჩელისათვის ცნობილი ფაქტია. ამდენად მოსარჩელე მხარის მიერ ყადაღის დადების მოთხოვნის მიღწევადობა მიზნად ისახავდა ერთი მხრივ ქართულ ბაზარზე საბავშვო საგანმანათლებლო სფეროში პრიორიტეტის მიღწევაში ხელშეწყობას სასამართლოს მეშვეობით. რაც, თავის მხრივ, მსგავსი მეთოდებით გამორიცხავს ჯანსაღ კონკურენციას და, მეორე მხრივ, სასამართლოს ვერდიქტით განახორციელებდა მოპასუხის სახელისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვას ერთგული მკითხველისა და საზოგადოების თვალში.

4. მოპასუხე მხარემ ენციკლოპედიის სატიტულო გვერდზე მკითხველს და საზოგადოებას ამცნო, რომ „დილის საყმაწვილო ენციკლოპედიის“ გამოცემული და გამოსაცემი წიგნები მიძღვნილია 2004 წლის საყმაწვილო-ლიტერატურულ ჟურნალ „დილას“ 100-წლიანი იუბილისადმი. აღნიშნულის განხორციელებისას მხარე ხელმძღვანელობდა საქართველოს კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ მუხლის 12.4-13.3 მოთხოვნათა გათვალისწინებით. რაც შეეხება, კანონის 23-ს მუხლს და აღნიშნულის 23.ბ ქვეპუნქტის მოთხოვნებს – გამოყენებული ნაწარმოების ავტორებისა და

სესხების წყაროს სრულად დაფიქსირება მოხდებოდა ბოლო გამოცემაში. ამდენად მიგვაჩნია, რომ რედაქციას ცდომილება არ დაუშვია.

წლების განმავლობაში გაწეული მუშაობით და გამოცემული ენციკლოპედიით არსებული გამოცემით საფუძველი ჩაეყარა მოზარდი თაობის აღზრდაში საცნობარო ფუნდამენტური სახელმძღვანელოს შექმნას, რომლის დატვირთვა, როლი და დანიშნულება საზოგადოების მიერ სათანადოდ იქნა აღქმული. დასტურს წარმოადგენს გამოხმაურებანი და ენციკლოპედიის გამოსვლისთანავე ასეულობით ოჯახში მისი სამაგიდო წიგნად ქცევის ფაქტი.

5. რაც შეეხება მოსარჩელის პრეტენზიებს, იგი დასაკონკრეტებელია. კერძოდ, გაუგებარია პრეტენზია ნახატების გამოყენებასთან მიმართებაში და რა კურსით განიხილება: ვიზუალურ, შინაარსობრივ თუ შემეცნებით-მსოფლმხედველური დატვირთვით. აღნიშნულთან მიმართებაში დავსძენთ, რომ ენციკლოპედიური გამოცემისათვის დამახასიათებელი სტილით ახლებური ხედვით იქნა დანახული, გადამუშავებული და შინაარსობრივად წარმოჩენილი ათეულობით ფაქტი და მოვლენა ილუსტრაციებით – ნახატებისა და სურათების გამოყენებით. დაფიქსირებული ვიზუალური ხედვითაც იოლად დასტურდება.

სასამართლო კოლეგია წარმოდგენილი კერძო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების გამოკვლევისას მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და მის აღმძვრელ მხარეს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან კერძო საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენენ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუქმების საფუძველს, კერძოდ:

1. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების გაუქმების საფუძველი არ შეიძლება გახდეს კერძო საჩივარში მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელე მხარის მიერ გადახდილი არ არის სახელმწიფო ბაჟი;

„სახელმწიფო ბაჟის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოსარჩელე განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, როგორც სააქტორო უფლებებიდან გამომდინარე მოდავე მხარე.

2. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუქმების საფუძველი არ შეიძლება გახდეს კერძო საჩივარში მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ სასარჩელო განცხადებებში მოსარჩელის მიერ აღნიშნული აქტი მოპასუხისათვის მოლაპარაკების შეთავაზების შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს.

3. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველი არ შეიძლება გახდეს კერძო საჩივარში მითითებული გარემოება იმის შესახებ,

რომ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ „ასბორნსა“ და „გამომცემლობას“ შორის 2001 წლის 10 ივლისის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საბავშვო ენციკლოპედიის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის განსაკუთრებული უფლება 2007 წლამდე ეკუთვნის გამომცემლობას; ამ გარემოების გამოკვლევა უნდა მოხდეს სარჩელის არსებითი განხილვისას.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მიზანს წარმოადგენს დავის საგნის შენარჩუნება, რათა სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეუძლებელი ან გართულებული არ იქნეს გადაწყვეტილების აღსრულება.

მოცემულ საქმეზე მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხის მიერ გამოცემული „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ეგზემპლარების შემდგომი გავრცელების აკრძალვა და ჩამორთმევა. თუ მოპასუხის მიერ გავრცელებული იქნება დავის საგანი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში (მისი რეალიზაციის ფაქტს არც მოპასუხე უარყოფს კერძო საჩივარში) შეუძლებელი აღმოჩნდება გადაწყვეტილების აღსრულება; გარდა ამისა, სასამართლო კოლეგიამ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას იხელმძღვანელა საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის პირველი პუნქტით. ვინაიდან, სარჩელში მითითებულმა ფაქტობრივმა გარემოებებმა და თანდართულმა მტკიცებულებებმა მას შეუქმნა საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ ირღვევა მოსარჩელის საავტორო უფლებები. ამ ვარაუდს სასამართლო კოლეგიას უმტკიცებს მოპასუხის მიერ კერძო საჩივარში მითითებული გარემოებების იმის შესახებ, რომ „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ მის მიერ განხორციელებულ გამოცემებში არ მომხდარა გამოყენებული ნაწარმოების ავტორების და სესხების წყაროს დაფიქსირება და ასეთი მოხდებოდა ბოლო გამოცემაში.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა სსკ-ის 284-ე, 285-ე, 417-ე მუხლებით,

დ ა ა დ ვ ი ნ ა

საყმაწვილო ლიტერატურული ჟურნალ „დილას“ კერძო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუსაბუთებლად და საქმის მასალებთან ერთად გადაიგზავნოს საქართველოს უზენაეს სასამართლოში 5 დღის განმავლობაში.



გ ა ნ რ ი ნ მ ბ ა
საქართველოს სახელით

№ 3კ-662-02

10 ივლისი, 2002წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატა
შემაღგენლობა: ბეჟან ზიმშიაშვილი (თავმჯდომარე),
მარიამ ცისკაძე (მომხსენებელი),
მაია ახალაძე

სხდომის მდივანი: გ. სუპატაშვილი
კერძო საჩივრის შემომტანი პირი: საყმაწვილო-ლიტერატურული ჟურნალი „დილის“ მთავარი რედაქტორი დოდო წიფწივაძე (მოპასუხე)
მოწინააღმდეგე მხარე: კომპანია „ასბორნ ფაბლიშინგ ლიმიტედი“ (მოსარჩელე)

მესამე პირი: შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
გასაჩივრებული განჩინებები: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 5 აპრილისა და 18 აპრილის განჩინებები

კერძო საჩივრის მოთხოვნა: სააპელაციო პალატის განჩინებების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

დავის საგანი: საავტორო უფლების დაცვა.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

კომპანია „ასბორნ ფაბლიშინგ ლიმიტედა“ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე შპს საყმაწვილო-ლიტერატურული ჟურნალი „დილის“ მიმართ (მესამე პირი – შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“) და მოითხოვა საავტორო უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, კერძოდ: „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ეგზემპლარების ჩამორთ-

მევა, შემდგომში მათი გავრცელების აკრძალვა და განადგურება; იმ ფირების, სლაიდების და სხვა მატერიალური მატარებლების განადგურება, რომელიც გამოყენებული იქნა უფლების დარღვევის მიზნით; იმ შემოსავლის ჩამორთმევა, რომელიც მოპასუხემ მიიღო საავტორო უფლების დარღვევის შედეგად. მოპასუხემ, მისივე განცხადებით, გამოცემიდან ერთ თვეში განახორციელა 2500 ცალი „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ რეალიზაცია, თითოეული გაყიდა 16 ლარად, ამიტომ მოსარჩელემ მის სასარგებლოდ მოითხოვა მოპასუხისათვის თითოეული კონტრაფაქციული ეგზემპლარის გაყიდვიდან 16 ლარის დაკისრება. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა მოპასუხისათვის ქართველი და ინგლისელი იურისტებისაგან მიღებული კონსულტაციებისათვის გაწეული ხარჯების დაკისრება, ასევე, მიყენებული ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 411-ე და 992-ე მუხლების შესაბამისად.

2000 წლის 3 აპრილს მოსარჩელე „ასბორნ ფაბლიშინგ ლიმიტედის“ წარმომადგენლებმა ბაკურ სულაკაურმა და კახა შარაბიძემ განცხადებით მიმართეს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, კერძოდ, მოითხოვეს მოპასუხე შპს საყმაწვილო-ლიტერატურული ჟურნალ „დილის“ მიერ გამოცემული „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ეგზემპლარების შემდგომი გავრცელების აკრძალვა და მოპასუხისათვის ჩამორთმევა, რადგან მოპასუხე კვლავ აგრძელებს „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ეგზემპლარების რეალიზაციას საცალო ქსელითა და სხვადასხვა საშუალებებით. ვინაიდან სარჩელის განხილვა შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე თვე, ამიტომ მოპასუხეს საშუალება ექნება, სრულად გაავრცელოს „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ეგზემპლარები, რაც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეუძლებელს გახდის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ 2002 წლის 5 აპრილის განჩინებით დააკმაყოფილა „ასბორნ ფაბლიშინგ ლიმიტედის“ შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ: შპს საყმაწვილო ლიტერატურულ ჟურნალ „დილას“ აეკრძალა „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ეგზემპლარების გავრცელება ნებისმიერი საშუალებით (გაყიდვა, გაქირავება, უსასყიდლო გასხვისება და ა.შ.); ყადაღა დაედო „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ყველა ეგზემპლარს.

სასამართლო კოლეგიის განჩინება დასაბუთებულია იმით, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით საქმის არსებით განხილვამდე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს განჩინება, რომელიც უკრძალავს მოპასუხეს (რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია

საავტორო და მომიჯნავე უფლებები), განსაზღვრულ მოქმედებათა შესრულებას, როგორცაა დამზადება, რეპროდუცირება, გაყიდვა, გაქირავება, იმპორტი და ნაწარმოების ამ კანონით გათვალისწინებული სხვაგვარი გამოყენება. სასამართლო კოლეგიამ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მიერ განცხადებაში მითითებული ის გარემოება, რომ მოპასუხე ახდენს „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ეგზემპლარების რეალიზაციას, წარმოადგენს ისეთ გარემოებას, რომელიც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას შეუძლებელს გახდის. განმცხადებლის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებების დასადასტურებლად წარმოდგენილი მტკიცებულებები სასამართლოს ასევე უქმნის საფუძვლიან ვარაუდს, რომ მოპასუხის მიერ დარღვეულია მოსარჩელის საავტორო უფლებები.

საყმაწვილო-ლიტერატურული ჟურნალ „დილის“ მთავარმა რედაქტორმა კერძო საჩივარი შეიტანა სასამართლო კოლეგიის 2002 წლის 5 აპრილის განჩინებაზე და მოითხოვა მისი გაუქმება. კერძო საჩივრის მოტივებია შემდეგი: მოსარჩელემ ზუსტად არ განსაზღვრა დავის საგანი, რათა სასამართლოში არ გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი. ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად სასამართლოს თვითონ უნდა განესაზღვრა დავის საგნის ღირებულება, რაც არ გაუკეთებია, რითაც მოსარჩელეს მიეცა საშუალება სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელად, შემდგომში გაეზარდა მიყენებული ზიანის თანხები. სარჩელში მითითებულია, რომ „ასბორნსა“ და „გამომცემლობას“ შორის 2001 წლის 10 ივლისს დაიდო ხელშეკრულება საბავშვო ენციკლოპედიის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის განსაკუთრებული საავტორო უფლების 2007 წლამდე გადაცემის თაობაზე, მაგრამ ასეთი ხელშეკრულება მოსარჩელემ არ წარმოადგინა. მოპასუხემ ენციკლოპედიის იდეაზე მუშაობა დაიწყო 1996 წლიდან, 2001 წლის იანვარში კი საზოგადოებას ამცნო ენციკლოპედიის გამოცემის დაწყების თაობაზე და მის პირველ წიგნს „სამყარო“ ხელმოწერები გაუჩინა; გამავრცელებლებმა დარჩენილ ტირაჟს ასევე გაუკეთეს რეალიზაცია სასამართლო განჩინების მიღებამდე, რაც მოსარჩელისთვის ცნობილია.

‘საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ’ კანონის 23-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ბოლო გამოცემაში მოხდა გამოყენებული ნაწარმოების ავტორებისა და სესხების წყაროს სრულად დაფიქსირება და ამდენად, რედაქციას კანონი არ დაურღვევია.

არ არის დაკონკრეტებული მოსარჩელის პრეტენზია ნახატების გამოყენებასთან მიმართებაში. კერძო საჩივრის ავტორი სადავო-სამართლებრივი ურთიერთობის არასათანადო მხარეა; მოსარჩელემ არ გაითვალისწინა წიგნის ბაზრის კონიუნქტურის „როსმენ-პრესის“ უფლებები და შესაბამისად, რედაქციის შესაძლებლობების იგნორირება მოახდინა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ 2002 წლის 18 აპრილის განჩინებით არ დააკმაყოფილა საყმაწვილო ლიტერატურული ჟურნალ „დილის“ კერძო საჩივარი დაუსაბუთებლობის გამო და საქმის მასალებთან ერთად გადაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. სასამართლო კოლეგიის განჩინება ეფუძნება იმას, რომ „სახელმწიფო ბაჟის“ შესახებ კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით მოსარჩელე, როგორც საავტორო უფლებებიდან გამოზღწარე მოდავე მხარე, განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. „ასბორნსა“ და „გამომცემლობას“ შორის 2001 წლის 10 ივლისის დადებული ხელშეკრულების წარმოუდგენლობა არ შეიძლება გახდეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველი, რადგან თუ „გამომცემლობას“ ეკუთვნის 2007 წლამდე საბავშვო ენციკლოპედიის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის განსაკუთრებული უფლება, ეს გარემოება გამოკვლეულ უნდა იქნეს სარჩელის არსებითი განხილვისას. მოცემულ საქმეზე დავის საგანია მოპასუხის მიერ გამოცემული „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ეგზემპლარების შემდგომი გავრცელების აკრძალვა და ჩამორთმევა. თუ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოპასუხის მიერ გავრცელებული იქნება დავის საგანი (კერძო საჩივარში მისი რეალიზაციის ფაქტს არ უარყოფს მოპასუხე), მაშინ შეუძლებელი იქნება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება. მოსარჩელის საავტორო უფლებების დარღვევის ვარაუდი სასამართლოს შეუქმნა კერძო საჩივარში იმის მითითებამ, რომ „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ მიერ განხორციელებულ გამოცემებში არ დაფიქსირებულა სესხების წყაროდ გამოყენებული ავტორები, ასეთი მხოლოდ ბოლო გამოცემაში მოხდა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, კერძო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საყმაწვილო-ლიტერატურული ჟურნალ „დილის“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, კომპანია „ასბორნ ფაბლიშინგ ლიმიტედმა“ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე შპს საყმაწვილო-ლიტერატურული ჟურნალ „დილის“ მიმართ, მესამე პირი შპს „ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა“ და მოითხოვა საავტორო უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, კერძოდ: მოპასუხისათვის „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ეგზემპლარების ჩამორთმევა, შემდგომში მათი გავრცელების აკრძალვა და განადგურება; იმ ფირების, სლაიდების და სხვა

მატერიალური მატარებლების განადგურება, რომელიც გამოყენებულ იქნა უფლების დარღვევის მიზნით; იმ შემოსავლის ჩამორთმევა, რომელიც მოპასუხემ მიიღო საავტორო უფლების დარღვევის შედეგად. ამის შემდეგ, 2000 წლის 3 აპრილს, მოსარჩელე „ასბორნ ფაბლიშინგ ლიმიტედის“ წარმომადგენლებმა ბაკურ სულაკაურმა და კახა შარაბიძემ განცხადებით მიმართეს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, კერძოდ, მოითხოვეს მოპასუხე შპს საყმაწვილო-ლიტერატურული ჟურნალ „დილის“ მიერ გამოცემული „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ეგზემპლარების შემდგომი გავრცელების აკრძალვა და მოპასუხისათვის ჩამორთმევა. საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლო კოლეგიამ მოცემულ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 198-ე მუხლები, რომელთა საფუძველზეც დააკმაყოფილა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. 191-ე მუხლში მითითებულია, რომ მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე, მითითებას იმის თაობაზე, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს საჭიროდ. სასამართლო კოლეგიამ დააკმაყოფილა აღნიშნული განცხადება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის და მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე მოპასუხეს აეკრძალა „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ეგზემპლარების გავრცელება ნებისმიერი საშუალებით (გაყიდვა, გაქირავება, უსასყიდლოდ გასხვისება და ა.შ.), ყადაღა დაედო „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ ყველა ეგზემპლარს.

პალატა თვლის, რომ განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კერძო საჩივრის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოპასუხეს „საყმაწვილო ენციკლოპედიის“ გამოცემისას, არ დაურღვევია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მოთხოვნები. რადგან სასამართლოს ჯერ არ უმსჯელია და არ გადაუწყვეტია აღნიშნული საკითხი. ამჯერად საკასაციო პალატა საქმის მასალების მიხედვით ამოწმებს მხოლოდ სასამართლო კოლეგიის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების კანონიერებას.

პალატა თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე სწორად გამოიყენა „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის 61-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის საფუძველზე საქმის არსებით განხილვამდე სასამართლოს შეუძლია, გამოიტანოს განჩინება, რომელიც უკრძალავს მოპასუხეს (რომლის მიმართაც არსებობს საფუძველიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია საავტორო და მომიჯნავე უფლებები) განსაზღვრულ მოქმედე-

ბათა შესრულებას, როგორცაა დამზადება, რეპროდუცირება, გაყიდვა, გაქირავება, იმპორტი და ნაწარმოების ამ კანონით გათვალისწინებული სხვაგვარი გამოყენება.

ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლო კოლეგიას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც კერძო საჩივრის დაკმაყოფილების იურიდიული საფუძველი არ არსებობს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 284-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საყმაწვილო-ლიტერატურული ჟურნალ „დილის“ მთავარი რედაქტორი დოდო წივწივაძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 5 აპრილისა და 18 აპრილის განჩინებები მოცემულ საქმეზე დარჩეს უცვლელი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დავით აღმაშენებლის კავალზე საავტორო ჰონორარის
ანაზღაურება**



ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№3აად-164-კ

18 დეკემბერი, 2000 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და
სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ

შემდეგი შემადგენლობით: **ი. ტაბუცაძე (თავმჯდომარე),**
მ. ვაჩაძე,
ნ. კლარჯეიშვილი

მდივანი: ნ. ჭიჭილეიშვილი

განიხილა შპს „საქართველოს მხატვრის“ ფილიალის – „თბილისის
ქანდაკების კომბინატის“ დირექტორის ნ. გაბისონიას საკასაციო საჩივარი
თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და სა-
გადასახადო საქმეთა პალატის 2000 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილების
გაუქმების თაობაზე.

საკასაციო პალატამ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2000 წლის 5 იანვარს შპს „საქართველოს მხატვრის“ ფილიალმა,
„თბილისის ქანდაკების კომბინატმა“ სარჩელით მიმართა თბილისის კრწანი-
სი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს და მიუთითა:

1995 წლის 6 დეკემბერს შპს „საქართველოს მხატვრის“ ფილიალ –
„თბილისის ქანდაკების კომბინატსა“ და ქ. თბილისის მერიის მშენებლობისა
და კეთილმოწყობის დეპარტამენტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება მეფე
„დავით აღმაშენებლის“ ძეგლის დადგმის შესახებ, რომლის საორიენტაციო

თანხა 1 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა. 1996 წლის 1 სექტემბერს, გარკვეული სამუშაოების ჩატარების შემდეგ, მხარეებს შორის დაიდო ხელახალი ხელშეკრულება, რომლითაც დადგინდა ძეგლის ჩაბარების ვადა – 1997 წლის 20 მაისი და სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება საბოლოოდ 1989 838 აშშ დოლარით განისაზღვრა. ხელშეკრულებით სამუშაოს შესრულება 4 ეტაპად იყო გათვალისწინებული. ყოველი ეტაპის შესრულება კი დამკვეთის მიერ მიღება-ჩატარების აქტის ხელმოწერის საფუძველზე ჩაითვლებოდა. I, II და III ეტაპები ხელშეკრულების შესაბამისად იქნა შესრულებული, ხოლო რაც შეეხება IV ეტაპს, მიუხედავად იმისა, რომ IV ეტაპის სამუშაოები შესრულდა და მეფე „დავით აღმაშენებლის“ ძეგლი 1997 წლის 20 მაისს დამონტაჟებული იქნა რესპუბლიკის მოედანზე, დამკვეთმა – ქალაქ თბილისის მერიამ უარი განაცხადა ძეგლის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერაზე და 1997 წლის 9 ივნისის №54 განკარგულებით ცალმხრივად უარი თქვა დარჩენილი თანხის ანაზღაურებაზე.

შპს „საქართველოს მხატვრის“ ფილიალმა სარჩელით მიმართა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს და ქალაქ თბილისის მერიისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების 932 846 აშშ დოლარის გადახდევინება მოითხოვა. რაიონული სასამართლოს 1998 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის მერიას აღნიშნული თანხის გადახდა დაეკისრა, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1999 წლის 17 სექტემბრის განჩინებით უცვლელად იქნა დატოვებული. საბოლოოდ ქალაქ თბილისის მერიას საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება 2000 წლის II კვარტლის ბოლომდე განუწილავდა.

ამ პერიოდში, თბილისის საგადასახადო ინსპექციამ 1999 წლის 4 ნოემბრის №01-04/475 ბრძანებით შეამოწმა შპს „საქართველოს მხატვრის“ ფილიალის – „თბილისის ქანდაკების კომბინატის“ მიერ ბიუჯეტში გადახდილი თანხების სისწორე და 1999 წლის 18 ნოემბრის აქტის საფუძველზე კომბინატს 475516,4 ლარის გადახდა დააკისრა, აქედან დღგ – 472008,3 ლარი, მათ შორის ძირითადი – 157525,7 ლარი, ჯარიმა – 78756,4 ლარი და საურავი – 235726,2 ლარი. საგზაო ფონდის გადასახადი – 23508,1 ლარი, მ.შ. ძირითადი – 7875 ლარი, ჯარიმა – 3135,6 ლარი, საურავი – 12497,5 ლარი.

შპს „საქართველოს მხატვრის“ ფილიალმა – „თბილისის ქანდაკების კომბინატმა“ ქ. თბილისის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მიერ უკანონოდ დარიცხული ფინანსური სანქციების – 330 116 ლარის ბათილობა და მათ ანგარიშზე დადებული სანქასო დავალების მოხსნა მოითხოვა. ამასთან განმარტა, რომ IV ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებამდე, უფრო სწორად სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების

კანონიერ ძალაში შესვლამდე ქანდაკების კომბინატი ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ვერ განახორციელებდა, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანისთანავე, კომბინატმა IV ეტაპით განსაზღვრული სამუშაოებისათვის ასანაზღაურებელი ძირითადი თანხა საბუღალტრო ანგარიშებში ასახა და კანონით დადგენილი წესით გადაიხადა.

ქ. თბილისის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 265-ე მუხლის ე) ქვეპუნქტის შესაბამისად საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს გადასახადის გადახდევინების იძულებითი მეთოდებისა და საინკასო დავლების საფუძველზე ამოიღოს დადგენილ ვადაში გადაუხდელი, ფინანსური სანქციის სახით დაკისრებული ჯარიმა და საურავი, ვინაიდან შპს „საქართველოს მხატვრის“ ფილიალის მიერ 10 დღის განმავლობაში არ მოხდა დარიცხული ფინანსური სანქციების გადახდა, საგადასახადო ინსპექციამ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაადო საინკასო დავალემა „თბილისის ქანდაკების კომბინატის“ ანგარიშსწორების ანგარიშს და მოსარჩელის მიერ მისი გაუქმების მოთხოვნა უსაფუძვლოა.

ქ. თბილისის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ არ გაიზიარა შპს „საქართველოს მხატვრის“ ფილიალის „თბილისის ქანდაკების კომბინატის მოსაზრება“, რომ მას არ შეეძლო შესრულებულ სამუშაოებში ერვენებინა საავტორო დამუშავებისა და ტექნიკური ზედამხედველობის თანხები, რადგან აღნიშნული ხელშეკრულების IV ეტაპით იყო გათვალისწინებული და იგი არ შესრულებულა, რადგან დამკვეთმა მიღება-ჩაბარების აქტს ხელი არ მოაწერა და უარი თქვა ანაზღაურებაზე. ამასთან, საგადასახადო ინსპექციამ მიუთითა, რომ „თბილისის ქანდაკების კომბინატს“ საავტორო დამუშავებისა და ტექნიკური ზედამხედველობის თანხები უნდა ერვენებინა არა მარტო IV ეტაპის, არამედ I, II და III ეტაპის სამუშაოებში და დროულად უნდა გადაეხადა იგი, ხოლო რაც შეეხება IV ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებას, აღნიშნული კომბინატმა სრულყოფილად შეასრულა, თუნდაც იმ გარემოების გამო, რომ 1997 წლის 26 მაისს მეფე „დავით აღმაშენებლის“ ძეგლი ოფიციალურად გაიხსნა. ამდენად, ქ. თბილისის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის აზრით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ჩაითვლება სამუშაოს შესრულების დროიდან (1997 წლის 26 მაისიდან) 90 დღე.

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით შპს „საქართველოს მხატვრის“ ფილიალის „თბილისის ქანდაკების კომბინატის“ სარჩელი დაკმაყოფილდა. სასამართლომ ხელშეკრულების IV ეტაპით შესრულებული სამუშაოების დასაბეგრი ოპერაციის

დროდ მიიჩნია 1999 წლის 17 სექტემბერი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების დღე და მიუთითა, რომ თბილისის „ქანდაკების კომბინატს“ IV ეტაპით შესრულებულ სამუშაოებზე ბიუჯეტთან ანგარიშსწორება ნაწარმოები აქვს კანონის შესაბამისად, დღგ-ს სახით 1999 წლის 30 ნოემბერს (90 დღის ვადაში) გადარიცხული აქვს 144980 ლარი. სასამართლომ, ასევე, მიუთითა, რომ ჯარიმებისა და საურავების სადავო თანხების ამოღება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 243-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შეიძლება სასამართლო გადაწყვეტილებით და არა საინკასო დავალებით.

ქ. თბილისის საგადასახადო სახელმწიფო ინსპექციამ სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს და რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ ის ნაწილი გაასაჩივრა, რომლითაც შპს „საქართველოს მხატვრის“ ფილიალი „თბილისის ქანდაკების კომბინატი“ უკანონოდ და უსაფუძვლოდ დარიცხული ფინანსური სანქციების გადახდისაგან განთავისუფლდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2000 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის საგადასახადო სახელმწიფო ინსპექციის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „თბილისის ქანდაკების კომბინატს“ სადავო თანხის – ფინანსური სანქციების გადახდა ქ. თბილისის საგადასახადო სახელმწიფო სამსახურის 1999 წლის 18 ნოემბრის აქტის საფუძველზე დაეკისრა. აღნიშნული აქტის ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნა კომბინატს რაიონულ სასამართლოში არ დაუყენებია. მან მართალია სააპელაციო სასამართლოში დავის საგნის გაზრდა და სადავო აქტის ბათილობა მოითხოვა, მაგრამ სასამართლომ უარი უთხრა დავის საგნის გაზრდასა და სარჩელის დაზუსტებაზე და განუმარტა, რომ ამ მოთხოვნით შექმლო ახალი სარჩელით მიემართა რაიონული სასამართლოსათვის. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „საქართველოს მხატვრის“ ფილიალს თბილისის ქანდაკების კომბინატს“ კანონიერად დაეკისრა ფინანსური სანქციები, რადგან მონუმენტურ-სკულპტურული ძეგლის „მეფე დავით აღმაშენებლის“ საშემსრულებლო სამუშაოები მიღებულად ჩათვალა 1997 წლის 26 მაისიდან.

შპს „საქართველოს მხატვრის“ ფილიალის „თბილისის ქანდაკების“ კომბინატის დირექტორმა ნ. გაბისონიამ საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

კასატორმა შემდეგ გარემოებებზე მიუთითა:

1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი საქართვე-

ლოს საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი პუნქტი – დასაბეგრი ოპერაციის დრო და ადგილი, ასევე, „დამატებითი ღირებულების გადახდის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტი და მე-11 მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც მიუთითებს, რომ „სამუშაოს შესრულების, მომსახურების გაწევის ადგილის დამადასტურებელ დოკუმენტად ითვლება კონტრაქტები პირებს შორის სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევაზე, გამყიდველსა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი აქტები, ცნობები და სხვა დოკუმენტები“.

2. „დამატებითი ღირებულების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-10 მუხლის თანახმად ქანდაკების კომბინატისათვის დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება დამკვეთის მიერ ცალკეული ეტაპების სამშენებლო სამუშაოების მიღების დღიდან 90 დღე. ამდენად, I, II და III ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოები დამკვეთმა – ქალაქ თბილისის მერიამ მიიღო და დასაბეგრი ოპერაციები კომბინატმა დროულად განხორციელა, ხოლო IV ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების მიღებაზე რადგან დამკვეთმა უარი განაცხადა და 1997 წლის 8 ივნისის №54 განკარგულებით ცალმხრივად მოშალა ხელშეკრულება „ძეგლის აგების შესახებ“, ქანდაკების კომბინატი ამ ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების დასაბეგრი ოპერაციებს ვერ შეასრულებდა.

3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლი განსაზღვრავს მენარდისა და შემკვეთის უფლებამოსილებებს და სამართლებრივ შედეგს შემკვეთის მიერ სამუშაოს მიუღებლობის შემთხვევაში, ხოლო საგადასახადო კანონმდებლობა განსაზღვრავს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს. კომბინატისათვის დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დრო კონკრეტულ შემთხვევაში არის დავის გამო გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე, ანუ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 1999 წლის 17 სექტემბერს მიღებული განჩინების გამოტანის დღე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2000 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილა საქმე, სადაც

დავის საგანს ფაქტობრივად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა წარმოადგენდა (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტი). ამასთან, მოსარჩელეს „თბილისის ქანდაკების კომბინატს“ რაიონულ სასამართლოში სარჩელი დაზუსტებული არ ჰქონია და მხოლოდ ქ. თბილისის საგადასახადო სახელმწიფო ინსპექციის 1999 წლის 18 ნოემბრის აქტით უკანონოდ დაკისრებული ფინანსური სანქციების (ჯარიმა, საურავი) ბათილად ცნობას მოითხოვდა (სადავო აქტის ბათილობის მოთხოვნის გარეშე). სააპელაციო სასამართლომ, ნაცვლად იმისა, რომ საშუალება მიეცა მხარისათვის დაეზუსტებინა სარჩელი, უარი უთხრა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე და განუმარტა, რომ სადავო აქტის ბათილობის შესახებ ახალი სარჩელით შეეძლო მიემართა განსჯადი სასამართლოსათვის. პარალელურად თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით ცალკე განიხილა ამ სადავო აქტით დაკისრებული ფინანსური სანქციების კანონიერების საკითხი, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება და თვლის, რომ საქმის ხელმეორედ განხილვისას სააპელაციო სასამართლომ მისცეს მხარეს საშუალება დააზუსტოს სარჩელი და სადავო აქტით დაკისრებული ფინანსური სანქციების კანონიერება ამ სადავო აქტის კანონიერებასთან ერთად განიხილოს, ვინაიდან ერთი მეორიდან გამომდინარეობს და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მათი ცალ-ცალკე განხილვა შეუძლებელია.

2. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მართალია სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას მიუთითა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის პირველ ნაწილზე, „დამატებითი ღირებულების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ 1999 წლის ინსტრუქციის მე-10 მუხლის პირველსა და მეორე პუნქტებზე, მე-11 მუხლის მე-5 პუნქტზე, მაგრამ არ დაასაბუთა, თუ რატომ არ გამოიყენა სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული ინსტრუქციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი: „დამკვეთისათვის სამშენებლო სამუშაოების ეტაპობრივად ჩაბარების შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციების განხორციელების დრო განისაზღვრება პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით დამკვეთის მიერ ცალკეული ეტაპების სამშენებლო სამუშაოების მიღების დღიდან“.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს აზრით შპს „საქართველოს მხატვრის“ ფილიალის „თბილისის ქანდაკების კომბინატის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართ-

ლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2000 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 399-ე და 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. შპს „საქართველოს მხატვრის“ ფილიალის „თბილისის ქანდაკების კომბინატის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2000 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცეს იმავე სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატას.

3. სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადაწყდეს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისას.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№ 3ვ/ად-4კ-02

24 აპრილი, 2002 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა:

ბ. მეტრეველი (თავმჯდომარე),

ნ. კლარჯეიშვილი (მომხსენებელი),

ბ. კობერიძე

სხდომის მდივანი: თ.შუშიაშვილი

კასატორი (მოპასუხე): ქ.თბილისის მერია; წარმომადგენლები – ადვოკატი რ.მიგრიაული და ზ.ჯაფარიძე

მოწინააღმდეგე მხარე (მოსარჩელე): მერაბ ბერძენიშვილი; წარმომადგენლები – ადვოკატი ლ.ნარიშანიძე, ვ.ბარათაშვილი, გ.ჯიმშელიძე, ს.მეფისწყერიძე

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება.

დავის საგანი: სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 7 აგვისტოს განკარგულებით თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე გადაწყდა დავით აღმაშენებლის ძეგლის აგება, საკითხთან დაკავშირებით გამოტანილ იქნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის 1994 წლის 10 იანვრის განკარგულება, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის №278 და №475 ბრძანებულება, რომლის თანახმადაც დაღმაშენებლის ძეგლის აგების დამკვეთის ფუნქცია დაევალა ქ. თბილისის მერიას.

1996 წლის 26 ივლისს ქ.თბილისის მერიასა, როგორც დამკვეთსა და მოქანდაკე მ. ბერძენიშვილს, როგორც შემსრულებელს შორის, დაიდო ხელშეკრულება №26/2 თბილისში აღსამართ მეფე დავით აღმაშენებლის მონუმენტურ-სკულპტურული ძეგლის შექმნაზე, რომლის კომპოზიციაზეც მ. ბერძენიშვილს 1996 წლის იანვრისათვის დამთავრებული ჰქონდა მუშაობა და საქართველოს კულტურის სამინისტროს ძეგლებისა და მონუმენტების სამხატვრო-საექსპერტო საბჭოს 1996 წლის 31 იანვრის №2 ოქმით კომპოზიცია აღიარებულ იქნა უდიდეს მხატვრულ ნაწარმოებად. №26/2 ხელშეკრულებით ქ. თბილისის მერია ავალებდა, ხოლო „შემსრულებელი“ მ. ბერძენიშვილი იღებდა ვალდებულებას მაღალ იდეურ მხატვრულ დონეზე, შეექმნა მონუმენტურ-სკულპტურული კომპოზიცია მეფე დავით აღმაშენებლის ძეგლი. ქანდაკება სირთულის მიხედვით განეკუთვნებოდა განსაკუთრებულ კატეგორიას „დამკვეთი“ ქ. თბილისის მერია კისრულობდა ვალდებულებას მ. ბერძენიშვილისათვის (შემსრულებლისათვის) მყარ ვალუტაში, 2000000 აშშ დოლარის ან მისი შესაბამისი ეკვივალენტი 2500000 ლარის გრანტის სახით ანაზღაურებაზე. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება უნდა მომხ-

დარიყო სამუშაოს მიღებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადისა, მაგრამ რადგან მ. ბერძენიშვილმა გაითვალისწინა დამკვეთის მძიმე ფინანსური მდგომარეობა, შესაბამისი თანხების უქონლობას, თანხმობა გამოხატა კუთვნილი თანხების ეტაპობრივ მიღებაზე. ხელშეკრულების მეოთხე პუნქტი ადგენდა, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული სამუშაოები შემსრულებლის მიერ მთლიანად დამთავრებულია, მიღებულია სამხატვრო საექსპერტო საბჭოს მიერ და 2000000 დოლარი ექვემდებარება შემსრულებლისათვის მთლიან გადახდას, ხოლო 5.1 პუნქტით მხარეები მატერიალურ პასუხისმგებლობას კისრულობდნენ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვან შესრულებისათვის. №26/2 ხელშეკრულება ქ.თბილისის მერიის სახელით ხელმოწერილია მერის ბ. შოშიტაიშვილისა და შემსრულებელ – მოქანდაკე მ. ბერძენიშვილის მიერ. ტექსტს ასევე გააჩნია მინაბეჭდი, რომლის მიხედვითაც მ. ბერძენიშვილის ხელმოწერას ადასტურებს და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე, სოლიდარულ პასუხისმგებლობას კისრულობს ქ.თბილისის ქანდაკების კომბინატის დირექტორი ე. გიგინეიშვილი.

ქ.თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის მშენებლობისა და კეთილმოწყობის დეპარტამენტისა და საქართველოს მხატვართა კავშირის სამხატვრო ფონდის ქ.თბილისის ქანდაკების კომბინატს შორის 1996 წლის 1 სექტემბერს გაფორმდა სანარდო ხელშეკრულება თბილისში აღსამართი მონუმენტურ-სკულპტურული ძეგლის მეფე დავით აღმაშენებლის საშემსრულებლო სამუშაოების ჩატარების შესახებ (საგამდიდებო-საყალიბე სამუშაოები, ძეგლის ჩამოსხმა, ძეგლის ადგილზე დაყენება), შემსრულებელს მზა მხატვრული ნაწარმოები უნდა ჩაებარებინა 1997 წლის 20 მაისისათვის, დამკვეთი ვალდებულებას კისრულობდა, შესრულებული სამუშაოს მიღებასა და ანაზღაურებაზე, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 345-ე მუხლის შესაბამისად შედგენილი მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება განისაზღვრა 1989338 აშშ დოლარით ან შესაბამისი 2487297 ლარით.

1997 წლის 23 მარტს თბილისის ქანდაკების კომბინატსა და მოქანდაკე მ. ბერძენიშვილს შორის გაფორმდა სააეტორო ხელშეკრულება, რომლითაც მ. ბერძენიშვილმა იკისრა ვალდებულება უშუალოდ შეესრულებინა და განეხორციელებინა მითითებული ძეგლის სააეტორო ხელმძღვანელობა, ტექნიკური ზედამხედველობა და სააეტორო დამუშავება როგორც რბილ ისე მყარ მასალაში, რისთვისაც ქანდაკების კომბინატს მ.ბერძენიშვილისათვის უნდა გადაეხადა თბილისის მერიასა და მ. ბერძენიშვილს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული სააეტორო ჰონორარის 20% ანუ 400000 აშშ დოლარი.

მოსარჩელე მ. ბერძენიშვილმა და თბილისის ქანდაკების კომბინატმა ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად და დროულად შეასრულეს და 1997 წლის 26 მაისს საზეიმოდ გაიხსნა მეფე დავით აღმაშენებლის ძეგლი. №24/2 ხელშეკრულების საფუძველზე ქალაქის ბიუჯეტიდან 1996 წელს პირადად მ. ბერძენიშვილზე გაიცა 550 000 აშშ დოლარი, 1997 წელს – 500 000 აშშ დოლარი, 1998 წელს – 100 000 აშშ დოლარი, სულ დაქვითვის გარეშე გაიცა 1 150 000 აშშ დოლარი – 1 522 500 ლარი.

2001 წლის 9 აგვისტოს მოქანდაკე მ. ბერძენიშვილმა სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს მოპასუხე ქ.თბილისის მერიის მიმართ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და მერიის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ და №26/2 ხელშეკრულების, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 153, 154, 165-ე, 166-ე მუხლების საფუძველზე მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადაუხდელი ჰონორარის 846 067 აშშ დოლარის ანაზღაურება, ასევე, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის თანახმად, ვადაგადაცილებულ 4 წელზე, მოითხოვა გადაუხდელი თანხის 3%-ის 101 528 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 53-ე მუხლით, მ.ბერძენიშვილის მიერ გაწეული საადვოკატო ხარჯების 947 595 აშშ დოლარის 4%-ის 37 904 აშშ დოლარისა და სახელმწიფო ბაჟის 5 000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

მოპასუხემ ნაწილობრივ ცნო სარჩელი, მაგრამ ქ. თბილისის მერიასა და მ. ბერძენიშვილს შორის №26/2 ხელშეკრულებაზე ქანდაკების კომბინატის დირექტორის მიერ შესრულებული მინაწერის, თბილისის მერიის მშენებლობისა და კეთილმოწყობის დეპარტამენტსა და კომბინატს შორის დადებული №26/3 ხელშეკრულებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 178-ე და 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მოითხოვა მ. ბერძენიშვილისადმი ნაკისრი ვალდებულების თბილისის მერიის მხრივ შესრულებულად ცნობა და ქანდაკების კომბინატისათვის მერიის მხრიდან გადარიცხული 225 748 აშშ დოლარის ოდენობით ძირითადი ვადაგადიცილებული დავალისა და შესაბამისად მისი პროცენტისა და ადვოკატის ხარჯების შემცირება იმ მოტივით, რომ ძეგლის სამუშაო მოდელიდან ნატურალურ ზომამდე (სიმაღლე 9მ.) საგამდიდებო სამუშაოები, რომლებიც ორივე გარიგებებით, №26/2 და №26/3 ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, შესრულებულია არა მოსარჩელე მ. ბერძენიშვილის, არამედ ქ. თბილისის ქანდაკების კომბინატის მიერ, მერიამაც კომბინატს აუნაზღაურა სამუშაოთა ღირებულება და ამიტომ კომბინატისათვის გადახდილი თანხა 225 748 აშშ დოლარი მ. ბერძენიშვილისათვისაც გადახდილად უნდა ჩაითვალოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ბერძენიშვილის სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, თბილისის მერიას №26/2 ხელშეკრულების საფუძველზე, დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ გრანტის სახით 846 067 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხის გადახდა, ასევე სამოქალაქო სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის თანახმად, ვადაგადაცილებული თანხის წლიური 3% – 101528 აშშ დოლარის ეკვივალენტის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 53-ე მუხლით გათვალისწინებული ადვოკატის ხარჯების 37 904 აშშ დოლარის ეკვივალენტის, ასევე სახელმწიფო ბაჟის 5 000 ლარის ანაზღაურება. სასამართლოს გადაწყვეტილება შემდეგ მოტივს ემყარება:

1. სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება მ. ბერძენიშვილთან ერთად თბილისის ქანდაკების კომბინატის „შემსრულებლად“ ცნობის შესახებ, რადგან №26/2 ხელშეკრულებაში მხარეებად მხოლოდ ქ.თბილისის მერია და მ. ბერძენიშვილია მითითებული, ქანდაკების კომბინატის დირექტორის მინაწერი ხელშეკრულებაზე გაკეთებულია მხარეთა მიერ ხელშეკრულების დამოწმების მერე და მხარეები პასუხს არ აგებენ კომბინატის დირექტორის მინაწერზე, რომელმაც საკუთარი ინიციატივით, ცალმხრივად იკისრა მერიის მიმართ პასუხისმგებლობა სამუშაოების შესრულებაზე. ამასთან, ხელშეკრულების საგანია მონუმენტურ სკულპტურული კომპოზიციის ძეგლის მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეზე შექმნა, რაც მხოლოდ მ. ბერძენიშვილს უნდა შეესრულებინა;

2. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის მერიამ მ. ბერძენიშვილს ყოველგვარი დაბეგერის გარეშე, გრანტის სახით აუნაზღაურა 1150 000 აშშ დოლარი, ხოლო მერიის მიერ თბილისის ქანდაკების კომბინატისათვის 225748 აშშ დოლარის გადარიცხვას საფუძველად არ ედო №26/26 ხელშეკრულება და აქედან არც რაიმე თანხა მიუღია მ. ბერძენიშვილს. ამასთან, №26/2 ხელშეკრულების თანახმად, მ. ბერძენიშვილზე თანხების გაცემა გრანტის სახით ხდებოდა, დაქვეითვის გარეშე, ხოლო ქანდაკების კომბინატისათვის ჩარიცხული 225748 აშშ დოლარი დაიბეგრა საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ვინაიდან სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდილი ვადაგადაცილებული დავალიანების 846 067 აშშ დოლარის შემცირების შესახებ, მოპასუხის მოთხოვნა სასამართლომ, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის თანახმად, სრულად გაიზიარა მოსარჩელის მოთხოვნას წლიური 3% – 101 528 აშშ დოლარის, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადვოკატის ხარჯების 947 595 აშშ დოლარისა და სახელმ-

წიფო ბაჟის 5 000 ლარის მოპასუხისათვის ქ.თბილისის მერიისათვის სრულად დაკისრების შესახებ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება ნაწილობრივ საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხე თბილისის მერიამ და გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხების შემცირება იმავე მოტივით მოითხოვა შემდეგი ოდენობით: გრანტის სახით გადასახდელი ძირითადი თანხა 225748 აშშ დოლარით, ვადაგადაცილების 3% – 27092 აშშ დოლარით, აღვოკატის ხარჯების – 10114 აშშ დოლარით.

საახელდობრ, კასატორის აზრით, ქანდაკების კომბინატმა არათუ იკისრა სოლიდარული პასუხისმგებლობა ხელშეკრულების შესრულებაზე, არამედ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის თანახმად განახორციელა კიდევ შესაბამისი ქმედებები. მართალია, მონუმენტურ სკულპტურული კომპოზიციის მეფე „დავით აღმაშენებლის“ ძეგლის მაღალ იდეურ დონეზე შექმნა იყო №26/2 ხელშეკრულების საგანი, რაც მ. ბერძენიშვილს უნდა შეესრულებინა, მაგრამ ხელშეკრულების 1.2.3.-1.2.9 პუნქტებით გათვალისწინებული საგამდიდებლო სამუშაოები ქანდაკების კომბინატს უნდა განეხორციელებინა, რომელზეც მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი საეკტორო ზედამხედველობას ახორციელებდა. კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მტკიცებას, რომ ქანდაკების კომბინატისათვის სადავოდ გახდილი თანხის 225748 აშშ დოლარის გადარიცხვას საფუძვლად არ ელო №26/2 ხელშეკრულება და აღნიშნული თანხის დაბეგვრას, რაც გრანტის შემთხვევაში არ უნდა დაბეგრილიყო, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან თუ თანხის დაბეგვრა არასწორად მოხდა, საკითხის განხილვა საგადასახადო ორგანოებთან უნდა მოხდეს და მერიის პასუხისმგებლობის საფუძველი ვერ გახდება.

მოწინააღმდეგე მხარის მოქანდაკე მ. ბერძენიშვილის წარმომადგენლები საკასაციო საჩივარს არ ცნობენ, უსაფუძვლობის მოტივით ითხოვენ მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას და თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვებას.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძველიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უსაფუძვლობის მოტივით არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელი დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინ-

ისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა უსაფუძვლოდისა და დაუსაბუთებლობის მოტივით არ იზიარებს ქ.თბილისის მერიის საკასაციო საჩივარს მოსარჩელე მ. ბერძენიშვილის სასარგებლოდ მოსარჩელეს დაკისრებული თანხების შემცირების და ქ.თბილისის ქანდაკების კომბინატისათვის, როგორც სოლიდარულად პასუხისმგებელი პირისათვის, გადარიცხული 225 748 აშშ დოლარით ძირითადი სასარჩელო მოთხოვნის – 846 067 აშშ დოლარის შემცირების თაობაზე. პალატა ეთანხმება თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც კანონის მართებული გამოყენებითა და განარტებით, სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, წარმოდგენილ მტკიცებულებებს და თბილისის ქანდაკების კომბინატი არ მიიჩნია მ. ბერძენიშვილთან ერთად №26/2 ხელშეკრულების მხარედ სოლიდარულ მოვალედ.

სახელდობრ, მოქანდაკე მ. ბერძენიშვილის სარჩელის იურიდიული საფუძველია ქ.თბილისის მერიასთან 1996 წლის 26 ივნისს დადებული ხელშეკრულება №26/2 „თბილისში აღსამართი მეფე დავით აღმაშენებლის მონუმენტურ-სკულპტურული ძეგლის შექმნაზე“, რომელიც იმჟამად მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის) 153-ე, 154-ე, 156-ე მუხლების თანახმად, სამართლებრივად წარმოადგენს ურთიერთვალდებულების წარმოშობა ორმხრივ გარიგებას, რომლის კონტრაპენტები არიან ერთი მხრივ – მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი, როგორც „დამკვეთი“ №26/2 ხელშეკრულების 1.1 პუნქტს მიხედვით, „დამკვეთი“ ქ.თბილისის მერია ავალებდა, ხოლო „შემსრულებელი“ მ. ბერძენიშვილი ვალდებულებას იღებდა მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეზე შეექმნა მონუმენტურ სკულპტურული კომპოზიცია მეფე დავით აღმაშენებლის ძეგლი, ხოლო მერია, ხელშეკრულების 2.1, 2.6. 3.3. 4.1 პუნქტის თანახმად ვალდებულებას კისრულებოდა მიეღო შესრულებული სამუშაო და გრანტის სახით „შემსრულებლისათვის“ გადაუხადა შესრულებული სამუშაოს ღირებულება 2000000 აშშ დოლარი ან 2500000 ლარი.

მნიშვნელოვანია №26/2 ხელშეკრულების 4.1 პუნქტი – „განსაკუთრებული პირობები“, რომელიც ნათლად მიუთითებს, რომ: „წინამდებარე ხელშეკრულებით პუნქტი 1.2.-ით გათვალისწინებული სამუშაოები „შემსრულებლის“ მიერ მთლიანად დამთავრებულია 1996 წლის 10 თებერვლისათვის, მიღებულია საქართველოს კულტურის სამინისტროს ძეგლებისა და მემორიალური ძეგლების სამხატვრო საექსპერტო საბჭოს მიერ 1996 წლის 31 იანვარს (ოქმი №2) და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საუშაოს ღირებულება 2000000 აშშ დოლარი ან მისი ექვივალენტი 2500 000 ლარი კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით ექვემდებარება შემსრულებლისათვის მთლიანად გადახდას.

საკასაციო პალატის აზრით, საოლქო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა №26/2 ორმხრივ ხელშეკრულებას და მართებულად მიიჩნია, რომ ამ გარიგების მხარეები არიან „დამკვეთი“ – ქ.თბილისის მერია და „შემსრულებელი“ – მ. ბერძენიშვილი, ხოლო ქ.თბილისის ქანდაკების კომბინატი ამ ხელშეკრულების კონტრაქტს არ წარმოადგენს და ხელშეკრულებაზე მისი დირექტორის მინაწერი წარმოადგენს და ხელშეკრულებაზე მისი დირექტორის მინაწერი (რომელიც ადასტურებს მ. ბერძენიშვილის ხელმოწერის ნამდვილობას და საკუთარი ინიციატივით, ცალმხრივად იღებს სოლიდარულად ვალდებულებას სამუშაოს შესრულებაზე) კომბინატს ხელშეკრულების მხარედ და სოლიდარულად პასუხისმგებელ პირად ვერ გადააქცევს, ვინაიდან:

ა) იმჟამად მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 178-ე მუხლი არ ითვალისწინებდა ხელშეკრულებაზე მხარის ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურების გზით, ამ ვალდებულების შესრულებაზე სხვა (მესამე პირის) სოლიდარული პასუხისმგებლობის წარმოშობას;

ბ) №26/2 ხელშეკრულების 1.1 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების საგანია მონუმენტურ-სკულპტურული კომპოზიციის მეფე დავით აღმაშენებლის ძეგლის მაღალ მხატვრულ დონეზე შექმნა, რაც მხოლოდ მოქანდაკე მ. ბერძენიშვილს უნდა შეესრულებინა და ქანდაკების კომბინატი მის შესრულებაზე სოლიდარულ პასუხისმგებლობას ვერ აიღებდა, რადგან ავტორის მიერ სამუშაოს პირადად შესრულების მოვალეობის დარღვევა სამართლებრივად წარმოადგენდა თავად ხელშეკრულების დარღვევას, რაც სამოქალაქო სამართლის კოდექსის 527-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ ავტორის პასუხისმგებლობას იწვევდა;

გ) ხელშეკრულების 4.1. მუხლის თანახმად 1.2 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოები ხელშეკრულების დადებამდე უკვე შესრულებული, და სამხატვრო საექსპერტო საბჭოს მიერ მიღებულიც იყო, სამუშაოს ღირებულება 2000000 აშშ დოლარი ექვემდებარებოდა მთლიან ანაზღაურებას და უკვე დასრულებული სამუშაოს შესრულებაზე სოლიდარულ პასუხისმგებლობას, ბუნებრივია, ქანდაკების კომბინატი ვერ აიღებდა.

ამრიგად, საკასაციო პალატა იზიარებს საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ თბილისის ქანდაკების კომბინატი №26/2 ხელშეკრულების არც კონტრაქტს წარმოადგენს და არც სოლიდარულად პასუხისმგებელ პირს, ამიტომ მისთვის ქ. თბილისის მერიიდან გადარიცხული 225 748 აშშ დოლარი არ შეიძლება ჩაითვალოს მ. ბერძენიშვილის პონორარის 2000000 აშშ დოლარის ანაზღაურებად და არც სასარჩელო თანხა 846067 აშშ დოლარი უნდა შემცირდეს, რადგან საკასაციო საჩივარში მითითებულ 225748 აშშ დოლარის თბილისის ქანდაკების კომბინატისათვის ჩარიცხვას

საფუძვლად ედო არა №26/2 ხელშეკრულება, არამედ ქ.თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის მშენებლობისა და კეთილმოწყობის დეპარტამენტსა და თბილისის ქანდაკების კომბინატს შორის 1996 წლის 1 სექტემბერს დადებული ხელშეკრულება №26/3, რომელიც სამართლებრივად დამოუკიდებელ გარიგებას წარმოადგენს, მისი მონაწილე მხარე არ ყოფილა მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი, ამ ხელშეკრულებას არ გაუქმებია და არც ცვლილებები შეუტანია (ვერც შეიტანდა) მ. ბერძენიშვილისა და თბილისის მერიას შორის მანამდე დადებულ №26/2 ხელშეკრულებაში, ამიტომ საკასაციო საჩივარი ძირითადი სასარჩელო თანხის 846067 აშშ დოლარის 225948 აშშ დოლარით შემცირების თაობაზე უსაფუძვლოა, დაუსაბუთებელი, არ უნდა დაკმაყოფილდეს და ქ. თბილისის მერიას მ. ბერძენიშვილის სასარგებლოდ სრულად უნდა დაეკისროს 846067 აშშ დოლარის გადახდა, თანახმად სამოქალაქო სამართლის 165-ე მუხლისა და №26/2 ხელშეკრულების 4.1 პუნქტისა. შესაბამისად არ უნდა დაკმაყოფილდეს მოვალე თბილისის მერიის მიერ ფულადი ვალდებულებების შესრულების გადაცილებისათვის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 225-ე მუხლითა და ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული საურავის (წლიური 3%) 101 528 აშშ დოლარისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ადვოკატის ხარჯების – 37904 აშშ დოლარის შემცირების თაობაზე კასატორის მოთხოვნაც.

ამდენად, საკასაციო პალატის აზრით, თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელი უნდა დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, ვინაიდან სასამართლომ კანონის მართებული გამოყენებითა და განცხადებით სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს და გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

1. ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელი დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება.
3. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარზე დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის 500 ლარის გადახდა.
4. უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№3გ-ად-181-კ-02

23 ოქტომბერი, 2002 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემაღვენლობა: ბადრი მეტრეველი (თავმჯდომარე),
ნანა კლარჯეიშვილი (მომხსენებელი),
ბესიკ კობერიძე

სხდომის მდივანი: მ. კველიშვილი

კასატორი: ქალაქ თბილისის მერია; წარმომადგენლები – გ. ქარაზანიშვილი, ა. მაისურაძე

მოწინააღმდეგე მხარე: 1. შპს „საქართველოს მხატვარი“ ქ. თბილისის ქანდაკების კომბინატი; წარმომადგენლები – ქ. ნარიშანიძე, გ. ჯიმშელიძე;

2. მერაბ ბერძენიშვილი; წარმომადგენელი – ლ. ბარათაშვილი

გასაჩივრებული განჩინება: თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 25 მარტის განჩინება.

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 9 ნოემბრის №475 ბრძანებულებით გადაწყდა თბილისში, რესპუბლიკის მოადენზე დ. აღმაშენებლის ძეგლის აგება და ძეგლის აგების დამკვეთის ფუნქცია დაეკისრა ქ. თბილისის მერიას. ბრძანებულების საფუძველზე თბილისის მერიასა და მ. ბერძენიშვილს შორის 1996 წლის 26 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მერიას მ. ბერძენიშვილისათვის ძეგლის შექმნაზე უნდა გადაეხადა 2 მილიონი აშშ დოლარი ან მისი შესაბამისი 2 500 000 ლარი. 1996 წლის 1 სექტემბერს თბილისის მერიის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს მხატვართა კავშირის სამხატვრო ფონდის ქ. თბილისის ქანდაკების კომბინატს (რომლის სამართალმემკვიდრეა შპს „საქართველოს მხატვარი“) შორის გაფორმდა ხელშეკრულება დ. აღმაშენებლის ძეგლის საშემსრულებო სამუშაოების ჩასატარებლად. შესრულებული სამუშაოებისათვის მერიას ქანდაკების კომბინატისათვის უნდა გადაეხადა 1 989 838 აშშ დოლარი ან შესაბამისი ლარი. 1997 წლის 23 მარტს თბილისის ქანდაკების კომბინატსა და მ. ბერძენიშვილს შორის გაფორმდა საავტორო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მ. ბერძენიშვილს უშუალოდ უნდა შეესრულებინა და განეხორციელებინა მითითებული ძეგლის საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობა, საავტორო დამუშავება როგორც რბილ, ისე მყარ მასალაში, რისთვისაც კომბინატი მ. ბერძენიშვილს გადაუხდიდა მერიასა და მ. ბერძენიშვილს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული საავტორო ჰონორარის 20%-ის, ე.ი. 400 000 დოლარს, ან მის შესაბამის ეროვნულ ვალუტას.

ქანდაკების კომბინატმა შეასრულა მერიის ნაკისრი ვალდებულება და დ. აღმაშენებლის ძეგლი საზეიმოდ გაიხსნა 1997 წლის 26 მაისს. თბილისის მერიის მშენებლობისა და კეთილმოწყობის დეპარტამენტმა ხელი მოაწერა აქტებს შესრულებული სამუშაოს ნაწილის ანაზღაურებაზე, მაგრამ საავტორო დამუშავებისა და ტექნიკურ ზედამხედველობასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტებს დეპარტამენტმა ხელი არ მოაწერა.

1998 წლის თებერვალში ქანდაკების კომბინატმა სარჩელით მიმართა მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს და თბილისის მერიისაგან მოითხოვა 932 846 აშშ დოლარის ანაზღაურება ეროვნულ ვალუტაში, გადაწყვეტილების აღსრულების დროისათვის არსებული კურსით. სასამართლომ საქმეში მოსარჩელედ ჩააბა მ. ბერძენიშვილი, რომლის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა სარჩელს.

მაწმინდის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „საქართველოს მხატვარის“ ფილიალის ქ. თბილისის ქანდაკების კომბინატისა და მ. ბერძენიშვილი სარჩელი დაკმაყოფილდა. მერიას ქანდაკების კომბინატის სასარგებლოდ საერთო ჯამში დაეკისრა 932 846 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის გადახდა ამ გადაწყვეტილების აღსრულებისათვის არსებული კურსის მიხედვით. აღნიშნული თანხიდან სასამართლომ 705 923 აშშ დოლარი მიიჩნია საავტორო დამუშავებისა და ტექნიკური ზედამხედველობის სამუშაოს ღირებულებად, ხოლო 295 000 ლარი 1996 წლის I სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს აუნაზღაურებელ თანხად. გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო დაეყრდნო არა მარტო მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებას, არამედ იხელმძღვანელა სსრკ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის 1979 წლის 16 მარტის ბრძანებით დამტკიცებული „სკულპტურული ნაწარმოების შექმნისათვის საავტორო ანაზღაურების განაკვეთებით“.

მაწმინდის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა, რის შემდეგაც ქალაქ თბილისის მერიის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა მაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება მერიისათვის 705 923 აშშ დოლარის გადახდევინების ნაწილში. მან აღნიშნა, რომ სსრკ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის 1979 წლის 16 მარტის ბრძანება, რომელსაც ეყარება სასამართლოს გადაწყვეტილება, 1998 წლისათვის აღარ მოქმედებდა, რაც მათთვის ამჟამად გახდა ცნობილი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილის საფუძველზე. აღნიშნული გარემოება კი, მერიის აზრით, არის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

კრწანისი-მაწმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 16 ნოემბრის განჩინებით, უსაფუძვლობის მოტივით, არ დაკმაყოფილდა განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის მერიამ.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 25 მარტის განჩინებით არ დაკმაყოფილდა თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება. საოლქო სასამართლო დაეყრდნო შემდეგ გარემოებებს:

1. სასამართლომ აღნიშნა, რომ განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ ეფუძნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ პუნქტსა და მე-3 ნაწილს, რომლის თანახმადაც, ამ მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლით საქმის წარმოების განახ-

ლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე;

2. საოლქო სასამართლო დაეყრდნო „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონს, რომლის მე-4 მუხლის საფუძველზე განსაზღვრული იქნა ნორმატიული აქტების ჩამონათვალი. ამავე კანონის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იუსტიციის სამინისტროში შეიქმნა ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრი. 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იუსტიციის სამინისტრო ვალდებული გახდა ამ კანონის ძალაში შესვლამდე გამოცემული და მოქმედი ნორმატიული აქტების გატარება მოეხდინა სახელმწიფო რეესტრში 1997 წლის 25 ნოემბრამდე. ამრიგად, 1998 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების გამოტანამდე მხარეებს უნდა სცოდნოდათ და შეეძლო ცოდნოდათ საკავშირო აქტების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედების თუ მისი საეკლდებულო იურიდიული ძალის ქონის შესახებ, რაც იმთავითვე გამორიცხავს განმცხადებლის არაბრალეულობის მომენტს და ვერ ჩაითვლება ახლად აღმოჩენილ გარემოებად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებას საკასაციო წესით ასაჩივრებს ქალაქ თბილისის მერია, რომელიც შემდეგი მოტივით ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას, ახალი გადაწყვეტილების მიღებით მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებას 705 923 აშშ დოლარის მერიისათვის დაკისრების ნაწილში და საქმის წარმოების განახლებას:

1. კასატორი მიუთითებს, რომ სსრკ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის 1979 წლის 16 მარტის ბრძანება და ამ ბრძანებით დამტკიცებული დებულება 1997 წლის 25 ნოემბრისათვის არ იქნა შეტანილი იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ნორმატიული აქტების ნუსხაში, ამიტომ ეს აქტი 1998 წლისათვის აღარ მოქმედებდა. კასატორს ამის დასადასტურებლად მოყავს არა მარტო იუსტიციის სამინისტროს წერილი, არამედ რუსეთის ფედერაციის შრომისა და სოციალური განვითარების სამინისტროს 2001 წლის 24 სექტემბრის წერილიც.

2. კასატორის განმარტებით, თბილისის მერიისათვის არ იყო ცნობილი 1979 წლის 16 მარტის ბრძანებით დამტკიცებული დებულების ძალადაკარგულობის თაობაზე და მერია არც იყო ვალდებული ეს ცოდნოდა, ვინაიდან მთაწმინდის რაიონული სასამართლო 1998 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების გამოტანისას, მოქმედებდა რა 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, ვალდებული იყო ამავე კოდექსის მე-11 მუხლის საფუძველზე, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, თვითონ გამოეკვლია აღნიშნული აქტის ნამდვილობის საკითხი. მერიას ბრალიც რომ მიუძღ-

ვოდეს ამაში, მისი ბრალი შეიძლება გამოიხატოს მარტივ გაუფრთხილებლობაში, რაც სამოქალაქო სამართალში პასუხისმგებლობას არ იწვევს. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს თავის განჩინებაში არ მიუთითებია იმ მოტივებზე, თუ თბილისის მერიას რატომ უნდა სცოდნოდა და შეეძლო სცოდნოდა კიდევ იმ გარემოებებზე, რომლებიც საქმის წარმოების განახლებას უდევს საფუძვლად.

მოწინააღმდეგე მხარეთა – შპს „საქართველოს მხატვარი“ თბილისის ქანდაკების კომბინატისა და მ. ბერძენიშვილის წარმომადგენლებმა თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი, უსაფუძვლოდისა და დაუსაბუთებლობის მოტივით, არ ცნეს, მოითხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და თბილისის საოლქო სასამართლოს განჩინების უცვლელად დატოვება.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, თბილისის მერიის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის გაცნობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თბილისის მერიის საკასაციო საჩივარს, უსაფუძვლოდისა და დაუსაბუთებლობის მოტივით, უარი უნდა ეთქვას და უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 25 მარტის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორი თბილისის მერია მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 29 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას (705 923 აშშ დოლარის ნაწილში) და საქმის წარმოების განახლებას ითხოვს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო და ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის უკვე აღარ მოქმედებდა და იურიდიული ძალა აღარ გააჩნდა გადაწყვეტილებაში მითითებულ ნორმატიურ აქტს – სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის 1979 წლის 16 მარტის ბრძანებით დამტკიცებულ დებულებას „სკულპტურული ნაწარმოების შექმნისთვის საავტორო ანაზღაურების განაკვეთების შესახებ“.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ პუნქტის თანახმად: „კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს და საქმის წარმოება განახლდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები ან მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლოში საქმის განხილვის დროს რომ

ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი, გამოიწვევედა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას“. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორ თბილისის მერიის აზრს, რომ სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის 1979 წლის 16 მარტის ბრძანება (დებულება) სამართლებრივად წარმოადგენს ზემოაღნიშნული 423-ე მუხლის „ვ“ პუნქტით გათვალისწინებულ საქმის წარმოების განახლების საფუძველს – ახლად აღმოჩენილ გარემოებას ან ახალ მტკიცებულებას, რადგან ბრძანება არის ნორმატიული აქტი, რომელიც არ შეიძლება ახალ გარემოებად ან მტკიცებულებად იქნეს მიჩნეული.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თავისი სამართლებრივი ბუნებით ნორმატიული აქტი არც გარემოებაა და არც მტკიცებულება, რომელიც შეიძლება აღმოჩენილ იქნეს, არამედ ნორმატიული აქტი სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველია და კანონიერების განმსაზღვრელი, რომლის არასათანადოდ გამოყენება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების საფუძველია (არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა – „ა“ პუნქტი, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა - „ბ“ პუნქტი) და არა ახლად აღმოჩენილი გარემოება, ამიტომ საკასაციო პალატა უსაფუძვლობის მოტივით არ იზიარებს თბილისის მერიის საკასაციო საჩივარს და არსებითად ეთანხმება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 25 მარტის განჩინებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო მთაწმინდის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის წარმოებით განახლებაზე უარის თქმის შესახებ.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე, 410-ე, 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ პუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 25 მარტის განჩინება;

3. თბილისის მერიას საკასაციო საჩივარზე დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის 5 000 ლარის გადახდა;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



ბ ა დ ა მ ი ნ ი ს ტ რ ა ტ ი ვ ე რ ა
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სა ხ ე ლ ი თ

№3გ/ად-376-კ-02

21 თებერვალი, 2003 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის

საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბადრი მეტრეველი (თავმჯდომარე),
გიორგი ქაჯაია (მომხსენებელი),
მაია ვაჩაძე

სხდომის მდივანი: ნ. ჭიჭილეიშვილი

კასატორი (მოსარჩელე): შპს „საქართველოს მხატვრის“ ფილიალი თბილისის ქანდაკების კომბინატი; წარმომადგენლები – ლ. ნარიშანიძე, ს. მეფისწყერაძე

მოწინააღმდეგეები (მოპასუხეები):

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი; წარმომადგენელი: ა. დიასამიძე, ვ. ხანაშვილი

2. სამგორის საოლქო საგადასახადო ინსპექცია; წარმომადგენელი – გ. კალანდაძე

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება.

დავის საგანი: დარიცხული ფინანსური სანქციებისაგან გათავისუფლება

და საგადასახადო დეპარტამენტის 1999 წლის 18 ნოემბრის შემოწმების აქტის ბათილად ცნობა.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

2000 წლის 5 იანვარს შპს „საქართველოს მხატვრის“ ფილიალის თბილისის ქანდაკების კომბინატის დირექტორმა ნ. გაბისონიამ სარჩელით მიმართა კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს და მოითხოვა უსაფუძვლოდ დარიცხული სანქციების 3303116 ლარის გადახდისაგან გათავისუფლება და 1999 წლის 14 დეკემბრის №156 საინკასო დავალების მოხსნა 327625 ლარის თანხაზე შემდეგი საფუძვლებით: თბილისის ქანდაკების კომბინატსა და თბილისის მერიის მშენებლობის და კეთილმოწყობის დეპარტამენტს შორის 1995 წლის 6 დეკემბერს დაიდო ხელშეკრულება „მეფე დავით აღმაშენებლის“ ძეგლის დადგმის შესახებ, რომლის საორიენტაციო თანხა განისაზღვრა ერთ მილიონ აშშ დოლარად. რიგი სამუშაოების ჩატარების შემდეგ 1996 წლის 1 სექტემბერს მხარეებს შორის დაიდო ახალი ხელშეკრულება, რომლითაც დაზუსტდა ძეგლის ჩაბარების ვადა (1997 წლის 20 მაისი) და სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება 1989838 აშშ დოლარის ოდენობით. ხელშეკრულების შესაბამისად სამუშაოს შესრულება გათვალისწინებული იყო 4 ეტაპად. თითოეული ეტაპი დამთავრებულად ჩაითვლებოდა დამკვეთის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. შესაბამისი ანაზღაურებაც უნდა მომხდარიყო ამ აქტზე ხელმოწერის შემდეგ. მოსარჩელის მიერ სამი ეტაპი შესრულებულ იქნა, შედგა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები და ანაზღაურების შემდეგ განხორციელდა ბიუჯეტთან ანგარიშსწორება, მათ მიერ ასევე შესრულდა მეოთხე ეტაპის სამუშაოები, „მეფე დავით აღმაშენებლის“ ძეგლი დამონტაჟებულ იქნა რესპუბლიკის მოედანზე და დამკვეთს ჩაბარდა 1997 წლის 20 მაისს, მაგრამ თბილისის მერიამ უარი განაცხადა მეოთხე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერაზე და 1997 წლის 9 ივნისის №54 განკარგულებით ცალმხრივად უარი განაცხადა დარჩენილი თანხის ანაზღაურებაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით კომბინატის სარჩელის საფუძველზე ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით თბილისის მერიას დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 932846 აშშ დოლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული. თბილისის მერიის განცხადების საფუძველზე ამ გადაწყვეტილების აღსრულება გადავადებულ იქნა თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის 1999 წლის 13 დეკემბრის განჩინებით, კერძოდ, მერიას დაევალა 1999 წლის ბოლომდე

144980 ლარის გადახდა, ხოლო დანარჩენი თანხის გადახდა განისაზღვრება თანაბარწილად 2000 წლის I და II კვარტლებში. 1999 წლის 4 ნოემბრის №01-04/475 ბრძანების საფუძველზე თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ შემოწმებულ იქნა მოსარჩელის მიერ ბიუჯეტში გადახდილი თანხების დროულობა და სისწორე, რაზედაც შედგა აქტი. კომბინატის ხელმძღვანელობა არ დაეთანხმა შემოწმების აქტს იმ მოტივით, რომ საგადასახადო ინსპექციის მიერ არასწორად არის დარიცხული 4720008,3 ლარი. შესაბამისად გაგზავნილ იქნა პრეტენზია, მაგრამ საგადასახადო ინსპექციიდან საგადასახადო კოდექსის 256-ე მუხლით დადგენილ 20-დღიან ვადაში პასუხი არ მიუღიათ. მოსარჩელე მეოთხე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოსათვის მისაღებ თანხაზე ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ვერ მოახდენდა სასამართლოში დავის გადაწყვეტამდე და თბილისის მერიის მიერ რეალურად მათ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვამდე.

კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ 2000 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სარჩელი, გააუქმა სამგორის რაიონის საგადასახადო ინსპექციის 1999 წლის 14 დეკემბრის №156 საინკასო დავალება შპს „საქართველოს მხატვრის თბილისის ქანდაკების კომბინატის“ ანგარიშიდან 327625 ლარის ამოღების თაობაზე და შპს „საქართველოს მხატვრის თბილისის ქანდაკების კომბინატი“ გაათავისუფლა უკანონოდ და უსაფუძვლოდ დარიცხული ფინანსური სანქციების – ჯარიმის 78750 ლარისა და საურავის – 2357255 ლარის გადახდისაგან. რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა შემდეგ გარემოებებზე:

1. რაიონულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ საგადასახადო ინსპექციამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არასწორად გამოიყენა საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის I პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება სამუშაოების შესრულებიდან 90 დღე და არასწორად განმარტა ქანდაკების სამუშაოს შესრულების დრო. ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 16 ოქტომბრის №242 ბრძანებით დამტკიცებული „დამატებითი ღირებულების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-10 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დამკვეთისათვის სამშენებლო სამუშაოების ეტაპობრივად ჩაბარების შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციების განხორციელების დრო განისაზღვრება დამკვეთის მიერ ცალკეული ეტაპების სამშენებლო სამუშაოების მიღების დღიდან;

2. რაიონულმა სასამართლომ ასევე ჩათვალა, რომ მეოთხე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების მიღების დღედ უნდა ჩაითვალოს ამ საქითხზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე – 1999 წლის 17 სექტემბერი, როდესაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით მითითებულ საქმეზე თბილისის მთაწმინდის რაიონის

სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული, ვინაიდან ხელშეკრულებით ქანდაკების „მეფე დავით აღმაშენებლის“ დამკვეთისათვის ჩაბარება გათვალისწინებული იყო ეტაპობრივად შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების დადასტურებით, ხოლო ზემოთ მითითებული ინსტრუქციის მეორე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სამუშაოს შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტად ითვლება კონტრაქტები პირებს შორის სამუშაოს შესრულებაზე, მხარეთა შორის ხელმოწერილი აქტები, ცნობები და სხვა დოკუმენტები. მოსარჩელემ მთაწმინდის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მეორე დღესვე, 1999 წლის 18 სექტემბერს მეოთხე ეტაპით განსაზღვრული სამუშაოებისათვის ასანაზღაურებელი თანხა ასახა საბუღალტრო რეგისტრაციის ჟურნალ-ორდერ №II-ში, 45-ე ანგარიშზე, რითაც საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად 90 დღის გასვლამდე დაარიცხა დღე მეოთხე ეტაპით განსაზღვრულ შესრულებული სამუშაოებს. 1999 წლის 27 ნოემბერს მოსარჩელემ თხოვნით მიმართა თბილისის მერიის საფინანსო განყოფილებას მათზე რიცხული დებიტორული დავალიანების ანგარიშიდან, ჩათვლის წესით, მოეხდინათ ბიუჯეტთან ანგარიშსწორება დღე-ს 157500 ლარის დასაფარავად, რის საფუძველზეც სამგორის რაიონის საგადასახადო ინსპექციას გადაერიცხა 144980 ლარი მოსარჩელეს ბიუჯეტისადმი დღე-ს დავალიანების დასაფარავად. ასევე საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით წარდგენილ იქნა დეკლარაცია საგადასახადო დეპარტამენტში. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ ფინანსური სანქციები (ჯარიმა და საურავი) ქანდაკების კომბინატს ღარიცხული აქვს არასწორად.

რაიონულმა სასამართლომ ასევე არაკანონიერად მიიჩნია სამგორის რაიონის საგადასახადო ინსპექციის 1999 წლის 14 დეკემბრის №156 საინკასო დავალება მოსარჩელეს ანგარიშიდან 327625 ლარის ამოღების თაობაზე იმ საფუძველით, რომ შემოწმების აქტი, რომლითაც თბილისის საგადასახადო ინსპექციამ საგადასახადო კოდექსის 252-ე და 254-ე მუხლების საფუძველზე მოსარჩელეს დააკისრა ფინანსური სანქციები გასაჩივრებულ იქნა ამ უკანასკნელის მიერ საგადასახადო კოდექსის 256-ე მუხლის შესაბამისად და ამავე კოდექსის 243-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად ჯარიმებისა და საურავების სადავო თანხების ამოღება შეიძლება სასამართლო გადაწყვეტილებით და არა საინკასო დავალებით.

გრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის საგადასახადო სახელმწიფო ინსპექციამ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი მოტივებით:

1. ქანდაკების კომბინატის მიერ დამკვეთთან გაფორმებული ხელშეკ-

რულებით სამუშაოთა ღირებულება განისაზღვრა 1989839 აშშ დოლარის ოდენობით, (2910,0 ათასი ლარი), რაც მოიცავდა ტექნიკური ზედამხედველობისა და სააეტორო დამუშავების თანხებსაც, ძეგლის ჩამოსხმა-აგების სამუშაოების შესრულება, როგორც რბილ (თაბაშირში), ასევე მყარ (ბრინჯაო) მასალაში სააეტორო დამუშავებისა და ტექნიკური ზედამხედველობის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია და, ამდენად, საწარმოს აღნიშნული სამუშაოების ღირებულებაც ანაზღაურების მიუხედავად, უნდა ეჩვენებინა მთლიან შემოსავლებში. სასამართლო არასწორად მიიჩნევს, რომ მე-4 ეტაპი მოიცავდა მხოლოდ სააეტორო დამუშავებისა და ტექნიკური ზედამხედველობის ღირებულებას (945000 ლარი), რადგან ძეგლის საყალიბე, საგამდიდებლო და საჩამომსხმელო სამუშაოები წარმოუდგენელია სააეტორო დამუშავების გარეშე და იგი თანამდევით პროცესია სამივე ეტაპისათვის;

2. სასამართლო საგადასახადო ინსპექციის მხრიდან საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის არასწორად გამოყენებაზე მსჯელობისას უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ დღე-თი დაბეგერის ობიექტია არა ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი, არამედ შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

აქელანტმა ამავე დროს საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის 2000 წლის 4 იანვრის №04-2-6/23 დასკვნის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც სამუშაოს შესრულების დროდ ჩათვლილია ძეგლის გახსნის დღე, ანუ 1997 წლის 26 მაისი, შეამცირა ფინანსური სანქციის სახით დარიცხული თანხის ოდენობა 6594,8 ლარით, ხოლო სასამართლო პროცესზე მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება მხოლოდ სანქციების დარიცხვის ნაწილში, საინკასო დავალების გაუქმების ნაწილში კი – გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ 2000 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა შპს „საქართველოს მხატვრის“ თბილისის ქანდაკების კომბინატის ფინანსური სანქციებისაგან განთავისუფლების ნაწილში, ხოლო საინკასო დავალების გაუქმების ნაწილში დარჩა უცვლელი.

მოსარჩელის, შპს „საქართველოს მხატვრის ფილიალის თბილისის ქანდაკების კომბინატის“ საკასაციო საჩივრის საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 18 დეკემბრის განჩინებით გაუქმებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს 2002 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ გაუქმების საფუძველად მიუთითა შემდეგი გარემოებები:

1. სააპელაციო სასამართლომ არ მისცა საშუალება მოსარჩელეს დაე-

ზუსტებინა სარჩელი სადავო აქტის ბათილობის შესახებ, პარალელურად, განიხილა ამ აქტით დაკისრებული ფინანსური სანქციების კანონიერების საკითხი, მხარეს უნდა მისცემოდა სარჩელის დაზუსტების საშუალება და სადავო აქტის კანონიერებასთან ერთად უნდა განეხილა ამ აქტით დაკისრებული ფინანსური სანქციების კანონიერება, ვინაიდან ერთი მეორიდან გამომდინარეობს და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მათი ცალ-ცალკე განხილვა შეუძლებელია;

2. საკასაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ იყო დასაბუთებული, თუ რატომ არ იქნა გამოყენებული 1997 წლის ინსტრუქციის „დღგ-ს გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ „დამკვეთისათვის სამშენებლო სამუშაოების ეტაპობრივად ჩაბარების შემთხვევაში პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით დამკვეთის მიერ ცალკეული ეტაპების სამშენებლო სამუშაოების მიღების დღიდან“.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატაში მიცემული საქმის განხილვისას მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელის მიერ დაზუსტდა მოთხოვნა იმ მიმართებით, რომ მოთხოვნილ იქნა დარიცხული ფინანსური სანქციებისაგან განთავისუფლება და საგადასახადო დეპარტამენტის 1999 წლის 18 ნოემბრის შემოწმების აქტის ბათილად ცნობა, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნა საგადასახადო დეპარტამენტის 4 თებერვლის წერილის ბათილად ცნობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დარჩა უმოძრაოდ სსკ-ის 368.4 მუხლის შესაბამისად. მოსარჩელის თანხმობით სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხეებად ჩართულ იქნენ საგადასახადო დეპარტამენტი და თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლე თბილისის ისანი-სამგორის საოლქო საგადასახადო ინსპექცია.

სააპელაციო სასამართლომ 2002 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი, გააუქმა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც „საქართველოს მხატვრის ფილიალს შპს „ქანდაკების კომბინატს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლოდ გამო. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა შემდეგ გარემოებებზე:

საგადასახადო კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დღგ-თი დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი ოპერაცია და დასაბეგრი იმპორტი. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დასაბეგრი ოპერაციების განორციელების დროდ თვლება:

1. საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის დროიდან 90 დღე;

2. საქონლის მიწოდებისას, რომელსაც თან ახლავს გადატვირთვა, საქონლის მიწოდებიდან ან გადატვირთვიდან 90 დღის გასვლამდე.

3. განაღდების მომენტში, თუ განაღდება წარმოებს საქონლის მიწოდებიდან ან გადმოტვირთვიდან 90 დღის გასვლამდე.

ის გარემოება, რომ დამკვეთმა, თბილისის მერიამ, შემსრულებელს ქანდაკების კომბინატს თანხა არ გადაუხადა და არ მოაწერა ხელი მიღება-ჩაბარების აქტს, არ შეიძლება გახდეს გადასახადების არგადახდის საფუძველი. ვინაიდან შემსრულებელმა ძეგლი დაამონტაჟა 1997 წლის 20 მაისს, ანუ განახორციელა საქონლის მიწოდება და ძეგლზე საკუთრების უფლების გადაცემა. თბილისის ქანდაკების კომბინატი ვალდებული იყო გადაეხადა დღგ და საგზაო ფონდის გადასახადი საქონლის დამკვეთისათვის მიწოდებიდან 90 დღის განმავლობაში.

სამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ქანდაკების კომბინატი ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ახდენდა ძეგლის ჩამოსხმისა და მონტაჟის შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან (1803355 ლარი) გამოძინარე და ამ თანხაში არ იყო გათვალისწინებული საავტორო დამუშავებისა და ტექნოლოგიური ექსპერტიზის თანხები – 945000 ლარი, რადგან ძეგლის ჩამოსხმა-აგების სამუშაოების შესრულება, როგორც რბილი (თაბაშირი), ისე მყარი (ბრინჯაო) მასალები საავტორო დამუშავებისა და ტექნოლოგიური ექსპერტიზის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია, მითითებული სამუშაოები თან სდევდა ქანდაკების კომბინატის მიერ ძეგლზე მუშაობის ყველა სტადიას და საწარმოს ამ სამუშაოების ღირებულება უნდა ეჩვენებინა მთლიან შემოსავლებში.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე დაუშვებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 16 ოქტომბრის №242 ბრძანებით დამტკიცებული „დღგ-ს გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ ინსტრუქციის ნორმების გამოყენება იმ მიზეზის გამო, რომ ამ ინსტრუქციის შესაბამისად გადახდის გაანგარიშება უნდა განხორციელდეს 1997 წლის 1 სექტემბრიდან განხორციელებულ მიწოდებაზე, როგორც ამას განსაზღვრავს ბრძანების მეორე პუნქტი. ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში საქონლის მიწოდება განხორციელდა 1997 წლიდან 1 სექტემბრამდე, 1997 წლის 26 მაისს, მითითებული ინსტრუქციების ნორმების გავრცელება ამ დავაში კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნია და, ჩათვალა, რომ გამოყენებულ უნდა იქნეს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის 1994 წლის 31 იანვრის №2 ინსტრუქციის დებულებები და რადგან ამ ინსტრუქციით განსაზღვრული არ ყოფილა დასაბეგრი ოპერაციის დროს, შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს საგადასახადო კოდექსის მე-16 თავის დებულებები,

კონკრეტულად 105-ე მუხლის პირველი ნაწილი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „საქართველოს მხატვრის“ ფილიალმა „თბილისის ქანდაკების კომბინატმა“ შემდეგი საფუძვლებით:

1. სააპელაციო სასამართლომ საქმის ფაქტობრივი მასალების გადმოცემისას აურ-დაურია მოსარჩელისა და მოპასუხის პოზიციები და არ არის გარკვეული, თუ რა მოთხოვნა მიაწერა მათ და რა მოთხოვნა საგადასახადო ინსპექციას. გაუგებარია, რომელმა სასამართლომ უგულებელყო ის ფაქტი, რომ დღგ-თი დაბეგვრის ობიექტია არა ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი, არამედ შესრულებული სამუშაოების ღირებულება;

2. სააპელაციო პალატა „დასაბეგრი ოპერაციების დროს“, საქონლის მიწოდების“, „სამუშაოს შესრულების“ და „საკუთრების უფლების გადაცემის“ ტერმინების შეგნებულად არასწორ ინტერპრეტაციას იძლევა;

3. არასწორია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ქანდაკების კომბინატმა“ 1997 წლის 20 მაისს ძეგლის დამონტაჟებით მოახდინა საკუთრების უფლების გადაცემა დამკვეთისათვის – თბილისის მერიისათვის. ეს უკანასკნელი ქანდაკების მესაკუთრე გახდება საფასურის გადახდის შემდეგ, მანამდე კი ძეგლის მესაკუთრედ კვლავ „ქანდაკების კომბინატი“ რჩება.

4. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ დაადგინა, რომ არ შეიძლება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 16 ოქტომბრის №242 ბრძანებით დამტკიცებული „დღგ-ს“ გამოანგარიშების და გადახდის წესის შესახებ“ ინსტრუქციის გამოყენება მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან დღგ-ს გამოანგარიშება ამ ინსტრუქციის შესაბამისად უნდა განხორციელდეს 1997 წლის 1 სექტემბრიდან განხორციელებულ მიწოდებაზე. არასწორია სასამართლოს მითითება, რომ 1994 წლის 31 იანვრის №2 ინსტრუქციით არ ყოფილა განსაზღვრული დასაბეგრი ოპერაციის დრო. რადგან აღნიშნული ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელ დოკუმენტად ითვლებოდა მიღება-ჩაბარების აქტი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით კასატორმა მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მათი სასარჩელო მოთხოვნების, კერძოდ, თბილისის საგადასახადო ინსპექციის 1999 წლის 18 ნოემბრის შემოწმების აქტის ბათილად ცნობა და დახურული ფინანსური სანქციებისაგან განთავისუფლება.

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებლობა, მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სრულად დაუსაბუთებელი, ალოგიკური და ურთიერთგამომრიცხავია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლოს მიერ იმის მტკიცება, რომ მოცემულ საქმეზე დაუშვებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 16 ოქტომბრის №242 ბრძანებით დამტკიცებული „დღგ-ის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ ინსტრუქციის ნორების გამოყენება თითქოსდა იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრულია ამ ინსტრუქციის შესაბამისად გადასახადის გაანგარიშების წარმოება 1997 წლის 1 სექტემბრიდან განხორციელებულ მიწოდებებზე, ხოლო მე-3 პუნქტით დადგენილია, რომ 1997 წლის 1 სექტემბრამდე განხორციელებულ მიწოდებებზე შენარჩუნებულ იქნეს საქართველო საგადასახადო სამსახურის 1994 წლის 31 იანვრის №2 ინსტრუქციით დადგენილი დღგ-ს გაანგარიშებისა და გადახდის წესი და ვინაიდან აღნიშნული ინსტრუქციით განსაზღვრული არ ყოფილა დასაბეგრი ოპერარაციების დრო, საქონლის მიწოდება კი განხორციელებულ იქნა 1997 წლის 26 მაისს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს საგადასახადო კოდექსის მე-16 თავის დებულებები, კონკრეტულად 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. საკასაციო სასამართლო აღნიშნულ მოსაზრებებს ვერ გაიზიარებს იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ თუ სააპელაციო სასამართლო საქონლის მიწოდების დროდ მიიჩნევს 1997 წლის 26 მაისს, არ შეიძლება ამ მიწოდების დაბეგრა საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლებით, ვინაიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსი ძალაში შევიდა 1997 წლის 24 ივლისიდან, ხოლო დღგ-ს ნაწილში – 1997 წლის 1 სექტემბრიდან, აღნიშნულ კოდექსს უკუქცევითი ძალა არ აქვს და თუ არ შეიძლება ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს №242 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის ნორების გამოყენება, ამავე პრინციპით, ასევე დაუშვებელია საგადასახადო კოდექსის ნორების გამოყენება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს

მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქონლის მიწოდება და ძეგლზე საკუთრების უფლების გადაცემა მოხდა 1997 წლის 26 მაისს შემდეგ გარემოებათა გამო: დადგენილია, რომ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით სამუშაოთა შესრულება გათვალისწინებული იყო 4 ეტაპად და ეს საკითხი არც საგადასახადო ინსპექციის 1999 წლის 18 ნოემბრის შემოწმების აქტში და არც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებაში სადავოდ არ გაუხდიათ. საფინანსო ანგარიშსწორების საფუძველს თითოეული ეტაპისათვის წარმოადგენდა ორივე მხარის მიერ სათანადოდ გაფორმებული ხელმოწერილი და ბეჭედით დამოწმებული მიღება-ჩაბარების აქტი. I-II-III ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება მხარეების მიერ დადასტურებულ იქნა მიღება-ჩაბარების აქტებით და კასატორის მიერ ბიუჯეტთან ანგარიშსწორებაც შესაბამისად იქნა ნაწარმოები. ხელშეკრულების თანახმად ძეგლის აგების IV ეტაპი ითვალისწინებდა საავტორო დამუშავებისა და ტექნიკური ზედამხედველობის ანაზღაურებას. „ქანდაკების კომბინატის“ მიერ დაკვეთა შესრულებულ იქნა დროულად და ძეგლი ჩაბარდა 1997 წლის 26 მაისს, მაგრამ თბილისის მერიამ ცალმხრივად უარი განაცხადა IV ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერისაგან, რის გამოც კასატორმა სარჩელით მიმართა სასამართლოს. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლომ 1998 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა და თბილიქის მერიის მშენებლობისა და კეთილმოწყობის დეპარტამენტს დააკისრა „ქანდაკების კომბინატის“ სასარგებლოდ 932842 აშშ დოლარის გადახდა. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 1999 წლის 17 სექტემბრის აღნიშნულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანის დღეს.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სწორედ 1999 წლის 17 სექტემბერს უნდა იქნეს მიჩნეული დასაბეგრი ოპერაციების განხორციელების დროდ, ვინაიდან მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტის როლი, ფაქტობრივად, კანონიერ ძალაში შესულმა სასამართლოს გადაწყვეტილებამ შეასრულა, რის შემდეგაც კასატორი დარწმუნდა რა, რომ შესრულებული სამუშაოსათვის მიიღებდა (სასამართლო გადაწყვეტილებით) კუთვნილ ანაზღაურებას, კანონით დადგენილ დროში განახორციელა დღგ-ს გადახდასთან დაკავშირებული ოპერაციები. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ გახდა რა სადავო მხარეებს შორის ხელშეკრულების IV ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოებისა და საავტორო დამუშავებისა და ტექნიკური ზედამხედველობის ანაზღაურების საკითხი, შესაბამისად იმ პერიოდისათვის ვერ მოხდებოდა „ქანდაკების კომბინატის“ დღგ-თი დაბეგვრაც, ვინაიდან მხარეებს შორის არ იყო შემდგარი და ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების

აქტი, ქალაქის მერია უარს აცხადებდა თანხის ანაზღაურებაზე და თუ სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდებოდა ქანდაკების კომბინატის სარჩელი, არ იარსებებდა დასაბეგრი ოპერაცია და დასაბეგრი თანხა. კეთილი ნების გამოვლენა ქანდაკების კომბინატის მხრიდან არ შეიძლება გაგებული და გამოყენებულ იქნეს თავად „ქანდაკების კომბინატის“ საწინააღმდეგოდ და თბილისის მერია არ შეიძლება ჩათვლილიყო ქანდაკების მესაკუთრედ, როდესაც მას არც გადახდილი ჰქონდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძეგლის ღირებულება და არც აღიარებდა მისი გადახდის ვალდებულებას, რის თაობაზეც 1997 წლის 8 ივნისს ჯერ 54-ე განკარგულება გამოცა „დავით აღმაშენებლის ქანდაკების აგებისათვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“, ხოლო შემდგომ უარი განაცხადა მიღება-ჩაბარების აქტის ხელის მოწერაზე. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მხარეებს შორის დავა სასამართლოს მეშვეობით იქნა გადაწყვეტილი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის 1994 წლის 31 იანვრის ინსტრუქციით განსაზღვრული არ ყოფილა დასაბეგრი ოპერაციების დრო. აღნიშნული ინსტრუქციის IV მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად რეალიზებული საქონლის სამშენებლო, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე დასაბეგრი თანხად ითვლება შესრულებული სამუშაოების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის თარიღისათვის. სახელმწიფოებო ფასებიდან გამომდინარე, მათი ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც სამუშაოს პროცესში გამოიწვია სამშენებლო მასალებზე კონსტრუქციებზე ფასების, აგრეთვე სატრანსპორტო და სხვა სახის მომსახურებაზე, ფასების მომატება. ასევე მიღება-ჩაბარების აქტი განსაზღვრავს დასაბეგრი ოპერაციის დროს 1997 წლის 16 ოქტომბრის №242 ბრძანებით დამტკიცებული დღგ-ს გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ ინსტრუქცია, რომლის მე-10 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, დამკვეთისათვის სამშენებლო სამუშაოების ეტაპობრივად ჩაბარების შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციების განხორციელების დროდ განისაზღვრება პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით დამკვეთის მიერ ცალკეული ეტაპების სამშენებლო სამუშაოების მიღების დღიდან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საკასაციო სასამართლო IV ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების მიღების დღედ მიიჩნევს 1999 წლის 17 სექტემბერს და, შესაბამისად, კასატორის დღგ-თი დაბეგვისას გამოყენებულ უნდა იქნეს სწორედ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 16 ოქტომბრის №242-ე ბრძანებით დამტკიცებული „დღგ“-ს გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ ინსტრუქცია, კერძოდ, მისი მე-10 მუხლის მეორე პუნქტი.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააქტორო დამუშავებისა და ტექნოლოგიური დახვეწების თანხები 945 ათასი ლარის ოდენობით აუცილებლად უნდა ეჩვენებინა მთლიან შემოსავლებში. ხელშეკრულებით აღნიშნული თანხის ანაზღაურება უნდა მომხდარიყო IV ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების დამთავრებასთან ერთად და, შესაბამისად, მოხდებოდა ამ თანხის დაბეგვრა. აღნიშნული განხორციელდა კიდევ მას შემდეგ, რაც სასამართლოს მეშვეობით გადაწყდა მხარეებს შორის დავა. სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხული იქნა შესაბამისი თანხა და აღნიშნულთან დაკავშირებით თბილისის საგადასახადო დეპარტამენტს რაიმე პრეტენზია არ გააჩნია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დავას არ იწვევს საგადასახადო კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული დღგ-ით დაბეგვრის ობიექტი-დასაბეგრი ოპერაცია და დასაბეგრი იმპორტი. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება: ა) საქონლის მიწოდების, სამუშაოების შესრულების ან მომსახურების გაწევის დროდან 90 დღე; ბ) განაღდების მომენტში, თუ განაღდება წარმოებს საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდებიდან ან გადახდიდან 90 დღის განმავლობაში და თუ სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის დრო უნდა განსაზღვრულიყო მითითებული 105-ე მუხლით, შესაბამისად, დღგ-ს გამოთვლა უნდა განხორციელდეს №242 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის გათვალისწინებით, რომელიც სწორედ დღგ-ს გამოანგარიშებისა და გადახდის წესს არეგულირებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული IV ეტაპით სამუშაოების მიღების დღედ უნდა ჩაითვალოს 1999 წლის 17 სექტემბერი და კასატორის დღგ-თი დაბეგვრისას გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 16 ოქტომბრის №242-ე ბრძანებით დამტკიცებული „დღგ-ს“ გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი. შესაბამისად, თბილისის საგადასახადო სამსახურის 1998 წლის 18 ნოემბრის შემოწმების აქტის ის ნაწილი, რომლითაც შპს „საქართველოს მხატვრის“ ფილიალის თბილისის ქანდაკების კომბინატს დაკისრებული აქვს ფინანსური სანქციები ჯარიმა-საურევების სახით 323520,9 ლარის ოდენობით, უკანონოა და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის სრულყოფილად დასაბუთებული,

რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლიტურ საფუძველს წარმოადგენს. საკასაციო პალატა ამავე დროს მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე შესაძლებელია მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის გარემოებები დადგენილია საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე და საჭირო აღარ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას მოცემულ საქმეზე.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 404-ე, 411-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „საქართველოს მხატვრის“ ფილიალის თბილისის ქანდაკების კომბინატის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „საქართველოს მხატვრის“ ფილიალის თბილისის ქანდაკების კომბინატის სარჩელი დაკმაყოფილდეს.
4. ბათილად იქნეს ცნობილი თბილისის საგადასახადო სამსახურის 1998 წლის 8 ნოემბრის შემოწმების აქტი ფინანსური სანქციების (ჯარიმასაურავების) დაკისრების ნაწილში;
5. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება

საავტორო უფლების დარღვევის გამო
კომპენსაციის გადახდა



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№02ა/64-2001

19 ივნისი, 2001 წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა
კოლეგიამ

შემდეგი შემადგენლობით: მაღი ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
ქეთევან ღუგლაძე,
გიორგი გულელდანი

ი. ხიჯაკაძის მდივნობით

განიხილა სამოქალაქო საქმე მოსარჩელე იაკობ ბობოხიძის სარჩელისა
გამო მოპასუხეების შპს „ქართული ხმები“, ასოციაცია „ქართული ხმების“
და შპს „ედემის“ მიმართ, საავტორო უფლების დარღვევის გამო კომპენსაცი-
ის გადახდის შესახებ სასამართლო კოლეგიამ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

მოსარჩელე იაკობ ბობოხიძე სასარჩელო განცხადებით ითხოვს სოლი-
დარულად დაეკისროთ მოპასუხე შპს „ქართულ ხმებს“ და ასოციაცია
„ქართული ხმებს“ საავტორო უფლებების დარღვევისათვის კომპენსაციის
სახით 10000 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხის ეროვნულ ვალუტაში
გადახდა, დაეკისროს მოპასუხე შპს „ედემს“ საავტორო უფლებების დარ-
ღვევისათვის კომპენსაციის 10000 დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტა-
ში გადახდა, გამოცხადდეს შპს „ქართული ხმების“ და შპს „ედემის“ მიერ
2000 წელს გამოცემული აუდიო კასეტა „მუხამბაზი თბილისის ქართული
ხმები“ კონტრაფაქციულ გამოცემად, ჩამოერთვას მოპასუხეებს აუდიო კასე-

ტა „მუხამბაზი თბილისის ქართული ხმები“, მისი რეპროდუცირებისათვის საჭირო მოწყობილობა და განადგურდეს, დაეკისროს მოქასუხეებს მის მიერ ადვოკატის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების, 800 აშშ დოლარის ანაზღაურება.

მოსარჩელე თავის მოთხოვნებს ამყარებს შემდეგ გარემოებებზე: მოსარჩელე ი.ბობოხიძე არის კომპოზიტორი გ.ტაბიძის ლექსზე შექმნილი სიმღერისა „ვერხვები“, („ვერხვის ფოთოლი“). 2000 წელს შპს „ქართულმა ხმებმა“ და შპს „ედემმა“ გამოსცეს და აერცვლებდნენ აუდიო კასეტას „მუხამბაზი თბილისის ქართული ხმები“, რომელშიც მასთან შეთანხმებისა და ანაზღაურების გარეშე შესულია მისი სიმღერა „ვერხვები“.

2001 წლის 19 ივნისს სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა აღძრა შუამდგომლობა მხარეთა მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

მოქასუხეებმა თანხმობა განაცხადეს მოსარჩელესთან მიღწეული მორიგების პირობების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

მხარეებმა ჩამოაყალიბეს მორიგების შემდეგი პირობები:

1. შპს „ედემი“ იღებს ვალდებულებას იაკობ ბობოხიძის მიერ წარმოდგენილი სიმღერებით უზრუნველყოს აუდიო კასეტის გამოშვება, რის შესახებაც კონკრეტული პირობები დადგინდება ცალკე ხელშეკრულებით.

2. ასოციაცია „ქართული ხმები“ და შპს „ქართული ხმები“ იღებს ვალდებულებას 2001 წლის შემოდგომის პერიოდში მოაწყოს ანსამბლი „ქართული ხმების“ კონცერტი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, რომლიდანაც მიღებული თანხას – მოგებას გადასცემს იაკობ ბობოხიძეს.

სასამართლო კოლეგიამ მოისმინა რა მხარეთა განმარტებები, მიიჩნია, რომ მათი შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

1) სსკ-ს მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, განსაზღვრავენ დავის საგანს და იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ, მათ შეუძლიათ საქმის წარმოება დაამთავრონ მორიგებით.

2) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის მე-4 ნაწილით, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავროს.

3) სსკ-ს 272-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმი წარმოებას თუ მხარეები მორიგდნენ.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა სსკ-ს 284-ე, 285-ე მუხ-

ლის მე-3 ნაწილით, 218-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 272-ე მუხლის „დ“ პუნქტით, 273-ე, 274-ე, 416-ე მუხლებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა;
2. დაპტკიცდეს მხარეთა შორის მიღწეული მორიგება შემდეგი პირობებით:
 - ა) დაევალოს შპს „ედემს“ უზრუნველყოს იაკობ ბობოხიძის მიერ წარდგენილი სიმღერებით აუდიო კასეტის გამოშვება და გავრცელება, კონკრეტული პირობები დადგინდეს მხარეთა შორის ცალკე ხელშეკრულებით.
 - ბ) დაევალოს ასოციაცია „ქართულ ხმებს“ და შპს „ქართულ ხმებს“ 2001 წლის შემოდგომის პერიოდში მოაწყოს ანსამბლ „ქართული ხმების“ კონცერტი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, მიღებული მოგება გადასცეს იაკობ ბობოხიძეს.
3. განემარტოს მხარეებს: სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.
4. განემარტოს მხარეებს: მათ მიერ მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია განჩინების აღსრულება იძულებით.
5. შეწყდეს სამოქალაქო საქმის 2ა/64-2001, მოსარჩელე ი.ბობოხიძის სარჩელის გამო მოპასუხების შპს „ქართული ხმების“, ასოციაცია „ქართული ხმების“, შპს „ედემის“ მიმართ საავტორო უფლების დარღვევის გამო კომპენსაციის გადახდის შესახებ, წარმოება.
6. განჩინება გასაჩივრდება კერძო საჩივრით თბილისის საოლქო სასამართლოში, მისი გამოცხადებიდან 12 დღის ვადაში.



ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№02ა/79

17 ოქტომბერი 2000წ. ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ

შემდეგი შემადგენლობით: ქეთევან დუგლაძე (თავმჯდომარე),
მაღი ჩანტლაძე,
დავით თოდრაძე

დ. გოგატიშვილის მდივნობით

განიხილა მაია კვატაშიძის სარჩელი თეიმურაზ და ქეთი მერკვილაძეების მიმართ, საავტორო უფლებების დარღვევის აკრძალვის შესახებ და თეიმურაზ და ქეთი მერკვილაძეების შეგებებული სარჩელი მაია კვატაშიძის მიმართ, დარღვეული პირადი არაქონებრივი უფლებების აღდგენის შესახებ. სასამართლო კოლეგიამ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

მოსარჩელე მაია კვატაშიძემ სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს თეიმურაზ და ქეთი მერკვილაძეების მიმართ საავტორო უფლებების დარღვევის აკრძალვის შესახებ.

მოსარჩელემ, სასარჩელო განცხადებაში მიუთითა მოპასუხის მიერ მისი საავტორო უფლებების დარღვევის თაობაზე და სასამართლოსაგან მოითხოვა: სიმღერის „ქალს“ ტექსტისა და მუსიკის ავტორად აღიარება, მოპასუხეების თეიმურაზ და ქეთი მერკვილაძეების ცნობა მაია კვატაშიძის საავტორო უფლებების დამრღვევებად, თეიმურაზ მერკვილაძისათვის სიმღერის „ქალს“ რეპროდუცირებისა და გავრცელების აკრძალვა, ქეთი მერკვილაძე-

სათვის სიმღერის „ქალს“ საჯაროდ შესრულების, ნაწარმოების თარგმნის და ნაწარმოების გადამუშავების აკრძალვა, თეიმურაზ მერკვილაძისათვის საჯაროდ ბოდიშის მოხდის დაკისრება პრესაში მისი პიროვნების პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის. მოპასუხეებისათვის საავტორო უფლებების დარღვევით მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის (13 ლარის ოდენობით) ანაზღაურების დაკისრება.

მოპასუხეებმა ქეთი და თეიმურაზ მერკვილაძეებმა სარჩელი არ ცნეს და სასამართლოში წარმოადგინეს შეგებებული სარჩელი, შემდეგი მოთხოვნებით: მათა კვატაშიძისათვის პრესის საშუალებით ბოდიშის მოხდის დაკისრება, თეიმურაზ და ქეთი მერკვილაძეების პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევისათვის; ხოლო მათი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზარალის (15 ლარის) ანაზღაურება.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე, სხომის თავმჯდომარის მიერ საქმის არის მოხსენების შემდეგ, მოასუხეების, თეიმურაზ და ქეთი მერკვილაძეების წარმომადგენლის ოთარ ბერიშვილის განცხადების საფუძველზე მხარეთა შორის დაიწყო მოლაპარაკება მორიგების თაობაზე, რასაც სასამართლო კოლეგიამ მხარი დაუჭირა.

მხარეების მიერ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მიღწეული იქნა შეთანხმება მორიგების შემდეგ პირობებზე:

1. მათა კვატაშიძე აღიარებული იქნეს სიმღერის „ქალს“ ტექსტისა და მუსიკის ავტორად.

2. ქეთი მერკვილაძე ვალდებულია დღეის შემდეგ არ შეასრულოს სიმღერა „ქალს“ ავტორთან – მათა კვატაშიძესთან წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე.

3. თემური მერკვილაძე ვალდებულია არ მოახდინოს სიმღერის „ქალს“ დღეის შემდეგ, ჩაწერა, რეპროდუცირება და ნებისმიერი სახით გავრცელება ავტორთან მათა კვატაშიძესთან წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე.

4. მათა კვატაშიძე ნებას აძლევს, ქეთევან მერკვილაძემ გამოიყენოს ვიდეოკლიპი „ქალს“ (რემიქსის გარეშე) თავდაპირველი ვარიანტით თავის სადიპლომო ნამუშევარში, ყველა სხვა შემთხვევაში მოპასუხეების მიერ ზემოთაღნიშნული კლიპის გამოყენება მოხდეს ავტორთან მათა კვატაშიძესთან წერილობითი შეთანხმებით.

5. მხარეები ამ მორიგების საფუძველზე უარს აცხადებენ სარჩელსა და შეგებებულ სარჩელში ჩამოყალიბებულ ურთიერთმოთხოვნებზე, რომელიც ეწინააღმდეგება აღნიშნულ შეთანხმებას მორიგების შესახებ.

მორიგების ეს პირობები დაფიქსირდა სასამართლოს სხდომის ოქმში და ხელმოწერილი იქნა მხარეების მიერ.

მოსარჩელე მათა კვატაშიძის წარმომადგენელმა დავით გუნიავამ მოითხოვა

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო, სსკ-ს 272-ე მუხლის „დ“ პუნქტის საფუძველზე, რასაც მოპასუხეების თეზურაჟ და ქეთი მერკვილაძეების წარმომადგენელმა, ოთარ ბერიშვილმა მხარი დაუჭირა.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა საფუძველიანია და ის დაკმაყოფილებული უნდა იქნეს.

სსკ-ს მე-3 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ.

სსკ-ის 218-ე მუხლის მეოთხე პუნქტით სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ.

მხარეებს შორის მორიგების მიღწევის შემთხვევაში სსკ-ს 272-ე მუხლის „დ“ პუნქტის საფუძველზე სასამართლო წვეტს საქმის წარმოებას.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილით, 218-ე მუხლის IV ნაწილით, 272-ე მუხლის „დ“ პუნქტით, 273, 274, 284, 285, 416-ე მუხლის პირველი ნაწილით და სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონით,

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. დაკმაყოფილდეს მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

2. დამტკიცდეს მხარეთა მორიგება შემდეგი შინაარსით:

2.1. მაია კვატაშიძე აღიარებულ იქნეს სიმღერის „ქალს“ ტექსტისა და მუსიკის ავტორად.

2.2. ქეთი მერკვილაძე ვალდებულია დღეის შემდეგ არ შეასრულოს სიმღერა „ქალს“ ავტორთან – მაია კვატაშიძესთან წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე.

2.3. თემური მერკვილაძე ვალდებულია არ მოახდინოს სიმღერის „ქალს“ დღეის შემდეგ ჩაწერა, რეპროდუცირება და ნებისმიერი სახით გავრცელება ავტორთან – მაია კვატაშიძესთან წერილობითი ხელშეკრულების გარეშე.

2.4. მაია კვატაშიძე ნებას აძლევს, ქეთევან მერკვილაძემ გამოიყენოს ვიდეო კლიპი „ქალს“ (რემიქსის გარეშე) თავდაპირველი ვარიანტით, თავის სადიპლომო ნამუშევარში. ყველა სხვა შემთხვევაში მოპასუხეების მიერ ზემოაღნიშნული კლიპის გამოყენება მოხდეს ავტორთან მაია კვატაშიძესთან წერილობითი შეთანხმებით.

2.5. მხარეები ამ მორიგების საფუძველზე უარს აცხადებენ სარჩელსა და შეგებებულ სარჩელში ჩამოყალიბებულ ურთიერთმოთხოვნებზე, რომელ-

იც ეწინააღმდეგება აღნიშნულ შეთანხმებას მორიგების შესახებ.

3. შეწყდეს საქმის წარმოება მაია კვატაშიძის სარჩელის გამო თეიმურაზ და ქეთი მერკვილაძეების მიმართ, საავტორო უფლებების დარღვევის აკრძალვის შესახებ და თეიმურაზ და ქეთი მერკვილაძეების მიმართ, საავტორო უფლებების დარღვევის აკრძალვის შესახებ და თეიმურაზ და ქეთი მერკვილაძეების შეგებებული სარჩელის გამო მაია კვატაშიძის მიმართ დარღვეული პირადი არაქონებრივი უფლებების აღდგენის შესახებ.

4. განემარტოს მხარეებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, მხარეთა მიერ მორიგების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ეს განჩინება შეიძლება აღსრულდეს იძულებითი წესით.

5. განემარტოს მხარეებს სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

6. ამ განჩინების გასაჩივრება შეიძლება კერძო საჩივრით, მხარეთათვის განჩინების (დასაბუთებული) გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში თბილისის საოლქო სასამართლოში.



გ ა დ ა მ ა დ ა ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№2/167

15 მაისი, 2001 წ., ქთბილისი

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მო-
სამართლე თ.ჯალიაშვილმა

ნ.ქარდაიძის მდივნობით

განვიხილე ერთპიროვნულად სასამართლოს მთავარ სხდომაზე სამო-
ქალაქო საქმე №2/167 ტარიელ ბერაძის სარჩელისა გამო მოპასუხების შპს
„საჩუქრები-95“-სა და გიგა გიგაურის მიმართ საავტორო უფლების დარ-
ღვევისათვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.

სხდომაზე გამოცხადდნენ და საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ
მოსარჩელე ტ.ბერაძე და მისი წარმომადგენელი რწმუნებულებით ო.ბარათია,
მოპასუხე შპს „საჩუქრები-95“-ის დირექტორი ს.გეგეჭკორი და მოპასუხე
გ.გიგაური.

სასარჩელო განცხადებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის
შედეგად

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე

მოსარჩელე ტ.ბერაძემ 1999 წლის 1 აპრილს იმ დროისათვის მოქმედი
წესებით განსჯადობის დაცვით სარჩელით მიმართა კრწანისი-მთაწმინდის
რაიონულ სასამართლოს, სადაც აღნიშნულია, რომ იგი არის ინტელექტუ-
ალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად „ხის მხატვრულად დამუშავებული
ნამუშევრების სასუენირო სერია 20+17“-ის ავტორი და მისი ნამუშევრები
რეგისტრირებულია საქართველოს საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენ-
ტოში. 1999 წლის იანვრის თვეში მან მოპასუხე შპს „საჩუქრები-95“-ში

ნახა მასთან თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გასაყიდად გატანილი მოპასუხე გ.გიგაურის მიერ შესრულებული ნაკეთობები, იდენტური იმ ნაკეთობებისა, რომლებიც შესრულებული იყო ავტორის ტ.ბერაძის მიერ. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მალაზიას არ ჰქონდა უფლება სარეალიზაციოდ მიეღო ისეთი პროდუქცია, რომელზედაც არ არსებობდა საავტორო უფლება ან ნებართვა ასეთზე. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მოპასუხეთა მიერ, როგორც მან საბოლოოდ გამოარკვია, 1998 წლის დასაწყისიდან ირღვევა მისი, როგორც ავტორის ქონებრივი უფლებები. ამასთან ეს დარღვევა მოიცავს როგორც სამოქალაქო კოდექსის (1997წ.), ისე „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების პერიოდს. მოსარჩელე თვლის, რომ მოპასუხეთა კანონშეუსაბამო ქმედებებით შელახულია მისი პატივი და ღირსება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1017-ე, 1018-ე, 1020-ე, 1024-ე, 1029-ე, 1030-ე, 1043-ე, 1045-ე, 1049-ე, 1098-ე, 1096-ე მუხლების, „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტისა და სკ-ს მე-18 და 413-ე მუხლების საფუძველზე მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხეთაგან მორალური ზიანის ანაზღაურებას 1500 ლარის ოდენობით, აგრეთვე მატერიალური ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით 1999 წლამდე რეალიზებული პროდუქციის ღირებულების ოდენობით.

მოპასუხე, შპს „საჩუქრები-95“-ის წარმომადგენელმა ს.გეგეჭკორმა სარჩელი არ სცნო და განმარტა, რომ გ.გიგაურისაგან, ისე როგორც სხვა მრავალი მიმწოდებლისაგან იგი იბარებდა სხვადასხვა ნაკეთობას და არც ევალებოდა და არც არავისთვის არასოდეს მოუთხოვია მათზე საავტორო უფლებები, რადგან ეს შეუძლებელია ჩამბარებელთა სიმრავლის გამო. რაც შეეხება მოსარჩელე ტ.ბერაძეს, მან საავტორო უფლება აიღო 1999 წლის 30 მარტს და მეორე დღესვე დააყადაღებინა გ.გიგაურის მიერ მალაზიაში ჩაბარებული სხვადასხვა ხის ნაკეთობანი, რაც თითქმის ორი წელია ამ მდგომარეობაში. ს.გეგეჭკორი მიიჩნევს, რომ ტ.ბერაძის მოქმედების გამო მან თვით განიცადა მორალური და მატერიალური ზარალი, რადგან დროულად ვერ მოახდინა ამ პროდუქციის რეალიზაცია. მას შემდეგ კი, რაც მისთვის ცნობილი გახდა ტ.ბერაძის საავტორო უფლებათა თაობაზე, მას გ.გიგაურისათვის რაიმე საქონელი გასაყიდად აღარ ჩაუბარებია, თუმცა მისთვის ცნობილია ის გარემოებაც, რომ საავტორო უფლებები თავის ნაკეთობებზე გააჩნია მოპასუხე გ.გიგაურსაც.

მოპასუხე გ.გიგაურმა სარჩელი არ სცნო. წარმოდგენილ წერილობით შესვებებსა და ზეპირ განმარტებებშიც იგი აღნიშნავს, რომ ხეზე ჭრა და ხის მხატვრული დამუშავება მან დაიწყო 1993 წლიდან თავის სოფელში,

დუშეთის რაიონში, რომ თვითონ ააწყო ჩარხიც და წიგნებიდან, მხატვრებიდან, ნაცნობ-ნათესაეებიდან სწავლით თანდათან გააუმჯობესა თავისი ნამუშევრები, როგორსაც წარმოადგენდნენ სხვადასხვა ფორმის ღოჭები, თუნგები, სანაყები, სასანთლებები და სხვა. მოპასუხე გ.გიგაური აღნიშნავს, რომ მისი ნამუშევრები ქ.თბილისში ნახა ტ.ბერაძემ, მოეწონა, შეხვდა მას და მოილაპარაკეს ერთად ემუშავათ. გ.გიგაურის განმარტებით მის მიერ გამოჩარხულ ნამუშევრებს ტ.ბერაძე უკეთებდა ცნობილ, კლასიკურ, გავრცელებულ ჩუქურთმას და თვითონვე ყიდდა ქ.თბილისში მშრალ ხიდთან. გიგაური აღნიშნავს, რომ თვითონ ტ.ბერაძეს არც ჩარხი ჰქონდა და არც გაჩარხვა იცოდა, ამასთან საერთო ნაკეთობებში ძალიან მცირე ფასს აძლევდა, ბოლოს კი ნამუშევრების გარკვეული ნიწილი დაწუნების მოტივით უკან დაუბრუნა. აღნიშნულის შემდეგ, როგორც მოპასუხე გ.გიგაური განმარტავს, მან სრულიად დამოუკიდებლად მოაჩუქურთმა თავისივე გამოჩარხული ნაკეთობები და ჩააბარა გასაყიდად მალაზიას „საჩუქრები-95“. მხოლოდ ამის შემდგომ, როდესაც მისი ნამუშევრები მალაზიაში ნახა ტ.ბერაძემ, მან რეგისტრაციაში გაატარა მათი ერთობლივად შექმნილი ნაკეთობანი და მათზე მიიღო საავტორო უფლება. გ.გიგაურმა თავის მხრივ თვითონაც გაიფორმა საავტორო უფლება დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებზე სახელწოდებით „სასმისები და სუვენირები“. მოპასუხე გ.გიგაური თვლის, რომ ტ.ბერაძეს არა აქვს არცერთი ორიგინალი, რომელიც თავიდან ბოლომდე მისი შექმნილია და მას ამის გამო არც შეიძლება ჰქონდეს საავტორო უფლება ამ ნაკეთობებზე.

მხარეთა ზეპირი ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლისა და მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ მივედი დასკვნამდე, რომ ტ.ბერაძის სარჩელი უსაფუძვლოა და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო.

სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის ნათანხმად სამოქალაქო კოდექსი ვრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობა ამ კოდექსის ამოქმედების შემდეგ. სადავო სამართალურთიერთობის წარმოშობის მომენტი სათავის (1999 წლის 1 აპრილი) ამ ურთიერთობებს არეგულირებდა სამოქალაქო კოდექსის მეოთხე წიგნის პირველი კარი – „სავტორო სამართალი“, რასაც ამყარებენ მხარეები თავიანთ სასარჩელო მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ ურთიერთობებზე (1999 წლის ივნისის შემდგომ) უნდა გავრცელდეს აგრეთვე კანონის „სავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ მოთხოვნები. ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულების, ავკარიანობის, ყანრის, მოცულობის, აგრეთვე მისი გამოხატვის ფორმისა და

საშუალებებისა. საავტორო უფლება ვრცელდება როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს რაიმე ობიექტური ფორმით. ამავე კოდექსის 1025-ე მუხლით დეკორატიულ-გამოყენებითი ნაწარმოები ხელოვნების ნაწარმოებს წარმოადგენს. ამავე კოდექსის 1029-ე მუხლით ნაწარმოების ავტორად ჩაითვლება ის პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგადაც შექმნილია ნაწარმოები. სამოქალაქო კოდექსის 1033-ე მუხლის მიხედვით საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც ერთობლივი შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნა ორმა ან მეტმა პირმა, ერთობლივად ეკუთვნის თანავტორებს.

დადგენილად მიმაჩნია ის გარემოება და ამას არც მოსარჩელე უარყოფს, რომ ტ.ბერაძემ მოპასუხე გ.გიგაური გაიცნო ამ უკანასკნელის მიერ დამოუკიდებლად შესრულებული ერთ-ერთი ნამუშევრის გაყიდვისას და მოსარჩელის წინადადებით ისინი საკმაო ხანს ერთობლივად მუშაობდნენ. სახელდობრ, მოპასუხე გ.გიგაური სრულიად დამოუკიდებლად ჩარხავდა სხვადასხვა ნაკეთობებს, რასაც შემდგომ აჩუქურთმებდა მოსარჩელე ტ.ბერაძე. საბოლოო პროდუქციის შექმნა შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთობლივი მუშაობის შედეგად. მოსარჩელე არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ის ნაწარმოებები, რომლებზეც მან საავტორო უფლება მიიღო, ნაწილობრივ, მათი გამოჩარხვის თვალსაზრისით მოპასუხე გ.გიგაურის შექმნილია. მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარმოუდგინა ვერცერთი ორიგინალური ქმნილება, რაც თავიდან ბოლომდე მისი შესრულებული იქნებოდა.

სასამართლო იზიარებს მოპასუხე გ.გიგაურის განმარტებას იმის თაობაზე, რომ ამ უკანასკნელმა ხეზე ჭრა დაიწყო მანამ, ვიდრე გაიცნობდა მოსარჩელე ტ.ბერაძეს და უკვე საბოლოო სახით შექმნილი გარკვეული ხარისხის კონკურენტუნარიანი ნაკეთობების შექმნა, რაც იყიდებოდა. სასამართლო თვლის, რომ ერთობლივი მუშაობის პერიოდში მოპასუხე გ.გიგაურმა დახვეწა და გააუმჯობესა (შესაძლოა ნაწილობრივ ტ.ბერაძის ხელშეწყობითაც) თავისი ნამუშევრები. ამაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ტ.ბერაძის შემდეგ მან ასევე მიიღო საავტორო უფლება თავის ორიგინალურ ნამუშევრებზე და ამით ტ.ბერაძეს ან სხვა ვინმეს საავტორო უფლებები არ დაურღვევია.

მხარეთა ინციტატივით სასამართლოში სპეციალისტებად მოწვეულმა მ.ტურაშვილმა, ვ.საღლიანმა და გ.გაბაშვილმა ორივე ავტორის მსგავსი ნამუშევრების უშუალოდ შედარების საფუძველზე განმარტეს, რომ მთლიანობაში მოსარჩელე ტ.ბერაძის ნამუშევრები კლასით მაღლა დგანან გ.გიგაურის ნამუშევრებზე და მათ შორის არის როგორც მსგავსება, ისე განსხვავება. ამასთან, სამივე სპეციალისტმა გამოიხატა, რომ გ.გიგაურის ნამუშევრები არის ასლი გ.ბერაძის ნამუშევრებისა, არამედ მათ შორის არის მხოლოდ გარკვეული მსგავსება რიგი დეტალისა. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის

მიერ საკუთარ ორიგინალებად წარმოდგენილ ნამუშევრებზე სპეციალისტებმა როგორც ფორმა ნაკეთობისა, ისე ორნამენტი, მიიჩნიეს კლასიკურ, ეროვნულ, საკმაოდ გავრცელებულ და დამახასიათებელ ფორმებად.

მოსარჩელე ტბერაძემ ვერ წარმოუდგინა სასამართლოს რაიმე ღირებული მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მისი პატივი და ღირსება რაიმენაირად შელახულია გ.გიგაურისა და მეორე მოპასუხის შპს „საჩუქრები-95“-ის მოქმედებით, თუმცადა მტკიცების ტვირთი, შესაბამისად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლისა ამ მხრივ სწორედ მას ეკისრებოდა. სასამართლო დაუსაბუთებლად თელის აგრეთვე მის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მალაზია შპს „საჩუქრები-95“ ვალდებულია (ვალდებული იყო) საავტორო უფლებები მოსთხოვოს მასთან სხვადასხვა ნაკეთობების გასაყიდად მიმბარებელ პირებს და რომ ამ მოქმედებით მოსარჩელემ მიუღებელი შემოსავლის სახით განიცადა მატერიალური ზარალი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს სსკ-ს მე-8, 243-244-ე, 247-249-ე მუხლებით

გ ა დ ა ვ წ ყ ვ ი ტ ე

1. მოსარჩელე ტარიელ ბერაძის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდეს.

2. თანახმად საქართველოს კანონის „სახელმწიფო ბაჟის“ შესახებ მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა, მოსარჩელე ტბერაძე გათავისუფლდეს სახ.ბაჟის გადახდისაგან.

3. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საოლქო სასამართლოში აპელაციის წესით ერთი თვის ვადაში სრული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს მეშვეობით.

საავტორო ჰონორარის გადახდა



გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა საქართველოს სახელით

№2ა/29-03

14 თებერვალი, 2003წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია

შემადგენლობა: მ.ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
მ.ჯიყაშვილი (მომხსენებელი),
გ.გულედანი

ი. ხიჯაკაძის მდივნობით

მოსარჩელე: საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოება; წარმომადგენლები – ოთარ ბართაია, ირაკლი ერიშვილი, ელგუჯა შაფათავა
მოპასუხე: კ.მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი; წარმომადგენელი – კოტე კელაშვილი.

დავის საგანი: საავტორო ჰონორარების შეგროვება.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

სარჩელის მოთხოვნებია:

დაეკისროს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრს 155871 ლარი და 63 თეთრის გადახდა, რომელიც უნდა ჩაირიცხოს საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების მიმდინარე ანგარიშზე. საქართველოს ბანკი 220101502 ანგარიშის №002606223.

სარჩელის გარემოებები:

მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის შეთანხმების საფუძველზე საავ-

ტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 65-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად 1999 წლის 1 ოქტომბერს გამოცემულ №1/3 სალიცენზიო შეთანხმებით მოსარგებლე – კმარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი ვალდებული იყო საავტორო გასამრჯელოს დარიცხული თანხები გადაერიცხა საზოგადოების ანგარიშზე, ხოლო სალიცენზიო შეთანხმების 3.4 პუნქტით დაწესებული ვადის დარღვევის შემთხვევაში მოსარგებლეს უნდა გადაეხადა საზოგადოებისათვის საურავი თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე 1%-ის ოდენობით.

საავტორო გასამრჯელოს გაანგარიშებისა და დარიცხვის ღირებულებით 2002 წლის 1 ივლისის მდგომარეობით დავალიანებამ შეადგინა 26969 ლარი და 13 თეთრი, ხოლო საურავმა 126374 ლარი და 70 თეთრი.

2000 წელს მოპასუხის მიერ საზოგადოების ანგარიშზე ჩამოირიცხა 3832 ლარი და 50 თეთრი, ხოლო 2001 წელს ჩამოირიცხა 3300 ლარი, 2002 წელს – 880 ლარი.

მოპასუხის დავალიანებამ საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების მიმართ სულ შეადგინა 153343 ლარი და 83 თეთრი.

2002 წლის 3 ივლისის №001/88 წერილით, მოპასუხეს გაევზავნა შეხსენება ნაკისრი ვალდებულების შესახებ, რაზედაც მოპასუხეს პასუხი არ გაუტია.

მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მოსარჩელე მიუთითებს სამოქალაქო კანონმდებლობას და საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 18.3 მუხლის და ამავე კანონის 58-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებს.

მოპასუხის წარმომადგენელი სარჩელს არ სცნობს და შესაგებელს ამყარებს შემდეგ გარემოებებზე:

მოპასუხესთან არ იმყოფება №1/3 სალიცენზიო შეთანხმება, რომელზეც მოსარჩელე ამყარებს თავის უფლებამოსილებას წარადგინოს სარჩელი მოპასუხის მიმართ. თეატრის ხელმძღვანელობა არასდროს არ მოაწერდა ხელს ისეთ გარიგებას, რომელიც აღგენდა საურავს 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სალიცენზიო შეთანხმება სარწმუნოდ რომ იქნეს მიჩნეული, ურთიერთობა მხარეებს შორის დაიწყო 1999 წლის 1 ოქტომბრიდან საავტორო და ჰონორარებიც აქედან უნდა იყოს მოთხოვნილი.

მოსარჩელეს არასწორად აქვს გამოანგარიშებული თეატრის დავალიანების რეალური ოდენობა.

მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ იმ ავტორთა სიაში რომელთა ინტერესებსაც მოსარჩელეები წარმოადგენენ ოთხ პირს – თამაზ ყურაშვილს, ოთარ ყიფიანს, იური ჩიკვაიძეს, ნინო ჩუბინაშვილს არ აქვთ ხელშეკრულებ

ბები გაფორმებული მოსარჩელესთან და არა აქვთ შევსებული ავტორის სარეგისტრაციო ბარათები. 14 ავტორს კი ხელშეკრულებები საერთოდ გაფორმებული არა აქვს. ამ 14 პირებს შორის მოხვედრილი ავტორების ხელშეკრულებები მოგვიანებით წარმოდგენილი იქნა საქმეზე, რაც საეჭვო გარემოებაა.

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა იმ პირების სახელითაც, რომლებიც საქმეში წარმოდგენილი კვიტორებში საერთოდ არ ფიგურირებენ.

მოსარჩელეს სახელმწიფო საავტორო სააგენტოსაგან გადბარების აქტით არ შეუძენია უფლება 1999 წლის 1 ოქტომბრამდე არსებული დავალიანება მოითხოვს მოპასუხისაგან, რადგან ეს აქტი არ არის მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლო კოლეგიამ, შეისწავლა საქმის მასალები, მოუსმინა მხარეებს, შეაფასა სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები მიაჩნია, რომ საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

– საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოება, კავშირის სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული იქნა 1999 წლის 16 აგვისტოს.

– საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოება შეიქმნა ავტორთა და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების წევრობის საფუძველზე და მას მიენიჭა ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის უფლებამოსილება.

– 2000 წლის 25 დეკემბერს საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტომ შეწყვიტა ფუნქციონირება, მისი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ შერწყმის გამო.

– კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი იყენებს იმ ავტორთა ნაწარმოებებს, რომელთა გამოყენებისთვისაც საავტორო გასამრჯელოს ითხოვს მოსარჩელე.

1. 2000 წლის 31 დეკემბერს შედგა აქტი, რომლითაც საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტომ საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოებას გადასცა საავტორო გასამრჯელოების წარმოებასთან დაკავშირებული საბუღალტრო დოკუმენტაცია.

სასამართლო კოლეგია არ იზიარებს მოპასუხის წარმომადგენლის მო-

საზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა გადასცემოდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“ და არა საზოგადოებას და 2000 წლის 31 დეკემბრის აქტი ამის გამო არის კანონსაწინააღმდეგო.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ფუნქცია მდგომარეობს გაატაროს საავტორო ნაწარმოებები რეგისტრაციაში, ხოლო რაც შეეხება საავტორო გასამრჯელოს (პონორარს) ამავე კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით პონორარის შეგროვებას და განაწილებას ახორციელებს იმ ორგანიზაციათაგან ერთ-ერთი, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ ავტორთა და შემსრულებელთა და ფონოგრამების დამამზადებელთა ქონებრივ უფლებებს.

ამდენად, სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოებამ კანონისა და წესდების საფუძველზე შექმნილი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის მოქასუხის მიერ სადავოდ მიჩნეული აქტით კანონიერად მიიღო საავტორო გასამრჯელოების შეგროვებისა და განაწილების საბუღალტრო დოკუმენტაცია.

მოქასუხის – კ.მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური დრამატული თეატრის დავალიანება გამოყენებული ნაწარმოების გადაუხდელი საავტორო გასამრჯელოს სახით მოსარჩელისათვის საბუღალტრო დოკუმენტაციის გადაბარების დროისათვის შეადგენდა 6571 ლარს და 13 თეთრს.

6571,13 ლარის მოთხოვნა ნამდვილია და არ არის ხანდაზმული. მოსარჩელემ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოსაგან გადაბარებული საბუღალტრო დოკუმენტაციით, დავალიანება მოქასუხეს სააგენტოს წინაშე გააჩნდა 1999 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში ავტორთა ნაწარმოებების გადაუხდელ პონორარების სახით.

სარჩელი მოსარჩელის მიერ შემოტანილია 2002 წლის 27 აგვისტოს და ამდენად, დაცულია საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 75-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობა, მასზე არ უნდა გავრცელდეს ორგანიზაციებისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა, რადგან მოსარჩელე წარმოადგენს ფიზიკური პირების (ავტორების) ქონებრივი უფლებების მართვის კოლექტიურ ორგანოს და სარჩელის შეტანით მათი სახელით და მათ უფლებებში ახორციელებს ყველა საპროცესო მოქმედებას.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტითა და მე-40 მუხლის მიხედვით, ავტორის ქონებრივი უფლებები შეიძლება განახორციელოს სხვა პირმა ავტორთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ავტორის ქონე-

ბრივ უფლებებს მართავენ კოლექტიური მართვის ორგანიზაციები, ხელშეკრულება იდება ასევე მოსარგებელთა და ამ ორგანიზაციებს შორისაც.

1999 წლის 1 ოქტომბერს მოსარჩელეს (კოლექტიური მართვის ორგანიზაციას) და მოპასუხეს (მოსარგებელს) შორის დაიდო ხელშეკრულება (სალიცენზიო შეთანხმება), რომლითაც განისაზღვრა ნაწარმოებების გამოყენებასთან დაკავშირებული მოსარგებლის უფლებები და მოვალეობები. ხელშეკრულების (სალიცენზიო შეთანხმების) თანახმად მოსარგებლეს ავტორთა გამოყენებული ნაწარმოებების ჰონორარის გადახდის ვალდებულება წარმოეშობა ანგარიშსწორების ფურცლის მიღებიდან და ხელმოწერიდან 10 დღის ვადაში. საქმეში წარმოდგენილი ანგარიშსწორების ფურცლების მიხედვით, რომელიც მიღებული და ხელმოწერილი აქვს მოსარგებლეს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს მისი დავალიანება შეადგენს 20398 ლარს, კერძოდ, 2000 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ნაწარმოებების სარგებლობისათვის თეატრს გადასახდელი აქვს საავტორო გასამრჯელო 3036 ლარის ოდენობათ, 2000 წლის განმავლობაში 6614 ლარი (საერთო დავალიანებას 10446,50 უნდა გამოაკლდეს თეატრის მიერ გადახდილი 3832,5 ლარი გასამრჯელოდან). 2001 წლის განმავლობაში ნაწარმოებების სარგებლობისათვის 7019,5 ლარი (საერთო დავალიანება 10319,5 უნდა გამოაკლდეს 3300 ლარი თეატრის მიერ გადახდილი გასამრჯელო. 2002 წლის განმავლობაში 3728,5 ლარი (საერთო დავალიანება 5757,5 ლარს უნდა გამოაკლდეს 2029 ლარი თეატრის მიერ გადახდილი გასამრჯელო).

3. მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის წარდგენილი ანგარიშსწორების ფურცლებში შეტანილი იქნა ის ავტორებიც, რომლებთანაც მოსარჩელეს ხელშეკრულებები არ ჰქონია დადებული და არ შეუძენია მათგან მათი ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის უფლებები. ამ ავტორების (ჩუბინიძე, გაგლოშვილი, ზანგურიძე, ჯონათან ლი, ყუფუნია, ჩუბინიშვილი) საავტორო გასამრჯელო შეადგენს 1227 ლარს.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ აღნიშნული თანხა უნდა გამოაკლდეს მოპასუხისათვის წარდგენილ მოთხოვნას 26969,13 ლარს, რადგან 1227 ლარის მოთხოვნაზე, მოსარჩელე ავტორებისაგან არ არის აღჭურვილი სათანადო უფლებამოსილებით. კოლეგია არ იზიარებს მოსარჩელის განმარტებას საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით და თვლის, რომ კოლექტიური მართვის ორგანიზაციას შეუძლია მართოს იმ ავტორების ქონებრივი უფლებები ანუ მოკრიფოს იმ ავტორების ნაწარმოებების გამოყენებისათვის საავტორო გასამრჯელო, რომელთაგანაც ხელშეკრულებებით შეძენილი აქვს ასეთი უფლებები, რაც შეეხება ზემოთ მითითებული ნორმით

იმ ავტორების მიერ ჰონორარების მოთხოვნას, რომლებსაც არ გადაუციათ ორგანიზაციისათვის ჰონორარების შეგროვებასთან დაკავშირებული უფლებები, შეუძლიათ მოსთხოვონ ორგანიზაციას ჰონორარის გადახდა თუკი უკვე განხორციელდა განაწილება და თუკი თავად მოსარგებლე ორგანიზაცია ნებაყოფლობით განახორციელებს გადახდას. განხილული სარჩელის შემთხვევაში კი მოპასუხე გადახდაზე უარს აცადებს და სადავოდ ხდის მოსარჩელის უფლებამოსილებას ამ ავტორების ნაწარმოებებზე საავტორო გასამრჯელოს შეგროვებაზე.

4. მოსარჩელის მოთხოვნა საურავის შესახებ სასამართლო კოლეგიას საფუძვლიანად მიაჩნია, რადგან მხარეთა შორის დადებული სალიცენზიო შეთანხმების №1/3 3.5 მუხლი ითვალისწინებს საურავს დავალიანების გადახდის ვადის გადაცილებისათვის გადასახდელი თანხის 1%-ის ოდენობით.

ამავე დროს, სასამართლო კოლეგია ითვალისწინებს რა მოპასუხის მძიმე ფინანსურ მდგომარეობას და იყენებს მისთვის სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით მინიჭებულ უფლებებს, ამცირებს საურავის თანხას და გონივრულად მიაჩნია დაეკისროს მოპასუხეს 1000 ლარი ვალდებულების დროულად შეუსრულებლობისათვის.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 244-ე, 249-ე, 395-ე და 397-ე მუხლებით, გადაწყვიტა:

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

1. საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. დაეკისროს მოპასუხეს კ.მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ-დრამატულ თეატრს 26742,13 ლარი მოსარჩელის – საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების სასარგებლოდ.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ერთი თვის ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელთ

№ 3კ-629-03

5 ივნისი, 2003 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გა-
კოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მაია ახალაძე (თავმჯდომარე),
ქეთევან გაბელაია (მომხსენებელი),
თენგიზ კობახიძე

ხზომის მდივანი: გურამ სუპატაშვილი

კასატორი: საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოება
მოწინააღმდეგე მხარე: კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმ-
წიფო აკადემიური დრამატული თეატრი

გასაჩივრებულო გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართ-
ლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა კოლეგიის 2003
წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება

კასატორის მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება
1227 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში.

დავის საგანი: საავტორო ჰონორარის გადახდა.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოებამ სარჩელით
მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დაეკისროს კოტე მარჯანიშვილის
სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრს 153 343 ლარი და
63 თეთრის გადახდა მათ სასარგებლოდ შემდეგ გარემოებათა გამო: 1999
წლის 1 ოქტომბერს მათსა და მოპასუხეს შორის დაიდო ხელშეკრულება
(ლიცენზია), რომლითაც განისაზღვრა ნაწარმოებების გამოყენებასთან დაკავ-
შირებული მოსარგებლის უფლებები და მოვალეობები, რომლის თანახმად
მარჯანიშვილის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი ვალდებუ-

ლი იყო საავტორო გასამრჯელოს დარიცხული თანხები გადაერიცხა საზოგადოების ანგარიშზე, ხოლო შეთანხმების 3.4. პუნქტით დაწესებული ვადის დარღვევის შემთხვევაში მოსარგებლეს უნდა გადაეხადა საზოგადოებისათვის თითოეულ გადაცილებულ დღეზე 1%-ის ოდენობით საურავი.

მოპასუხე, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძვლით: ურთიერთობა მხრეებს შორის დაიწყო 1999 წლის 1 ოქტომბრიდან და საავტორო ჰონორარებიც აქედან უნდა იყოს მოთხოვლი, მოსარჩელეს არასწორად აქვს გამოანგარიშებული თეატრის დავალიანების რეალური ოდენობა. მოსარჩელეთა მიერ წარდგენილ ავტორთა სიაში, რომელთა ინტერესებსაც მოსარჩელები წარმოადგენენ, ოთხ პირს არა აქვს ხელშეკრულებები გაფორმებული მოსარჩელესთან.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ 2003 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ, მოპასუხე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 26 742 ლარისა და 13 თეთრის გადახდა. სასამართლო კოლეგიამ გადაწყვეტილება გამოიტანა შემდეგი საფუძვლით: დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ 1999 წელს კავშირის სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული იქნა საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოება და მას მიენიჭა ავტორთა და მომიჯნავე უფლებათა მფლობელობის ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის უფლებამოსილება. კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი იყენებს იმ ავტორთა ნაწარმოებებს, რომელთა გამოყენებისათვისაც საავტორო გასამრჯელოს ითხოვს მოსარჩელე. 1999 წლის 1 ოქტომბერს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა ნაწარმოებების გამოყენებასთან დაკავშირებული მოსარგებლის უფლებები და მოვალეობები ანგარიშსწორების ფურცლის მიხედვით, რომელიც მიღებული და ხელმოწერილი აქვს მოსარგებლეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრს მისი დავალიანება შეადგენს 20 398 ლარს.

გარდა ამისა, თეატრის დავალიანება გამოყენებული ნაწარმოების გადაუხდელი საავტორო გასამრჯელოს სახით მოსარჩელისათვის საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოსაგან დოკუმენტაციის მიღების დროისათვის შეადგენდა 6571 ლარს ე.ი. სულ 26969 ლარი. სასამართლო კოლეგიამ აღნიშნულ თანხას გამოაკლო იმ ავტორების გასამრჯელოები, რომლებსაც მოსარჩელესთან ხელშეკრულებები არ ჰქონია დადებული და არ შეუძენია მათგან მათი ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის უფლე-

ბები. მათი საავტორო გასამრჯელო შეადგენს 1227 ლარს.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოებამ 1227 ლარის გადახდაზე უარის თქმის ნაწილში და მოითხოვა ამ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი საფუძვლით: სასამართლომ არასწორად განმარტა საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტი. აღნიშნული მუხლი არ ზღუდავს მათ გაუნაწილოს და გადაუხადოს ჰონორარები იმ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს, რომლებმაც არ გადასცეს ორგანიზაციას ჰონორარების შეგროვებასთან დაკავშირებული უფლებები.

ს ა მ ო ტ ი ე ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საოლქო სასამართლოს კოლეგიის მიერ დადგენილია ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის წარდგენილი ანგარიშსწორების ფურცლებში შეტანილია ის ავტორებიც, რომელთანაც მოსარჩელეს ხელშეკრულებები არ ჰქონია დადებული და არ შეუძენია მათგან მათი ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის უფლება. ამ ავტორების (ჩუბინიძე, გაგლოშვილი, ზანგურიძე, ჯონათანი, ყუფუნია, ჩუბინიშვილი) საავტორო გასამრჯელო შეადგენს 1227 ლარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად საოლქო სასამართლოს კოლეგიის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის თუ წამოყენებული არ არის დამატებითი ან დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენის შესახებ არამც თუ არ არის წამოყენებული დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, კასატორი თვითონ ადასტურებს ამ გარემოებას.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოების პირობებში, პალატა იზიარებს საოლქო სასამართლოს კოლეგიის მოსაზრებას, რომ რადგან დასახელებულ ავტორებს არ გაუფორმებიათ ხელშეკრულება მოსარჩელესთან ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის შესახებ, ამდენად მოსარჩელე უფლებამოსილი არ არის მათი სახელით მოითხოვოს საავტორო ჰონორარი მოპასუხისაგან. რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით, პალატა თვლის, რომ იმ ავტორებს რომლებსაც არ გადაუციათ ორგანიზაცი-

ისათვის ჰონორარების შეგროვებასთან დაკავშირებული უფლებები, შეუძლიათ მოითხოვონ ორგანიზაციის ჰონორარის გადახდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოსარგებლემ გადაუხადა მათ უკვე ასეთი ავტორის ჰონორარი. მოცემულ შემთხვევაში კი მოსარგებლეს არავითარი ჰონორარი არ გადაუხდია ორგანიზაციისათვის ამ ავტორების ნაწარმოებებზე.

პალატა თვლის, რომ საოლქო სასამართლოს კოლეგიაში საქმის განხილვის დროს კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, რის გამოც გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ავტორის თანხის ანაზღაურება მრავალფიგურიანო
კომპოზიციის დემონტაჟისათვის**



**ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით**

№3კ/ად-388-კ-02

19 თებერვალი, 2003 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბესიკ კობერიძე (თავმჯდომარე),
გიორგი ქაჯაია (მომხსენებელი),
ნინო ქადაგიძე

სხდომის მდივანი: ნ. ჭიჭილეიშვილი

კასატორი (მოპასუხე): სსიპ „საქტელერადიომუწყებლობის“ თავმჯდომარე ზაზა შენგელია

მოწინააღმდეგე მხარე (მოსარჩელე): თეიმურაზ გოცაძე

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 1 აგვისტოს განჩინება.

დავის საგანი: თანხის დაკისრება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

2001 წლის 25 ოქტომბერს თეიმურაზ გოცაძემ სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომუწყებლობის კორპორაციის მიმართ 5000 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში დაკისრების თაობაზე იმ საფუძველით, რომ 1999 წლის 7 ივნისს მხარეებს შორის დაიდო ხელშეკრულება „საქტელერადიომუწყებლობის“ კომიტეტის ვესტიბიულში 1974 წელს მოსარჩელის

მიერ მოხატული მრავალფიგურიანი კომპოზიციის დემონტაჟის შესახებ. ხელშეკრულებით მოპასუხებ იყისრა ვალდებულება მოსარჩელისათვის გადაეხადა 5000 აშშ დოლარი 2000 წლის 1 იანვრიდან ერთი წლის განმავლობაში. დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულებულა.

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომარშუტების კორპორაციამ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველით: თ. გოცაძის მიერ 1974 წელს „საქტელერადიომარშუტების“ ვესტიბიულში საჩუქრად იქნა მოხატული კომპოზიცია. ე.ი. 1974 წლიდან კომპოზიცია წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას. 1990 წლის მოვლენების შედეგად კომპოზიცია დაზიანდა და საჭიროებდა რეკონსტრუქციას, რის უფლებასაც მოსარჩელე არ იძლეოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ითხოვდა დიდ თანხას. თანხის მოთხოვნის უფლება თ. გოცაძეს არ ჰქონდა, რადგან, ფაქტობრივად, ხდებოდა გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა, რაც რეალურად შეუძლებელი იყო. ამასთანავე მოპასუხეს არ ჰქონდა თანხის გადახდის ვალდებულება. ეს გახდა ძირითადი მოტივი 1999 წლის ხელშეკრულების დადებისა. გარიგება დაიდო არსებითი შეცდომის საფუძველზე, სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, იგი საცილო გარიგებად უნდა იქნეს მიჩნეული.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ გარემოებებს: 1999 წლის 7 ივნისის ხელშეკრულებით მხარეები ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ. ამდენად, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლისა, ხელშეკრულება დადებულად ითვლება. აღნიშნული ხელშეკრულებით მხარეებს შორის წარმოიშვა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას, რაც მოპასუხეს არ შეუსრულებია. ამდენად, მოპასუხის მხრიდან დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლის „ა“ პუნქტის მოთხოვნა და სახეზეა შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულების შეუსრულებლობა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა „საქტელერადიომარშუტების“ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი მოტივით: გ. გოცაძეს და კორპორაციას შორის გარიგება მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, არსებით შეცდომად ითვლება, როცა არ არსებობს ის გარემოება, რომელითაც მხარეების კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, განიხილავენ გარიგების საფუძველად. გარიგება არის კანონსაწინააღმდეგო და ამორალური. კომპოზიცია მოსარჩელის მიერ საჩუ-

ქრად იქნა გადაცემული და თანახმად სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლის, ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან, ე.ი. 1974 წლიდან კომპოზიცია წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას, ფორსმაჟორული მდგომარეობის გამო კომპოზიცია დაზიანდა და გამოუსადეგარი გახდა, აუცილებელი იყო ვესტიბიულის რეკონსტრუქცია, რომლის ჩატარების უფლებასაც არ იძლეოდა თ. გოცაძე და სწორედ ეს გარემოება გახდა №57 ხელშეკრულების დადების საფუძველი.

თეიმურაზ გოცაძემ არ ცნო სააპელაციო საჩივარი და შესაგებელში აღნიშნა, რომ მისი სარჩელი დაკმაყოფილდა არა იმიტომ, რომ 1974 წლიდან მხარეებს შორის არსებობდა რაიმე პირობა, რომლის შესრულებაზეც დამოკიდებული იქნებოდა ჩუქების ნამდვილობა, არამედ იმიტომ, რომ მოპასუხემ არ შეასრულა მხარეებს შორის №57 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მოწინააღმდეგე მხარემ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მოსაზრება გარიგების კანონსაწინააღმდეგობისა და ამორალურობის შესახებ, რადგან ვერ მიუთითა, თუ რომელი ამკრძალავი ნორმა იქნა დარღვეული ხელშეკრულების დადებისას.

თბილისის საოლქო საამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახდო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 1 აგვისტოს განჩინებით „საქტელერადიომაუწყებლობის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. სასამართლო დაეყრდნო შემდეგ გარემოებებს:

1. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება თ. გოცაძესა და კორპორაციას შორის დადებული გარიგების ამორალურობისა და კანონსაწინააღმდეგობის თაობაზე, ვინაიდან აპელანტმა არ მიუთითა, თუ რაში გამოიხატა გარიგების ამორალურობა და კანონსაწინააღმდეგობა, კონკრეტულად, რომელ კანონს ეწინააღმდეგება გარიგება. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა ის გარემოება, რომ მოპასუხე „საქტელერადიომაუწყებლობამ“ საცილოდ გახადა ხელშეკრულება, თუმცა მისი ბათილობის მოთხოვნით შეგებებული სარჩელი არ აღუძრავს;

2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ხელშეკრულებით მოპასუხე ვალდებულებას იღებდა მოეხდინა მხატვარ თ. გოცაძის მიერ 1974 წელს კომიტეტის ვესტიბიულში საჩუქრად მოხატული კომპოზიციის დემონტაჟი, რაშიც (იგულისხმება მხატვრის, ავტორის, თ. გოცაძის თანხმობა, ნებართვა) მხატვარი მიიღებდა 5000 აშშ დოლარს. მოპასუხემ მოახდინა კომპოზიციის დემონტაჟი, რის უფლებაც, ფაქტობრივად, მიიღო სწორედ ამ ხელშეკრულების ძალით, ხოლო თანხა 5000 აშშ დოლარი არ გადაუხადა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საოლქო სასამართლომ გაიზიარა ის გარემოება, რომ რაიონულმა სასამართლომ, მართებულად

იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლით, როცა მიიჩნია, რომ შესრულებისათვის დადგენილ დროს მოპასუხის მხრიდან ვალდებულება არ შესრულება.

2002 წლის 20 სექტემბერს „საქტელერადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარემ ზაზა შენგელიამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 1 აგვისტოს განჩინების გაუქმება, „საქტელერადიომაუწყებლობასა“ და თეიმურაზ გოცაძეს შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, როგორც უკანონო და ამორალური გარიგების და ახალი განჩინების გამოტანა შემდეგ გარემოებათა გამო:

1. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლო შემადგენლობამ, არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლი, როცა მიიჩნია, რომ შესრულებისათვის დადგენილ დროში მოპასუხის მხრიდან ვალდებულება არ შესრულებულა;

2. კასატორი განმარტავს, რომ სასამართლომ მიუთითა იმის შესახებ, რომ „საქტელერადიომაუწყებლობას“ ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნით შეგებებული სარჩელი არ აღუძრავს, საქმეში კი წარმოდგენილია „საქტელერადიომაუწყებლობის“ შესაგებელი ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში თეიმურაზ გოცაძის სარჩელზე და სააპელაციო საჩივარი, სადაც ზაზაგასმით არის მითითებული, რომ აღნიშნული ხელშეკრულება, დადებული თ. გოცაძესა და „საქტელერადიომაუწყებლობას“ შორის, არ არის კანონის დაცვით დადებული ხელშეკრულება, იგი არის უკანონო გარიგება და სასამართლომ ბათილად უნდა ცნოს;

3. კასატორი მიუთითებს, რომ როგორც ხელშეკრულების შინაარსიდან კარგად ჩანს, მხატვარ თ. გოცაძეს უნდა შეესრულებინა კომპოზიციის დემონტაჟი, რაშიც მას (ამ სამუშაოს შესრულებაში) ტელევიზია გადაუხდოდა 5000 ამერიკული დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, ხოლო ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით, „საქტელარადიომაუწყებლობას“ უნდა შესრულებინა დემონტაჟი და შეასრულა კიდევ, რაც შეეხება საოლქო სასამართლოს ზაზაგასმას, რომ ხელშეკრულების დადებისას მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოპასუხე ვალდებულებას იღებდა მოეხდინა მხატვარ თ. გოცაძის მიერ 1974 წელს კომიტეტის ვესტიბიულში საჩუქრად მოხატული კომპოზიციის დემონტაჟი, რაშიც (იგულისხმება, მხატვრის, ავტორის თ. გოცაძის თანხმობა, ნებართვა) მხატვარი მიიღებდა 5000 აშშ დოლარს საგულისხმოა, რომ ხელშეკრულებაში 1-ლი მუხლის თანახმად ხელშეკრულების საგანს სწორედ კორპორაციის დემონტაჟი წარმოადგენს;

4. კასატორი განმარტავს, რომ სასამართლოს არ მიუთითებია, თუ რომელი კანონის საფუძველზე ქქონდა თ. გოცაძეს უპირობოდ ნაჩუქარ

ნივთზე ნებართვის გაცემის უფლება. „საქტელერადიომაუწყებლობის“ მიმართ კომპოზიციის ჩამოხსნა-არჩამოხსნის შესახებ არანირი ნებართვის უფლება არ გააჩნდა და თუ ხელშეკრულება მისი ზემოქმედებით, უკანონო მოთხოვნებითა და შანტაჟით დაიდო, სწორედ ამიტომ არის აღნიშნული ხელშეკრულება ამორალური და უკანონო.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეების ახსნა-განმარტებები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძლიანობა, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის პირველი აგვისტოს განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ეფუძნება მხარეებს შორის 1999 წლის 7 ივნისს დადებულ ხელშეკრულებას. აღნიშნული ხელშეკრულების მე-2 მუხლი მოიცავს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის „ა“ და „ვ“ პუნქტს, რომელთა თანახმადაც კორპორაცია „საქტელერადიომაუწყებლობა“ იღებს ვალდებულებას მხატვარს (მოსარჩელე თ. გოცაძეს) კომპოზიციის დემონტაჟში გადაუხადოს 5000 აშშ დოლარი, ანუ კომპოზიციის დემონტაჟის ვალდებულება ეკისრება მოსარჩელეს. ამავე დროს „ვ“ პუნქტის თანახმად, კომპოზიციის დემონტაჟის ვალდებულება თავად კორპორაციას ეკისრება. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა რა, რომ ხელშეკრულების აღნიშნული პუნქტები წარმოშობდნენ მოპასუხის ვალდებულებას მოსარჩელის მიმართ 5000 აშშ დოლარის გადახდის ნაწილში და მოსარჩელე კომპოზიციის დემონტაჟის ნებართვაში იღებდა აღნიშნულ თანხას, არ დაასაბუთა თუ რატომ, რის საფუძველზე უნდა იქნეს ხელშეკრულების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი გაგებული, როგორც მოსარჩელეს მხრიდან კომპოზიციის დემონტაჟის ნებართვა და არა მისი ვალდებულება, თავად მოახდინოს კომპოზიციის დემონტაჟი და ამაში მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ ხელშეკრულება, ფაქტობრივად, წარმოადგენდა მოსარჩელეს მხრიდან კომპოზიციის დემონტაჟზე თანხმობას, მაგრამ, ამავე დროს არ გაარკვია, თუ რატომ არ იყო აღნიშნული პირობა პირდაპირ გათვალისწინებული ხელშეკრულებაში, არსებობდა თუ არა სამართლებრივი საფუძველი იმისა, რომ მოსარჩელეს კომპოზიციის დემონტაჟის ნებართვაში მოეთხოვა რაიმე ანაზღაურება.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის საკმაოდ დასაბუთებული, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს იმ მითითებით, რომ სააპელაციო სასამართლომ იმსჯელოს თუ რატომ არ შეეძლო კასატორს მის კუთვნილ ფართში მისი ბრალის გარეშე დაზიანებული კომპოზიციის დემონტაჟი მოსარჩელეს თანხმობის გარეშე და რის საფუძველზე იქნა მიჩნეული სააპელაციო სასამართლოს მიერ ხელშეკრულების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. მოსარჩელეს მხრიდან კომპოზიციის დემონტაჟის ნებართვად და არა მის ვალდებულებად თავად მოეხდინა კომპოზიციის დემონტაჟი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილთ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 404-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. „საქტელერადიომაუწყებლობის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 1 აგვისტოს განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. მხარეთათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისას.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№ბს-87-71-კ-04

19 აპრილი, 2004 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბესიკ კობერიძე (თავმჯდომარე),
 ნინო ქადაგიძე (მომხსენებელი),
 გიორგი ქაჯაია

საქმის განხილვის ფორმა: ზეპირი განხილვის გარეშე

კასატორი: თემურ გოცაძე

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაცია

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება.

დავის საგანი: თანხის დაკისრება.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

2001 წლის 25 ოქტომბერს თეიმურაზ გოცაძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის მიმართ 5000 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში დაკისრების თაობაზე იმ საფუძველით, რომ 1999 წლის 7 ივნისს მხარეებს შორის დაიდო ხელშეკრულება „საქტელერადიომაუწყებლობის“ კომიტეტის ვესტიბიულში 1974 წელს მოსარჩელის მიერ მოხატული მრავალდარგიანი კომპოზიციის დემონტაჟის შესახებ. ხელშეკრულებით მოპასუხებ იკისრა ვალდებულება, მოსარჩელისათვის გადაეხადა 5000 აშშ დოლარი 2000 წლის 1 იანვრიდან ერთი

წლის განმავლობაში. დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულებულა. საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციამ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნავდა, რომ 1999 წლის 7 ივნისის ხელშეკრულებით მხარეები ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ და თანახმად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლისა, ხელშეკრულება დადებულად ითვლება. აღნიშნული ხელშეკრულებით მხარეებს შორის წარმოიშვა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას, რაც მოპასუხეს არ შეუსრულებია. ამდენად, მოპასუხის მხრიდან დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლის „ა“ პუნქტის მოთხოვნა და სახეზეა შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულების შეუსრულებლობა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა „საქტელერადიომაუწყებლობა“ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ მოტივით, რომ გ. გოცაძესა და „საქტელერადიომაუწყებლობას“ შორის გარიგება მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, არსებით შეცდომად ითვლება, როცა არ არსებობს ის გარემოება, რომელსაც, მხარეების კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, განიხილავენ გარიგების საფუძველად. გარიგება არის კანონსაწინააღმდეგო და ამორალური. კომპოზიცია მოსარჩელის მიერ საჩუქრად იქნა გადაცემული და თანახმად სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლისა, ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან, ე.ი. 1974 წლიდან კომპოზიცია წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას, ფორსმაჟორული მდგომარეობის გამო კომპოზიცია დაზიანდა და გამოუსადეგარი გახდა, აუცილებელი იყო ვესტიბიულის რეკონსტრუქცია, რომლის ჩატარების უფლებასაც არ იძლეოდა თ. გოცაძე და სწორედ ეს გარემოება გახდა №57 ხელშეკრულების დადების საფუძველი.

თბილისის საოლქო სასამართლოს აღმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 1 აგვისტოს განჩინებით „საქტელერადიომაუწყებლობის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძველობის გამო.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა „საქტელერადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარე ზ. შენგელიამ და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს აღმინისტრაცი-

ული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 1 აგვისტოს განჩინების გაუქმება, „საქტელერადიომუწყებლობასა“ და თეიმურაზ გოცაძეს შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, როგორც უკანონო და ახალი განჩინებით მისი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 19 თებერვლის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 1 აგვისტოს განჩინება და საქმე ხელახლა განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით სსიპ „საქტელერადიომუწყებლობის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით თ. გოცაძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არღვევდა კანონით დადგენილ წესსა და პირობებს, რის გამოც აღნიშნული მიჩნეულ უნდა ყოფილიყო მართლსაწინააღმდეგო გარიგებამდე სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1018-1099-ე მუხლებით, ხოლო „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაცულია საავტორო უფლების მქონე პირის საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, მაგრამ დასახელებული კანონების არც ერთი ნორმა არ ითვალისწინებს ავტორისაგან საზღაურის ფასად თანხმობის გაცემის აუცილებლობას, რათა საკუთრებაში გადაცემული ხელოვნების ნაწარმოების მიმართ განხორციელდეს რაიმე ქმედება მის სახეცვლილებასთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ანუ ვალდებულებითი სამართლის სფეროს მარგულირებაელი ნორმები, ვინაიდან მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით კორპორაციის მხრიდან თ. გოცაძის მიმართ არანაირი ფულადი ანაზღაურების ვალდებულება არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო, რის გამოც ხელშეკრულება, როგორც მართლსაწინააღმდეგო, იმთავითვე ბათილი იყო, რადგან იგი არღვევდა კანონით დადგენილ წესსა და აკრძალევს.

არ დაეთანხმა რა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, თე-

მურ გოცაძემ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება იყო უკანონო და დაუსაბუთებელი, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს არ მიუთითებია, თუ რომელ წესს არღვევდა ხელშეკრულების აღნიშნული პირობა, რის გამოც სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სასამართლომ ისე ცნო ბათილად 1999 წლის 7 იენისის ხელშეკრულება, რომ ამის შესახებ მოწინააღმდეგე მხარეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით არ დაუყენებია მოთხოვნა აღნიშნულის შესახებ, რითაც სასამართლო გასცდა გადაწყვეტილების ფარგლებს და არსებითად დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმპერატიული ნორმა.

სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1043-ე და 1045-ე მუხლებით განსაზღვრულია ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც მოიცავს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებასაც, ხოლო 1067-ე მუხლის თანახმად, ლეგალიზებულია აღნიშნული უფლების სხვა პირისთვის გადაცემა და ამ ქმედებაში საზღაურის (პონორარის) მიღება, რის გამოც სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ პუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევდა, რომ სასამართლოს მხრიდან აღვილი ჰქონდა კანონის არასწორ შეფასებას, რამაც განაპირობა საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების გამოტანა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო სასამართლო გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს, გააანალიზა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უსაფუძველოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს, რომ კასატორ თ. გოცაძის მიერ საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის ვესტიბიულში 1974 წელს შესრულდა მრავალფიგ-

ურიანი კომპოზიცია, რომელიც უსასყიდლოდ, საჩუქრად გადაეცა ტელევიზიისა და რადიომუწყებლობის კომიტეტს.

ზემოაღნიშნული კომპოზიცია დაზიანდა კომიტეტის შენობაზე შეიარაღებული თავდასხმის შედეგად, რის გამოც, ბუნებრივია, კომპოზიციის დაზიანებაში გამოირიცხა კორპორაციის ბრალი.

1999 წლის 7 ივნისს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომუწყებლობის კორპორაციასა და მხატვარ თ. გოცაძეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის პირველი მუხლით ხელშეკრულების საგნად განისაზღვრა კომპოზიციის დემონტაჟი. ამავე ხელშეკრულებით კორპორაციამ ივალდებულა, მხატვრისათვის დემონტაჟში გადაეხადა 5000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში, ხოლო დემონტაჟს განახორციელებდა თავად კორპორაცია.

ხელშეკრულებით ასევე განისაზღვრა, რომ ვესტიბიულის მოხატვის ესკიზი შესრულებული იქნებოდა იმავე მხატვრის – თ. გოცაძის მიერ.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს საოლქო სასამართლოს განმარტებას ხელშეკრულებასთან მიმართებაში და ადასტურებს, რომ თ. გოცაძისათვის 5000 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში გადაცემა მიზნად ისახავდა თ. გოცაძის თანხმობას მის მიერ შესრულებულ და საჩუქრად გაცემულ კომპოზიციის დემონტაჟზე.

ხელშეკრულების პირობების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საოლქო სასამართლოს მხრიდან ადგილი არა აქვს კანონის არასწორ გამოყენებასა თუ მის არასწორ განმარტებას და თვლის, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულების სახით საქმე გვაქვს ბათილ გარიგებასთან, კერძოდ, კასატორის მიერ ვერ იქნა მითითებული კანონის ვერც ერთი ნორმა, რომელიც გაითვალისწინებდა ავტორის თანხმობის სავალდებულობას სხვის საკუთრებაში მყოფი ნაწარმოების დემონტაჟზე.

სამოქალაქო კოდექსის 1018-1099-ე მუხლები განსაზღვრავდნენ საავტორო უფლებების მქონე პირის ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს.

ამავე კოდექსის 1067-ე მუხლი, რომელსაც კასატორი მიუთითებს, განსაზღვრავდა ავტორის შესაძლებლობას, თავისი ქონებრივი უფლებები გადაეცა მე-3 პირისათვის ან მიეცა მისი ნაწარმოების გამოყენების შესაძლებლობა. განსახილველ შემთხვევაში ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კომპოზიციის დემონტაჟი და არა კორპორაციისათვის ქონებრივი უფლებების გადაცემა თუ მის გამოყენებაზე ნებართვის მინიჭება. შესაბამისად, დაუშვებელია, მითითებული მუხლი საფუძველად დასდებოდა სადავო ხელშეკრულებას.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი შეიცავს ნაწარმოების ავტორთა ქონებრივი უფლებების

ამომწურავ ჩამონათვალს, ამავე კანონის მე-20 მუხლი უშუალოდ ეხება სახეითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის უფლებებს. არც ერთი ზემოაღნიშნული მუხლი სახეითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორს გასხვისებულ ნაწარმოებზე არ ანიჭებს მსგავს უფლებას, რაც, კასატორის აზრით, მას მინიჭებული აქვს სადავო ხელშეკრულებით.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ადასტურებს საოლქო სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის გამოყენების მართებულობას და კასატორის ყურადღებას მიაქცევს შემდეგზე: მოცემულ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები არა მარტო ის გარემოება, რომ არ არსებობდა ხელშეკრულების დადების სპეციალური საფუძვლები, არამედ აღნიშნული ლახავს ხელშეკრულების მონაწილე მხარის უფლებას, განახორციელოს შენობის რეკონსტრუქცია (ე.ი. შეუზღუდავად ისარგებლოს თავისი ქონებით) და მოახდინოს იმ კომპოზიციის დემონტაჟი, რომლის დაზიანებაშიც, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, მხარეს ბრალი არ მიუძღვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის III ნაწილით, 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. თ. გოცამის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საავტორო უფლების დაცვა – ზაღაცემაზე –
„უიუ მუსიკალური ოქტავონი“



გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელმით

№2/ა-41

22 ოქტომბერი, 2002წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სახმართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა
კოლეგიამ

შემდეგი შემადგენლობით:

მადონა ლიბრაძე (თავმჯდომარე და მომხსენებელი),

ქეთევან დუგლაძე.

მარინა ჯიყაშვილი

სხდომის მდივანი: ნათია ხარხელაური

მოსარჩელე: ნიკა მახვილაძე; წარმომადგენელი – ნინო კუნცევა-გაბაშ-
ვილი

მოპასუხეები: 1. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობა; წარმომად-
გენელი – მარინა ივანელაშვილი;

2. ირმა სოხაძე;

3. ნუგზარ ჩხაიძე

წარმომადგენელი – რუსუდან პიტავა.

დავის საგანი: საავტორო უფლებების დაცვის შესახებ.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

სარჩელის მოთხოვნა:

1. ცნობილი იქნენ მოპასუხეები – საქტელერადიომაუწყებლობა, ნუგ-
ზარ ჩხაიძე, ირმა სოხაძე და ალექსანდრე ვახტანგოვი საავტორო უფლება-
თა დამრღვევებად.

2. მათვე აეკრძალოთ გადაცემა „შოუ მუსიკალური ოქტაგონის“ შექმნა, ეკრანიზაცია საჯარო შესრულება და ეთერით გადაცემა.

3. მოპასუხეებს – საქტელერადიომაუწყებლობასა და ირმა სოხაძეს დაეკისროს იმ მიღებული შემოსავლის ჩამორთმევა, რომლებიც მიიღეს საავტორო უფლებების დარღვევის შედეგად, კერძოდ საქტელერადიომაუწყებლობას 163.800 ლარისა და 187.920 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო ირმა სოხაძეს 66.500 ლარის ოდენობით.

4. საქტელერადიომაუწყებლობას დაეკისროს საავტორო პონორარის სახით 23.200 ლარის გადახდა და საბანკო პროცენტის სახით 1342,45 ლარის გადახდა 24542,45 ლარი.

5. მოპასუხეებს დაეკისროთ მორალური ზიანის ფულადი კომპენსაცია.

ა) საქტელერადიომაუწყებლობას – 60.000 აშშ დოლარი.

ბ) ირმა სოხაძეს – 20.000 აშშ დოლარი.

გ) ნუგზარ ჩხაიძეს – 15.000 აშშ დოლარი.

დ) ალექსანდრე ვახტანგოვს – 5.000 აშშ დოლარი.

6. მოპასუხეებს დაეკისროთ საჯაროდ საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ეთერით ბოდიშის მოხდა მოსარჩელისათვის მისი საავტორო უფლებათა დარღვევისათვის.

სარჩელის გარემოებები:

2000 წლის მაისში საქართველოს ტელერადიოდეპარტამენტისა და პირველი არხის ღირეკციამ გამოაცხადა ტელეგადაცემების ტენდერი. მოსარჩელემ კონკურსის პირობების თანახმად წარადგინა აუდიოვიზუალური ნაწარმოების „შოუ მუსიკალური ოქტაგონის პროექტი“. საპროექტო განაცხადი სხვა მონაცემებთან ერთად შეიცავდა გადაცემის სცენარის, ერთი გადაცემის ზუსტ საპონორარო ღირებულებას, გადაცემის ზუსტ ბიუჯეტს. საპროექტო განაცხადში იდეის ავტორებად მითითებული იყო მოსარჩელე ნიკა მახვილაძე და ვასილ მღებრიშვილი. ხოლო პროექტის ავტორად – მოსარჩელე და ნუგზარ ჩხაიძე. მოსარჩელის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ გადაცემის პროექტი მოსარჩელის შესრულებულია და ნუგზარ ჩხაიძეს მის შექმნაში არავითარი წვლილი მიუძღვის, იგი მხოლოდ „პრაგმატული“ მოსაზრებით ჩაწერა თანავტორად.

მოსარჩელე განმარტავს, რომ მან შექმნა აუდიოვიზუალური ნაწარმოების სცენარი, რომელიც ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის საგანს წარმოადგენს და დაცულია საქართველოს კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ და ბერნის კონვენციით.

მოსარჩელე განმარტავს, რომ კონკურსზე წარდგენილი პროექტი სრულიად აკმაყოფილებდა გამოცხადებულ პირობებს, მუსიკალური გადაცემის ნომინაციაში მეორე ადგილი დაიკავა და მის საფუძველზე შექმნა გადაცემა

„მუსიკალური-ოქტაგონი“, რომელიც კონკურსის პირობების თანახმად 2000 წლის სექტემბერში ეთერით გავიდა. პროგრამის პირველ გადაცემებში მოსარჩელის სახელი, ავტორობა პროექტზე და სცენარზე მითითებული და დაცული იყო, მოგვიანებით კი ტიტრები შეიცვალა და მოსარჩელის ავტორობა შენარჩუნებული იქნა მხოლოდ იდეაზე, ხოლო 2001 წლის თებერვლის შემდეგ გადაცემის ტიტრებიდან საერთოდ ამოღებული იქნა მოსარჩელის სახელი და ავტორებად მითითებული არიან მოპასუხეები ნუგზარ ჩხაიძე და ირმა სოხაძე.

2001 წლის კონკურსზე მოპასუხე ნუგზარ ჩხაიძემ წარადგინა იგივე პროექტი სახელწოდებით – „განახლებული მოსიკალური ოქტაგონი“.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ მოპასუხეებმა დაარღვიეს „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის“ მოთხოვნები, არ დადეს რა მასთან საავტორო ხელშეკრულება, შეიტანეს პროგრამაში ცვლილებები, რამაც მოსარჩელეს მორალური ზიანი მიაყენა, შელახა მისი პროფესიული ავტორიტეტი და საქმიანი რეპუტაცია.

მოპასუხეებმა – ირმა სოხაძემ და ნუგზარ ჩხაიძემ სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის“ მე-15 მუხლის თანახმად, აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორებად მიიჩნევა სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი, ავტორი ტექსტიანი და უტექსტო ნაწარმოების, რომელიც შექმნილია სპეციალურად ამ აუდიოვიზუალური ნაწარმოებისათვის. მოსარჩელე კი არის მხოლოდ პროექტის თანავტორი. „პროექტი“ სინონიმი სიტყვებისა „იდეა“, „კონცეფცია“, რომლებზედაც საავტორო უფლება არ ვრცელდება. როდესაც ტენდერზე გადის ციკლური გადაცემა, იგი გადის კონცეფციის იდეის სახით, ხოლო დამტკიცებისა და წარმოებაში ჩაშვების შემდეგ ყოველ ცალკეულ გადაცემაზე კეთდება ორიგინალური სცენარი და იწერება დიალოგები. მოსარჩელეს ეთერში გასული არცერთი გადაცემის სცენარისა და დიალოგის დაწერაში არ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ იგი გადაცემის ტიტრებში მოიხსენიებოდა იდეის ავტორად.

სარჩელი არ სცნო მოპასუხე საქტელერადიომაუწყებლობამ და წერილობით შესაგებელში მიუთითა, რომ 2000 წლის მაისში გამოცხადებულ კონკურსზე მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი იყო მუსიკალური გასართობი პროგრამის შოუ „ოქტაგონი“ პროექტი-კონცეფცია. „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის 5.3 მუხლის თანახმად, საავტორო უფლება იდეებზე და კონცეფციებზე არ ვრცელდება.

მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი პროექტი-კონცეფცია არ შეიძლება ჩაითვალოს სცენარად იგი არ არის ნაწარმოები, ის მხოლოდ გადაცემის ტექნიკური აღწერაა.

მოსარჩელე მხარემ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხეების სანდრო ვახტანგოვისა და ვაჟა დვალის შვილის მიმართ სასარჩელო მოთხოვნაზე უარი თქვა.

მოსარჩელემ ასევე უარი თქვა სასარჩელო მოთხოვნაზე, რომელიც ეხებოდა „შოუ მუსიკალური ოქტაგონის“ შექმნას, ეკრანიზაციას, საჯარო შესრულებასა და ეთერით გადაცემის აკრძალვას.

საქმის მომზადების სტადიაზე მოპასუხეთა შუამდგომლობით იმ საკითხის განმარტებისათვის წარმოადგენს თუ არა მოსარჩელის მიერ წარდგენილი საკონკურსო განაცხადი ლიტერატურულ სცენარს, დაინიშნა ექსპერტიზა. მოწვეულ 6 ექსპერტიდან ექსპერტიზაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ირაკლი ღლონტმა და გიორგი ხოშტარიამ.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლო კოლეგიამ მოისმინა მხარეთა განმარტებები შეამოწმა სარჩელის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები, შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებანი და მიაჩნია, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელის განმარტებით და საქმის მასალებით დადგენილია, რომ

1. 2000 წლის მისში სატელერადიომაუწყებლობამ გამოაცხადა პირველი და მეორე არხების სატელევიზიო გადაცემათა კონკურსი.

2. კონკურსის დებულების თანახმად მოსარჩელემ წარადგინა მუსიკალური გასართობი პროგრამის შოუ „მუსიკალური ოქტაგონის“ პროექტი, რომელიც შეიცავდა შემდეგ მონაცემებს: ინფორმაციას განმცხადებლისა და შემოქმედებითი ჯგუფის შესახებ, პროექტის კონცეფციას და მუსიკალური შოუ „ოქტაგონის“ სცენარს, მუსიკალური ოქტაგონის ინტერაქტივს, შემოსავლის წყაროებს და სარეკლამო კომპანიას.

3. საკონკურსო განაცხადის მიხედვით გადაცემის შემოქმედებით ჯგუფში გარდა მოსარჩელისა შედიოდნენ თავად ნ. ჩხეიძე, ი. სოხაძე და ვ. მღებრიშვილი.

4. მოსარჩელის მიერ წარდგენილ გადაცემის პროექტის, როგორც ხელნაწერი, ასევე ნაბეჭდი ეგზემპლარის თავფურცელზე მოსარჩელე თავის თავს მოიხსენიებს იღვის და პროექტის ავტორად.

5. მოსარჩელე, საავტორო უფლების ობიექტად აუდიოვიზუალური ნაწარმოების შემადგენელ ნაწილად – სცენარად, მიიჩნევს საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ნაწილს კერძოდ: საქმის ფურცელ 64-დან მუსიკალური შოუ „ოქტაგონი“ – საქმის ფურცელ 66-მდე – მუსიკალური ოქტაგონის ინტერაქტივაში.

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით, „აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს“ მიეკუთვნება კინემატოგრაფიული და სხვა ნაწარმოები, რომლებიც გამოხატულია კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით (ტელე – ვიდეო – დიაფილმები და სხვა). ამ ნორმის განმარტებიდან გამომდინარე სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ საქტელერადიომაუწყებლობის პირველი არხის გასართობი პროგრამა შოუ „მუსიკალური ოქტაგონი“ არ წარმოადგენს აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს და არც მოსარჩელის მიერ მითითებული სცენარი – აუდიოვიზუალური ნაწარმოების სცენარს.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ეთერით გადაცემული გასართობი პროგრამა შოუ მუსიკალური ოქტაგონი, არის საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული მაუწყებლობის ორგანიზაციითა გადაცემა – პროგრამა, რომელიც შექმნილია თვით საეთერო ან საჯარო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ, ან მისი შეკვეთით და მისივე სახსრებით სხვა ორგანიზაციის მიერ და იგი მიეკუთვნება ამავე კანონის მე-6 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხვა ნაწარმოებთან რიგს; ხოლო დავის საგანი წარმოადგენს ამ პროგრამის პროექტს, რომელიც ასეთი სახით არ შეიძლება განიხილებოდეს საავტორო უფლების ობიექტად.

სასამართლო კოლეგია არ იზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას, რომ მის მიერ მითითებული სადავოდ გამხდარი სცენარი საავტორო უფლების ობიექტია. იგი წარმოადგენს არა იმ სახის სცენარს, რომელიც დაცულია საავტორო კანონით არამედ სასცენარო გეგმას, გადაცემის ტექნიკურ აღწერას. ამ გარემოებას ადასტურებენ ასევე ექსპერტთა დასკვნები, კერძოდ, ექსპერტი ირაკლი ღლონტი საექსპერტო დასკვნაში მიუთითებს შემდეგს; წარმოდგენილი ნამუშევარი წარმოადგენს სასცენარო გეგმას, რომლის საშუალებითაც იქმნება წარმოდგენა მომავალი ეკრანული ნაწარმოების შესახებ, ანუ სადავო ობიექტი არ წარმოადგენს სრულყოფილი სახის სასცენარო ნაწარმოებს, იგი წარმოადგენს მხოლოდ პროექტს.

გარდა ამისა თავად მოსარჩელეც თავის თავს გადაცემის იდეისა და პროექტის ავტორად მიიჩნევს, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის 5.3 მუხლის თანახმად კი საავტორო უფლება არ ვრცელდება „იდეებზე და კონცეფციებზე“.

ამდენად მოსარჩელის მიერ სატელევიზიო გადაცემების კონკურსში წარდგენილი გადაცემის შოუ – მუსიკალური ოქტაგონის პროექტი არ წარმოადგენს საავტორო უფლების დაცვის ობიექტს.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცედო კოდექსის 243-ე, 244-ე, 248-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით, გადაწყვიტა:

1. მოსარჩელე ნიკა მახვილაძეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.
2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№3კ/324-03

17 ივნისი, 2003 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და აკორების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მაია ახალაძე (თავმჯდომარე),
ნუნუ კვანტალიანი (მომხსენებელი),
მაია სულხანიშვილი

სხდომის მდივანი: გურამ სუპატაშვილი

კასატორი: ნიკა მახვილაძე (მოსარჩელე); წარმომადგენელი – ნინო კუნცევა-გაბაშვილი

მოწინააღმდეგე მხარე: 1. საქართველოს ტელერადიომუწყებლობის კომპანია (მოპასუხე); წარმომადგენელი – მარინა ივანელაშვილი

2. ირმა სოხაძე

3. ნუგზარ ჩხაიძე (მოპასუხეები)

წარმომადგენელი – რუსუდან პიტავა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება

კასატორის მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

სარჩელის საგანი: სააეტორო უფლებათა დაცვა.

ნიკა მახვილაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხეების – საქტელერადიომაუწყებლობის, ნუგზარ ჩხაიძის და ირმა სოხაძის საავტორო უფლებათა დამრღვევად ცნობა; გადაცემის „შოუ მუსიკალური ოქტაგონის“ შექმნის, ეკრანიზაციის საჯარო შესრულების და ეთერით გადაცემის აკრძალვა; საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევით მიღებული შემოსავლის მოპასუხეებისათვის; საქტელერადიომაუწყებლობისათვის 163800 ლარის და 187920 აშშ დოლარის, ხოლო ირმა სოხაძისათვის 66500 ლარის ჩამორთმევა; საქტელერადიომაუწყებლობას საავტორო ჰონორარის სახით 23200 ლარის და საბანკო პროცენტის 1342,45 ლარის, სულ 24542,45 ლარის დაკისრება; მოპასუხეებისათვის მორალური ზიანის დაკისრება თითოეულ მათგანს შემდეგი ოდენობით: საქტელერადიომაუწყებლობას – 60000 აშშ დოლარი, ირმა სოხაძეს – 20000 აშშ დოლარი, ნუგზარ ჩხაიძეს – 15 000 აშშ დოლარი; მოპასუხეებისათვის მოთხოვნილ თანხებზე მორალური ზიანის გარდა საურავის დაკისრება. მოპასუხეებისათვის საჯაროდ ბოდიშის მოხდის დაკისრება საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ეთერით, მოსარჩელის საავტორო უფლებათა დარღვევისათვის. ნ.მახვილაძე სასარჩელო მოთხოვნებს ასაბუთებდა შემდეგით: საქართველოს ტელერადიოდეპარტამენტმა და პირველმა არხმა 2000 წლის მაისში გამოაცხადა ტელეგადაცემების ტენდერი. მოსარჩელემ საკონკურსო პირობების დაცვით წარადგინა აუდიოვიზუალური ნაწარმოების „შოუ მუსიკალური ოქტაგონის“ პროექტი. საპროექტო განაცხადში იღვის ავტორებად მითითებული იყვნენ ნიკა მახვილაძე და ვასილ მღებრიშვილი, პროექტის ავტორებად კი მოსარჩელე და ნუგზარ ჩხაიძე. თუმცა ამ უკანასკნელს სცენარის და მთლიანად პროექტის შემუშავებაში არავითარი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი წვლილი არ შეუტანია და იგი მთლიანად მოსარჩელეს ეკუთვნის, რასაც ადასტურებს სცენარის და პროექტის ნ.მახვილაძის მიერ შესრულებული ხელნაწერი. მოსარჩელის მტკიცებით, პროექტი შემუშავებული იქნა მის მიერ, შოუს ეთერში გასვლამდე ერთი წლით ადრე, იგი პირველად გამოქვეყნდა 2000 წლის მაისის კონკურსზე, სრულად აკმაყოფილებდა კონკურსის პირობებს და მუსიკალური გადაცემების ნომინაციაში მეორე ადგილი დაიკავა. ნიკა მახვილაძის ავტორობა სცენარზე, პროექტზე და იდეაზე დასტურდება კონკურსზე წარდგენილი პროექტის თავფურცელზე აღნიშვნებით, ტელერადიოდეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული შედეგებით; ეთერში გამოსული „შოუ-მუსიკალური ოქტაგონის“ ტიტრებით და ირმა სოხაძის მიერ სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებისათვის მიცემული ინტერვიუებით. გადაცემა, კონკურსის პირობებ-

ის თანახმად, ეთერში 2000 წლის სექტემბრიდან გავიდა და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სატელევიზიო პროგრამების რეიტინგში ლიდერობდა. გადაცემა გადიოდა ყველაზე „პრესტიჟულ“ დროს – კვირა საღამოს 22⁰⁰ საათზე, რაც უზრუნველყოფდა სარეკლამო ბლოკებიდან მაღალი შემოსავლების მიღებას. ამასთან, მოპასუხეებისათვის დამატებითი შემოსავლის წყარო იყო გადაცემის სპონსორების მიერ გადახდილი თანხები და გადაცემაზე დასასწრები ბილეთების რეალიზაციით შემოსული თანხები. პირველ გადაცემებში მოსარჩელის ავტორობა პროექტზე და სცენარზე მითითებული იყო, მოგვიანებით ტიტრები შეიცვალა და ავტორობა შენარჩუნდა მხოლოდ იდეაზე. 2001 წლის თებერვლიდან კი „მუსიკალური ოქტაგონის“ ტიტრებიდან საერთოდ ამოღებულ იქნა მოსარჩელის გვარი და პროგრამის ავტორებად დაფიქსირდნენ ნუგზარ ჩხაიძე და ირმა სოხაძე. პროექტმა კონკურსზე სწორედ ნიკა მახვილაძის ავტორობით გაიმარჯვა და კონკურსზე წარმოდგენილი პროექტი სხვა მასალებთან ერთად შეიცავდა პროექტის ავტორის ხელმოწერილ განაცხადს, გადაცემის საპროგრამო ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვას, ზუსტ ბიუჯეტს და ლიტერატურულ სცენარს, რომლის ავტორად აღნიშნული არის ნიკა მახვილაძე. 2001 წლის კონკურსზე ნუგზარ ჩხაიძემ წარადგინა იგივე პროექტი სახელწოდებით „განახლებული მუსიკალური ოქტაგონი“, სადაც ავტორად თავისი თავი მიუთითა და ამ პროექტმა პირველი ადგილი დაიკავა. მოპასუხებმა არ დადეს რა მოსარჩელესთან საავტორო ხელშეკრულება, მოსარჩელის ნებართვის გარეშე შეიტანეს პროგრამაში ცვლილებები, რითაც დაარღვიეს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, მიაყენეს მოსარჩელეს მორალური ზიანი, შელახეს მისი პროფესიული ავტორიტეტი და საქმიანი რეპუტაცია.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი მოტივებით: საქტელემაუწყებლობის მიერ 2000 წლის მაისში გამოცხადებულ კონკურსზე მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი იყო მუსიკალურ-გასართობი შოუ „ოქტაგონის“ პროექტი-კონცეფცია. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მეხამე პუნქტის თანახმად საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში“. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი პროექტი-კონცეფცია არ შეიძლება ჩაითვალოს სცენარად, იგი არ არის ნაწარმოები, ის მხოლოდ გადაცემის ტექნიკური აღწერაა, რის გამოც მოსარჩელეზე არ ვრცელდება კანონის მეექვსე მუხლი. მოსარჩელეს პონორარი არ უნდა მიეღო, ვინაიდან კონკურსში მონაწილეობისათვის არ იყო დაწესებული არანაირი პონორარი.

ნ.მახვილაძეს ეთერში გასული არც ერთი გადაცემის სცენარის თუ დიალოგის დაწერაში მონაწილეობა არ მიუღია. დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნა მორალურ ზიანზე.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ.მახვილაძის სარჩელს უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ მოსარჩელის მიერ სატელევიზიო გადაცემების კონკურსში წარდგენილი გადაცემის პროექტი არ წარმოადგენს საავტორო უფლების დაცვის ობიექტს. სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებს, მე-6 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტს და მე-5 მუხლის მესამე პუნქტს.

ნიკა მახვილაძე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებას და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის მეორე პუნქტის, 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და სამოქალაქო კოდექსის 982-ე, 985-ე, 992-ე, 413-ე და მე-18 მუხლების საფუძველზე მისი სარჩელის დაკმაყოფილებას შემდეგი მოტივებით: სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში არ მიუთითა მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნათა საფუძველად მითითებული შემდეგი გარემოებები: საქტელერადიომაუწყებლობამ საავტორო ხელშეკრულებები დადო რა მესამე პირებთან გადაცემის მომზადების თაობაზე, ნ.მახვილაძის მიერ შექმნილ პროექტს და მასში ჩართულ ციკლური გადაცემის სცენარს საავტორო უფლებების ობიექტად მიიჩნევდნენ. სარჩელში ასევე მითითებულია, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში მორალური ზიანის მიყენება საავტორო უფლებების დარღვევისას პრეზუმირებულია.

სასამართლო კოლეგია „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით არასწორად მიიჩნევს, რომ სადავო პროგრამა არ წარმოადგენს აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს და არც მოსარჩელის მიერ მითითებული სცენარი – აუდიოვიზუალური ნაწარმოების სცენარს. კოლეგიის ეს მოსაზრება ეწინააღმდეგება მითითებული ნორმის შინაარსს და „მხატვრული და ლიტერატურული ნაწარმოებების დაცვის შესახებ“ ბერნის კონვენციის მეორე მუხლის პირველ ქვეპუნქტს, რომელიც ტელეგადაცემებს კინემატოგრაფიულ (აუდიოვიზუალურ) ნაწარმოებებს უთანაბრებს.

კოლეგიას მიაჩნია, რომ გასართობი პროგრამა შოუ „მუსიკალური ოქტაგონი“ არის „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემა პროგრამა, რომელიც შექმნილია თვით საეთერო ან საჯარო

მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლის – საავტორო უფლების ერთ-ერთი სუბიექტის ცნებას და არა სამაუწყებლო ორგანიზაციის ანუ საავტორო უფლების ობიექტის ეთერით გადაცემული პროგრამის ცნებას. სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ „მუსიკალური ოქტაგონი“ არის მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემა – პროგრამა ... და იგი მიეკუთვნება ამავე კანონის მე-6 მუხლის „წ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხვა ნაწარმოებთა რიგს“. აღნიშნული ეწინააღმდეგება ამავე კანონის არსს, რადგან მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემა არის მომიჯნავე უფლებების ობიექტი, მას არეგულირებს კანონის 45-53-ე მუხლები და იგი არ მიეკუთვნება „სხვა ნაწარმოებთა რიგს“. შოუ „მუსიკალური ოქტაგონი“ წარმოადგენს არა საქტელერადიომაუწყებლობის გადაცემას, არამედ მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემაში ჩართულ აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს. კანონის 45.2 მუხლის თანახმად საქტელერადიომაუწყებლობა ვალდებული იყო საავტორო ხელშეკრულებები დაედო გამარჯვებული პროექტის ავტორებთან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავოდ გამზდარი სცენარი წარმოადგენს არა იმ სახის სცენარს, რომელიც დაცულია საავტორო კანონით, არამედ „სასცენარო გეგმას“. საავტორო კანონმდებლობა დაცვას ავრცელებს სხვადასხვა სახის „სასცენარო ნაწარმოებებზე“, მათ შორის სასცენარო გეგმაზეც. სასამართლომ არასწორად შეაფასა ექსპერტ ი.ღლონტის დასკვნაც. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქტელერადიომაუწყებლობას ინდ. მეწარმე „ირმა სოხაძესთან“ და კომპანია „ფიგარო“-სთან დადებული ჰქონდა საავტორო ხელშეკრულებები, სადაც მხარეები მახვილადის პროექტს და სასცენარო გეგმას საავტორო უფლებების ობიექტად მიიჩნევენ.

სასამართლო დაუსაბუთებლად აიგივებს „პროექტს“ და „კონცეფციას“ როდესაც მიუთითებს, რომ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის 5.3 მუხლის თანახმად კი საავტორო უფლება არ ვრცელდება „იდეაზე და კონცეფციაზე“. არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, პროექტი შეიძლება რთული ობიექტი იყოს, რომელიც შეიცავს როგორც საავტორო უფლებებით დაცულ ნაწარმოებებს, ისე დაცვის მიღმა არსებულ ობიექტებს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების საკასაციო საჩივრის ფარგლებში შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად თელის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. ასეთი სახის პრეტენზია კასატორს არ წარმოუდგენია, ზოლო თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა კოლეგიამ დამტკიცებულად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს ტელერადიომუწყებლობამ 2000 წლის მაისის თვეში გამოაცხადა პირველი და მეორე არხების სატელევიზიო გადაცემათა კონკურსი. ნიკა მახვილაძემ კონკურსის დებულების თანახმად წარადგინა მუსიკალური გასართობი პროგრამის შოუ „მუსიკალური ოქტაგონის“ პროექტი, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას განმცხადებლისა და შემოქმედებითი ჯგუფის შესახებ, პროექტის კონცეფციას და მუსიკალური ოქტაგონის ინტერაქტივს, შემოსავლის წყაროებს და სარეკლამო კამპანიას, საკონკურსო განაცხადის მიხედვით გადაცემის შემოქმედებით ჯგუფში გარდა ნ.მახვილაძისა შედიოდნენ ნუგზარ ჩხეიძე, ირმა სოხაძე და ვასილ მღებრიშვილი. საქმეში ნიკა მახვილაძის მიერ წარმოდგენილი გადაცემის პროექტის როგორც ხელნაწერი, ასევე ნაბეჭდი ეგზემპლარის თავფურცელზე მოსარჩელე თავის თავს მოიხსენიებს იდენტურად პროექტის ავტორად. ნიკა მახვილაძე საავტორო უფლების ობიექტად – აუდიოვიზუალური ნაწარმოების შემადგენელ ნაწილად, სცენარად მიიჩნევს საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ნაწილს – საქმის ფურცელ 64-დან, მუსიკალური შოუ „ოქტაგონიდან“ საქმის ფურცელ 66-მდე – მუსიკალური ოქტაგონის ინტერაქტივამდე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე სასამართლო კოლეგიამ სავსებით სწორად გამოიყენა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტი და მიიჩნია, რომ საქტელერადიომუწყებლობის პირველი არხის გასართობი პროგრამა შოუ „მუსიკალური ოქტაგონი“ არ წარმოადგენს აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს. აღნიშნული ნორმის თანახმად „აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს მიეკუთვნება კინემატოგრაფიული ან სხვა ნაწარმოებები, რომლებიც გამოხატულია კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით (ტელე-, ვიდეო-, დიაფილმები და სხვა). კანონის ეს დანაწესი შესაბამისობაშია ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის მეორე მუხლთან, რომლითაც საავტორო სამართლის ობიექტად მიჩნეულია კინემატოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებსაც უთანაბრდება კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებით შექმნილი ნაწარმოებები. კინემატოგრაფიულ ნაწარმოებს წარმოადგენს რა განსაზღვრული

მიმდევრობით მონაცვლე გამოსახულების აღბეჭდვა მგრძნობიარე ფირზე ფილმის სახით ჩვენებისათვის ხმის თანხლებით ან მის გარეშე, მასში მოიაზრება უპირველესად კინოფილმი, აგრეთვე ტელეფილმი, ვიდეოფილმი, დიაფილმი და სხვა მსგავსი ნაწარმოებები, რომელთა ერთგვაროვნად მიჩნევის აუცილებელ კრიტერიუმს წარმოადგენს ამ ტიპის ნაწარმოებთა არსი და არა მათი შექმნის საშუალებები (ტექნიკა და სხვა). აღნიშნულთან დაკავშირებით უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, რომ ბერნის კონვენცია ტელეგადაცემებს უთანაბრებს კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებს.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებათ შესახებ“ საქართველოს კანონის მეხუთე მუხლის პირველი ნაწილი მსგავსად ბერნის კონვენციისა განსაზღვრავს საავტორო სამართლით დაცვად ობიექტთა წრეს, რომლის თანახმად საავტორო უფლება ვრცელდება როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა. ზემოხსენებულ ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება სცენარიც, რომელიც წერილობითი ფორმით ასახავს თეატრალურ, სასცენო, ტელერადიომაუწყებლობის ან კინემატოგრაფიის ნაწარმოებს და ზუსტად გადმოსცემს ამ სახის ნაწარმოებთა სიუჟეტს.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ საავტორო კანონმდებლობა დაცვას ავრცელებს სხვადასხვა სახის სასცენო ნაწარმოებზე, მათ შორის სასცენარო გეგმაზე. ეს უკანასკნელი თავისი შინაარსით წინასწარი, სავარაუდო მონახაზია რა სცენარისა, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით საავტორო უფლებათა დაცვის ობიექტად დასახელებული არ არის და თავისი თვისებებიდან გამომდინარე ასეთად ვერ იქნება მიჩნეული. ამასთან, ამავე კანონის 5.3 მუხლის თანახმად, „საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია, ან ზორცმესხმულია ნაწარმოებში.“

აღნიშნული საკითხები ანალოგიურადაა გადაწყვეტილი ბერნის კონვენციითაც. გარდა ამისა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (ე.წ. TRIPS) ხელშეკრულების მეორე ნაწილის 9.2 მუხლის თანახმად „საავტორო უფლების დაცვა ვრცელდება გამოსახვის ფორმაზე და არა იდეებზე, პროცედურებზე, ფუნქციონირების მეთოდებზე ...“.

უსაფუძვლო კასატორის მოსაზრება, რომ შოუ „მუსიკალური ოქტაგონის“ გადაცემასთან დაკავშირებით საქტელერადიომუწვებლობის მიერ მესამე პირებთან დადებული ხელშეკრულებებით კასატორის მიერ შექმნილი პროექტი მიჩნეულია საავტორო უფლების ობიექტად, რაც ამყარებს ნ.მახვილაძის პოზიციას. საავტორო სამართლის დაცვად ობიექტთა წრე განსაზღვრულია კანონით და მესამე პირთა, თუნდაც სადავო ურთიერთობაში მოპასუხეთა, მოსაზრებას ამ საკითხის გადაწყვეტისას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

საკასაციო პალატა არ იზიარებს საოლქო სასამართლოს შეფასებას, რომ საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ეთერით გადაცემული გასართობი პროგრამა შოუ „მუსიკალური ოქტაგონი“ არის საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემა და მიეკუთვნება ამავე კანონის მე-6 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხვა ნაწარმოებთა რიგს, რომლის დაცვაც მოწესრიგებულია ამავე კანონის მე-9 თავით. მხოლოდ ის გარემოება, რომ შოუ „მუსიკალური ოქტაგონი“ შექმნილია საქტელერადიომუწვებლობასთან შეთანხმებით არ შეიძლება იყოს მისი მომიჯნავე უფლების ობიექტად მიჩნევის საფუძველი. ვინაიდან, ზემოხსენებული საკითხი დავის საგანს არ წარმოადგენს და, ამასთან, არსებითად არ ცვლის დავაზე მისაღები გადაწყვეტილების შედეგს, იგი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად ვერ იქნება მიჩნეული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ნიკა მახვილაძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა სააპელაციო კოლეგიის 2002 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

რეტრანსლაციის აკრძალვა



ზ ა ნ რ ი ნ ე ბ ა საქართველოს სახელით

№2/ა-259-2002

6 დეკემბერი, 2002წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ

შემდეგი შემადგენლობით: მ. ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
გ. გულეღანი,
მ. ჯიყაშვილი (მომხსენებელი)

განიხილა რუსეთის სატელევიზიო კომპანია „პირველი არხის“ სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და გამოარკვია:

ა ღ წ ე რ ი ლ ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

2002 წლის 4 დეკემბერს მოსარჩელემ რუსეთის სატელევიზიო კომპანია „პირველი არხი“ („ორტ პირველი არხი“) მომართა სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მოპასუხეების შპს „ნიკა-95“-ის, შპს „დიდგორის“, შპს „მე-7 არხისა“ და შპს „ტვ-8“-ის მიმართ მისი სატელევიზიო გადაცემების რეტრანსლაციის აკრძალვის მოთხოვნით.

სარჩელი სასამართლოში წარდგენილია შპს „მელინბრუკ ლიმიტედ ჯორჯიას“ დირექტორის არჩილ თაბაგარის მიერ.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლო კოლეგიამ შეისწავლა სარჩელი და თანდართული მასალები და შეაფასა რა სარჩელის დასაშვებობის პირობები მიიჩნია, რომ სარჩელს უარი უნდა ეთქვას მიღებაზე შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის მიხედ-

ვით, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, თუ („ზ“) დაინტერესებული პირის სახელით განცხადება შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.

რუსეთის სატელევიზიო კომპანია „პირველი არხის“ („ორტ პირველი არხი“) სარჩელი ხელმოწერილია შპს „მელინბრუკ ლიმიტედ ჯორჯიას“ დირექტორის მიერ, რომელსაც უფლებამოსილება სარჩელის წარდგენის შესახებ მიღებული აქვს კომპანია „როდინა ლიმიტედისაგან“, როგორც „პირველი არხის“ პროგრამების რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ გავრცელებაზე უფლებამოსილი სააგენტო.

სარჩელთან ერთად არ იქნა წარმოდგენილი სარჩელზე ხელისმომწერი პირისათვის უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირისათვის „მელინბრუკ ლიმიტედ ჯორჯიასათვის“ მოსარჩელის მიერ მის უფლებების გადაცემის შესახებ სათანადო მტკიცებულება, რის გამოც სასამართლო კოლეგია თვლის, რომ რუსეთის სატელევიზიო კომპანია „პირველი არხის“ სარჩელი წარდგენილია სათანადო უფლებამოსილების არმქონე პირის მიერ.

იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე, 187-ე, 414-416-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით, სასამართლო კოლეგიამ დაადგინა:

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

1. რუსეთის სატელევიზიო კომპანია „პირველი არხის“ („ორტ პირველი არხი“) სარჩელს უარი ეთქვას მიღებაზე.

2. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა თბილისის საოლქო სასამართლოში მოსარჩელისათვის მისი გადაცემიდან 12 დღის ვადაში.



ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№2/ა-260-2002

6 დეკემბერი, 2002წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია

შემადგენლობა: მ. ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
მ. ჯიფაშვილი,
გ. გულელანი (მომხსენებელი)

სასამართლო კოლეგიამ განიხილა სრულიად რუსეთის სახელმწიფო სატელევიზიო და რადიოსამაუწყებლო კომპანიას („PTP“) წარმომადგენლის შპს „მელინბრუკ ლიმიტედ ჯორჯია“-ს ღირექტორის არჩილ თაბაგარიხ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მომართა სამაუწყებლო კომპანია „PTP“-ის წარმომადგენელმა მოპასუხეების შპს „ნიკა-95“-ისა, შპს „მე-7 არხი“-ს, შპს „დიდგორის“, შპს „A+B“-ს, შპს „ტე-8“-ს მიმართ საავტორო (მომიჯნავე) უფლებების დარღვევის შესახებ.

მოსარჩელე განმარტავს, რომ მოპასუხეები შპს „ნიკა-95“-ის, შპს „მე-7 არხის“ შპს „დიდგორის“, შპს „A+B“-ს, შპს „ტე-8“-ს მიერ სამაუწყებლო კომპანია „PTP“-ის რეტრანსლაცია მიმდინარეობს უნებართვოდ, ატარებს ყოველდღიურ ხასიათსა და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ითხოვს საქმის განხილვის დასრულებამდე მოპასუხეებს შპს „ნიკა-95“-ს, შპს „მე-7 არხს“, შპს „დიდგორს“, შპს „A+B“-ს, შპს „ტე-8“-ს აეკრძალოს სამაუწყებლო კომპანია „PTP“-ის სატელევიზიო გადაცემების რეტრანსლაცია.

სასამართლო კოლეგიამ განიხილა წარმოდგენილი განცხადება, მიიჩნია, რომ ის უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 191-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე მითითებას იმაზე, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიებების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს საჭიროდ.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „საქმის არსებით განხილვამდე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს განჩინება, რომელიც უკრძალავს მოპასუხეს, რომლის მიმართაც არსებობს საფუძველიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია საავტორო და მომიჯნავე უფლებები, განსაზღვრულ მოქმედებათა შესრულებას, როგორცაა დამზადება, რეპროდუცირება, ვაყიდვა, გაქირავება იმპორტი და ამ კანონით გათვალისწინებული ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება“.

სამაუწყებლო კომპანია „PTP“-ის წარმომადგენლის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებათა დასადასტურებლად წარმოდგენილი მტკიცებულებები (სანოტარო აქტები ფაქტის დადასტურების შესახებ), სასამართლოს უქმნის საფუძველიან ეჭვს იმის თაობაზე, რომ მოპასუხის მიერ დარღვეულია მოსარჩელის მომიჯნავე უფლებები. რაც სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველია.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა სსკ-ის 284-ე, 285-ე, 191-ე, 198-ე მუხლის პირველი ნაწილით და იმავე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტით, 194-ე მუხლით, „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის პირველი პუნქტით, დაადგინა:

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

1. სამაუწყებლო კომპანია „PTP“-ის წარმომადგენლის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდეს.
2. აეკრძალოს მოპასუხეებს: შპს „ნიკა-95“-ს, შპს „მე-7 არხს“, შპს „დიდგორს“, შპს „A+B“-ს, შპს „ტი-8“-ს სამაუწყებლო კომპანია „PTP“-ის გადაცემების რეტრანსლაცია საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე.
3. განჩინების გასაჩივრება შეიძლება კერძო საჩივრით თბილისის საოლქო სასამართლოში მოპასუხეთათვის განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№2/ა-260-2002

26 დეკემბერი, 2002წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ

შემდეგი შემადგენლობით: მ. ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
გ. გულელანი (მომხსენებელი),
მ. ჯიყაშვილი

განიხილა მოპასუხების „ნიკა-95“-ის და შპს „დიდგორის კერძო საჩივარი კოლეგიის 2002 წლის 6 დეკემბრის განჩინების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 6 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელე სრულიად რუსეთის სახელმწიფო სატელევიზიო და რადიოსამაუწყებლო კომპანია (PTP) წარმომადგენლის შპს „მელინბრუკ ლიმიტედ ჯორჯიას“ ღირექტორის არჩილ თაბაგარის განცხადების საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხეებს შპს „ნიკა-95“-ს, შპს „მე-7 არხს“, შპს „დიდგორს“, შპს „A+B“-ს, შპს „ტე-8“-ს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე აეკრძალათ სამაუწყებლო კომპანია „PTP“-ის გადაცემების რეტრანსლაცია.

2002 წლის 12 დეკემბერს შპს „ნიკა-95“-მა და შპს „დიდგორმა“ კერძო საჩივრით მომართეს სასამართლოს კოლეგიის 2002 წლის 6 დეკემბრის განჩინების ნაწილობრივი გაუქმების მოთხოვნით.

სასამართლო კოლეგიას ბიანია, რომ შპს „ნიკა-95“-ის და შპს „დიდგორის“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

კერძო საჩივრის ავტორმა განჩინების გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა ის გარემოება, რომ თითქოს განმცხადებლის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა არ იყო სათანადოდ დასაბუთებული, კერძოდ არ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომელიც მოცემულ საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის. ეს მაშინ, როცა „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის 61-ე მუხლის შესაბამისად „საქმის არსებით განხილვამდე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს განჩინება, რომელიც უკრძალავს მოპასუხეს, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია საავტორო და მომიჯნავე უფლებები, განსაზღვრულ მოქმედებათა შესრულებას, როგორცაა დამზადება, რეპროდუცირება, გაყიდვა, გაქირავება, იმპორტი და ამ კანონით გათვალისწინებული ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება“.

განჩინების გაუქმების მეორე მოტივად კერძო საჩივარში მითითებულია იმ გარემოებებზე, რომ სასამართლომ არ დააკლდებულა მოსარჩელე წარმოდგინა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შ დეგად მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. ეს მაშინ, როცა სსკ-ს 199-ე მუხლის შესაბამისად მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნა სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება.

კერძო საჩივრის ავტორები 6 დეკემბრის განჩინების გაუქმებას ითხოვენ იმის გამოც, რომ განმცხადებელს არ წარმოუდგენია რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ტელეარხების „როსიას“ და „კულტურას“ სამაუწყებლო კომპანია „PTP“-სადმი კუთვნილების ფაქტს. ეს მაშინ, როცა მითითებული ტელეარხების რტრ-ის კუთვნილება ეჭვს არ იწვევს.

კერძო საჩივარში მითითებულია ასევე იმის შესახებ, რომ შპს „მელინბრუკ ლიმიტედ ჯორჯიას“ სახელზე გაცემული მინდობილობა არაა დამოწმებული სანოტარო წესით, ეს მაშინ, როცა აღნიშნული მინდობილობა სანოტარო წესით დამოწმებას არ საჭიროებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო შპს „ნიკა-95“-ის და შპს „დიდგორის“ კერძო საჩივარი სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 6 დეკემბრის განჩინებაზე არ უნდა იქნეს მიჩნეული დასაბუთებულად.

სსკ-ს 417-ე მუხლით, თუ სასამართლო კერძო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, მაშინ ის აკმაყოფილებს კერძო საჩივარს, წინააღმდეგ შემთხვევაში კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად ზემდგომ სასამართლოს უნდა გადაეგზავნოს.

კოლეგიამ იხელმძღვანელა სსკ-ს 284-ე, 285-ე, 417-ე მუხლებით,

1. შპს „ნიკა-95“-ის და შპს „დიდგორის“ კერძო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 6 დეკემბრის განჩინებაზე არ იქნეს მიჩნეული დასაბუთებულად.

2. კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატას.



გ ა ნ ჩ ი ნ მ ბ ა
საქართველოს სახელით

№2/ა-260-2002

27 დეკემბერი, 2002წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია

შემდეგი შემადგენლობით: მ. ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
გ. გულელანი (მომხსენებელი),
მ. ჯიყაშვილი

განიხილა მოპასუხე შპს „A+B“-ს, კერძო საჩივარი კოლეგიის 2002 წლის 6 დეკემბრის განჩინების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 6 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელე სრულიად რუსეთის სახელმწიფო სატელევიზიო და რადიოსამაუწყებლო კომპანიას (PTP) წარმომადგენლის შპს „მელინბრუკ ლიმიტედ ჯორჯიას“ დირექტორის არჩილ თაბაგარის განცხადების საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხეებს შპს „ნიკა-95“-ს, შპს „მე-7 არსს“, შპს „დიდგორს“, შპს

„A+B“-ს, შპს „ტე-8“-ს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე აეკრძალათ სამუწყებლო კომპანია „PTP“-ის გადაცემების რეტრანსლაცია.

2002 წლის 24 დეკემბერს შპს „A+B“-მ კერძო საჩივრით მომართეს სასამართლოს კოლეგიის 2002 წლის 6 დეკემბრის განჩინების ნაწილობრივი გაუქმების მოთხოვნით.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ შპს „A+B“-ს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

კერძო საჩივრის ავტორმა განჩინების გაუქმების ერთ-ერთ საფუძველად მიუთითა ის გარემოება, რომ თითქოს განმცხადების მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა არ იყო სათანადოდ დასაბუთებული, კერძოდ არ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომელიც მოცემულ საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის. ეს მაშინ, როცა „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის 61-ე მუხლის შესაბამისად „საქმის არსებით განხილვამდე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს განჩინება, რომელიც უკრძალავს მოპასუხეს, რომლის მიმართაც არსებობს საფუძველიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია საავტორო და მომიჯნავე უფლებები, განსაზღვრულ მოქმედებათა შესრულებას, როგორცაა დამზადება, რეპროდუცირება, გაყიდვა, გაქირავება, იმპორტი და ამ კანონით გათვალისწინებული ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება“.

განჩინების გაუქმების მეორე მოტივად კერძო საჩივარში მითითებულია იმ გარემოებებზე, რომ სასამართლომ არ დაავალდებულა მოსარჩელე წარმოედგინა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შედეგად მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. ეს მაშინ, როცა სსკ-ს 199-ე მუხლის შესაბამისად მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნა სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება.

კერძო საჩივრის ავტორები 6 დეკემბრის განჩინების გაუქმებას ითხოვენ იმის გამოც, რომ განმცხადებელს არ წარმოუდგენია რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ტელეარხების „როსიას“ და „კულტურას“ სამუწყებლო კომპანია „PTP“-სადმი კუთვნილების ფაქტს. ეს მაშინ, როცა მითითებული ტელეარხების რტრ-ის კუთვნილება ეჭვს არ იწვევს.

კერძო საჩივარში მითითებულია ასევე იმის შესახებ, რომ შპს „მელნიბრუკ ლიმიტედ ჯორჯიას“ სახელზე გაცემული მინდობილობა არაა დამოწმებული სანოტარო წესით, ეს მაშინ, როცა აღნიშნული მინდობილობა სანოტარო წესით დამოწმებას არ საჭიროებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო შპს „A+B“-ს კერძო საჩივარი სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 6 დეკემბრის განჩინებაზე არ უნდა იქნეს მიჩნეული დასაბუთებულად.

სსკ-ს 417-ე მუხლით, თუ სასამართლო კერძო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, მაშინ ის აკმაყოფილებს კერძო საჩივარს, წინააღმდეგ შემთხვევაში კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად ზემდგომ სასამართლოს უნდა გადაეგზავნოს.

კოლეგიამ იხელმძღვანელა სსკ-ს 284-ე, 285-ე, 417-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. შპს „A+B“-ს კერძო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 6 დეკემბრის განჩინებაზე არ იქნეს მიჩნეული დასაბუთებულად.

2. კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას.



გ ა ნ რ ი ნ მ ბ ა საქართველოს სახელით

3კ/323-03

29 აპრილი, 2003 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლალი გოჩელაშვილი (მომხსენებელი),
როზა ნადირიანი

კერძო საჩივრის ავტორები: შპს „ნიკა-95“, შპს „დიდგორი“, შპს „A+B“

მოწინააღმდეგე მხარე: სრულიად რუსეთის სახელმწიფო სატელევიზიო და რადიო სამაუწყებლო კამპანიის წარმომადგენელი შპს „მელინბრუკ ლიმ-იტედ ჯორჯია“

გასაჩივრებული განჩინება: თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 6 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრის ავტორთა თხოვნა: გასაჩივრებული განჩინების გაუქმება განხილვის ფორმა: ზეპირი განხილვის გარეშე.

დავის საგანი: სატელევიზიო გადაცემების რეტრანსლირების აკრძალვა.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

2002 წლის 4 დეკემბერს სრულიად რუსეთის სახელმწიფო სატელევიზიო და რადიო სამაუწყებლო კომპანიის წარმომადგენელ შპს „მელინბრუკ ლიმიტედ ჯორჯიას“ დირექტორმა არჩილ თაბაგარმა თბილისის საოლქო სასამართლოში სარჩელი აღძრა შპს „ნიკა-95“-ის, შპს „დიდგორის“, შპს „A+B“-ს, შპს „მე-7 არხისა“ და შპს „ტე-8“-ს წინააღმდეგ.

მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისათვის სამაუწყებლო კომპანია „PTP“-ის სატელევიზიო გადაცემების უნებართვო რეტრანსლაციის აკრძალვა, კომპენსაციისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

ამასთან, ვინაიდან მოპასუხეთა მიერ აღნიშნული სატელევიზიო არხების რეტრანსლაცია მიმდინარეობს უნებართვოდ და იგი ატარებს ყოველდღიურ ხასიათს, მოსარჩელემ მოითხოვა საქმის განხილვის დასრულებამდე მოპასუხეებს აეკრძალოს „PTP“-ის სატელევიზიო გადაცემების უნებართვო რეტრანსლაცია.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 6 დეკემბრის განჩინებით სამაუწყებლო კომპანია „PTP“-ის წარმომადგენლის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა: მოპასუხეებს: შპს „ნიკა-95“-ს, შპს „მე-7 არხს“, შპს „დიდგორს“, შპს „A+B“-ს და შპს „ტე-8“-ს აეკრძალათ სამაუწყებლო კომპანია „PTP“-ის გადაცემების ტრანსლაცია საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს შპს „ნიკა-95“-მა, შპს „დიდგორმა“ და შპს „A+B“-მ და მოითხოვეს თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 6 დეკემბრის განჩინების გაუქმება.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 26 და 27 დეკემბრის განჩინებებით არ დაკმაყოფილდა შპს „ნიკა-95“-ის, შპს „დიდგორისა“ და შპს „A+B“-ს კერძო საჩივრები და ისინი საქმის მასალებთან ერთად გადაიგზავნა უზენაეს სასამართლოში.

2003 წლის 14 აპრილს კერძო საჩივრის ავტორებმა განცხადებით მომართეს უზენაეს სასამართლოს და უარი განაცხადეს კერძო საჩივრის განხილვაზე იმ მოტივით, რომ მხარეები მორიგდნენ.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

პალატა გაეცნო წარმოდგენილ განცხადებას და თვლის, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისთვის გათვალისწინებული წესების დაცვით, ხოლო ამავე კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამასთან, ამავე კოდექსის 378-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. აღნიშნული საპროცესო ნორმიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორთა მოთხოვნა კანონიერია.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მეორე ნაწილით, 378-ე, 399-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

შპს „ნიკა-95-ის“, შპს „დიდგორის“ და შპს „A+B-ს“ კერძო საჩივარზე შეწყდეს საქმის წარმოება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინების ასლები გაეგზავნოს მხარეებს.



ზ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№2/ა-47-03წ. 29 მაისი, 2003 წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა
კოლეგიამ

შემდეგი შემადგენლობით: მ. ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
გ. გულედანი (მომხსენებელი),
მ. ჯიყაშვილი

განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე სრულიად რუსეთის სახელმწიფო
და რადიოსამაუწყებლო კომპანიის /PTP/ წარმომადგენლის შპს „მელინბრუკ
ლიმიტედ ჯორჯიას“ განცხადება მორიგების დამტკიცებისა და საქმის
წარმოების შეწყვეტის შესახებ გამოარკვია:

ა ღ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

მოსარჩელე შპს „მელინბრუკ ლიმიტედ ჯორჯიამ“ სარჩელით მიმართა
სასამართლოს მოპასუხეების შპს „ნიკა-95“-ის, შპს „დიდგორის“, შპს
„A+B“-ს, შპს „მე-7 არხის“, შპს „ტე-8“-ს მიმართ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ მოპასუხეების მხრიდან ადგილი აქვს
„PTP“-ის სატელევიზიო გადაცემების უნებართვო რეტრანსლაციას და მოითხო-
ვა, „PTP“-ის სატელევიზიო გადაცემების უნებართვო რეტრანსლაციის
აკრძალვა, კომპენსაციისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოსარჩელემ მოითხოვა
საქმის განხილვის დასრულებამდე მოპასუხეებს აეკრძალოს „PTP“-ის
სატელევიზიო გადაცემების უნებართვო რეტრანსლაცია. სამოქალაქო და
სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 6 დეკემბრის განჩინებით სამაუ-
წყებლო კომპანია „PTP“-ის წარმომადგენლის განცხადება სარჩელის უზრუნ-
ველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა: მოპასუხეებს შპს „ნიკა-95“-ს, შპს
„დიდგორს“, შპს „A+B“-ს, შპს „მე-7 არხს“, შპს „ტე-8“-ს აეკრძალათ

სამაუწყებლო კომპანია „PTP“-ის გადაცემების ტრანსლიაცია საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს შპს „ნიკა-95“-მა, შპს „დიდგორმა“, შპს „A+B“-მ და მოითხოვეს საოლქო სასამართლოს 2002 წლის 6 დეკემბრის განჩინების გაუქმება.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 26 და 27 დეკემბრის განჩინებებით არ დაქმავიფლდა შპს „ნიკა-95“-ის, შპს „დიდგორის“, შპს „A+B“-ს კერძო საჩივრები და ისინი საქმის მასალებთან ერთად საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაეგზავნა.

უზენაეს სასამართლოში მოპასუხეებმა კერძო საჩივრების განხილვაზე მხარეთა მორიგების მოტივით უარი განაცხადეს, რის გამოც უზენაესი სასამართლოს პალატამ 2003 წლის 29 აპრილის განჩინებით კერძო საჩივრებზე შეწყვიტა საქმის წარმოება.

2003 წლის 26 მარტს და 2003 წლის 23 აპრილს სამაუწყებლო კომპანია „PTP“-ის წარმომადგენელმა შპს „მელინბრუკ ლიმიტედ ჯორჯიამ“ განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს და განმარტა, რომ შპს „ნიკა-95“-ს, შპს „დიდგორს“, შპს „A+B“-ს, შპს „მე-7 არხს“ და საკაბელო ტელევიზია „ტვ-8“-ს შორის მიღწეულ იქნა მორიგება შემდეგი პირობებით:

1. მოპასუხეები შპს „ნიკა-95“, შპს „დიდგორი“, შპს „A+B“, შპს „მე-7 არხი“, საკაბელო ტელევიზია „ტვ-8“ აცხადებენ თანხმობას, რომ სრულიად რუსეთის სახელმწიფო და რადიოსამაუწყებლო კომპანიის კუთვნილი სატელევიზიო პროგრამების რეტრანსლაცია საკუთარი საკაბელო ქსელის მეშვეობით განახორციელონ /განაგრძონ/ მხოლოდ „PTP“-ის ნებართვით, საქართველოს ტერიტორიაზე მის წარმომადგენელთან შპს „მელინბრუკ ლიმიტედ ჯორჯიასთან“ შესაბამისი ხელშეკრულების დადების საფუძველზე.

2. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხეები სხვა საკაბელო ოპერატორების მსგავსად წარმოადგენენ „საქართველოს კაბელური ტელეკომუნიკაციების კავშირის“ სრულყოფილებიან წევრებს და სატელევიზიო კომპანიებთან ყოველგვარი მოლაპარაკების უფლება გადაცემული აქვთ დასახლებული გაერთიანებისათვის აცხადებენ, რომ „PTP“-ის წარმომადგენელთან შპს „მელინბრუკ ლიმიტედ ჯორჯიასთან“ ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელია მხოლოდ მათი გაერთიანება „საქართველოს კაბელური ტელეკომუნიკაციების კავშირის“ მეშვეობით.

3. მოპასუხეების კეთილი ნების გათვალისწინებით მოსარჩელე თანახმაა, რომ შპს „მელინბრუკ ლიმიტედ ჯორჯიას“ და მოპასუხეების გაერთიანებასთან „საქართველოს კაბელური ტელეკომუნიკაციების კავშირთან“ გაფორმდეს ხელშეკრულება და მოპასუხეებმა მოიპოვონ „PTP“-ის კუთვნილი

სატელევიზიო არხების „როსიასა“ და „კულტურას“ გადაცემების რეტრანს-
ლაციის ლეგალური უფლება.

4. ზემოაღნიშნულ პირობებზე შეთანხმების მიღწევის გამო შპს „მელინ-
ბრუკ ლიმიტედ ჯორჯიასა“ და „საქართველოს კაბელური ტელექსელების
კავშირს“ შორის 2003 წლის 24 მარტს გაფორმებული იქნა ხელშეკრულე-
ბა, რომელიც ერთვის წინამდებარე განცხადებას და წარმოადგენს მის
განუყოფელ ნაწილს /შემდგომში „ხელშეკრულება“/.

5. „ხელშეკრულების“ გაფორმების გათვალისწინებით მოსარჩელე უარს
აცხადებს საკუთარ სასარჩელო მოთხოვნებზე, რომელიც წარდგენილი აქვს
მოპასუხეების შპს „ნიკა-95“, შპს „დიდგორი“, შპს „A+B“, შპს „მე-7
არხი“ და საკაბელო ტელევიზია შპს „ტე-8“ მიმართ.

6. თავის მხრივ მოპასუხეები შპს „ნიკა-95“, შპს „დიდგორი“, შპს
„A+B“, შპს „მე-7 არხი“ და „ეკონომისტთა და მეწარმეთა ფონდი“ /საკაბელო
ტელევიზია „ტე-8“/ როგორც „საქართველოს კაბელური ტელექსელების კავ-
შირის“ სრულუფლებიანი წევრები აცხადებენ, რომ მათთვის ცნობილია
ზემოაღნიშნული ხელშეკრულების პირობები და მათი როგორც „საქართვე-
ლოს კაბელური ტელექსელების კავშირის“ სრულუფლებიანი წევრების ვალდე-
ბულება გამომდინარე „ხელშეკრულებიდან“ დადასტურებულია შპს „მელინ-
ბრუკ ლიმიტედ ჯორჯიას“ სახელზე გაკეთებული საგარანტიო წერილით.

7. მხარეები თანხმდებიან, რომ მორიგების დამტკიცების შემდეგ ყველა
დავა დაკავშირებული „PTP“-ის საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვას-
თან მხარეებს შორის ამოწურულად ითვლება.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის უნდა დამტ-
კიცდეს მორიგება და საქმეზე შეწყდეს წარმოება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2
პუნქტის მიხედვით, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით
დაამთავრონ იმავე კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, სასა-
მართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის
წარმოებას თუ მხარეები მორიგდნენ.

სასამართლოს ასევე მიზანშეწონილად მიაჩნია სარჩელის უზრუნველ-
საყოფად მიღებული ღონისძიების გაუქმება.

კოლეგიამ იხელმძღვანელა რა სსკ-ის 284-ე, 285-ე, 272-ე მუხლის
„დ“ პუნქტით, 273-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 274-ე, 197-ე, 414-ე, 416-ე
მუხლებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-
2 მუხლის „ა“ პუნქტით, დაადგინა:

1. დამტკიცდეს მხარეთა მორიგება შემდეგი პირობებით:

1.1 მოპასუხეები შპს „ნიკა-95“, შპს „დიდგორი“, შპს „A+B“, შპს „მე-7 არხი“, საკაბელო ტელევიზია „ტვ-8“ აცხადებენ თანხმობას, რომ სრულიად რუსეთის სახელმწიფო და რადიოსამაუწყებლო კომპანიის კუთვნილი სატელევიზიო პროგრამების რეტრანსლაცია საკუთარი საკაბელო ქსელის მეშვეობით განახორციელონ /განაგრძონ/ მხოლოდ „PTP“-ის ნებართვით, საქართველოს ტერიტორიაზე მის წარმომადგენელთან შპს „მელინბრუკ ლიმიტედ ჯორჯიასთან“ შესაბამისი ხელშეკრულების დადების საფუძველზე.

1.2 იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხეები სხვა საკაბელო ოპერატორების მსგავსად წარმოადგენენ „საქართველოს კაბელოური ტელექსელების კავშირის“ სრულუფლებიან წევრებს და სატელევიზიო კომპანიებთან ყოველგვარი მოლაპარაკების უფლება გადაცემული აქვთ დასახელებული გაერთიანებისათვის აცხადებენ, რომ „PTP“-ის წარმომადგენელთან შპს „მელინბრუკ ლიმიტედ ჯორჯიასთან“ ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელია მხოლოდ მათი გაერთიანება „საქართველოს კაბელოური ტელექსელების კავშირის“ მეშვეობით.

1.3 მოპასუხეების კეთილი ნების გათვალისწინებით მოსარჩელე თანახმაა, რომ შპს „მელინბრუკ ლიმიტედ ჯორჯიასა“ და მოპასუხეების გაერთიანებასთან „საქართველოს კაბელოური ტელექსელების კავშირთან“ გაფორმდეს ხელშეკრულება და მოპასუხეებმა მოიპოვონ „PTP“-ის კუთვნილი სატელევიზიო არხების „როსიასა“ და „კულტურას“ გადაცემების რეტრანსლაციის ლეგალური უფლება.

2. შეწყდეს წარმოება სამოქალაქო საქმეზე №2ა/47 სამაუწყებლო კომპანია „PTP“-ის სარჩელის გამო შპს „ნიკა-95“-ის, შპს „დიდგორის“, შპს „A+B“-ს, შპს „მე-7 არხის“ და საკაბელო ტელევიზია „ტვ-8“-ს მიმართ საავტორო უფლებების დარღვევის შესახებ.

3. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 6 დეკემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სამოქალაქო საქმეზე №2/ა-47-03წ.

4. განემარტოს მხარეებს, რომ მორიგების პირობების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში განჩინება მიექცევა იძულებით აღსასრულებლად.

5. განემარტოს მხარეებს, რომ ხელმეორედ მიმართა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ დაიშვება.

6. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით მხარეთათვის მისი გადაცემიდან 12 დღის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოში.



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№2/ა-262-2002

9 დეკემბერი, 2002წ., ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიაშ

შემდეგი შემადგენლობით: მ. ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
გ. გულედანი,
მ. ჯიყაშვილი (მომხსენებელი)

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკითხი (რუსეთის სატელევიზიო კომპანია „პირველი არხის“) დახურული სს „ტელექსელი რენ ტვ-ს“ სარჩელის წარმოებაში მიღებისა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ და გამოარკვია:

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

სარჩელის საფუძველს წარმოადგენს იმ მომიჯნავე უფლებების დარღვევა, რომელიც მიაჩნია მოსარჩელეს, როგორც მაუწყებლობის ორგანიზაციას სატელევიზიო პროგრამების სარგებლობის განსაკუთრებული უფლების სახით.

მოპასუხეები ახორციელებენ მისი სატელევიზიო გადაცემების უნებართვო რეტრანსლაციას.

მოსარჩელე მოითხოვს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნ1-ე მუხლის საფუძველზე გამოყენებული იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნით მოპასუხისათვის სამაუწყებლო კომპანია („ორტ პირველი არხის“) „რენ ტვ“-ის სატელევიზიო გადაცემების რეტრანსლაციის აკრძალვა.

სასამართლო კოლეგიამ შეისწავლა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის წარმოებაში მიღების პირობების გათვალისწინებით შეაფასა რა სარჩელი და თანდართული მასალები თვლის, რომ სარჩელი წარმოებაში უნდა იქნეს მიღებული და გამოყენებული უნდა იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შემდეგ გარემოებების გამო:

„სააეტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საქმის არსებითად განხილვამდე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს განჩინება, რომელიც უკრძალავს მოპასუხეს, ან პირს, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია სააეტორო და მომიჯნავე უფლებები, განსაზღვრულ მოქმედებათა შესრულებას, როგორცაა დამზადება, რეპროდუცირება, გაყიდვა, გაქირავება, იმპორტი და ამ კანონის გათვალისწინებული ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება.

სარჩელთან ერთად წარმოდგენილი აქტები, რომლითაც ნოტარიული წესით დასტურდება მოპასუხეების მიერ მოსარჩელის სატელევიზიო გადაცემის რეტრანსლაციის ფაქტი სასამართლო კოლეგიას მოსარჩელის მომიჯნავე უფლების დარღვევის საფუძვლიან ვარაუდად მიაჩნია და თვლის, რომ იგი საკმარისი გარემოებაა იმისათვის, რომ გამოყენებული იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად მოპასუხეებისათვის მოსარჩელის სატელევიზიო გადაცემების რეტრანსლაციის აკრძალვა.

იხელმძღვანელა რა საქართველოს კანონის „სააეტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ 61-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით სასამართლო კოლეგიამ დადგინა:

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ო

1. სს „ტელექსელი რენ ტვ“-ის სარჩელი მიღებულ იქნეს წარმოებაში.
2. მოსარჩელე სს „ტელექსელი რენ ტვ“-ის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდეს.
3. შპს „ნიკა-95“-ს აეკრძალოს სს „ტელექსელი რენ ტვ“-ის სატელევიზიო გადაცემების რეტრანსლაცია.
4. შპს „ტვ-8“-ს აეკრძალოს სს „ტელექსელი რენ ტვ“-ის სატელევიზიო გადაცემების რეტრანსლაცია.
5. განჩინებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ნაწილში შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა მოპასუხეთათვის მისი გადაცემიდან 5 დღის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოში.



ზ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№02ა/262-2002

7 თებერვალი, 2003წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ

შემდეგი შემადგენლობით: მ. ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
მ. ჯიყაშვილი (მომხსენებელი),
გ. გულელანი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს „ნიკა-95“-ის კერძო საჩივარი კოლეგიის 2002 წლის 9 დეკემბრის №2ა-262 განჩინებაზე და გამოარკვია:

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

2002 წლის 9 დეკემბერს თბილისის საოლქო საამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ დააკმაყოფილა რა დახურული სს „ტელექსელი რენ ტვ“-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. შპს „ნიკა-95“-ს აკრძალა სს „ტელექსელ რენ ტვ“-ის სატელევიზიო გადაცემების რეტრანსლაცია.

2002 წლის 20 დეკემბერს მოპასუხემ მომართა კოლეგიას კერძო საჩივრით და ითხოვს: ა) 2002 წლის 9 დეკემბრის განჩინების ნაწილობრივ გაუქმებას, შპს „ნიკა-95“-თვის სამაუწყებლო კომპანია „ტელექსელ რენ ტვ“ გადაცემების რეტრანსლაციის აკრძალვის ნაწილში და ბ) სსკ-ს 194-ე მუხლის მეოთხე ნაწილის საფუძველზე განჩინების აღსრულების შეჩერებას შპს „ნიკა-95“ რეტრანსლირების აკრძალვის ნაწილში, შემდეგი გარემოებების გამო:

მოპასუხის განმარტებით, 1) მოსარჩელე მხარე ვალდებული იყო მიეთითებინა, სსკ-ს 191-ე მუხლის თარახმად, იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას.

2) უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად დაზარალდა არა მარტო მოპასუხე კომპანიები, არამედ ქ.თბილისის ათასობით აბონენტი. სატელევიზიო არხების გათიშვა კი აბონენტთა რიცხვის შემცირებას და მატერიალური ზიანის მიყენების რეალურ საფუძველს წარმოადგენს და სასამართლო ვალდებული იყო მხედველობაში მიეღო ის რეალური ზიანი, რომელიც ტელეპროგრამების ჩვენების აკრძალვით შეიძლება წარმოეშვას და სსკ-ს 199-ე მუხლის თანახმად, უნდა დაევაღდებულენა მოსარჩელე, წარმოდგინა სარჩელის უზრუნველყოფის შედეგად მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. ასეთი მოთხოვნა კი სასამართლოს მხრიდან არ ყოფილა, რაც განჩინების გაუქმების დამატებით საფუძველს წარმოადგენს.

3) მოსარჩელის მხრიდან არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ სატელევიზიო გადაცემები წარმოადგენს „ტელექსელ რენ ტვ“-ის კუთვნილებას, გარდა ამისა, შპს „მელინბრუკ ლიმიტედ ჯორჯიას“ სახელზე გატეხული მინდობილობა არასრულყოფილია და საქმეშია ნოტარიალური წესით დამოწმებული მინდობილობის თარგმნილი ასლი და ამიტომ მხარე არ იყო უფლებამოსილი მოეთხოვა ტელეგადაცემების რეტრანსლირების აკრძალვა.

სასამართლო კოლეგიამ შეაფასა რა კერძო საჩივრის დასაშვებობა და მისი მოთხოვნის საფუძვლიანობა თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ არსებობს, მოპასუხის მიერ საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევის საფუძვლიანი ვარაუდი, სასამართლოს შეუძლია საქმის არსებით განხილვამდე გამოიტანოს განჩინება, რომელიც უკრძალავს მოპასუხეს განსაზღვრულ მოქმედებათა შესრულებას, როგორცაა დამზადება, რეპროდუცირება და ა.შ.

მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მასალები იძლევა იმის საფუძვლიან ვარაუდს, რომ მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევას, კერძოდ კი სატელევიზიო გადაცემების უნებართვო რეტრანსლაციას.

სასამართლო კოლეგია არ ეთანხმება მოპასუხის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებას, რომ სასამართლო ვალდებული იყო მხედველობაში მიეღო ის რეალური ზიანი, რომელიც ტელეპროგრამების ჩვენების აკრძალვით შეიძლება წარმოშობილიყო და უნდა დაევაღდებულენა მოსარჩელე წარმოედ-

გინა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა და რადგანაც ასეთი მოთხოვნა სასამართლოს მხრიდან არ ყოფილა, ეს განჩინების გაუქმების დამატებით საფუძველს არ წარმოადგენს. სსკ-ს 199-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს მოპასუხეს მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა და ვინაიდან ეს არ არის სასამართლოს ვალდებულება, ამ უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს განჩინების გაუქმების არანაირ საფუძველს.

კოლეგია არ ეთანხმება აგრეთვე მოპასუხის მიერ კერძო საჩივარში მითითებულ გარემოებებს, რომ მოსარჩელის მხრიდან არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურდება, რომ სატელევიზიო გადაცემები წარმოადგენს „ტელექსელ რენ ტვ“-ის კუთვნილებას და სარჩელი შემოტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია სანოტარო აქტი, რომლითაც დასტურდება, რომ მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა სწორედ მოსარჩელის კუთვნილ ტელეგადაცემების რეტრანსლირებას, რაც საკმარისი გარემოებაა საფუძველიანი ვარაუდისათვის საავტორო უფლებების დარღვევის შესახებ, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. რაც შეეხება დახურული სს „ტელექსელ რენ ტვ“-თვის აღმასრულებელი დირექტორის მიერ ა.თაბაგარის სახელზე გაცემულ მინდობილობას, საქმეში წარმოდგენილი მინდობილობის თარგმანის დედანთან სისწორე დადასტურებულია ნოტარიუსის მიერ, რის გამოც კერძო საჩივრის ავტორის მითითება აღნიშნული გარემოებების გამო განჩინების უსაფუძველობაზე ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

კოლეგიამ იხელმძღვანელა სსკ-ს 414-ე, 415-ე, 417-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. მოპასუხე შპს „ნიკა-95“-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს დაუსაბუთებლობის გამო.
2. კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№3კ/427-03

30 აპრილი, 2003 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გა-
კორების საქმეთა პალატა

შემაღგენლობა: მაია ახალაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქეთევან გაბელაია,
თენგიზ კობახიძე

საქმის განხილვის ფორმა: ზეპირი განხილვის გარეშე
კერძო საჩივრის ავტორი: შპს „ნიკა 95-ის“ წარმომადგენელი სერ-
გო ცანავა

მოწინააღმდეგე მხარე: სს „ტელექსელი რენ ტვ“

გასაჩივრებული განჩინებები: თბილისის საოლქო სასამართლოს
სამოქალაქო, სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 9 დეკემბრისა და
2003 წლის 7 თებერვლის განჩინებები.

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

დახურული სააქციო საზოგადოება „ტელექსელი რენ ტვ-ის“ წარმო-
მადგენელმა არჩილ თაბაგარმა სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასა-
მართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების:
შპს „ნიკა 95-ისა“ და შპს „ტვ-8-ის“ მიმართ და მოითხოვა „საავტორო და
მომიჯნავე უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხ-
ლის საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნით მოპა-
სუხისათვის სამაუწყებლო კომპანია „რენ ტვ-ის“ სატელევიზიო გადაცემის
რეტრანსლაციის აკრძალვა, რადგან ისინი მისი სატელევიზიო გადაცემების
უნებართვო რეტრანსლაციას ახორციელებენ.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ 2002 წლის 9 დეკემბრის განჩინებით დააკმაყოფილა სს „ტელექსელ რენ ტვი-ის“ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ და შპს „ნიკა 95-ს“ და შპს „ტვი-8-ს“ აუკრძალა სს „ტელექსელ რენ ტვი-ის“ სატელევიზიო გადაცემების რეტრანსლაცია.

შპს „ნიკა 95-მა“ კერძო საჩივრით გაასაჩივრა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 9 დეკემბრის განჩინება და მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება შპს „ნიკა 95-ისათვის“ სამაუწყებლო კომპანია „ტელექსელ რენ ტვი-ის“ გადაცემების რეტრანსლაციის აკრძალვის ნაწილში. ასევე მოითხოვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მეოთხე ნაწილის საფუძველზე განჩინების აღსრულების შეჩერებას შპს „ნიკა 95-სა“ და რეტრანსლირების აკრძალვის ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაუტარებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. ამავე კოდექსის 199-ე მუხლის თანახმად სასამართლოს უნდა დაევალებულიყვნა მოსარჩელე, რომ წარმოედგინა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რასაც სასამართლოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია ეს კი განჩინების გაუქმების დამატებით საფუძველს წარმოადგენს. ასევე მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მინდობილობა, რომლის საფუძველზეც იგი მოქმედებს სათანადო წესით არ არის ლეგალიზებული. იგი არ განიხილება იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად, რის საფუძველზეც არ იყო უფლებამოსილი, მოეთხოვა სამაუწყებლო კომპანია „ტელექსელ რენ ტვი-ის“ სახელით მოპასუხებისათვის ტელეგადაცემების რეტრანსლირების აკრძალვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიამ 2003 წლის 7 თებერვლის განჩინებით მოპასუხე შპს „ნიკა 95-ის“ კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა დაუსაბუთებლობის გამო და საქმის მასალებთან ერთად გადაუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

კოლეგიამ განჩინების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს მოპასუხეს მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რომელიც არ არის სასამართლოს ვალდებულება და ამ უფლების გამოუყენებლობა ვერ განხილავს განჩინების გაუქმების საფუძველი. ასევე, კოლეგიამ არ გაიზიარა მითითება იმის შესახებ, რომ სარჩელი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ,

ვინაიდან მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სანოტარო აქტით დასტურდება, რომ მოპასუხე მოსარჩელის კუთვნილ ტელეგადაცემების რეტრანსლაციას ახდენდა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ო

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, კერძო საჩივარს და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებში წარმოდგენილია 2002 წლის 3 დეკემბერს შედგენილი სანოტარო აქტები, რომლითაც დადგენილია თბილისის ტერიტორიაზე საკაბელო სატელევიზიო კომპანია შპს „ტე-8-სა“ და შპს „ნიკა-95-ის“ მიერ ნებართვის გარეშე რუსეთის სამაუწყებლო კომპანია „რენ ტე-ის“ სატელევიზიო გადაცემების რეტრანსლაციის ფაქტი. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თუ არსებობს მოპასუხის მიერ საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევის საფუძვლიანი ვარაუდი, სასამართლოს შეუძლია, საქმის არსებით განხილვამდე გამოიტანოს განჩინება, რომელიც უკრძალავს მოპასუხეს განსაზღვრულ მოქმედებათა შესრულებას, როგორცაა დამზადება, რეპროდუცირება და ა.შ.

პალატა თვლის, რომ ზემოაღნიშნული მასალების ანალიზი იძლეოდა იმის საფუძვლიან ვარაუდს, რომ მოპასუხეთა მხრიდან ადგილი ჰქონდა საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევას, კერძოდ – სატელევიზიო გადაცემების უნებართვო რეტრანსლაციას.

პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის უნდა მოეხდინა მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა აღნიშნული ნორმა, ვინაიდან კანონი იმპერატიულად არ მოითხოვს სასამართლოსგან მოსთხოვოს მოსარჩელეს მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

პალატის მიერ ასევე ვერ იქნება გაზიარებული კერძო საჩივრის მოტივივაცია, რომ მოსარჩელე მხარეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რითაც დადასტურდებოდა, რომ სატელევიზიო გადაცემები წარმოადგენდა „ტელექსელ რენ ტე-ის“ კუთვნილებას და სარჩელი შეტანილი იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მინდობოლობა არ არის ლეგალიზებული სათანადო წესით.

განჩინებაში ზემოთ მითითებული სანოტარო აქტები ადასტურებს, რომ მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა სწორედ მოსარჩელის კუთვნილი

ტელეგადაცემების რეტრანსლაციას, რაც საავტორო უფლებების დარღვევის საფუძვლიან არგუმენტს იძლევა.

სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ საერთაშორისო კონვენციის მე-13 მუხლის I ნაწილის მიხედვით დოკუმენტები, რომლებიც მომზადებულია და დადასტურებულია ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე რწმუნებული პირის მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილი ფორმით და დადასტურებულია გერბიანი ბეჭდით, მიიღება სხვა ხელშემკვერელი მხარეების ტერიტორიაზე ყოველგვარი სპეციალური დამოწმების გარეშე.

პალატა თვლის, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მინდობილობას სპეციალური დამოწმება (ლეგალიზება) არ სჭირდებოდა და შესაბამისად, პრეტენზია იმის თაობაზე, რომ მინდობილობა არ განიხილება იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად, უსაფუძვლოა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებები კანონიერია და არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

შს „ნიკა-95“-ის წარმომადგენლის სერგო ცანავას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 9 დეკემბრისა და 2003 წლის 7 თებერვლის განჩინებები დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება;
ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ჯარიმის
გადახდის დაკისრება**



**ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით**

№2^ა-2356

23 იანვარი, 2002წ., ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გა-
კოტრების საქმეთა პალატამ

შემდეგი შემადგენლობით: **თამაზ კილანავე (თავმჯდომარე),
ზათუნა არევაძე,
თეიმურაზ მუხრანელი**

განიხილა შპს სტუდია „ენ-თენ-ტივი“-ს პრეზიდენტის ნიკოლოზ დაუშ-
ვილის და საქტელერადიომაუწყებლობის წარმომადგენლის ირაკლი უდენტ-
ის სააპელაციო საჩივრები ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს
2001 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს
„სტუდია „NTEN TV“-ის პრეზიდენტმა კობა დაუშვილმა მოპასუხე სსიპ
„საქტელერადიომაუწყებლობის“ მიმართ და მოითხოვა მატერიალური ზარა-
ლის და მორალური ზიანის ანაზღაურება.

ამავე სასამართლოს შეგებებული სარჩელით მიმართა საქართველოს
ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციამ და შპს „სტუდია ენ-
თენ-ტივი“-სგან მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუს-
რულებლობის გამო თანხის გადახდევინება.

სასამართლოს 2001 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი

დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციას დაეკისრა შპს „სტუდია ენ-თენ-ტივის“ სასარგებლოდ 60549 ლარისა და 50 თეთრის გადახდა. შპს „სტუდია ენ-თენ-ტივი“-ს უარი ეთქვა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციაზე 43570 ლარისა და 13067 აშშ ეკვივალენტი ლარის გადასახდელად დაკისრებაზე.

შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციას უარი ეთქვა შპს „სტუდია ენ-თენ-ტივზე“ 251360 ლარის გადასახდელად დაკისრებაზე.

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციას დაეკისრა სასამართლო ხარჯების 5000 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დაეთანხმნენ შპს „სტუდია ენ-თენ-ტივის“ პრეზიდენტი ნიკოლოზ დაუშვილი და საქტელერადიომაუწყებლობის წარმომადგენელი ირაკლი ჟღენტი. მათ სააპელაციო საჩივრებით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას, აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სააპელაციო სასამართლო გაეცნო სააპელაციო საჩივრებს და მიაჩნია, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით უნდა გადაეცეს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატას შემდეგი გარემოებების გამო:

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია ადმინისტრაციული გარიგების შესრულება და ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების შესახებ. აღნიშნული კატეგორიის საქმეები კი საერთო სასამართლოებში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად განიხილება ამავე კოდექსით დადგენილი წესით.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 23-ე, 24-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით

1. შპს „სტუდია ენ-თენ-ტივი“-ს პრეზიდენტის და „საქტელერადიომაუწყებლობის“ წარმომადგენლის სააპელაციო საჩივრები განსჯადობის მიხედვით გადაეცეს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატას.

2. განჩინება არ საჩივრდება.



გ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№3გ/ად-367-კ-02

21 მარტი, 2003 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბესიკ კობერიძე (თავმჯდომარე),
გიორგი ქაჯაია (მომხსენებელი),
ნინო ქადაგიძე

სხდომის მდივანი: ნინო კორძაძე

კასატორი (მოსარჩელე, მოპასუხე): შპს „სტუდია ენთენ ტვ“, პრეზიდენტი კ. დაუშვილი, წარმომადგენელი კ. კუკავა

კასატორი (მოპასუხე, მოსარჩელე): სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობა“, წარმომადგენელი ი. ჟღენტი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 2 მაისის გადაწყვეტილება.

დავის საგანი: მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება, ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ჯარიმის გადახდის დაკისრება.

2000 წლის 21 აგვისტოს შპს „სტუდია ენთენ ტვ-მ“ სასარჩელო განცხადებით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სსიპ „საქტელერადიომუწყებლობის“ მიმართ და მოითხოვა მატერიალური ზიანის – 43,8987 ლარის, მიუღებელი შემოსავლის – 19570 ლარის, მორალური ზიანის, 350000 ლარის, სულ – 413444 ლარის ანაზღაურება. 2000 წლის 10 ივლისს მოსარჩელის მიერ შეტანილ იქნა დაზუსტებული სარჩელი და საბოლოოდ მოითხოვა მოპასუხეს დაკისრებოდა ზარალის – 43877 ლარის, მიუღებელი შემოსავლის – 16672,5 ლარის, ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებული ზარალის – 21000 აშშ დოლარის, საგადასახადო ინსპექციის მიერ დარიცხული საურავების – 32079,52 ლარის, ვალდებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზიანის – 19570 ლარის, გადაცემისათვის „ემიი ქალი“ მიუღებელი შემოსავლის – 13067 აშშ დოლარის, მორალური ზიანის – 20000 ლარისა და წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების – 4000 ლარის ანაზღაურება.

მოპასუხე სსიპ „საქტელერადიომუწყებლობამ“ სარჩელი არ ცნო უსაფუძვლობის მოტივით და წარადგინა შეგებებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მიყენებული ზიანის – 89000 ლარის, ხელშეკრულებით განსაზღვრული დროის ლიმიტის დარღვევისათვის ჯარიმის – 790760 ლარის, გადაცემების ეთერში არგამშვებისათვის – 91600 ლარის, სულ – 251 360 ლარის გადახდის დაკისრება შპს „სტუდია ენთენ ტვს-თვის“.

მოსარჩელე შპს სტუდია „ენთენ ტვ“ სარჩელს აფუძნებდა შემდეგ გარემოებებზე: მხარეებს შორის 1998 წლის 30 აგვისტოს დადებულ იქნა №504 ხელშეკრულება, რომლის 1.1. პუნქტის თანახმად, სტუდიას მოპასუხის, სსიპ „საქტელერადიომუწყებლობის“, შეკვეთით უნდა მოემზადებინა სატელევიზიო გადაცემები, რომლებსაც მოპასუხე განათავსებდა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროს. აღნიშნულისათვის მოპასუხეს ყოველთვიურად, 10 რიცხვამდე, უნდა გადაეხადა 7000 აშშ დოლარი (დღგს-ს ჩათვლით). მოსარჩელის განმარტებით, იგი ჯეროვნად ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მაგრამ მოპასუხემ დაარღვია მისი ვალდებულება და მხოლოდ ნაწილობრივ აუნაზღაურა პროდუქციის ღირებულება და ამიტომ სამოქალაქო კოდექსის 394-ე და 403-ე მუხლების თანახმად უნდა აუნაზღაურდეს 43877 ლარი, აღნიშნული თანხიდან სტუდია მიიღებდა შემოსავლის მინიმალურ საბანკო განაკვეთს – თვეში 2%-ს, რაც 19 თვეში შეადგეს 16672,5 ლარს, მოპასუხის მიერ ხელშეკრულების 3 თვით ადრე შეწყვეტით მას მიაღდა 21000 აშშ დოლარის

ზიანი (7000 აშშ დოლარი X 3 = 21000 აშშ დოლარს), „საქტელერადიომაუწყებლობის“ სახელზე გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე საგადასახადო ინსპექციის მიერ დარიცხულმა საურავებმა შეადგინა 32079,52 ლარი. განათლების სამინისტროსთან დადებულ ხელშეკრულებასთან წარმოშობილი ვალდებულების ანაზღაურების ოდენობამ შეადგინა 19570 ლარი. მოპასუხის მიერ დარღვეულ იქნა სტუდიის სააგტორო უფლება, ხოლო უნებართვოდ წარმოებული გადაცემა – „ეძიე ქალი“ – წარმოადგენს კონტრაფაქტულ ეგზემპლარს, რის გამოც მას უნდა დაეკისროს მორალური ზიანის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით, ხოლო გადაცემის „ეძიე ქალი“ გამოყენებისათვის მიუღებელი შემოსავლის – 13067 აშშ დოლარის გადახდა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად შპს „სტუდია ენთენ ტე“ ასევე ითხოვდა წარმომადგენლის მომსახურებისათვის 4000 ლარის გადახდას.

სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობა“ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას ითხოვდა შემდეგი საფუძველებით: ხელშეკრულების თანახმად შპს „სტუდია ენთენ ტე“ უნდა შეესრულებინა 170000 ლარის ღირებულების სამუშაო. ამ უკანასკნელის მიერ შესრულებულ იქნა მხოლოდ 111580 ლარის ღირებულების სამუშაო. სტუდია ხშირ შემთხვევაში არ ამზადებდა გადაცემებს და არ აწვდიდა მას, ზოგჯერ კი შეთანხმების გარეშე ხსნიდა გადაცემებს, რის გამოც ტელევიზიას მიადგა ზიანი 89000 ლარის ოდენობით. გადაცემების ეთერში გაუსვლელეობის გამო ხელშეკრულების 4.3 მუხლის მიხედვით სტუდიამ ჯარიმის სახით უნდა გადაუხადოს 91600 ლარი. ხელშეკრულების 2.1.3 პუნქტის თანახმად სტუდია ვალდებულია, დროის ლიმიტის დარღვევაზე გადაიხადოს ჯარიმა – 2 ლარი – ყოველ წამზე, სტუდიის მხრიდან გადაცილებულმა დრომ შეადგინა 353809 წამი, რაც ჯარიმის სახით შეადგენს 70760 ლარს, სულ სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ სასარჩელო მოთხოვნამ შეადგინა 251390 ლარი.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2001 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით შპს სტუდია „ენთენ ტე“-ს სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ: მოპასუხე სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობას“ დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 60549,50 ლარის გადახდა, კერძოდ, სახელშეკრულებო დავალიანების – 43877 ლარის და საპროცენტო განაკვეთის – 16672,50 ლარის გადახდა. სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურებისა და 19570 ლარის მოთხოვნის ნაწილში, ასევე უსაფუძველოდ მიიჩნია წარმომადგენლის ხარჯების – 4000 ლარის და გადაცემიდან „ეძიე ქალი“ დაკავშირებით 13067 აშშ დოლარის მოთხოვნა.

რაიონულმა სასამართლომ შეგებებული სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ

მოტივით, რომ მოთხოვნის დაფუძნება მხოლოდ დაინტერესებულ ორგანიზაციაში შექმნილ დოკუმენტაციაზე არასაკმარისია და სარჩელში არ არის მითითებული თავად მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება აპელაციის წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

შპს „სტუდია ენთენ ტე-შ“ სააპელაციო საჩივარში მიუთითა, რომ სასამართლომ მოპასუხის მიერ გამოწვეულ ზიანში გაითვალისწინა მხოლოდ გადაუხდელი თანხა და არ იმსჯელა მოპასუხის ბრალით წარმოქმნილ დავალიანებაზე ბიუჯეტის მიმართ, რომლის საურაევებმა შეადგინა 12980 ლარი, აგრეთვე უსაფუძვლოდ უთხრა უარი ზიანის, 17500 აშშ დოლარის, ანაზღაურების დაკისრებაზე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის, განათლების სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების თანხა – 19000 ლარი – მან უნდა დააბრუნოს უკან, პირგასამტეხლოსთან – 570 ლართან – ერთად. ეს ვალდებულება კი მან მოპასუხის ბრალით ვერ შეასრულა, რომელმაც მოხსნა შესაბამისი გადაცემები. ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია წარმომადგენლის ხარჯების, 4000 ლარის, ანაზღაურებაზე უარის თქმა. სულ შპს „სტუდია ენთენ ტე-ს“ სააპელაციო საჩივრის ფასმა შეადგინა 71550 ლარი.

სსიპ „საქტელერადიომუწყებლობაშ“ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, კერძოდ, მისთვის 43877 ლარისა და საპროცენტო განაკვეთის, 16672,5 ლარის, გადახდის დაკისრების ნაწილში და შეგებებული სარჩელის, 251360 ლარის, დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში ნაწილობრივ – 72000 ლარის ფარგლებში. აპელანტი არ იზიარებს სასამართლოს დასკვნას დავალიანების არსებობის თაობაზე, ვინაიდან 2000 წლის 16 თებერვლის აქტი არ შეიძლება ჩაითვალოს მისი მხრიდან ხელმოწერილად, რადგანაც მას ხელს აწერს არაუფლებამოსილი პირი, ასევე, თვიური 2% არ შეესაბამება რეალობასა და სეპ-ის წლიური განაკვეთი შეადგენდა 14%-ს.

ამავე დროს აპელანტი მიუთითებდა, რომ სტუდიას ხელშეკრულების 4.3 მუხლის საფუძველზე ერიცხება ჯარიმა ეთერში გადაცემების არგასვლის გამო მისი მიზეზით, რაც შეადგენს 72000 ლარს და ითხოვს ამ თანხის შპს „სტუდიას ენთენ ტე-სათვის“ დაკისრებას.

მოცემული საქმე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 23 იანვრის განჩინებით განსჯადობის მიხედვით განსახილველად გადაეცა აღმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას.

სააპელაციო სასამართლომ 2002 წლის 2 მაისის გადაწყვეტილებით

მხარეთა სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დააკმაყოფილა, კერძოდ: მო-
პასუხე სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობას“ დაეკისრა შპს „სტუდია ენთენ
ტვ-ის“ სასარგებლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუს-
რულებლობისათვის 43877 ლარის, მიუღებელი შემოსავლის სახით – 8336
ლარის (12%), ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის გამო 17500 აშშ
დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ხოლო შპს „სტუდია ენთენ ტვ-ს“
გადაცემა „ქვაკუთხედის“ ეთერში არგასელის გამო (3 თვე – იანვარი-
თებერვალი-მარტი) ჯარიმის გადახდა 7200 ლარის ოდენობით სსიპ „საქტელ-
ერადიომაუწყებლობის“ სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შპს „სტუდია ენთენ ტვ-ს“
მიერ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება სრულყოფილად სრულ-
დებოდა 1999 წლის მარტის ჩათვლით. 1999 წლის აპრილიდან „საქტელ-
ერადიომაუწყებლობა“ არაჯეროვნად ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალ-
ისწინებულ ვალდებულებებს, ადგილი ჰქონდა სტუდიის მიერ მიწოდებული
გადაცემების I არხის ეთერში გაშვებას და არ ხდებოდა შესრულებული
სამუშაოს ანაზღაურება, რის გამოც „საქტელერადიომაუწყებლობას“ უნდა
დაეკისროს 43877 ლარის გადახდა სამოქალაქო სამართლის 361-ე მუხლის
მე-2 პუნქტის თანახმად, რადგან ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად,
კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

სააპელაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 403.1
მუხლის თანახმად, რომლის მიხედვითაც მოვალე, რომელიც ფულადი თანხის
გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის
გადაიხადოს კანონით განსაზღვრული პროცენტი, „საქტელერადიომაუწყე-
ბლობამ“ მიუღებელი შემოსავლის სახით სტუდიას უნდა გადაუხადოს წლიური
12%, რაც 8336 ლარს შეადგენს. სააპელაციო სასამართლომ ასევე გაზიარა
შპს „სტუდია ენთენ ტვ-ს“ მოთხოვნა ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტის
გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ნაწილში 17500 აშშ დოლარის ოდენო-
ბით და სამოქალაქო კოდექსის 407-ე მუხლის საფუძველზე „საქტელერადი-
ომაუწყებლობას“ დაეკისრა აღნიშნული თანხის გადახდა.

შპს „სტუდია ენტენ ტვ-ს“ სარჩელი დანარჩენ ნაწილში სააპელაციო
სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ „საქტელერადიომაუწყებლობის“ შეგებებუ-
ლი სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ხელშეკრულების 4.3 პუნქტის
თანახმად გადაცემა „ქვაკუთხედს“ ეთერში სტუდიის მიზეზით არგასელის
გამო ამ უკანასკნელს დაეკისრა ჯარიმის, 7200 ლარის, გადახდა ხელშეკ-
რულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის მოტივით.

სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ შეგებებული სარჩელი დანარჩენ
ნაწილში უსაფუძვლობის გამო არ იქნა დაკმაყოფილებული.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს შპს „სტუდია „ენთენ ტე-შ“ და სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობაშ“, შპს „სტუდია ენთენ ტე-შ“ საკასაციო საჩივრით მიმართა სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობისათვის“ გადაწყვეტილებით დაკისრებულ თანხასთან ერთად საგადასახადო სანქციებით გამოწვეული ზარალის, 12980 ლარის, განათლების სამინისტროდან მიუღებელი შემოსავლის – 19570 ლარის, საპროცენტო განაკვეთის 24%-ით განსაზღვრა და ამ ნაწილში დამატებით 8336 ლარის გადახდის დაკისრება, ასევე მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება მისთვის 7200 ლარის გადასახდელად დაკისრების ნაწილში. კასატორი თავის მოთხოვნებს ამყარებს შემდეგ გარემოებებზე: საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრისას სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა 2000-2001 წწ. არსებული საპროცენტო განაკვეთებით, რომელიც შეადგენდა 19%-ს. სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცენტო განაკვეთის 12%-ით განსაზღვრა უსაფუძვლოა და დაუსაბუთებელიც, რადგან არ არის მითითებული, 12% საპროცენტო განაკვეთის საშუალო მაჩვენებელი, მინიმალური ზღვარი თუ სხვა რაიმე რიცხვია. მათ მიერ მოთხოვნილი 24% არის ზომიერი მაჩვენებელი და შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მოთხოვნებს. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა საგადასახადო სანქციებით გამოწვეული ზიანის დაკისრების ნაწილშიც, ვინაიდან „საქტელერადიომაუწყებლობის“ მხრიდან აღგილი ჰქონდა ვალდებულების დარღვევას და სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლი ითვალისწინებს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი მიუღებელი შემოსულების საკითხის გადაწყვეტისას. მხარეთა შორის დადებული №504-ე ხელშეკრულების 22.2 პუნქტის თანახმად სტუდიას უფლება ჰქონდა დამოუკიდებლად დაედო ხელშეკრულებები მესამე პირებთან გადაცემების დაფინანსებასა და სპონსორობაზე. სამოქალაქო კოდექსის 52-ე და 337-ე მუხლების თანახმად ხელშეკრულების დებულებები უნდა განიმარტოს გონივრული განსჯის შედეგად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამჟამად, რომ განათლების სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო მომზადებული გადაცემების სწორედ ეთერში განთავსება.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას 7200 ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე და აღნიშნავს, რომ სტუდიის მიერ 1999 წლის იანვარ-მარტში კორპორაციისათვის მიწოდებულ იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა გადაცემა. ამავე დროს, ჯარიმის ღარიცხვისას, ფაქტობრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში ჯარიმა არ შეიძლება აღემატებოდეს ერთჯერად პირგასამტეხლოს – 600 ლარს. გარდა ამისა, სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის

369-ე მუხლი. კორპორაციამ გადახდა შეწყვეტა 1999 წლის იანვრიდან და სტუდიას ზოგიერთი გადაცემის მიწოდებაც რომ შეეწყვიტა, ასეთ შემთხვევაში, კორპორაციას არ ჰქონდა ზიანის ანაზღაურების ან პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება.

სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობამ“ საკასაციო საჩივრით მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის გამო „საქტელერადიო-მაუწყებლობისათვის“, შპს „სტუდია ენთენ ტვ-ს“ სასარგებლოდ 17500 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში უარის თქმა, ასევე გადაწყვეტილების გაუქმება მათი სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში და შპს „სტუდია ენთენ ტვ-სთვის“ „საქტელერადიომაუწყებლობის“ სასარგებლოდ 64800 ლარის გადახდის დაკისრება შემდეგ გარემოებათა გამო:

მხარეებს შორის დადებული №504 ხელშეკრულების 6.4 პუნქტის მიხედვით მხარეებს უფლება ეძლეოდათ, ვადამდე შეეწყვიტათ ხელშეკრულება წერილობითი გაფრთხილებიდან ერთი თვის შემდეგ ამ პუნქტის საფუძველზე, სამოქალაქო კოდექსის 407-ე მუხლზე დაყრდნობით მათთვის ხელშეკრულების ვადამდე არშეწყვეტისათვის 17500 აშშ დოლარის დაკისრება უსაფუძველოა.

კასატორმა ასევე მიუთითა, რომ თავად სტუდიამ აღიარა სარჩელში მათი მხრიდან მხოლოდ 111580 ლარის ღირებულების სამუშაოს შესრულება, როდესაც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში უნდა შეესრულებინა 170000 ლარის ღირებულების სამუშაო, ე.ი. სტუდიამ მათ დააკლო 5880 ლარის ღირებულების პროდუქცია.

ხელშეკრულების 4.3 მუხლის მიხედვით სტუდიის მიზეზით გადაცემის ეთერში გაუსვლელობის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი ვალდებულია, გადაიხადოს ჯარიმა – 600 ლარი და მხოლოდ გადაცემის „დღე“ მიუწოდებლობის გამო სტუდიას ჯარიმების სახით გადასახდელი აქვს 72000 ლარი.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძველიანობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრების მოთხოვნები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 2 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მხარეებს შორის 1998 წლის 30 აგვისტოს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს „საქტელერადიომაუწყებლობა“ არაჯეროვნად ასრულებდა, არ ანაზღაურებდა შპს „სტუდია ენთენ ტვ-ს“ მიერ შესრულებულ სამუშაოს. საქმეში წარმოდგენილი 2000 წლის 16 თებერვლის ურთიერთშეადარების აქტის თანახმად „საქტელერადიომაუწყებლობის“ დავალიანება სტუდიის მიმართ 2000 წლის პირველი იანვრისათვის შეადგენდა 61065 ლარს, საიდანაც 17188 ლარი მას ჩამოეწერა საბანკო ანგარიშიდან შპს „სტუდია ენთენ ტვ-ს“ საბიუჯეტო დავალიანების დასაფარავად. შესაბამისად, „საქტელერადიომაუწყებლობას“ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის შესაბამისად უნდა დაეკისროს ვალდებულების შეუსრულებლობისათვის 43877 ლარის გადახდა შპს „სტუდია ენთენ ტვ-ს“ სასარგებლოდ.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გაზიარებული უნდა იქნეს შპს „სტუდია ენთენ ტვ-ს“ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა საპროცენტო განაკვეთის 24%-ით განსაზღვრის ნაწილში.

სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის თანახმად, პროცენტი გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისო საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენლ ზღვრულ ოდენობასთან. საქმეში წარმოდგენილი საკრედიტო აუქციონის მონაცემებით საშუალო საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 19%-ს და მხარის მიერ მოთხოვილი 24% ზომიერ მაჩვენებლად უნდა იქნეს მიჩნეული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართლის 403.1 მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმადაც მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს კანონით განსაზღვრული (პროცენტი, ამიტომ სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობას“ შპს „სტუდია ენთენ ტვ-ს“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 16 672 ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლო შპს „სტუდია ენთენ ტვ“-ს საკასაციო საჩივრის დანარჩენ მოთხოვნებს არ იზიარებს უსაფუძვლობის მოტივით შემდეგ გარემოებათა გამო:

დაუსაბუთებელია კასატორის მოთხოვნა საქართველოს განათლების სამინისტროსა და მათ შორის დადებული ხელშეკრულების დარღვევის გამო 19000 ლარისა და პირგასამტეხლოს, 570 ლარის, „საქტელერადიომაუწყებლობისათვის“ დაკისრების ნაწილში, ვინაიდან მხარეთა შორის დადებულ №504 ხელშეკრულებასთან მას კავშირი არ აქვს. განათლების სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს გადაცემის მომზადებას და არა მის ეთერში გაშვებას „საქტელერადიომაუწყებლობის“ მეშვეობით. მასში ასევე მითითებულია გადაცემა „კამერატონი – ახალი პროექტის“

დამზადებაზე და არა გადაცემა „კამერატონზე“. ამავე დროს ამ ხელშეკრულების მე-7 პუნქტის თანხმად ხელშეკრულება ძალაში შედის თანხის გადმორიცხვის დღიდან და მოქმედებს 3 თვის განმავლობაში. დადგენილია, რომ განათლების სამინისტროს მიერ თანხა გადარიცხულ იქნა 1999 წლის 25 მაისს, ე.ი. სტუდიას ხელშეკრულებით გათვალისწინებული უნდა შეესრულებინა იმავე წლის 25 აგვისტომდე, როდესაც №504 ხელშეკრულება მოქმედებდა და ეთერში გადიოდა სტუდიის მიერ მიწოდებული გადაცემები. ამდენად, შპს „სტუდია ენთერ ტე-ს“ საკასაციო მოთხოვნა „საქტელერადიო-მაუწყებლობისასთვის 19570 ლარის გადახდის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის მოტივით.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს შპს „სტუდია ენთერ ტე-ს“ მხრიდან საგადასახადო სანქციებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნას, ვინაიდან საქმეში არ არის წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება მოსარჩელის ბიუჯეტისადმი დავალიანების თაობაზე, რაც დაადასტურებდა ჯერ თვად ამ ფაქტს და მეორეც, იმ გარემოებას, რომ საგადასახადო დავალიანება „საქტელერადიო-მაუწყებლობის“ ბრალით არის არის წარმოქმნილი.

საკასაციო სასამართლო ასევე ნაწილობრივ იზიარებს სსიპ „საქტელერადიო-მაუწყებლობის“ საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტით გამოწვეული ზიანისათვის ამ უკანასკნელის მიერ 17500 აშშ დოლარის ანაზღაურების ნაწილში, რადგან მხარეთა შორის დადებული №504 ხელშეკრულების 6.4 პუნქტის თანახმად მხარეებს უფლება ჰქონდათ, ვადაზე შეწყვეტით ხელშეკრულება წერილობითი გაფრთხილებიდან ერთი თვის შემდეგ. „საქტელერადიო-მაუწყებლობამ“ 1999 წლის 17 სექტემბრის №01/733 წერილით სტუდიას აცნობა ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაც სექტემბრის 01/742 წერილით კვლავ დაადასტურა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პალატამ უსაფუძვლოდ დააკისრა კასატორს 17500 აშშ დოლარის გადახდა სამოქალაქო კოდექსის 407-ე მუხლის საფუძველზე.

ამავე დროს საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ „საქტელერადიო-მაუწყებლობის“ საკასაციო საჩივარი 64800 ლარის სტუდიისათვის დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ სტუდიამ ვალდებულებათა შესრულება შეწყვეტა მას შემდეგ, რაც „საქტელერადიო-მაუწყებლობის“ დავალიანებამ 1999 წლის 1 მარტისათვის შეადგინა 60000 ლარი. სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად იმ პირს, რომელსაც ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულება აკისრია, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების

შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუდიას სრული უფლება ჰქონდა, მეორე მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში აღარ მიეწოდებინა პროდუქცია დამკვეთისათვის.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის საკმაოდ დასაბუთებული. აღნიშნული გარემოება კი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეზე შეიძლება მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რადგან საქმის ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 404-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „სტუდია ენთენ ტე-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. სსიპ „საქტელერადიომარეულობის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

3. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 2 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

4. შპს „ენთენ ტე-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ: მოპასუხე სსიპ „საქტელერადიომარეულობას“ დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის 43877 ლარის და მიუღებელ შემოსავლის სახით 16672 ლარის 24%, სულ 60549 ლარის გადახდა.

5. შპს „ენთენ ტე-ს“ სარჩელის დანარჩენი ნაწილის დაკმაყოფილებაზე ეთქვას უარი.

6. სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ შეგეგბული სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. მოსარჩელე შპს „ენტენ ტე-ის“ ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის დაეკისროს ჯარიმის სახით 7200 ლარის გადახდა სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ სასარგებლოდ.

7. სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობას“ შეგეგბული სარჩელის დარჩენილი ნაწილის დაკმაყოფილებაზე ეთქვას უარი.

8. დაეკისროს შპს „სტუდია ენთენ ტე-ს“ სახელმწიფო ბაჟის გადახდა 3800 ლარის გადახდა.

9. დაეკისროს სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობას“ სახელმწიფო ბაჟის, 5000 ლარის, გადახდა.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საავტორო პონორარის გადახდის ვალდებულების
შესრულება



გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№2ა-144-2003

7 ოქტომბერი 2003წ. ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა
კოლეგია

შემადგენლობა: მ. ჩანტლაძე (თავმჯდომარე),
მ.ჯიყაშვილი (მომხსენებელი),
გ.გულედანი

სხდომის მდივანი: ი.ხიჯაკაძე

მოსარჩელე: საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოე-
ბა; წარმომადგენლები – ელგუჯა შაფათავა, ირაკლი ერიშვილი
მოპასუხე: შპს „იასონი“; წარმომადგენლები – მიხეილ გოგაძე,
რუსუდან შველიძე.

დავის საგანი: საავტორო პონორარების გადახდის ვალდებულების
შესრულება.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

სარჩელის მოთხოვნებია:

1. დაეკისროს მოპასუხეს შპს „იასონს“ 6602,40 ლარის გადახდა
საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების სასარგებლოდ.
2. დაეკისროს მოპასუხეს შპს „იასონს“ იმ დოკუმენტების წარდგენა
მოსარჩელისთვის, რომელიც შეიცავს ნაწარმოებების გამოყენების შესახებ
ზუსტ ცნობებს.

3. დაეკისროს მოქასუხეს შპს „იასონს“ 700 ლარი მოსარჩელის სასარგებლოდ წარმომადგენლისათვის გადასახდელი თანხის სახით.

სარჩელის გარემოებებია:

2000 წლის 22 ივნისს დაიდო სალიცენზიო ხელშეკრულება №5/7 გამოქვეყნებული ნაწარმოებების საჯარო შესრულების შესახებ, რომლითაც შპს „იასონმა“ იკისრა ვალდებულება საზოგადოების ანგარიშზე ყოველთვიურად ჩაერიცხა 80 ლარი საავტორო ჰონორარის სახით.

2000 წლის 5 აგვისტოს შპს „იასონმა“ წერილით აცნობა მოსარჩელეს, რომ პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით წყვეტდა საქმიანობას.

2001 წლის 22 ნოემბრიდან მოქასუხემ განაახლა მუშაობა, თუმცა ფინანსური ვალდებულებები მოსარჩელის წინაშე არ შეუსრულებია.

ხელშეკრულების 3.4 პუნქტის მიხედვით მხარეებს შეთანხმებული აქვთ პირგასამტეხლო ვალდებულების შესრულების ყოველ ვადავადაცილებულ დღეზე 1%-ის ოდენობით.

2003 წლის 1 ივლისის მდგომარეობით შპს „იასონს“ საზოგადოების წინაშე ძირითადი დავალიანების სახით გადასახდელი აქვს 1600 ლარი, ხოლო პირგასამტეხლო 5002,40 ლარი. სულ 6602,40.

მოქასუხე შპს „იასონი“ სარჩელს არ ცნობს და შესაგებელს ამყარებს შემდეგ გარემოებებზე:

მოსარჩელე არ უთითებს სარჩელში რა ვადით დაიდო ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით იგი დაიდო 2000 წლის 22 ივნისს და მოქმედებდა იმავე წლის 1 ივლისამდე. თუკი მოსარჩელეს სურდა ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ხელშეკრულების 9.5 მუხლის მიხედვით იგი წერილობით უნდა განეხილავდა. რადგან მოსარჩელემ არ გამოთქვა სურვილი ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ, იგი შეწყდა მითითებულ ვადაში. ამას ადასტურებს შპს „იასონის“ წერილი, რომლითაც მოქასუხემ შეატყობინა საზოგადოებას, რომ იგი წყვეტდა სალიცენზიო შეთანხმების პირობების შესრულებას.

მოსარჩელისათვის ყველა იმ დოკუმენტის წარდგენის მოთხოვნა, რომელიც შეიცავს ზუსტ ცნობებს ნაწარმოებების გამოყენების შესახებ, საფუძველს მოკლებულია, რადგან მოსარჩელეს არ წარმოუდგენია ის მტკიცებულება, რომელიც მოქასუხის ამ ვალდებულებას დაადასტურებდა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეაფასა სარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი და

სამართლებრივი საფუძვლები თვის, რომ საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებების გამო:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება გარდა იმისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

მხარეთა შორის 2000 წლის 22 ივნისს დაიდო სალიცენზიო შეთანხმება, რომელიც გახდა მათი უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველი.

შეთანხმების 1.1 მუხლის მიხედვით შპს „იასონი“ იძენს ნებართვას საქართველოს ტერიტორიაზე საჯაროდ შესასრულოს „საზოგადოების“ რეპერტუარის მიკუთვნებული გამოქვეყნებული ნაწარმოები. იმავედროულად, შეთანხმების 8.1 მუხლით კი ვალდებულია საავტორო ჰონორარის სახით გადაიხადოს 80 ლარი ყოველთვიურად.

მხარეთა შორის დადებული შეთანხმება საავტორო ხელშეკრულებაა.

სარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის იმ ლოკუმენტების წარმოდგენის დაკისრების შესახებ, რომელიც შეიცავს ნაწარმოებების გამოყენების თაობაზე ზუსტ ცნობებს, კოლეგიის აზრით საფუძველს მოკლებულია.

სალიცენზიო შეთანხმების 3.2 მუხლის მიხედვით შპს „იასონი“ ვალდებულია ყოველი თვის დამთავრებიდან არაუგვიანეს 10 დღისა საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოებას წარუდგინოს ანგარიშსწორების ფურცლის შესადგენად საჭირო ლოკუმენტაცია საავტორო გასამრჯელოს დასარიცხად და გასული თვის მანძილზე შესრულებული ნაწარმოებების სრული პროგრამა.

როგორც აღნიშნული შეთანხმებიდან ჩანს, ანგარიშსწორების ფურცელი უნდა შეადგინოს მოსარჩელემ. მისი მონაცემების მოძიებაც მისი ვალდებულებაა. რაც შეეხება მოპასუხის ვალდებულებას წარუდგინოს მას საჭირო მონაცემები, უნდა შესრულდეს შპს „იასონის“ მიერ მოსარჩელის მოთხოვნისთანავე. იყო თუ არა ასეთი მოთხოვნა და დატოვებული იქნა თუ არა უპასუხოდ ამის შესახებ მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარმოუდგენია.

სასამართლო კოლეგია უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხისათვის 700 ლარის დაკისრების შესახებ წარმომადგენლის დახმარებისათვის ხარჯების ასანაზღაურებლად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მეორე წინადადების მიხედვით იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გადაწ-

ყვეტილება გამოტანილი, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში.

მოსარჩელემ სასამართლოს არ წარმოუდგინა მტკიცებულება წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების შესახებ, რის გამოც იგი მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მის საფუძვლიანობაზე.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 244-ე, 249-ე, 395-ე და 397-ე მუხლებით გადაწყვიტა:

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მიხედვით ჩვეულებრივ უფლებათა გადაცემის საავტორო ხელშეკრულების მიხედვით ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი ნებას რთავს ლიცენზიანტს, გამოიყენოს ნაწარმოები იმ პირთა თანაბრად, რომლებმაც მიიღეს ასეთი ნაწარმოების იმავე სახით გამოყენების უფლება.

მხარეთა შორის საავტორო ხელშეკრულების (სალიცენზიო შეთანხმების) დადების ფაქტი უდავოა. სადავოა მისი მოქმედების ვადები. მოპასუხის განმარტებით იგი დაიდო 8 დღის ვადით 2000 წლის 22 ივნისიდან 1 ივლისამდე.

კოლეგია არ იზიარებს მოპასუხის აღნიშნულ მოსაზრებას და თვლის, რომ ხელშეკრულება თავდაპირველად დაიდო 1 წლის ვადით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის მიხედვით ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვა-სიტყვითი აზრით.

ხელშეკრულების 7.2 მუხლის მიხედვით შეთანხმების მოქმედების ვადა მხარეთა მდუმარე თანხმობის შემთხვევაში ავტომატურად იქნება გაგრძელებული ყოველი მომდევნო ერთწლიანი პერიოდით.

ხელშეკრულების ნორმათა მთლიანი ანალიზისა და ზემოთ მითითებული 7.2 მუხლის გონივრული განსჯის საფუძველზე კოლეგია თვლის, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი ერთწლიანია და აღნიშნული მუხლი შემდგომი ერთწლიანი პერიოდებით მისი გაგრძელების წესს განსაზღვრავს.

რაც შეეხება მოპასუხის განმარტებას, რომ მან ხელშეკრულება მოშალა 5 აგვისტოდან საფუძველს მოკლებულია. კოლეგია თვლის, რომ ხელშეკრულება მხარეებს 2000 წლის 5 აგვისტოდან მოშლილად რომ მიეჩინათ ამის თაობაზე ნება მისი 7.3 მუხლის მიხედვით უნდა გამოხატულიყო 30 დღით ადრე ანუ 5 ივლისს, რაც არ განხორციელებულა.

2000 წლის 5 აგვისტოს წერილი წარმოადგენს პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების პერიოდში ფუნქციონირების განახლებამდე მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზის ცნობას კონტრაგენტისათვის, რაც ცნობადვე იქნა მიღებული

მოსარჩელის მიერ და მითითებული პერიოდისათვის ჰონორარის გადახდაზე მოთხოვნა მას შპს „იასონისათვის“ არ წაუყენებია.

მოპასუხემ პროფილაქტიკური სამუშაოების შემდეგ ფუნქციონირება განაახლა 2001 წლის 22 ნოემბერს.

კოლეგია თვლის, რომ ხელშეკრულების პირობებისა და მოპასუხის მიერ ჩატარებული 15 თვიანი პროფილაქტიკური სამუშაოების გათვალისწინებით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელი აქვს 20 თვის საავტორო ჰონორარი, კერძოდ, 2000 წლის ივლისის თვის, 2001 წლის დეკემბრის, 2002 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით და 2003 წლის იანვრიდან 1 ივნისის თვემდე (სარჩელის მოთხოვნა). ამდენად, ძირითადი დავალიანება შეადგენს 1600 ლარს.

ხელშეკრულების 3.4 მუხლის მიხედვით მხარეებმა დაადგინეს პირგასამტეხლო ანგარიშსწორების ფურცელში ნაჩვენები თანხის 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მოპასუხეს არ გადაუხდია საავტორო ჰონორარი არცერთი თვისათვის. შესაბამისად, 2000 წლის ივლისის თვისთვის ჰონორარის გადახდის ვადის შემდგომ გასულია 153 დღე, 2001 წლის დეკემბერში გადახდილი ჰონორარის გადახდის ვადის შემდგომ 365 დღე და ა.შ. რის გამოც მოპასუხეს შეთანხმებული პირგასამტეხლოს სახით დაუგროვდა 5002,4 ლარის გადასახადი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის მიხედვით პირგასამტეხლო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხაა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის.

კოლეგია თვლის, რომ პირგასამტეხლო მხარეთა მიერ განისაზღვრა კანონის მოთხოვნათა ზუსტი დაცვით. შპს „იასონის“ მიერ მოსარჩელის წინაშე ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისა და პირგასამტეხლოს მხარეთა მიერ დადგენილი წესით გამოთვლის შედეგად მიღებულ ოდენობას შორის თანაფარდობისა და მხარეთა ქონებრივი ინტერესების გათვალისწინებით კოლეგიას მიაჩნია, რომ არ უნდა გამოიყენოს მისთვის სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება და არ უნდა შეამციროს მისი ოდენობა.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

1. საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. დაეკისროს შპს „იასონს“ 6602,40 ლარი მოსარჩელის საქართვე-

ლოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების სასარგებლოდ.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№ას/760-1396-03

4 მარტი, 2004 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გა-
კოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მაია ახალაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქეთევან გაბელაია,
მარიამ ცისკაძე

სხდომის მდივანი: გურამ სუპატაშვილი

კასატორი: შპს „იასონის“ გენერალური დირექტორი მ. გოგაძე (მო-
პასუხე)

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა
საზოგადოება (მოსარჩელე)

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართ-
ლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 7 ოქტომ-
ბრის გადაწყვეტილება

კასატორის თხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და
ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

დავის საგანი: საავტორო კონორარის გადახდის ვალდებულების შეს-
რულება.

2000 წლის 22 ივნისს დაიდო სალიცენზიო ხელშეკრულება №5/7 გამოქვეყნებული ნაწარმოებების საჯარო შესრულების შესახებ, რომლითაც შპს „იასონმა“ იკისრა ვალდებულება, საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების ანგარიშზე ყოველთვიურად ჩაერიცხა საავტორო ჰონორარი 80 ლარი.

2000 წლის 5 აგვისტოს შპს „იასონმა“ წერილით აცნობა საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოებას, რომ პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით წყვეტდა საქმიანობას.

2001 წლის 22 ნოემბრიდან შპს „იასონმა“ განაახლა მუშაობა, თუმცა ფინანსური ვალდებულებები საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების წინაშე არ შეუსრულებია.

ხელშეკრულების თანახმად, მხარეებს შეთანხმებული ჰქონდათ პირგასამტეხლო ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 1%-ის ოდენობით.

2003 წლის 17 ივლისს საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოებამ სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს და ითხოვა შპს „იასონისათვის“ სახელშეკრულებო ძირითადი თანხისა და პირგასამტეხლოს გადახდევინება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – შპს „იასონს“ დაეკისრა 6.602,40 ლარის გადახდა მოსარჩელის – საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების სასარგებლოდ.

თავისი გადაწყვეტილების საფუძველად კოლეგიამ შემდეგი გარემოებანი მიუთითა:

კოლეგიამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლით, რომლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრით. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული ხელშეკრულების ნორმათა მთლიანი ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ ხელშეკრულების პირობების ვადა ერთწლიანია, ხოლო მხარეთა მდუმარე თანხმობის შემთხვევაში – გრძელდება ყოველი მომღვენო ერთი წლით.

კოლეგიამ მიიჩნია, რომ ხელშეკრულებების პირობებისა და მოპასუხის მიერ ჩატარებული 15 თვიანი პროფილაქტიკური სამუშაოების გათვალისწინებით შპს „იასონს“ მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელი აქვს 20 თვის საავტორო ჰონორარი 1600 ლარი, ასევე ვალდებულების შესრულების

ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო 5002,4 ლარი.

საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „იასონმა“.

საკასაციო საჩივრის საფუძველად კასატორმა შემდეგი გარემოებანი მიუთითა:

კასატორი არ ეთანხმება კოლეგიის მოსაზრებას, რომ ნების გამოვლენა მოცემულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს გონივრული განსჯით და არა მხოლოდ გამოთქმის სიტყვა-სიტყვითი აზრით. კასატორი მიიჩნევს, რომ ხელშეკრულება არ დადებულია 1 წლის ვადით, არამედ მხოლოდ 2000 წლის 1 ივლისამდე, როგორც ხელშეკრულებაშია მითითებული. კასატორის აზრით, კოლეგიას რომც ჩაეთვალა, რომ ხელშეკრულება ერთი წლის ვადითაა დადებული, იგი მაინც შეწყვეტილად უნდა ჩაითვალოს 2000 წლის 5 აგვისტოდან შპს „იასონის“ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. კასატორი თვლის, რომ მხარეთა შორის არანაირი სამართლებრივი ურთიერთობა და შესაბამისად არც ზიანის ანაზღაურების საფუძველი არ არსებობდა. ამდენად, კოლეგიამ გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მოთხოვნა და გამოიტანა არასწორი გადაწყვეტილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2000 წლის 22 ივნისს შპს „იასონმა“ და საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოებას შორის დაიდო სალიცენზიო ხელშეკრულება №5/7 გამოკვეყნებული ნაწარმოებების საჯარო შესრულების შესახებ, რომლითაც შპს „იასონმა“ იკისრა ვალდებულება საზოგადოების ანგარიშზე ყოველთვიურად ჩაერიცხა საავტორო ჰონორარი – 80 ლარი, ხელშეკრულება დაიდო ერთი წლის ვადით, ხელშეკრულების 7.2 მუხლის შესაბამისად.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა

კოლეგიის მიერ საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებები შეფასებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული, რაც ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კოლეგიამ არასწორად შეაფასა შპს „იასონის“ 2000 წლის 5 აგვისტოს წერილი მოსარჩელებისადმი პროფილაქტიური სამუშაოების ჩატარების პერიოდში ფუნქციონირების განახლებამდე მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზის ცნობად კონტრაგენტისათვის.

პალატა იზიარებს კასატორის მოტივაციას, რომ საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების თავმჯდომარის სახელზე მიწერილი შპს „იასონის“ გენერალური დირექტორის წერილი, რომელშიც ცალსახად მითითებულია, რომ საზოგადოება წვევტს სალიცენზიო შეთანხმების №5/7-ის შესრულებას, წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის ან ხელშეკრულებიდან გასვლის წინადადებას.

სამოქალაქო კანონმდებლობა არეგულირებს ხელშეკრულებიდან გასვლის პროცედურას, სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება კანონით გათვალისწინებული უფლებაა. კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველსა და წესს, კერძოდ, იმას თუ როდის შეუძლია ხელშეკრულების მხარეს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა (სამოქალაქო კოდექსის 405-ე, 352-359-ე მუხლები).

მართალია, ხელშეკრულებიდან გასვლა ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე ხორციელდება, მაგრამ იგი გამოიყენება მხოლოდ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეს არა აქვს უფლება ნებისმიერი საფუძველით და მოტივით მისი სურვილის შესაბამისად, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ან ხელშეკრულების შეწყვეტა და თავიდან აიცილოს მისგან გამომდინარე გასხვავებული სამართლებრივი შედეგები.

საქმის ხელახალ განმხილველმა კოლეგიამ უნდა დაადგინოს, თუ რას ითხოვდა მოპასუხე მითითებული 2000 წლის 5 აგვისტოს წერილით, მას ხელშეკრულებიდან გასვლა სურდა თუ ხელშეკრულების შეწყვეტა, შესაბამისად, დაცულია თუ არა მხარის მიერ 352-ე, 405-ე მუხლებით დადგენილი დანაწესი.

ხელშეკრულების 3.4 მუხლის მიხედვით, მხარეებმა დაადგინეს პირ-გასამტეხლო ანგარიშწორების ფურცელში ნაჩვენები თანხის 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, კოლეგიის გადაწყვეტილებით შპს „იასონის“ ძირითადი დავალიანება შეადგენს 1600 ლარს, ხოლო პირგასამტეხლო – 5002,4 ლარს.

სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, ვინაიდან აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო ახდენს პირგასამტეხლოს „სამართლიან“ შემცირებას, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კოლეგიის უარი მითითებული ნორმით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებაზე დაუსაბუთებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს იმავე კოლეგიას.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით

დ ა ა დ გ ი ნ ა

შპს „იასონის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს იმავე კოლეგიას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი*

წიგნი 4. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი

მიღებულია – 26.06.1997 წ., პალატი – 25.11.1997 წ-დან

პირი I. საავტორო სამართალი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1017. საავტორო სამართლის ცნება

საავტორო სამართალი იცავს საავტორო ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და გამოყენებისას (საავტორო უფლებები), აგრეთვე ზოგიერთ მათ მომიჯნავე უფლებებს, დაკავშირებულს შემსრულებლებთან, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლებსა და მაუწყებლობის ორგანიზაციებთან (მომიჯნავე უფლებები).

მუხლი 1018. საავტორო სამართლის მოქმედების სფერო.

საავტორო სამართალი ვრცელდება:

ა. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომლებზედაც საავტორო ან მომიჯნავე უფლებათა მფლობელია საქართველოს მოქალაქე ან საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, ფონოგრამებსა და ვიდეოგრამებზე, რომლებიც პირველად იქნა გამოცემული საქართველოს ტერიტორიაზე; ნაწარმოები, ფონოგრამა და ვიდეოგრამა ასევე ჩაითვლება საქართველოში პირველად გამოცემულად, თუ საზღვარგარეთ პირველი გამოცემიდან ოცდაათი დღის განმავლობაში იგი გამოიცა საქართველოს ტერიტორიაზე;

გ. შესრულებაზე, რომელიც პირველად განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე;

შესრულებაზე, რომელიც ჩაწერილია ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე,

* ამონარიდი

რომლის დაცვაც ხდება ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დებულებათა შესაბამისად; შესრულებაზე, რომელიც არ არის ჩაწერილი ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე, მაგრამ ჩართულია მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემაში, რომლის დაცვაც ხორციელდება ამ მუხლის „დ“ ქვეპუნქტის დებულებათა შესაბამისად;

დ. მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, იმ შემთხვევაში, თუ ისინი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არიან იურიდიული პირები და გადაცემებს ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული გადაცემების მეშვეობით;

ე. არქიტექტურის ნაწარმოებებზე, რომლებიც განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე, მიუხედავად მათი ავტორების მოქალაქეობისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა;

ვ. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, რომლებიც დაცულია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა მიხედვით, რომლის მონაწილაც საქართველოა.

მუხლი 1019. ნაწარმოების გამოქვეყნება

გამოქვეყნებად ჩაითვლება ავტორის ან საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელის თანხმობით განხორციელებული მოქმედება, რომლის შედეგადაც ნაწარმოები, შესრულება, ფონოგრამა, ვიდეოგრამა, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემა პირველად ხდება ხელმისაწვდომი საყოველთაოდ გაცნობისათვის გამოცემის, საჯარო ჩვენების, საჯარო გადაცემისა და სხვა გზით.

მუხლი 1020. ნაწარმოების გამოცემა

1. გამოცემად ჩაითვლება ავტორის ან საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელის თანხმობით ნაწარმოებისა და ფონოგრამის ეგზემპლარის გაშვება სამოქალაქო ბრუნვაში, გაყიდვის, გაქირავების, ან ნაწარმოების, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის ეგზემპლარებზე საკუთრების ან მფლობელობის სხვაგვარი გადაცემის გზით იმ რაოდენობით, რაც აკმაყოფილებს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნილებებს.

2. ნაწარმოები ან ფონოგრამა ასევე ჩაითვლება გამოცემულად, თუ ის ხელმისაწვდომია ინფორმაციის ელექტრონულ სისტემათა მეშვეობით.

მუხლი 1021. ნაწარმოების საჯარო შესრულება

1. საჯარო შესრულებად ჩაითვლება ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემების წარმოდგენა ღეკლამაციის, თამაშობის, სიმღერის, ცეკვის საშუალებით ან სხვა

სახით, როგორც უშუალოდ (ცოცხალი შესრულება), ასევე ნებისმიერი მაუწყებლობისა და პროცესების მეშვეობით, ადგილზე (ადგილებზე), სადაც შესრულება შეიძლება აღქმულ იქნეს 1023-ე მუხლით გათვალისწინებული გადაცემის განხორციელების აუცილებლობის გარეშე და სადაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან შემსრულებლის ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს.

2. აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო შესრულებად ითვლება აუდიოვიზუალური ნაწარმოების გამოსახულებათა ჩვენება თანამიმდევრობით.

მუხლი 1022. ნაწარმოების საჯარო ჩვენება

საჯარო ჩვენებად ჩაითვლება ორიგინალის ან ნაწარმოების ეგზემპლარის, შესრულების, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის ნებისმიერი დემონსტრირება, უშუალოდ ან ეკრანზე ფირის, სლაიდის, კადრის მეშვეობით ან სხვაგვარად ადგილზე (ადგილებზე), სადაც საჯარო ჩვენება შეიძლება აღქმულ იქნეს 1023-ე მუხლით გათვალისწინებული გადაცემის განხორციელების აუცილებლობის გარეშე და სადაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს.

მუხლი 1023. ნაწარმოების საჯარო გადაცემა

საჯარო გადაცემად (გადაცემა საყოველთაო გაცნობის მიზნით) ჩაითვლება ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემების გამოსახულებისა და/ან ხმის გადაცემა ეთერში, კაბელით ან სხვა საშუალებით ისე, რომ გადაცემის გამოსახულება და/ან ხმა შეიძლება აღქმულ იქნეს იმ პირთა მიერ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს, ადგილზე (ადგილებზე), რომლის დაშორებაც გადაცემის ადგილიდან ისეთია, რომ ასეთი გადაცემის გარეშე გამოსახულება ან ხმა არ შეიძლება აღქმულ იქნეს მითითებულ ადგილზე (ადგილებზე).

თავი II. საავტორო უფლებები

მუხლი 1024. საავტორო უფლების ობიექტები

1. საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულების, ავტორიანობის, ჟანრის, მოცულობის, აგრეთვე მისი გამოსატყვის ფორმისა და საშუალებისა.

2. საავტორო უფლება ვრცელდება როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს რაიმე ობიექტური ფორმით.

მუხლი 1025. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები

მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებია:

ა. ლიტერატურული ნაწარმოები (წიგნი, ბროშურა, სტატია, კომპიუტერული პროგრამა-

მა, მონაცემთა ბაზა და ა. შ.);

ბ. დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები, ქორეოგრაფიის ან პანტომიმის ნაწარმოები და სხვა სახის სასცენო ნაწარმოები;

გ. მუსიკალური ნაწარმოები ტექსტით თუ უტექსტოდ;

დ. აუდიოვიზუალური ნაწარმოებები (კინო, ტელე- და ვიდეოფილმი და სხვა);

ე. სკულპტურის, ფერწერის, გრაფიკის, ლითოგრაფიის და მსგავსი სახის სხვა ნაწარმოები;

ვ. დეკორატიულ-გამოყენებით და მონუმენტური ხელოვნების ნაწარმოები;

ზ. თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოები;

თ. არქიტექტურის, ქალაქშენებლობისა და საბადე-საპარკო ხელოვნების ნაწარმოებები;

ი. ფოტოგრაფიული ნაწარმოები ან ისეთი ნაწარმოები, რომელიც შექმნილია ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით; აუდიოვიზუალური ნაწარმოების ცალკე აღებული კადრი არ ჩაითვლება ფოტოგრაფიულ ნაწარმოებად;

კ. რუკა, გეგმა, ესკიზი, ილუსტრაცია და მსგავსი სახის სხვა ნაწარმოებები, რომლებიც მიეკუთვნება გეოგრაფიას, ფოტოგრაფიას ან სხვა დარგებს;

ლ. გადამუშავებული ნაწარმოები, თარგმანი, მხატვრული ნაწარმოების პწკარედი, ადაპტაცია, მიმოხილვა, ინსცენირება, კომპილაცია, მუსიკალური არანჟირება და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა სხვაგვარი გადამუშავება;

მ. კრებული (ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა) და სხვა შედგენილი ნაწარმოებები, რომლებიც მასალის შერჩევისა და განლაგების მიხედვით ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს.

< >

მუხლი 1029. ნაწარმოების ავტორი

ნაწარმოების ავტორად ჩაითვლება ის პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგადაც შექმნილია ნაწარმოები.

მუხლი 1030. საავტორო უფლების წარმოშობა

1. საავტორო უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ჩაითვლება, როდესაც იგი გამოხატულია ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა.

2. საავტორო უფლების წარმოშობისა და განხორციელებისათვის არ არის სავალდებულო ნაწარმოების რეგისტრაცია, მისი სპეციალური გაფორმება ან სხვა ფორმალობათა დაცვა.

მუხლი 1031. საავტორო უფლების დაცვის ნიშანი

საავტორო უფლების მფლობელს თავისი უფლების გაცხადების მიზნით შეუძლია გამოიყენოს საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე და შედგება სამი ელემენტისაგან:

ა. ლათინური ასო C წრეწირში: (©);

ბ. განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელის სახელი (დასახელება);

გ. ნაწარმოების პირველი გამოცემის წელი.

< >

მუხლი 1033. თანაავტორობა

1. საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც ერთობლივი შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნა ორმა ან მეტმა პირმა (თანაავტორობა), ერთობლივად ეკუთვნის თანაავტორებს, იმის მიუხედავად, ეს ნაწარმოები წარმოადგენს ერთ განუყოფელ მთლიანობას, თუ შედგება ნაწილებისაგან, რომელთაგან თითოეულს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. თანაავტორობა შორის ურთიერთობა შეიძლება განისაზღვროს მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

2. არც ერთ თანაავტორს არა აქვს უფლება, აკრძალოს ასეთი ნაწარმოების გამოყენება საამისო საკმაო საფუძვლების არსებობის გარეშე.

3. თანაავტორებს შეუძლიათ გამოაქვეყნონ ნაწარმოები ერთობლივი, საზიარო ფსევდონიმით.

4. ყოველ თანაავტორს უფლება აქვს გამოიყენოს ნაწარმოების ის ნაწილი, რომელიც მის მიერ არის შექმნილი და რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, თუ მათ შორის დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოების ნაწილი ჩაითვლება დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონედ, თუ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაწარმოების სხვა ნაწილების გარეშე.

მუხლი 1034. კრებულის შემდგენლის უფლებები

1. კრებულის ან სხვა შედგენილი ნაწარმოების ავტორს (შემდგენელს) ეკუთვნის საავტორო უფლება მასალის შერჩევაზე ან განლაგებაზე, რაც მისი ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს.

2. შემდგენელი საავტორო უფლებით სარგებლობს იმ პირობით, თუ დაცულია ყველა იმ ნაწარმოების ავტორთა უფლებები, რომლებიც შესულია შედგენილ ნაწარმოებში.

3. შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთა ავტორებს უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი ნაწარმოებები შედგენილი ნაწარმოებებისაგან დამოუკიდებლად, თუ საავტორო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. შემდგენლის საავტორო უფლება ხელს არ უშლის სხვა პირებს, დამოუკიდებლად განახორციელონ იმავე მასალის შერჩევა და განლაგება თავ-თავიანთ შედგენილ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

< >

მუხლი 1038. აუდიოვიზუალური ნაწარმოები

აუდიოვიზუალურ ნაწარმოებად ჩათვლება ნებისმიერი ნაწარმოები, რომელიც შედგება ერთმანეთთან დაკავშირებულ გამოსახულებათა სერიებისაგან (ხმის თანხლებით ან უამისოდ), ქმნის მოძრაობის შთაბეჭდილებას და შეიძლება აღქმულ იქნეს მხედველობით ან/და სმენით. აუდიოვიზუალური ნაწარმოებს მიეკუთვნება კინემატოგრაფიული და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც გამოხატულია კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით (ტელევიდეოფილმები, დიაფილმები და სხვა) მათი პირველადი და შემდგომი ფიქსაციის საშუალებათა მიუხედავად.

< >

მუხლი 1041. აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში ჩართული ნაწარმოების ავტორის უფლებები

ავტორი ადრე შექმნილი იმ ნაწარმოებისა, რომელიც გადამუშავებული ან ჩართულია შემადგენელ ნაწილად აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში, აგრეთვე ავტორები იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც შექმნილია აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის პროცესში, ინარჩუნებენ საავტორო უფლებას დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე თავიანთ ნაწარმოებებზე და უფლება აქვთ დამოუკიდებლად გამოიყენონ ასეთი ნაწარმოებები, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული – იმ პირობით, რომ ასეთი სარგებლობა ხელს არ შეუშლის აუდიოვიზუალური ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას.

< >

მუხლი 1043. ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები

1. ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებია:

ა. ავტორობის უფლება;

ბ. სახელის უფლება;

გ. ნაწარმოების გამოქვეყნების უფლება;

დ. უფლება, ნება დართოს სხვა პირებს შეიტანონ ცვლილებები, როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებასა და ავტორის სახელში, აგრეთვე წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას;

ე. უფლება, წინ აღუდგეს ნაწარმოების დამახინჯებას ან იმგვარ შეცვლას, რამაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია;

ვ. უფლება, მისცეს ნებართვა თავისი ნაწარმოებისათვის სხვა ავტორთა ნაწარმოებების დართვისა (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და ა. შ.);

ზ. უფლება, შეიტანოს ცვლილებები და დამატებები გამოქვეყნებულ ნაწარმოებში;

თ. უფლება, მოითხოვოს ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა (ნაწარმოების გამონხმობის უფლება). ასეთ შემთხვევაში ავტორი ვალდებულია საჯაროდ განაცხადოს გამონხმობის შესახებ.

2. ნაწარმოების გამონხმობის უფლება არ გამოიყენება სამსახურებრივ ნაწარმოებებთან დაკავშირებით.

მუხლი 1044. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების განხორციელება

1. 1043-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ უფლებათა განხორციელება ხდება ავტორის ხარჯზე. ავტორს უფლება აქვს აგრეთვე თავისი ხარჯებით ამოიღოს მიმოქცევიდან ადრე დამზადებული, გავრცელებისათვის გამიზნული ნაწარმოების ეგზემპლარები.

2. პირადი უფლებები ავტორს ეკუთვნის მისი ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და უნარჩუნდება ამ უფლებების დათმობის შემთხვევაშიც.

3. პირად უფლებათა განხორციელება ავტორის გარდაცვალების შემდეგ ხდება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 1045. ნაწარმოების ავტორის განსაკუთრებული უფლებები

1. ნაწარმოების ავტორს ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით.

2. ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა. ნაწარმოების რეპროდუცირება (რეპროდუცირების უფლება);

ბ. ორიგინალის ან ნაწარმოების ეგზემპლარების ნებისმიერი საშუალებით გავრცელება: გაყიდვა, გაქირავება და ა. შ. (გავრცელების უფლება);

გ. ნაწარმოების ეგზემპლარების იმპორტირება გავრცელების მიზნით, იმ ეგზემპლარების ჩათვლით, რომლებიც დამზადებულია ავტორის ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელის თანხმობით (უფლება იმპორტზე);

დ. ნაწარმოების საჯარო ჩვენება (საჯარო ჩვენების უფლება);

ე. ნაწარმოების საჯარო შესრულება (საჯარო შესრულების უფლება);

ვ. ნაწარმოების საჯარო გადაცემა (ნაწარმოების გადაცემა საყოველთაო გაცნობისათვის), ეთერში ან კაბელით გადაცემის ჩათვლით (საჯარო გადაცემის უფლება);

ზ. ნაწარმოების გადაცემა ეთერში, საყოველთაო გაცნობისათვის ეთერში პირველი და/ან შემდგომი გადაცემის ჩათვლით (ეთერში გადაცემის უფლება);

თ. ნაწარმოების გადაცემა კაბელით, საყოველთაო გაცნობისათვის კაბელით პირველი და/ან შემდგომი გადაცემის ჩათვლით (კაბელით გადაცემის უფლება);

ი. ნაწარმოების თარგმნა (თარგმნის უფლება);

კ. ნაწარმოების გადაკეთება, არანჭირება ან სხვა სახით გადამუშავება (გადამუშავების უფლება).

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქონებრივი უფლებების შეზღუდვები განისაზღვრება კანონით.

< >

მუხლი 1048. საავტორო ქონორარი

საავტორო ქონორარის ოდენობა, მისი გამოანგარიშების წესი ეგზემპლარის ყოველი სახით გამოყენებისათვის დადგენილ უნდა იქნეს საავტორო ხელშეკრულებით, აგრეთვე მოსარგებლებთან იმ ორგანიზაციების მიერ დადებული ხელშეკრულებით, რომლებიც მართავენ ავტორთა ქონებრივ უფლებებს კოლექტიურ საფუძველზე.

მუხლი 1049. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის უფლებები

1. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორს უფლება აქვს მოსთხოვოს ნაწარმოების მესაკუთრეს, მისცეს საშუალება განახორციელოს თავისი ნაწარმოების რეპროდუცირება (დაშვების უფლება); ამასთანავე, მესაკუთრეს არ შეიძლება მოეთხოვოს ნაწარმოების მიტანა ავტორთან.

2. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ორიგინალის პირველად გასხვისების შემდეგ, ასეთი ნაწარმოების საჯაროდ გაყიდვის (აუქციონის, სამხატვრო სალონის, სახვითი ხელოვნების გალერეის, მაღაზიის ან სხვა საშუალებით) ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ავტორს ან მის მემკვიდრეებს აქვთ უფლება მიიღონ გამყიდველისაგან ჰონორარი გასაყიდი ფასის ხუთი პროცენტის ოდენობით.

3. დაუშვებელია ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული უფლების გასხვისება ავტორის სიცოცხლეში და იგი კანონით ან ანდერძით გადაღის მხოლოდ და მხოლოდ მემკვიდრეებზე საავტორო უფლების მოქმედების ვადით.

< >

მუხლი 1055. ავტორის თანხმობის გარეშე ნაწარმოების გამოყენების უფლება

დაშვებულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, ოღონდ გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასესხების წყაროს აუცილებელი მითითებით:

ა. ციტირება მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოებებიდან ორიგინალში ან თარგმანში, სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და ინფორმაციული მიზნებისათვის – იმ მოცულობით, რაც გამართლებულია ციტირების მიზნით, გაზეთებიდან და ჟურნალებიდან მოკლე ნაწყვეტების რეპროდუცირების ჩათვლით, ბეჭდვითი მიმოხილვის ფორმით;

ბ. მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოებებიდან მოკლე ნაწყვეტების გამოყენება ილუსტრაციების სახით, გამოცემებში, რადიო- და ტელეგადაცემებში, სასწავლო ხასიათის ფონო- და ვიდეოჩანაწერებში – იმ მოცულობით, რაც განსაზღვრულია დასახული მიზნით;

გ. მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ საკითხებზე პერიოდულ გამოცემებში მართლზომიერად გამოქვეყნებული სტატიების ან ეთერში გადაცემული ანალოგიური სახის ნაწარმოებების რეპროდუცირება ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით ან მათი საჯარო გადაცემა – იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა სპეციალურად არ არის აკრძალული ავტორის ან საავტორო უფლებათა სხვა

მფლობელის მიერ. ამასთანავე, ავტორს უნარჩუნდება კრებულში ასეთი ნაწარმოების გამოქვეყნების უფლება;

დ. მიმდინარე მოვლენების პროცესში დანახული ან მოსმენილი ნაწარმოების რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვებში ფოტოგრაფიის, საეთერო ან საკაბელო გადაცემის გზით – იმ მოცულობით, რაც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით;

ე. საჯაროდ წარმოთქმული პოლიტიკური მოხსენების, სიტყვის, ლექციის, მიმართვის, ქადაგების და სხვა ანალოგიური ნაწარმოებების, სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული სიტყვების ჩათვლით, ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა პერიოდული გამოცემების საშუალებით რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა იმ მოცულობით, რაც განსაზღვრულია საინფორმაციო მიზნით. ამასთანავე, ავტორს უნარჩუნდება ასეთ ნაწარმოებთა ცალკე კრებულად ან წიგნად გამოცემის განსაკუთრებული უფლება;

ვ. რელიეფური წერტილოვანი შრიფტით ან სხვა სპეციალური საშუალებით უსინათლოთათვის შექმნილი, მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოების რეპროდუცირება მოგების მიღების მიზნის გარეშე, გარდა იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი გამოყენების ასეთი საშუალებებისათვის.

< >

მუხლი 1059. საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ ნაწარმოების მოკლევადიანი ჩაწერა

საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციას შეუძლია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის დამატებითი პონორარის გადახდის გარეშე მოკლევადიანი სარგებლობისათვის ჩაწეროს ის ნაწარმოები, რომლის მიმართაც ამ ორგანიზაციამ მიიღო ეთერში გადაცემის უფლება, შემდეგი პირობების დაცვით:

ა. საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ ჩანაწერის დამზადება საკუთარი მოწყობილობის მეშვეობით საკუთარი გადაცემისათვის;

ბ. ასეთი ჩანაწერის განადგურება დამზადებიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ, თუ უფრო ხანგრძლივი ვადა არ იყო შეთანხმებული ჩაწერილი ნაწარმოების ავტორთან;

ასეთი ჩანაწერი ნაწარმოების ავტორის თანხმობის გარეშე შეიძლება შენახულ იქნეს ოფიციალურ არქივში, თუ ჩანაწერი მხოლოდ და მხოლოდ დოკუმენტური ხასიათისაა.

< >

თავი IV. საავტორო უფლების გადაცემა

< >

მუხლი 1067. ავტორის ქონებრივი უფლების გადაცემა

1. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს შეუძლია გადასცეს თავისი ქონებრივი უფლებები სხვა პირს – უფლებამონაცვლეს. ასეთი ხელშეკრულებით უფლებამონაცვლეზე გადადის ნაწარმოების გამოყენების ყველა განსაკუთრებული უფლება, რომელიც გათვალისწინებულია 1045-ე მუხლით.

2. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს შეუძლია აგრეთვე სხვა პირს მისცეს ნებართვა განსაზღვრული საშუალებებით ნაწარმოების გამოსაყენებლად.

3. განსაზღვრული საშუალებებით ნაწარმოების გამოყენების ნებართვა გაიცემა განსაკუთრებული ან ჩვეულებრივი ლიცენზიის გაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულების საფუძველზე.

< >

თავი VII. საავტორო და მის მომიჯნავე

უფლებათა დაცვა

მუხლი 1096. საავტორო უფლებათა დარღვევის შედეგები

1. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ ასრულებს ამ კარის მოთხოვნებს, ჩაითვლება საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დამრღვევად.

2. განსაკუთრებული საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ დამრღვევისაგან:

ა. უფლების აღიარება;

ბ. უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედებათა აღკვეთა, რომლებიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს;

გ. ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით;

დ. ზიანის ანაზღაურების ნაცვლად იმ შემოსავლის გადახდევინება, რომელიც დამრღვევმა მიიღო საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევის შედეგად;

ე. კომპენსაციის გადახდა, რომლის ოდენობაც განისაზღვრება სასამართლოს მიერ ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის სანაცვლოდ.

ვ. მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სხვა ზომების მიღება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ზომები გამოიყენება საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელი პირის არჩევით.

მუხლი 1097. კონტრაფაქციული პროდუქცია

1. ნაწარმოებთა და ფონოგრამების ან ვიდეოგრამების ეგზემპლარები, რომელთა დამზადებაც ან გავრცელებაც იწვევს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევას, ჩაითვლებიან კონტრაფაქციულ ეგზემპლარებად.

2. კონტრაფაქციულად ჩაითვლება ასევე იმ ნაწარმოებთა ან ფონოგრამების ეგზემპლარები, რომლებიც დაცულია საქართველოში ამ კოდექსის მიხედვით და რომლებიც საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელის თანხმობის გარეშე იმპორტირებულია საქართველოში იმ სახელმწიფოდან, სადაც ეს ნაწარმოებები და ფონოგრამები არასდროს ყოფილა დაცული, ან მათი დაცვა შეწყვეტილია.

მუხლი 1098. კონტრაფაქციული პროდუქციის ჩამორთმევა

1. სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება ნაწარმოების ან ფონოგრამებისა და ვიდეოგრამების კონტრაფაქციული ეგზემპლარების, აგრეთვე მათი რეპროდუცირებისათვის საჭირო მასალებისა და მოწყობილობების ჩამორთმევის შესახებ.

ნაწარმოების ან ფონოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარები, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელის მოთხოვნისამებრ შეიძლება გადაეცეს ამ უკანასკნელს.

2. ნაწარმოების ან ფონოგრამისა და ვიდეოგრამების კონტრაფაქციული ეგზემპლარები, რომლებიც არ იქნა გამოთხოვილი საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელის მიერ, აგრეთვე მათი რეპროდუცირებისათვის საჭირო მასალები და მოწყობილობები, სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით ექვემდებარება განადგურებას.

3. ჩამორთმევას არ ექვემდებარება მესამე პირების მიერ კეთილსინდისიერად შეძენილი ნაწარმოების ან ფონოგრამებისა და ვიდეოგრამების კონტრაფაქციული ეგზემპლარები.

< >

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

მიღებულია – 22.06.1999წ., ძალაშია – 22.06.1999წ.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, 24 ივლისი, №31, 1997) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 1017-ე მუხლის ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საავტორო სამართლით მოწესრიგებული საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების, აგრეთვე ზოგიერთი მათი მომიჯნავე უფლების დაცვა ხორციელდება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“

2. 1018-ე – 1099-ე, 1508-ე მუხლები ამოღებულ იქნეს.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ელჟარდ შევარდნაძე.

თბილისი,

1999 წლის 22 ივნისი.

საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ*

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია, დაიცვას საავტორო ქონებრივი და პირადი არა-ქონებრივი უფლებები, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და გამოყენების დროს (საავტორო უფლებები), აგრეთვე ზოგიერთი მათი მომიჯნავე უფლება, დაკავშირებული შემსრულებლებთან, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლებთან და მაუწყებლობის ორგანიზაციებთან (მომიჯნავე უფლებები).

<...>

მუხლი 3. კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი ვრცელდება:

ა) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომლებზედაც საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა მფლობელია საქართველოს მოქალაქე, საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირი ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული იურიდიული პირი;

ბ) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომლებიც პირველად გამოიცა საქართველოს ტერიტორიაზე. ნაწარმოები, ფონოგრამა და ვიდეოგრამა ასევე ჩაითვლება საქართველოში პირველად გამოცემულად, თუ საზღვარგარეთ პირველი გამოცემიდან ოცდაათი დღის განმავლობაში ისინი გამოიცა საქართველოს ტერიტორიაზე;

გ) შესრულებაზე, რომელიც პირველად განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე; შესრულებაზე, რომელიც ჩაწერილია ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე, რომლის დაცვაც ხდება ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად; შესრულებაზე, რომელიც არ არის ჩაწერილი ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე, მაგრამ ჩართულია მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემაში, რომლის დაცვაც ხდება ამ მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

დ) იმ მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, რომლებიც არიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაფუძნებული

ამონარიდი.

იურიდიული პირები და პროგრამებს გადასცემენ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული გადასცემების მეშვეობით;

ე) არქიტექტურულ ნაწარმოებებზე, რომლებიც განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე, ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც ჩართულია შემადგენელ ნაწილად საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ არქიტექტურულ ნაწარმოებში, მიუხედავად მათი ავტორების მოქალაქეობისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა;

ვ) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამაზე, ვიდეოგრამასა და მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, რომლებიც დაცულია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად, რომელთა მონაწილეც არის საქართველო.

მუხლი 4. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „ავტორი“ – ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები;

ბ) „აუდიოვიზუალური ნაწარმოები“ – ნაწარმოები, რომელიც შედგება თანამიმდევრული გამოსახულებებისაგან ხმის თანხლებით ან/და უამისოდ, ქმნის მოძრაობის შთაბეჭდილებას და შეიძლება აღქმულ იქნეს მხედველობით ან/და სმენით. აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს მიეკუთვნება კინემატოგრაფიული და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც გამოხატულია კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით (ტელე-, ვიდეო-, დიაფილმები და სხვა);

გ) „აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელი (პროდიუსერი)“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ინიციატივა და იკისრა პასუხისმგებლობა ასეთი ნაწარმოების დამამზადებისათვის; თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება, აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლად მიიჩნევა ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი ან დასახელებაც სათანადო წესით აღნიშნულია ნაწარმოებზე;

დ) „გამოქვეყნება“ – ავტორის ან საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელის თანხმობით განხორციელებული მოქმედება, რომლის შედეგადაც პირველად ხდება ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის საზოგადოებისათვის გაცნობა გამოცემის, საჯარო ჩვენების, საჯარო შესრულების, საჯარო გადაცემისა და სხვა გზით;

ე) „გამოცემა“ – ავტორის ან საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელის თანხმობით ნაწარმოების, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის ეგზემპლარების სამოქალაქო ბრუნვაში გაშვება გაყიდვის ან გაქირავების, ანდა ნაწარმოების, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის ეგზემპლარებზე საკუთრების ან

მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით, იმ რაოდენობით, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნილებებს. ნაწარმოები, ფონოგრამა და ვიდეოგრამა ასევე ჩაითვლება გამოცემულად, თუ ისინი ხელმისაწვდომია ინფორმაციის ელექტრონულ სისტემათა მეშვეობით;

ვ) „გაქირავება“ – ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ორიგინალის ან ასლის ხელმისაწვდომობა დროის განსაზღვრულ პერიოდში სარგებლობისათვის მოგების მიღების მიზნით;

ზ) „ვიდეოგრამა“ – გამოსახულებათა თანამიმდევრობის ჩანაწერი რაიმე ობიექტური ფორმით, ხმის თანხლებით ან უამისოდ;

თ) „ვიდეოგრამის დამამზადებელი (პროდიუსერი)“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ინიციატივა და იყისრა პასუხისმგებლობა გამოსახულებათა თანამიმდევრობის პირველი ჩანაწერის ხმის თანხლებით ან უამისოდ განხორციელებისათვის; თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება, ვიდეოგრამის დამამზადებლად მიიჩნევა ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი ან/და დასახელებაც სათანადო წესით აღნიშნულია ვიდეოგრამაზე ან/და მის ფუტლარზე;

ი) „კაბელით გადაცემა“ – ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გადაცემა კაბელით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით ან სხვა ანალოგიური მოწყობილობით. („კაბელით ხელახალი გადაცემა“ წარმოადგენს ერთდროულ, შეუცვლელ და შეუკვეცავ ხელახალ გადაცემას მიკროტალღური სისტემის მეშვეობით საზოგადოების მიერ მისთვის განკუთვნილი ტელე- და რადიოპროგრამების საწყისი გადაცემის მისაღებად სადენით ან საჰაერო გზით, სატელიტური კავშირის ჩათვლით.);

კ) „კომპიუტერული პროგრამა“ – ინსტრუქციათა ერთობლიობა სიტყვების, კოდების, სქემების ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით, რომელიც საშუალებას იძლევა აამოქმედოს კომპიუტერი განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. ტერმინი მოიცავს კომპიუტერული პროგრამის დიზაინის მოსამზადებელ მასალას;

ლ) „მაუწყებლობა“ – ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გადაცემა უმავთულო კავშირგაბმულობით, მათ შორის, თანამგზავრის მეშვეობით. („თანამგზავრი“ ნიშნავს ყველა თანამგზავრს, რომელიც მუშაობს სისშირეთა იმ დიაპაზონში, რომელიც ტელესაკომუნიკაციო წესების მიხედვით განკუთვნილია საზოგადოებისათვის მისაწოდებელი სამაუწყებლო სიგნალებისათვის. „თანამგზავრის მეშვეობით გადაცემა“ გულისხმობს პროგრამების მატარებელი სიგნალების მიღებას მაუწყებლობის ორგანიზაციის კონტროლისა და პასუხისმგებლობის პირობებში. საზოგადოებისათვის განკუთვნილი პროგრამები მიიღება კავშირის უწყვეტი ჯაჭვის სახით – ზეით სატელიტისა და ქვეით დედამიწის მიმართულებით. თუ პროგრამის მატარებელი სიგნალები დაშიფ-

რულია, სატელიტური კავშირი ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებლობის ორგანიზაცია თანახმაა უზრუნველყოს საზოგადოებისათვის გაშიფვრის საშუალებათა მიწოდება.);

მ) „მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემა“ – პროგრამა, რომელიც შექმნილია თვით საეთერო ან საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ, ან მისი შეკვეთითა და მისივე სახსრებით სხვა ორგანიზაციის მიერ. პროგრამა, რომელიც მხოლოდ ხელახლა გადაიცა კაბელით საკაბელო ორგანიზაციის მეშვეობით, არ წარმოადგენს ამ საკაბელო ორგანიზაციის გადაცემას;

ნ) „მონაცემთა ბაზა“ – სისტემური ან მეთოდური წესით განლაგებული ნაწარმოებების, დამოუკიდებელი ინფორმაციის, მონაცემებისა და სხვა მასალის კრებული, რომელიც ინდივიდუალურად ხელმისაწვდომია ელექტრონული ან სხვა საშუალებებით. ტერმინი არ მოიცავს კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც გამოიყენება ელექტრონული საშუალებებით ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზის შექმნისა და გამოყენების დროს;

ო) „რეპროდუცირება“ – ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ერთი ან ერთზე მეტი ასლის დამზადება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მათ შორის, ხმისა და ვიდეოჩანაწერის ფორმით. რეპროდუცირებად ასევე ჩაითვლება ჩაწერა დროებითი ან მუდმივი შენახვისათვის, ელექტრონული (ციფრულის ჩათვლით), ოპტიკური ან მანქანით წყითხვადი სხვა ფორმით, გარდა გამოცემისა;

პ) „რეპროგრაფიული გამრავლება (ასლის გადაღება)“ – წერილობითი ან გრაფიკული ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის ფაქსიმილური რეპროდუცირება გადიდებული თუ შემცირებული ზომით, ფოტოკოპირების ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. რეპროგრაფიულ გამრავლებად არ ჩაითვლება ჩაწერა ელექტრონული (ციფრულის ჩათვლით), ოპტიკური ან მანქანით წყითხვადი სხვა ფორმით;

ჟ) „საჯარო გადაცემა (გადაცემა საყოველთაო გაცნობისათვის)“ – ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის გამოსახულების ან/და ხმის გადაცემა ეთერში, კაბელით ან სხვა საშუალებით ისე, რომ გადაცემის გამოსახულება ან/და ხმა შეიძლება აღქმულ იქნეს იმ პირთა მიერ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს, ადგილზე (ადგილებზე), რომლის (რომელთა) დაშორებაც გადაცემის ადგილიდან ისეთია, რომ ასეთი გადაცემის გარეშე გამოსახულება ან/და ხმა არ შეიძლება აღქმულ იქნეს მითითებულ ადგილზე (ადგილებზე);

რ) „საჯარო შესრულება“ – ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის წარმოდგენა დეკლამაციის, თამაშობის, სიმღერის, ცეკვის ან სხვა სახით, უშუალოდ

(ცოცხალი შესრულება) ან ნებისმიერი მოწყობილობის მეშვეობით, ადგილზე (ადგილებზე), სადაც საჯარო შესრულება შეიძლება აღქმულ იქნეს საჯარო გადაცემის აუცილებლობის გარეშე და სადაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს. აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო შესრულებად ითვლება ნაწარმოების გამოსახულებათა ჩვენება თანამიმდევრობით;

ს) „საჯარო ჩვენება“ – ნაწარმოების, შესრულების, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის დემონსტრირება, უშუალოდ ან ეკრანზე ფირის, სლაიდის, კადრის მეშვეობით ან სხვაგვარად, ადგილზე (ადგილებზე), სადაც საჯარო ჩვენება შეიძლება აღქმულ იქნეს საჯარო გადაცემის აუცილებლობის გარეშე და სადაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს. აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო ჩვენებად ითვლება ნაწარმოების გამოსახულებათა ჩვენება თანამიმდევრობის გარეშე;

ტ) „ტექნიკური საშუალება“ – მოწყობილობა ან მისი კომპონენტი, რომელიც განკუთვნილია სააქტორო და მომიჯნავე უფლებათა ნებისმიერი დარღვევის თავიდან ასაცილებლად ან აღსაყვებად;

უ) „უფლების მართვის ინფორმაცია“ – ინფორმაცია, რომელშიც მითითებულია ავტორი, ნაწარმოები, შემსრულებელი, შესრულება, ფონოგრამა, ფონოგრამის დამამზადებელი, ვიდეოგრამა, ვიდეოგრამის დამამზადებელი, მაუწყებლობის ორგანიზაცია, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემა, მონაცემთა ბაზა, მონაცემთა ბაზის დამამზადებელი და ამ კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების მფლობელი, ანდა ინფორმაცია ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გამოყენების ვადებისა და პირობების შესახებ, ციფრები და კოდები, რომლებშიც ასახულია ეს ინფორმაცია, როდესაც ამ ინფორმაციის შემადგენელი ნაწილები ერთის ნაწარმოებს, ჩაწერილ შესრულებას, ფონოგრამას, ვიდეოგრამას ან მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემას ან ჩნდება ნაწარმოების, ჩაწერილი შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის საზოგადოებისათვის გაცნობის დროს;

ფ) „ფონოგრამა“ – შესრულების ან სხვა ხმების მხოლოდ ხმოვანი ჩანაწერი. ტერმინი არ მოიცავს გამოსახულებებთან ერთად ჩაწერილი ბგერების ჩანაწერს, როგორცაა აუდიოვიზუალური ნაწარმოების მუსიკალური ფონი;

ქ) „ფონოგრამის დამამზადებელი“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ინიციატივა და იყისრა პასუხისმგებლობა შესრულების ან სხვა ხმების პირველი ხმოვანი ჩანაწერის განხორციელებისათვის; თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება, ფონოგრამის დამამზადებლად მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი ან/და დასახელებაც

სათანადო წესით აღნიშნულია ფონოგრამაზე ან/და მის ფუტლარზე;

ღ) „ჩაწერა“ – ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით გამოსახულების ან/და ხმის ფიქსაცია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მათი არაერთჯერადი აღქმის, რეპროდუცირებისა და გადაცემის საშუალებას იძლევა;

ყ) „შემსრულებელი“ – მსახიობი (თეატრისა, კინოსი და ა.შ.), მომღერალი, მუსიკოსი, მოცეკვავე ან სხვა პირი, რომელიც თამაშობს როლს, კითხულობს, მღერის, ახდენს დეკლამირებას, უკრავს მუსიკალურ ინსტრუმენტზე ან სხვაგვარად ასრულებს ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებს, მათ შორის, საესტრადო, საცირკო, თოჯინურ ან ფოლკლორულ ნომერს.

თავი II

საავტორო უფლებები

მუხლი 5. საავტორო უფლების ობიექტები

1. საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოსატვის ფორმისა და საშუალებისა.

2. საავტორო უფლება ვრცელდება როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს რაიმე ობიექტური ფორმით.

3. საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში.

მუხლი 6. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები

1. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებია:

ა) ლიტერატურული ნაწარმოები (წიგნი, ბროშურა, სტატია, კომპიუტერული პროგრამა და სხვა);

ბ) დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები, ქორეოგრაფიის ან პანტომიმის ნაწარმოები და სხვა სასცენო ნაწარმოები;

გ) მუსიკალური ნაწარმოები ტექსტით ან უტექსტოდ;

დ) აუდიოვიზუალური ნაწარმოები (კინო-, ტელე-, ვიდეოფილმი და სხვა);

ე) სკულპტურის, ჟერწერის, გრაფიკის, ლითოგრაფიის, სახვითი ხელოვნებისა და სხვა მსგავსი ნაწარმოები;

ვ) დეკორატიულ-გამოყენებითი ან მონუმენტური ხელოვნების ნაწარმოები;

ზ) თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოები;

თ) არქიტექტურული, ქალაქმშენებლობის ან საბაღე-საპარკო ხელოვნების ნაწარმოები;

ი) ფოტოგრაფიული ნაწარმოები ან ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით შექმნილი ნაწარმოები. აუდიოვიზუალური ნაწარმოების ცალკეული გამოსახულება არ ითვლება ფოტოგრაფიულ ნაწარმოებად;

კ) რუკა, გეგმა, ესკიზი, ილუსტრაცია და სხვა მსგავსი ნაწარმოები, რომელიც მიეკუთვნება გეოლოგიას, გეოგრაფიას, კარტოგრაფიას ან სხვა დარგებს;

ლ) გადამუშავებული ნაწარმოები, კერძოდ, თარგმანი, მხატვრული ნაწარმოების პწკარედი, ადაპტაცია, ეკრანიზაცია, მიმოხილვა, ინსცენირება, კომპილაცია, მუსიკალური არანჟირება და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა სხვაგვარი გადამუშავება;

მ) შედგენილი ნაწარმოები, კერძოდ, კრებული (ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა) და სხვა ნაწარმოები, რომელიც მასალის შერჩევისა და განლაგების მიხედვით ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს;

ნ) სხვა ნაწარმოებები.

2. გადამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებათა დაცვა ხორციელდება მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა საავტორო უფლების ობიექტებს ის ნაწარმოებები, რომლებსაც ემყარებიან ან შეიცავენ ისინი.

3. გადამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებთა დაცვა ხორციელდება ორიგინალური ნაწარმოების თანაბრად.

4. კომპიუტერული პროგრამის დაცვა ვრცელდება ყველა სახის კომპიუტერულ პროგრამაზე (ოპერაციული სისტემების ჩათვლით), რომელიც შეიძლება გამოიხატოს ნებისმიერი ენით და ფორმით, საწყისი ტექსტისა და ობიექტური კოდის ჩათვლით.

მუხლი 7. საავტორო უფლების დამოუკიდებლობა საკუთრების უფლებისაგან

1. საავტორო უფლება არ არის დამოკიდებული იმ მატერიალური ობიექტის საკუთრების უფლებაზე, რომელშიც გამოხატულია ნაწარმოები.

2. მატერიალური ობიექტის საკუთრების ან მფლობელობის გადაცემა თავისთავად არ იწვევს ამ ობიექტში გამოხატულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების გადაცემას, გარდა ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

<...>

მუხლი 9. საავტორო უფლების წარმოშობა

1 საავტორო უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა.

2. საავტორო უფლების წარმოშობისა და განხორციელებისათვის აუცილებელი არ არის ნაწარმოების რეგისტრაცია, სპეციალური გაფორმება ან სხვა ფორმალბათა დაცვა.

3. საავტორო უფლების მფლობელს უფლება აქვს ნაწარმოები რეგისტრაციაში გაატაროს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ რეესტრში. რეგისტრაციის შემდეგ რეგისტრანტს ეძლევა სერტიფიკატი, რომელიც თავისთავად არ წარმოშობს ავტორობის პრეზუმფციას.

4. განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელს თავისი უფლების განცხადებისათვის შეუძლია გამოიყენოს საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე და შედგება სამი ელემენტისაგან:

- ა) ლათინური ასო C წრეწირში: ©;
- ბ) განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელის სახელი (დასახელება);
- გ) ნაწარმოების პირველი გამოცემის წელი.

მუხლი 10. ავტორობის პრეზუმფცია

1. პირი, რომელიც სათანადო წესით აღნიშნულია, როგორც ავტორი, ნაწარმოების ორიგინალზე ან ასლზე, მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. ეს დებულება გამოიყენება ასევე ნაწარმოების ფსევდონიმით გამოქვეყნებისას, თუ ავტორი ამ ფსევდონიმით საყოველთაოდ ცნობილია.

2. როდესაც ნაწარმოები ქვეყნდება ფსევდონიმით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორი ამ ფსევდონიმით საყოველთაოდ ცნობილია) ან ანონიმურად, გამოქვეყნებული, რომლის სახელი ან დასახელებაც სათანადო წესით აღნიშნულია ნაწარმოებზე, ითვლება ავტორის წარმომადგენლად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. მას, როგორც წარმომადგენელს, უფლება აქვს დაიცვას ავტორის უფლებები და უზრუნველყოს მათი განხორციელება. ეს დებულება გამოიყენება მანამ, სანამ ასეთი ნაწარმოების ავტორი არ გაამჟღავნებს თავის ვინაობას.

მუხლი 11. თანავეტორობა

1 საავეტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც ერთობლივი შრომის შედეგად შექმნა ორმა ან მეტმა პირმა (თანავეტორობა), ერთობლივად ეკუთვნის თანავეტორებს, იმის მიუხედავად, ეს ნაწარმოები წარმოადგენს ერთ განუყოფელ მთლიანობას თუ შედგება ნაწილებისაგან, რომელთაგან თითოეულს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. თანავეტორთა ურთიერთობა შეიძლება განისაზღვროს მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

2. არც ერთ თანავეტორს არა აქვს უფლება, აკრძალოს ნაწარმოების გამოყენება საამისოდ საკმაო საფუძველების არსებობის გარეშე.

3. თანავეტორებს შეუძლიათ გამოაქვეყნონ ნაწარმოები ერთობლივი, საზიარო ფსევდონიმით.

4. ყოველ თანავეტორს აქვს უფლება, გამოიყენოს ნაწარმოების ის ნაწილი, რომელიც მის მიერ არის შექმნილი და რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. თანავეტორობით შექმნილი ნაწარმოების ნაწილი ჩაითვლება დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონედ, თუ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაწარმოების სხვა ნაწილების გარეშე.

მუხლი 12. შედგენილი ნაწარმოების ავეტორის (შემდგენლის) უფლებები

1. შედგენილი ნაწარმოების ავეტორს (შემდგენელს) ეკუთვნის საავეტორო უფლება მასალის შერჩევასა და განლაგებაზე, რაც მისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს.

2. შემდგენელმა უნდა დაიცვას შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთა ავეტორების საავეტორო უფლება.

3. შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთა ავეტორებს უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი ნაწარმოებები შედგენილი ნაწარმოებისაგან დამოუკიდებლად, თუ საავეტორო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. შემდგენლის საავეტორო უფლება ხელს არ უშლის სხვა პირებს, განახორციელონ იმავე მასალის შერჩევა და განლაგება თავიანთ შედგენილ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

მუხლი 13. გადამუშავებული ნაწარმოების ავეტორის უფლებები

1. გადამუშავებული ნაწარმოების ავეტორს ეკუთვნის საავეტორო უფლება მის მიერ განხორციელებულ გადამუშავებაზე.

2. გადამუშავებული ნაწარმოების ავეტორმა უნდა დაიცვას ამ ნაწარმოების ავეტორის საავეტორო უფლება.

3. გადამუშავებული ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლება ხელს არ უშლის სხვა პირებს, გადაამუშაონ იგივე ნაწარმოები.

<...>

მუხლი 15. საავტორო უფლება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე

1. აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორები (თანაავტორები) არიან: დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი, ავტორი ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებისა, რომელიც შექმნილია სპეციალურად ამ აუდიოვიზუალური ნაწარმოებისათვის.

2. აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის თაობაზე ხელშეკრულების დადება იწვევს ავტორთა (თანაავტორთა) მიერ ამ ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლების გადაცემას აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლისათვის, ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლების პირობით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ავტორი მუსიკალური ნაწარმოებისა, რომელიც შექმნილია სპეციალურად აუდიოვიზუალური ნაწარმოებისათვის, ინარჩუნებს უფლებას, მიიღოს ჰონორარი ასეთი მუსიკალური ნაწარმოების გამოყენებისათვის, აუდიოვიზუალური ნაწარმოების ყოველი საჯარო შესრულებისა და საჯარო ჩვენების დროს. ამ უფლების განხორციელება შესაძლებელია ავტორთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მეშვეობით.

3. აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელს უფლება აქვს, ასეთი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას მიუთითოს თავისი სახელი ან მოითხოვოს მისი მითითება.

4. ავტორი ადრე შექმნილი ნაწარმოებისა, რომელიც გადამუშავებულია ან ჩართულია შემადგენელ ნაწილად აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში, აგრეთვე ავტორი ნაწარმოებისა, რომელიც შექმნილია აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის პროცესში, ინარჩუნებენ საავტორო უფლებას დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე თავიანთ ნაწარმოებებზე. მათ უფლება აქვთ დამოუკიდებლად ისარგებლონ ამ ნაწარმოებებით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, იმ პირობით, რომ ასეთი სარგებლობა ხელს არ შეუშლის აუდიოვიზუალური ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას.

მუხლი 16. საავტორო უფლება სამსახურებრივ ნაწარმოებზე

1. საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც შექმნილია სამუშაოს მიმცემის უშუალო სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით (სამსახურებრივი ნაწარმოები), ეკუთვნის სამსახურებრივი ნაწარმოების ავტორს.

2. სამსახურებრივი ნაწარმოების ისეთი გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რომელიც შეპირობებულია დავალების შინაარსითა და მიზნით, ეკუთვნის პირს, რომელთანაც ავტორს აქვს შრომითი ურთიერთობა (სამუშაოს მიმცემი), თუ მას და ავტორის შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. კომპიუტერულ პროგრამასთან დაკავშირებით სამუშაოს მიმცემი სარგებლობს შექმნილი კომპიუტერული პროგრამის გამოყენების განსაკუთრებული ქონებრივი უფლებებით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. ავტორის მიერ სამუშაოს მიმცემისათვის ნაწარმოების გადაცემიდან 5 წლის შემდეგ მისი გამოყენების განსაკუთრებული უფლება გადადის ავტორზე, თუ მას და სამუშაოს მიმცემს შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. თუ სამუშაოს მიმცემი ნაწარმოების გადაცემიდან 3 წლის განმავლობაში არ გამოიყენებს ნაწარმოებს, მისი გამოყენების განსაკუთრებული უფლება გადადის ავტორზე. ეს დებულება გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნაწარმოების გამოყენება საპატიო მიზეზის გარეშე შეწყვეტილია 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. აღნიშნული ვადა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

6. სამუშაოს მიმცემს უფლება აქვს სამსახურებრივი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას მიუთითოს თავისი სახელი (დასახელება) ან მოითხოვოს ასეთი მითითება.

7. სამსახურებრივი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას საავტორო გასამრჯელოს (პონორარის) ოდენობა და გადახდის წესი შეიძლება განისაზღვროს ავტორსა და სამუშაოს მიმცემს შორის ხელშეკრულებით.

8. ეს მუხლი არ ვრცელდება გადამუშავებულ სამსახურებრივ ნაწარმოებზე.

მუხლი 17. ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები

1. ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებია:

ა) აღიარებულ იქნეს ნაწარმოების ავტორად და მოითხოვოს ასეთი აღიარება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე ან/და ნებისმიერი სახით გამოყენებისას, სათანადო წესით, ავტორის სახელის მითითების მოთხოვნის უფლების ჩათვლით (ავტორობის უფლება);

ბ) მიუთითოს ფსევდონიმი სახელის ნაცვლად და მოითხოვოს ასეთი მითითება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე ან/და ნებისმიერი სახით გამოყენებისას, სათანადო წესით, აგრეთვე უარი თქვას სახელის აღნიშვნაზე (სახელის უფლება);

გ) პირველად გამოაქვეყნოს ნაწარმოები;

დ) ნება დართოს სხვა პირებს, შეიტანონ ცვლილებები როგორც თვით

ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებაში (სათაურში) და ავტორის სახელში, აგრეთვე წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას (ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება);

ე) დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია (რეპუტაციის პატივისცემის უფლება);

ვ) ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა);

ზ) მოითხოვოს ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა (ნაწარმოების გამოხმობის უფლება). ამ შემთხვევაში ავტორი ვალდებულია საჯაროდ განაცხადოს გამოხმობის შესახებ. ნაწარმოების გამოხმობის უფლება არ ვრცელდება სამსახურებრივ ნაწარმოებზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების განხორციელება ხდება ავტორის ხარჯზე. ავტორმა ნაწარმოების მოსარგებლეს უნდა აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი, მიუღებელი მოგების ჩათვლით. ავტორს აგრეთვე უფლება აქვს, სამოქალაქო ბრუნვიდან თავისი ხარჯებით ამოიღოს გავრცელების მიზნით ადრე დამზადებული ნაწარმოების ეგზემპლარები.

3. პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორს ეკუთვნის მისი ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და უნარჩუნდება ამ უფლებების დათმობის შემთხვევაშიც.

4. დაუშვებელია პირადი არაქონებრივი უფლებების გასხვისება ავტორის სიცოცხლეში. მათი განხორციელება ავტორის გარდაცვალების შემდეგ ხდება ამ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 18. ნაწარმოების ავტორის ქონებრივი უფლებები

1. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება.

2. ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აყრდამლოს:

ა) ნაწარმოების რეპროდუცირება (რეპროდუცირების უფლება);

ბ) ნაწარმოების ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გავრცელება გაყიდვის ან გაქირავების, ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით (გავრცელების უფლება);

გ) ნაწარმოების ეგზემპლართა იმპორტირება გავრცელების მიზნით, იმ ეგზემპლართა ჩათვლით, რომლებიც დამზადებულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობით (იმპორტის უფლება);

დ) ნაწარმოების საჯარო ჩვენება (საჯარო ჩვენების უფლება). ეს უფლება არ გამოიყენება, თუ საჯარო ჩვენება არის სამოქალაქო ბრუნვაში გაშვებული ნაწარმოების კანონიერი შესყიდვის შედეგი;

ე) ნაწარმოების საჯარო შესრულება (საჯარო შესრულების უფლება);

ვ) ნაწარმოების საჯარო გადაცემა, ეთერში ან კაბელით პირველი ან/და შემდგომი გადაცემის ჩათვლით (საჯარო გადაცემის უფლება);

ზ) ნაწარმოების თარგმნა (თარგმნის უფლება);

თ) ნაწარმოების გადამუშავება (გადამუშავების უფლება).

3. ავტორს ან განსაკუთრებული საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს მიიღოს საავტორო ჰონორარი მისი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის (ჰონორარის უფლება).

4. თუ მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოების ეგზემპლარები იყიდება, მაშინ დაშვებულია მათი შემდგომი გავრცელება ავტორის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე.

5. ნოტებით გამოხატული მუსიკალური ნაწარმოების, აუდიოვიზუალური ნაწარმოების, კომპიუტერული პროგრამის, მონაცემთა ბაზის, ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების ავტორებს ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელებს ეკუთვნით აღნიშნულ ნაწარმოებთა ორიგინალის ან ასლების გაქირავებით გავრცელების განსაკუთრებული უფლება, ამ ორიგინალზე ან ასლებზე საკუთრების უფლების მიუხედავად.

6. არქიტექტურული, ქალაქმშენებლობისა და საბადე-საპარკო პროექტების გამოყენების განსაკუთრებული უფლება მოიცავს ასეთი პროექტების განხორციელების უფლებას.

7. საავტორო ჰონორარის ოდენობა, მისი გამოანგარიშების წესი ეგზემპლარის ნებისმიერი გამოყენებისათვის დგინდება საავტორო ხელშეკრულებით, აგრეთვე მოსარგებლებსა და ავტორთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას შორის ხელშეკრულებით.

8. პირს, რომელიც საავტორო უფლების ვადის გასვლის შემდეგ პირველად გამოაქვეყნებს ადრე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებს, ამ ნაწარმოებზე წარმოეშობა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქონებრივი უფლებები.

9. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ქონებრივ უფლებათა შეზღუდვები განისაზღვრება ამ კანონის 21-28-ე მუხლებით, იმ პირობით, რომ ასეთი შეზღუდვები ხელს არ შეუშლის ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ შელახავს ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის კანონიერ ინტერესებს.

მუხლი 19. ქონებრივი უფლებები კომპიუტერულ პროგრამებზე და მონაცემთა ბაზებზე

1. კომპიუტერული პროგრამის ავტორი ამ კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ უფლებებთან ერთად სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) კომპიუტერული პროგრამის რეპროდუცირება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მთლიანად ან ნაწილობრივ. თუ ასეთი რეპროდუცირება ესაჭიროება კომპიუტერული პროგრამის ჩატვირთვას, ჩვენებას, მუშაობას, გადაცემას (ტრანსმისიას) ან შენახვას, აუცილებელია ავტორის თანხმობა;

ბ) კომპიუტერული პროგრამის თარგმნა, ადაპტირება, სისტემატიზება ან სხვაგვარი ცვლილება და მიღებული შედეგების რეპროდუცირება იმ პირის უფლებების დაცვით, რომელიც ცვლის კომპიუტერულ პროგრამას;

გ) კომპიუტერული პროგრამის ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გავრცელება ნებისმიერი ფორმით, გაქირავების ჩათვლით. საქართველოში ავტორის მიერ ან მისი თანხმობით პროგრამის ასლების პირველი რეალიზაციით ამოიწურება საქართველოს ფარგლებში ასეთი ასლების გავრცელების კონტროლის უფლება, გარდა უფლებისა – გააკონტროლოს პროგრამის ორიგინალის ან ასლების შემდგომი გაქირავება.

2. მონაცემთა ბაზის ავტორი ამ კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ უფლებებთან ერთად სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) მონაცემთა ბაზის დროებითი ან მუდმივი რეპროდუცირება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მთლიანად ან ნაწილობრივ;

ბ) მონაცემთა ბაზის თარგმნა, ადაპტირება, სისტემატიზება ან სხვაგვარი ცვლილება და მიღებული შედეგების რეპროდუცირება, საჯარო გადაცემა, ჩვენება ან შესრულება;

გ) მონაცემთა ბაზის ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გავრცელება ნებისმიერი ფორმით. საქართველოში ავტორის მიერ ან მისი თანხმობით ბაზის ასლების პირველი რეალიზაციით ამოიწურება საქართველოს ფარგლებში ასეთი ასლების გაყიდვის კონტროლის უფლება;

დ) ნებისმიერი გადაცემა, ჩვენება ან შესრულება საზოგადოების წინაშე, დილოგური, პირდაპირი ტრანსლაციის ჩათვლით.

მუხლი 20. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის უფლებები

1. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორს უფლება აქვს მოსთხოვოს ნაწარმოების მესაკუთრეს, მისცეს საშუალება განახორციელოს თავისი ნაწარმოების რეპროდუცირება (დაშვების უფლება). ამასთან, მესაკუთრეს არ შეიძლება მოეთხოვოს ნაწარმოების მიტანა ავტორთან.

2. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ორიგინალის პირველად გასხვისების შემდეგ მისი საჯაროდ გაყიდვის (აუქციონის, სამხატვრო სალონის, სახვითი ხელოვნების გალერეის, მაღაზიის ან სხვა საშუალებით) ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ავტორს ან მის მემკვიდრეებს უფლება აქვთ მიიღონ გამყიდველისაგან ჰონორარი გასაყიდი ფასის 5 პროცენტის ოდენობით. ამ უფლების განხორციელება შესაძლებელია ავტორთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მეშვეობით. გამყიდველები ვალდებული არიან აღნიშნულ ორგანიზაციას მისი მოთხოვნით მიაწოდონ ინფორმაცია გაყიდვების შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გასხვისება ავტორის სიცოცხლეში. იგი კანონით ან ანდერძით გადადის მხოლოდ მემკვიდრეებზე საავტორო უფლების მოქმედების ვადით.

თავი III

ძონებრივი უფლებების შეზღუდვა

მუხლი 21. ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისათვის

1. დაშვებულია მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ გამოიყენება:

ა) არქიტექტურული ნაწარმოებების შენობა – ნაგებობათა ფორმით რეპროდუცირებისას;

ბ) ელექტრონული მონაცემთა ბაზების რეპროდუცირებისას;

გ) კომპიუტერული პროგრამების რეპროდუცირებისას, გარდა ამ კანონის 28-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) წიგნების (მთლიანად), ნოტებისა და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების რეპროგრაფიული გამრავლებისას;

ე) აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების რეპროდუცირებისას.

3. ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისათვის რეპროდუცირებისას აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს, ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული წესისაგან განსხვავებით, უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი ჰონორარი.

4. ჰონორარი გადაიხდება პირადი სარგებლობისათვის რეპროდუცირებისას გამოსაყენებელ მოწყობილობათა (აუდიო- და ვიდეომანქანებისა და სხვა მოწყობილობათა) და მატერიალურ მატარებელთა (ფონო- და ვიდეოფირების, კასეტების, ლაზერული ფირფიტების, კომპაქტფირფიტებისა და სხვა მატერიალურ მატარებელთა) მწარმოებლებისა და იმპორტიორების მიერ.

5. ჰონორარის შეგროვებასა და განაწილებას ახორციელებს იმ ორგანიზაციათაგან ერთ-ერთი, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ ავტორთა, შემსრულებელთა და ფონოგრამების დამამზადებელთა ქონებრივ უფლებებს, ამ ორგანიზაციათა შორის შეთანხმების შესაბამისად. თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ჰონორარი ნაწილდება შემდეგნაირად: 40 პროცენტი – ავტორებს, 30 პროცენტი – შემსრულებლებს, 30 პროცენტი – ფონოგრამების დამამზადებლებს. აღნიშნულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, მათ შორის, სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან მოითხოვონ ინფორმაცია ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ მოწყობილობათა და მატერიალურ მატარებელთა წარმოებისა და იმპორტის შესახებ.

6. ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება, ერთი მხრივ, აღნიშნულ მწარმოებლებსა და იმპორტიორებს და, მეორე მხრივ, ერთ-ერთ იმ ორგანიზაციას შორის შეთანხმებით, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ ავტორთა, შემსრულებელთა და ფონოგრამების დამამზადებელთა ქონებრივ უფლებებს. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, ჰონორარის ოდენობას განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“.

7. ჰონორარი ნაწილდება იმ ნაწარმოებთა ავტორებსა და საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელებს შორის, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებში და რომლებიც, სავარაუდოა, რომ რეპროდუცირებას ახდენდნენ პირადი სარგებლობისათვის.

8. ჰონორარი არ გადაიხდებიან ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მოწყობილობებსა და მატერიალურ მატარებლებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენს:

ა) ექსპორტის საგანს;

ბ) პროფესიულ მოწყობილობას, რომელიც არ არის განკუთვნილი საშინაო გამოყენებისათვის.

9. ჰონორარი აგრეთვე არ გადაიხდებიან ფიზიკურ პირთა მიერ აღნიშნული მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების პირადი მიზნით იმპორტირების შემთხვევაში.

<...>

მუხლი 23. ნაწარმოების გამოყენება ავტორის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე

დაშვებულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, მაგრამ გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასესხების წყაროს აუცილებელი მითითებით:

ა) მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოებების ორიგინალიდან ან თარგმანიდან ციტირება სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით, გაზეთებიდან და ჟურნალებიდან მოკლე ნაწყვეტების ბეჭდვითი მიმოხილვისათვის რეპროდუცირების ჩათვლით;

ბ) მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოებებიდან მოკლე ნაწყვეტების გამოყენება ილუსტრაციის სახით, გამოცემებში, რადიო- და ტელეგადაცემებში, სასწავლო ხასიათის ფონო- და ვიდეოჩანაწერებში, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით;

გ) მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ საკითხებზე პერიოდულ გამოცემებში მართლზომიერად გამოქვეყნებული სტატიების ან ეთერში გადაცემული მსგავსი ნაწარმოებების რეპროდუცირება ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა სპეციალურად არ არის აკრძალული ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის მიერ. ამასთან, ავტორს უნარჩუნდება ასეთი ნაწარმოების კრებულში გამოქვეყნების უფლება;

დ) მიმდინარე მოვლენების პროცესში დანახული ან მოსმენილი ნაწარმოების რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვაში ფოტოგრაფირების, ეთერში ან კაბელით გადაცემის გზით, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით;

ე) საჯაროდ წარმოთქმული პოლიტიკური მოხსენების, სიტყვის, ლექციის, მიმართვის, ქადაგების და მსგავსი ნაწარმოებების, მათ შორის, სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული სიტყვების რეპროდუცირება ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა პერიოდული გამოცემების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით. ამასთან, ავტორს უნარჩუნდება ასეთ ნაწარმოებთა ცალკე კრებულად ან წიგნად გამოცემის განსაკუთრებული უფლება;

ვ) მართლზომიერად გამოქვეყნებული, რელიეფური წერტილოვანი შრიფტით ან სხვა სპეციალური საშუალებით უსინათლოთათვის შექმნილი ნაწარმოების რეპროდუცირება მოგების მიღების მიზნის გარეშე, გარდა იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი გამოყენების ასეთი საშუალებებისათვის.

<...>

თავი IV

საავტორო უფლებების მოქმედების ვადა

მუხლი 31. საავტორო უფლების წარმოშობა და მისი მოქმედების ხანგრძლივობა

1. საავტორო უფლება წარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე და მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ 70 წლის განმავლობაში, გარდა ამ კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ამ მუხლით და ამავე კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული ვადების ათვლა იწყება იმ წელიწადის შემდგომი წლის პირველი იანვრიდან, როდესაც დადგა იურიდიული ფაქტი, რომელიც აღნიშნული ვადის ათვლის დაწყების საფუძველს წარმოადგენდა.

<...>

თავი V

საავტორო უფლების გადაცემა

მუხლი 35. საავტორო უფლების გადაცემის საფუძველები

1. საავტორო უფლება გადაეცემა კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობის წესით.

2. კანონით მემკვიდრეებზე საავტორო უფლების მოქმედების ვადის ფარგლებში გადადის ამ კანონის მე-18 მუხლში აღნიშნული ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლებები, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. ავტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებები მემკვიდრეობით არ გადადის. მემკვიდრეებს უფლება აქვთ განახორციელონ აღნიშნულ პირად უფლებათა დაცვა. მათი ეს უფლებამოსილება ვადით არ იზღუდება.

4. თუ ავტორის მიერ მის სიცოცხლეში სხვა რამ არ იყო განსაზღვრული, მისი პირადი უფლებებიდან მემკვიდრეობით გადადის უფლება, ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა). აღნიშნული უფლება მემკვიდრეებზე გადადის საავტორო უფლების მოქმედების ვადით.

5. ავტორს უფლება აქვს მიუთითოს პირი, რომელსაც ის ნიშნავს ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული უფლებების დამცველად. ეს პირი თავის მოვალეობას ასრულებს ავტორის გარდაცვალებამდე.

6. თუ მეგვიდრეები არ არსებობენ ან არაჯეროვნად ახორციელებენ ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ უფლებებს, ამ უფლებების დაცვას აწარმოებს განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“.

მუხლი 36. ავტორის ქონებრივი უფლების გადაცემა

1. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს შეუძლია თავისი ქონებრივი უფლებები გადასცეს უფლებამონაცვლეს. უფლებამონაცვლეზე გადადის ნაწარმოების გამოყენების ყველა განსაკუთრებული უფლება, რომელიც გათვალისწინებულია ამ კანონის მე-18 მუხლით.

2. განსაზღვრული სახით ნაწარმოების გამოყენების ნებართვა გაიცემა განსაკუთრებული ან ჩვეულებრივი ლიცენზიის გაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულების საფუძველზე.

<...>

მუხლი 40. საავტორო ხელშეკრულება

1. საავტორო ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს: გამოსაყენებელი ნაწარმოების ზუსტ აღწერას (მოცულობა, ჟანრი, სახელწოდება), ნაწარმოების გამოყენების კონკრეტულ სახეს, უფლების გადაცემის ვადას და ტერიტორიას, პონორარის ოდენობის განსაზღვრის წესს ან პონორარის ოდენობას ნაწარმოების გამოყენების ყოველი სახისათვის, მისი გადახდის წესსა და ვადას, აგრეთვე სხვა პირობებს, რომლებსაც მხარეები არსებითად მიიჩნევენ.

2. ნაწარმოების ყველა იმ სახით გამოყენების უფლება, რომელიც საავტორო ხელშეკრულებით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, ეკუთვნის ავტორს.

3. თუ საავტორო ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული ნაწარმოების გამოყენების კონკრეტული სახე (საავტორო ხელშეკრულებით გადაცემული კონკრეტული უფლებები), ხელშეკრულება ითვლება დადებული ნაწარმოების ისეთ გამოყენებაზე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს აუცილებლად მხარეთა იმ განზრახვის შესრულებისათვის, რომელიც მათ ჰქონდათ ხელშეკრულების დადებისას.

4. თუ საავტორო ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული უფლების გადაცემის ვადა, ხელშეკრულება შეიძლება გააუქმოს ავტორმა მისი დადებიდან 3 წლის შემდეგ. მოსარგებლეს ამის თაობაზე უნდა ეცნობოს წერილობით, ხელშეკრულების გაუქმებამდე 6 თვით ადრე.

5. თუ საავტორო ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული უფლების გადაცემის ტერიტორია, ხელშეკრულებით გადაცემული უფლება მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

6. საავტორო ხელშეკრულებაში ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

7. თუ გამოცემის ან ნაწარმოების სხვაგვარი რეპროდუცირების საავტორო ხელშეკრულებაში ჰონორარი განისაზღვრება ფიქსირებული თანხით, ხელშეკრულებით დადგენილი უნდა იყოს ნაწარმოების მაქსიმალური ტირაჟი.

8. საავტორო ხელშეკრულებით გადაცემული უფლებები შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცეს სხვა პირებს, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

<...>

მუხლი 42. საავტორო ხელშეკრულების ფორმა

საავტორო ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. პერიოდულ ბეჭდვით გამოცემებში ნაწარმოების გამოყენების საავტორო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირადაც. ზეპირად შეიძლება დაიდოს აგრეთვე ზეპირი ნაწარმოების ტელევიზიით ან რადიოთი ერთჯერადი გადაცემის ხელშეკრულება.

<...>

თავი VI

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვა

მუხლი 58. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევა

1. ამ კანონით გათვალისწინებულ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევა იწვევს სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევისათვის იურიდიული პირი პასუხს აგებს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ ასრულებს ამ კანონის მოთხოვნებს, ითვლება საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დამრღვევად.

3. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევად ჩაითვლება აგრეთვე:

ა) უფლების მართვის ელექტრონული ინფორმაციის შეცვლა ან წაშლა უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე;

ბ) ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გამოქვეყნება ნებისმიერი საშუალებით, როდესაც პირმა იცოდა ან სათანადო საფუძველი ჰქონდა სცოდნოდა, რომ უფლების მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაცია შეცვლილი ან წაშლილი იქნა უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე.

მუხლი 59. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვა

1. განსაკუთრებულ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ დამრღვევისაგან:

ა) უფლების აღიარება;

ბ) უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედებათა აღკვეთა, რომლებიც არღვევენ უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს;

გ) ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით;

დ) ზიანის ანაზღაურების ნაცვლად იმ შემოსავლის ჩამორთმევა, რომელიც დამრღვევმა მიიღო საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევის შედეგად;

ე) ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდა, რომლის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო;

ვ) მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სხვა ზომების მიღება, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ზომები გამოიყენება საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების არჩევით.

3. ზიანის ანაზღაურების განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დარღვევის არსი, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებისათვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი, აგრეთვე ის საეარაულო შემოსავალი, რომელიც შეეძლო მიეღო ავტორს ან საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელს ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის მართლზომიერად გამოყენების შედეგად. ზიანის ანაზღაურებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასამართლო ხარჯები, წარმომადგენლისა და ადვოკატისათვის გადასახდელი თანხის ჩათვლით.

მუხლი 60. კონტრაფაქციული ეგზემპლარები

1. ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარები, რომელთა დამზადება ან გავრცელება იწვევს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევას, ითვლება კონტრაფაქციულ ეგზემპლარებად.

2. კონტრაფაქციულად ითვლება აგრეთვე იმ ნაწარმოების, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის ეგზემპლარები, რომლებიც დაცულია საქართველოში ამ კანონის შესაბამისად და რომლებიც საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების თანხმობის გარეშე იმპორტირებულია საქართველოში იმ სახელმწიფოდან, სადაც ისინი არასდროს ყოფილა დაცული ან სადაც მათი დაცვა შეწყვეტილია.

3. სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარების, აგრეთვე მათი რეპროდუცირებისათვის საჭირო მასალებისა და მოწყობილობების ჩამორთმევის შესახებ. ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარები შეიძლება გადაეცეს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს მათი მოთხოვნით.

4. ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარები, რომლებიც არ იქნა გამოთხოვილი საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების მიერ, აგრეთვე მათი რეპროდუცირებისათვის საჭირო მასალები და მოწყობილობები ექვემდებარება განადგურებას სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

5. ჩამორთმევას არ ექვემდებარება მესამე პირების მიერ მართლზომიერად შეძენილი ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარები.

მუხლი 61. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვის საქმეზე სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებები

1. საქმის არსებითად განხილვამდე სასამართლოს ან მოსამართლეს ერთპიროვნულად შეუძლია გამოიტანოს განჩინება, რომელიც უკრძალავს მოპასუხეს ან პირს, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია საავტორო და მომიჯნავე უფლებები, განსაზღვრულ მოქმედებათა შესრულებას, როგორცაა დამზადება, რეპროდუცირება, გაყიდვა, გაქირავება, იმპორტი და ამ კანონით გათვალისწინებული ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება, აგრეთვე იმ ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ტრანსპორტირება, შენახვა და ფლობა გავრცელების მიზნით, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის კონტრაფაქციული ეგზემპლარია.

2. საქმის არსებითად განხილვამდე სასამართლოს ან მოსამართლეს ერთპიროვნულად შეუძლია გამოიტანოს განჩინება ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ყველა იმ ეგზემპლარზე ყადაღის დადებისა და ამოღების შესახებ, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის კონტრაფაქციული ეგზემპლარია, აგრეთვე იმ მასალებისა და მოწყობილობების შესახებ, რომლებიც განკუთვნილია მათი დამზადებისა და რეპროდუცირებისათვის.

3. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევის შესახებ საკმარის მონაცემების არსებობისას, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მოკვლევის ორგანო, გამოძიებელი ან სასამართლო ვალდებულია მიიღოს ზომები წაყენებული ან შემდგომში შესაძლო სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად, შემდეგი ნივთების ძიების და მათზე ყადაღის დადების გზით:

ა) ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ეგზემპლარები, რომელთა მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ისინი კონტრაფაქციული ეგზემპლარებია;

ბ) მასალები და მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილია კონტრაფაქციული ეგზემპლარების დამზადებისა და რეპროდუცირებისათვის;

გ) ღოკუმენტები, ანგარიშები და სხვა ნივთები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად სასამართლო განხილვისას.

მუხლი 62. სახელმწიფო პოლიტიკა სააეტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში

1. სააეტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას და კანონით მინიჭებული სხვა ფუნქციების განხორციელებას უზრუნველყოფს განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“. მისი სტატუსი და უფლებამოსილება დგინდება ამ კანონისა და შესაბამისი დებულების საფუძველზე.

2. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ უფლებამოსილია:

ა) უზრუნველყოს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება სააეტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონმდებლობის სფეროში და საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს წინადადებები მისი განვითარების შესახებ;

ბ) წარმოადგინოს საქართველო სააეტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებში;

გ) რეგისტრაციაში გაატაროს ნაწარმოებები ამ კანონით დადგენილი წესით.

<...>

თავი XI

ბარდამაშალი დეპუტატნი

მუხლი 67. ამ კანონის ნორმათა გავრცელება ადრე წარმოშობილ ურთიერთობებზე

1. ეს კანონი ვრცელდება იმ სააეტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ამ კანონის ამოქმედების შემდეგ.

2. იმ ნაწარმოებზე, რომელზედაც ამ კანონის ამოქმედებამდე არ არის გასული სააეტორო უფლების დაცვის 70-წლიანი ვადა, ვრცელდება ამ კანონის 31-32-ე მუხლებით გათვალისწინებული სააეტორო უფლების მოქმედების ვადები.

3. იმ შესრულებაზე, რომელზედაც ამ კანონის ამოქმედებამდე არ არის გასული 50 წელი მისი პირველი შესრულებიდან, ვრცელდება ამ კანონის 57-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემსრულებლის უფლების მოქმედების ვადა.

4. იმ ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომლებზედაც ამ კანონის ამოქმედებამდე არ არის გასული 50 წელი მათი პირველი მართლზომიერი გამოქვეყნებიდან ან შექმნიდან, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში ისინი

არ ყოფილა გამოქვეყნებული, ვრცელდება ამ კანონის 57-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მომიჯნავე უფლების მოქმედების ვადა.

5. მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, რომლებზედაც ამ კანონის ამოქმედებამდე არ არის გასული 50 წელი მათი პირველი მართლზომიერი გამოქვეყნებიდან ან შექმნიდან, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში ისინი არ ყოფილა გამოქვეყნებული, ვრცელდება ამ კანონის 57-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მომიჯნავე უფლების მოქმედების ვადა.

თავი XII

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 68. ძალადაკარგული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები
ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს ყველა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონს.

მუხლი 69. კანონის ამოქმედება
ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *ედუარდ შევარდნაძე*.

თბილისი,
1999 წლის 22 ივნისი.
№2112 - IIს

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა.....	3
მაგლა ბერიძე – ირინა ჩირინაშვილის წინააღმდეგ – სიმღერაზე „შვავილუბის ქვეყანა“ საავტორო უფლებების აღიარების თაობაზე	
ა. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1986 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება.....	5
ბ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 16 თებერვლის განჩინება.....	8
გ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება.....	11
დ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 14 მარტის განჩინება.....	17
ე. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 31 მარტის განჩინება	22
ვ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 18 მაისის განჩინება.....	25
ზ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 17 აგვისტოს განჩინება.....	27
თ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 5 დეკემბრის განჩინება.....	30
ი. თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 15 იანვრის განჩინება.....	33
კ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 12 ივნისის გადაწ- ვეტილება.....	36
ლ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 3 იანვრის განჩინება.....	45
დიმიტრი მანჯგალაძე – „ქოკა-ქოლას“ წინააღმდეგ – ავტორად აღიარებისა და საავტორო უფლების დარღვევის შემდგომ მიყენებული ზიანის ანაზღაურე- ბის თაობაზე	
ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება.....	55
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 19 ივლისის განჩინება.....	66
გ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება.....	73

დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება.....	84
აპოლონ შორღანია – თამაზ ძილაძის წინააღმდეგ – საავტორო უფლების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე	
ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება.....	103
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 23 მარტის განჩინება.....	108
აპოლონ შორღანია – თენგიზ აბულაძის წინააღმდეგ – ფილმ „მონანიების“ საავტორო უფლების დაცვის თაობაზე	
ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება.....	112
ბ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 24 თებერვლის განჩინება.....	123
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 8 ივლისის განჩინება.....	125
მეირ ბურჯანაძე – საპარტოვლოს შახბურთის შემდგომი წინააღმდეგ – საავტორო უფლების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე	
ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება.....	133
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 20 ნოემბრის განჩინება.....	141
გ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება.....	147
დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 26 დეკემბრის განჩინება.....	155
ანზორ ჯაალიშვილი – მღვთა სოდელის, შურნალ „კურირისა“ და შპს „ტორის“ წინააღმდეგ – საავტორო უფლების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე	
ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 3 ოქტომბრის განჩინება.....	164
ბ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 11 ოქტომბრის განჩინება.....	166

შპს „არსი“ – დარეჯან შულუკიძის წინააღმდეგ – არ- ძიბამტურულ განაშენიანების პროექტზე საავტორო უფლების დაცვის თაობაზე	
თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის განჩინება	169
რევაზ გომეზაშვილი – სს „ჭიათურაგანაშენის“ წინააღმ- დეგ – საავტორო კონოკარის დაკისრების თაობაზე	
ა. ჭიათურის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება	173
ბ. ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 5 დეკემბრის განჩინება	175
გ. ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 24 იანვრის გადაწ- ყვეტილება	176
დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება	183
ე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 23 თებერვლის განჩინება	192
თამარ შამალაიძე – სახაზინო საჯარო „თბილისის კო- ლიგრაფიული ფაბრიკის“ და ნატალია ღარჯიაშვილის წინააღმდეგ – საავტორო უფლების დარღვევის შედე- გად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე	
ა. ქ. თბილისის გლდანის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება	195
ბ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 9 მარტის განჩინება ...	199
გ. ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება	200
დ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 14 მარტის განჩინება	203
ე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 11 აგვისტოს განჩინება	209
ვ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება	213
გიორგი ბეგეშიძე, ვლადიმერ სიმონია და სს. – სს „ოტელ თბილისის“ წინააღმდეგ – არძიბამტურულ პროექტზე საავტორო უფლების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება	
ა. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება	216

ბ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 22 მაისის განჩინება	228
გ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 15 მაისის განჩინება ..	230
დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 24 მარტის განჩინება	244
ზვიად აბაშიძე და ვანო ცერცვაძე – გამომცემლობა „მთაწმინდელის“, გაერთიანება „ოთხმოცდაათიანელეზისა“ და ღვაწით მუშაკების წინააღმდეგ – საავტორო უფლებების დამარღვმად აღიარებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე	
ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება.....	255
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 21 აპრილის განჩინება	263
თამარ აშხატავა – გამომცემლობა „ლაშარის“ და საქართველოს აკაკი შერეთლის სახელობის საბავშვო ფონდის წინააღმდეგ – საავტორო უფლების დამარღვმად აღიარებისა და რეალიზებული ვიზნების ღირებულების გადასდმეზინების თაობაზე	
ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 1999 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილება.....	274
ბ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება.....	277
მინანა კვარნაძე-მიძაძე – შპს „დღღ“ და ი/მ „რათაელ ათანელის“ წინააღმდეგ – საავტორო უფლებების დარღვევის შემდგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე	
თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება.....	285
აკოლონ ჭულაია – საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სავინისტროს მეტარინარიის დეპარტამენტის წინააღმდეგ – ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების თაობაზე	
საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 27 ივლისის განჩინება	292
საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 8 ნოემბრის განჩინება	296

ლუგოვ (ლუღუ) ჩხენკელი – გამოცემლობა „რაოს“ წინააღმდეგ – საავტორო უფლების დარღვევის აპრკა- ლვისა და კომპენსაციის დაკისრების თაობაზე	
ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება.....	302
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 12 ოქტომბრის განჩინება.....	309
გ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება.....	314
დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 3 ივლისის განჩინება.....	318
ენო ლაბარტაშაძე – გამოცემლობა „განათლების“ წინააღმდეგ – მემკვიდრისათვის საავტორო კონოგარის ანაზღაურების თაობაზე	
ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 1 ნოემბრის გადაწ- ყვეტილება.....	324
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 6 მარტის განჩინება.....	331
გიორგი კაჭარაძე – შპს „ტუღია თბილისის“ წინააღ- მდეგ – საავტორო უფლების დარღვევის გამო მიყენებ- ული ზიანის ანაზღაურების თაობაზე	
თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 28 დეკემბრის განჩინება.....	334
ლუგოვ (ლუღუ) ჩხენკელი – ტელეკომპანია „კავკასიის“ წინააღმდეგ – უიღვის უკანონო გამოყენების აპრკა- ლვისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე	
ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 9 ივნისის განჩინება.....	337
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 22 სექტემბრის განჩინება.....	343
„ასტორნ კაბლიშინგ ლიმიტედი“ – შურნალ „დიღას“ წინააღმდეგ – საავტორო უფლების დარღვევაზე არ- სებული მდგომარეობის აღდგენის თაობაზე	
ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 5 აპრილის განჩინება.....	347
ბ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის განჩინება.....	349
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 10 ივლისის განჩინება.....	354

შპს-ის ფილიალი „საქართველოს ძანდაკების კომპინატი“ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მოქანდაკე მარაბ ბერკენიშვილის წინააღმდეგ – დავით აღმაშენებლის კვლზე საავტორო კონორარის ანაზღაურების თოგაზე	
ა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 18 დეკემბრის განჩინება	360
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 24 აპრილის განჩინება	366
გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 23 თქტომბრის განჩინება	375
დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება	381
იაკობ ბოგოსიკე – შპს „ქართული ხეების“ წინააღმდეგ – საავტორო უფლების დარღვევის ბამო კომპენსაციის გადახდის თოგაზე	
თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 19 იუნისის განჩინება	394
მაია კვატაშიკე – მომღერალ ქეთი მარკვილაკის წინააღმდეგ – სიმღერაზე – „ძალს“ ავტორად აღიარების თოგაზე	
თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 17 თქტომბრის განჩინება	397
ტარიელ ბერაკე – შპს „საჩუქრები-95“ და გიბა გიბაურის წინააღმდეგ – ავტორის ძონებრივი უფლებების დარღვევის თოგაზე	
თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება	401
საქართველოს ავტოროთა და შემსრულებელთა საზოგადოება – კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წინააღმდეგ – საავტორო კონორარის გადახდის თოგაზე	
ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება	406
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 5 იუნისის განჩინება	412
თემიგურაჟ გოცაკე – „საქმელერადიოგაუფხვებლობის“ წინააღმდეგ – მრავალშიგურიანი კომპოზიციის დემონტაჟის თოგაზე	
ა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 19 თებერვლის განჩინება	416

ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 19 აპრილის განჩინება	422
ნიკა მავნილაძე – „საბტელერადიომაუწყებლობის“, ირმა სოხაძის, ნუზარ ჩხაიძისა და ალექსანდრე ვახტანგოვის წინააღმდეგ – გადაცემა – „შოუ მუსიკალური ოტბაგონის“ საავტორო უფლების დაცვის თაობაზე	
ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება	428
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 17 ივნისის განჩინება	433
სამაუწყებლო კომპანიები „PTP“ და „OPT“ – შპს „ნიკა-95“, შპს „მ-7 არხის, შპს „დიდგორის“, შპს „A+B“ და შპს „ტ-8“-ის წინააღმდეგ – სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით რეტრანსლაციის აკრძალვის თაობაზე	
ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 6 დეკემბრის განჩინება	441
ბ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 6 დეკემბრის განჩინება	443
გ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 26 დეკემბრის განჩინება	445
დ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 27 დეკემბრის განჩინება	447
ე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 29 აპრილის განჩინება	449
ვ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 29 მაისის განჩინება	452
დახურული სს „REN TV“ – შპს „ნიკა-95“ და შპს „ტ-8“-ის წინააღმდეგ – სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით რეტრანსლაციის აკრძალვის თაობაზე	
ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 9 დეკემბრის განჩინება	456
ბ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 7 თებერვლის განჩინება	458
გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის განჩინება	461

შპს „სტუდია NTEN TV“ – „საძებნო-ინფორმაციული სისტემების“ წინააღმდეგ – მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებისა და ვალდებულების შეუსრულებლობ- ისათვის ჯარიმის გადახდის დაკისრების თაობაზე	
ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 23 იანვრის განჩინება	465
გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება	467
საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოება – შპს „იასონის“ წინააღმდეგ – საავტორო კონოგრაფიის გადახდის ვალდებულების შეუსრულების თაობაზე	
ა. თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება	478
ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 4 მარტის განჩინება	483
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (ამონარიდი)	488
საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ	500
საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ (ამონარიდი)	501
სარჩევი	525

АВТОРСКОЕ ПРАВО

Грузинская судебная практика

Составитель: Сандро Джорбенадзе

Издательство “Мериდიани”

საავტორო სამართალი

ქართული სასამართლო პრაქტიკა

შემდგენელი: სანდრო ჯორბენაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. 112